საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგნატე გაბლიანი

თბილისი
2018

ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა II

ეგნატე გაბლიანი

(1881–1937 წწ.)

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა 2016 წლიდან გამოსცემს სერიას „ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა“. უკვე გამოცემულია პირველი წიგნი, რომელიც მიეძღვნა ცნობილ სასულიერო მოღვაწესა და ეთნოგრაფს დეკანოზ იოანე მარგიანს. მეორე წიგნში წარმოდგენილია ეროვნული მოღვაწის, ეთნოგრაფის, არქეოგრაფის, მუზეუმთმცოდნისა და პუბლიცისტის ეგნატე გაბლიანის მეცნიერული მემკვიდრეობა.

წინამდებარე გამოცემაში შესულია ეგნატე გაბლიანის სამი მონოგრაფია და პრესაში დაბეჭდილი სტატიები და წერილები.

წიგნს ახლავს ეგნატე გაბლიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი პუბლიკაციები, მოგონებები და ეგნატე გაბლიანისადმი მიძღვნილი კონფერენციების მოკლე ანგარიშები.

რედაქტორები: **როზეტა გუჯეჯიანი**
მირიან ხოსიტაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ელენე გაბლიანი, ზვიად კვიციანი, სოსო კვიციანი, ნინო მინდაძე, ციალა ჩართოლანი, ქეთევან ხუციშვილი (სარედაქციო კოლეგიის გამგე).

კონსულტანტები: ციური გაბლიანი, ივერი ჭელიძე, ლალი გაბლიანი, ავთანდილ გაბლიანი.

©საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ISBN 978-9941-9620-3-5
UDC(უაკ) 39(=353.1) +94 (479.222.3)
ქ-279

რედაქტორებისაგან

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში შექმნილია მეცნიერთაგან დაკომპლექტებული ჯგუფი, რომელიც ამზადებს „ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის“ მრავალტომეულს. „ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის“ პირველი ტომი – „დეკანოზ იოანე მარგიანის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა“ – 2016 წელს გამოიცა. ამჯერად კი მკითხველ საზოგადოებას წარვუდგენთ მეცნიერის (ეთნოგრაფის, არქეოგრაფის), პუბლიცისტის, მესტიის მუზეუმის დამაარსებლის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელის – ეგნატე გაბლიანის (1881-1937 წწ.) სამეცნიერო შრომებსა და პუბლიცისტიკას.

2017 წელს რეპრესირებული მეცნიერის ეგნატე გაბლიანის გარდაცვალებიდან 80 წელი შესრულდა. ეს თარიღი საქართველოს ორმა დიდმა ინსტიტუციამ სამეცნიერო კონფერენციებით აღნიშნა თბილისსა და ქუთაისში. 11-12 ნოემბერს ჩატარდა ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია და იგი მიეძღვნა ქართველ საზოგადო მოღვაწეს, ეთნოგრაფსა და პუბლიცისტს ეგნატე გაბლიანს. 21დეკემბერს კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტში თსუ ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ორგანიზებით შედგა ეგნატე გაბლიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია: „სვანეთი საუკუნეთა მიჯნაზე“.

ეგნატე გაბლიანის წიგნები, გამოცემული 1927, 1929 და 1930 წლებში, უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაა ქცეული. საბჭოთა ხელისუფლებამ, ეგნატე გაბლიანის დაპატიმრებისა და დახვრეტის შემდეგ, აკრძალა მეცნიერის სამივე წიგნი. წიგნების ეგზემპლართა მხოლოდ მცირე ნაწილმა მოაღწია ჩვენს დრომდე და თვით საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული ცალებიც კი კითხვისაგან გაცვეთილი და დაზიანებულია.

სამეცნიერო და ფართო საზოგაოდებას დიდი ხანია სურდა, მზის სინათლე ეხილა ეგნატე გაბლიანის წიგნების ახალ გამოცემას, რის გამოც გადაწყდა, რომ „ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის“ მეორე ტომი დათმობოდა რეპრესირებული მეცნიერის შრომათა სრულ კრებულს.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა მოიძიეს ეგნატე გაბლიანის სამივე წიგნის შედარებით უკეთ შემონახული ეგზემპლარები, პერიოდულ გამოცემებში გაბნეული წერილები და სტატიები. საბოლოოდ

მივიღეთ ვრცელტანიანი გამოცემა, რომელშიც შესულია ეგნატეს სამივე მონოგრაფია და ქართულ პრესაში გამოქვეყნებული წერილების ერთი ნაწილი. ამათგან რამდენიმე წერილი არის სამეცნიერო მნიშვნელობისა, ნაწილი კი ავლენს იმდროინდელი ეროვნულ-კულტურული პრობლემატიკის არსს, ხოლო ზოგიერთ წერილში აღწერილია სვანეთში მიმდინარე პროცესები.

წიგნი ორ ნაწილად იყოფა: პირველ ნაწილში გამოქვეყნებულია ეგნატე გაბლიანის ბიოგრაფიისა და ღვაწლის ამსახველი პუბლიკაციები, მოგონებები, ხოლო მეორე ნაწილში წარმოდგენილია ეგნატეს მონოგრაფიები და საგაზეთო წერილები.

წიგნზე მუშაობა გრძელდებოდა 2018 წლის განმავლობაში. გამოცემის სტილის რედაქტორია თათია გიგანი.

წიგნზე მუშაობისას კონსულტაციებს გვიწევდნენ ეგნატე გაბლიანის ახლო ნათესავები და ოჯახის მეგობრები: ქალბატონი ციური გაბლიანი, ქალბატონი ლალი გაბლიანი, ბატონი ავთანდილ გაბლიანი, ბატონი ივერი ჭელიძე.

წიგნის მომზადების დროს გამოიკვეთა პრობლემებიც: 1900-იან წლებში გამოქვეყნებლ წერილებსა და 30-იან წლებში გამოცემულ მონოგრაფიებში შეიმჩნეოდა კორექტურული შეცდომები: ხშირად სიტყვებს აკლდა ასოები, სქოლიოს კი – ნუმერაცია, სხვადასხვაგვარი იყო დამოწმებული წყაროს მითითების წესი; ზოგან სიტყვები არ იკითხებოდა და ა. შ. გადავწყვიტეთ, რომ ახლა გამოცემაში ცვლილებები არ შეგვეტანა და პირველი გამოცემა უცვლელად გადმოგვეტანა, რადგან კორექტურის გასწორება გამოიწვევდა ტექსტის აცდენას ძველ და ახალ გამოცმებს შორის, რის გამოც შევიტანეთ მხოლოდ ერთი შესწორება: გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის უკეთ აღქმის გასაადვილებლად სქოლიოში დამოწმებული, ხშირად არეული, ნუმერაცია გასწორდა და ყოველი თავის ბოლოში იქნა დაბეჭდილი.

წიგნში შეტანილია ეგნატეს ორი ისეთი წერილიც, რომელთაგანც ერთი ფსევდონიმით, ხოლო მეორე სხვისი გვარ-სახელით არის გამოქვეყნებული. ორივე წერილი თავის მონოგრაფიაში ეგნატეს საკუთარ წერილებად აქვს მოხსენიებული, შესაბამისად, მოვიძიეთ ეს წერილები და წინამდებარე კრებულში შევიტანეთ.

ეგნატემ რთული გზა განვლო, მას ხშირად სწამებდნენ ცილს, მის შესახებ წერდნენ საჩივრებს. წიგნში შეტანილ ერთ წერილში სწორედ ამგვარ ცილისწამებაზეა საუბარი და ეგნატე გაბლიანი

აკადემიური ფორმით და კეთილგანწყობით ასაბუთებს თავის სიმართლეს.

ვფიქრობთ, რომ ეგნატე გაბლიანის მეცნიერული მემკვიდრეობის ცალკე მონოგრაფიად გამოცემას დიდი მნიშვნელობა აქვს. წიგნი უკვე აღარ იქნება ბიბლიოგრაფიული იშვიათობა და მივა დაინტერესებულ მკითხველთან. წიგნი საყურადღებოა როგორც სპეციალისტების (ეთნოლოგი, ისტორიკოსი, არქეოლოგი), ასევე, საზოგადოების ფართო წრეებისათვის.

მადლიერნი ვართ ყველა იმ ადამიანისა, რომლებიც ზრუნავდნენ ეგნატე გაბლიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლისა და პოპულარიზებისათვის. ამ მხრივ დიდი წვლილი მიუძღვით ქალბატონ ნესტან კირთაძეს, ბატონ ოთარ ჯანელიძეს, ბატონ მიხეილ რეხვიაშვილს, ბატონ როსტომ ჩხეიძეს, ბატონ ლევან ჯიქიას, ბატონ შოთა ჩართოლანს, ქალბატონ რუსუდან დაუშვილს, ბატონ კარლო ქოჩქიანს, ქალბატონ პოლინა თოიძესა და სხვებს.

ბატონი კარლო ქოჩქიანი თავის ერთ-ერთ ბოლო წერილში გულისტკივილით მიმართავდა საზოგადოებას: „ეგნატე გაბლიანის უკვდავსაყოფად ბევრი რამაა გასაკეთებელი და ეს უნდა ითავოს ვინმემ. მართალია, მან თავისი საქმეებით, რაც სამშობლოსაგან სიცოცხლეში არ დაუფასდა, თავისი სახელი უკვდავყო, მაგრამ ჩვენ ეს არ გვათავისუფლებს მის მიმართ დიდი ყურადღებისაგან“. ვწუხვართ, რომ ბატონი კარლო ვერ მოესწრო ამ გამოცემას.

„არ-დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა“ – ეგნატე გაბლიანის მოწამებრივი ცხოვრების გზა ზეციური საქართველოში გრძელდება. მისი წიგნები კი კვლავ გავრცელდება აწ უკვე თავისუფალ საქართველოში და შეასრულებს თავის ეროვნულ მისიას.

ეგნატე გაბლიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ასპექტები

ეგნატე გაბლიანი (1881–1937 წწ.)

მრავალფეროვანია ეგნატე გაბლიანის ეროვნული ღვაწლი და მეცნიერული მემკვიდრეობა, მას მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეიტანილი ქართული კულტურიის განვითარებაში. ის გახლდათ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, სვანეთის მასშტაბური ანტიბოლშევიკური აჯანყებების (1921-1924 წწ.) ერთ-ერთი ხელმძღვანელი; ეგნატეს სახელს უკავშირდება სვანეთის სიძველეთა მოძიებისა და დაცვის ისტორია: ის არის ზემო სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დამფუძნებელი და სულისჩამდგმელი, შემკრები სამუზეუმო კოლექციებისა (ქრისტიანული სიწმიდეები, ხელნაწერები, დგამ-ავეჯი, საბრძოლო და შრომითი იარაღები, სხვადასხვა ინვენტარი...). ეგნატეს ცხოვრების მნიშვნელოვანი ფურცელია მისი მონაწილეობა ლენხერის საავტომობილო გზის გაყვანაში, მის გარჯას უკავშირდება სამეგრელოსთან მაკავშირებელი ხიდის გადება და სხვ.

ეგნატე გაბლიანი 1881 წელს დაიბადა გიორგი (გუტა) გაბლიანის ოჯახში, მულახის თემის სოფელ ზარდლაშში.

ეგნატე სწავლობდა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. მან მრავალმხრივი და

ფუნდამენტური განათლება მიიღო. გახლდათ სანკტ-პეტერბურგის აკადემიის კორესპოდენტი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ეგნატე მუშაობდა სხვადასხვა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე: მეფის რუსეთის პერიოდშიც, საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროსაც და საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც. ყოველ თანამდებობას ის იყენებდა სვანეთის განვითარებისა და წინსვლისათვის.

ამავე დროს, ეგნატე აქტიურად თანმშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან და მკითხველს აცნობდა სვანეთის ეთნოგრაფიას, არსებულ პრობლემებს, სიახლეებს.

ეგნატე იყო ერთ-ერთი მასპინძელი სვანეთით დაინტერესებული მეცნიერებისა და მოგზაურებისა. თუკი ამ წლების უცხოელ მოგზაურთა წერილებში ობიექტურად არის აღწერილი სვანეთში შექმნილი დიდი ქართული ტრადიციული კულტურის ესა თუ ის ელემენტი, წარმოჩენილია სვანეთის მოსახლეობის სწრაფვა რუსეთის იმპერიისაგან გათავისუფლებისა-კენ, ეს უთუოდ ეგნატე გაბლიანისა და სხვა ადგილობრივ მოღვაწეთა (მამა გიორგი მარგიანი, დეკანოზი იოანე მარგიანი, თავადი ლევან დადეშქელიანი, თავადი თათარყან დადეშქელიანი) დამსახურების შედეგია.

ეგნატეს განუზომელი წვლილი მიუძღვის ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის პირველი მეოთხედის სვანეთში მეწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრისა და იდეალების ფორმირებაში.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში ეგნატე გაბლიანი დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა, ცდილობდა სვანეთის ცხოვრების მოწესრიგებას ძველი ქართული სამართლის ამოქმედებით, რომელიც ყველაზე ცოცხლად სვანეთშია შემონახული ჩვეულებითი სამართლის სახით[1].

საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ (1921 წ.) ეგნატე გაბლიანის ცხოვრებაში უმძიმესი პერიოდი დადგა. ეგნატემ დაიწყო დაუცხრომელი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ცნობილია, რომ სვანეთის საზოგადოება არ ეპუებოდა

[1] ეგნატე გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, ტფ., 1927.

ბოლშევიკურ ოკუპაციას. 1921 წელს სვანეთი კარგა ხანს უმკლავდებოდა რუსებს. საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლმა სვანებმა ლენხერის გზაზე (მდინარე ენგურის ხეობა) „წითლების“ დიდი რაზმი განაიარაღეს. სვანეთის წინააღმდეგობის ამბავი ფართოდ გავრცელდა მთელ საქართველოში და საზღვარგარეთაც: სვანეთის მოსახლეობის მძაფრი წინააღმდეგობის ისტორია აისახა საქართველოს პატრიარქის მემორანდუმშიც (გენუის კონფერენცია)[2].

ეგნატე აქტიურად მონაწილეობდა 1924 წლის აჯანყებაშიც.

ბოლშევიკური ოკუპაციის პირველ ეტაპზე ეგნატე გაბლიანი ცოცხალი გადარჩა, რადგან იმ დროს დამპყრობელს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ფეხი მტკიცედ მოკიდებული სვანეთში, ეგნატე კი გამორჩეულად უყვარდა მთელ სვანეთს და ხელისუფლებამ მისი შემორიგება არჩია, თუმცა კი ზარდლაშში სახლი აუფეთქეს და კარ-მიდამო გადაუწვეს.

1930-იანი წლების მეორე ნახევარში ეგნატე მესტიის რაიკომში მუშაობდა. ამ წლებში მან ბევრი სასიკეთო სიახლე დანერგა ზემო სვანეთში: მისი ინიციატივითა და მონაწილეობით გაყვანილ იქნა ზუგდიდი-მესტიის პირველი სამანქანო გზა, რაშიც მას მხარში ედგა მიშა პირველი. გაიდო სამეგრელოსთან მაკავშირებელი ხიდი მდინარე მაგანაზე და სხვ.

ეგნატე გაბლიანი მუხლჩაუხრელად იღვწოდა ქართული ეროვნული საგანძურის მოძიების, თავმოყრისა და გადარჩენისა-თვის. მან საფუძველი ჩაუყარა მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს[3] (იგი დღეს ეროვნული მუზეუმის ნაწილია და ჰქვია „სვანეთის მუზეუმი“), აქ დაუნჯებული უნიკალური საგანძურით. „ამ მუზეუმის ისტორია 1936 წლიდან იწყება. მისი შექმნის აუცილებლობის საკითხის დაყენება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და შესწავლის მიზნით ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების ფუძემდებლთა და ადგილობრივ მოღვაწეთა სახელს უკავშირდება. სეტის წმიდა გიორგის

---

[2]ოთარ ჯანელიძე, ბოლშევიკური ოკუპაციის წინააღმდეგ სვანეთის განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან, – კრ., სვანეთი – ქართული კულტურის სავანე, გამომცემლობა „ხვამლი“, თბ., 2008.

[3] ციალა ჩართოლანი, სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, „ხელოვნება“, თბ., 1986.გვ., 2.

სახელობის ეკლესიაში დაცული სიძველეების ბაზაზე შექმნილი მუზეუმის დირექტორი ეგნატე გაბლიანი გახდა. მისი ხელმძღვანელობით მუზეუმში სხვადასხვა გზით შემოსული ნივთების საშუალებით კოლექცია ნელ-ნელა მდიდრდებოდა“[4].



დეკანოზი იოანე მარგიანი და ეგნატე გაბლიანი

[4] სვანეთის მუზეუმი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, „სეზანი“,თბ., 2014.

ეგნატე გაბლიანი ინჟინერებთან ერთად

სეტის წმ. გიორგის ეკლესია.

წყარო: fb.com/svanetitravelguide

სვანეთის მუზეუმი

ეგნატე გაბლიანმა მოიპოვა არქეოლოგიური გათხრების ჩატარების უფლება, დაზვერვითი სამუშაოები შეასრულა ჩუბეხევის, ლახამულისა და ჭუბერის ტერიტორიებზე[5].

ამავე წლებში დაიწერა და გამოქვეყნდა ეგნატე გაბლიანის სამი მონოგრაფია.

საგულისხმოა ერთი უცნაური, მაგრამ დიდებული ისტორია: ეგნატეს უახლოესი მეგობარი ბოლშევიკი სილიბისტრო ნავერიანი (1890-1937) გახლდათ. განსხვავებული და დაპირისპირებული იდოლოგიის ეგნატესა და სილიბისტრო, წესით, სამკვდრო-სასიცოცხლოდ უნდა გადჰკიდებოდნენ ერთმანეთს, ნაცვლად ამისა მათმა მეგობრობა ყველა სიძნელეს გაუძლო. ის ურყევი აღმოჩნდა: საქართველოს თავისუფლების მოტრფიალე ეგნატე და ბოლშევიკი სილიბისტრო ერთად შრომობდნენ სვანეთის განვითარებისათვის. სილიბისტრო მუდამ ცდილობდა ეგნატეს დაცვას, საბოლოოდ კი ისიც დააპატიმრეს და დახვრიტეს.

სიცოცხლის ბოლო წელს ეგნატე მესტიის მუზეუმს ედგა სათავეში.

რამდენიმეგზის რეპრესირებული ეგნატე (ის დაპატიმრებული იყო 1922 და 1924–1926 წლებში) ხელახლა დააპატიმრეს და

[5] ჟურნალი ,,დროშა“, 1930 წლის № 18 გვ. 13-14; და №-19 გვ. 12-13.

დახვრიტეს 1937 წელს. რეპრესიების მთელი სიმძიმე იწვნია ეგნატე გაბლიანის ოჯახმაც. საბჭოთა ხელისუფლებამ დააპატიმრა და ხანგრძლივად გადაასახლა ეგნატე გაბლიანის მეუღლე, ცნობილი პედაგოგი ვერა თევზაძე. მამის დახვრეტიდან ორი წლისთავზე გარდაიცვალა ეგნატე გაბლიანის ქალიშვილი ეთერი.

სილიბისტრო ნავერიანი

ვერა თევზაძე და ეგნატე გაბლიანი

ეთერ გაბლიანი

გივი გაბლიანი

ეგნატეს მეორე შვილის გივი გაბლიანის (1915-2001 წწ.) ცხოვრების გზა საქართველოს უახლესი ისტორიის განუყოფელი ნაწილია. გივი იყო პროფესიით ექიმი იყო. ის ვერ ურიგდებოდა ბოლშევიკურ რეჟიმს და ცდილობდა საქართველოს გათავისუფლებას. სწორედ ამ მიზნით, გივი, მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩაბარდა გერმანულ მხარეს და დაუკავშირდა ქართულ ემიგრაციას, ჩამოყალიბდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურად[6].

ცნობილია, რომ გივი გაბლიანმა ომის წლებში დაღუპვას გადაარჩინა მრავალი ქართველი და ებრაელი ტყვე. ომის შემდეგ გივი ამერიკის მოქალაქე გახდა, თანამშრომლობდა ემიგრაციულ გამოცემებთან. გივი გაბლიანის წვლილი ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ცალკე განხილვის თემაა. სასიხარულოა, რომ ქართულ ენაზე გამოიცა მისი მოგონებები,

[6] რუსუდან დაუშვილი, https://www.kvirispalitra.ge/history/8295-givi-gabliani-moghalate-thu-gmiri.html?add=1&start=8

რითაც გივის სახელი ფართო საზოგადოებისათვის გახდა ცნობილი[7].

ეგნატესა და გივის სახელებს სასოებით ინახავდა სვანეთის საზოგადოება. სვანეთს მთელი საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში ახსოვდა ორივე მათგანი. ეგნატე რომ დახვრეტილი იყო, იცოდნენ, გივის დაბრუნების იმედი კი მუდამ ჰქონდათ. გივის სახელი ერთგვარ ლეგენდად იქცა, მასზე საუბრობდნენ ჩუმად, მაგრამ დიდი სიამაყით.

გივი გაბლიანი

გივი გაბლიანი სიცოცხლის ბოლო წუთამდე ფიქრით და ღვაწლით საქართველოსთან იყო დაკავშირებული. იგი საქართველოს ხელახალ გათავისუფლებას მოესწრო და მასთან ამერიკის შეერთებულ შტატებში სტუმრად ჩასულ ახლო ნათესავს, ცნობილი მთამსვლელის, ილია გაბლიანის შვილს, ქალბატონ

[7] გივი გაბლიანი, ჩემი მოგონებანი, თბილისი, 1998.

ციური გაბლიანს დაწვრილებით ესაუბრა საქართველოსა და მშობლიური სვანეთის ყოფის ყოველი ნიუანსის შესახებ.

ილია გაბლიანი

ბატონი ივერი ჭელიძის დამსახურებით გაირკვა, რომ თბილისში შემონახულია ქანდაკება, რომელიც მოქანდაკე შოთა მიქატაძემ (1905-1979 წწ.) გივი გაბლიანის სახისა და აღნაგობის მიხედვით გამოძერწა 1939 წელს. ეს ქანდაკება ცნობილია სახელით „ალპინისტი“ და ამკობს კინოთეატრ „რუსთაველს“. ცნობილია, რომ კინოთეატრის მშენებლობა დამთავრდა 1939 წელს (არქიტექტორი ნ. სევეროვი). შენობას ვ. თოფურიძის ნამუშევრებიც ამშვენებს. „ამ ფიგურების შექმნის დროს ავტორთა წინაშე ფიზიკურად სრულყოფილი, ჰარმონიული და ძლიერი აგებულების ადამიანთა გადმოცემის ამოცანა იდგა“, – წერს ხელოვნებათმცოდნე ლელა შანიძე[8]. როგორც გივი გაბლიანის

[8]ლელა შანიძე, ქართული საბჭოთა ქანდაკება, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხლოვნების ისტორიის ინსტიტუტი, „მეცნიერება“, თბ., 1975. გვ., 22.

თანმედროვე ტფილისელები იხსენებენ, გივი, მართლაც გამორჩეული გარეგნობისა ყოფილა. გასაკვირია, რომ ეს ქანდაკება გდაურჩა რეპრესიების მსახვრალ ხელს, როგორც ჩანს, ხელისუფლებისათვის უცნობი დარჩა მენატურის ვინაობა.

შ. მიქატაძის სკულპტურა
„ალპინისტის ქანდაკება“ –„კინო რუსთაველი“

ეგნატე გაბლიანი ყოველ დროში ფხიზლად ადევნებდა თვალს ერის მაჯისცემას: ყოველ პრობლემას ეროვნული თვალთახედვით სჭვრეტდა და მუდამ უპირისპირდებოდა ანტიქართულ პროცესებს, თვით სახელმწიფო მოხელედ მუშაობის დროსაც კი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ეგნატე გაბლიანის დიდი წვლილი სვანეთის სკოლებში ქართული ენის სწავლების შენარჩუნების საქმეში. ის ამხელდა რუსეთის იმპერიული დაკვეთით შესრულებულ და სვანეთისათვის თავსმოხვეულ სამეცნიერო „თეორიებს“ სვანებისა და სვანური კილოების არაქართული წარმომავლობისა შესახებ[9].

ცნობილია, რომ რუსეთის იმპერიის მესვეურებმა რამდენჯერმე სცადეს საქართველოს ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარიდან (სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი) ქართული ენის განდევნა, რაც მიზნად ისახავდა ამ მხარეებში მცხოვრებ ქართველთა შორის ქართული ეროვნული იდენტობის გაქრობას. რუსიფიკატორული საგანმანათლებლო პოლიტიკა ხორციელდებოდა მთელი ოკუპაციის პერიოდის განმავლობაში. დამპყრობლის მხრიდან დაგეგმილი ყოველი ამგვარი ქმედება ქართველი საზოგადოების ბუნებრივ წინააღმდეგობას აწყდებოდა და ამ საქმეში მნიშვნელოვან როლს სვანეთისა და სამეგრელოს მოსახლეობა ასრულებდა.

ეგნატე გაბლიანი, სხვა ადგილობრივ მოღვაწეთა მხარდამხარ (დეკანოზი ბესარიონ ნიჟარაძე, დეკანოზი იოანე მარგიანი, თავადი ლევან დადეშქელიანი, თავადი ქაიხოსრო გელოვანი და სხვ.,), ცდილობდა სვანეთის საგანმანათლებლო სივრცეში დედაენის (ქართულის) სწავლების აღდგენასა და შენარჩუნებას. ეგნატე ეხმაურებოდა ამ თემატიკას პერიოდული გამოცემების ფურცლებზე.

მკითხველს შეუძლია გაეცნოს ეგნატე გაბლიანის შრომებს, რომლებშიც ღრმა მეცნიერული არგუმენტაციით არის დასაბუთებული სვანური კილოების ქართულობა და გაკრიტიკებულია რუსეთის იმპერიის მიერ გამოგზავნილი

---

[9] როზეტა გუჯეჯიანი, ეგნატე გაბლიანი, – ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1-2, თბ., „საქართველოს საპატრიარქო“, 2011.

სახელმწიფო მოხელეებისა და მკვლევარ-მოგზაურების (ბართლომეი, უსლარი, ტეპცოვი, სტოიანოვი...) არამეცნიერული დებულებები. რამდენიმე ამონარიდი ეგნატე გაბლიანის წერილებიდან: „მრავალი მეცნიერული საბუთი ნათლად ღაღადებს სვანებისა და დანარჩენ მის მოძმე ქართველ ტომების ერთიანობაზე და ნათესაობაზე. მაგრამ... ამ საკითხზე დღემდე გრძელდება ბუნდოვანი აზრების გამოთქმა და ფაქტების დამახინჯება იმ პირების მიერ, რომლებსაც საქართველოს წარსულზე თითქმის არაფერი გაეგებოდათ და იგი... გამარუსებელი პოლიტიკის ნაკარნახევათ უნდა ჩაითვალოს“. „ამჟამათ თამამად შეიძლება ითქვას, რომ სვანური... უნდა წარმოადგენდეს უძველესი ქართული ენის ნაშთს და დღესაც მის ერთ შტოთ უნდა ჩაითვალოს“, „ის კი თამამად შეიძლება ითქვას, რომ სვანურში... ბევრი ისეთი სიტყვები შემონახულა, რომლებიც ქართულ ლიტერატურაში ერთ დროს ხმარებაში ყოფილან, მაგრამ შემდეგში მას ეს სიტყვები დაუკარგავს და მარტო სვანურს შერჩენია დღემდე“[10]. სვანეთის საზოგადოების პროტესტს, რომელიც მოჰყვა ხელისუფლების მხრიდან სკოლებში მხოლოდ რუსული ენის დამკვიდრების ცდას, ეგნატე შემდეგნაირად აღწერს: „სვანებმა ერთი ალიაქოთი მოახდინეს, „არ გვინდა ჩვენ რუსული პრაშნი-პრუშნიო“, ჩვენ მამა-პაპურად და ძველებურად გვინდა ვიცხოვროთო“[11]. ეგნატე გაბლიანი აქვეყნებს ლექსიკონსაც, რომელშიც საერთოქართული ლექსიკური ერთეულებია დაფიქსირებული[12]. რასაკვირველია, დღევანდელი ლინგვისტიკის გადმოსახედიდან ეგნატე გაბლიანისეული მსჯელობა ამა თუ იმ სიტყვის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით, ერთგვარად გულუბრყვილოდაც მოჩანს, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია მისი სულისკვეთება – გამოავლინოს სვანურის ქართულობა და სვანის ეროვნული (ქართული) იდენტობის საყრდენად დედაენის - სამწიგნობრო ქართულის – არსებობა.

ეგნატე გაბლიანის უმთავრესი მეცნიერული კვლევები საქართველოს ეთნოლოგიის შესწავლისაკენ იყო მიმართული. ის

---

[10] ეგნატე გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, ტფ., 1925.

[11] ეგნატე გაბლიანი, ზემო სვანეთი, – გაზ. „ივერია“, 16 აპრილი, #82, 1903 წ.

[12] ეგნატე გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, ტფ., 1925.

ქართული ეთნოლოგიური სკოლის პირველი თაობის წარმომადგენელია. პრესაში გაბნეულ მის წერილებში აღწერილია სვანეთის ყოფისა და კულტურის ესა თუ ის ელემენტი. მოთხრობილია კონკრეტული ფაქტები, მიმდინარე ამბები, წამოჭრილია საჭირბოროტო პრობლემები. განსაკუთრებული მნიშვნელობისა კი ეგნატეს ორი სამეცნიერო მონოგრაფია: 1925 წელს გამოცემული „ძველი და ახალი სვანეთი“ და 1927 წელს დაბეჭდილი „თავისუფალი სვანეთი“. 1930 წელს გამოქვეყნდა მცირე ფორმატის წიგნი „ჯიხვი სვანეთის მთებში“. ეს მონოგრაფიები დღემდე ძვირფას წყაროდ რჩება სვანეთის წარსულით, ყოფითა და კულტურით დაინტერესებული მკვლევარებისათვის. რასაკვირველია, სამეცნიერო ნაშრომებს ეტყობა ცენზურის მძიმე კვალი, მაგრამ სტრიქონებს შორის იძულებით ჩაწერილი ხელოვნური ფრაზების მიღმა მოჩანს ავტორის უდიდესი ერუდიცია და მეცნიერული ანალიზის უნარი. ეგნატე გაბლიანის კვლევის თეორიული ამოსავალი და მეთოდოლოგია მომდინარეობდა იმ დროს მთელ მსოფლიოში გაბატონებული ისტორიულ-შედარებითი სკოლის გამოცდილებიდან, რაც მკვლევარს ზოგჯერ არსებული სამეცნიერო დოგმების ტყვედ აქცევს, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კი ეთოგრაფიული მასალა სანდოა და ძვირფასი წყაროა ტრადიციული ყოფისა და კულტურის რეკონსტრუირებისათვის.

ეგნატეს მონოგრაფიებში წარმოდგენილია სვანეთის ისტორიის საკვანძო პრობლემები, განხილულია საისტორიო წყაროები და არქეოლოგიური არტეფაქტები. წარმოჩენილია სვანეთის როლი საქართველოს ისტორიაში. შესწავლილია შემდეგი მნიშვნელოვანი თემები: სვანეთის ისტორია, სვანეთის მატერიალური კულტურის ძეგლები, სვანეთის ეთნოგრაფია. მეტად საყურადღებოა ეგნატეს მიერ შეკრებილი მასალა სვანეთის საეკლესიო საგანძურის (ეკლესიების, ჯვარ-ხატების, წარწერების), საეკლესიო დღეობებისა და რიტუალების, სვანეთის ჩვეულებითი სამართლის (ქალთა ქონებრივი უფლებების, ქორწინების, განქორწინების, სამედიატორო სასამართლოს), სვანების საოჯახო ყოფის და სხვა ეთნოგრაფიული თემების შესახებ. მეცნიერს შესწავლილი აქვს სვანური ფოლკლორი: ლეგენდები, გადმოცემები, არაკები, ზღაპრები, ლექსები, ფერხულები. ეგნატე

გაბლიანი მასალის შეკრებასთან ერთად, ახდენს ინფორმაციის დაჯგუფებას, ანალიზს, გვაწვდის არგუმენტირებულ დასკვნებს. ზოგიერთი ეთნოგრაფიული ფაქტი მხოლოდ ეგნატე გაბლიანის წიგნებით შემოგვენახა, რადგან ის თავად იყო მასალის შემკრები და ამა თუ იმ კონკრეტული ამბის, სამართლებრივი დავის, რიტუალის მონაწილე, ზოგჯერ ორგანიზატორიც. ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ ეგნატე გაბლიანის მონოგრაფიები არ არის მხოლოდ წმინდა ეთნოგრაფიული კვლევები. მეცნიერი ყოველ საკითხს განიხილავს კომპლექსურად, ისტორიულ-არქეოლოგიურ და ლინგვისტურ მონაცემთა საფუძველზე. მონაცემებს აანალიზებს ისტორიული განვითარების დინამიკის კონტექსტში. ამიტომ ეგნატე გაბლიანი უნდა მივიჩნიოთ ისტორიული ეთნოლოგიის ერთ-ერთ ჩამომყალიბებლად საქართველოში.

ეგნატეს დახვრეტის შემდეგ აიკრძალა მისი წიგნებიც. წიგნების დიდი ნაწილი გაანადგურეს. ბიბლიოთეკებში არსებული ეგზემპლარები კი საიდუმლო ფონდებს გადასცეს. გავიდა ათწლეულები, ვიდრე მკითხველებს ამ წიგნების თავიდან გაცნობის შესაძლებლობა მიეცემოდათ. სწორედ ამ მიზეზით აიხსნება ის გარემოება, რომ ადრეული პერიოდის ქართველი საბჭოთა ეთნოგრაფები არ იმოწმებენ და არ იხსენიებენ ეგნატე გაბლიანის მეცნიერულ მემკვიდრეობას.

ბუნებრივია, რომ ეგნატე გაბლიანის მრავალმხრივი მოღვაწეობა, მისი ნაშრომ-ნააზრევის არაერთი ასპექტი კიდევ დიდხანს იქნება მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლების კვლევისა და ანალიზის საგანი.

ეგნატე გაბლიანის სახელის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებას სასურველად მიაჩნია, მესტიაში არსებულ სვანეთის მუზეუმს ეწოდოს მისი დამაარსებლისა და კოლექციების დიდი ნაწილის შემკრების, არქეოგრაფი და ეთნოლოგის ეგნატე გაბლიანის სახელი.

ლევან ჯიქია

ეგნატე გაბლიანი და 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება სვანეთში

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია და ანექსია განახორციელა. საქართველოში 1921 წლიდანვე სტარტს იღებს ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობა, რომელიც მალევე შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა. აჯანყების პირველ კერას სვანეთი წარმოადგენდა. სვანეთის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება 1921 წლის 28 ოქტომბრიდან 1922 წლის მაისამდე მიმდინარეობდა. ამ პერიოდის განმავლობაში სვანეთში საბჭოთა ხელისუფლება პრაქტიკულად არ არსებობდა. თუმცა, ლოკალურობის გამო სვანეთის აჯანყება მარცხით დამთავრდა.

1922 წლის აგვისტოში საქართველოს წამყვანმა ხუთმა პოლიტიკურმა პარტიამ საფუძველი ჩაუყარა ინტერპარტიულ ორგანოს „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს“ („დამკომს“), რომლის მიზანი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა იყო. დამკომი სვანეთს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, სადაც ანტისაბჭოთა მუხტი მუდმივად არსებობდა[13].

საბჭოთა ხელისუფლება ინფორმატორების მეშვეობით მუდმივად ღებულობდა ინფორმაციას ამა თუ იმ რეგიონში და მათ შორის სვანეთში არსებული პოლიტიკური განწყობის შესახებ. მიღებული ინფორმაციებიდან ირკვეოდა, რომ სვანეთში განსაკუთრებული გავლენით სარგებლობდა პოლიტიკური დაჯგუფება, რომელშიც ნესტორ გარდაფხაძე (ეროვნულ-დემოკრატი, ყოფილი პოლკოვნიკი), ბიძინა პირველი (ეროვნულ-დემოკრატი 1922 წლიდან, სტუდენტი, უცოლშვილო), ეგნატე გაბლიანი (სოციალისტ-ფედერალისტი 1915 წლიდან, მეფის დროს სვანეთში მამასახლისად მუშაობდა) და ილარიონ მარგველიანი (ეროვნულ-დემოკრატი, ნესტორ გარდაფხაძის მარჯვენა ხელი,

[13] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (I), ფონდი 6, საქმე 24333, ფურცელი 119.

შეძლებული გლეხი) შედიოდნენ. როგორც ინფორმატორი იტყობინებოდა, ზემოთ ჩამოთვლილი პირები ზემო სვანეთში თავისუფლად მოძრაობდნენ. მათ ადგილობრივი ხელისუფლების არანაირი შიში არ ჰქონდათ და ხშირად სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის შენობაშიც კი თავისუფლად შედიოდნენ.

1924 წლის 14 მაისს დამკომმა სვანეთში აჯანყების მოსამზადებელი სამუშაოებისათვის რწმუნებულები გაგზავნა. ცენტრიდან გაგზავნილი პირები ნესტორ გარდაფხაძეს, ოთარ დადიანსა და სხვებს შეხვდნენ[14].

1924 წლის აჯანყების დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე სვანეთში სამხედრო ორგანიზაცია ჩამოყალიბდა, რომელშიც შედიოდნენ: ბიძინა პირველი, ეგნატე გაბლიანი, თენგიზ დადეშქელიანი და ბესარიონ ხერგიანი. ორგანიზაციაში მთავარ როლს ბიძინა პირველი და ეგნატე გაბლიანი ასრულებდნენ. ორგანიზაციის დანარჩენ წევრებს დამკომთან უშუალო კავშირი არ ჰქონდათ[15].

1924 წლის ივლისში ბიძინა პირველი თბილისში ჩამოვიდა. ბიძინა პირველს ეროვნულ-დემოკრატი ელისე პატარიძე შეხვდა და აუწყა, რომ მისი ნახვა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს იასონ ჯავახიშვილს სურდა[16]. იასონ ჯავახიშვილი ბიძინა პირველს საქართველოსა და მსოფლიოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე ესაუბრა და აუწყა, რომ ევროპის სახელმწიფოები მზად იყვნენ საქართველოსათვის დახმარება გაეწიათ, თუ საქართველოში ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება დაიწყებოდა. ჯავახიშვილმა პირველს სთხოვა სვანეთში და ლეჩხუმში აჯანყებისათვის პირადად ეხელმძღვანელა, რაზეც პირველმა თანხმობა განაცხადა. ჯავახიშვილი პირველს შეჰპირდა, რომ აჯანყების თარიღს მოგვიანებით შეატყობინებდა[17].

---

[14] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (I), ფონდი 6, საქმე 24333, ფურცელი 92.

[15]საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალდებო დასკვნა). თბილისი, 1925, გვ. 111-112.

[16] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 28, ფურცლები 23-29.

[17] საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალდებო დასკვნა). თბილისი, 1925, გვ. 111.

ამის შემდეგ ბიძინა პირველი საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარეს კონსტანტინე (კოტე) ანდრონიკაშვილს შეხვდა. ანდრონიკაშვილსაც ბიძინა პირველთან ანალოგიური შინაარსის საუბარი ჰქონდა[18]. ამის შემდეგ ბიძინა პირველი სვანეთში დაბრუნდა და ეგნატე გაბლიანს დამოუკიდებლობის კომიტეტთან წარმოებული მოლაპარაკების შინაარსი გააცნო[19].

1924 წლის 26 აგვისტოს ეგნატე გაბლიანმა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისაგან შემდეგი შინაარსის წერილი მიიღო: „სვანეთის ორგანიზაციას. საჩქაროდ გაცნობებთ, რომ გამოსვლა მთელ საქართველოში დაიწყება შუაღამისას 28-29 აგვისტოს. დარწმუნებული იყავით, რომ ქართველი ხალხი და ჯარი ჩვენს მხარეზე არიან. ჩვენ დახმარებას გვიწევს აგრეთვე ევროპა. ამიტომ წინადადებას გაძლევთ დანიშნულ დღეს მოაწყოთ შეიარაღებული ამბოხება სვანეთში და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ლიკვიდაციის შემდეგ დაიძრათ ლეჩხუმისა და ქუთაისისაკენ, ვინაიდან ლეჩხუმის ორგანიზაცია სისუსტეს იჩენს და საჭიროა მას დახმარება გაეწიოს!“[20] წერილს ხელს კონსტანტინე ანდრონიკაშვილი აწერდა[21]. ეგნატე გაბლიანმა აღნიშნული წერილი, ვინმე ხებლიანის მეშვეობით, ბიძინა პირველს გაუგზავნა[22]. დამკომისგან ანალოგიური შინაარსის წერილი პირადად ბიძინა პირველმაც მიიღო[23].

27 აგვისტოს ბიძინა პირველი და ეგნატე გაბლიანი ერთმანეთს სოფელ ლატალში შეხვდნენ[24]. იმავე დღეს პირველმა და გაბლიანმა

---

[18] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 28, ფურცელი 31.

[19]საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალდებო დასკვნა). თბილისი, 1925, გვ. 111.

[20] საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალდებო დასკვნა). თბილისი, 1925, გვ. 111.

[21] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 28, ფურცელი 15.

[22] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 28, ფურცელი 39.

[23] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 28, ფურცელი 24.

[24] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 28, ფურცელი 10.

ცხენებით მულახის, მესტიის, ლატალის, ცხუმარის, ბეჩოსა და ეცერის საზოგადოების სოფლები შემოიარეს და ამ სოფლების მცხოვრებლებს გამოუცხადეს, რომ ვისაც კი იარაღი ჰქონდა 28 აგვისტოს, საღამოს, ბალის მთაზე, სოფელ ბეჩოს მახლობლად გამოცხადებულიყვნენ.

28 აგვისტოს, საღამოს, დამკომმა ბიძინა პირველს და ეგნატე გაბლიანს კიდევ ერთი წერილი გაუგზავნა. დამკომის ხელმძღვანელები მათ სათანადო დირექტივებს აძლევდნენ[25].

28 აგვისტოს, ღამით, შეთანხმებისამებრ, ბალის მთაზე 150 სვანი შეიკრიბა[26]. შეკრებილებს ბიძინა პირველმა და ეგნატე გაბლიანმა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისაგან გამოგზავნილი წერილები წაუკითხეს და აუწყეს, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება უნდა დაწყებულიყო. ამის შემდეგ ბიძინა პირველმა და ეგნატე გაბლიანმა შეკრებილები სამ 50 კაციან რაზმად დაჰყვეს. ერთ-ერთ რაზმს სათავეში ბიძინა პირველი და ეგნატე გაბლიანი ჩაუდგნენ, დანარჩენ ორს – ძმები კონსტანტინე (კოწია) და მოსესტრო დადეშქელიანები[27]. ძმები დადეშქელიანები აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად პირადად ბიძინა პირველმა მიიწვია. 28-29 აგვისტოს, ღამის 2 საათზე, აჯანყებული სვანები ზემო სვანეთის ადმინისტრაციულ ცენტრს სოფელ ბეჩოს თავს დაესხნენ. აჯანყებულებმა ადგილობრივ საბჭოთა ხელისუფლებას მოსთხოვეს მთელი სახაზინო ქონება და იარაღი მათთვის გადაებარებინათ, რადგან, მათი თქმით, მთელი საქართველოს მასშტაბით ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება დაიწყო და ძალაუფლება პატრიოტულმა ძალებმა აიღეს ხელში. ადგილობრივმა საბჭოთა ხელისუფლებამ აჯანყებულთა წინადადება უარყო. ორმხრივი სროლები დაიწყო. ხელისუფლების შეიარაღებულმა ძალებმა აჯანყებულებთა შტურმს ვერ გაუძლეს, იარაღი დაყარეს და აჯანყებულებს ტყვედ ჩაბარდნენ. ტყვედ

---

[25] საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალდებო დასკვნა). თბილისი, 1925, გვ. 112.

[26] საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 285, აღწერა 1, საქმე 1062, ფურცლები 5-6.

[27] საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალდებო დასკვნა). თბილისი, 1925, გვ. 112.

ჩავარდნილთა შორის იყვნენ: ანდრო ამაშუკელი (ზემო სვანეთის მაზრის მილიციის უფროსი), შალვა (შალიკო) ამილახვარი (ზემო სვანეთის მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწე), ბესარიონ (ბესო) ამაშუკელი (სოფ. ბეჩოს მილიციის უფროსი), გრიგოლ (გრიშა) კარანაძე, შალვა (შალიკო) ნიკურაძე (მესტიის რაიონული მილიციის უფროსი), პარმენ ნოდია (სახალხო მოსამართლე) და სხვები, სულ 35 კაცი. აჯანყებულებმა ისინი განაიარაღეს და გაათავისუფლეს[28].

29 აგვისტოს, დილით, სოფელ ბეჩოს დაკავების შემდეგ აჯანყებულებმა მიტინგი ჩაატარეს. მიტინგზე სიტყვით ყოფილი თავადი თენგიზ დადეშქელიანი გამოვიდა, რომელმაც ხალხს საბჭოთა წყობილების დამხობის მიზნით გაერთიანებისაკენ მოუწოდა. თენგიზ დადეშქელიანის თქმით, 29 აგვისტოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლას, საქართველოსთან ერთად, სომხეთი და თითქმის მთელი რუსეთი დაიწყებდა და არა უმეტეს ერთი კვირისა საბჭოთა წყობილება ყველგან დაემხობოდა. ანალოგიურად ილაპარაკა ეგნატე გაბლიანმაც. ამის შემდეგ აჯანყებულთა რიცხვმა ათასს მიაღწია[29]. ბიძინა პირველმა და ეგნატე გაბლიანმა ხალხს აუხსნეს, რომ შესაძლებელი იყო აჯანყების დამარცხება, ამიტომ, მათი თქმით, ვისაც არ ჰქონდა აჯანყებაში მონაწილეობის სურვილი, შეეძლო არ ჩაბმულიყო მასში. ხალხმა ერთხმად განაცხადა, რომ მათ წინასწარ ჰქონდათ ყველაფერი აწონილ-დაწონილი და მზად იყვნენ აჯანყებაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად[30]. ამის შემდეგ ბიძინა პირველმა ზემო და ქვემო სვანეთის რაზმების შტაბი შექმნა. რაზმების მეთაურობა თავის თავზე ბიძინა პირველმა აიღო. შტაბის უფროსად ეგნატე გაბლიანი დაინიშნა, სვანეთის ცენტრის რწმუნებულად _ ექიმი ილია კობალაძე, შტაბის მდივნად _ კაპიტონ ჭიჭინაძე. შტაბში მნიშვნელოვან ფუნქციებს პავლე კობეშავიძე

[28]საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 285, აღწერა 1, საქმე 1069, ფურცლები 7-8.

[29] საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 285, აღწერა 1, საქმე 829, ფურცელი 37.

[30] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ფურცელი 24-25.

(მესტიის აღმასრულებელი კომიტეტის საქმის მწარმოებელი, ყოფილი ოფიცერი) ასრულებდა[31].

სოფელ ბეჩოს დაკავების შემდეგ აჯანყებულთა მხარეზე ნებაყოფლობით გადავიდნენ: ადგილობრივი რაიონული მილიციის უფროსი, ყოფილი ოფიცერი კაპიტონ ჭიჭინაძე, სადაზღვევო სალაროს რწმუნებული გიორგი ბერულოვი, მეანე ქალი სოფიო პავლეს ასული ახალაძე, მილიციელები: იასონ ლაგოშვილი, დილიმონ გერგასლიდი, ზაქარია სამადაშვილი და დავით გორდაძე.

31 აგვისტოს სვანეთიდან ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე, უღელტეხილ უსენგის (მდებარეობს ამ ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე) გავლით აჯანყებულების მიერ გათავისუფლებული მილიციელები გადავიდნენ, რომელთა შორის იყვნენ: სამაზრო მილიციის უფროსის თანაშემწე შალვა ამილახვარი, სახალხო მოსამართლე პარმენ ნოდია, სამაზრო გამომძიებელი კუგუნალო და სხვ. ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელობამ ენერგიული ზომები მიიღო სვანეთ-ბალყარეთის საზღვრის გასამაგრებლად, რათა ბალყარელებს აჯანყებული სვანებისათვის მხარი არ დაეჭირათ. თუმცა ბალყარელებს სვანეთში მიმდინარე მოვლენებისადმი დაინტერესება არ გამოუმჟღავნებიათ. ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელობას განსაკუთრებით ბელიმის საზოგადოებაში მომუშავე სვანების ეშინოდა (ბელიმი ბალყარეთის ერთ-ერთ რაიონს წარმოადგენდა), რომელთა რიცხვი 200 აჭარბებდა. მაგრამ ყაბარდო-ბალყარეთში სრული სიმშვიდე იყო[32].

29 აგვისტოს ზემო სვანეთის თხუთმეტივე საზოგადოებას ბიძინა პირველისა და ეგნატე გაბლიანის მიერ ხელმოწერილი ბრძანება დაეგზავნა. ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ ყველა სვანი 20-დან 40 წლამდე, ვისაც თოფი გააჩნდა, მიმდინარე წლის 2 სექტემბერს უნდა გამოცხადებულიყო სოფელ კალაში საკუთარი იარაღითა და ორი დღის სამყოფი სურსათით. სოფელ კალაში

---

[31] საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალდებო დასკვნა). თბილისი, 1925, გვ. 112.

[32] საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 285, აღწერა 1, საქმე 829, ფურცელი 37.

შეკრების შემდეგ აჯანყებულები ქვემო სვანეთში გადასვლას გეგმავდნენ. 2 სექტემბერს სოფელ კალაში 120 შეიარაღებული სვანი შეიკრიბა. 3 სექტემბერს აჯანყებულები სოფელ ჩოლურში შევიდნენ, სადაც ძალაუფლება უკვე აეღო ხელში აჯანყებულ გრიგოლ კვასტიანს. ბიძინა პირველის რაზმს შეუერთდნენ გრიგოლ კვასტიანი, სოფელ ლაშხეთის აჯანყებულთა მეთაური მალაქია ონიანი და ასევე სოფელ ლენტეხის აჯანყებულთა მეთაური. მათ განკარგულებაში 50 შეიარაღებული და 150 უიარაღო სვანი იყო[33].

4 სექტემბერს ქვემო სვანეთიდან აჯანყებულებმა ლეჩხუმის მაზრის მიმართულებით წასვლა გადაწყვიტეს. აქ მათ ჩასაფრებულმა კომუნარებმა სროლა აუტეხეს. კომუნარებმა აჯანყებულთა იერიშებს ვერ გაუძლეს და რამდენიმე მათგანი ტყვედ ჩავარდა, დანარჩენები კი ცაგერის მიმართულებით გაიქცნენ. აჯანყებულები გაქცეულებს დაედევნენ. ბიძინა პირველი და ეგნატე გაბლიანი თავიანთი რაზმებით ცაგერში შეიჭრნენ და საპყრობილე აიღეს[34].

ცაგერში მყოფმა ბიძინა პირველმა და ეგნატე გაბლიანმა საბჭოთა ხელისუფლების მიერ აჯანყების მთელი საქართველოს მასშტაბით ჩახშობის შესახებ შეიტყვეს. ამიტომ მათ ცაგერს ალყა შემოარტყეს და ყველა სტრატეგიული ადგილი დაიკავეს. ცაგერში აჯანყებულ სვანებსა და რუსეთის წითელი არმიის ნაწილებს შორის შეტაკება მოხდა. აჯანყებულები ბრძოლის გაგრძელების უპერსპექტივობაში დარწმუნდნენ და ქვემო სვანეთში დაბრუნდნენ. სადაც რუსეთის წითელი არმიის ნაწილებმა აჯანყებულებზე იერიში მიიტანეს, თუმცა უშედეგოდ. აჯანყებულებმა რამდენიმე ჯარისკაციც კი შეიპყრეს[35].

11 სექტემბერს ქვემო სვანეთში მყოფ აჯანყებულებს სოფელ ლექსურაში ზემო სვანეთიდან მოსული აჯანყებულებიც შეუერთდნენ, რომელთა შორის იყვნენ სამეგრელოს აჯანყების

---

[33]საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალდებო დასკვნა). თბილისი, 1925, გვ. 112.

[34] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცლები 24-25.

[35]საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცლები 25-26.

მეთაურები, სულ 120 კაცი[36]. სამეგრელოდან გაქცეულმა აჯანყებულებმა ბიძინა პირველს აჯანყების დამარცხების შემდეგ დაწყებული უსასტიკესი რეპრესიების შესახებ აუწყეს. ბიძინა პირველს გაზეთები მოუტანეს, რომლებიც აჯანყების მთელი საქართველოს მასშტაბით დამარცხებას ადასტურებდა. გაზეთში საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ხელმძღვანელების განცხადება იყო მოთავსებული, რომლითაც ისინი აჯანყებულებს წინააღმდეგობის შეწყვეტისაკენ მოუწოდებდნენ. ბიძინა პირველმა აჯანყების ყველა აქტიურ მონაწილეს წერილები დაუგზავნა და ურჩია მათ რუსეთის წითელი არმიის ნაწილებისთვის წინააღმდეგობა არ გაეწიათ. მიუხედავად ამისა, რუსის ჯართან შეტაკება მაინც მოხდა, რომლის დროსაც რუსის 9 ჯარისკაცი დაიღუპა[37]. 14 სექტემბერს ბიძინა პირველმა აჯანყებულები დაითხოვა, თვითონ კი იფარის ტყეს შეაფარა თავი[38].

ზემო სვანეთში შესულმა რუსის ჯარმა რამდენიმე სახლი ააფეთქა, მათ შორის ეგნატე გაბლიანის სახლიც. რუსებმა რამდენიმე სვანი დაიჭირეს, რომლებიც ადგილზევე დახვრიტეს[39]. გარდა ამისა, სვანეთში შესულმა ჯარმა ადგილობრივ მოსახლეობას ცხენები და სხვადასხვა მსხვილფეხა პირუტყვი ჩამოართვა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის 1924 წლის 13 სექტემბრის განკარგულების შესაბამისად, სვანეთის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, პ. დვალი, ბობოხიძესთან, იმედაძესთან და სხვებთან ერთად ცაგერიდან ქვემო სვანეთის მიმართულებით გაემგზავრა. ქვემო სვანეთში პ. დვალმა და მისმა მხლებლებმა აჯანყებულების მიერ თითქმის განადგურებული საბჭოთა აპარატები აღადგინეს. მათ რამდენიმე საეჭვო პირი დააპატიმრეს, რის შემდეგაც გეზი ზემო სვანეთისაკენ აიღეს. პ. დვალის რაზმს

---

[36] საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალდებო დასკვნა). თბილისი, 1925, გვ. 113.

[37] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცელი 27.

[38] საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალდებო დასკვნა). თბილისი, 1925, გვ. 113.

[39] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცელი 14.

ზემო სვანეთში არანაირი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. პ. დვალმა სოფელ ვალაში მისვლისთანავე ტყეებში გახიზნულ მცხოვრებლებს უბრძანა ადგილობრივი სასწავლებლის ეზოში გამოცხადებულიყვნენ. ხალხი დანიშნულ ადგილზე გამოცხადდა. პ. დვალმა მიტინგი ჩაატარა, რომლის შემდეგ ხალხმა იარაღის ჩაბარება დაიწყო. ამის შემდეგ პ. დვალმა აჯანყების რამდენიმე მონაწილე დააპატიმრა. პ. დვალის ინიციატივით საგანგებო სამეული შედგა, რომელსაც სათანადო დირექტივები მიეცა. პ. დვალმა სამეულების დასახმარებლად სოფელ ვალაში კომუნარები დატოვა. პ. დვალმა ზემო სვანეთის დანარჩენი სოფლების განიარაღებაც განახორციელა.

იფარის ტყეში მყოფ ბიძინა პირველს მთავრობამ საგანგებო კომისიის რწმუნებული მიუგზავნა, რომელმაც ის მთავრობასთან შეარიგა[40]. 1 ოქტომბერს ბიძინა პირველი საბჭოთა ხელისუფლებას ნებაყოფლობით ჩაბარდა[41]. თავის მხრივ, ბიძინა პირველმა აჯანყების მონაწილეები მთავრობასთან შეარიგა. საგანგებო კომისიის წარმომადგენელი ტყეში მყოფ ეგნატე გაბლიანთანაც გამოცხადდა და ის საბჭოთა ხელისუფლებასთან შეარიგა[42].

1925 წლის 15 ივლისიდან 3 აგვისტომდე 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეთა სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა. სასამართლომ ბრალდებულები კატეგორიებად დაჰყო. ეგნატე გაბლიანი მეორე კატეგორიაში მოხვდა. ეგნატე გაბლიანი სასამართლომ 16 და 23 ივლისს დაკითხა[43]. სასამართლომ ეგნატე გაბლიანს წაუყენა ბრალი გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61-ე მუხლით[44], რაც გულისხმობდა იმ ორგანიზაციის წევრობას, რომლის მიზანი იყო შეიარაღებული აჯანყების გზით მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დამხობა და უცხო

---

[40] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცელი 19.

[41] საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალდებო დასკვნა). თბილისი, 1925, გვ. 113.

[42] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცლები 14-19.

[43] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 375, ტომი 1, ფურცლები 7-19, 71.

[44] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 773.

სახელმწიფოებთან ან მის წარმომადგენლებთან ურთიერთობა საქართველოში ინტერვენციის განსახორციელებლად[45]. ეგნატე გაბლიანს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა სამი წლით, სასტიკი იზოლაციით. უზენაესმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიის 1925 წლის 7 მარტის დადგენილება და აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დაპატიმრებული რამდენიმე ადამიანი და მათ შორის ეგნატე გაბლიანი სასჯელისაგან გაათავისუფლა.

[45] ს.ს.ს.რ. სისხლის სამართლის კოდექსი. თბილისი, 1924, გვ. 15-16.

მოგონებები ეგნატე გაბლიანის შესახებ

ეგნატე და ვერა გაბლიანები

„ღმერთმა ხომ იცის, რაც მიკეთებია“ – ეს იყო გადასახლებისთვის გამწესებული

ეგნატე გაბლიანის ბოლო სიტყვები. „მამულა, იცოდე ცუდი არაფერი მიკეთებია“ – შესძახა

მისკენ გაწეულ ძმისშვილს, რომელსაც სურდა თბილი თავშალი მოეხურა ნალოლიავები

ბიძისთვის.

დაპატიმრებული ეგნატე ჩასვეს ორკაციან, ღია, პატარა თვითმფრინავში. მან უკანასკნელად მოავლო

თვალი გარემოს. ბოლო წუთებში ცხენი მოაგელვა მისმა შვილმა გივიმ, ძლივს მოასწრო მამის დანახვა.... ალბათ ეს იყო სურათი, რომელიც მამა-შვილს სიცოცხლის ბოლომდე თვალწინ ედგათ.

ეგნატე გაბლიანს უსზღვროდ უყვარდა თავისი კუთხე და იცოდა საკუთარი ხალხის ჭირ-ვარამი, ის მუდამ ეხმარებოდა ქვრივ-ობლებსა და ხელმოკლე ოჯახებს. მისი უშუალო თხოვნით, მაშინდელმა მთავრობამ გადასახადი, რომლის გადახდაც მოსახლეობას უჭირდა შეუცვალა, მათ ასკილის შეგროვებით.

ყველა სოფელი შემოიარა, ბავშვები შეკრიბა და თბილისში „მუშფაკში“ მოაწყო სასწავლებლად, დააბინავა ეგრეთწოდებულ „მთიელთა თავშესაფარში“. ესეც არ იკმარა და თავის ქალიშვილს ეთერს, რომელსაც საყვარელი ბიცოლის პატივსაცემად, „ჯამეთ'“ შეარქვა, დაავალა საღამოობით ბავშვების მონახულება და მათი მდგომარეობის შესახებ მამისათვის ინფორმაციის მიწოდება. ვაჟიშვილ გივის კი, რომელსაც რომელსაც სურდა, რომ მსგავსად მამისა ინჟინერი გამხდარიყო, სთხოვა სამედიცინო ინსტიტუტი დაემთავრებინა, რადგან სვანეთს ექიმი სჭირდებოდა. ასე აჩვევდა შვილებს კუთხისა და ხალხის სიყვარულს.

ის კარგად იცნობდა თავის კუთხეს. თავის დროზე არქეოლოგმა შოთა ჩართოლანმა მიჩვენა 1936 წლის ჟურნალი „დროშა“, რომელშიც ეგნატეს წერილი იყო სვანეთში ჩასატარებელი აუცილებელი არქეოლოგიური გათხრების შესახებ.

რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთმა ბიძამ მკითხა, „თუ იცი რომ მუზეუმში არსებული „ლეჭაშხ ლამტვარაალ“ (ფეხიანი საკვარე) ჩვენი არისო?“. თურმე, როცა ეგნატეს მუზეუმის შექმნა დაუწყია, ნივთების შეგროვებაა საკუთარი სახლიდან შედგომია, რათა სვანებს მისთვის მიეგზავნათ.

ხალხში დიდი სიყვარული და ავტორიტეტი ჰქონდა მოხვეჭილი.

გვარის და არამარტო გვარის, მთელი სოფლის ვაჟკაცები მალულად თუ აშკარად თან დაჰყვებოდნენ, რაიმე გასაჭირს თუ ხიფათს მოულოდნელად რომ არ გადაჰყროდა.

აფასებდა სხვის გონიერებას და ამის აღიარებაც არ ეზარებოდა.

ერთხელ სამუშაოდან მომავალმა სოფლელებმა მაღლობიდან შენიშნეს რომ ეგნატეს კარ-მიდამო იწვოდა, კვამლსა და ბუღში იყო გახვევული (სახლი ააფეთქეს), მაგრამ ეს საცხოვრებელი სახლი არ იყო. მიხვდა ეგნატე რომ რომელიმღაც თანსოფლელმა „ჩაფრებს“ შეგნებულად შეცდომით მიასწავლა მისი არასაცხოვრებელი სახლი. იმასაც მიხვდა, თუ ვინ იყო ეს კაცი. ამ კაცს სოფელი გონიერ კაცად იცნიბდა, გვარად ნავერიანი გახლდათ.

მეორე დღეს, როცა მას გზაში შეხვდა ეგნატე, გაუღიმა და უთხრა: „ეს შენ ხარ გონიერი და მიხვედრილი კაცი ,მივხვდი ამას შენ გააკეთებდი“.

ისე წავიდნენ ამქვეყნიდან მისი თაობის ადამიანები რომ ეგნატეს სახელს ხმამაღლა ვერ ახსენებდნენდა, მაგრამ გულით მის სიყვარულსა და პატივისცემას ატარებდნენ, მონატრებას გულში იკლავდნენ.

დრომ გაამართლა ეგნატე... მაგრამ, ვაგლახ, რომ გვიან, თუმცა მის ნაღვაწმა და ნაშრომმა აღიარება და მზისნათელი ჰპოვა.

საგვარეულოსა და სანათესაოს სახელით მადლიერებას გამოვხატავ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისადმი, რომლის მხარდაჭერითაც წინამდებარე წიგნი გამოიცა.

ციური გაბლიანი

გაბლიანების კოშკი სოფელ ზარდლაშში

!

არიან ადამიანები, მსწრაფლწარმავალი დროის საცეცებს რომ გადაურჩებიან ხოლმე და თავიანთი ნაღვაწ-ნაამაგარით უკვდავებას იხვეჭენ, მათი სახელი ისეთი მყიფე არ აღმოჩნდება ხოლმე, დრომ რომ მტვრად აქციოს ან დავიწყების ბალახით დაფაროს. პირიქით, სწორედ დრო აქცევს მათ მყარ და ფასეულ ღირებულებად.. საბედნიეროდ,საქართველო ამგვარ ადამიანთა სიმცირეს არ უჩივის, უამრავ ადამიანს დავასახელებთ, თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით გამორჩეულს, ღირსეულს, სახელოვანს, პატივმისაგებს, ჩვენი თაყვანისცემის ღირსს...

მე ბედნიერი ვარ,რომ ამგვარ გამორჩეულ ადამიანთა რიგებში ვიგულვებ ჩემს დიდსა და სახელოვან წინაპარს, სვანეთის უდიდეს მწესა და ქომაგს, ამაგდარსა და დამაშვრალს მისთვის – ეგნატე გაბლიანს, რომელსაც ეძღვნება ეს წიგნი.

სერვანტესი ამბობდა: ,,ისტორია ჩვენი საქმეების საგანძურია, წარსულის მოწმეა, მაგალითი და სწავლებაა აწმყოსათვის, სიფრთხილეა მომავლისათვისო“.

თუ ისტორიის სამზერიდან გადავხედავთ ეგნატე გაბლიანის მოღვაწეობას, ნათელი გახდება, მისი ნამოღვაწარიდან რამდენი რამ დარჩა დღემდე ღირებული, წარუვალი და დაუძველებელი... რამდენი რამ უკეთებია პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის კურსდამთავრებულს, კალმით უბრძოლია (ბრძოლის ჟინი, უნარი და ძალა სჭირდებოდა სწორედ იმდროინდელ პრესაში სვანეთის საჭირბოროტო საკითხების გაშუქებას და მავანთა ყურადღების მიპყრობას სვანეთის პრობლემებისადმი), მკვლევარის გულმოდგინებით უკვლევია სვანეთის ყოფა, ფოლკლორისტის ენთუზიაზმით უგროვებია სვანური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ორგანიზაციული ნიჭიც გამოუვლენია სვანეთის ეთნოგრაფიულ-ისტორიული მუზეუმის დაარსებისა და პირველი დირექტორობის ჟამს, ზუგდიდი-მესტიის საავტომობილო გზისა და მესტიის აეროპორტის დაარსების ინიციატორიც ყოფილა.. ადვილი წარმოსადგენია, რა დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა ამ მრავალმხრივ, არცთუ იოლ საქმიანობას, მით უმეტეს, თუ იმასაც დავამატებთ, რომ ეგნატე გაბლიანი აქტიური და თვალსაჩინო

მოღვაწე იყო 1921-1924 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, ერთ-ერთი ლიდერი 1924 წლის სვანეთის აჯანყებისა, მონაწილე 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მომზადებისა...

არ დარჩენილა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ეროვნული საქმე იმ ეპოქაში, ეგნატე გაბლიანის მონაწილეობის გარეშე რომ ჩაევლო... წერდა, იკვლევდა,ეძებდა, აგროვებდა, აქვეყნებდა, ამზადებდა, აარსებდა, მონაწილეობდა, იწყებდა, ამთავრებდა... „სიტყვა საქმიანი“ ჰქონდა და ,,საქმე სიტყვიანი“, შიგადაშიგ იჭერდნენ ჩეკისტები, სჯიდნენ, თავისუფლებას უზღუდავდნენ... ის კი მაინც აგრძელებდა – წერდა, იკვლევდა, იბრძოდა, იქმოდა, თავისუფალ, განათლებულ, ზნემაღალ ქვეყანას ეტრფოდა და ყველაფერს აკეთებდა ამისთვის...

1937 წელს კი შეეწირა კიდეც ამას – დახვრიტეს... თუმცა ვერც ფიზიკურმა სიკვდილმა, ვერც მისი არყოფნის რვა ათეულმა წელმა ვერაფერი დააკლო მის სახელს და, ალბათ, კიდევ დიდხანს ვერ დააკლებს, სანამ მის დანატოვარს თქვენნაირი გულშემატკივარი ეყოლება, მის ღვაწლს – დამფასებელი და მის საქმეებს – პატივის მიმგები... ვამაყობ არა მარტო მისი დანატოვარით, არამედ იმითაც, რომ საქართველომ დღეს იცის თავისი დიდი შვილების ფასი, რისი დასტურიცაა ეს წიგნი.

ელენე გაბლიანი

ეგნატე გაბლიანის მეცნიერული მემკვიდრეობა



ეგნ. გაგლიანი

ძველი და ახალი სვანეთი

ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამოცემლობა

ტფილისი — 1925

ავტორისაგან

დიდი ხანია, რაც სვანეთზე საყურადღებო შრომა არ დაწერილა და თანამედროვე ჩვენი ხალხის უმრავლესობას არავითარი წარმოდგენა არა აქვს ამ ქვეყნის ყოფა-ცხოვრებაზე, მისი გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, ისტორიის, კულტურა-ეკონომიკის და ენის შესახებ. მართალია სვნაეთი სხვა და სხვა დროს მოგზაურების მიერ არის გაკვრით აღწერილი, მაგრამ არც ერთ მათგანს არ ქონია საშუალება საფუძვლიანად შეესწავლა სვანეთის ცხოვრება, რომ მის სიღრმეში ჩაეხედა, იქიდან სინამდვილე ამოეღო და ამიტომაც სვანეთის შესახებ ჩვენ გვაქვს უსწორო არევ-დარეული, ზერელე ცნობები, ხოლო სვანეთის მთელი ისტორია გაშუქებული არ არის. ისტორიული ცნობები ამ ქვეყნის ვითარებისა, სხვა და სხვა ცხოვრების მოვლენებისა და მსვლელობის შესახებ ძალიან ნაკლებად მოიპოვება, ხოლო ის სუსტი, მაგრამ ღირსაღსანიშნავი ისტორიული წყაროები, რომლებიც, საკუთრი მწერლობის უქონლობის გაამო, სვანების მეხსიერებაში შენახულან ხალხური სიმღერებისა და ზეპირ გადმოცემების სახით – დღესაც სხვადასხვანაირად დამახინჯებულათ გვესმის ყველა საზოგადოებებში და, დარწმუნებული ვარ, სულ ახლო მომავალში ისინი სრულიად მიეცემიან მივიწყებას და გაქრებიან სვანეთის ცხოვრებიდან. ამნაირად შეიძლება გვეფიქრა, რომ ეს კუთხე დარჩებოდა სრულიად შეუსწავლელი. და ამიტომაც მე მიზნად დავისახე, რამდენადაც შემეძლო, სვანეთის ზოგიერთ მკვლევართა მიერ დამახინჯებულ ცნობებში შესწორებები შემეტანა, შევხებოდი ყოველმხრივათ ამ ქვეყნის აღწერა-გამოკვლევას, სვანეთში არსებულ სხვა და სხვა, ამ წიგნში მოთავსებულ, ადგილობრივ წყაროების დამუშავებას, რათა ამ ჩემი შრომით მკითხველისათვის მომეცა საშუალება სვანეთს გაცნობოდა, ხოლო თანამედროვე მეცნიერებისათვის ის მიმეწვდინა მასალად სვანეთის მეცნიერეულად შესწავლა-გამოკვლევისათვის და მის ჩვენ დრომდე გამქრალ ისტორიის შესადგენათ. უბრალო გლეხის ოჯახში აღზრდამ, მუდმივად სვანეთში ცხოვრებამ, მე საშუალება მომცა მისი ყოფა-ცხოვრება და ზნე-ჩვეულებები შემესწავლა, ლენინგრადის სამეცნიერო აკადემიის რამოდენიმე წლის თანამშრომლობამ და მის დავალებით სვანეთის შესწავლა-

გამოკვლევამ, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების სურვილმა ჩამორჩენილ ქვეყნის ცხოვრების გაშუქებისა მე ხელი შემიწყო დიდი ხნიდგან ჩემ გულში ჩანერგილ სვანეთის ცხოვრების შესწავლისათვის მემუშავნა და დამეწერა ეს წიგნი. იმედი მაქვს, ეს ჩემი შრომა მკითხველ საზოგადოებას სვანეთს საფუძვლიანად გააცნობს და ამ ქვეყნის უფრო ფართო სახით მეცნიერულად შესწავლა-გამოკვლევას ხელს შეუწყობს.

დასასრულ უღრმეს მადლობას ვუძღვნი საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს იმ ყურადღებისა და დახმარებისათვის, რომელიც მან აღმომიჩინა ამ წიგნის გამოცემაში და აგრეთვე ამხ. თედო ღლონტს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ამ წიგნის გამოცემას და გამიწია ყოველგვარი კულტურული დახმარება ამ საქმის განხორციელებაში.

ავტორი.
1928 წ. მარტი.
ქ. ტფილისი

სვანეთის მოკლე გეოგრაფია

კავკასიის მრისხანე უმთავრესი ქედის სამხრეთ აღმოსავლეთის მიყრუებულ მთის კალთებში, მუდმივი თოვლითა და მყინვარებით დაფარულ და გარშემორტყმულ ენგურისა და ცენის წყლის სათავეებში, გარეგნულად კავკასიის შვეიცარიად და არწივის კუთხეთ ცნობილ ქვეყანაში, უძველეს დროიდან სცხოვრობენ იაფეტური მოდგმის, ქართველ ხალხის მესამე შტოს ხალხი, რომლებსაც **სვანები** ქვიან, ხოლო მათ სამკვიდრებელ ქვეყანას სვანეთი.

თვით სახელი სვანეთისა **„სავანე“** (შესახიზნი) თავისთავად ახასიათებს ამ ქვეყანას. ხოლო სიტყვა **სვანი** საქართველოს სხვა კუთხეებში ჩამორჩენილობის, ხასიათის სიმტკიცისა, ჟინიანობისა, შურის-ძიებისა ანუ სისხლის აღების თანატოლ სიტყვათაა მიღებული. მიწა-წყალი; რომელიც უჭირავთ სვანებს ამჟამად, სიგრძით 160 ვერსზე მეტია, სიგანით კი 28 ვერსამდე.

სვანეთი, როგორც ზემოთ ვთქვით, გადასერილია ენგურითა და ცენის წყლით და იმ მდინარეებით, რომლებიც ამ ორ მთავარ წყალს ერთვის. მას გარშემო ყოველ მხრიდან არტყია მაღალი და ციცაბო მთები, რომელთა მწვერვალებს მუდმივი თოვლი და მყინვარები ამკობენ, ხოლო მათ ძირებში მრავალნაირი ყვავილოვანი საბალახო მთებია გადაშლილი, მათ მისდევს დაბურული გაუვალი ტყეები. ამ ტყეთა შორის ალაგ-ალაგ აგებული და გაშენებულია მაღალი ორსართულიანი ციხე-კოშკებიანი სახლები – ესაა სვანეთის სოფლები.

საზღაპროა ამ ხალხის თავგადასავალი და ყოფა-ცხოვრება. მომხიბლავია და მდიდარი სვანეთის ბუნება. ადგილმდებარეობის წყალობით სვანეთი მოწყვეტილია მთელ ქვეყნიერებას განსაკუთრებით იმ 7-8 თვის განმავლობაში, როცა სვანეთში მიმავალი საცალფეხო გზები თოვლისაგან შეკრულია. ამ ხნის განმავლობაში მიმოსვლა მთების მწვერვალებზე მხოლოთ თხილამურების საშუალებით შეიძლება, მაგრამ ყოველწლიურათ მრავალი სვანი ხდება ამ მოგზაურობის მსხვერპლი.

ზემო სვანეთის საზღვრებს შეადგენენ: სამხრეთით სვანეთის ქედი, რომელსაც შორიდან მნახველნი შეცდომით მის უკან ჩრდილოეთით აღმართულ უმთავრეს კავკასიის ქედად თვლიან.

სვანეთის ქედი იწყება უშგულის აღმოსავლეთით ყორილდაშის მთის ძირიდგან და მდებარეობს ენგურისა და ცენის წყლის მდინარეთა შორის, მათი სათავედან სამეგრელომდე. სვანეთის ქედი ანუ სამხრეთის საზღვარი, სხვათა შორის, შემდეგი მთებისაგან შედგება: ჰარეტ-ზაგარ, დადიაშ, ლანქორ, ატკვერი, გორვაში, ლატფარი, მუშური, ღური, ლასილი, მექფაში, წიილდ, ღვადარაში, ლაჰლა, ლეშნილ, ლეშნური, ხელედურა, უჩახარხი, ნატახდაშ, თხეიშის დუდი, ურულაპი და ტყაბედნიერი.

სვანეთის ჩრდილოეთის საზღვარია მთები წურუნგალ, აილამა, ნამყვამ, შხარი, ჯინგითაუ, კაშტანთაუ, თვეთნულდ, გისტოლა, ქელბაშ, ლალვორ, წანერ, სალსვანდაშ, ტიხტენგენ, ტვიბერ-ზაგარ, ბაშლათანაღ, ლაცგა, გუმაჩი, ბაშკარა, ბჟედუხ, დალაყორ, შხელდი, უშბა, ბეჩოსთანაღ, კოგუტომაში, ჭიბერ, დონგუზ-ორუნ და სხვა მთები, რომელთა იქეთ გადაღმა ფერდობებში ანუ ხეობებში სვანების ჩრდილოეთის მეზობლები ყარაჩლები, ჩერქეზლები, ბახსანლები, ჩეგემლები, ეპწანლები, მალყარლები ცხოვრობენ.

აღმოსავლეთით სვანეთის საზღვარია: შარივცეკი, ფასის მთა ლაფურ), ვაცის წვერი, ნეშკა, მთა ზესხვა, გვანდარა, მოგვაშირხა, ხარხარა, ხოლო დასავლეთით: შავალერა, თენგიზი ნაკრავალ, ზიდა, არეშუა, ჯუღვა-ზაგარ, კალამრა სვიკვი, ეხოდჟალ, ერგზაშირა და მდ. ეცი, რომელიც ერთვის ენგურს ჩრდილოეთიდგან მარჯვნით 15 ვერსის მანძილზე ს. ჯვარიდგან.

ლატფარის უზარმაზარი უღელტეხილი ანუ მასზედ მიკრული ზემოხსენებული სვანეთის ქედი ორ ნაწილად ყოფს სვანეთს: ზემო (ანუ ენგურის ხევი) და ქვემო ანუ ეგრედწოდებულ სადადიანო (ცენის წყლის ხეობა) სვანეთად.

ზემო სვანეთი შესდგება 15 საზოგადოებისაგან: უშგულ, კაალ, იფაარ, მულახ, მესტია, ლენჯაარ, ლატლი, ბეჩვი, ეცერ, ცხუმარ, ფარ, ჩუბეხევ, ჭვიბერ, ლენხერა და ლახამული.

ბალის ქედით (ლატალის დასავლეთით) სვანეთი განიყოფება ორად: თავისუფალ და ყოფილ სადადეშქელიანო სვანეთად. თავისუფალი სვანეთი შესდგება პირველი შვიდი საზოგადოებისაგან. ასეთი სახელი ამ კუთხეს დაერქვა იმიტომ, რომ უძველეს დროიდგან რუსეთთან შეერთებამდე მან ბრძოლით მოიპოვა და შეინარჩუნა დამოუკიდებლობა. ეს თავისუფლებისათვის თავდადებული ხალხი ვერ დაიმორჩილა ვერც ერთმა ამ კუთხის ბატონ–პატრონმა და იგი თავისებურ კანონებით დამუკიდებელ ცხოვრებას ეწეოდა. სადადეშქელიანო სვანეთი შესდგება დანარჩენ 6 საზოგადოებისაგან და ასეთი სახელი ამ მხარეს იმიტომ დაერქვა, რომ მე-15-ე საუკ. ის დაიმორჩილეს თ-დ დადეშქელიანებმა, რომელთა მძიმე მონობის უღელი სულ უკანასკნელ დრომდე სასტიკად სჩაგრავდა სვანებს.

მდინარე ენგური, რომლის ხეობაში მდებარეობს ეს კუთხე, იწყება თავისუფალ სვანეთის პირველი საზოგადოების უშგულის აღმოსავლეთით 5-6 ვერსის მანძილზე შხარის მყინვარებიდან, მიმდინარეობს აღმოსავლეთიდგან დასავლეთისკენ და აქ გზა და გზა მას ერთვის სხვა მდინარეები.

უშგულის საზოგადოება შესდგება ოთხი სოფლისაგან: ჟაბიანი, ჩვაბიანი, ჩაჟაშ და მურყმელი.

ეს საზოგადოება ღარიბია ტყითა და მოსავალიც ქერის მეტი არაფერი მოდის. უშგულის დასავლეთით რვა ვერსის მანძილზე, ენგურის მარჯვენა ნაპირას მდებარეობს კალის საზოგადოება,

რომელიც შესდგება შემდეგი სოფლებისაგან: დავბერ, ლალხორ, იფრარ, აგრალ, ხალდე, ხე და ვიჩნაში. ეს საზოგადოება სვანეთის თითქმის ყველა სოფლებზე ღარიბია. აქ არის უუძველესი, უმდიდრესი და სვანების შეხედულებით ყველაზე ძლიერი წმ. კვირიკეს ტაძარი.

სოფელ ლალხორთან მას ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდგან ერთვის ხალდეშის დიდ მყინვარებიდან მომდინარე ,,ხალდეშის ჭალა“ [1]), რომლის ვიწრო ხეობაშიც არის მოთავსებული 1876 წლის ამბოხებით და თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში გმირობის გამოჩენით ისტორიაში კარგად ცნობილი ს. ხალდე.

კალის დასავლეთით, 12 ვერსის მანძილზე, იწყება იფარის საზოგადოება, რომელიც შესდგება შემდეგი სოფლებისაგან: ნაკიფარი (5,800 ფუტი ზღვიდან), ზეგანი, ბოგრეში, ადიში, წვირმი, ელი და აცი... პირველი ორი მდებარეობს ენგურის მარცხენა ნაპირზე, ხოლო დანარჩენები მის მარჯვენა ნაპირზე. ს. ბოგრეშში მას ერთვის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდგან, თვეთნულდის სამრეთ-აღმოსავლეთით მდებარე, ადიშის დიდ მყინვარებიდან მომდინარე ჰადიშის ,,ჭალა“, რომლის ხეობაშიც, იფარიდგან 10-11 ვერსის მანძილზე, მდებარეობს ს. ადიში.

იფარის ჩრდილოეთით მდებარეობს ერთი მაღლობი, რომელსაც ჰქვია ,,უღვირ-ზაგარ“. ის არის აღმოსავლეთით მიბმული თვეთნულდის სამხრეთ დასავლეთის კედელზე და მიდის ლატალამდე, სადაც სოფელ ლახუშტში თავდება, და ჰყოფს იფარის საზოგადოებას და მდინარე ენგურს მულახისა, მესტიისა და ლენჯერის საზოგადოებებიდგან.

ამ ქედს გადაღმა მშვენიერ ,,თვეთნულდის“ მთის ჩრდილო აღმოსავლეთის კალთებიდგან იწყება წანერის მყინვარებიდან მოჩუხჩუხე მდინარე მულხა ,,ჭალაის“ ხეობაში გაშენებული მულახის საზოგადოება. მდ. წანერს ჩრდილოეთიდგან ს. ჟაბეშთან ერთვის ტვიბერის მყინვარებიდგან მომდინარე წყალი და ესენი ერთათ მიექანებიან დასავლეისაკენ და ყოფენ მულახის საზოგადოებას ორად: ,,მულახ-მუჟალად“. **მუჟალი** ჰქვია აღმოსავლეთის ნაწილს, **მულახი** დასავლეთის. პირველი მდებარეობს ამ მდინარის მარცხენა ნაპირზე – მეორე მარჯვენა ნაპირზე.

მულახის დასავლეთით მდებარეობს ერთი მაღლობი **კახურ-ზაგარი**. ეს მაღლობი ჰყოფს მულახისა და მესტიის საზოგადოებებს და მის დასავლეთით იწყება მდინარე მესტია ,,ჭალაის“ ხეობაში მოთავსებული, გარეგნული შეხედულებით ლამაზი მესტიის საზოგადოება, რომელიც შესდგება შემდეგი სოფლებისაგან: ლაღამ, მარგიანალ, ლანჩვალ, ლაგვნიაშ, სეტი და ლეხთაგ.

ამ მდინარეს მესტიის შუაგულ სოფელ სეტთან ერთვის ზემოხსენებული მულხა ,,ჭალაი“. ამ ორ შეერთებულ მდინარეთა მარჯვენა ნაპირზე, მესტიიდან სამი ვერსის მანძილზე იწყება ლენჯერის საზოგადოება, რომელიც შესდგება შემდეგი სოფლებისაგან: ნესგულ, ლაშთხვერ, ლემსია, ქაშვეთ, კაერ, ხეშკილდ და სოლ-ისაგან.

ლენჯერის დასავლეთით 5 ვერსის მანძილზე, ამავე ხეობაში მდებარეობს თავისუფალი სვანეთის უკანასკნელი საზოგადოება **ლატალი,** – ეს საზოგადოება განთქმულია თავისუფლებისმოყვარეობით. იგი მუდამ მედგრად იცავდა თავისუფალი სვანეთის დასავლეთის საზღვრებს ბატონების შემოსვლისაგან და ამიტომაც დარქმევია ლატალი, რაც ნიშნავს დარაჯს.

აქ სოფელ კვანჭიანართან, მესტიაში თავმოყრილ მესტია-მულახის ,,ჭალებს“ უერთდება იფარის საზოგადოებიდგან უდაბურ, მიუვალ ღრე-კლდეებში და დაბურულ ტყეებით მომდინარე ენგური, რომელსაც ლატალის აღმოსავლეთით 5 ვერსის მანძილზე სამხრეთიდგან ერთვის ოთხი პატარა მდინარე წიილდრა, ლახვშტულდრა, მუბრა და ხაჩვრასაგან შემდგარი ,,ჰერაში ჭალაი“. ამ მდინარეთა შორის, შესართავთან აღმოსავლეთით ერთი ვერსის მანძილზე, მდებარეობს ს. ლახუშტი. დანარჩენი სოფლები: კვანჭიანარ, ლამ, ენაშ, მაცხვარიშ, შყალერ, ნამყვამ, ლეშუკვ, სიდიანარ და იფხი, გაშენებულია ენგურის მარჯვენა ნაპირზე, ხოლო ს. ლაჰილი და სგობულდი კი მარცხენა ნაპირზე. ამ სოფლის დასავლეთით, ერთი ვერსის მანძილზე, სამხრეთიდან ლაჰილის მყინვარებიდან მომდინარე ლაჰლა ,,ჭალა“ უერთდება ენგურს.

ლატალის დასავლეთით მდებარეობს მაღლობი **ბალი,** რომელიც, როგორც ზევით არის ნათქვამი, ჰყოფს ზემო სვანეთს ორად: თავისუფალ და სადადეშქელიანო სვანეთათ. ეს არის

თავისუფალ სვანეთის დასავლეთი საზღვარი. ამ მთის დასავლეთით მდებარეობს ბეჩოს ,,ჭალას“ ხეობაში მოთავსებული ყოფილი სადადეშქელიანო სვანეთის პირველი საზოგადოება ბეჩო (4.700 ფ. ზღვის დონიდან), რომელსაც ჩრდილოეთიდან ამშვენებს კავკასიის უმთავრეს უღელტეხილზე აღმართული, ორთავიანი, ლამაზი მთა უშბა (17.000 ფუტი ზღვის დონიდან). მას შეადგენენ შემდეგი სოფლები: მაზერ, გულ, ბაგვდანარ, ლაშთქოლ, ტვებიში, ჭოხულდ, დოლი, უშხვანარი, ჭკიდიანარი და ქართვანი. სოფ. ქართვანთან სამხრეთით, ერთი ვერსის მანძილზე ბეჩოს ჭალას ერთვის ენგური, რომელიც ჰყოფს ბეჩოს საზოგადოებიდან დასავლეთით რვა ვერსის მანძილზე მდებარე ეცერის საზოგადოებას ორად: ცხუმარ-ეცერ. პირველი მდებარეობს ენგურის მარცხენა ნაპირზე და შესდგება სოფ. სვიფ, ტვიბერ, ლეზგარა, მაგარდელ, ლაბსყალდ, გვალდერ და ღვებალდისაგან.

ეცერი იყო დადეშქელიანების გვარეულობის უმთავრესი ბუდე. ის მოთავსებულია ენგურის მარჯვენა ნაპირზე და შესდგება შემდეგი სოფლებისაგან: კალაში, ლაშხრაში, ლადრერი, ლანტელი, ისკარი, ცალანარ, ფხოტრერი, უღვალდი, ქურაში, ბარში და ჭელირი. აქ არის მშვენიერი ძველი ტაძარი, ვახუშტის თქმით, ,,სახიზარი სვეტის ცხოვლის სამკაულ საუნჯისა“.

ეცერის დასავლეთით, სამი ვერსის მანძილზე, ენგურის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს ფარის საზოგადოება, სადაც ცხოვრობდა ქუთაისის გუბერნატორის გაგარინის მკვლელი კონსტანტინე (მურზაყან) დადეშქელიანი, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

ეს საზოგადოება არის შემდგარი: სოფ. ფარ, სვიფ, კაცხ, ლამხერი, ზაგარ, ჟაბე ლუჰა, ჩვაბე ლუჰა, ლაყვრი, ფალედ, ხოსვრარ და ღეშტერისაგან. აქ არის მშვენიერი და საეკლესიო ნივთებით მდიდარი სუფის წმინდა გიორგის ეკლესია.

ფარის დასავლეთით რვა ვერსის მანძილზე მდებარეობს ენგურის მარჯვენა ნაპირზე ჩუბეხევის საზოგადოება, რომლის მკვიდრნი განიყოფებიან ორ სხვადასხვა მოდგმათ – **ლახამულები** და **ჩუბეხეველები.** პირველნი მოსახლეობენ ენგურის მარჯვენა ნაპირზე ს. ლახამულიდან დაწყებული სოფ. თოთანამდე; სვანები ამ შტოს ებრაელების შთამომავლობის ხალხად თვლიან.

ჩუბეხეველები მოსახლეობენ: ლახამულების ჩრდილოეთით უფრო მთა-გორიან ადგილებში, დაწყებული სოფ. კინჩხულდაშიდგან იმ ჩუბერამდე, რომელზედაც ჩვენ ქვემოდ გვექნება ლაპარაკი, როგორც ძვირფასსა და იშვიათ არქეოლოგიურ კუთხეზე, სადაც ერთ დროს ოქროსა, ვერცხლისა და სხვა მადნეულობების დასამუშავებელი ქარხნები არსებობენ. ძველ დროში ლახამულები ცხოვრობდენ მარტო ს. ლახამულაში. ჩუბეხევლები სოფ. თავრარში, ცალერში, ლაშხრაშში და კინჩხულდაშში. ამ ცოტა ხნის წინეთ ორივემ იწყეს დასავლეთისაკენ წაწევა. ლახამულები გაჰყვნენ ენგურის ნაპირებს და მის ხეობაში დააარსეს შემდეგი სოფლები: ნოდაში, ლახამულიდგან ორი სამი ვერსის მანძილზე; მის დასავლეთით რამოდენიმე ვერსის მანძილზე მდ. ნაკრას და ენგურის შესართავის ჩრდილოეთის ნაპირზე ს. შდუხირი. აქედგან ოთხი ვერსის მანძილზე სოფ. დუზი. სამხრეთ აღმოსავლეთით აქ ენგურს ერთვის მდ. ხუმფრერი, რომლის დასაწყისთან არის სოფ. უსკვირი, ხოლო მარჯვენა ნაპირზე ს. ყვანა. დუზიდგან შვიდი ვერსის მანძილზე მდებარეობს სოფელი გუნწიში, ხოლო მას დასავლეთით ორი ვერსის სიშორით ენგურის მარცხენა ნაპირზე სოფ. იფარი, სადაც აქ არსებულ ნიშნების მიხედვით ძველ დროში მილების დასამუშავებელი ქარხანა არსებობდა. ამ სოფლის დასავლეთით არის სოფ. ჯორკვალი, მერე ს. ჭერი. მის დასავლეთით, იმ ადგილას, სადაც ენგურს ჩრდილოეთიდგანერთვის მდ. ნენსკრა (ჭვიბრულდ), არის სოფ. ტობარი. აქედან სამი ვერსის მანძილზე მდებარეობს სოფ. ხაიში, სადაც სამხრეთ-აღმოსავლეთიდგან ენგურს ერთვის მდ. ხაიშდურა ანუ ვედის ,,ჭალა“, რომლის ხეობაში არის მოთავსებული სოფ. ვედი. ხაიშის დასავლეთით არიან სოფლები: ლალხორალ, ციცხვარი, ნარქოლვარ და ისთოთანა, სადაც თავდება სვანების მოსახლეობა და იწყება სამეგრელო.

როგორც არის უკვე ნათქვამი, ლახამულის ჩრდილოეთით მდებარეობს ჩუბეხევი, რომელსაც შეადგენენ: სოფ. სოფ. კიჩხულდაში ანუ ჟიბარ, ჩუბარ, ცალერი, თავრარი და ლაშხრაში. ლაშხრაშის დასავლეთით დონგუზ-ორუნის მყინვარებიდან ჩამოდის მდ. ნაკრა, რომლის ხეობაში მდებარეობს სოფ. ნაკი; ამ სოფლის დასავლეთით მდებარე საბალახო მთის უთვირის გადაღმა იწება მდ. ჭვიბრულდის (ნენსკრას) ხეობაში მოთავსებული,

ზემოხსენებული ნაშთებით ცნობილი **ჭვიბერი**, რომელსაც დიდი ისტორიული წარსული აქვს [2]).

1) აქე უნდა ავღნიშნოთ, რომ სვანეთში ,,ჭალა“ საერთოთ მდინარის სახელია.

2) დაწვრილებით ამის შესახებ ლაპარაკი იქნება ამ წიგნის იმ თავში, სადაც სვანეთის ძველი კულტურა და ეკონომიური მდგომარეობა არის აღწერილი.

სვანების უძველესი ისტორია და ბინადრობა

მეცნიერებას თითქმის დღემდე ვერ მიუგნია ნამდვილი საბუთებისათვის იმის გასაშუქებლად, თუ სად ჰქონდათ ძველად სვანებს ბინადრობა და როდის დამკვიდრდა ეს ხალხი დღევანდელ სვანეთში.

ამის შესახებ ჩვენ უყოყმანოდ შეგვიძლია აღვიაროთ მხოლოდ ის, რომ სვანები, როგორც **იაფეტური** მოდგმის და ქართველების საერთო ოჯახის ერთ წევრთაგანი, უხსოვარ დროიდან – დაახლოებით მე-7 ს. ქრისტეს დაბადებამდე, მის მომმე ხალხებს შორის უნდა ყოფილიყვნენ დამკვიდრებული: ქალდეაში, შუამდინარეში (მესოპოტამია), ე. ი. ტიგრ-ევფრატის ვაკეებში და შემდეგ ვანის ტბისა და არარატის მთის ახლო-მახლო მდებარე ადგილებში ანუ ურართუს სახელმწიფოში.

აზიაში ქართველების ისტორიული ჩარხის უკუღმა დატრიალების გამო (მე-7 საუკ.) სვანები დაშორდნენ დანარჩენ ქართველებს, ჩრდილოეთით კიმმერლებისა, სკვითებისა და სხვ. ველური ხალხების შემოსევის წყალობით. ამის გამო ამიერკავკასიაში შემოსვლა **პირველად სვანებს** მოუხდათ.

იაფეტური მოდგმის ხალხი, როგორც ისტორიულ წყაროებიდან ჩანს, სემიტური მოდგმის ხალხმა გამოდევნა 2.000 წლ. წინათ ქრისტეს დაბადებამდე და მათი სამფლობელო ქვეყანა ბაბილონელებმა დაიჭირეს, ხოლო ქართველები ამის შემდეგ ,,შუამდინარეში“ მოთავსდნენ [3]).

ამ დროს სვანებს, რა თქმა უნდა, ამგვარივე ბედი ეწეოდა ვინაიდან სვანები მე-17 საუკ. ქრისტეს დაბადებამდე, დანარჩენ ქართველებთან განუყრელი უნდა ყოფილიყვნენ ჭირში და ლხინში და ამ ხანამდე ერთი ისტორია უნდა ჰქონოდათ. როცა ქართველების ძლიერება შუამდინარეთშიაც დაეცა (მე-13 საუკ. ქრისტ. დაბადებ.) და ეს ადგილები მათ ასურელებმა და არამელებმა მიატოვებინეს, მაშინ ქართველი ხალხის ერთი ნაწილი დასავლეთისაკენ წასულა, ღალისის აუზებში ანუ კაპადოკიაში დამკვიდრებულა, ხოლო მეორე ნაწილი ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ უნდა წასულიყო და ვანის ტბისა და არარატის მთის ახლო-მახლო მდებარე ადგილებში უნდა დაბინავებულიყო.

ჯერ-ჯერობით მეტი მომხრე ყავს იმ აზრს, რომ სვანებს ამ დროს ამ უკანასკნელ ადგილებში უნდა ხვდომოდათ წილად დამკვიდრება.

თუ ამ აზრმა გაიმარჯვა, შეიძლება დავსძინოთ, რომ სვანების არსებობა აქ უნდა გაგრძელებულიყო, როგორც არის ზემოდ ნათქვამი, მე-7 საუკ. ქრისტეს დაბადებამდე. ხოლო ამის შემდეგ ისინი სამუდამოდ დაშორდნენ დანარჩენ ქართველებს. ამიტომ შემდეგში ბუნებრივ და გეოგრაფიულ პირობების წყალობით სვანებისათვის ბედს ურგუნებია უხსოვარ დროიდან დღემდის, თითქმის შეუცვლელად და პირველყოფილ სახით, მცირე აზიაში ქართველი ხალხის ცხოვრების დროის ზნე-ჩვეულებების, წარმართულ სარწმუნოების და სხვა ტრადიციების და ენის შენახვა და შენარჩუნება. და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვისაც მაშინდელი ქართველების ყოფა-ცხოვრების და ტრადიციების შესწავლა აინტერესებს, მას შეუძლია ყოველივე ეს სვანეთის ცხოვრებიდგან ამოსწუროს და ამოიკითხოს... სხვათ შორის ამას ადასტურებს პროფ. მარის შემდეგი სიტყვები: ,,Как в бытность на Афоне мне казалось, что я перенесен в эпоху византийских христианских духовних интересов, так и в Свании я чувствовал себя окруженным языческой культурной атмосферой эпохи урартийцев или даже почитателей ,,вишапов“...Лишь часть сванов, застрявшая в пределах Свании, ныне является одной из лучших хранительниц исконных яфетических традиций и единственной живой представительницей устраченного на юге чрезвычайно важного лингвистического звена“...[4])

მარის შემდეგ, სვანების ურართუს სახელმწიფოში ბინადრობაზე, სხვათა შორის, შეუძლია გვაფიქრებინოს აგრეთვე ვანის ქვებზე და კლდეებზეამოჭრილმა ლურსმულმა წარწერებმა, რომელთა წაკითხვა, მარის თქმით, სვანური ენის შესწავლამ შეაძლებინა და გაუადვილა მეცნიერებას [5]).

ჯავახიშვილის ცნობებით ამ ლურსმულ წარწერების შესწავლას საფრანგეთის მეცნიერი **ლენორმანი** დაურწმუნებია იმაში, რომ ეს ენა **ძველი ქართულია** და ვან–არარატიდგან, ამ წარწერების მიხედვით, ქართველები უნდა ყოფილიყვნენ გამოძევებული მტ-6-7 საუკ. ქრისტეს დაბადებამდე [6]).

რუს მეცნიერს **ნიკოლსკის** ეს ენა უცნია ქართულ ენის მონათესავედ და ამბობს: ,,თუ იმ ტომ-მოდგმას, რომელიც ვანურ ლურსმულ წარწერებშია მოხსენებული, არ ეკუთვნიან დღევანდელი ქართველები, იგი სრულიად გამქრალ ტომად უნდა ჩაითვალოსო“ [7]).

მეცნიერებს **სეისს, მასპეროს და ჰომელს, ჯავახიშვილის** თქმით, ამ ლურსმულ წარწერების შემქმნელი ხალხი ქართველების წინაპრებად ანუ მონათესავე ტომად უცვნიათ [8]).

ხოლო მეცნიერი **პატკანოვიც** ამ ლურსმულ წარწერების შესწავლის შემდეგ ადასტურებს ზემოთ ჩამოთვლილ მეცნიერების აზრს და დასძენს, რომ მე–7 საუკ. სომხები ჩვენთვის სრულიად უცნობი ტომი არისო [9]).

ქართულისა და სომხურის შესწავლას მეცნიერი **გატარეი** დაურწმუნებია იმაში, რომ დიდი ნაწილი ქართული სიტყვებისა და ყველა ძირები ეკუთვნიან განსაკუთრებულ ჯგუფს ენებისას, რომელსაც უწოდებენ ქართულ ჯგუფს.

ნ. მარი ამ ბოლო დროს, ე. ი. სვანური ენის საფუძვლიანად შესწავლისა და ვანური ლურსმული წარწერების წაკითხვის შემდეგ გაბედულად აცხადებს: ,,С изучением сванскаго язика мы постепенно входим в культурно-исторический вопрос Армении за тисячу и более лет до возникновения христианской письменности у яфетических народов, да и у армян в вопросе клинообразныхванских надписей ... Выясняется, что язык ванских клинообразних надписей не чистый яфетический, а мешанный, как сванский... состояший из слоя коренного“ и т. Д. [10]).

მარის თქმით, სომხური ენა სვანიზმით არის გაჟღენთილი და დიდი ნათესაობა აქვს მასთან. ამნაირად, თუ ჩვენ ბ. მარის ნათქვამს დავეყრდნობით და მისი აზრი იმის შესახებ, რომ ვანურ ლურსმული წარწერების წაკითხვა სვანურ ენის შესწავლამ გაუადვილა მეცნიერებსო, გაიმარჯვებს, ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ყველა ზემოხსენებულ მეცნიერების ლაპარაკი შეიძლება ამ **ქართველების მესამე ჯგუფად ცნობილ სვანებზე** იყოს. ხოლო სვანურ ენისა და სომხურის შორის არავითარი ნათესაობა არ უნდა არსებობდეს, გარდა ამისა, რომ, როდესაც სვანები ვან-არარატის მიდამოებიდან ანუ ურართუს სახელმწიფოდგან, როგორც ვიცით, მე-7 საუკ. ქრისტეს დაბადებამდე იყვნენ აყრილნი და დევნილნი კიმმერიელებისა, სკვითებისა და სხვა ინდო-გერმანული ველური ხალხების შემოსევის წყალობით, მაშინ იქ დარჩენილსა და დამხვდურ სვანებს შეერეოდა ახლად შემოსული არმენები და აი, სწორედ, ამ დროს უნდა მომხდარიყო ამ ორ სხვა და სხვა შტოთა ენების შერევა, შეხლა-შემოხლა. დროთა ვითარების მეოხებით შემდეგში იქ მყოფი სვანები არმენების გავლენის წყალობით გასომხდებოდენ. სვანურ ენას, თავის თავად ცხადია, სომხური გადაყლაპავდა, ხოლო სომხურიც „სვანიზმით“ საკმაოდ და თვალსაჩინოდ გაიჟღენთებოდა და თავის კვალს დატოვებდა სომხურ ენაში.

ჯანაშვილის თქმით, ამგვარი ენათა შერევა უნდა მომხდარიყო ძველ საქართველოში და ახალ არმენიაში და მე-6-7 ს. ქრისტეს დაბადებამდე, ე. ი. მაშინ, როცა იქ სკვითები ანუ ხაზარები და კიმერიელნი დათარეშობდენ. სხვა ნათესაობა სომხებსა და ქართველებს შორის არ არსებობს არდა ამისა, რაც მოსულ ხალხს და მის ენას შეეთვისა და შეელია ადგილობრივ ბინადარ ხალხისაგანო [11]).

მარს ურართუს მეფის არგიშტის სახელიც წმინდა სვანურ სახელწოდებათ მიაჩნია და ასე გვიხსნის: Мне уже приходилось указывать, что имя известного царя Аргиш-ди представляет сложное слово со значением „глава дома“. Дом-арги, что сохранилось по сей день в сванском“ [12]).

არგი სვანურად მართლაც **ოჯახს** ნიშნავს, ხოლო **არგიშ-დი საოჯახოს,** შეიძლება ოჯახის საუფროსოსაც.

ვინაიდან მეცნიერებას ხალხთა ამა თუ იმ ადგილებში ბინადრობის საუკეთესო საბუთათ მიაჩნია ამ ადგილების საგეოგრაფიო სახელები, ამიტომ უადგილო არ იქნება მეცნიერების ყურადღება მივაქციოთ სვანეთში არსებულ ზოგიერთ იმ სოფლებისა და ადგილების სახელებს, რომლებიც შენახული არიან როგორც სვანეთში, აგრეთვე მცირე აზიაში, სადაც ძველ დროში ქართველები ბინადრობდენ და საიდანაც ეს საგეოგრაფიო სახელები უნდა იყოს სვანეთში შემოტანილი. მაგალითად: ჩუბეხევის საზოგადოების ერთს მთას **„ვანი“** ქვიან.

იშპუინისა და მისი შვილის წარწერებში მოხსენებულია ქალაქი **ატკანა** და **მელიდა** [13]).

ატკვერი ზემო სვანეთში ერთს მთასა ქვიან, ხოლო **მელიდა** ლაშხეთის საზოგადოების ერთ სოფელს.

ხმელეთის კაპადოკიაში, კიშერის ქალაქის სამხრეთით მდებარე ადგილს და კესარიის ქალაქის მახლობლად მდებარე დაბას **მუჟური** ჰქვიან [14]). ჯანაშვილის თქმით, ეს სახელი წმინდა ქართულია, მაგრამ აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს საგეოგრაფიო სახელი წმინდა სვანური სახელწოდება უნდა იყოს და ნიშნავს სვანურად **უმზეო ადგილს.** სვანეთში მულახის საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც ზამთრობით მზეს მოკლებულია, **მუჟალი** ჰქვიან, რომელიც ზემოხსენებულ **მუჟურს** უნდა უდრიდეს.

კალის საზოგადოების ერთს სოფელს **ხალდე** ქვიან, რომელიც: მარის, ჯავახიშვილის და სხვა მეცნიერების აზრით ან ქართველების უძველეს დროის საბინადრო ადგილის **ქალდეას** სახელწოდებიდან უნდა იყოს წარმომდგარი, ან ეხლანდელი ტრაპეზუნდის, რომელსაც ძველად **ხალდე** ერქვა.

ანის დასავლეთით მდებარე ერთს ადგილს **მუშ**-ი ქვიან, ხოლო სვანეთში ამ სახელს ატარებს ერთი მთა **მუშური**.

ჭველფი. სვანეთში ეს სახელი ჩოლურის საზოგადოების ერთს სოფლესა ქვიან, რომელიც მარის თქმით სამხრეთიდან არის შემოტანილი.

ბარხალ – მთაა მახლობლად საროს მდინარისა. სახელს „ბარხალს“ ატარებენ სვანეთის რამოდენიმე მთები და სხვ.

მეცნიერების ყურადღება მინდა მივაქციოთ აგრეთვე იმ საკვირველ მოვლენას, რომ სვანეთში უხსოვარ დროიდან დღემდე

შენახულა ერთი უუძველესი ფერხული სიმღერა ,,იავ ქალდი“, რომელიც შემდეგი შინაარსის არის:

იავ ქალდი და ბებუცია,
სოფელ ქალდი და შუშპარია,
შუშპარ ჩუქვან ქვიდანია,
ქვიდან ჩუქვან მზიდანია,
ჩოლურ ვეშგინ უნარია,
ღვინოებისა სტველიდავო,
კათხა ჩაგვიწკეპნიდავო,
ელოცა და მელოცა,
ეხლა რაჭა ჩვენიდავო,
ჩიტი მოვიწველიდავო და სხვ...

თარგმანი

ია ქალდი და ბებუცია (ადგილებია დასახელებული.
სოფელ ქალდუში შუშპარია (ცეკვა, თამაში, ფერხული და სიმღერაა სოფელ ქალდუში).
შუშპარს დაბლა ქვიანია (ქვიანი ადგილი, ე.ი. ქალდუში, სადაც შუშპარი იყო,
იმას დაბლა ქვიანი ადგილი ყოფილა).
ქვიანს დაბლა მზიანია (ე. ი. ზემოდ დასახელებულ ქვიანს დაბლა მზიანი ადგილი ყოფილა).
ჩოლურს უკან უნარი აქვს.
ღვინოებისა სტველია.
კათხა ჩაგვიწკეპნია.
ელოცა მელოცა,
ეხლა რაჭაც ჩვენია,
ჩიტიც მოგვიწველია და სხვა...

მე მგონია უბრალო ფანტაზიის ნაყოფათ არ ჩაითვლება და შემცდარი არ ვიქნები; თუ ამ სიმღერას ისტორიულ საბუთად დავასახელებ, ვინაიდან მრავალი მაგალითი ჩვენ გვხვდება სვანეთის ცხოვრებაში იმის დასამტკიცებლად, რომ საკუთარი მწერლობის უქონლობის გამო სვანებს სჩვევიათ ზოგიერთ

ღირსშესანიშნავი ისტორიული და სხვა მოვლენების მხოლოდ სიმღერების სახით მოგონება, შენახვა და შენარჩუნება.

ზემოხსენებული სიმღერა, ჩვენ სვანეთის შორეულ წარსულზე მოგვითხრობს, რომ სვანები ჯერ ქალდუში ცხოვრობდნენ, შემდეგ ელო-მელოში და ბოლოს რაჭაში. ხოლო ამ სიმღერის შინაარსი ქალდუში ცხოვრებას უფრო ტკბილად იხსენიებს,ეთაყვანება და მაღლა აყენებს, რადგან **,,სოფელ ქალდუში შუმპარია“** უნდა ნიშნავდეს, რომ იქ ცეკვა, თამაში, ფერხული, ლხენა და მხიარულება ჰქონიათ.

სიმღერის შემდეგი სიტყვები შეიძლება აიხსნებოდეს ასე: **,,ღვინოების სტველია კათხა ჩაგვიწკეპნია“** უნდა ნიშნავდეს ელომელოში ანუ შავი ზღვის ნაპირებზე სვანების შემოდგომაზე დამკვიდრებას. ხოლო სიტყვები: **,,ეხლა რაღაც ჩვენია“** იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ბოლოს სვანებისთვის ბედს რაჭაში ცხოვრება ურგუნებია. სიტყვები ,,ჩიტიც მოგვიწველია“ უკანასკნელი მათი ამონაკვნესი უნდა იყოს და გვიმტკიცებდეს, რომ ამ ხალხს იმდენი უბედურება და გაჭირვება გამოუცდია, ისეთი მწარე ხვედრი და საძნელო საქმე ურგუნებია მათთვის ბედს, როგორც არის ჩიტის მოწველა, მისი უნაყოფობა, უშედეგობა და სხვ...

ამნაირად, მაგალითია, ისტორიული საბუთების სიღარიბის გამო ამჟამად სვანეთის ისტორიის აღდგენა და იმდენად გაშუქება, რომ მის წარსულს ნათელი მოჰფინოს და მკითხველი დააკმაყოფილოს, თითქმის შეუძლებელი ხდება, მაგრამ ეს ჩემი შრომა მინდა მივაწოდო მეცნიერებას მასალად სვანეთის ჩვენ დრომდე გამქრალ ისტორიის აღსადგენად, და იმედი მაქვს, მომავალი უფრო გააფართოვებს და სწორად გააშუქებს ამ საკითხს. ფაქტად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის გარემოება, რომ სვანები მართლაც ძველ დროში, როგორც არის ზემოდ ნათქვამი, სხვა ქართველებთან ერთად სცხოვრობდენ მცირე აზიაში და მათთან მცხოვრებ ქართველი ტომების ხსოვნას უნდა ეკუთნოდენ სვანეთში დღემდის შენახული სიტყვები: ,,ხგთ“ (ხეთები), ,,მესხ“ (მესხები) და ,,ჯიქ“ (ლგჯგქე) – ჯიქები.

,,ხგთს“ სვანები უწოდებენ ცოცხალ და ავს კაცს.

,,მესხს“-ს სიმარჯვით, მამაცობით და სიცოცხლით სავსე კაცს (მესხდ ლგგნე მაარე)...

,,ჯიქს“, ლგჯგქე-ს ჩაფსკვნილს, სქელ კაცს და მეტად მაგარს.

3) ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ. გორგაძე – საქ. ისტ. გვ. 20
4) Марр. Из поезд. в Свании. Стр. 6 и 34.
5) მარი. იქვე. გვ. 28
6) ჯანაშვილი. ვახუშტი და მისი შრომა. გვ. ᲔᲒ.
7) ჯანაშვილი. იქვე.
8) ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. გვ. 69.
9) ჯანაშვილი. ვახუშტი და მისი შრომა. გვ. ᲔᲒ.
10) Марр. Из поездки в Сванию. Стр. 28.
11) ჯანაშვილი, ვახ. და მისი შრომა გვ. ᲔᲖ და ᲔᲪ.
12) Марр. Из поезд. в Сванию. Стр. 29.
13) ჯანაშვილი. ვახუშტი და მისი შრომა. გვ. ᲚᲖ.).
14) ჯანაშვილი. ვახუშტი და მისი შრომა. გვ. ᲚᲖ.

სვანების მცირე აზიიდან გამოსვლა და ამიერკავკასიაში დამკვიდრება

მეცნიერებამ ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ გააშუქა და გამოარკვია აგრეთვე ის გარემოებაც, თუ როდის და რა პირობებში უნდა მომხდარიყო მცირე აზიიდან ანუ თავის უუძველეს სამკვიდრებელ ქვეყნებიდან სვანების ამიერ-კავკასიაში შემოსვლა და სვანეთში დამკვიდრება, მაგრამ მტკიცე საფუძველი დაუდვა იმ აზრს, რომ ქართველი ხალხის მიერ მცირე აზიაში ბინადრობის მიტოვება და ამიერ-კავკასიაში გადმოხვეწა, შემოსვლა და დაბინავება უნდა მომხდარიყო, როგორც ზემოთ არის ნათქვამი, მე-9-6 საუკ. შუა ქრისტეს დაბადებამდე, ე. ი. მის შემდეგ, რაცჩრდილოეთიდან ზემოხსენებულ კიმმერიელებისა, სკვითებისა და სხვა ინდო-გერმანული ველური ხალხების შემოსევა დაიწყო. ვინაიდან ყველა მეცნიერები ამტკიცებენ, რომ საქართველოში შემოსვლა პირველად ბედს სვანებისათვის ურგუნებია, ცხადია, სვანების ჩვენს ქვეყანაში დასახლებაც უნდა მომხდარიყო მე-9-7 საუკ. შუა ქრისტეს წინ.

ნიკ. მარი სვანების სამხრეთიდგან ჩრდილოეთისაკენ დაძვრისა და შემოსვლის შესახებ მოგვითხრობს: ,,Движение сванов и ближайших сродных с ними яфетическим слоем абхазов или различных сванских племен с юга на север разделялось, как обшее явление, всеми яфетидами, так с юга на север двигались на запад от сванов тубал-кайны, а на восток от сванов карты...

Движение картов с востока на запад имело место приблизительно с VII в. До Р. Хр. Двигаясь из нового своего гнезда в Карталинию (ქართლი) на запад, они достигли Черного моря, где врезались концом клина в Тубал-кайнскую сплошную массу. Этот конец картского или грузинского (племени) клина представляют теперь гурийцы и омусульманившиеся аджарцы. На севере от клина оказались иверы, ныне мингрельцы, на юге чаны. Но раньше, чем расколоть клином Тубал-кайнскую массу, грузины должны были сделать брещь в сплошном сванском населении и осесть между ними более широкой частью клина; этим движением картов сваны были разбиты на северных и южных: южные, открытые всем влияниям, или грузинизованы или арменизованы; северные сваны сильным напором иноплеменников принуждены были проникнуть за трудные перевалы с высоты Кавказских год да и оттуда прорвались на запад к прибрежью Черного моря и т. Д. [15]).

ი. ჯავახიშვილის აზრითაც, სვანების მცირე აზიიდან ამიერკავკასიაში გადმოსახლება მოხდა მას შემდეგ, როცა ზემოხსენებულ კიმმერიელებისა, სკვითებისა და სხვა ველური ხალხის შემოსევის წყალობით ქართველი ხალხი იძულებული შეიქმნა თავისი სამშობლო მცირე აზიაში მიეტოვებინა და ამიერ-კავკასიაში შემოსულიყო. მისი თქმით, ამ დროს პირველად ამიერ-კავკასიაში უნდა შემოსულიყვნენ: სვანები, აფხაზები, აფშილები და სხვა ყველა ის ხალხები, ვინც ამ ჟამად ყველაზე ჩრდილოეთით ბინადრობენ[16]).

გაზეთ ,,ცნობის ფურცელის“ კორესპონდენტი **ს. ლ.** ამ გაზეთის № 795, 1907წ., სწერდა, რომ: ,,მცირე აზიაში ველურ ხალხების შემოსევის შემდეგ ურართუს სახელმწიფოში მცხოვრები ხალხი სამად გაყოფილა: ერთი ნაწილი ჩრდილოეთ აღმოსავლეთისაკენ წასულა, არაქსისა და მტკვრის ხეობაში მოთავსებულა. ეს არიან დღევანდელი ქართები.

მეორე ნაწილი – სვანები, აფხაზები და აფშილები დასავლეთისაკენ წასულან და შავი ზღვის ნაპირად ყველა ქართველებზე უწინ დამკვიდრებულან, ხოლო მესამე ნაწილი ინდო-გერმანულ ველურ ხალხს დახვდა, შერია და აქედან გაჩნდნენ სომხებიო. ამავე აზრს გამოსთქვამს ს. გორგაძე [17]).

რადგან ხალხთა ამა თუ იმ ადგილებში ბინადრობის გამორკვევაში მეცნიერებას საუკეთესო საშუალებათ მიაჩნია იმ ადგილების საგეოგრაფიო სახელები, სადაც ამ ხალხს უცხოვრია, ამიტომ, სხვათა შორის, აქაც შეგვიძლია ამ საშუალებას მივმართოთ ზემოხსენებულ მეცნიერების სასარგებლოდ სვანების ერთ დროის შავი ზღვის მახლობლად ბინადრობის დასამტკიცებლად. სვანეთის დღევანდელი ზოგიერთი სოფლები, მთები და ადგილები ატარებენ იმ სოფლებისა და ადგილების გეოგრაფიულ სახელებს, რომლებიც ჩვენ გვხვდება შავი ზღვის ნაპირად და ახლო-მახლო მდებარე ადგილებში, მაგალითად: მთა **ბარეხი,** შავი ზღვის მახლობლად. სვანეთში **ბარხალ** ბევრ მთებს ჰქვიან და შეიძლება მათ შორის რაიმე ერთიანობა არსებობდეს.

ხალდე. სვანეთში ხალდე, როგორც არის ზემოთ ნათქვამი, ჰქვია კალის საზოგადოებაში იმ სოფელს, რომელიც ისტორიაში განთქმულია 1876 წლ. რუსეთთან ბრძოლით. მისი სახელი უნდა იყოს წარმომდგარი ან უუძველეს ქართველების სახელის **ხალდე**-საგან (ხალდეველნი) ან ეხლანდელი ტრაპეზუნდისგან, რომელსაც ძველად **ხალდე** ერქვა.

ჭოროხაჲ. სვანეთში უშგულის საზოგადოების ერთ სოფლის ნანგრევებს და ამ სოფელში მიმდინარე მდინარეს **„ჭოროხაჲ** ქვია. ეჭვს გარეშეა, ეს უდრის ჭოროხს და იქიდგან არის შემოტანილი.

ჩუკული. ეს სახელი ქვია ლაშხეთის საზოგადოების ერთს სოფელს.

მელო. სვანეთში ლაშხეთის საზოგადოების ერთს სოფელს **მელე** ქვიან.

ხოფური. ამ სახელს ატარებს ლენტეხის საზოგადოების სოფელი.

გულედი. ბათომის მახლობლად სვანეთში ლენტეხის საზოგადოების ერთს სოფელს **გულიდა** ქვიან.

მურგუში, ბათომის ოლქში. სვანეთში ჩოლურის საზოგადოებაში მდებარე ადგილსა და ერთ სოფელს მურგუში ჰქვიან.

ლანჩხუთი, გურიაში. სვანეთში თუმცა ასეთი გეოგრაფიული სახელი არ არის, მაგრამ ეს უნდა იყოს სვანური ეთნიური სახელი, ვინაიდან თავსართი მისი **„ლა“** სვანურ საგეოგრაფიო სახელების

აღმნიშნელია, **„ჩხუტ“**-ი კი სვანურად წვრილ ქვას ჰქვიან. ერთად კი ლანჩხუტი ნიშნავს წვრილ ქვიან ადგილ.

ქართოვანი. ამ სახელს სვანეთში ატარებს ბეჩოს საზოგადოების ერთი სოფელი. უეჭველია ეს ქართული სახელწოდებაა, ქართველი, ქართოვანი ანუ ქალდეველისაგან უნდა იყოს წარმოშობილი.

ცხუმ. ეხლანდელი სოხუმი. სვანეთში **ცხუმმარი** ქვიან ეცერის საზოგადოების ერთ სოფელს.

ეწერი, ოზურგეთის მაზრაში. სვანეთში არსებობს ამ სახელწოდების საზოგადოება ეცერი.

დალი, სოხუმის ოლქში. სვანეთში ბეჩოს საზოგადოების ერთს სოფელს დოლი ქვიან.

კაცხი, შორაპნის მაზრაში. ფარის საზოგადოებაში ერთს სოფელს კაცხი ჰქვია.

ზუგდიდი. ჯანაშვილს ესეც სვანურ საგეოგრაფიო სახელად მიაჩნია, რადგანაც **ზუგ**–სვანური სიტყვაა და ნიშნავს **მაღლობს**. **დიდი** მასზე მიმატებული ქართულ დიდს უნდა უდრიდეს. ხოლო **ზუგდიდი** ერთათ დიდ მაღლობს ნიშნავს.

ლაკადა, სამეგრელოში ერთ კუთხეს ჰქვია, ხოლო სვანურათ ეს ნიშნავს ,,სანაჯახეს“– ესე იგი ისეთ ადგილს, სადაც ნაჯახით მუშაობა სწარმოებს.

სამეგრელოში გვხვდება სხვა მრავალი სვანური საგეოგრაფიო სახელებიც.

სვანური საგეოგრაფიო სახელები გვხვდება აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოშიც, მაგალითად:

ხოშა–კალა. სიტყვა **„ხოშა“** სვანურია და ნიშნავს დიდს, ხოლო **კალა** ჰქვია სვანეთის ერთს საზოგადოებას. ერთდ ხოშაკალა ნიშნავს დიდ კალას.

ქვაშვეთი. სვანეთში ლენჯერის საზოგადოების ერთს სოფელს ქაშვეთი ჰქვიან.

ზეგანი. ამ სახელს ატარებს იფარის საზოგადოების ერთი სოფელი.

ქვიშლეთი. სვანეთში ქვიში ჰქვიან ბეჩოს საზოგადოების ერთშ მთას და მულახის საზოგადოების სოფელს.

ჩვანეში. ჩვანეში ჰქვია ლატალისა და ლენჯერის საზოგადოებათა შუა მდებარე ხეობას.

სვანებს რომ ეს საგეოგრაფიო სახელები სამხრეთიდგან შემოუტანიათ და დაურქმევიათ მათი ახალ სამკვიდრებელ სოფლებისათვის, ისე როგორც ამას დღესაც აქვს ადგილი, მათი აფხაზეთში, სოხუმის ოლქში გადასახლების დროს, ამას, სხვათა შორის, ნიკ. მარიც ამტკიცებს: ,,Движение сванов с юга на север начинает обрисовываться довольно ярко... В этом движении сваны несли с собою вместе с культурным наследием южных яфетидов и географические термины, названия сел и деревень, с которыми они сжились на первоначальной своей родине“ и т. д. [18])

მეცნიერების ყურადღება მინდა მივაქციო აგრეთვე სვანეთში დღემდე შენახულ იმ ძველ ფერხულ სიმღერას: ,,ლემჩილ იაქაშ გივერგილა“-ს, რომელიც ჭანეთიდან შეიძლება იყოს შემოტანილი, და ამიტომ სვანების ერთ დროს ამ ქვეყანაში ცხოვრების ნაშთათ უნდა ჩაითვალოს. ამ სიმღერაში ნათვამია, რომ ერთი ვიღაც მონადირე **გივერგილა** (გიორგი) ჭან-გულში ანუ ჭანეთში ნადირობდა, ზღვას თევზებს (ცუზას) არ არჩენდა, ტყეს-ნადირს და კლდეებს ჯიხვ-არჩვს. სახლი ედგა სოფლის თავში, ჯიხვის ძვლისა, დახურული ჯიხვის ტყავით. მართლაც, აქ რომ ჭანეთში მცხოვრებ მონადირეზე არ იყოს ლაპარაკი – ეს მონადირე ზღვაში თევზზე ,,ნადირობას სვანეთში, ზღვის სიშორის გამო, ვერ აწარმოებდა, და, გარდა ამისა, არც ერთი კუთხე სვანეთში ამ სახელწოდებას ჭანეთს ანუ ჭან-გულს არ ატარებს. სოფელ ადიშში არსებობს ერთი ეკლესია, რომელსაც სვანები ეძახიან: ჯგგრაგ ჩანიშიშ-ს, ანუ წმინდა გიორგის ჭანეთისა. ამ ეკლესიის გალავანში ყოველწლიურად კვირიკობის თვეშ სვანეთის სხვადასხვა კუთხეებიდან მრავალი უძეოდ ანუ უშვილოდ დარჩენილი სვანები იყრიან თავს, ზვარაკითა, არაყ-ჰურითა, და სთხოვენ ჭანეთის წმინდა გიორგის ვაჟიშვილის მიცემას. ამ დღეობას ქვიან ლი-ჩანიში, რომელიც უდრის ჭანეთობას.

დასასრულ, ნიკ. მარის ყურადღება მინდა მივაქციო შემდეგ გარემოებას, მას, სხვათ შორის, სამხრეთიდგან სვანეთში შეტანილად მიაჩნია აგრეთვე სოფ. **უშგულისა** და **ლაშხეთის** საგეოგრაფიო სახელებიც. ის სწერს: **უშგულის** სახელი არის შემდგარი ჭოროხის ხეობის სათავეში არსებულ სოფ. **ოშკისაგან** ანუ **უშკისაგან,** ხოლო ლაშხი ნიშნავს **მოსოხების** ქვეყანასო და ორივენი სამხრეთიდგან არიან სვანეთში შეტანილიო [19]). ეს დებულება

სიმართლეს მოკლებული უნდა იყოს, ვინაიდან სვანურ ენაში არსებობს სიტყვა ,,უშგული“, რომელიც ნიშნავს **უკუღმას** ანუ **უკუღმართს,** და წყეულს ადგილს. როცა სვანები ერთმანეთს სწყევლიან, ხშირად ამბობენ ხოლმე: ,,უშგულ ადგილთე ადე“, უკუღმართ ადგილას წადი. ცუდად რომ ვინმეს წაუვა საქმე, ამბობენ სვანურად: ,,უშგულ აჩად ეჩიი გვეშ“, უკუღმა წავიდა მისი საქმე და სხვ...

სოფელი უშგულიც სწორედ შედარებით დანარჩენ სვანეთის სოფლებთან, თავისი მოუსავლიანობით, მწირი ადგილებით, მიუვალ კლდე-ღრიან გზებით – წარმოადგენს შეკრულს და მით დანარჩენს სვანეთიდგან მოწყვეტილს, განსხვავებულსა და განცალკევებულ კუთხეს, რასაც სვანები საზოგადოდ: **,,უშგულ ადგილს“** (უკუღმართ ადგილს) ეძახიან. ვიმეორებ, რომ სოფ. უშგულს საგეოგრაფიო სახელიც ზემოხსენებულ სიტყვა უშგულისაგან უნდა მიეღო და არა ჭოროხის ხეობაში მდებარე ,,ოშკისაგან“.

იგივე უნდა ითქვას ,,ლაშხ“-ზეც, ვინაიდან მეცნიერულად არის უკვე დამტკიცებული, რომ ის საგეოგრაფიო სახელები, რომლებსაც თავში უზის თავსართი ,,ლა“ ანუ ,,ლე“, სვანურ საგეოგრაფიო სახელებს წარმოადგენენ[20]).

მართლაც, ვინც კი დაუკვირდება სვანურ საგეოგრაფიო სახელებს, მისთვის ანბანურ ჭეშმარიტებას უნდა შეადგენდეს მათ ახსნა – გამოკვლევის საქმეში ის მოვლენა, რომ ის საგეოგრაფიო სახელები, რომლებსაც თავში უზით თავსართი: ,,ლა“ და ,,ლე“, როგორც ქვემოდ დავინახავთ, ამა თუ იმ ადგილების თვისების, მნიშვნელობის და დანიშნულების საუკეთესო დამახასიათებელია.

მაგალითად: დავიწყოთ **ლატფარის** მთის სახელიდან. **,,ტაფარ“**-ი ნიშნავს დაგანებას, ე. ი. განის გზას, ხოლო **,,ლა“** და მისი თავსართი, ადგილის ანუ გზის ამნაირ თვისებას ახასიათებს. ლატფარი განის გზას ნიშნავს. იგივე ითქმის აგრეთვე შემდეგ სოფლების საგეოგრაფიო სახელებზე:

,,ლენჯერი“. თავისუფალ სვანეთის ერთს საზოგ. ლენჯერი ქვია, რომელიც, წარმოსდგება სიტყვა ,,ლეჯჰერისაგან“, ე. ი. სამუხე ადგილი.

ლაყარა (ერთი ტყის სახელია). **,,ყარ“-ი** სვანურად ყავარს ქვია. ,,ლა“ ამ შემთხვევაში ადგილის თვისების ანუ დანიშნულების

დამახასიათებელია და ერთად, რომ გადავთარგმნოთ, ,,ლაყარა“ საყავროს, ყავრის სახდელს, ე. ი. იმ ადგილს ჰქვიან, სადაც ყავარს ხდიან.

ლეშუკი. სვანურად შუკ-ი შუკას ანუ გზას ნიშნავს. ლეშუკი საშუკეს, გზიანს.

ლაბსყალდ. ბასყი მარწყვის სახელია. თავსართი ,,ლა“ ადგილის დამახასიათებელია და ლა-ბსყალდი, რომ გადავთარგმნოთ, ნიშნავს სამარწყვეს, ესე იგი ადგილს, სადაც ბევრი მარწყვი მოდის.

ლადრერ. ეს სახელი სიტყვა დირისაგან შესდგება. სვანურად ,,დირ“ დირეს ქვია. თავსართი მისი ,,ლა“ აქაც ადგილის მნიშნელობას ახასიათებს. რადგანაც ,,ლა-დრერ“ ერთად, რომ გადავთარგმნოთ, ნიშნავს სადირეს, ე. ი. იმ ადგილს, სადაც დირებს სჭრიან.

ლატალი. ,,ტალა“ ნიშნავს დარაჯს, მცველს (იხ. საბა სულხან ორბელიანის ლექსიკონი) ხოლო **ლატალი** სადარაჯოს. მისი თავსართი ,,ლა“ აქაც მშენივრად ახასიათებს ადგილის ასეთ მნიშვნელობას. ვინაიდან ლატალი მდებარეობს თავისუფალ ანუ უბატონო სვანეთის დასავლეთის საზღვარზედ და ეს ადგილი ერთ დროს მართლაც წარმოადგენდა სადარაჯოს თავისუფალ სვანეთისათვის, რომ ამ ადგილზე არ შემოჭრილიყვნენ მათი თავისუფლების მტრები დადეშქელიანები და სხვები თავისუფალ სვანეთში.

ლაშხრაშ. შეშის დასაპობ ადგილს ქვია ლაშხრა და სოფ. ლაშხრაშის სახელიც აქედან წარმოსდგება.

ლაშთხვერ. ლაშთხვერი სვანურ სიტყვა **ლაშდღვიარისაგან** შესდგება და ნიშნავს **სასაფლაოს.**

ლაფური. ფური სვანურად ძროხას ქვიან. ,,ლა-ფური“ საძროხეს, ე. ი. სადაც ძროხის ჯოგებს აძოვებენ.

ლაჰილ. ჰილ სვანურად მშველს ჰქვიან. ,,ლაჰილ“-ვი საშველე ადგილს.

ლახირ. ლახური ნიშნავს უმთო ალაგს (სადაც მთ არ არის) და სოფელ ლახირის სახელიც აქედან არის წარმომდგარი, ვინაიდან ამ სოფელს, მართლაც, ერთ დროს საბალახო მთა არ ქონია და დღევანდელი მათი საბალახო მთა შემდეგში ჭოლაშლებისაგან შეუძენია.

ეს ზემოდ აღწერილი მაგალითები და მოსაზრებანი მაბედვინებენ თამამად ვსთქვა, რომ **„ლაშხის“** საგეოგრაფიო სახელი, რომელიც მარის სამხრეთიდგან შემოტანილად მიაჩნია – უნდა იყოს წმინდა სვანური და არა სამხრეთიდან შემოტანილი.

სვანურად ,,შიხ“-ი ქვიან ნახშირს, თავსართი ,,ლა“ ამ შემთხვევაშიც ისე, როგორც დავინახეთ ზემოდ დასახელებულ საგეოგრაფიო სახელების ახსნაში, ამ ადგილის ასეთ თვისების, დანიშნულების ანუ მნიშვნელობის დამახასიათებლად ჩაითვლება და ,,ლაშხ“-ი, რომ გადავთარგმნოთ, უნდა ნიშნავდეს სანახშრეს ანუ ნახშირის დასაწვავს.

მარი შემცდარი უნდა იყოს აგრეთვე ,,ცხენის წყლის“ სახელწოდების ახსნაში, როდესაც ის ბერძნულ სახელად სთვლის. ეს მდინარე იწყება სოფ. ,,ცენაში“, სვანურად კი საზოგადოთ მრავალ მდინარეებს ჰქვიათ იმ სოფლების სახელები, სადაც მათ სათავე აქვთ, მაგ. ხალდეს ,,ჭალა“, კალა ,,ჭალა“, იფარი, ადიში, მულახი, მესტიის ჭალები. ამასაც, როგორც **ცენის** სოფლიდან მომდინარეს, დარქმევია ცენის ,,ჭალა“ (მდინარე). სვანები მას ასეთს სახელს დღემდე უძახიან.

15) Марр. Из поезд в Сванию. Стр. 33 и 34.
16) ჯავახიშვილი. ქარ. ერის ისტორ. გვ. 66.
17) ს. გორგაძე. საქ. ისტ. გვ. 33.
18) Марр. Из поезд. в Сванию. Стр. 31.
19) Марр. Из поезд. в Сванию. Стр. 31-33.
20) ივ. ჯავახიშვილი. ქარ. ერ. ისტ. გვ. 26. Марр. Из поезд. в Сванию. Стр. 32.

სვანების სამხრეთიდან სვანეთში შემოსვლა და დამკვიდრება

მცირე აზიიდგან ამიერ-კავკასიაში შემოსვლის შემდეგ სვანები, სამწუხაროდ, ისტორიაში სტრაბონის და პლინიუსის დრომდე გარკვეულად მოხსენებული თითქმის არ არიან. ამიტომ ჯერ კიდევ საკმაოდ გაშუქებული არ არის ის გარემოება, თუ როდის უნდა მომხდარიყო სვანების მიერ შავი ზღვის ნაპირების მიტოვება და დღევანდელ სვანეთში დამკვიდრება.

პროფ. ივ. ჯავახიშვილის აზრით სვანები ძველ დროში უფრო სამხრეთში ბინადრობდნენ, ვიდრე ეხლა. და ამ საბინადრო ადგილების მათ მიერ მიტოვება უნდა მომხდარიყო მაშინ, როცა კავკასიაში პირველად შემოსულსა და სხვა ქართველ ტომების ჩრდილოეთით დამკვიდრებულს სვანებს, აბხაზებს, თუშებს და სხვა მთიელებს მიაწვებოდა იმ ქართველების მძლავრი ტალღა, რომელნიც სამხრეთიდგან (ე. ი. მცირე აზიიდან) მათ შემდეგ იყვნენ აყრილნი და დევნილნი ზემოხსენებულ კიმმერიელებისა და ჩრდილოეთიდან შემოსულ სხვა ველურ ხალხების შემოსევის წყალობით, რასაც, როგორც არის ნათქვამი, ადგილი ჰქონდა მე-7-6 საუკ. ქრ. წინ.

ამ დროს ყველაზე სამხრეთით უნდა ყოფილიყვნენ ტუბალები, რომელნიც ამ ველურ ხალხის მიერ იქმნენ აყრილნი და წალეკილნი.

ტუბალები მიაწვებოდნენ მათ ჩრდილოეთით მცხოვრებ მუსკებს (მესხებს) და კოლხებს, ხოლო ეს უკანასკნელნიც იძულებულნი გახდებოდნენ წასულიყვნენ უფრო ჩრდილოეთისაკენ. კოლხები სვანებს კვალდაკვალ მისდევდნენ და მათ ადგილებს იპყრობდენ, სანამდე კავკასიის მთებში არ მიიმწყვდიეს [21]).

შეიძლება ეს ამბავი მომხდარიყო უფრო ადრე მაშინ, როცა ჯავახიშვილის თქმით, ქართველების პოლიტიკური მდგომარეობა შავი ზღვის ნაპირებზე ჰეროდოტეს დროიდგან სტრაბონის დრომდე თვალსაჩინოდ შეიცვალა, ესე იგი მაშინ, როცა ქალდეებმა კოლხები აღმოსავლეთისაკენ გარეკეს [22]).

ამნაირად, ვინაიდგან ჰეროდოტეს დროს შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირები კოლხებს ეპყრათ, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ სვანების ბინადრობას სამხრეთში ბოლო მოღებოდეს მე-5 საუკუნეში.

სვანების ერთი ნაწილი, ამ დროს, ამ ადგილებს შერჩებოდა, კოლხებს დახვდებოდა, გაერეოდა, მათში გაითქვიფებოდა და, ცხადია, აქედან გაჩნდებოდა ის ,,სვან–კოლხების“ ნარევი ტომი, რომელსაც პტოლომეი [23]), სომხეთის ისტორიკოსი ფაუსტი ბიზანტიელი, პლინიუსი, მარი, ჯავახიშვილი და სხვები იხსენიებენ.

ქართლის ცხოვრების ავტორი, ვახუშტი ბატონიშვილი, სვანების მათ ქვეყანაში – სვანეთში დასახლების, ანუ დამკვიდრების შესახებ მოგვითხრობს: ,,ოდეს ვერღარა იტევდა ძურძუკეთი კაცთა მეორემან მეფემან საურმაგმან აჰყარა მუნიდგან და მისცა აქა სავანე და დასხნა სულნი დიდძალნი, ამის გამო ეწოდა სვანეთი. არამედ არიან კაცნ დიდ ტანოვანნი, ახოვანნი, დიდ მძლე მუშაკნი, ბართა შინა რაზმთა ვერ შემმართებელნი და სხვა... [24]).

უადგილო არ იქნება შევნიშნოთ, რომ აქ ლაპარაკი უნდა იყოს იმ საურმაგ მეფეზე, რომელიც იყო ძე საქართველოს პირველი მეფის ფარნავაზ ნებორთიანისა. ეს საურმაგი მეფობდა 206-162 წლამდე ქრ. წინ და ამისდა მიხედვით, ვახუშტის აზრით, სვანების მათ ქვეყანაში დამკვიდრება უნდა მომხდარიყო მე-3-2 საუკუნეში ქრ. წინ, რაიცა სინამდვილეს მოკლებულია შემდეგი მოსაზრებით: ლეონტი მროველი მოგვითხრობს, რომ ფარნავაზმა მისცა ქუჯის ქვეყანა ეგრისის წყალსა და რიონის შუა ზღვიდგან მთამდე, რომელსა შინა არის ეგრისი და სვანეთიო“ [25]) და ეს ცნობა, სხვათა შორის, ეწინააღმდეგება ვახუშტის ზემოდმოყვანილ სიტყვებს, ვინაიდან სვანეთი საურმაგის მამის ფარნავაზის დროს საერისთაოდ ითვლებოდა და საურმაგის მეფობამდე ამ ქვეყანაში კარგა ხნით ყოფილან დასახლებული. თავის საქართველოს გეოგრაფიულ აღწერილობაში თვით ვახუშტის ერთს ალაგას თავისი ამგვარი აზრის უარისმყოფელი ანუ საწინააღმდეგო ცნობები აქვს მოყვანილი. ის სწერს: ,,სენაკის ზევით, უნაგირას ძირში არს ნაქალაქევი, ციხე გოჯად წოდებული, ეს აღაშენა პირველ მეფის ფარნავაზის ჟამს ქუჯიმ, ქალაქი და ციხე და ამისი საერისთაო იყო სრულიად რიონის დასავლეთი სვანეთით“ [26]). ეს ის ქუჯია, რომელიც ფარნაოზმა პირველად დანიშნა ერისთავად, თვისი და მას ცოლად მიათხოვა და მისცა მას საერისთაოდ რიონის მდინარიდგან ერგასის მდინარემდე ყოველი კოლხიდა სვანეთითურთ...[27])

გარდა ამისა, მეცნიერების აზრით, სვანები შავი ზღვის ნაპირებიდგან, ე. ი. სამხრეთიდგან უნდა ამოყოლოდნენ მდ. რიონის, ცენის წყლის და ენგურის აუზებს და ამ გზით უნდა შესულიყვნენ დღევანდელ სვანეთში და არა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარე ძურძუკეთიდან.

დასასრულ, წინააღმდეგ ვახუშტის აზრისა, თუ არა იძულებით, და ძლიერი მტრის მოწოლითა და მის მიერ აყრის გამო, მარტო იმ მოვლენის მეოხებით, რომ ძურძუკეთის ოლქში ხალხი ვერ ეტეოდა, არ უნდა მომხდარიყო სვანების იმ ქვეყნიდან აყრა და დღევანდელ სვანეთში სამუდამოდ დაბინავება. ეს ისტორიული ამბავი უნდა მომხდარიყო მაშინ, როდესაც აზიიდან პირველად დაძრულსა და შავი ზღვის ნაპირებზე ანუ მის ახლო-მახლო მდებარე ადგილებში დამკვიდრებულ სვანებს მიაწვებოდა იმ ქართველების მძლავრი ტალღა, რომლებიც, როგორც ზემოთ არის ნათქვამი, მათ შემდეგ იყვნენ აყრილნი ზემოხსენებულ ველურ ხალხების შემოსევის წყალობით. ისინი მიატოვებინებდენ სვანებს ამ ადგილებს და ჩრდილოეთისაკენ გარეკავდნენ. თუ ეს ასე არ არის, იმ შემთხვევაში სვანეთს მაინც არ უნდა დარქმეოდა **„სავანე“** (შესახიზნი), როგორც გვიხნის ვახუშტი, რადგან ძურძკეთში სივიწროვის გამო აყრილსა და თავის სურვილით საცხოვრებლად არჩეულს ადგილს ისეთი სახელი არ დაერქმეოდა.

ვახუშტის შეცდომა უნდა ჰქონდეს აგრეთვე სვანეთის საგეოგრაფიო სახელების აღწერილობაში. ის სწერს: ,,ლეჩხუმის სამხრეთით არის ლაშხეთი. ლეჩხუმის სამხრეთით და ოდიშის აღმოსავლეთით ეცერი. აქ არს ეკლესია, სვეტად წოდებული, სახიზარი სვეტის ცხოვლის სამკაულ-საუნჯისა, რომელსა შინა იტყვიან სვეტის ცხოველის კანკელის ყოფასა დღესცა – რომელიც მიიღო გორგასალ ინდოეთიდგან, წითლის იაგუნდით ქმნილი. არამედ საჩინოდ არიან აწცა ხატნი და ჯვარნიოქრო-ვერცხლისანი, მოჭედილნი ქვითა, მრავალნი და პატიოსანნი, დიდნი და მცირენი, რომელთა ზედა აქვთ სასოება და პატივს სცემენ, არამედ უმჯობესი ხატი უბიათ ძეწკვითა ოქროსათი და იტყვიან, უკეთუ აუშვათ, დალეწავს ყოველსავე აქა მყოფსა ხატ-ჯვართა და ესოდენ უგუნურ არიან თვისთა უცნობელობითა, არამედ თუ შევიდეს მუნ სასიკვდინო ანუ ტყვე, რაისაღან უყოფენ, განა განუტევებენ თავისუფლად, კვალად აღმთქმელსა ანუ შემფიცარს მას ზედა დაერწმუნებიან ფრიად და სხვ [28])“...

საქმე იმაშია, რომ ლაშხეთი მდებარეობს არა რაჭა-ლეჩხუმის სამხრეთით, როგორც ვახუშტი გვაუწყებს, არამედ ჩრდილოეთით, ეცერი და საერთოდ ზემო სვანეთი მდებარეობს არა ლეჩხუმის სამხრეთით, როგორც ამბობს იგივე ავტორი, არამედ

ლეჩხუმის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. ეცერის ტაძრის აღწერილობა უნდა ეკუთვნოდეს არა ამ ეკლესიას, არამედ კალის ცნობილ წმ. კვირიკეს და ივლიტეს მონასტერს, რომელზედაც არის სწორათ ზედგამოჭრილი ყოველივე, ის, რასაც ვახუშტი ეცერის ეკლესიის შესახებ ამბობს. კალის ხსენებული მონასტერი მართლა სავსეა საეკლესიო სიმდიდრით და ხატ-ჯვარით. ის ხატი, რომელიც ოქროს ძეწკვით უბიათ, რომ სხვა ხატ-ჯვარი არ დალეწოსო, ამ მონასტერში ინახება. მას დღემდე შეიარაღებული ყარაული იცავს და ყოველ კუთხიდან დასაფიცებლად ამ ტაძარში მოდიან, რადგან მისი გატეხვა ყოვლად შეუძლებლად მიაჩნიათ და ამიტომ ბევრ ბოროტებას, სისხლის ღვრას და შურის ძიებას უღებენ ბოლოს ამ ეკლესიაზე დაფიცებით ადგილობრივი მცხოვრებნი.

ეცერის ეკლესია კი ძალიან ღარიბია ხატ-ჯვარით, საეკლესიო ქონებით და დასაფიცებლადაც მას სვანეთისთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

ვახუშტი უნდა სცდებოდეს აგრეთვე ლეხუმის საგეოგრაფიო სახელის ახსნაში, ვინაიდან ის სწერს: ,,ხოლო ლეჩხუმი ეწოდება ხომლის კლდის გამო“. ნამდვილად კი ეს საგეოგრაფიო სახელი უნდა იყოს სვანურ-მეგრული, რადგან თავსართი მისი ,,ლე“ არის სვანურ ქვეყნების საგეოგრაფიო სახელების აღმნიშვნელი, ხოლო ჩხუმი კი მეგრულად კალმახი. ერთად, რომ გადავთარგმნოთ, ლეჩხუმი ნიშნავს საკალმახეს [29]).

ამნაირად სვანების დღევანდელ სვანეთში შემოსვლა უნდა წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით:

სვანების ერთი ნაწილი, შავი ზღვის ნაპირების მიტოვების შემდეგ, როგორც ზემოდ არის ნათქვამი, ამ ადგილებს უნდა შერჩენოდა და აქედგან გაჩნდებოდა ,,სვან-კოლხების ნარევი ტომი“, ხოლო მეორე ნაწილი, კოლხების მიერ დევნილი, შესულა დღევანდელ ლეჩხუმ-სვანეთისა და რაჭის მთა-გორიან ადგილებში.

ლეჩხუმში არსებული ის საგეოგრაფიო სახელები, რომლებიც ჯავახიშვილს წმინდა მეგრულ ეთნიურ სახელებად მიაჩნია (ოფიჩხეთი, ონჭეიში, ქორენიში, ტვიში, ღვირიში, ზოგიში და სხვ.), ჩვენ გვიმტკიცებს, რომ კოლხებს ამ დევნის დროს სვანებისათვის მდ. რიონის აუზში ანუ ნაპირებზე დამკვიდრების საშუალებაც არ მიუციათ და თვითონ დაბინავებულან, ხოლო სვანების ერთი ნაწილი აქედგან გადასულა და დამკვიდრებულა

ჩრდილოეთით – მდ. ცენის წყალისა და ენგურის აუზებში, ე. ი. დღევანდელ ლეჩხუმ-სვანეთში, ამ მდინარეების სათავიდგან დაწყებული, სტრაბონისა და პლინიუსის თქმით, დიოსკურიამდე [30]).

დღევანდელ ლეჩხუმის ცენის წყლის აუზში მდებარე ტერიტორიაზე რომ სვანები იყვნენ დამკვიდრებული და ლეჩხუმის ეს ნაწილი მათ სამფლობელოს წარმოადგენდა, ხოლო ზემო რაჭის მთა-გორიანი ადგილები სვანეთის ერთ ნაწილს ეპყრა – ამას ჩვენ, სხვათა შორის, ნათლად გვიმტკიცებს რაჭაში და ლეჩხუმში არსებული შემდეგი წმინდა სვანური საგეოგრაფიო სახელები.

ცაგერი. ,,ცაგ"-ი სვანურად ერთს ეკლიან ბალახსა ჰქვია. ხოლო ამ ცაგით ანუ მცენარით დაფარულს ადგილს სვანები ,,ცაგარს" ეძახიან და, ვინაიდან დაბა ცაგერი სწორედ ამ ბალახით არის უხვად დაჯილდოვებული, ამიტომ, ცხადია, მისი სახელწოდება წმინდა სვანურია და სვანური სიტყვა ცაგარისაგან წარმომდგარი [31]).

ჩხუტელ. ,,ჩხუტარ" სვანური სიტყვაა და ნიშნავს წვრილ ქვიანს. რადგან ს. ჩხუტელი ასეთს ადგილს წარმოადგენს, სვანებსაც მისთვის შესაფერისი სახელი დაურქმევიათ.

მახურა. ,,მეხვრე" სვანურად ოღრო-ჩოღრო ადგილს ქვიან და ამიტომ სიტყვა მეხვრესგან არის წარმომდგარი მისი სახელი.

ჩვალბეჩი. ,,ჩვალბაჩ" სვანურად ნიშნავს ქვიან სამეწყერო ადგილს.

ლარჩვალ. ,,ლაჩვალ" სვანურად ნიშნავს სამეწყრო ადგილს; ამისთანა სახელი ,,ლანჩვალ" მესტიის საზოგადოების ერთს სოფელსაც ჰქვია.

ლედეშდო. ,,ლადაშდვ" სვანურად ჰქვია სადათვე ადგილს, და სოფ. ლედეშდოს სახელიც ამას უდრის.

ლუხვანო. ,,უხვან" სვანურად ჰქვია კლდეს. ხოლო ლუხვანო კლდოვანს ნიშნავს სვანურათ.

ლეშგედო. ლეშგედო ანუ ,,ლამშგედ" უმზეო ადგილის სახელია სვანურად.

ლახეფა. ლახეკა სვანურად იმისთანა მოფერდო ჩამოკიდებულ ადგილს ქვია, საიდგანაც ხშირად ქვები თავისით ჩამოცვივდება ხოლმე.

ლაძგვერია. ,,ძგვერ“ სვანურად ნიშნავს მოფერდოსა და ჩამოფხეკილ ადგილს. თავსართი ,,ლა“ ადგილის ასეთს თვისებას გვიხატავს. ლა-ძგვერია, რომ გადავთარგმნოთ, წმინდა სვანურს წარმოადგენს და მოფერდოს ნიშნავს.

დეხვირი. ,,ლუხვირ“ სვანურად ჩღრმავებულს ქვია და ამ სიტყვიდან უნდა იყოს დეხვირის სახელი წარმომდგარი.

უცხერ. ,,უცხარ“ სვანურად მსხლიანი ადგილის სახელია.

გოლა. სვანურად ,,გოლაᲥ“ ჩამოკიდებულ ადგილს ჰქვიან. ლეჩხუმში მურის ციხეებს ზემოდ მდებარე ადგილი ატარებს ამ სახელს და სვანებსაც შესაფერისი სახელი დაურქმევიათ მისთვის.

ლაბეჭინა. ლაბეჭ სვანურად ქიან ალაგს და აქედგან არის ეს სახელი წარმოშობილი.

ლაჭებიდა. წმინდა სვანურია და ნიშნავს მისამწყვდევს.

ნაკ-შოლტი. ესეც სვანურ სიტყვა ,,ნაკ-შველტისაგან“ შესდგება.

ბჭყალა. ,,ჭყალ“ სვანურად ჭაობიანს ქვიან. და სხვა და სხვა...

ასეა თუ ისე, სვანების ერთი ნაწილი რომ დღევანდელ ლეჩხუმში დამკვიდრებულა და დღემდე ამ კუთხეს შერჩენია – ეს შეურყეველ ფაქტად და ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს. ამას, სხვათა შორის, ის გარემოებებიც გვიმტკიცებს, რომ დღევანდელ ლეჩხუმში მცხოვრებთა ნაწილი წმინდა სვანურ გვარებს ატარებს – მაგალითად: გასვიანი, მუშკუდიანი, კახიანი, გურგუჩიანი (გურჩიანი), გვიშიანი (გვიჭიანი), ჩორგოლიანი, გოლეთიანი (გულედანი), გულბიანი (გულბანი), ყიფიანი, დავითულიანი, რატიანი, ჩხეტიანი, ხერგიანი, მაღრიანი (მარგიანი), კოპალიანი, ლიპარტელიანი, ჩარკვიანი, ჟორჟოლიანი, იოსელიანი, დევდარიანი და მრავალი სხვ.

მაგრამ ცხადია, რომ ლეჩხუმის მკვიდრთ შეუნახავთ დღემდე სვანური სოფლების ეთნიური სახელები, ხოლო დროთა მეოხებით ანუ სხვა ქართველების შერევით მომხდარმა ზეგავლენამ სვანებს ლეჩხუმში გამოაცალა ხელიდან სვანური ენა, რომელიც ქართულმა შთანთქა ისე, როგორც ეს დაემართა ურართუს სახელმწიფოში და შემდეგ შავი ზღვის ნაპირად დარჩენილ სვანებს სომხურისა და მეგრულის გავლენის წყალობით. ამ ჟამადაც ქვემო სვანეთში სვანური ენა ქართველი ხალხის (ლეჩხუმისა და რაჭველების) მეზობლობით მომხდარმა ზეგავლენამ იმდენათ

დაამახინჯა, რომ მოსალოდნელია ახლო მომავალში აქაც სვანური ენა სრულიად გაქრეს და მისი ადგილი ქართულმა დაიკავოს, ვინაიდან ქართულსა და სვანურს შორის იმდენი მსგავსება ანუ ერთიანობა და ნათესაობა არსებობს, რომ სვანებისათვის ქართულის შესწავლა რამოდენიმე თვეშიც საფუძვლიანად შეიძლება.

სვანების ერთი ნაწილი ამ მოძრაობის დროს, როგორც არის ზემოდ ნათქვამი, უნდა დამკვიდრებულიყო აგრეთვე ზემო რაჭაში: ღებში, ჭიორაში და გლოლაში და იმ სვანების წარმომადგენლებათ უნდა ჩაითვალონ ამ კუთხის მცხოვრებნი [32]). აქაც ისე, როგორც ლეჩხუმის ტერიტორიაზე დასახელებულ სვანებზე ქართველებისა ანუ ქართული ენის გავლენის ქვეშ ყოფნამ, სვანებს დააკარგვინა სვანური, რომლის ადგილიც ქართულმა დაიჭირა, ხოლო დღემდე ამ ხალხს შეუნახავთ წმინდა სვანური: ტიპი, ზნე-ჩვეულებები, ძველი ტრადიციები, ფერხული სიმღერები, სვანური ტიპისა და კონსტრუქციის შენობების აგება, ოჯახის მოწყობილობა და ავეჯეულობა, ტანისამოსი, მუსიკალური ინსტრუმენტები – ჩანგი, ჭიანური და აგრეთვე შემდეგი სოფლებისა და ადგილების სვანური საგეოგრაფიო სახელები: ღები, გლოლა, გომი, ნაკეთი, ღარი, ბოყო, ჭვიბრევ, ლაჭთა, ლაგვანთა, ბუგეული, მოტყიერი, ბაჯვი, ფუტუეთი, ჩორილი, ჭირა, ლესორა, ცხომი და სხვ.

ღებ. სვანურად ,,ღვებ“ ჩაღრმავებულს ნიშნავს და ღების სახელწოდება ამ სიტყვიდან უნდა იყოს წარმომდგარი.

გლოლა. ,,გლოლაჲ“ სვანურად ნიშნავს ჩამოწოლილს ანუ მოფერდო ადგილს.

გომი. სვანურ სიტყვა ,,გვემ“-ისაგან უნდა იყოს წარმომდგარი.

ნაკეთი. ,,ნაკ“ სვანურად ვაკეს ქვიან.

ღარი. ,,ღარ“ სვანურად ჰქვია ღელეს, ვიწრო ხეობას.

ბოყო. სვანური სიტყვა ბეყვისაგან უნდა იყოს წარმომდგარი.

ჭვიბრევ. სვანურად ,,ჭვიბრა“ ქვიან ჭაობიან ადგილს და აქედგან უნდა იყოს წარმოშობილი ჭვიბრევის სახელწოდება.

ლაჭთა. სვანური სიტყვა ,,ლაჭთა“-საგან უნდა იყოს წარმომდგარი, რაიცა ნიშნავს დასაგმობს, დასაწყევლ ადგილს.

ლაგვანთა. ,,ლაგვან“ ქვია სატირალს ადგილს, ხოლო ამ სიტყვაზე მიმატებული ,,თა“ უნდა ნიშნავდეს მთას, ,,ლაგვანთა“ ერთად სატირალს მთას.

ბუგეული. ,,ბოგ“ სვანურად ხიდს ჰქვიან და ამ სიტყვიდან უნდა შესდგებოდეს ს. ბუგეულის სახელწოდება, რაიცა სვანურად სახიდეს უნდა ნიშნავდეს.

მოტყიერი. სვანურად ,,მუტყურა“ ქვია მოტალახოს ანუ ტალახიან ადგილს.

ფუტუეთი. სვანური სიტყვა ,,ფუტუ“-საგან არის შემდგარი.

ჭირა. სვანურად ,,ჭირა“ ქვიან ტანჯვა-წვალებას და სოფელსაც ასეთი სახელი მიუღია რაღაც გარემოებით.

ლესორა. სვანური სიტყვა ,,ლესური“-საგან უნდა შემდგარიყო და სხვ.

ყველა ზემოხსენებული ცნობები მოწმობენ, რომ დღევანდელ სვანეთის საზღვრები ძველ დროში ეხლანდელზე გაცილებით უფრო შორს მიდიოდნენ: სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთითაც, ამიტომაც სტრაბონს მაშინდელ სვანეთის დასავლეთის საზღვარი დიოსკურიამდე აქვს ნაჩვენები, ხოლო პლინიუსის თქმით მდ. ხოფი სვანეთის მიწაზე დიოდა. როგორც სჩანს სტრაბონის ცნობებიდგან, სვანებს მაშინ დიდი ტერიტორია ეჭირათ.

დიახ, სტრაბონმა თუმცა გაკვრით, მაგრამ პირველად მშვენივრად აგვიწერა სვანების მისი დროის ყოფა-ცხოვრება და ასე გადმოგვცა:

,,სონნი ძლიერი ხალხია, მგონია იგინი ვაჟკაცობითა და სამხედრო ძალღონით თითქმის ყველაზე ქველნი არიან. სონნებს კავკასიონის ქედის დასავლეთის ნაწილი და სამხრეთი ფერდოები უჭირავთ დიოსკურიამდე (სოხუმამდე). სონნები ბინძურად სცხოვრობენ, მარტო ტყის ხილეულობითა, ნანადირევის ხორცითა და რძით იკვებებიან. ზამთარში ეს ქვეყანა მიუვალია და ფეხზე თხილამურ აკრულნი და ტყავზედ დაჯდომით თუ არ ჩამოცურდებიან მთებიდგან, სხვაფერ მოგზაურობა საშიშიაო“...

,,... სვანებს ჰყავთ თავისი ხალხის მიერ ამორჩეული მეფე და საბჭო, რომელიც შესდგება 300 კაცისაგან. იგინი ხელმძღვანელობენ გარშემო მოსახლე ერებს, რომლებზედაც გაბატონებული არიან. ამბობენ, რომ მათ შეუძლიათ გამოიყვანონ საომრად 200.000

მეომარი, რადგანაც მთელი ეს ხალხი მეტად მეომარია, თუმცა სამხედრო წესები არ იციან. სვანები თავის ისრების მოსაშხამავად ხმარობენ რაღაც საშინელ შხამს, რომლის მყრალი სუნი ბნედავს დაჭრილსაო“ [33]).

ამნაირად, ჩვენ დავინახეთ, რომ ის ერთი მუჭა სვანეთის ხალხი, რომელიც ჩვენ დრომდე განაგრძობს არსებობას, ამჟამად წარმოადგენს მხოლოდ საცოდავ ჯგუფს ანუ ნაშთს ოდესღაც ძლიერებით, სომრავლით, საკუთარი პოლიტიკური სახით განთქმულ სვანეთის ხალხისას.

ცხადია, ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან, როგორც ზემოდ დავინახეთ, სვანეთის ერთი ნაწილი ურართუს სახელმწიფოს შერჩა, მეორე ნაწილი შავი ზღვის ნაპირებიდან გადმოხვეწის დროს ამ ადგილებს შერჩა – კოლხებს დახვდა, გაერია და ,,გაკოლხდა“; ხოლო მესამე ნაწილი ლეჩხუმსა და ზემო რაჭას შერჩა, სადაც მეზობლების გავლენის ქვეშ ყოფნით გაქართველდა, დაკარგა სვანური სახე, ის ენა, ზნე-ჩვეულებები და ტრადიციები, რომლებიც სვანებს გამოყავთ თავისი უუძველესი საბინადრო ქვეყნებიდგან, და რომელთა პირველყოფილ სახით შენახვა ადგილობრივ ბუნებრივ და გეოგრაფიულ პირობების წყალობით ბედს მხოლოდ სვანებისათვის ურგუნებია.

21) ჯავახიშვილი. ქართ. ერის ისტორია. გვ. 58; გორგაძე. საქართველოს ისტორია. გვ. 33.

22) ჯავახიშვილი. ქართ. ერ. ისტ. გვ. 45.

23) როგორც ვხედავთ, პტოლომეის დროს, ე. ი. მე-4 ს. ქრ. დაბადებამდე, სვანებისა და კოლხების ნარევი ტომი არსებობდა სამხრეთში, რასაც შეუძლია დაგვარწმუნოს, რომ მე-4 ს. ქრ. წინ სვანებს მიუტოვებიათ შავი ზღვის ნაპირები, კოლხების გავლენის ქვეშ ყოფნა აქ მყოფს სვანებს შემდეგში დაუკარგავდა თავის სახეს და გაკოლხდებოდნენ და აქედგან წარმოსდგებოდა ისტორიკოსების მიერ მოხსენებული სვან-კოლხების ტომიჩ.

24) ვახუშტი ბატონიშვილი. საქართველოს გეოგრაფია. გვ. 316.

25) ჯავახიშვილი. ქართ. ერ. ისტ. გვ. 276.

26) ვახუშტი. საქ. გეოგრ. გვ. 298.

27) ბარათაშვილი. საქ. ისტ. გვ. 48.

28) ვახუშტი. საქართველოს გეოგრაფია. გვ. 315.

29) ამავე აზრს გამოსთქვამს ამ საგანზე აგრეთვე ჯანაშვილიც.

30) ამ ბოლო დროს სვანებმა დაიწყეს სოხუმის ოლქში გადასახლება, გაყვნენ მთის კალთებს, სოხუმს მიუახლოვდნენ და უკვე ძველი ზემო სვანეთის დასავლეთის საზღვრები აღადგინეს.

პლინიუსის ცნობითაც მტკიცდება, რომ მის დროს სვანებს სამეგრელოს დღევანდელი მიწა-წყლის ნაწილი ეპყრათ. მდ. ხოფი სვანეთის მიწაზე დისო, ამბობს ის.

31) ამავე აზრის არიან ამ საკითხში ნ. მარი და ი. ჯავახიშვილი.

32) ძველ კლასიკურ მწერლების ცნობებით 300 წლის წინეთ ქრისტეს შობამდე სვანები მოსახლეობდენ ზემო რაჭაში. С Эсадзе. Историч. записка об управл. Кавказом. Т. I. Стр. 110.

33) ჯანაშვილი. ვახუშტი და მისი შრომა, გვ. 316 და 317; ჯავახიშვილი. – ქართ. ერის ისტ. გვ. 88.

სვანების ძველი კულტურა და ეკონომიური მდგომარეობა

ამდენჯერ აყრისა, მუდმივი დევნისა და რბევის შემდეგ სვანების კულტურული და ეკონომიური მდგომარეობა, რა თქმა უნდა, თვალსაჩინოთ დაეცემოდა და უკიდურეს წერტილამდე მიაღწევდა, რასაც, სხვათა შორის, ხელს უწყობდენ აგრეთვე სვანეთში არსებული გეოგრაფიული და ბუნებრივი პირობები. უგზოობის გამო სამხრეთიდგან მათ ბევრი არაფერი შეყვებოდათ სვანეთში და ვიდრე მიწის დამუშავებას და მეურნეობას განავითარებდენ, მანამდე დიდ სიღატაკეს, შიმშილობას და გაჭირვებას განიცდიდენ. ამას კარგად ამტკიცებს აგრეთვე სტრაბონის ცნობებიც, რომლის თქმითაც მის დროს სვანები ბინძურად ცხოვრობდნენ, მარტო ტყის ხილეულობით, რძითა და ნანადირევის ხორცით იკვებებოდნენ. შიმშილის მწარე გავლენას მაშინ, ეტყობა, იმ ზომამდე მიუღწევია, რომ სვანები ტყის ხილეულობის გარდა იძულებული გამხდარან შეჩვეოდნენ აგრეთვე ბევრ სხვა და სხვა მცენარეების ჭამას, რომლებსაც სვანები დღემდის ჭამენ როგორც ხილს, მაგალითად ღეჭ, ლეცირი, ბურღვი, წუწკა, კუც, ჩვემლა, ჩვეჩლა, მუქურილ, მინთორი, მუთხვარი, გიცვრილ, მუცანგი და სხვ., რომელსაც კულტურულ ქვეყნის კაცი პირს ვერ წააკარებს.

სვანეთის მთებში, უდაბურ ტყეებში და ღრეებში აუარებელი ჯიხვი, არჩვი, შველი, დათვი, კვერნა,მგელი, მელა და სხვა ნადირი არის. რა თქმა უნდა, ძველათ გაცილებით მეტი იქნებოდა და მათზე ნადირობასაც იმ დროს, ცხადია, სვანების არსებობისთვის თითქმის უმთავრესი მნიშვნელობა ექნებოდა.

ნანადირევი ხორცი რომ მათთვის საუკეთესო საზრდოს შეადგენდა, ეს, სხვათა შორის, იქიდგანაც სჩანს, რომ ნადირობა დღემდე სვანეთში დიდ სარწმუნოებრივ ნიადაგზეა დამყარებული. მთა ადგილებში და კლდეებში მყოფ ჯიხვ-არჩვისა და სხვა ნადირის ღმერთიც კი შეუქმნიათ მათ.

ამ ღმერთს სვანები სახელად ,,დალს“ უწოდებენ. მათი წარმოდგენით, ეს ,,დალი“ ლამაზი, მზეთუნახავი, მუდამ კლდეებში მყოფი, ოქროს ნაწნავიანი ქალი არის.

სვანების წარმოდგენით სქესობრივი მოთხოვნილება იმასაც აქვს, რასაც ჩვენ გვიმტკიცებს შემდეგი სვანური ფერხული სიმღერები და გადმოცემანი: მუშკიდ დარჯელანი (მჭედელი დარჯელანი) ანუ ამირანი, დალი კოჯას ხელღვაჟალე (დალი კლდეში მშობიარობს) და ,,ბეთქილი“.

მჭედელ დარჯელანზე ანუ ამირანზე გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ერთს სოფლის თავში აღმართულ დიდი კლდიდგან ყოველწლიურად სამჯერ იმისთანა კივილი ისმოდა, რომ ორსულ ქალს, მაკე ცხენს, ძროხას, თხას და სხვა პირუტყვს მუცელში შვილს არ არჩენდა, მიწა და ხე-ტყე შიშისაგან ძვრას იწყებდენ. მჭედელმა დარჯელანმა გადასწყვიტა ასულიყო ამ კლდეზე და გაეგო, თუ ვინ იყო ქვეყნის დამღუპველი. მან გააკეთა რკინის ჯოხები, ავიდა კლდეზე, რომელსაც სამჯერ რკინის ჯოხი ჩაჰკრა და შიგ ჩასტეხა. ხოლო როცა შიგ შევიდა – ნახა ,,დალი“. დარჯელანს და დალს ერთმანეთი შეუყვარდათ და დალი მალე დაორსულდა. დარჯელანმა რომ კლდეში სიარულს მოუხშირა, ცოლი დაეჭვიანდა და ერთჯერ თავის ქმარს ჩუმად უკან გაჰყვა. ქმარი მან დალთან მწოლიარედ შეისწრო, მიეპარა დალს და ოქროს ნაწნავი მოსჭრა. დალმა რომ გამოიღვიძა, მიხვდა, რაც დაემართა და ძალიან შეწუხდა. მან სთხოვა დარჯელანს, რომ გაეჭრა მისთვის მუცელი, იქიდგან შვილი გამოეღო, კუროს ტყავში გაეხვია და ისეთს ადგილას დაედო, სადაც სამი გზა ერთათ თავს იყრის. დარჯელანმა მისი ბრძანება შეასრულა და როდესაც ამ გზით წმ. გიორგი, მიხეილ

მთავარ ანგელოზი და გაბრიელი მიდიოდნენ ბავშის კივილი მოესმათ. ისინი გაოცდნენ, იცვნეს, რომ ეს მათი ნათესავის ხმა იყო. ეს ბავშვი აიყვანეს და მიაბარეს დარჯელანს, რომელმაც გაზარდა და სახელად ამირანი დაარქვა.

ფერხული სიმღერა **„დალი კოჯას ხელღვაჟალე“** გვაუწყებს, რომ დალს მშობიარობის დროს კლდიდან შვილი გადმოუვარდა. კლდის ძირში მას მგელი დახვდა – წაავლო კბილი და ტყისკენ გააქანა. ამ დროს ერთი მონადირე შემთხვევით მივიდა მოსასვენებლად და სასაუზმოდ ამ კლდის ძირში. მას საშინელი კივილი მოესმა, აიხედა ზევით და ნახა დალი, რომელსაც შეეკითხა, თუ რაში იყო საქმე. დალმა შესჩივლა მიზეზი ასეთი მწარე კივილისა, ე. ი. მგლის მიერ შვილის წართმევა. მონადირემ გაიხედა ტყისაკენ და ნახა, რომ მგელს ბავშვი მიჰყავდა. ესროლა თოფი, მოკლა მგელი და დალს შვილი მიუყვანა.

გახარებულმა დალმა მონადირე დალოცა და საჩუქრად აღუთქვა ყოველწლიურად მარიამობის თვეში სამ-მტკავლიან რქების მქონე რვა ჯიხვის მიცემას, ბარბალობას შვიდი ჯიხვის, ყოველ კვირებს თვითო არჩვის, დიდი ხნით სიცოცხლეს და მთელი მისი შთამომავლობის ნადირობის ნიჭით დაჯილდოვებას.

ფერხული სიმღერა **„ბეთქილ“**-ი ჩვენ გვაცნობებს, რომ ყველიერის აღების კვირას, როდესაც მთელი მულახის ხალხი სოფ. ჟაბეშში იყვნენ სადღესასწაულოდ თავმოყრილი, ამ დროს ამ ადგილას გაჩნდა ჯიხვი და მერე კლდისკენ გაიქცა. მას უკან დაედევნა განთქმული მონადირე ბეთქილი, რომელსაც ჯიხვი მიუძღვა ისეთს კლდეში, სადაც მარტო ცალი ხელის მოსაკიდებელი და ცალი ფეხის დასადგამი ადგილი დარჩა. აქ ბეთქილს ეუწყა, რომ მას „დალმა“ საშინელი განაჩენი გამოუტანა იმისთვის, რომ მან „დალს“ უღალატა, თვისი რძალი თამარი შეიყვარა და ჯიხვიც მის კლდეში გამოსატყუებლად და აქედგან გადაგდებით დასასჯელად იყო მისგან გამოშვებული და სხვა...

სვანებს მთები და კლდეები წმინდანების ადგილებად მიაჩნიათ და ამიტომ თავისი დალიც ამ ადგილებში ეგულებათ. ამისდა მიხედვით სვანები სანადიროდ ისე ვერ წავლენ, თუ კი იმაში არ დარწმუნდნენ, რომ მის ოჯახში და მეზობლად მყოფ ქალს ანუ კაცს გარდა ცოლისა ანუ ქმრისა სხვასთან საქმე არა ჰქონიათ და აგრეთვე თუ ქალებს თვიური ავადმყოფობა და მშობიარობა არა

აქვთ, ხოლო როცა ამ მხრით დაბრკოლება არ ეძლევა, მაშინ გათენებამდე ჩუმად მიდის სანადიროდ, მიაქვს თან თავი არაყი, სანთელი, შესაწირავი პური (,,ლემზურალ“).

მთაზე ყველა ამას ხელში იკავებენ მონადირეები, სანთელს ანთებენ და ეხვეწებიან ,,სვევი მუჰვდი ღერბათ“ (სვევის მიმცემ ღმერთს), ე. ი. დალს და წმინდა გიორგის, რომ მათ ნადირობაში გამარჯვება უწყალობონ და შემდეგში ადიან სანადიროდ კლდეებში.

ამ ნადირობის დროს მონადირემ თუ რამე მოკლა, მისთვის სავალდებულოა ნადავლი საიდუმლოდ მიიტანოს სახლში, რომ ნადირობას ავი თვალი არ ეცეს. ნანადირევის თავის ნახვა დედობრივი სქესის წევრებსაც არ შეუძლიათ. რქებს ხშირად სწირავენ ეკლესიებს, ზოგიერთ საზოგადოებაში მონადირე რომ რამეს მოკლავს, მეორე დღესვე სახლში დაბრუნების შემდეგ მიდის ეკლესიაში, მიაქვს არაყი, პური, ნანადირევის ხორცი, პატიჟობს მეზობლებს, რათა მადლობა შესწირონ ღმერთს (დალს) მთებიდან გამარჯვებულად დაბრუნებისათვის და სხვ...

ზემოხსენებული გარემოება ხელს უწყობს იმ ლოღიკურ დასკვნის გამოტანას, რომ ნადირობას ძველ დროში უმთავრესი მნიშვნელობა ექნებოდა ხალხის არსებობისათვის სვანეთში და ამიტომ ეკიდებოდნენ ასეთი მოწიწებით ამ საქმეს...

მაგრამ ადვილად შეიძლება, რომ სვანეთში არსებული ზემოხსენებული ქალღმერთის ,,დალის“ თაყვანისმცემლობა წარმოადგენდეს ძველ დროში – ფინიკიაში, საბერძნეთში და შემდეგ საქართველოში ქალღმერთის თაყვანისმცემლობის ნაშთს.

ამ ქალღმერთს დასახელებულ ქვეყნებშიც სახავდენ ქალწულად, მთებში და ტყეებში მობინადრეთ, რომელიც მფარველობას უწევდა მონადირეებს... და ამიტომ მისი გულის მოსაგებად სამღვთოთ სწირავდენ ადამიანებს და სხვ... ვითარცა სიმაღლეთა ქალღმერთს, ქალთა ქალწულობისა, ცოლ-ქმრობისა და ზნეობის დამცველს. მისი კერპი შემოიტანა საბერძნეთით მეფე რევის (187-213 წ.) ცოლმა სეფილიამ, ხოლო შემდეგში მისი სახელის საკერპო ტაძარი უნდა ყოფილიყო, ჯანაშვილის თქმით, სოფ. ცაიშს, სადაც ქრისტიანობის ჟამს ააშენეს ტაძარში ცაიშში [34]).

ამნაირად, როგორც ვხედავთ, ფინიკიაში და საბერძნეთში ქალღმერთი ითვლებოდა სიმაღლეთა ღმერთად, მონადირეების

მფარველად, მთებზე მობინადრედ, ცოლ-ქმრობის და ზნეობის დამცველად, რომელსაც ქალის მსგავსად სახავდნენ. სვანეთშიც ამგვარსავე წარმოდგენის არიან თავის ,,დალად“ წოდებულ ქალღმერთზე, რასაც მშვენივრად გვიმტკიცებენ ზემოხსენებული გადმოცემა მჭედელ დარჯელანზე და ფერხული სიმღერები: დალი კლდეში მშობიარობს და ბეთქილი.

სამხრეთიდან დევნის დროს სვანებს, ეტყობა, ეკონომიურ სიღატაკესთან ერთად დღევანდელ მათ სამკვიდრებელ ქვეყანაშიც შემოყოლიათ დიდი კულტურა მადნეულობის დამუშავებისა და სხვა ხელოვნებისა, რასაც მკვლევარი განცვიფრებაში მოჰყავს.

ივანე ჯავახიშვილი მოგვითხრობს, რომ მადნეულობების დამუშავებაში ძველ დროში ქართველებს საპატიო ადგილი ეჭირათ და დიდი ღვაწლი მიუძღვით განათლებულ კაცობრიობის წინაშე. განსაკუთრებით ტუბალები და მესხები იყვნენ განთქმულნი თითბერის დამუშავების ხელობაში და სხვა ერებს მადნეულობის სახელები ქართველებისაგან უნდა მიეთვისებინათ, ვინაიდან ისინი მარტო თავისათვის კი არ აკეთებდნენ ამ მადნეულობისაგან სხვა და სხვა საჭირო ნივთებს და იარაღებს, არამედ ეს ნივთები გაჰქონდათ აგრეთვე ისეთ უცხო ქვეყნებშიც, როგორიც არის, მაგალითად, ტვიროსი და სხვა, რომ ტუბალებისა და მუსკების მადნების დამუშავების ქება დაბადების ავტორსაც აქვს მოხსენებული და მჭედლობას ის ტუბალების მოგონილად სთვლის, რომ ამასვე იმეორებს ეზეკიელი კიდევ თავის გოდებაში და სხვ. [35])

ცხადია, სვანებიც საკმაოდ გაწვრთნილი ყოფილან ამ ხელობაში, ხოლო ამ კულტურული ცოდნით აღჭურვილნი ისინი შესულან დღევანდელ სვანეთში, დაუწყიათ იქ მადნების დამუშავება და მისგან სვანეთში დღემდე შენახულ ბევრნაირ ჭურჭლეულობის, ვეებერთელა ,,კარდელების“ [36]) და სხვა ამჟამად ყოველწლიურად მიწის გულიდან ამოღებულ საგნების გაკეთება, რომლებსაც მკვლევარი განცვიფრებაში მოყავს, რადგანაც ამ საგნების სვანეთში ყოვლად შეუძლებელი იყო, არამც თუ ძველ დროში, როცა სრულიად არ იყო გზები გახაზული, არამედ დღესაც. ცხადია ყველა ესენი სვანეთში უნდა ყოფილიყო გაკეთებულნი.

სვანეთში რომ ძველად მადნებს ნახულობდნენ და ამ მადნების დასამუშავებელი ქარხნები არსებობდნენ, ამას შემდეგი

ისტორიული ცნობები და მეცნიერების მიერ ჯერ ხელშეუხებელი, სვანეთში ამჟამად აღმოჩენილი საბუთები აშკარად ამტკიცებენ:

გამოჩენილი ბიზანტიელი გეოგრაფი სტრაბონი, სხვათა შორის, სწერს: ,,სვანები სცხოვრობენ კავკასიონის მწვერვალებზე დიოსკურიის ზემოდ, ამ ქვეყნის მთის ნაკადულში არის ოქრო, რომელსაც იღებენ ძირდაჩხვლეტილი კასრებითა და საწმისებით – ამის გამო, ალბათ, წარმოსდგა თვით გადმოცემა ოქროს საწმისის შესახებო“ და სხვ... ხოლო პლინიუსის თქმით, ეგვიპტის მეფე სეზოსტრისის მოგზაურობას კოლხიდაში, და აზონის მეთაურობით არგონავტების შემოსვლას ერთი და იგივე ოქროსმატყლოვან ვერძის ხელში ჩაგდება ედვა საფუძვლადო, ხოლო მისი მფლობელნი კი ამ დროს იყვნენ: ,,სვან-კოლხები და არა ეგვიპტელ-კოლხებიო“ და სხვ. გარდა ამისა, პლინიუსი სწერს კიდევ: ,,ამბობენ, რომ კოლხეთის მეფედ იყო სავთაკი, აიეთის შთამომავალი. ამან სვანთა ქვეყნიდგან ბევრი ოქრო და ვერცხლი გამოიღო. სვანთა ხელობაა ოქროს მადნების დამუშავებაო, ამის გარდა, ეს ქვეყანა ცნობილია კიდევ ოქროს საწმისის ამბით, აგრეთვე მოთხრობით შესახებ ოქროს კამარადებისა, ვერცხლის კოჭაკებისა და სვეტებისა, რომელიც ამ მეფემ წაართვა ეგვიპტის ფარაონს სეზოსტრისს“ და სხვ. [37]).

სამწუხაროდ სვანეთი მეცნიერულად ჯერ კიდევ შეუსწავლელი და გამოუკვლეველია და ამიტომაც ამ კუთხის ბევრი ისეთი ადგილები, სადაც მრავალი ჩვენი ძველი კულტურის, ხელოვნების და სიმდიდრის საუკეთესო ნაშთებია დამარხული, დღემდე ხელშეუხებელი და ბურუსში გახვეული რჩებიან და ამიტომაც არის, რომ სტრაბონისა და პლინიუსის ზემოხსენებული ძვირფასი ცნობები სვანეთის შესახებ თითქმის ლეგენდარულ ანუ ზღაპრულ თქმულებებათ მიაჩნიათ სვანეთის მკვლევართ, მაგრამ დღეს კი მათ ფასი უნდა დაედვას, ვინაიდან უკვე თავი იჩინა მრავალმა საბუთმა იმის დასამტკიცებლად, რომ ამ ისტორიკოსებს ჩვენთვის უტყუარ ფაქტებზე დამყარებული ცნობები დაუტოვებიათ, რასაც ნათელს ჰფენენ სვანეთში ყოველწლიურად ნახული ის ნაშთები, რომელთა მიხედვითაც ადვილად შეიძლება ითქვას, რომ, როგორც გადმოგვცემს სტრაბონი, თვით გადმოცემა ოქროს ვერძზე იყოს წარმომდგარი იმ მატყლოვანი ტყავებისაგან, რომელთა საშუალებითაც მთის ნაკადულებიდან სვანები ოქროს იღებდნენ და სხვ...

ხოლო სვანეთის მდინარეებს რომ ერთ დროს მართლაც ოქროს ქვიშა ჩამოჰქონდათ და მრავალნაირი მადნეულობების დამუშავება სვანეთში სწარმოებდა ამ დროს, ამის დასამტკიცებელმა საბუთებმა, როგორც არის უკვე ნათქვამი, მრავლად იჩინა თავი.

ზემო სვანეთში (ჩუბეხევის საზოგადოებაში) მდინარე ნენსკრას (ჭვიბრულდის) ხეობაში მდებარე უდაბურ ტყეებით და ფიჭვ-ნაძვნარით დაფარულ ადგილს ქვია ,,ჭვიბერ"-ი. ეს კუთხე მე-15 ს. ეკუთვნოდა სვანეთის გლეხკაცობას, მერე თავად მურზაყან (კონსტანტინე) დადეშქელიანის მიერ 1857 წ. 22 ოქტ. ქუთაისის გუბერნატორის გაგარინის მოკვლამდე დადეშქელიანებს, ხოლო ამის შემდეგ ხაზინას.

ამ ადგილს შუაზედ ჰყოფს იმ დონგუზ-ორუნის მყინვარებიდან მომდინარე წყალი ნენსკრა, რომელსაც სვანები ჭვიბრულდს ეძახიან. ამ კუთხეში ძველად ხალხი არ სცხოვრობდა, მაგრამ დაახლოვებით 1890 წლიდგან ჩუბეხევისა და შემდეგ ფარის საზ. გლეხკაცობამ დაიწყო იქ დასახლება, ტყეებისაგან ადგილების გაწმენდა, ყანების გაკეთება და მიწის დამუშავება, რამაც მისცა მათ სასურველი შედეგები და ამჟამად ეს კუთხე წარმოადგენს 120 მოსახლისაგან შემდგარ, მიწის ნაყოფიერების წყალობით მდიდარს სოფელს. ყოველწლიურად აქ ხვნის დროს ყანებში, ხოლო ტყეებში მუშაობისა და მოგზაურობის დროს ადგილობრივი მკვიდრნი ნახულობენ აუარებელ ოქროს, ვერცხლის, თითბრის ფულებს და ნივთებს, მადნების დასამუშავებელ შენობების ნანგრევებს და იარაღებს, დამუშავებულსა, დამზადებულსა და დაუმუშავებელ მასალებს და სხვ..

პირველად ხვნის დროს აქ მიწაში ნახა ბლომათ ოქროს ფულები ადგილობრივმა მკვიდრმა ნავლად ვიბლიანმა, მაგრამ ამ ძვირფას არქეოლოგიურ ნაშთებს, ფასის უცოდინარობის გამო, ეს ყრუ სვანი ისე მოეპყრა, როგორც მამალი მარგალიტის მარცვალს და მალე ისინი ჩაუგდო ხელში მუქთად ზოგი სვანეთში მოვაჭრე სომხებს, ზოგი თათრებს და სხვ.

მას შემდეგ ასეთი ფულები ნახა ტყეში მუშაობის დროს ს. მარხში ერთი დიდი ქვის ქვეშ მეორე სვანმა ივანე დევდერიანმა, მაგრამ იმანაც ასე უთავბოლოდ გაფლანგა მალე ეს სიმდიდრე.

ეს ფულები იყო გაყოფილი სამ კატეგორიად. ერთზე იყო დახატული ერთის მხრით რაში, რომელსაც კისერში ისარი აქვს

გაყრილი, ხოლო მარჯვენა ფეხზე აღმოცენებულია პურის მარცვალი. მეორე გვერდზე კი დახატულია კაცის თავი ეკლის გვირგვინით შემკობილი (პონტიკაპეიკა, понтикопейка).

მეორე ფულზე ერთის მხრით არის დახატული ალექსანდრე მაკედონელის თავი, ხოლო მეორე გვერდზე ანგელოზის ქვეშ ბერძნული წარწერა: ,,ალექსანდრ".

მესამე ფულზე დახატულია: კაცი პურის მარცვლით ხელში. მეორე გვერდზე აქვს წარწერა: ,,კერჩ".

როგორც ირკვევა, ზემოხსენებული ნავლად ვიბლიანი ნადირობის დროს სადღაც უდაბურ ტყეში სრულიად შემთხვევით წააწყდა თურმე აგრეთვე ისეთ შენობას, რომლის შემჩნევაც ძნელია, ვინაიდან ის დაფარული ყოფილა მიწითა და ხავსით სიძველის გამო. ამ შენობაში მას უნდა ენახა ბევრი ოქროს ფული, ოქროს სკამი, ბევრი სხვადასხვა ოქროს იარაღები, ნივთები, ოქროს ვერძი და ამიტომაც ის ეკლესიათ მიუღია. ის ოქროს ფულები, რომლებიც მას ქონდა, უნდა ყოფილიყვნენ – ზოგი მიწაში ნახული, ზოგიც ამ ,,ეკლესიიდგან" გამოტანილი.

ამის შემდეგ არ გასულა ერთი თვე და მას დაეხოცა ცოლ-შვილი, ცხენი, ხარი, ძროხა და სხვა პირუტყვი. სვანმა ასეთი უბედურების მოვლინება და მძიმეთ დასჯა მიაწერა ,,ეკლესიიდგან" ნივთებისა და ფულების გამოტანას და რომ ასეთი ღვთის გაწყრომისა და რისხვისაგან მას თავი დაეხწია, ყველა ეს ნივთები (რაც გაყიდული არ ქონდა) ეკლესიას დაუბრუნა, ხოლო ჩადენილ ცოდვების მოსანანიებლად და ღვთის გულის მოსაგებად მან აღუთქვა ღმერთს ყოველწლიურად ერთი ხარის მსხვერპლად შეწირვა. ამის შემდეგ სვანმა თავისი საიდუმლო არავის გაუზიარა – ისე ჩავიდა საფლავში.

1910 წელს ჭვიბერში, სოფელ მარხში, ხვნის დროს, მიწის ქვეშ აღმოაჩინეს გლეხებმა ქვის შენობა, რომელიც სავსე იყო სხვადასხვა ლითონის ჩაქუჩებით, მაგრატლებით, იარაღით და სხვა ნივთებით. სხვათა შორის ამ შენობაში ნახეს აგრეთვე ლეკური და კანმომწვარი პურის ხორბალი [38]), ხოლო იმის ახლო-მახლო მდებარე ადგილებში ყოველწლიურად ადგილობრივი მკვიდრნი მუშაობის დროს ნახულობდნენ ბევრ სხვადასხვა ბრინჯაოს, ოქროსა და ვერცხლის ნივთებს, იარაღებს, მძივებს და

ჩამოსასხმელად დამზადებულ ოქროს ფურცლებს, რომლებისგანაც ადგილობრივი მჭედლები ბეჭდებს აკეთებდნენ.

1913 წელს ამ ადგილიდან სამი ვერსის მანძილზე სალიბე ქალდანმა ნახა ბევრი ნივთები და მათ შორის ვერცხლის ფული, რომელზედაც ეხატა თევზი არწივის ბრჭყალებში და სხვ... ხოლო მეორე სვანმა ხარის პატარა ოქროს თავი. ასეთმა საყურადღებო მოვლენებმა ჩემში გააღვიძეს სურვილი პირადად მენახა და დამეთვალიერებინა ეს არქეოლოგიური კუთხე, ადგილობრივად გავცნობოდი ყველა საბუთებს და ამიტომ წავედი სოფ. ჭვიბერში, სადაც საქმის დაკვირვებამ თვალწინ გადამიშალა შემდეგი სურათი: მდ. ჭვიბრულდას ხეობაში არის მოთავსებული ზემოხსენებული სოფელი ჭვიბერი, რომელსაც ეს მდინარე შუაზე ჰყოფს. მის მარცხენა ნაპირზე სოფ. მარხის ჩრდილოეთით ტყის ფერდოში არის აღმართული ერთი მაღლობი, მიწითა და ვეებერთელა ხეებით დაფარული, მათ ფესვებს ქვეშ აღმოჩნდა შენობის ნანგრევები, სადაც ერთ დროს, როგორც ვრწმუნდებით, წარმოებდა სხვადასხვა მადნების დამუშავება და მისგან სხვადასხვა ნივთებისა, ოქროსა და ვერცხლის ფულების გაკეთება.

ამ ნანგრევების გარშემო ჩაფლულია მიწაში ჭურები, რომლებიც სილით არიან ამოვსებული. მის სამხრეთით მდებარე ტყე რამოდენიმე ვერსის მანძილზე დაფარულია ნაშკიდურით ანუ ნამჭედურით (სვანურად – შხიბ). იმ თიხის მილების ნატეხებითრომლებსაც ძველ დროში სამჭედურებში საბერავების თაველებად ხმარობდნენ. ამ მილებში გაკვეხებულია ნაშკიდურა, რის გამოც ისინი ეტყობა საქმისთვის უვარგისნი ხდებოდნენ და ტყეში ჰყრიდნენ.

ამ ნანგრევების აღმოსავლეთით აღმოჩენილია ივ. დევდარიანის მიერ ის ფულები, რომლებზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი. მის ჩრდილოეთით ტყეში 12-მდე დიდი ქვის როდინები (ქვასანაყებია), სამხრეთით სალიბე ქალდანის მიერ ნაპოვნი ფული, სხვა ნივთები და აგრეთვე ის ზემოხსენებული 1910 წ. ს. მარხში მიწის ქვეშ მუშაობის დროს აღმოჩენილი შენობის ნანგრევები, სადაც ბევრი ნივთები იყო.

ხოლო მდინარის მარჯვენა ნაპირზე სოფ ჭერში ყარშჲ მეკვშდაბოგის (მოკლე ხიდის) ყურთან არის მიწითა და ტყით დაფარული, ჯერ ხელუხლებელი შენობის ნანგრევები (მაღლობი).

ამ ნანგრევების დასავლეთით ერთი ვერსის მანძილზე აღმოჩენილია პირველად ზემოხსენებულ ნავლად ვიბლიანის მიერ ის ოქროს ფულები, რომლებზედაც ზევით გვქონდა ლაპარაკი და აგრეთვე ერთი შენობის ნანგრევები და სხვ. [39])

აი ყველა ეს ნანგრევები ჯერჯერობით ხელუხლებელნი არიან, მაგრამ მათ გარშემო არსებული საგნები, როგორც დავინახეთ, აშკარად მოწმობენ და ნათლად გვიმტკიცებენ, რომ ჩვენ გვაქვს საქმე იმ დიდმნიშვნელოვან, უხსოვარ დროიდგან დროთა ვითარების მეოხებით მიწის გულში გახვეულ ძვირფას არქეოლოგიურ შენობების ნანგრევებთან, რომლებშიაც ერთ დროს ენთო ლამპარი ბრწყინვალე წარსული კულტურისა და ხელოვნებისა.

ამნაირად მე ვფიქრობ, რომ ნანგრევებისა და საზ. ჭვიბერის შესწავლა მომავალში ფასდაუდებელ, იშვიათ და უცხო მასალებს შესძენს მეცნიერებას, ერთის მხრივ, ამ საკითხის გაშუქებაში, რომ დღეს დღეობით უკულტურო, ჩამორჩენილი სვანეთი ოდესღაც იშვიათი კულტურისა და ხელოვნების აკვნათ ქცეულა, ხოლო მეორე მხრით სტრაბონისა და პლინიუსის ზემოხსენებული ცნობების დასამტკიცებლად სვანეთის მთის ნაკადულებში ოქროს არსებობის შესახებ და სხვა..

სვანეთში ოქროს არსებობას მოწმობენ, აგრეთვე, შემდეგი ახალი გამოკვლევანი: იფარის საზ. სოფ. აცის დასავლეთით მდინარე ენგურს ერთვის ერთი მთის ნაკადული, სახელდობრ ცარაში, რომლის აუზშიც ერთმა სვანმა ამ 45-50 წ. წინათ ნახა ოქროს ნატეხი (самородок); ამაში დადეშქელიანებმა მას მისცეს ერთი ხარი, ცხენი, ძროხა და თოფი.

ინჟენერ შოსტაკმა, რომელიც 1903 წელს ეწვია სვანეთს, მოაგროვა მადნების ნიმუშები. როდესაც ამ ნიმუშებს ტფილისში ანალიზი გაუკეთა – მათში აღმოჩნდა 5: 5,4 და 7: 8,5 მისხალი ოქრო და ორი მისხალი ვერცხლი [40]).

გილეევი, რომელმაც სვანეთის გეოლოგიურად შესწავლას შესწირა მთელი ზაფხული 1863 წლ., ამტკიცებს სვანეთის მთებში ოქროს უხვად არსებობას. ამას სიმონოვისა და სოლოკინის გეოლოგიურ რუქაზე ოქროს არსებობის აღმნიშვნელი ვარსკვლავებიც ადასტურებენ. სვანეთში უხვათ არსებობს სურმა. ფარმაციის მაგისტრის ოტენის ანალიზით 1911 წ. მასში 68,75% წმინდა სურმა აღმოჩნდა.

ცხადია სვანეთი ბუნებას უხვად დაუჯილდოვებია ყოველგვარი ბუნებრივი სიმდიდრით, განსაკუთრებით მადნეულობით და ამ ხალხს ერთ დროს სცოდნია მისი გამოყენება და დამუშავება სამხრეთიდგან შემოყოლილ კულტურისა და ხელოვნების წყალობით. მაგრამ სვანების დღევანდელი ყოფა-ცხოვრება ჩვენ გვიმტკიცებს, რომ შემდეგში ეს ხალხი უკან ჩამორჩენილა და თანდათანობით შემოლევიათ და განიავებულა მათი ცხოვრებიდან სამხრეთიდგან შემოყოლილი კულტურა, რომელიც იმ ზომამდე დაცემულა, რომ სვანები პირველყოფილ პირობებისთვის მიუბრუნებია.

34) ჯანაშვილი. ვახუშტი და მისი შრომა. გვ. პც და ჟა.

35) ივანე ჯავახიშვილი. ქართ. ერ. ისტ. გვ. 78 და 79.

36) თითბრის დიდი ქვაბები, რომლებშიც 2-3 ხარი ეტევა მოსახარშავათ..

37) ბატონიშვილი ვახუშტი. საქართველოს გეოგრაფია. გვ. 316 და 317 (შენიშვნა ჯანაშვილისა).

38) სვანების ახსნით, ძველათ პურის მარაგი რომ არ წახდენოდათ, გახურებულ ქვაბებში პურის ხორბალს ყრიდნენ, კანს მოსწვავდენ და ასე ინახავდენ.

39) საგულისხმო ის არის, რომ ყველა ამ შენობებს ეტყობა ჰქონდათ ერთი და იგივე დანიშნულება – მადნეულობის დამუშავება და უბრალო ანუ საცხოვრებელი სახლის სახე და სიდიდე არა აქვთ.

40) Шостак. Путешествие по Раче и Сванетии. Стр. 20.

სვანეთის პოლიტიკური მდგომარეობა 1 საუკუნიდან მე-18 საუკუნემდე

პირველ საუკუნეში, როგორც ზემოდ დავინახეთ, სვანეთი, სტრაბონის ცნობებისა და აღწერილობის მიხედვით, განთქმული იყო, როგორც ძლევამოსილი სახელმწიფო, გარშემორტყმულ მოსახლე მეზობელ ერებზე გაბატონებული, რომელსაც ამ დროს ჰყავდა ხალხის მიერ ამორჩეული მეფე, საბჭო, რომელიც შესდგებოდა ხალხის მიერვე ამორჩეულ 300 კაცისაგან და 200.000 კაცისაგან შემდგარი მხედრობა.

თავის თავს ძველ დროში სვანები, როგორც ხელთნაწერებიდან სჩანს, უწოდებენ ,,ერთობილ ბედნიერ თავისუფალ ხევსა და თავისუფალ მოქალაქეებს“. ამ დროიდგან მოყოლებული თითქმის დღემდე სვანეთი, მიუხედავათ იმისა, რომ ის სხვადასხვა დროს

ემორჩილებოდა ამა თუ იმ სამეფოებს და სამთავროებს, ფაქტიურად განაგრძობდა ავტონომიურად არსებობას და თვითონ განაგებდა თავის საქმეებს. სვანეთის ერთ დროის ამგვარ კანონმდებლობის ნაშთებად უნდა ჩაითვალოს, სხვათა შორის, დღემდის სვანეთში შენახული ერთი ძველი ხელთნაწერი სახარების წარწერანი.

მესტიის მე-10 საუკუნის ტყავზე დაწერილ სახარებაზე, რომელიც, ხახანაშვილის თქმით, არის დაწერილი ოშკის მონასტერში, ბაგრატ მე-4 კურაპალატის დროს, ილარიონ იშხნელის მინდობილობით, გიორგი მთაწმინდელის ძმის შვილის გაბრიელის მიერ [41]), არის მაგალითად შემდეგი სვანეთის ერთ დროის კანონმდებლობის დამახასიათებელი წარწერები:

1) ღვთისა დედისა მისისა და ყოველთა წმინდათა თავსდებობითა და შამდგომლობითა მაცხოვრისა ლატალისა, თავსდებობითა და შუამდგომლობითა მუჟალისა, თავსდებობითა და შუამდგომლობითა მაცხოვრისა ქურეშისათვის (ქურაში) მთავარ მოწამისა ადიშისა, მთავარ მოწამისა იფარისა, მაცხოვრისა ადიშისთვის წმინდა კვირიკესა თავსდებობითა და შვამდგომლობითა დედისა ღვთისა უშგულისათვის, თავსდებობითა და შუამდგომლობითა დავსწერეთ საგმობი ესე ერთობილმან სვანეთის ხევმან ატკვერსა და ბალას შვამნა [42]) ყოველმან ერთმანეთის ნდობითა ამა პირსა ზედა რომელ თუ ვინმემ ეკლესია გაგვიტეხოს, ანუ კაცი ვინმემ შეიპყროს, ანუ ვინ ხუცეს აწყენინოს, ანუ ვინ კაცი ოსეთს გაჰყიდოს, ანუ ვინ სანახშიროთ სახლი დასწვას, ანუ ვინ მთა გატეხოს ნაძლივი მისი დაუვარდეს, თუ ეს ვინმემ შეშალოს კრულიმც არს სული და ხორცი მისი სახელი და საყოფელი მისი სასუმელი და საჭმელი მისი ორთავე ცხოვრებასა როსტანსა და ორაგინესცა არის ნაწილი მისი ამინ.

თუ ხევის თავზე ვინმემ მთავარ მოწამის კაცს აწყენინოს მის ქვეყანას ნაძლივი დაუვარდეს ასი თეთრი გარდახდეს.

2) ,,მთავარ მოწამისა სეტისა თავსდებობითა და შვამდგომლობითა დავწერეთ და დავდევით დაწერილი ესე სრულიად სვანეთის ხევისა უშგულისა და ლალვერს შუა [43]).

სამაგრებელი ესე ჩვენ ერთობილმა ხევმან ვარგმან [44]) და გლეხმან, უფროსმან და უმცროსმან, უზედაესმან და უქვედაესმან [45]), ყოველმან მტკიცე და უმქცეველი ყოვლისა მიზეზისაგან უმიზეზო რაიცა გინდა ჟამსა იყოს უძლებელი უთუ და უთუმც ამა

პირსა ზედა რაიცა სახევს უკეთ მოუხდებოდეს ყველა იმას ვიჭირვიდეთ ვინც არის ჩვენ შიგა. წავიდებით იყვნეს ურთ-ერთ შორის რომელიც არა გაგუყვეს ათასი თეთრი გარდავახდევინოთ თუ ჩვენი მოციქული უშგულით და კალით უდესაც მივიდეს თუ წანაგები არა შამუქვაკაციუბს და ხეუბსა არა ჩამოერთვეს ომი და მულაშგრე მივიდეთ, რომელიცა ხევი ანუ სოფელი არა გაგუყვეს მისითა აბჯარითა იმ ხეუსა და სოფელსა მიუხტეთ ჩვენ ერთობილი ხევი და დღეს იქეთ ვინც ამ ხეობასა შიგ მტრობა ქნას ანუ ეკლესიის გატეხვითა ანუ კაცისა სიკვდილითა, ანუ შეპყრობითა, ანუ სახელ გატეხვითა ანუ ცხენის წაგებითა ანუ სხვათა მტრობითა ხეუბა გაგვიტეხოს გარდავლისა და ამოწყვეტის მეტი არა ავართვათ. ამის გათავება ჩვენ ერთობილმან ხევმან ფიცით შემოვფიცოთ ერთმანეთსა. ამა საქმესა შიგა სანდურავი მოხდეს იმისი პირი პასუხის გამცემი სრულიად ხევი ვიყოთ ერთს არავის დავანებოთ და სხვ. [46])

პირველ საუკუნის დამდეგს სვანები ერთ დროს რომაელების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. ამ ისტორიულ მოვლენას ადგილი უნდა ჰქონოდა მის შემდეგ, რაც ოთხ სახელმწიფოდ (პონტო, კოლხიდა, იბერია და ალბანეთი) დაყოფილ საქართველოს შემოესია რომაელების დიდი ლაშქარი, მათი დიდებული სარდლის პომპეუსის მეთაურობით და მთელი საქართველო დაიპყრო.

რომაელების ბატონობა საქართველოში ამჟამად გაგრძელდა მეოთხე საუკუნის დამლევამდე და შესაძლოა ამ ხნის განმავლობაში სვანებიც მათ გავლენის ქვეშ ყოფილიყვნენ.

ამის შემდეგ საქართველო ერთხანს ხან ბიზანტიის, ხან სპარსეთის დამოკიდებულების ქვეშ მყოფს ქვეყანას წარმოადგენდა. მე-VI ს. იუსტინიანე კეისრის დროს სვანეთი კოლხიდასავით ბიზანტიის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა და შეიძლება სვანეთში დღემდე შენახული თქმულება ,,კეისრობის“ შესახებ ამ გარემოებებიდან იყოს წარმოშობილი. მულახის საზოგადოების ცენტრში, სოფ. ჟამუშში შენახულია ორი დიდი მთელი საზოგადოების კუთვნილი ქვა, რომლებსაც უწოდებენ სახელად: ,,კესრი ბაჩარ“-ს (კესირის ქვები). გადმოცემით ამ ქვებმა ასეთი სახელი მიიღეს იმიტომ, რომ როცა კეისარი სვანეთის ,,სვიმრას“ იწვევდა (,,სვიმრობა“ – მთელი ხალხის წვეულება) რაიმე

სერიოზულ საზოგადოებრივ საქმეზე, მაშინ ამ ქვებზედ ,,დაბრძანდებოდა“ ხოლმე.

551 წ. ბიზანტიის სარდლის ბესასის მეთაურობით სვანეთისა და კოლხეთის ლაშქარი ერთად ებრძოდნენ სპარსელებს. ისინი დაეცნენ ქალაქ პეტრას, რომელიც მაშინ სპარსელებს ეპყრათ, აიღეს ეს ქალაქი და დაანგრიეს ციხე საძირკვლებამდე.

ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის ბრძოლა ამჟამად გაგრძელდა 563 წლამდე. აღნიშნულ წელს კი 50 წლით ზავის შესახებ ხელშეკრულება დასდეს. მაგრამ ამის შემდეგ მათ შორის საცილებელ საგნად სვანეთი დარჩა. ჯავახიშვილის თქმით ეს სვანეთი იმ დროს ლაზიკის მეფის მფლობელობის ქვეშ იმყოფებოდა, თუმცა მას საკუთარი მთავარი ჰყავდა, მაგრამ თვითეულს ახალ მთავარს ლაზიკის მეფე ნიშნავდა და ამტკიცებდა ხოლმე. თეოდორე კეისრისა და უარანეს დროიდგან მოყოლებული სვანეთის ყველა მთავრები ლაზიკის მეფის დანიშნულნი იყვნენ. გადასახადის ნაცვლად სვანები ყოველწლიურად ხილეულობას, თაფლსა და ნადირის ტყავებს უგზავნიდნენ ხოლმე ლაზიკის ბატონს. ლაზებიც თავის მხრით სვანეთს სურსათს უგზავნიდნენ.

გუბაზ მეფე ბიზანტიის სარდალს მარტინეს წაეჩხუბა. ბიზანტიელების ჯიბრით სვანებს სურსათი აღარ მიაშველებინა. სვანებმა ჯავრი ბიზანტიელებზე იყარეს და სპარსელებს მიემხრენ. ბიზანტიის პატარა რაზმს სპარსელების შეეშინდათ და სვანეთი დატოვეს.

როცა ბიზანტიელებმა და სპარსელებმა ზემოხსენებული ზავის შესახებ 556 წ. ხელშეკრულება დასდეს, ბიზანტიელები გაიძახოდნენ: ,,სვანეთი, ვითარცა ლაზიკის ქვეშევრდომი ქვეყანა, ლაზიკასავით ხელშეკრულების ძალით ჩვენ უნდა დაგვრჩესო“. სპარსელები კი ამტკიცებდნენ, რომ სვანები სხვა ხალხია და, ვითარცა ჩვენსკენ ნებაყოფლობით გადმოსულნი, ჩვენ უნდა დაგვრჩესო.

ამ საცილობელ საგნის შესახებ კეისარმა საგანგებო დესპანი გაგზავნა სპარსეთის ბატონთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ შაჰინ-შაჰი დათმობას არ აპირებდა და ისე სვანეთის მთავარს მიანდო ეს საკითხი გადასაწყვეტად, ვისკენაც უნდა იმას მიემხროსო [47]).

ბროსეს თქმით 556 წ. იუსტინიანე კეისრისა და სპარსეთის მეფის ხოსროს შორის დადებულ ხელშეკრულებით სვანეთი

სრულიად განთავისუფლდა და 590 წელს სპარსეთის სარდალმა ბეხრა ჩუბინმა სვანეთის წინააღმდეგ გაილაშქრა და დაბრუნდა იქიდგან გამარჯვებული, თუმცა დაწვრილებით ამ გალაშქრების შესახებ არა ვიცით რა [48]).

დიმიტრი ბაქრაძის თქმით მე-7 საუკ. სვანეთი და არგვეთი წილად უნდა ხდომოდა არჩილ ერისთავ მირის ძმას, ხოლო აღნიშნულ ეპოქის შემდეგ ისევ განთავისუფლდნენ და დამოუკიდებელ საერისთაოთ შეიქმნენ.

ამის შემდეგ საქართველო განიცდის არაბების შემოსევას და მათმა ბატონობამ ჩვენს ქვეყანაში გასტანა მერვე საუკუნის მეორე ნახევრამდე.

არაბების შემოსევას გადარჩა ბიზანტიის მფარველობის ქვეშ მყოფი აფხაზეთი. ამ გარემოებით და ბიზანტიის დასუსტებით ისარგებლა აფხაზეთის ერისთავმა ლეონ მეორემ – ძმისწულმა ლეონ პირველისამ და გამეფდა დასავლეთ საქართველოში (746-791 წ.) სატახტო ქალაქად მან ქუთაისი გამოაცხადა და, სხვათა შორის, შემოიერთა სვანეთიც. ამის შემდეგ მან თავისი სახელმწიფო რვა საერისთავოდ დაჰყო – სვანეთიც ცალკე საერისთაო შეიქმნა [49]).

მეათე საუკუნეში სვანეთი შეუერთა აფხაზეთის მეფეს ბაგრატს.

მისი სიკვდილის შემდეგ არ გასულა ნახევარი წელიწადი და 1073 წ. დიდგვარიანი მოხელეები იოანე ორბელიანი, მისი შვილი ლიპარიტი, ნიანია ქობულელი და სვანთა ერისთავი ვარდანიძე აჯანყდნენ მეფე გიორგი 2-ის წინააღმდეგ, გადაუდგნენ ამ მეფეს და აუშალეს ქვეყანა. სვანები დაეცნენ ოდიშს, აიღეს სრულიად საეგრო და დაარბიეს ის. აჯანყებული სვანები და ვარდანიძე მეფემ შეაჩერა ხმით, რომ მისცა მათ ასკალანი [50]).

დავით აღმაშენებელმა სვანეთი ისევ შემოიმტკიცა და საქართველოს სამეფოს შეუერთა. მან დაიწყო სვანეთში ეკლესიების აშენება და ქრისტიანობის გავრცელება ადგილობრივი მკვიდრის ვახტანგ ფარჯიანის შემწეობით.

12 საუკ. თამარ მეფის მამის გიორგი მე-3 დროს სვანებმა შანშე დადიანის მეთაურობით აიღეს სომხეთის სატახტო ქალაქი ანისი.

თამარ მეფე, რომელიც სვანეთის მეხსიერებაში სილამაზისა და დიდების შარავანდედნით არის შემოსილი, გადმოცემით

სვანეთის დიდათ მწყალობელი იყო, ბაქრაძის თქმით, სვანები მის სამეფო გვირგვინის მიღების ზეიმში მონაწილეობას იღებდნენ. ჯავახიშვილის ცნობებით, როდესაც ამირ-მირანი და აღსართან შარვანშა ამალითურთ საქართველოს მეფეს ეწვივნენ, თამარ მეფემ და დავით სოსლანმა ისინი დიდის ზეიმით მიიღეს და მიაგებეს მათ სხვა ქვეშევრდომთა შორის სვანები [51]). სვანების თქმით თამარ მეფემ ბევრი ტაძრები ააგო სვანეთში და ურიცხვი ხატ-ჯვრით შეამკო ისინი, და ამიტომაც სვანები მისი ერთგულნი ქვეშევრდომნი იყვნენ და როდესაც მის მიერ საბერძნეთში გადასახლებული თავისი უღირსი მეუღლე გიორგი რუსი შურის საძიებლად საქართველოში დაბრუნდა და თამარის საწინააღმდეგოთ მიიმხრო აფხაზეთი, სამეგრელო, გურია, სვანეთი და სხვები, მაშინ თამარის მსახურთუხუცესის ვარდანის მიერ თამარის საწინააღმდეგოთ აჯანყებულმა სვანებმა გიორგი რუსი დაიჭირეს და ხელ-ფეხ შეკრული თამარის მიუყვანეს.

სვანებს სწამთ, რომ თამარ მეფე მათ ქვეყანაში ყოფილა. გადმოცემით ის უნდა მისულიყო სვანეთში მას შემდეგ, რაც რომ თავისი ქმარი გიორგი განდევნა და ,,თურქის“ ყაინმა განიძრახა მისი ცოლად წაყვანა. ვინაიდან თამარმა ყაინი უარით გაისტუმრა, გაბრაზებული ყაინი შეუდგა საომრად მზადებას და ამიტომ თამარი სვანეთში მივიდა და უშგულში დაბინავდა. აქ მან ერთ მაღლობზე ააშენა ერთი დიდი ციხე-სიმაგრე, ხოლო სოფელ ჩაჟაშში სამი ციხე, რომლებსაც სვანები დღემდის თამარ დედოფლის ციხეებს ეძახიან.

გადმოცემით, აქედგან მან დაიწყო სვანეთში ეკლესიების აშენება და ეცერში დაამთავრა. როდესაც ის ლენჯერის საზოგადოებაში ლაშთხვერის ეკლესიის აშენებას ამთავრებდა, ამ დროს მას მოუვიდა ამბავი ბაყბაყ მდევთან ამირანის ბროლისა და ამ ბრძოლის – ამირანის გამარჯვებით დამთავრების შესახებ და ამიტომ მოხელეებს უბრძანა ეს სურათი დაეხატა ამ ეკლესიის ერთ-ერთ კედელზე, რომელიც დღემდე დაცულია ამ ეკლესიის ჩრდილოეთის კედელზე გარეთ.

ეცერში მან მუშაობა რომ დაამთავრა, ფხოტრერის მის მიერ აშენებულ ეკლესიაში დატოვა მრავალი ძვირფასი ნივთები, მათ შორის თავისი სარტყელი, კვერთხი და ვერცხლის არაბული წარწერებიანი კოლოფი. ეს ნივთები შემდეგში თ. დადეშქელიანებს ჩაუვარდათ ხელში და თამარის სარტყელი 1857 წ. გელა

დადეშქელიანის ცოლმა (თენგიზის დედამ) ფეშქაშათ მიართვა სამეგრელოს დედოფალს ეკატერინეს.

საყურადღებოა, სხვათა შორის, სვანეთის ხალხსი მეხსიერებაში დღემდის შენახული თამარ მეფის სვანეთში მოსვლის გამომხატველი ფერხული სიმღერა: „რავქენ“, რომლის შინაარსიც საჭიროდ მიმაჩნია აქვე მოვათავსოთ:

რავქენ

რავქნასია ვერ ვიტყვი ვოი... შაირსა,
თამარ დედფა̊ლ ანსგოჯდ,
თხუმას ხაგგდა ზურჩია,
შდგმას ხორიკდა ლეშდიმარი
ყიას ხაბუდა ჰეშიმარი.
თერალ ხოსგურდა გიშრიშ
შდგქა̊რ ხაგა̊ნდა მარგალიტიში
სგა̊შხა̊ნ ხაქუდა ატლასი
ქა̊შხა̊ნ ხა̊ქუდა აბჯარი
ფათვა̊რ ხაგა̊ნდა ყვარყვლაი
მეხრალს ხასდანდა ჰეშიმარი
ფოყას ხორიკდა ხანგარი
ჭგშხარს ხასდანდა ჩგქიმარი
ჩა̊ჟილდს ხასგურდა ქურხვაის.

თარგმანი

რა ვქნა, ვერ ვიტყვი შაირსა.
თამარ დედოფალი მობრძანდა,
თავზედ ეხურა ზუჩი,
ყურებზე ეკიდა საყურეები,
ყელზედ ეკიდა ჰეშიმარი (სამკერდული),
თვალები ჰქონდა გიშრისა,
კბილები ჰქონდა მარგალიტისა,
შიგნით ეცვა ატლასი,
გარედ ეცვა აბჯარი,

თმა ჰქონდა ხუჭუჭი,
მაჯებზედ ჰქონდა სამაჯურები.
თეძოს ეკიდა ხმალი,
ფეხზედ ეცვა ჩექმები,
ცხენი ჰყავდა ფერად ლურჯი.

თამარის შემდეგ სვანები ერთხანს კიდევ განაგრძობდნენ საქართველოს მეფეების მორჩილებას და ლაშა გიორგისა და რუსუდანთან ისინი ეტყობა მჭიდროთ იყვნენ დაკავშირებულნი, რასაც, სხვათა შორის, ამტკიცებენ მათ მიერ შემოწირული ის ხატ-ჯვარი და სხვა ნივთები შესაფერისი წარწერებით, რომლებიც სვანეთის სხვადასხვა ეკლესიებში ინახებიან. მე-13 საუკ. რუსუდანის შვილის დაით ნარინ პირველის შვილის კონსტანტინეს დროს სვანეთი იმერეთს გადაუდგა.

მე-14 ს. სვანები აჯანყდნენ გიორგი ბრწყინვალის წინააღმ-დეგ და გადასწვეს ქუთაისი [52]).

მეფემ იმათ წინააღმდეგ ზომები მიიღო და გადააყენა სვანეთის ერისთავი ვარდანიძე, რომელიც ამის შემდეგ დაინიშნა გურიის ერისთავად, ხოლო სვანეთში მის მაგივრად ერისთავად გამწესდა გელოვანი.

რამ გამოიწვია ეს აჯანყება – ამაზე ისტორია სდუმს, ხოლო სვანეთში შენახულ ზეპირ-გადმოცემით საქართველოს მეფემ გიორგიმ სვანეთს რაღაცაზე გული დასწყვიტა, მაშინ ეს ხალხი აუმხედრდა მას და სვანეთის დიდმა ლაშქარმა ყანსავ ყიფიანის მეთაურობით მის წინააღმდეგ გაილაშქრა.

როდესაც ეს ლაშქარი ლატფარის მთაზე ავიდა, თვითეულმა მხედარმა აიღო თითო თეთრი ქვა და ერთს ადგილას დააწყვეს. დაწყებული ქვემო სვანეთიდგან ყველა მეზობლები დაიმორჩილეს და თავის მოხარკეთ გაიხადეს, ხოლო ქუთაისში რომ ჩავიდნენ, გადასწვეს და ააოხრეს ეს ქალაქი. ქუთაისიდგან ხონის გზით გამარჯვებული სვანეთის მხედრობა სვანეთისაკენ გაემგზავრა, მაგრამ როცა ბუმბუის ხიდზე გადადიოდნენ – ეს ხიდი მათ ჩაუტყდათ და ამის გამო ზოგი გაღმა დარჩა, ზოგიც გამოღმა, ხოლო ბევრი დაიღუპა. ამ ლაშქრის ის ნაწილი, რომელმაც ხიდზე გასვლა მოასწრო, დაბრუნდა სვანეთში. ლატფარის მთას რომ მიაღწიეს, აიღეს ისევ თვითო თეთრი ქვა და დააწყვეს

ზემოხსენებულ ქვების მახლობლად. შემდეგ დაითვალეს როგორც პირველი, აგრეთვე მეორე და ამნაირად გამოარკვიეს რაოდენობა ომში ჩასულთა და იქიდგან ცოცხლად დაბრუნებულ-თა [53]).

გადმოცემით, ამ დროს სვანების ის ნაწილი რომელსაც ხიდზე გასვლა ვერ მოესწრო – ჩარჩა და დასახლდა იმერეთის სხვადასხვა კუთხეებში და ამიტომაც გვხვდება დღეს იქ მრავალი სვანური გვარები და სხვ...

ყანსავ ყიფიანი რომ ერთ დროს სვანეთის ჯარის მთავარსარდალი ყოფილა – ეს სიმართლეს მოკლებული არ უნდა იყოს, მაგრამ იყო ის მართლაც ზემოდაღწერილ ისტორიულ მოვლენის ხელმძღვანელი თუ არა, ამაზე ვერაფერს ვიტყვით.

სვანეთში დღემდე შენახულა მასზე სიმღერა:

ყანსავ ყიფიან

ყანსავ ყიფიანე და ყანსავ ყიფიანე
უმჩა̆ უდგარა ულტვა უყროვა
ფარას ესღგრიდ ბაკასი ხიშჲა̆ლედ
ხოჩა ღვაჟარე ზაგრუშ ესღგრიდ
ნამცა̆ თოფარე დგთხელ პილარე
ბარჯას ჯასდანდახ, ბარჯას ჯასდანდახ,
კალდიმ დაშნარე კალდიმ დაშნარე
ფოყას ჯირიკდახ ფოყას ჯირიკდახ
ხოლა ღვა̆ჟარე ხოლა ღვა̆ჟარე
ტუბას ზგსდანდახ ტუბას ზგსდანდახ
ჯიჭრა ტყენარე ჯიჭრა ტყენარე
ბარჯას ჯასდანდახ ბარჯას ჯასდანდახ.

თარგმანი

უბერებელო და უკვდავო ყანსავ ყიფიანო,
ფარეთით მიდიოდით, ბახას [54]) ომობდით.
კარგი ვაჟკაცნი მთის მწვერვალებით მიდიოდით,
ნამცა თოფები მხრებზე გედოთ,
ნამცა თოფები, თხელ ტუჩებიანნი,

კალდამის დაშნები თეძოდ გეკიდათ.
მხდალნი კაცნი ღელეებში ეყარნენ,
მხარზე დაედვათ მუხის ჯოხები.

ყანსავ ყიფიანა

უმჩა̀ უდგარა ყანსავ ყიფიანა
სოფელ ა̀დქუთან სოლა ლენჯა̀რე
სეტი მესტია ღვებრა ზარდლაში
მულახ-მგჟალე უღვირ-ზაგარი
სიქილა ბაქილა ჩორთა̀ჲ ჩართოლან
იფა̀რ მეფზაგან, კა̀ლა უშგული
ფორეს იშჲა̀ლეხ თხუმა̀რს ხაჭკურეხ
ლგცას შიდახ ბოფშა̀რ იტხგრახ
ლახხვა აშდღვიდახ ლაშდღვალს ხეშდაბდახ.

თარგმანი

უბერებელო და უკვდავო ყანსავ ყიფიანო.
სოფლები დაიძრნენ: სოლა, ლენჯერი,
სეტი, მესტია, ღვებრა, ზარდლაში,
მულახ-მუჟალი, უღვირ-ზაგარი.
სიქილა ბაქილა ჩორთაი ჩართოლან,
იფარი, მეფზაგან, კალა, უშგული,
ფორეს ომობდით, თავებსა ჰკვეთდით,
წყალში ყრიდით მათ, ბავშვებს გამოჰქონდათ,
ცოლები მარხავდნენ, ტირილს უხდიდნენ.

1462 წელს ყვარყვარე ათაბაგი და ბაგრატ მეორე წინ აღუდგენ ქართლის მეფეს გიორგის და ჩიხორის ბრძოლაში სვანების მონაწილეობით დამარცხებული გიორგი ქართლში გაიქცა. სვანებს ამ ომში მონაწილეობის მიღებისათვის ათაბაგი და ბაგრატი შეპირდნენ სრულ დამოუკიდებლობას. მათ დაედვათ მხოლოდ ერთი მოვალეობა – ზოგიერთ შემთხვევაში აღესრულებინათ სამხედრო სამსახური [55]).

1584 წ., იმერეთის მეფემ ალექსანდრემ დაიფლო იმერეთი და შემოიერთა აფხაზეთი და სვანეთი.

1645 წ., როცა ლევან დადიანმა, ქუთაისის ასაღებად გაილაშქრა დიდი ჯარით, იქ მას დახვდა სვანთა ლაშქარი, რომელიც იმერეთის დედაქალაქს იცავდა იმერეთისა და საფარ ფაშის ჯართან ერთად.

სვანეთში დღემდის შენახულია თქმულება იმის შესახებ, რომ მას ერთ დროს ხონთქარის ლაშქარი დაეცა. სვანეთში მოსვლამდე ამ ჯარმა გაძარცვა სამეგრელოში ილორის ეკლესია. სამეგრელოდან ენგურის ხეობით სვანეთში ამოვიდა და მრავალი ეკლესია გაძარცვა. ნაძარცვი ხატები, ჩვენი სარწმუნოებრივი გრძნობები რომ უფრო შეელახათ, შავი ძაღლებით მოჰქონდათ. ლახამულაში მათ შეხვდათ მულახელი ვიღაც თ. გიგანი გზისა და ეკლესიების მაჩვენებლათ.

ხონთქრის ჯარი პირველად მულახში უღვირ-ზაგარის მთაზე დამარცხდა. ამ ბრძოლაში მოკლულ ხონთქრის ჯარის მთავარ-სარდლის ქუდი დღემდე ერთ ეკლესიაში ინახება, ხოლო თ. გიგანის მიერ ამ ბრძოლის დროს წართმეული ეკლესიების ნაძარცვი მეორე – სახელდობრ მუჟალის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში [56]).

ეს ჯარი სვანეთში სრულიად მოისპო და თავის ქვეყანაში არავინ დაბრუნებულა.

გადმოცემით, სვანეთი ერთ დროს ბერ ყიფიანის, ხოლო შემდეგ ბედან ყიფიანის მეთაურობით რაჭა-ლეჩხუმს ეომებოდა. ბედან ყიფიანის მეთაურობით სვანეთის ლაშქარი რომ ლეჩხუმისაკენ გაემგზავრა, – ქვემო სვანეთს ამ დროს რაჭის ერისთავი იპყრობდა. მათი თხოვნით სვანეთის ლაშქარი ეკვეთა მტერს, სასტიკად დაამარცხა, წაართვა სალაშქრო ხატი, რომელიც მულახის მაცხოვრის ეკლესიაში ინახება (ამ ეკლესიაში მართლაც არის ეს ხატი შენახული წარწერით: ,,ბედან ყიფიანი“, და სვანები მას სალაშქრო ხატს ეძახიან). გამარჯვებულმა სვანებმა ბეგარად დაადვეს ქვემო სვანებს ასეთ დახმარებისათვის ყოველწლიურად სამი საპალნე ღვინო. აქედგან სვანები ლეჩხუმისკენ გაემგზავრენ. ლეჩხუმის უფროსი ბენდელიანი შეიპყრეს, რკინის საკარცხული (სკამი) წაართვეს და ჟაბეშის ეკლესიაში შეინახეს [57]), ხოლო ბეგარა დაადეს ჩხუტელს ყოველწლიურად ერთი თეთრი ხარი, ლუხვანოს და ცაგერს რკინის ავეჯეულობა (ნემსი, ნაჯახი და სხვ.), ოყურეშს,

ლაჭებიდას და სხვ. სოფლებს თვითო თეფში ,,რიმბიში“ [58]), ტყვია-წამალი და სხვ...

ყიფიანები რომ სვანეთის რამოდენიმე საზოგადოების ლაშქარს ხელმძღვანელობას უწევდენ ერთ დროს, ეს სიმართლეს უნდა შეიცავდეს, მაგრამ რომელ საუკუნეებში ჰქონდა ამას ადგილი, ეს ძნელი გასაგებია ჩვენთვის.

მესტიის მეათე საუკუნის ტყავზე დაწერილ სახარებაზეა წარწერა: ,,მულახისა მუჟალის და მესტიის ერთობილმა ხევმა და ერთობილმა მოქალაქემან მოგეცით თქვენ ფალიანსა ქველის (ორი სახელი და გვარი წაბღალულია) მტკიცე და უქცეველი მას ჟამსა უდეს ბერ ყიფიანი შეგაკუდათ ავიღეთ სისხლი და დღეის იქეთ არა დაგრჩა ჩვენი სისხლი“. თავდებად ამა პირობისა არიან მოხსენებულნი: მაცხოვარი მულახისა, მთავარ-მოწამე სეტისა და მთავარ-მოწამე ქალაქისა [59]).

მეცნიერები ამ წარწერამ გააკვირვა, ვინაიდან მის მიხედვით ორი საზოგადოება იღებს ყიფიანის ,,წორს“ (სისხლის ფასს), რაიცა სვანეთის ცხოვრებაში არაჩვეულებრივ მოვლენად ჩაითვლება, რადგანაც რომელიმე მოკლულ სვანის წორს იღებს მისი ჭირისუფალი და არა საზოგადოებები და, გარდა ამისა, წარწერაში მოხსენებულმა სიტყვებმა: ,,მთავარი მოწამე ქალაქისა“, და სვანები რომ თავს ,,მოქალაქეებს“ უწოდებენ.

მე მგონია ეს წარწერა შემდეგნაირად უნდა აიხსნებოდეს: ბერ ყიფიანი, როგორც გადმოცემით ვიცით, იყო ერთ დროს ამ ორ საზოგადოების ჯარის წინამძღოლი და ამიტომ მასთან ხალხი ჩვეულებრივად შეფიცებული იქნებოდა, რომ თუ ვინმე მოკლავდა, უნდა ესისხლებინათ. ის შემოაკვდა უცაბედათ ქველი ფალიანს და ამიტომ მულახი და მესტია მას ახდევინებს სისხლის ფასს, – ,,წორს“.

ცენის წყლის აუზში ლაშხეთის აღმოსავლეთით სოფელ მახაშიდგან ერთი ვერსის მანძილზე მდებარეობს ერთი ადგილი, რომელსაც ქვია ,,ქალაქოლა“. ეს ადგილი ძველ დროში ითვლებოდა ზემო სვანეთისა და ქვემო სვანეთის აღმოსავლეთის საზღვრად. აქ ჩვენ გვხვდება რამოდენიმე ციხის ნანგრევები და ეკლესია, რომელსაც ქვია ,,ქალაქოლა საყდარ“. ძველ დროში გადმოცემით აქ მრავალია ხალხი იყრიდა თავს სვანეთის სხვადასხვა კუთხეებიდან [60]) აღებ-მიცემობისა, საქონლის გაცვლა-გამოცვლისა და ვაჭრობისათვის და ამიტომაც დაერქვა ამ ადგილს ,,ქალაქი“ ანუ

,,ქალაქოლა“. ქალაქი სვანურათ მართლაც ზემოდაღწერილ ადგილსა ჰქვია, ვინაიდგან დღესაც ლეჩხუმში ყოველწლიურად რომ იარმარკობა ანუ აღებ-მიცემობა იმართება – ენკენისთვეში ამას სვანები ,,ენკანობა ქალაქს“ ეძახიან, ხოლო ვინც იქ წავა სავაჭროდ, იმათ ,,მოქლაქა“-ს. ამ გარემოების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია თამამად ვსთქვათ, რომ წარწერაში მოხსენებული მთავარ-მოწამე ქალაქისა წარმოადგენს იმ ეკლესიას, რომლის ნანგრევებიც ჩვენ დრომდე დაცულია ზემოხსენებულ ქალაქოლაში.

მე-15 საუკ. შემდეგ რომ სვანეთის ჯარი ზემო რაჭას დასცემია, ეს ქვეყანა დაუმორჩილებია და თავის მოხარკედ გაუხდია იმ ფუთა დადეშქელიანის მეთაურობით, რომელიც შემდეგში მათ მიერ იქმნა მოკლული, როგორც ქვემოდ დავინახავთ, ამას, გარდა სხვა საბუთებისა – გვიმტკიცებენ ქვემო რაჭაში და სვანეთში შენახული შემდეგი ფერხული სიმღერები:

I

უშგულის ხევი დაიძრა
დაიძრა დიდი სურტანი
სულა ამ სვანეთის თავია ფუთა დაჩქელანია
უშგულის ხევი დაიძრა ეცერს კაცი გაუგზავნა
გვახმარე შენი ძალია
ეს ეცერი და უშგული შეიქნა დიდი ჯარია
მათ რომ აბჯარი ჩაიცვეს ვერ მოშორდების თვალია
პეტრე-პავლობის დღეს დილას ცხენები შევიკაზმეთა
ბრილის ჭალას [61]) ჩავიდნენ მიწას დასცეს ძარია
თვითო ფარფალა [62]) დალიეს მით იზიარეს თავია
რომ გადგევიარეთ თევრეში კარგი სოფელია
დავლა ქალაქის კარია
ვეზის ჭალაში [63]) ჩავიდნენ
ღებურთა ციხე გვამაგრეს
ციხის კარები გვამაგრეს
ღებურთ სიტყვა მოგვართვეს
მადლიანი და ღვთიანი
,,უშგულო თქვენი ჭირიმე
გვემართოს თქვენი ბეგარა
კვამლი თავზე კაბიწიო [64])

დედა ღვთისა კი შევსწიროთ
რქა თეთრი ქერა ხარიო
მაცხოვარსა კი მივართვათ
რქა დახვეული ცხვარიო“.
ჩიხორისა ჭალასაო ცერისოდენ ღელასაო
მეფე მიჰქონდა პირაღმაო
ჭიორი კარგი სოფელია
ვითომ ქალაქის კარია
ზედა კართა კი მიადგა შავი სვანეთის ჯარია
გულო ნუ შეგვიშინდები ფეხო ნუ მოგვიცურდები
სისხლსა და ტალახოვანში ბასრო გასჭრა და გაიქცა
ვით რომ დედალი თხაიო
ვინ რომ მელექსე იტყოდა გიორგი თეთროვანიო
თუთრუან თეთრო ქალოვო
წელ-წვრილო კოჭ-დაბალოვო
პეტრე-პავლობის თვესაო
ბოყოს მიადგა ლაშქარი
ქართლსა გავარდა ამბავი
ნარასის [65]) ხიდი გაგვიტყდა
იმან კი გვიქნა ზიანი
ახალ ახალი ხტებოდნენ
შიგნით ცვიოდნენ ბერები.

II
სვანეთის ლაშქარი

ღელას ჩამოდგა დიდი ლაშქარი
დიდი ლაშქარი ვოსი და დვალი
სულა ამ სვანეთის ქვაი მფრქვეველი
მამლი ყივლისა გათენებისა
გათენებისა ომი შეიქნა
ომი შეიქნა ქალაქის კარსა
ქალაქის კარსა ქნევა ხმალისა
ქნევა ხმალისა ძგერა შუბისა
შუბის ნალეწი ზეცას ცვიოდა ჩამოცვიოდა
ხმალი ორპირი სისხლში სცურავდა

სისხლში სცურავდა გიერგილ წაიქცა
გიერგილ წაიქცა სვეტილ ოქრეში
გაღმის ყანაში გრამი გასძახის
გრამი გასძახის ჩვენი რე იქნენ
ჩვენი რე იქნენ მოქალაქენი
მოქალაქენი უკან მიდიან
უკან მიდიან ტანი რახტითა
ტანი რახტითა თავი გოდრითა
თავი გოდრითა წვრილი წელები
წვრილი წელები ხელ კალათითა [66]).

სვანებს რომ ერთ დროს რაჭველებთან მტრული განწყობილება ქონიათ – ეს ვახუშტი ბატონიშვილის შემდეგი ცნობებიდანაც ჩანს:

,,ყოფილა ამ ლიხეურის ხეობაზე შენობა დიდი, არამედ აწ მტრობისაგან სვანთა არღარა და ოხერ არს“ [67]).

სასაცილო ის არის, რომ უშგულელები დღესაც ედავებიან ღებელებს სიმღერაში მოხსენებულ ხარკს. 1918 წელს ისინი დაეცნენ ურავის მთას, წაართვეს 200 მეტი ხარი იმისათვის, რომ ამდენ ხანს ეს ბეგარა არ გადაუხდიათ ღებელებს.

41) ხახანაშვილი. სვანური ხელთნაწერები და სახარებები. გვ. 2.

42) ნაჩვენებია აღმოსავლეთის საზღვრად ატკვერის მთა, ე. ი. უშგული, ხოლო დასავლეთის საზღვრად ბალის მთა, მდებარე სადადეშქელიანო და თავისუფალ სვანეთის საზღვარზე.

43) აქ ნაჩვენებია მთელ ზემო სვანეთის საზღვრები აღმოსავლეთით უშგული – დასავლეთით ლალვერი.

44) ვარგმან და გლეხმან, ე. ი. აზნაურმან და გლეხმან.

45) უზედაესმან – ზედა ხეველმან და უქვედაესმან – ქვედა ხეველმან (,,ჟაბე ხევ, ჩვაბე ხევ“)

46) ხახანაშვილი. სვანეთის ხელთნაწერები და სახარებები. გვ. 28.

47) ჯავახიშვილი. ქართ. ერის. ისტ. გვ. 213-214.

48) მარი ბროსე. საქართვ. ისტ. გვ. 161.

49) მარი ბროსე. საქართველოს ისტორია. გვ. 42.

50) ბარათაშვილი. საქ. ისტ. რვეული 3. გვ. 135 და 136; ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტ. გვ. 459.

51) ივ.ჯავახიშვილი. ქარ. ერ. ისტ. გვ. 602.

52) ბროსეს თქმით ეს მოხდა 1330 წ., ხოლო სხვა ისტორიკოსების ცნობებით 1361 წ.

53) ლატფარის მთაზე ფოშტლარის ვაკეს მახლობლად მართლაც არის ორ ადგილას ასეთი ქვები დაწყობილი. ერთი გროვა დიდია – მეორე პატარა.

54) ამ სიმღერაში აღნიშული ფარე და ბახა მდებარეობენ უშგულის აღმოსავლეთით რაჭასა და სვანეთის შუა.

55) ვახუშტი. საქ. გეოგრაფია. გვ. 273 შენ. ჯანაშვილისა.

56) ამ გადმოცემაში საყურადღებოა შემდეგი გადმოცემა: სვანებს ეს ეკლესია მულახში არსებულ ყველა ეკლესიებზე უძლიერეს ეკლესიად მიჩნიათ, იმიტომ რომ მასში ინახება მრავალ ეკლესიების ხატ-ჯვარი (ნაძარცვი) და როცა რამეზე აფიცებენ ერთმანეთს, ამბობენ, ,,ამაში ინახება 166 ხატის ნაწილი და იმათმა მადლმა ძირიან-ფესვიანად ამოგაგდოს, თუ სიმართლე არ დაიცვაო და სხვ... სამეგრელოდან ხშირად მოსულან აქ ზედაშითა და ზვარაკით მლოცველები, რომლებიც ამბობენ, რომ ხონთქრის ჯარის მიერ ჩვენი ეკლესიებიდან გამოტანილ ხატების ნაწილები ამაში ასვენია და ამიტომ მოვდივართ აქ სალოცავადო“.

57) ამ ეკლესიაში რკინის სკამი მართლაც ინახება დღემდე.

58) თეფში – ვერცხლის თასი. რიმბიში შეიცავს ვერცხლის ერთ შაურიანს.

59) ხახანაშვილი. სვანეთის ხელთნაწ. და სახარებები. გვ. 29

60) აქ მომსვლელ ხალხის სიმრავლეს გადმოცემა იმით გვიმტკიცებს, რომ 100 მარტო თეთრჯორიანი მოდიოდაო.

61) ბრილის ჭალა მდებარეობს ღების მახლობლად.

62) ფარფალა სამოგვისაგან გაკეთებული სასმისი, რომელსაც მეომრები წელზედ იკიდებენ.

63) ვეზის ჭალა მდებარეობს ღების მახლობლად სამხრეთით.

64) კაბიწი ღებურად პურის სარწყავი ზომით ერთი ფოხალია.

65) ხიდის კარი.

66) ეს სიმღერები ჩამაწერინა სოფელ უშგულში მოხუცმა გოგა ჩარკსელიანმა 1916 წელს, პეტროგრადის სამეცნიერო აკადემიის დავალებით სვანეთში მუშაობის დროს.

67) ვახუშტი. საქართველოს გეოგრაფია. გვერდი 285.

სვანეთის ერისთავები

ჩვენ არ ვიცით ვინ იყვნენ სვანეთი ერისთავები მე-XI საუკუნემდე, მხოლოდ უდავოა, რომ მე-XI საუკუნიდან XIV საუკუნემდე აქ ერისთავებად ინიშნებოდენ **ვარდანიძეები,** ხოლო მათ შემდეგ კი მე-XV საუკუნემდე **გელოვანები;** ამას, სხვათა შორის, შემდეგი ისტორიული წყაროები ამტკიცებს.

1) **დავით აღმაშენებლის** მამის გიორგი მე-2 დროს სვანები (1073 წ.), როგორც კი ზემოთ დავინახეთ, გადაუდგენ მეფეს სვანთა ერისთავის ვარდანის ჩაგონებით და დაარბიეს საეგრო.

მეფემ ისინი იმით შეაჩერა, რომ მათ ასკლალანი მისცა.

აქედან ჩანს, რომ მე-XI საუკუნეში ვარდანიძეები განაგედენ სვანეთს [68]).

2) **თამარ მეფის** დროს სვანთა ერისთავი ვარდანი სვანებს ამხედრებს თამარის წინააღმდეგ, მაგრამ სვანები მალე გონს მოდიან და თვით გიორგი რუსი დაჭერილი და ხელ-ფეხ შეკრული მიჰყავთ თამართან.

ბროსეს თქმით ეს **ვარდანი** იყო თამარის მსაურთუხუცესი და ის მოხსენებულია ხოპის საყდრის ძველ ხატზე [69]). შეიძლება აქ ლაპარაკი იყოს იმ ვარდანიძეზე, რომელიც თამარმა დანიშნა მეჭურჭლეთუხუცესად მას შემდეგ, რაც ყუთლუ ასლანის დასისი დაშოშმინების შემდეგ, ის შეუდგა გადაყენებულ ვაზირების დანიშვნას [70]).

3) დიმიტრი ბაქრაძისა და ექვთიმე თაყაიშვილის თქმით ლეხეურის ძველ ტაძრს წარწერაში მოხსენებული მარუშიან **ვარდანიძე** იყო სახელგანთქმული თამარ მეფის დროს. ეს ვარდანიძეები იყვნენ სვანეთის ერისთავები, ხოლო ხსენებული მარუშიან ვარდანიძე უნდა ყოფილიყო პირველი წარმომადგენელი ამ გვარეულობისა [71]).

ამ მარუშიანის შემოწირული უნდა იყოს ის ხატი, რომელიც სოფ. ნაკიფარის წმ. გიორგის ეკლესიაში ინახება წარწერით: ,,წმ-ო გიორგი მოიჭედა ესე წმ. გიორგისა იფარისა ჩემგან მარუშის მიერ სალოცავად და სახსრად სულისა ჩემისა დღესა განკითხვისასა ჩემითა ოქროთა და ვერცხლითა ხელითა ომან ოქრომჭედლისათა“.

ხოლო მეორე ხატი სოფ. ჟიბიანის ეკლესიაში წარწერით: ,,წმიდაო მაცხოვარო მეოხ ექმან მარუშიანს და ძესა მისა“ [72]).

ეს მარუშიან ვარდანიძე რომ ცნობილი იყო თამარ მეფის დროს, ამას, სხვათა შორის, უვაროვაც ადასტურებს.

აქედგან ჩვენ შეგვიძლია ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ ორივე ზემოხსენებული საყდარი მე-12 საუკუნემდე ყოფილა აშენებული.

4) ბაქრაძის თქმით გურიელები და დადიანები სვანეთის ერისთვის ვარდანიძეების გვარეულობიდგან უნდა მომდინარეობდენ [73]).

ამრიგად, ამ საბუთების მიხედვით ვარდანიძეების ერისთაობა სვანეთში მე-XI საუკუნეში დაწყებულა და გაგრძელებულა მე-XIV საუკუნემდე. ამის შემდეგ, როგორც ვიცით,

გადაუყენებიათ და დაუნიშნავთ გურიის ერისთავად, ხოლო სვანეთის ერისთავად, როგორც ზემოთ არის ნათქვამი, დაუნიშნავთ გელოვანი [74]).

ვარდანიძეების შემდეგ სვანეთის ერისთავებად გელოვანის დანიშვნის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი სწერს: ,,სვანეთი პირველად იყო ეგრისის საერისთაო, შემდგომათ დასვეს მეფეთა მისი ერისთავი და აწ უძისთ გელოვანი, ვითარცა პატრონი მათი და არიან თავისად და აღარავის მორჩილებასა შინა". ბროსეს თქმით ვარდანიძეების შემდეგ გელოვანის გვარი დარჩა უპირველეს გვარათ სვანეთში, ,,მაგრამო, დასძენს ბროსე, ამ გვარს არავითარი ისტორია არა აქვს".

გელოვანის ბატონობა სვანეთში მე-14 საუკუნიდან მე-15საუკუნ. რომ გასტანა, ამას გვიმტკიცებს ის გარემოება, რომ 1462 წ. სამეგრელოს ერისთავი დადიანი, გურიის ერისთავი გურიელი, სვანეთის ერისთავი **გელოვანი** და აფხაზეთის ერისთავი შარვაშიძე განუდგნენ საქართველოს მეფეს გიორგის, რომელიც მათ შეება ჩიხორს, მაგრამ დამარცხებულ იქმნა [75]).

გადმოცემითაც გელოვანები ერთ დროს ზემო სვანეთის ერისთავებად ინიშნებოდენ. კალის საზოგადოებაში დღემდე შენახულია ერთი მაღალი ორ–სართულიანი ქვიტკირის სახლი და ციხე, რომლებსაც **გელოვანი ქორალს** – გელოვანების სახლებს ეძახიან, ხოლო მის აღმოსავლეთით მდებარე სახნავ ადგილებს **,,გელვანა დაბარს"** (გელოვანის მიწები). ეს სახლი აგებულია სოფ. **ლალხორ**-ში. ,,ლალხორ" სვანურად ნიშნავს ისეთი ადგილის სახელს, სადაც მთელი ხალხი იკრიბება რამე დიდმნიშვნელოვან საზოგადოებრივ საქმეების გადასაწყვეტათ.

ამ სოფლის მახლობლად მდებარე ვაკესაც ჰქვიან ,,ლალხორა ნაკ", ე. ი. ხალხის თავმოსაყრელი ვაკე.

ამ გარემოების მიხედვითაც ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ გელოვანს ბინადრობა სწორეთ აქ ჰქონებია, მით უმეტეს, რომ სოფ. კალა ზემო და ქვემო სვანეთის შუა ადგილს მდებარეობს და აი ამ შუაგულ ალაგას ჩვეულებრივად თავს იყრიდა ხოლმე მთელი სვანეთი რაიმე მნიშვნელოვან საქმეების გადასაწყვეტად. ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ როცავ სვანეთში რამე დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ხასიათის საქმე წყდებოდა, კალის წმ. კვირიკეს მონასტერში დაფიცებით უნდა დაედასტურებინათ, უამისოთ ამ

გადაწყვეტილებას არავითარი ძალა არ ჰქონდა. ამიტომ შესაძლებელია, რომ გელოვანს თავის სამყოფო ადგილის ამორჩევის დროს ამ გარემოებისთვისაც მიექციოს ყურადღება.

სოფ. კალაში შენახულია თქმულება იმის შესახებ, რომ გელოვანს არ ემორჩილებოდა სოფ. იფრაარში მცხოვრები ვიღაც ავი ქალი **დუღმაზი**, რომელსაც ცხრა ვაჟიშვილი ჰყოლებია, რისთვისაც ყველა მისი შვილები გელოვანს დაუხოცია. ბოლოს გელოვანს მოუნდომებია დუღმაზის მოსპობაც, გაუგზანია მისთვის ლაშხეთიდან მოციქულად თავისი კარის კაცი თვეი, და დაუბარებია შესარიგებლად ლაშხეთში. ეს დუღმაზი თვეისთან ერთად გაემგზავრა ლაშხეთში გელოვანთან. ლატფარის მთაზე რომ გადადიოდნენ, შეისვენეს სადილის საჭმელათ. ამ სადილობის დროს გელოვანის მოციქულს თურმე ისეთი სიტყვა წამოცდა, რომ დუღმზი დაეჭვიანდა გელოვანის მისდამი გულწრფელობაში, ამიტომ მან გელოვანის კაცი ისე დაათრო თავი არაყით, რომ მას უგრძნობლად იქვე მიეძინა. დუღმაზმა მძინარე კაცს ნაჯახი დაჰკრა და ტვინი დაანთხევინა [76]).

როდის და რა მიზეზებით მოხდა გელოვანების ბატონობის დამხობა სვანეთში, ამაზე არავითარი ცნობა არ მოიპოვება. არის გადმოცემა, თითქოს საქართველოს ერთ-ერთმა მეფემ ყველა გელოვანები ერთ დღეს დახოცა. ამ უბედურებას შემთხვევით გადარჩა, გელოვანის მხოლოდ ერთი ძუძმწოვარა შვილი მის გამზრდელ მახარობლიძესთან ყოფნის წყალობით. გამზრდელმა მახარობლიძემ ეს ბავში გადამალა სვანეთში, სადაც მერე ის ერთმა ყიფიანმა აიყვანა და ლაშხეთის ბატონს ლაშხს მიაბარა. აქ მისგან შემდეგში ისევ გამრავლდენ გელოვანები.

68) ჯავახიშვილი. ქარ. ერ. ისტ. გვ. 459.

69) ბროსე. საქ. ისტ. გვ. 166.

70) ჯავახიშვილი. ქარ. ერ. ისტ. გვ. 582 და 583.

71) თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსკურსია. სხვადასხვა შენიშვნები. გამოცემა მე-3. გვ. 18.

72) ხახანაშვილი. სვანეთის ხელნაწერები და სახარებები. გვ. 361.

73) დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა საქართველოში და აჭარაში გვ. 264.

74) ვახუშტი. საქართველოს გეოგრ. გვ. 326.

75) ვახუშტი. საქართ. გეოგრაფია. გვ. 273. შენიშვნა ჯანაშვილისა 465.

76) ეს ამბავი დაწერილი აღმოჩნდა ერთ პატარა ფიცარზე, რომელიც ინახებოდა კალის წმ. კვირიკეს მონასტერში. ეს წარწერა წაუკითხავს მღვ. ფარეიშვილს ამნაირად: ,,დუღმაზ ლფეეთე კადა ლშერე, თვეი ლუთოლე ლუგრალ ლუსკორე". ქართულად რომ გადავთარგმნოთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ავს დუღმაზს გალესილი ნაჯახით თვეისთვის თავი გაუჭეჭყია და სხვ.

თავადი რიჩგვიანები

გადმოცემით, გელოვანების შემდეგ დასავლეთ ანუ სადადეშქელიანო სვანეთში ერთ დროს გამაგრდნენ **რიჩგვიანები**, რომლებსაც თითქმის არავითარი ისტორია არა აქვთ. ისინი რომ თავადებათ ითვლებოდენ და სვანეთის ზემოხსენებულ ნაწილს განაგებდენ, სხვათა შორის, ეს იქიდგანა ჩანს, რომ როდესაც უშგულელებს მოუკლავთ რაჭის თავადი ჯაფარიძე, იმერეთის მეფის წინადადებით უშგულელები და ჯაფარიძეები მედიატორული წესით გეგუთის მინდორში შერიგებულან. აი ამ მოლაპარაკების დროს უშგულელების მხრივ მთავარ მედიატორად ყოფილა თავადი **რიჩგვიანი**, როგორც ეს შერიგების შესახებ დაწერილ განჩინებიდან სჩანს.

პირველად რიჩგვიანები მეტოქეობას უწევდენ მათ შემდეგ გაბატონებულ დადეშქელიანებს და სიცოცხლეს უმწარებდენ მათ.

ერთი გადმოცემა ამის შესახებ გვაუწყებს, რომ დადეშქელიანების გვარეულობის ერთ-ერთი წარმომადგენელი ისლამი რიჩგვიანებს გაქცევია, ბახის მთა გადაუვლია და თერგის ოლქში შეუფარებია თავი, ბახსანის თავადის ურსბიევის სახლში. რამდენიმე ხნის შემდეგ ისლამს ქაშგის ლაშქარი მოუყვანია და დიდი ზიანი მიუყენებია რიჩგვიანებისათვის, მაგრამ მათი საბოლოოდ დამარცხება ვერ მოუხერხებია და ამიტომ სიკვდილის დროს მას თავის შვილებისათვის ანდერძი დაუტოვებია, თუ როდესმე რიჩგვიანები დაამარცხოთ, საფლავში ჩამძახეთ და მომახარეთო.

გადმოცემით, დადეშქელიანებმა მოისყიდეს რიჩგვიანების კარისკაცი ვიღაც ციქვლიდი, რომელმაც ისე მოხერხებულად მოაწყო საქმე, რომ ყველა რიჩგვიანები ერთ დღეს შეაწყდა ერთმანეთს, გადარჩა მხოლოდ ორი კაცი ახლავი და ხაუთი. ისლამს ახარეს ეს ამბავი და მან სიხარულისაგან საფლავში სამჯერ იმისთანა

ამოიხვნეშა, რომ ქურაშის საყდრის კედლები შეინძრა და ერთი მათგანი კიდეც გასკდაო. ერთ სვანურ სიმღერაში (**„ვიცბილ მაც ბილ“-ში**) ნათქვამია: ეს ორი ჭაბუკი სამ წელს ტყვია-წამალს ამზადებდა, და ამის შემდეგ დადეშქელიანების თავზე დასახმელათ ლადრელის ციხეში გამაგრდა და სორთმან ბატონს შეებრძოლა. სამი წლის განმავლობაში ისინი სიცოცხლეს უმწარებდენ დადეშქელიანებს. ამ დროს შვიდი კომლისაგან შემდგარი რიჩგვიანების გვარეულობა ამ ორი ძმის წინააღმდეგ ბატონ სორთმანს მიემხრენ, რათა როგორმე აეღოთ ლადრელის ციხე.

ციხის აღებამ იმსხვერპლა თვით სორთმანი, მრავალი სხვა და ეს ორი ძმაც ამ ციხეში გამოესალმა სიცოცხლეს, რადგანაც ციხეს აღების დროს ცეცხლი წაუკიდეს და ცოცხლათ ციხეში დასწვეს [77]). ის ორი კაცი, ახლავი და ხაუთი, რომლებიც შემთხვევით გადარჩნენ უბედურებას, გაიქცნენ ს. მესტიაში და წმ. გიორგის ეკლესიას შეახვეწეს და შეაბეს ერთი ხარი.

მესტიელებმა ისინი მიიღეს და თავის მფარველობის ქვეშ ს. ლაღამში დაასახლეს. მაგრამ მალე აქ კაცი შემოაკვდათ და ამიტომ ყაბარდოში გადაიხვეწნენ, სადაც დღემდე განაგრძობს არსებობას მათი შთამომავლობა.

77) ეს სიმღერა იხილეთ წიგნის ბოლოში.

თ-დ დადეშქელიანების გაბატონება სვანეთში

მე-15 საუკუნეში რიჩგვიანების შემდეგ სვანეთში იწყება დადეშქელიანების ბატონობა.

საიდგან გაჩნდნენ ისინი სვანეთში, რა ტომისა და მოდგმისა არიან ისინი – დღემდის ეს საკმაოდ გამორკვეული არ არის.

ზოგი ამტკიცებს, რომ **დადეშქელიანების** გვარი სვანეთის უკანასკნელ ერისთავის „დადაშ გელოვანის“ სახელისა და გვარის შეერთებით შესდგაო.

ხოლო გადმოცემით [78]) ისინი დაღესტნიდგან უნდა იყვნენ შემოსული და ტარკოვსკის გვარს უნდა ეკუთვნოდნენ. სვანური გადმოცემა ამბობს, რომ რომელღაც დადეშქელიანის ერთ წინაპარს – ტარკოვსკის მოუკლავს თავისი სახლიკაი. მოკლულის

ჭირისუფლების მიერ დევნილი ტარკოვსკი მთებში იმალებოდა. ზამთარში ტყეში ვეღარ გასძლო და არჩია რომელიმე უცხო ქვეყანაში გადახვეწილიყო. ამ დროს მთაზე მან მიაგნო თოვლში დათვის კვალს, რომელსაც გამოჰყვა და ამ კვალმა ის სვანეთამდე მოიყვანა. ეცერში ის ესტუმრა ამ სოფლის სვიმრის უფროსს მღვდელს კახიანს. ასეთი უცხო სტუმრის დანახვით გაოცებული მასპინძელი შეეკითხა მას:

– ,,ვინა ხარო“?

სტუმარმა უპასუხა თურმე:

– **„დაგდაშდან გელან“**, რაიცა ნიშნავს – მოვედი ამ მთებიდან. მღვდელმა ეს სიტყვები ჩათვალა შეკითხვის ნამდვილ პასუხად და იფიქრა, რომ ამ სიტყვებში გამოიხატებოდა სახელი და გვარი მისი სტუმრისა და ამრიგათაც **„დაგდაშდან გელან“** შემდეგში თანდათან დადეშქელიანათ გადაკეთდაო.

ეს დადეშქელიანი თურმე მღვდლისას დაბინავდა. მას ჰყავდა სამი ქალიშვილი. მღვდელი საგონებელში ჩავარდა, მისი სტუმარი კალმით აუწერელი სილამაზის იყო. მღვდელს შიში ჩაუვარდა გულში: ქალიშვილების პატრონი ვარ, სახლში არაფერი მარცხი დატრიალდესო. ბოლოს გადაწყვიტა, რომ სტუმრისათვის საწოლი სახლის ქვედა სართულში მიეჩინა. თვითონ ქალიშვილებთან ერთათ კი ზედა სართულში წვებოდა, ხოლო ამოსასვლელ კიბის თავზე ღამით თვითონ გაიშლიდა ხოლმე ლოგინს, მაგრამ დადეშქელიანი იმისთანა ღონიერი იყო, რომ ამ ლოგინს ასწევდა ხოლმე და ისე გადადგამდა გვერდზე, რომ მასპინძელი ვერ გებულობდა და თვითონ მის ქალიშვილებთან წვებოდა. როცა ეს გამომჟღავნდა, სტუმარმა ჯვარი დაიწერა მასპინძლის ქალიშვილზე. ამის შემდეგ დადეშქელიანი ახდენს თავისი სიმამრის შემწეობით ხალხზე ისეთ გავლენას, რომ მალე ის იპყრობს მთელს ხალხს და ამიტომაც მისი პატივისცემის აღსანიშნავად ხალხმა გადასწყვიტა მისთვის სახლი აეგო. გამოიყვანეს მოსახლის თავზე თითო ცხვარი. ეს ჯოგი გაუშვეს ლადრერს დაბლა მინდორში და ხალხი შეეხვეწა ღმერთს, რომ ეს ჯოგი მათ მეორე დღეს დახვედროდა ისეთ ადგილას, სადაც დადეშქელიანის სახლის აგება ღვთისთვის სასურველი ყოფილიყო. მეორე დღეს ხალხმა დაუწყო ამ ჯოგს ძებნა და ნახეს სოფ. ბარში, სადაც აუშენეს დადეშქელიანს ის დიდი სახლი, რომელშიაც

შემდეგში მრავალ საუკუნეთა განმავლობაში იჭედებოდა მათი ბედი ანუ მონობის მძიმე უღელი.

78) უნდა აღვნიშნოთ, რომ გადმოცემა დადეშქელიანების გვარეულობის თავგადასავალზე მრავალნაირად გვესმის სვანეთში, და ისინი ერთმანეთს არ ეთანხმებიან.

ფუთა დადეშქელიანის მოკვლა უშგულში

დადეშქელიანებმა მოინდომეს თავისუფალ სვანეთზე გაბატონება, მაგრამ თავისუფლებას შეჩვეულ სვანებს ქედი ვერ მოახრევინეს; უშგულელებმა მოჰკლეს ჯერ ყვარყვარე და მერმე ფუთა დადეშქელიანი. ხალხს უნდოდა, რომ ფუთას მოკვლა ერთ ვისმეს არ დაბრალებოდა, მასიური ხასიათი მიეცათ და ამიტომ მოაგროვეს თურმე თითო მარცვალი თოფის წამალი. ყველამ თავიანთ თოფების ტყვიას ჩამოთალა და მისგან გააკეთა ფუთას მოსაკლავათ ერთი ტყვია. ამ ტყვია-წამლით გატენილი თოფი შეიტანეს უშგულის ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანში და ტუჩი იქითკენ უქნეს, საიდანაც მოელოდენ ფუთას მოსვლას. თოფის გასროლაშიც რომ ყველას მიეღო მონაწილეობა, თოფს ჩახმახზე გამოაბეს გრძელი ბაწარი და ამის შემდეგ უშგულელებმა გაუგზავნეს კაცები ფუთას მოსაპატიჟებლათ.

ფუთა არ ენდო მოციქულებს და არ დაყაბულდა წამოსვლას მანამ, სანამ არ გაუგზავნეს უშგულის უფროსის შვილი და ოცი კაცი მძევლებად.

სადილზე ფუთას მარჯვნით მოუსვევს უშგულის უფროსი ნასგგგ ნაგვაშერებისა, ხოლო მის მხლებლებს ორ-ორი უშგულელი. როცა წინასწარ მოლაპარაკების თანახმათ ნასყიდამ სთქვა: ,,ბიჭებო, ეხლა წითელი ღვინო დაგვალევინეთო“, მაშინათვე ეკლესიის გალავნიდან გავარდა თოფი, რომლის ტყვიამ ფუთა გამოასალმა წუთისოფელს. დანარჩენი უშგულელები ფუთას მხლებლებს დაესიენ და სულერთიანად ამოხოცეს ისინი. გადარჩა მხოლოდ ერთ-ერთი კაცი, მაგრამ სოფ. ჟაბიანში მას კოკიჩაშერების ქალებს დაესიენ და ისიც მოჰკლეს. გაშლილი სუფრა, სადაც ბლომად ეწყო

ხორცი, პური, ხაჭაპურები, სისხლით შეიღება. უშგულის ღვთისმშობელს ეწყინა ეს ამბავიო. ამბობს ერთი გადმოცემა და დასაჯა უშგულელები იმითი, რომ სამი წლის განმავლობაში არცერთი ძროხა არ დამაკებულა და ერთი წვეთი რძე არ გამოუწველიაო.

შეწუხებულმა უშგულელებმა ღვთისმშობლის წინ მუხლი მოიდრიკეს, მსხვერპლი შესწირეს და აღუთქვეს, რომ ახალწლიდგან მოკიდებული პეტრე-პავლობამდე ყველს გარეთ არ გამოვიტანთო, რასაც დაარქვეს **მახორვა** და ამ აღთქმას ისინი დღემდეც გაუტეხლათ ასრულებენ.

ფუთას ცოლმა, ასე ვერაგულათ მის ქმრის მოკვლის ამბავი რომ გაიგო, სთხოვა უშგულელებს მოკლულის გვამი მაინც დაენებებინათ, მაგრამ სანამ მძევლათ დატოვებული უშგულის უფროსის შვილი და მისი ამხანაგები არ გაანთავისუფლებინეს, მანამდე ფუთს გვამის და მისი მხლებლების გასვენების ნება უშგულელებმა არ მისცეს. ფუთას ტანისამოსი და იმ ბაწრის ნაჭერი, რომელიც თოფის ჩახმახს გამოაბეს მის მოკვლის დროს, დღემდის შენახული აქვსთ უშგულელებს უშგულის ღვთისმშობლის ეკლესიაში ვითარცა ისტორიული ნაშთი.

ფუთას მოკვლას დღემდე იხსენიებენ სვანები შემდეგის სახით სიმღერაში:

ჩიაბ უჩხე ჩიაბ შდუვე
თეთვნა ეცერს მიჟ ხაწედი
უშგვლარ დავარ უშგვლარ ჴეცარ
იმ ხეტკენჩალდ მახვში ფუთას
მახვში ფუთას ფუთა ფალთაის
ფუთა ფალთაის ფინდიხვშ ტყგრნაჷს.

თარგმანი

ყველგანა სწვიმს, ყველგანა სთოვს,
თეთრ ეცერს მზე ანათებს,
უშგულელებო მხეცებო, უშგულელებო დევებო,
რატომა სცემთ ბატონ ფუთას,
ფუთას თმაგაშლილსა და ტყვიით გაფაღარათებულს.

ამ ფუთას შთამომავლობიდან შემდეგში განდა სამი ძმა: **ხოშა ოთარი** (დიდი ოთარი), **სორთმანი** და **დუდაუ**. ამ ძმების სახელებით დადეშქელიანების გვარეულობა მოინათლა სამი სახელით: ოთარის შთამომავლობას დაერქვა ოთარშა, სორთმანის – სორთმანშა, დუდაუს – დუდაუშა. დიდი ოთარი განაგებდა სვანეთს მე-XVIII ს. პირველ ნახევარში. მისი შთამომავლობა გამრავლდა, გაძლიერდა და დღემდე განაგრძობს არსებობას, ხოლო სორთმანისა და დუდაუს შთამომავლობა მალე გადაგვარდა და ამოწყდა. ყველა ისინი იყვნენ გაბატონებული დასავლეთ სვანეთის – ჩუბეხევის, ფარის, ეცერის და ბეჩოს საზოგადოებებში. საშინელი სურათი წარმოგიდგებათ დადეშქელიანების გვარეულობის თავგადასავლის გაცნობით. ბევრ მათგანს გაუსვრია ხელი მახლობელ ნათესავის და თვით ღვიძლი ძმის სისხლში. პირველობისთვის მათი ერთმანეთთან ბრძოლა და სისხლის ღვრა ისეთ საშინელ ხასიათს ღებულობდა ხოლმე, რომ დადეშქელიანების გვარეულობა მუდამ სისხლის მორევში სცურავდა.

გარდა ამისა, მათ ჰქონდათ დაუსრულებელი უკმაყოფილება და ბრძოლა მოსაზღვრე აფხაზეთისა და სამეგრელოს მთავრებთან საბალახო მთების გამო, რასაც სხვათა შორის ახასიათებს სვანეთში ჩვენ დრომდე შენახული ერთი ფერხული სიმღერა „ლახმულდ ლაშგარ“-ი, რომელიც შემდეგი შინაარსის არის:

ლახმულდ ლაშგარ

ლაშგარისა და ხვილაშგარი
ლახმულდ ლაშგარ ამჩედელი
მაგ ლგთიში ლახმულდარე
ჩუ ლუზერლიხ ბაჩაშ ბოგჟი
ჯგგრაგ ბოგაშ გვიმაზგარა
აშ გვიბინა ლიზ ლიჩედი
ოთარ ციოყს [79]) ხემაჯალე
აშგვიდ გეზლაშ ლინაჭგრნეს
ბაზიშა გვიშგვეი სადგომი
აფხაზ ჩუქვან მინდვერისგა
მერვა ძინარს ჟი ლიგნალედ

ჰაშიდ გუღვან ჩი ტანარე
ბერაჟდ გვიგან ჩი გუვარე
ჟივ ლაშგდად აფხაზარეს
ლაისენიელედ აფხაზარეს
ხოშალ ხოხრალს გვიქაქინეხ
ხოხვრალ ხოშალს ლოქაქინეხ
ალმასიშ გუშგვეი ხანგარე
უბზად ბიდეხ აფხზა ზისხას
მინე მათხმი ჩუ გვიდგარა
ხვაჲ კეთილ ნავ გვათხენა
ლგშკად მინე დაშნარე
ხეხვარს ლაჭიარალდ ხუღვანდახ
ლალთაშა მინე ცხვადარე
ბოფშარს ლაგვრანალდ ხუღვანდახ.

თარგმანი

ლახამულის ლაშქარი,
ლაშქარი დაიძრა,
ლახამულის ლაშქარი დაიძრა.
ყველა რჩეული ლახამულლები
თავს იყრიან ქვის ხიდზედა.
ხუდის წმინდა გიორგის შეეხვეწენ,
გაემგზავრენ და წავიდენ.
ოთარი ციოყს უსაყვედურებს
შვიდი შვილის ომში წაყვანას.
ამაღამდელი ჩვენი სადგომი
აფხაზეთს დაბლა მინდორშია.
მეორე დღეს დილას ავდექით,
მსუბუქათ გვქონდა ყველას ტანი,
რკინასავით გამაგრებული გულია
თავს დავესხით აფხაზებს,
უფროსები უმცროსებს ვამაგრებდით.
ალმასის ჩვენი იარაღი (ხანგარ)
მადიანათ ღვრის აფხაზების სისხლს.

მათი მეთაური ჩვენ მოგვიკლავს,
ბევრი სიმდიდრე ხელთ ჩაგვიგდია.
მოჭედილი მათი დაშნები
ცოლებს ჰქონდათ პურის გამოსაცხობათ.
ყველის შესანახი მათი ქვაბები
ბავშვებს ჰქონდათ სათამაშოდ.

საშინელ მდგომარეობაში ჰყავდათ თ. დადეშქელიანებს ჩაყენებული აგრეთვე თავისი ქვეყნის გლეხკაცობა. გლეხები სულიან ხორციანათ ბატონების ხელში იყვნენ. ხშირათ ისინი თავის ქვეშევრდომთ ოსეთში და სხვაგან ყიდდენ, დამნაშავეებს ასამართლებდენ, აჯარიმებდენ, სიკვდილითაც სჯიდენ [80]).

თვითეულ დანაშაულს თავისი სასჯელი ჰქონდა მიჩენილი, მაგალ., კაცის მოკვლისათვის ახდევინებდენ დამნაშავეს ჯარიმათ 300 მან., ქურდებს 200 მ., იარაღით დაჭრისათვის 100 მ., თვითეული კომლი ყოველწლიურად 20 მ იხდიდა, ყოველი სამი წლის ბოლოს თვითეულ მოსახლეს უნდა მიერთმია ბატონისათვის ძროხა. მიწის ღალა ხდებოდა გლეხს მოსავლის ნახევრამდე, სახლის აშენების დროს კირის, ხე-ტყისა და სილის ფასად გლეხისთვის დაკანონებული იყო 25 მ. გადახდა და სხვ... თუ ვინიცობაა ბატონს ვინმეს ოჯახში მოეწონებოდა ცხენი, ხარი და ძროხა, პატრონის დაუკითხავათ წაიყვანდა ხოლმე მას.

ბატონის ნებადაურთველათ ქალს არ შეეძლო გათხოვება, კაცს ცოლის თხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავე ისჯებოდა. ხოლო როცა ეს საქმე მორიგდებოდა, სასიძო ვალდებული იყო მიეცა ბატონისთვის სასყიდელი.

თ. დადეშქელიანების რუსეთის მეფის ქვეშევრდომობაში შესვლით სვანეთში ხდება ცლილებები. სისხლის სამართლის წესები მათ ჩამოერთვათ და მთავრობამ გლეხობა თავის კანონებს დაუმორჩილა.

1857 წ. ჩუბეხევის ბატონის თ. კონსტანტინეს მიერ გაგარინის მიკვლის გამო 1858 წ. გაუქმდა მის ჩუბეხევის სამთავრო და ხაზინის განკარგულებაში გადავიდა.

1866 წ. სამეგრელოს მმართველმა ვლასტოვმა ზუგდიდში დაიბარა დადეშქელიანების გვარის უფროსი თ-ი თენგიზი და დაიწო მათ შორის გლეხების ,,განთავისუფლებაზე“ მოლაპარაკება.

თენგიზმა ამაზე თანხმობა განაცხადა იმ პირობით, რომ მას და მის ნათესავ დანარჩენ დადეშქელიანებს დარჩენოდათ სამყოფი მიწა-წყალი, ხოლო დანარჩენ ადგილ-მამულში ერთდროულათ მიეღოთ საფასური.

რაიცა შეეხება ,,მოჯალაბეთა“ განთავისუფლებას (მათი რიცხვი 150 აღწევდა), ამ საკითხში ვერ შეთანხმდენ, მაგრამ იმ დღიდგან დადეშქელიანებს აეკრძალათ მონების ყიდვა-გაყიდვის უფლება.

1867 წ. 19 თებერვალს ალექსანდრე II-ს გამოცემულ მანიფესტის შემდეგაც სვანეთში გლეხებისა და თავადების ურთიერთობაში ცვლილება არ ხდებოდა [81]).

1868 წ. თენგიზმა აღძრა შუამდგომლობა ქუთისის გენერალ–გუბერნატორის წინაშე, რომ სისრულეში ყოფილიყო მოყვანილი 1866 წ. ვლასტოვსა და მის შორის დადებული პირობა.

ქუთაისის გუბერნატორმა გრაფმა ლევაშოვმა გამოითხოვა ნებართვა მეფის მოადგილისაგან ამ საკითხის მოსაგვარებლათ სვანეთში წასვლის შესახებ და 1869 წელს ის გაემგზავრა სვანეთში [82]).

გლეხებისა და თავადების ურთიერთობის საკითხი მის მიერ იქმნა გადაჭრილი მით, რომ გლეხებს უნდა მიცემოდათ საკუთრებად მოსახლის თავზე ხუთ–ხუთი ქცევა ადგილი. ხოლო თავადებმა მიიღეს ამის ნაცვლად 50 მ. თვითეულ მამობრივი სქესის რაოდენობის ანგარიშით.

გარდა ამისა საბალახო მთებისა და ხე-ტყით სარგებლობისათვის გლეხი თავადის სასარგებლოთ იხდიდა ყოველწლიურად 5 მ. საახალწლო გადასახადის სახით და სახლის აშენების დროს საჭირო მასალაში (კირი, სილა, ქვა და ხე-ტყე) 25 მან.

1870 წ. სვანეთში იქმნა გაგზავნილი 1869 წ. აქტის სისრულეში მოსაყვანად მიწის მზომელი კომისია [83]).

ამნაირად ალექსანდრე II გამოცემული კანონით სვანეთში ბატონისა და ყმის ურთიერთობაში ხდება ის ცვლილება, რომ გლეხს მიეზომა და საკუთრებათ მიეცა 5 ქცევა მიწა. დანარჩენი საბალახო მთები, ტყეები, სათიბები და სახნავ-სათესი ადგილები თავადის განკარგულებაში დარჩა. ცხადია, 10-25 სულისაგან შემდგარ ოჯახის არსებობა 5 ქცევით შეუძლებელი იყო. ამ გარემოებამ გლეხი ისევ ეკონომიურათ ბატონის დამოკიდებულებაში და მორჩილებაში დატოვა, რასაც სხვათ შორის მშვენივრად ახასიათებს ის

კოლექტიური თხოვნა, რომელიც ეცერ-ცხუმარის გლეხობამ წარუდგინა 1910 წ. 12 მარიამობისთვეს სვანეთში მოგზაურობის დროს მეფის მოადგილის თანაშემწეს ვატაცის [84]).

ეს თხოვნა იყო შემდეგი შინაარსისა: თქვენო მაღალ-აღმატებულებავ! ჩვენ, ეცერ-ცხუმარის მრავალტანჯული გლეხკაცობა, მოხარული ვართ, რომ ჩვენ მიწა-წყალზე უმაღლეს მთავრობის წარმომადგენელს ვხედავთ. იმედი გვაქვს, რომ თქვენ გულდასმით და დაკვირვებით გაეცნობით და ყოველმხრივ განიხილავთ ჩვენი ცხოვრების იმ აუტანელ პირობებს, რომელთა მძიმე ჭრილობებისაგან ასე დაქანცული, სისხლისაგან დაწურული და გაძვალტყავებული შევიქენით.

რამოდენიმე საუკუნეთა განმავლობაში ჩვენ, ეცერ-ცხუმარის გლეხობას, გვადგია კისერზე ფეოდალური მონობის მძიმე უღელი. უკვე 44 წელი გავიდა მის შემდეგ, რაც მეფე ალექსანდრე II-ემ გამოსცა კანონი ჩვენი მონობის უღლის შესამსუბუქებლად, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ ჩვენი ცხოვრება ამის შემდეგაც არამც თუ არსებითად არ შეიცვალა და გამოკეთებულა, არამედ თანდათანობით უარესდება.

მართალია ჩვენ ამ კანონით მოგვიზომეს მოსახლის თავზე 5 ქცევა, რომელზედაც დღეს ხალხის გამრავლებისა და ძმათა გაყოფის გამო ხშირათ 3-4 კომლი მოსახლეობს, მაგრამ დანარჩენი ადგილ-მამული და მიწა-წყალი ისევ თავადის განკარგულებაში დარჩა.

თუ მხედველობაში მივიღებთ სვანეთში მიწის უნაყოფობას და მოუსავლიანობას, თქვენთვის ადვილი წარმოსადგენი გახდება, თუ რამდენათ შესაძლებელია 4-5 ქცევა ასეთ მიწაზე 3-4 კომლის არსებობა. თავის-თავად ცხადია, რომ თუ ჩვენ ბატონის მიწა-წყლით არ ვისარგებლებთ, ისე შეუძლებელია ჩვენი ცხოვრება. ხოლო მათი ადგილ-მამული ისეთი ღალით არის დატვირთული, რომ ჩვენ იძულებული ვხდებით ბატონის ეკონომიურ დამოკიდებულებაში და სრულ მორჩილებაში განვაგრძოთ არსებობა.

ეს გარემოება ჩვენ – გლეხებსა და თავად დადეშქელიანებს შორის ქმის გამწვავებულ მდგომარეობას. ჩვენ გვშიან, ვთხოულობთ პურს და მის ნაცვლად ქვებს ვღებულობთ. ხოლო როცა ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაზე ჩვენ ხმას ვიღებთ, ჩვენს

განცხადებას ,,ბუნტს“ არქმევენ. ასეთ ეკონომიურ პირობებში არსებობა ჩვენთვის რომ შეუძლებელია, ეს მრავალჯერ მოგვიხსენებია მთავრობისათვის, მაგრამ ამაოდ.

დღეს ჩვენ ყველანი, კაცი და ქალი, მუხლმოდრეკილი გევედრებით აღძრათ შუამდგომლობა მეფის წინაშე, რომ ჩვენ და თავადები ერთმანეთს დაგვაშოროს. ისინი დააკმაყოფილოს რაიმე სხვა წყაროებიდგან და მით გვიხსნას ჩვენ ბატონის ეკონომიურ მორჩილებისაგან და მოგვცეს საშუალება თავადებისაგან დამოუკიდებლად და თავისუფლად ცხოვრებისათვის. თუ ეს ჩვენი შუამდგომლობა დაკმაყოფილებული არ იქნეს, იმ შემთხვევაში გთხოვთ სვანეთიდგან აფხაზეთისკენ და სახელდობრ დალში დასახლების ნება მოგვცეთო.

79) აქ მოხსენებული ციოყი უნდა იყოს ბაბა ციოყი.

80) ამბობენ, რომ, გასამართლებას ისინი ახდენდენ თავის ეზოში, იმ დიდ ცაცხვის ქვეშ, სადაც თქვენ ეხლაც გიჩვენებენ დადეშქელიანის მიერ ორსულ ქალის მოკვლისთვის სვანისადმი შემოქნეულ ლეკურის კვალს ერთ ქვაზე.

81) С. Эсадзе. Историч. Записка об управл. Кавказом. Т. I. Стр. 414.

82) Рапорт Гр. Леващова Великому Кн. От 2 августа за № 769.

83) С. Эсадзе. Историч. Записка об управл. Кавк. Т. I. Стр. 418.

84) იხ. ეგნ. გაბლიანის წერილი გაზ. Кутаисский Листок–ში; 1910- წ. 26 აგვისტო, № 134.

სვანეთის პოლიტიკური მდგომარეობა მე-19 საუკუნეში

მიუხედავათ იმისა, რომ თავისუფალი სვანეთი სხვადასხვა დროს გარეგნულად ამა თუ იმ სამეფოს ანუ სამთავროს ემორჩილებოდა, ნამდვილათ მუდამ თავისებურ დამოუკიდებელ არსებობას განაგრძობდა და საკუთარი, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ვახტანგ მეფის კანონების მიხედვით სცხოვრობდა.

ამ პირობებში იმყოფებოდა სვანეთი მე-19 საუკუნემდე, ხოლო ამის შემდეგ 1853 წელს ის ნებაყოფლობით რუსეთს შეუერთდა. მაგრამ ვერც რუსეთის მთავრობამ მოახდინა სვანეთზე რაიმე არსებითი გავლენა, რუსეთის კანონები სრულებით არ უდგებოდა სვანების ცხოვრებას, სვანები თავის საქმეებს ისევე

ადგილობრივი ადათებისა და მრავალ საუკუნეების განმავლობაში შემუშავებულ ზნე-ჩვეულებათა მიხედვით აწარმოებენ.

მე-19 საუკუნის შემდეგ სვანეთში მოხდა ისეთი ისტორიული და პოლიტიკური ცვლილებები, რამაც დიდი სისხლის ღვრა გამოიწვია.

ლატალში ამ დროს იყვნენ გაძლიერებული **ჩარკვიანები**, რომლებსაც ჰქონდათ ციხე-სიმაგრეები ხუთს ადგილას: გუგბაში, ლახუშტში, ჩარულდში, გილიანში და ზაგრალში.

ჩარკვიანების ბატონობა ისეთი მწარე შეიქნა ლატალელებისათვის, რომ ადგილობრივმა გლეხობამ გადასწყვიტა მათი ამოწყვეტა.

პირველობის ძიების სურვილმა ჩარკვიანებიც გადაამტერა ერთმანეთს.

სწორედ ამან შეუწყო ხელი ლატალელებს და მათ სასტიკი იერიში მიიტანეს ჩარკვიანების წინააღმდეგ. სოფ. **მაცხვარიშში** მცხოვრები ორი ყველაზე თავხედი და უდიერი ძმები ჩარკვიანები მოჰკლეს მთავარ ანგელოზის ეკლესიის გალავანში დადარაჯებულმა ვედშარ კვანჭიანმა და ქაუზა გირგვლიანმა. არც დანარჩენი ჩარკვიანები გადარჩენილა ცოცხალი, ლატალელებმა ისინი ყველა ამოხოცეს. სიკვდილს გადარჩა შემთხვევით თავის ნათესავებთან მულახში მყოფი მხოლოთ ერთი ჩარკვიანის ბავშვი. დახოცილო ჩარკვიანების ადგილ-მამული გლეხებმა გაინაწილეს.

1830 წელს ლევან დადიანმა წარუდგინა პოლკოვნიკ ბერ გელოვანისა და 44 ეგერის პოლკის პორუჩიკ წერეთლის თანხლებით მეფის მოადგილეს გენერალ ფელდმარშალს გრაფ პასკევიჩ ერევანელს ფიცის ჩამოსართმევად 49 სვანეთის აზნაური: 1) თათარყან, 2) ბიტი, 3) ციოყი, 4) კირილე, 5) სუმაი, 6) დავით, 7) გელახსანი, 8) ბესი, 9) ოტი, 10) სოზარ, 11) ილყან, 12) დღემბურგ, 13) მახამეთ, 14) ციოყ – იოსელიანები; 15) დავით, 16) როსტომ, 17) სვინჩი დევდარიანები; 18) ჯანსუხ, 19) ქურდან, 20) იშმაგი, 21) გელა, 22) სულთმან, 23) სოზარ ქურდიანები; 24) თათრყან, 25) სვინჩ, 26) ისამ, 27) დადაში, 28) მურზაყან, 29) ციოყ, 30) ნამსურ, 31) ომანაი, 32) ჯანსუხ, 33) ჟღენტ ჯაფარიძეები; 34) ახმათ, 35) გერი, 36) ყანღუთ, 37) ბესი, 38) თამბი გოშტელიანები, 39) ნოშრევან, 40) რამაზ ყიფიანები: 41) ბესი, 42) ორბინე–ჩარკვიანები, 43) ჟორჟლან, 44)

ოთარ, 45) ციოყ, 46) ოთარ მურზაყანისძე, 47) გელა, 48) თათარყან და 49) ეღუმთიან ჟორჟოლიანები [85]).

ს. ესაძეს ცნობებით 1840 წელს თავისუფალ სვანეთიდგან გაიგზავნა დეპუტაცია იმერეთის მმართველ გენერალ ესპეხოსთან.

ამ სვანებმა ფიცი მიიღეს რუსეთის ქვეშევრდომობაზე. ესპეხოს მიერ დასაჩუქრებული სვანები დაბრუნდნენ თავის ქვეყანაში.

სადადეშქელიანო სვანეთში ამ დროს იყო ყველაზე უფრო გაძლიერებული თ. თათარყან, ბაბა ციოყის შვილი. იარაღით მან დაიმორჩილა ყველა თავისი ნათესავი დადეშქელიანები გარდა თავის ძმის მოსოსტრის შვილის ციოყისა. მუდმივ თავის ძმებთან ბრძოლაში დაქანცულმა თათრყანმა გადასწყვიტა რუსეთის მფარველობის მიღება და 1832 წ. თ. ნიკო დადიანის საშუალებით თხოვდა იმერეთის მმართველს ვაკულსკის შუამდგომლობას. ციოყის დედამ დიგორხანმა რომ ეს გაიგო, ის შიშმა შეიპყრო, რადგანაც იფიქრა, რომ თათარყანის რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლით მის შვილს ციოყს საქმე წაუხდებოდა და ამიტომ სასწრაფოთ წავიდა ნალჯიკში მდგომ გენერალ გორიხვოსტოვთან, რომელსაც განუცხადა ციოყის სურვილი რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შესახებ და თან სთხოვა მძევლათ მიეღო ციოყის შვილი ბექირბი. გორიხვოსტოვმა ბექირბი გაგზავნა თბილისში. მალე იქ თავისი ქალიშვილი დარეჯანითურთ დიგორხანიც ჩავიდა. ბარონ როზენის რჩევით დიგორხანმა თავისი ქალიშვილი დარეჯანი მიათხოვა თავად დავით აფხაზს და მზითვის სახით დაუნიშნა მას 150 ჩერვონეცი წლიურათ [86]).

ბარონ როზენის წარდგენით 1833 წ. [87]) დამთავრდა ორივე ბატონის ციოყისა და თათარყანის რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის აქტები. ორივენი მაიორის ჩინით იქმნენ დაჯილდოვებული და მიიღეს ღრამოტები, რომლის ძალითაც ჩუბეხევის სამფლობელო ისევ ციოყის განკარგულებაში რჩებოდა, ეცერისა და ბეჩოსი თათარყანის. მათ ჩამოერთვათ ხელწერილი აგრეთვე იმის შესახებაც, რომ არავითარ მტრობას მათ შორის ამის შემდეგ ადგილი არ ქონოდა [88]).

1846 წ. სვანეთის პირველი მისიონერის (ქრისტეს სარწმუნოების მქადაგებელი) დეკანოზ ქუთათელაძის ჩაგონებით თავისუფალმა სვანეთმა გაუგზავნა მოციქულები ვორონცოვს, რომელსაც თხოვდენ რუსეთის ქვეშევრდომობას.

1847 წ. მეფის მოადგილემ პირველად გაგზავნა სვანეთში კომისია. ამ კომისიამ დააარსა მულახ-იფარის საბოქაულო, რაჭის მაზრაზე მიწერილი, და პირველ ბოქაულად დაინიშნა თავადი მიქელაძე. მაგრამ სვანებს რუსული კანონები პირველში საშინლად ეუცხოვათ და ბოქაული მიქელაძეც იძულებული შეიქმნა გაქცეულიყო სვანეთიდან. ეს ამბავი ვორონცოვს ძალიან საწყენად დაურჩა და რამოდენიმეჯერ კიდევ გაგზავნა სვანეთში კომისიები, მაგრამ, როცა დარწმუნდა, რომ რუსული კანონები იქ ფეხს ვერ იკიდებდა, სვანეთი მთლად მიატოვა. ამ მდგომარეობაში სვანეთი იმყოფებოდა თითქმის სამი წელიწადი.

1852 წ. თავისუფალმა სვანეთმა კვლავ გაგზავნა შუა-კაცები ვორონცოვთან. ბევრი ყოყმანის შემდეგ მან გადასწყვიტა, რომ სვანეთი ისევ რუსეთის ქვეშევრდომობაში მიეღო. ეს შვიდი სვანი ვორონცოვის წინადადებით მოინათლენ და ნათლიად მათ თვით ვორონცოვი დაუდგა, მან ისინი დააჯილდოვა და ისე გაისტუმრა სვანეთისაკენ.

1853 წ. სვანეთში კიდევ გაიგზავნა სამხედრო ექსპედიცია პოლკოვნიკ ბართოლომეის მეთაურობით, რომელმაც ლატალისა და ლენჯერის საზოგად. მცხოვრებ სვანებს ჩამოართვა ფიცი რუსეთის ერთგულებაზე.

ამის შემდეგ სვანეთში მიდის ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი კოლუბიაკინი მტკიცე ადმინისტრაციული მართვა-გამგეობის მოსაწყობათ, მაგრამ ამაოთ დარჩა მისი ცდა, რადგანაც მის წასვლისთანავე სვანებმა, დაარბიეს და გაძარცვეს ჩრდილოეთის მეზობლები თერგის ოლქში მცხოვრები თათრები.

1859 წ. ამ საქმის მოსაწესრიგებლად და სვანების „ჭკუაზე მოსაყვანათ“ მიდის ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ერისთავი, რომელმაც, სხვათა შორის, მულახ-იფარის საბოქაულო გადააკეთა ლეჩხუმის მაზრაზე მიწერილ სვანეთის საბოქაულოდ.

ამ ხანებში დადეშქელიანებს შორის კვლავ იფეთქა სისხლის ღვრამ.

ფარისა და ჩუბეხევის მფლობელი ციოყი გარდაიცვალა 1842 წ. მას დარჩა ხუთი მცირეწლოვანი შვილი: მურზაყანი, ალექსანდრე, თენგიზი, ისლამი და მოსოსტრი.

ამ გარემოებით უნდოდათ ესარგებლათ ეცერ-ცხუმის ბატონებს თათარყანსა და მის შვილებს ოთარს და გელას. მათ

მოინდომეს ციოყის ხუთი შვილის ერთად დახოცვა და მათი სამფლობელოს ხელში ჩაგდება.

სვანეთში ამ დროს შავი ჭირი (черная оспа) მძვინვარებდა და მურზაყანი თავისი ძმებით ბებიამ დიგორხანმა სხვაგან გადახიზნა. ეს არ იცოდნენ მათმა მტრებმა. ისინი მოულოდნელად 1843 წ. დაეცნენ მურზაყანის ფარის სასახლეს. დასწვეს და გაანადგურეს ის, 17 კარისკაცი მოკლეს, ზოგი ტყვედ წაიყვანეს, ხოლო ციხეში მყოფი მურზაყანის ბებია, მოხუცი დიგორხანი, როცა ციხის ზედა სართულში ალი ავარდა, გამოეხვია ბუმბულებში და საბნებში და ციხიდგან გადმოხტომით თავის შველას შეეცადა, მაგრამ ციხის ძირში სული განუტევა. მურზაყანის სასახლეს და ადგილ-მამულს მისი მტრები ჯანსუხი და ოთარი დაეპატრონენ და კარგა ხანს განაგებდენ.

მთავრობამ ამ გარემოებას არავითარი ყურადღება არ მიაქცია, თათარყანს და მის შვილებს ოთარს და ჯანსუხს ასეთი ველური საქციელის ჩადენისთვის პასუხი არავინ მოსთხოვა. მურზაყანის ოჯახსაც მთავრობამ არავითარი შემწეობა არ აღმოუჩინა გარდა იმისა, რომ მისი ძმა ალექსანდრე წაიყვაენს რუსეთში და პეტროგრადში მიაბარეს გასაზრდელად სათავად-აზნაურო პოლკში.

მურზაყანი პირადად წარუდგა ვორონცოვს და სთხოვა ყურადღება მიექცია მის თავზე მომხდარ უბედურებისა და სისხლით მორწყულ ოჯახურ მდგომარეობისათვის.

ვორონცოვმაც თავისი მხრით აღუთქვა დახმარება. გრაფინია შუაზელიც ძალიან დაინტერესდა მურზაყანის დაობლებით და მის ოჯახში მომხდარ ამბებით. მაგრამ ყველაფერი დაპირებებათ დარჩა და მურზაყანი თავის ძმებითურთ იმავე უნუგეშო მდგომარეობაში განაგრძობდენ არსებობას.

დრო გავიდა. მურზაყანი და მისი ძმები გაიზარდენ, დავაჟკაცდნენ და მოღონიერდენ. მურზაყანმა შეირთო ცოლად კესარია შერვაშიძის ქალიშვილი ადილხანი. ეს კესარია იყო და გრიგოლ დადიანისა და გამზრდელი აფხაზეთის მთავრის მიხეილ შერვაშიძისა. მთავრობამაც მურზაყანი დაამტკიცა თავის ქვეყნის მფლობელად. მისი მტერი ოთარი გარდაიცვალა, ხოლო ჯანსუხთან თითქოს რაღაც მორიგება მოხდა და მურზაყანი თავის კუთხეს დაეპატრონა. მურზაყანს ძალიან აწუხებდა, აგრეთვე, სამეგრელოსა

და აფხაზეთის მთავრობის მიერ წართმეულ საბალახო მთების საქმე და ამ საგანზე მოლაპარაკება დაიწყო დავით დადიანთან და მიხეილ შერვაშიძესთან, მაგრამ მისმა ცდამ მორიგების შესახებ უნაყოფოდ ჩაიარა.

ამასობაში პეტროგრადში სწავლა დამთავრებული ალექსანდრე ნიჟეგოროდის დრაგუნის პოლკის ოფიცრის ჩინით ჩამოვიდა თავის სამფლობელოში და მურზაყანთან ერთად შეუდგა შინაური საქმეების მოწესრიგებას.

როდესაც მურზაყანი და ალექსანდრე დარწმუნდნენ იმაში, რომ მათ მეცადინეობას დადიანთან და შერვაშიძესთან საბალახო მთების შესახებ ბოლო აღარ მიეცა, მათ თხოვნით მიმართეს მეფის მოადგილეს, რომ თვით მას განეხილა საქმე.

მათი თხოვნით მეფის მოადგილემ ამ საქმის გამოსაძიებლად და მთავრებს შორის მორიგების მოსახდენათ გაგზავნა კომისია პოლკოვნიკ გალატერეის თავმჯდომარეობით. ამ კომისიამ გამოიძია საქმე, მაგრამ გალატერეიმ ორი წლის განმავლობაში ამ საქმეს არ მისცა არავითარი მსვლელობა და ორი წლის შემდეგ მან წარმოუდგინა მოხსენება შტაბის უფროსს კოცებუს. თუმცა ამ კოცებუმაც დიდხანს გააჩერა საქმე, მაგრამ მაინც გამოიტანა ის დადგენილება, რომ სამეგრელოს თავადს დავითს უნდა დაეკმაყოფილებინა მურზაყანი საბალახო მთების უკანონოდ სარგებლობისათვის ფულის მიცემით. მურზაყანი თხოულობდა დადიანისაგან 7000 მანეთს, ხოლო დადიანი სრულებითაც არაფრის მიცემას არ აპირებდა. ამიტომ მთავრობის გადაწყვეტილებით ფულის რაოდენობა უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილი მედიატორული წესით, მაგრამ სანამდე მხარეებს შორის მედიატორობა მოხდებოდა, მანამდე რუსებსა და თათრებს შორის იფეთქა ომმა (ყირიმის ომი) და დადეშქელიანების საბალახო მთების საქმეც უყურადღებოთ დარჩა.

მურზაყანი დარწმუნდა, რომ მის საქმეს არც მთავრობის ჩარევამ არ უშველა და ამიტომ გადაწყვიტა თვითონ წასულიყო ამ საქმეზე მოსალაპარაკებლად სამეგრელოს ბატონთან დავით დადიანის ცოლთან ეკატერინესთან. ზამთარში 1855 წ., როცა ეკატერინე და მისი და ნინო ქვაშახორში იმყოფებოდენ, მურზაყანი და ალექსანდრე ესტუმრენ მას. დედოფალმა ძმები ძალიან გულგრილად მიიღო, ვინაიდგან მის შემდეგ, რაც მურზაყანმა

ითხოვა ცოლად მისი მტრების გიორგი დადიანის გამზრდელი, აფხაზეთის მთავრის მიხეილ შერვაშიძის ასული ადილხანი, ეკატერინემ მურზაყანიც თავის მტრების სიაში შეიტანა და რადგანაც მას ზემოხსენებული მიხეილ შერვაშიძის მეოხებით ახლად ჩამორთმეულ საუნჯის საეკლესიო ადგილების დაკარგვა არ ჰქონდა მონელებული, მურზაყანის ამისთანა დროს მასთან მოსვლა ეკატერინემ დაცინვით მიიღო და მურზაყანმა ვერავითარი დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღო. ისინი მტრულად დაშორდენ ერთმანეთს.

აქედგან მურზაყანი გაემგზავრა ჭკადუაში მყოფ გიორგი დადიანთან, სადაც მას ქონდა მწვავე კამათი აფხაზეთის მფლობელთან სადაო საზღვრებისა და მთების შესახებ. ეკატერინეს სახლიდან მურზაყანის პირდაპირ დადიანთან და შერვაშიძესთან (ეკატერინეს მტრებთან) წასვლამ ეკატერინე მურზაყანზე საშინლად გააბრაზა, ვინაიდან იფიქრა, რომ სამმა მთავარმა თავი მოიყარეს მის სამტროდ შეთქმულების მოსაწყობათ და ამ დღიდან ის გადაიქცა მურზაყანის მოსისხლე მტრად.

მურზაყანსა და ეკატერინეს შორის მომხდარმა განხეთქილებამ და მდგომარეობის გამწვავებამ საშინლად მოხიბლა მურზაყანის მტერი ჯანსუხი. მან გადასწყვიტა ესარგებლა ამ შემთხვევით მურზაყანის სამტროდ და დედოფალს ამოსდგომოდა გვერდში, რისთვისაც შეუდგა მზადებას ეკატერინესთან წასასვლელად, მაგრამ მურზაყანს რომ მასზე ეჭვი არ შეეტანა, მან საჭიროდ ჩასთვალა დედოფალთან წასულიყო ლატალის საზოგადოების მოციქულის სახით. ლატალელებმა ხუთი წლის წინათ მურში (ლეჩხუმში) ეკანობაზე მოჰკლეს ეკატერინეს კარისკაცი და ამის გამო მათ გზა შეუკრეს და არც ერთ ლატალელს არ შეეძლო ლეჩხუმ-სამეგრელოში თავის გამოჩენა. ამ გარემოებით ისარგებლა ჯანსუხმა და ლატალელებისა და ეკატერინეს შესარიგებლად ის თავის ორი შვილითურთ და ძვირფასი საჩუქრებით დედოფალთან წავიდა ს. გორდში.

ეკატერინემ ჯანსუხის თხოვნით ლატალელებს დანაშაული აპატივა და შეირიგა, ჯანსუხი იშვილა და ერთი კვირის შემდეგ სვანეთისკენ გაისტუმრა ძვირფასი საჩუქრებით.

მურზაყანი და ალექსანდრე ამ დროს ტფილისში იყვნენ. მაგრამ იმათმა უმცროსმა ძმებმა თენგიზმა და ისლამმა რომ გაიგეს

ეკატერინესა და ჯანსუხის შორის ასეთი მეგობრული კავშირის დამყარება, ისინი საშინლად გაბრაზდნენ. ჯანსუხი კი ეკატერინესთან დამეგობრებამ იმდენათ გაათამამა, რომ სვანეთში ის დაბრუნდა არა მისთვის ჩვეულებრივ კანონიერ გზით, არამედ მურზაყანის სამფლობელო კუთხეზე მიმავალი გზით.

ამის გაგონებამ მთლად ცეცხლი დაანთო ისლამისა და თენგიზის გულში. გადასწყვიტეს შური ეძიათ და ჯანსუხი მოეკლათ. სოფ. ლახამულაში ისინი შევიდნენ ერთს სახლში, და როდესაც ჯანსუხმა ამ სოფლამდე მოაღწია და ერთი ხის ქვეშ ისვენებდა, ამ დროს გავარდა დადარაჯებულ ისლამისა და თენგიზის თოფები, რომლის ტყვიითაც ჯანსუხი იქნა მოკლული, მისი შვილი თენგიზი დაჭრილი. დაუდგათ დიდებული შურის საძიებელი დრო მურზაყანს და მის ძმებს, ხოლო საშინლად დაეცა მათ მოწინააღმდეგეთა ბანაკის ძლიერება, ვინაიდგან ჯანსუხი მოკლეს, თენგიზი დაჭრეს, ჯანსუხის ძმა მოსოსტრი მოკვდა 1846 წ. და მეორე ძმა თათარყანი გარდაიცვალა 1852 წ.

ამ გარემოებით ისარგებლეს მურზაყანმა და მისმა ძმებმა და ჯანსუხის შვილებსა და ნათესავებს მთლად მიატოვებინეს სვანეთი, ხოლო მათ ადგილ–მამულსა და სასახლეს თვითონ დაეპატრონენ.

ჯანსუხის ცოლი თავისი შვილებით სვანეთიდგან გაიქცა და მის ქმრის ჯანსუხის დედობილს სამეგრელოს დედოფალს ეკატერინეს შეაფარა თავი და თან მიართვა ძვირფასი საჩუქრები ბიზანტიის ხელობის თამარ მეფის სარტყელი და კვერთხი.

დედოფალმა მათ საცხოვრებლად მიუჩინა ლეჩხუმი, მისცა ყველაფერი, რაც მათთვის საჭირო იყო და შეუდგა მურზაყანის საწინააღმდეგო მუშაობას მთავრობაში. მაგრამ ვინაიდგან ამ დროს ოსმალები ემზადებოდნენ რუსეთთან საომრად და შავი ზღვით ჯარის გადმოსხმა მოსალოდნელი იყო ქობულეთში ან აფხაზეთში, მთავრობამ ამ ჟამად ვერ მიაქცია ყურადღება დადეშქელიანების საქმეს.

ქუთაისის გუბერნატორმა ბაგრატიონ-მუხრანსკიმ გაგზავნა სვანეთში ბოქაული მიქელაძე და შეუთვალა მურზაყანს და ალექსანდრეს, რომ მასთან გამოცხადებულიყვნენ, მაგრამ დადეშქელიანებმა ეს ბოქაული არ მიიღეს და გუბერნატორთან არ გამოცხადდენ.

ამასობაში ალექსანდრეს შვებულება გაუთავდა და პოლკი მას სამსახურში თხოულობდა. თავად მუხრანსკიმ კვლავ გაგზავნა სვანეთში კაპიტანი დემიანოვი. დადეშქელიანებმა ის თუმცა მიიღეს, მაგრამ ალექსანდრემ სამსახურში გამოცხადებაზე ავადმტოფობის მიზეზით უარი განუცხადა და პოლკში გასაგზავნად ქაღალდი გაატანა.

ამ დროს ომარ ფაშამ გადმოსხა დესანტი აფხაზეთში, რის გამო დადეშქელიანების საქმე შეჩერდა.

შტაბში მიღებულ ცნობების მიხედვით, მურზაყანმა და ალექსანდრემ აფხაზეთში თითქოს ინახულეს ოსმალეთის ჯარის მთავარსარდალი, რომელმაც ისინი დიდი პატივისცემით მიიღო.

ომის გათავების შემდეგ მთავრობა მიუბრუნდა დადეშქელიანების საქმეს, რომელიც პირველ რიგში იქნა დაყენებული ქუთაისის გუბერნატორის გაგარინის მთავარ შტაბის უფროსის უსლარის მიერ.

ეკატერინეს მეცადინეობით, უსლარის ცალმხრივი მოხსენების მიხედვით მურზაყანს ბრალს დებენ: 1) ჯანსუხის მოკვლაში, 2) ომარ ფაშასთან რუსეთის საწინააღმდეგო შეთქმულებაში, 3) ოსმალებთან ომის დროს და ერთი წლით მის შემდეგაც რუსეთისადმი მოღალატეობასა და მთავრობის წარმომადგენლის (ბოქაულ მიქელაძის) მიუღებლობაში.

იმის ნაცვლათ, რომ მურზაყანისათვის მიეცათ წინადადება ნებაყოფლობით განსაზღვრულ დროში თავისი ძმის ალექსანდრეს თანხლებით ქუთაისში გამოცხადების შესახებ, სვანეთში კიდევ იგივე ბოქაული მიქელაძე გაგზავნეს. მან ვერც ამ ჟამად მოახერხა დადეშქელიანების ნახვა, ხოლო თავისუფალ სვანეთის საზოგადოებათა მამასახლისების ხელით გაუგზავნა მათ უწყებები და თვითონ სვანეთიდგან ქუთაისში დაბრუნდა. ჩამოსვლისას მან მთავრობას მოახსენა, რომ დადეშქელიანებმა ის არ მიიღეს და არც ამ უწყებით გამოცხადდენ მთავრობასთან.

ამ გარემოებამ უსლარის თავმოყვარეობაზე ძალიან ცუდად იმოქმედა, ის გაცხარებით შეუდგა საქმეს: უმაგალითო ტყუილებით ააჭრელა თავისი მოხსენება და წარუდგინა გაგარინს. ამ მოხსენებით მან დაარწმუნა გაგარინი, რომ სვანეთში დადეშქელიანების საქმეზე აუცოლებლათ საჭუროა ჯარის გაგზავნა. ,,ნამესტნიკათ“ ამ დროს

ბარიატინსკი იყო და გაგარინმაც მის დაუკითხავათ სვანეთში ჯარის გაგზავნა ვერ გადასწყვიტა.

თვითონ ბარიატინსკის არაფრათ დაუჯდა ჭკუაში ასეთ უბრალო საქმეზე სვანეთში ჯარის გაგზავნა, მაგრამ გაგარინის წინადადებას უარი ვერ უთხრა და ამრიგათ გადაწყდა პოლკოვნიკ უსლარის მეთაურობით სვანეთში ჯარის გაგზავნა.

ეს ჯარი სვანეთში გაემგზავრა ივანობისთვეში ჯვარის გზით და ლეხერის ხეობით.

როდესაც მურზაყანმა და ალექსანდრემ ქუთაისიდან ჯარის დაძვრა გაიგეს, მაშინათვე ალექსანდრე ლატფარის მთით ქუთაისისკენ გაემგზავრა და გაგარინს წარუდგა, ხოლო მურზაყანი ზუგდიდისაკენ გაეშურა და ხუდონში, თავის ქვეყნის საზღვარზე, სვანეთში მიმავალ უსლარსა და მის ჯარს შეხვდა.

ალექსანდრემ მოახსენა გაგარინს: მაპატივეთ, თქვენო ბრწყინვალებავ, რომ ამისთანა დროს (საღამო იყო) გაწუხებთ, მაგრამ ეს არის გამოწვეული ფრიად სერიოზული საქმით. ოთხი დღეა, რაც მე და ჩემმა ძმამ მურზაყანმა გავიგეთ სვანეთში ჩენს საწინააღმდეგოთ ჯარის გამოგზავნის ამბავი და ამიტომ მე სასწრაფოდ წამოვედი თქვენთან იმის მოსახსენებლად, რომ აქ რაღაც გაუგებრობაა ნუ თუ, მართლაც, ეს ჯარი ასე ტყუილ-უბრალოდ ჩემი ძმის საწინააღმდეგოთ იგზავნება?.

–დიახ, ეს ჯარი იგზავნება თქვენი ძმის საწინააღმდეგოთ, მაგრამ ეს თქვენ არ გეხებათ და სულ სხვა რამე ბრალდება არსებობს თქვენს საწინააღმდეგოთ. რატომ თქვენ, რუსის ოფიცრის მუნდირის მატარებელი, ამდენ ხანს სამსახურში არ გამოცხადდით და მთავრობის ბრძანება არ შეასრულეთ, – უთხრა მას გაგარინმა.

ალექსანდრემ ამაზე უპასუხა: 1855 წ. შემოდგომაზე მე მძიმე ავადმყოფობის გამო ვერ შევძელი თქვენთან გამოცხადება და ჩემს ავადმყოფობაზე ოფიციალური მოხსენება გავუგზავნე პოლკს კაპიტან დემიანოვიჩის ხელით, ხოლო როცა უკეთ შევიქენი, სვანეთის მთებზე თოვლისაგან გზა გადაიკეტა და უნებურათ ჩავრჩი სვანეთში მთელი ზამთარი. ომის გათავების შემდეგ მე პოლკმა არ მომითხოვა და ისე არ წავედი, ვინაიდგან მურზაყანი არ მიშვებდა.

–რას იტყვით თქვენ იმ უწყებებზე, რომელიც მიქელაძემ ჩაგაბარათ – ჰკითხა გაგარინმა.

–მიქელაძე არც ომის დაწყებამდე, არც მის შემდეგ არ ყოფილა სვანეთში, ვინაიდგან მას არ შეეძლო სვანეთში მოსვლა, მის მიერ ჩადენილი საქმეების გამო გაბრაზებულ სვანების ახლოს გავლა და ამიტომ მერწმუნეთ, რომ მას ჩვენთვის არავითარი უწყებები არ ჩაუბარებია.

–ვნახოთ, ამას მე გამოვარკვევ და ეხლა თქვენ წაბრძანდით კომენდანტთან, გადაეცით მას თქვენი ხმალი და გადაეცით, რომ თქვენ დაკავებული ხართ. ხვალვე თქვენ გაემგზავრებით ნამესტნიკთან ტფილისში და იქ გაირჩევა თქვენი საქმე. უთხრა მას გაგარინმა და შემდეგ უბრძანა თავის ადიუტანტს ეკელნს, რომ ის გაყოლოდა ალექსანდრეს და თვალყური ედევნათ მისთვის. მაგრამ ალექსანდრე ფეხს არ იცვლის, მიუბრუნდება ისევ გაგარინს და მოახსენებს:

–ნება მომეცით ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ ჩემი ძმის შესახებ. მე არ მესმის, რას ერჩით მას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ სიმართლე არ დაიმალება და აიხსნება. ის თვითონაც გაემგზავრა ჯარის მისაგებებლად და უნდა გაუგებრობას ფარდა ახადოს. ჩემს ძმას აბრალებენ ჯანსუხის მოკვლას, მაგრამ ეს არის შეთხზული მის მტრის დედოფლის ეკატერინეს მიერ. ეს სიყალბეა, რადგანაც მურზაყანი ამ დროს, როგორც იცით, ტფილისში იმყოფებოდა. ჯანსუხის მკვლელი იყო ჩვენი უმცროსი ძმა ისლამი. აქ რომ ცალმხრივობა არ იყოს, აბა რატომ მთავრობამ მაშინ არ ამოიღო ხმა, როცა ჯანსუხმა ჩვენი სასახლე დასწვა, ჩვიდმეტი კაცი მოგვიკლა, ჩვენი და ტყვეთ წაიყვანა, ბებიაჩემი დიგორხანი ცეცხლმოკიდებულ ციხიდგან გადმოხტომის დროს მოკვდა და სხვ. ამგვარი მხეცობის ჩამდენ კაცის მოკვლისათვის ასეთი ამბავი შეიქნა და ჩვენს საწინააღმდეგოთ ჯარებს გზავნით. მურზაყანი რომ მთავრობის ორგული ყოფილიყო, თავის შვილს მძევლათ ტფილისში არ დატოვებდა. თუ ეხლა მე და ჩემი ძმა ჩვენთვის ასეთ განსაცდელის ჟამს ერთმანეთს უნდა დავშორდეთ, თქვენ გთხოვთ, რომ ის უსამართლოთ არ დაისაჯოს, ეკატერინესა და უსლარის ხრიკების მსხვერპლი არ გახდეს.

ამის შემდეგ ის გამოეთხოვა გაგარინს და ეკელნთან ერთად კომენდანტისკენ წავიდა.

მეორე დღესვე ის გაგზავნეს ტფილისში, ხოლო იქიდგან ბარიატინსკის განკარგულებით გაიგზავნა ციმბირში გრაფ

მურავიოვამურსკის განკარგულებაში, რომელმაც მის დაწინაურებას ხელი შეუწყო. მალე მან პოლკოვნიკის ჩინი დაიმსახურა და მურავიოვთან ერთად რუსეთში დაბრუნდა და დასახლდა. ალექსანდრეს ტფილისში გაგზავნის შემდეგ სამმა დღემ გაიარა და ქუთაისში გაჩნდა თვით მურზაყანიც. სანამდე ქუთაისში ჩავიდოდა, ის შეხვდა უსლარს სვანეთის საზღვარზე ხუდონში. მან სცადა უსლარი დაერწმუნებინა იმაში, რომ სვანეთში მის საწინააღმდეგოდ ჯარის გაგზავნა მის მოსისხლე მტრების ხრიკების ნაყოფი იყო და სთხოვა უკან დაბრუნებულიყო თავისი ჯარით. მურზაყანი მალე დარწმუნდა, რომ უსლართან მისმა მოლაპარაკებამ უშედეგოთ ჩაიარა და გადასწყვიტა თვითონ წასულიყო ქუთაისში გაგარინთან და აეხსნა მისთვის საქმის ნამდვილი გარემოება.

გაგარინმა ის შესაფერისი პატივისცემით მიიღო. მურზაყანისა და ალექსანდრეს ამგვარმა საქციელმა ის გააოცა და დაარწმუნა იმაში, რომ საქმე გაზვიადებული იყო და სვანეთში ჯარის გაგზავნას საქმე არ მოითხოვდა, მაგრამ ვერავითარი გადაჭრილი პასუხი მან მურზაყანს უსლარისაგან ახსნის მიღებამდე ვერ მისცა და ამიტომ უსლართან მაშინათვე შიკრიკები აფრინა.

უსლარი საშინლად გააბრაზა ძმების საქციელმა და ის კიდევ უფრო უარესად ამხედრდა მათ წინააღმდეგ. მისთვის საჭირო შეიქმნა დაერწმუნებინა მთავრობა, რომ მისი წინადადება სვანეთში ჯარის გაგზავნის შესახებ ამ კუთხის ,,დასაპყრობად“ აუცილებლათ საჭირო იყო და ამიტომაც მან ისეთი მოხსენება გამოაცხო, რომლითაც სამარეს უთხრიდა მურზაყანს, და დაჟინებით ამტკიცებდა სვანეთში ჯარის გაგზავნის საჭიროებას.

ეს მოხსენება გაგარინმა დაუყოვნებლივ წარუდგინა ბარიატინსკის, და თან მურზაყანსაც ურჩია ტფილისში წასვლა. მაგრამ მისი იქ წასვლა ნაადრევი შეიქნა. უსლარის მოხსენებით გაბრაზებულმა ბარიატინსკიმ ის არ მიიღო და უსლარის სვანეთიდგან დაბრუნებამდე საჭიროდ დაინახა მურზაყანის ქუთაისში დაბრუნება. ბარიატინსკიმ მას მიუჩინა ზედამხედველათ ანუ ,,ოპეკუნათ“ ბართოლომეი, რომელსაც გადასცა დადეშქელიანისათვის საჭირო თანხა და ორივენი გაემგზავრენ ქუთაისში.

ამ გარემოებამ უკმაყოფილების ცეცხლი დაანთო მურზაყანის გულში. სვანეთის მკაცრი ბუნების შვილი, თავისუფლად აღზრდილი, სვანეთის ამაყი მფლობელი მურზაყანი ასეთ ,,ოპეკუნს“ მიჩვეული არ იყო. მის თავმოყვარეობისთვის ეს სასტიკი დამცირება იყო. თუმცა მურზაყანს დიდათ მომთმენი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ საკმარისი იყო მისთვის მოთმინების დაკარგვა და მისი დაწყნარება იოლად არ ჩაივლიდა. ბართლომეის ,,ოპეკუნობას“ ის თითქოს შეურიგდა და დიდ ყურადღებას არ აქცევდა. მან არჩია მოთმინების გზაზე შედგომა, თუმცა გული შხამით ჰქონდა ავსებული.

ბართლომეის მოქმედებამ მის მიმართ იმ ზომამდე მიაღწია, რომ მურზაყანის მიერ დახარჯულ გროშებზე განგაშს ასტეხავდა ხოლმე. როცა მურზაყანს გაგარინი პატიჟობდა სადილათ, ეს ,,ზედამხედველი“ მას ფრანგულ ენაზე დასცინოდა და ცუდად იხსენიებდა. სასტუმროში ბართოლომეი დაბინავდა მის ოთახის ქვედა სართულში, სადაც ყველაფერი ისმოდა და მურზაყანს თავისუფლად ცხოვრებისა და ვინმესთან დალაპარაკების საშუალებაც კი მოუსპო. თარჯიმნათ მან აიყვანა ვიღაც ტუტუცი ლაქია, რომელიც იმავე დროს ჯაშუშობასაც კისრულობდა.

ამასობაში უსლარიც დაბრუნდა სვანეთიდგან, მასთან ჩამოიტანა მურზაყანის საწინააღმდეგო ათსნაირი ყალბი საბუთები, რომელთა დამუშავებაც მან საჩქაროთ დაამთავრა ქუთაისში.

მურზაყანი დარწმუნდა, რომ უსლარი გადაქცეულიყო ეკატერინე დედოფლისა და სხვა მის მოწინააღმდეგეების სამტრო იარაღათ, ამიტომაც მის დანახვაზე თავადს თვალები სისხლით ევსებოდა და ერთჯერ ბაღში სასეირნოთ გამოსულ უსლარის დანახვამ ისე გააბრაზა, რომ ხანჯალზე ხელი იტაცა; დამსწრეებმა ის ძლივსძლივობით დაამშვიდეს. მეორეჯერ კოლუბიაკინმა მიიწვია კონსტანტინე (მურზყანი) ვახშმათ და აქ შეხვდა უსლარს. ვახშმობის დროს უსლარი მურზაყანის პირდაპირ დაჯდა მის გულგასახეთქათ და ამიტომ მურზაყანი მთელი ღამე თავჩაკიდული საინს დასცქეროდა, ვახშამი არ უჭამია და ყველაზე ადრე წავიდა მასპინძლის სახლიდგან.

უსლარიც იმ ღამეს საკმაოთ შიშმა შეიპყრო, ძალიან მოხერხებულათ წავიდა თავის სახლში და გზაზე მის მხლებლებს ეკითხებოდა: ნუ თუ ეს ველური მართლა მომკლავსო.

მურზაყანი ქუთაისში ყველას აინტერესებდა, როგორც თვალის წარმტაცი სილამაზის, არაჩეულებრივი გოლიათისებური მოყვანილობის ვაჟკაცი. სიმაღლე მას სამ არშინზე მეტი ჰქონდა, ბეჭების სიგანე არშინზე მეტი. როცა ის გარედ გამოჩნდებოდა, ყველა მას აჩერდებოდა, უკან დაყვებოდა, თურმე ბინაზეც მის სანახავად მრავალი უცნობი და ნაცნობი მიდიოდა ხოლმე.

ერთმა მეგობარმა ურჩია მას, რომ დაეწერა თხოვნა ნაპოლეონ მე-III სახელზე და ეცნობებინა მისთვის, რომ ბარიატინსკი და მთავრობის სხვა წარმომადგენლები მას უსამართლოდ ექცეოდენ და ართმევდენ სვანეთის ბატონ-პატრონობას, და ეთხოვა მისთვის მფარველობა. მურზაყანიც დაეთანხმა ასეთ რჩევას და შეუდგა ფრანგულ ენაზე თხოვნის დამწერის ძებნას. მალე მას მოუყვანეს ვიღაც ექიმი ტალისტოი, რომელმაც დაუწერა თხოვნა ნაპოლეონის სახელზე, მაგრამ თავისი თარჯიმან ლაქიის საშუალებით ეს შეიტყო ბართოლომეიმ, რომელმაც ეს ამბავი სასწრაფოდ შეატყობინა ქუთაისის პოლიცმეისტერს და სთხოვა მას ამ თხოვნის აღმოჩენა. პოლიცმეისტერმა ის მართლაც აღმოაჩინა ტალისტოის ხელში.

ბართოლომეის ამაზე უნდოდა ახალი საქმე გამოეცხო მურზაყანზე, მაგრამ გაგარინმა მას დაუშალა ეს და უბრძანა, რომ ამ საქმეზე არაფერი თქმულიყო და მურზაყანსაც არაფერი შეეტყო. ამის შემდეგ ბართოლომეიმ საჭიროდ დაინახა მურზაყანისთვის ბინა გამოეცვალათ და ამიტომ მან წარუდგინა ბარიატინსკის უსლარის მოხსენება დადეშქელიანის საქმეზე და თავის მხრივ სთხოვდა მურზაყანის სადმე სხვაგან გადაყვანას. ამასობაში მურზაყანის მტრის ეკატერინე დედოფლის საქმეც ისე უკუღმა დატრიალდა, რომ უმაღლესმა მთავრობამ დაადგინა მისი რუსეთში გადასახლება. გაგარინმა ინახულა ეს დედოფალი და გამოუცხადა, რომ თავისი სამშობლო სამუდამოთ უნდა მიეტოვებინა და ამიტომ ის შეუდგა თავის სამფლობელო კუთხისა და ხალხის გამოთხოვებას, ხოლო გაგარინი მას ხელს უწყობდა მის აქედან რუსეთში გამგზავრებას. 22 ოქტომბერს გაგარინი დღის 12 საათზე უნდა წასულიყო სამეგრელოში ეკატერინეს გასამგზავრებლად, ხოლო დილის 9 საათზე იმავე დღეს მისდა საუბედუროთ ის ღებულობს თბილისიდან დაადეშქელიანის საქმეზე შტაბის უფროსისაგან ოფიციალურ განკარგულებას, რომელიც დაახლოვებით შემდეგი შინაარსის იყო: ,,ბარიატინსკი თქვენ

მოხსენებას და შეხედულებას დადეშქელიანის საქმეზე სავსებით ეთანხმება. მან გადასწყვიტა, რომ დადეშქელიანის საქმე წარედგინოს მეფეს საბოლოო ,,კეთილ განსახილველად", ხოლო იქიდან პასუხის მიღებამდე მურზაყანი ერევანში უნდა იქნას გადასახლებულიო" და სხვ. ამ ცნობის მიღებამ გაგარინი საშინლად გაახარა. საჩქაროთ მან დაიბარა თავისი კანცელარიის მმართველი იზიუმსკი, გადასცა მას ტფილისიდან მიღებული საქმე და უთხრა:

–მადლობა ღმერთს, დადეშქელიანის საქმესაც ბოლო მოეღო. აი წაიკითხეთ. დამეხმარეთ, რომ დღესვე ეს ქაღალდი გამოუცხადოთ მურზაყანს და მოვიშოროთ მისი საქმე თავიდანო. იზიუმსკი დედით ქართველი იყო, ქართულად მშვენივრად ლაპარაკობდა. მურზაყანთან ძალიან დაახლოებული იყო და ამიტომაც გაგარინმა ის აირჩია მასთან თარჯიმანათ. სანამდე ამ საქმეს შეუდგებოდნენ, იზიუმსკიმ სთხოვა გაგარინს, რომ ძალიან მორიდებულად და მოხერხებულად გამოეცხადებინათ ეს ამბავი მურზაყანისთვის, ვინაიდგან, მისი აზრით, მურზაყანის გარშემო მომხდარი ამბების მიხედვით შესაძლებელი იყო მისი მოთმინებისაგან გამოყვანა და ცუდი ამბების დატრიალება. მაგრამ ამაზე გაგარინმა მას უპასუხა:

–არაფერია, ნუ თუ თქვენ ფიქრობთ, რომ მე შევუშინდები ამ მხეცსაო. იზიუმსკი კიდევ შეეცადა, რომ გაგარინი სულ სხვა რამეში დაერწმუნებინა და მოემზადებინა შესაფერისი კილოთი მურზაყანთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ ვერაფერს გახდა გაჯიუტებულ გენერალთან და საჩქაროთ მურზაყანთან კაცი გაგზავნა. დადეშქელიანი ამ დროს ქუთაისის სობოროში წირვაზე იყო და არავითარი იარაღი, გარდა ერთი დიდი ხანჯლისა, მას არ ქონდა. მასთან გიჟივით მივარდა გაგარინის გაგზავნილი კაცი და უთხრა:

–თქვენო ბრწყინვალებავ, გენერალ გუბერმატორმა გამომგზავნა თქვენთან, მეთხოვა თქვენთვის, რომ საჩქაროდ მასთან გამოცხადდეთ. ეს სიტყვები მეხივით მოხვდა მურზაყანის გულს და აღელვებულად უპასუხა მოციქულს:

–ხომ არ გაგიჟდით, როგორ თუ ეხლავე, ხომ ხედავთ, რომ მე ეკლესიაში ვარ და ვლოცულობ. გადაეცით გაგარინს, რომ ამისთანა დროს ჩემთვის არაფერი საქმე არ არსებობს, გარდა ღვთის ვედრებისა, ხოლო როცა წირვა გამოვა, გეახლებითთქო.

ეს კაცი მაშინათვე გარბის გაგარინისაკენ და გადასცემს მურზაყანის ასეთ პასუხს. რამოდენიმე წუთის შემდეგ მასთან ისევ მიირბინა ამ კაცმა გაგარინის ბრძანების გადასაცემათ და უთხრა: ,,თქვენო ბრწყინვალებავ, გაგარინი გიბრძანებსთ ეხლავე გამოცხადდეთ მასთან, ის მიემგზავრება გორდში ეკატერინესთან და იქ წასვლამდე უნდა თქვენთან მოლაპარაკება“.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ცეცხლს გააჩენდა ეს გარემოება იმ კაცის გულში, რომელიც სამი თვის განმავლობაში საშინელ წამებას განიცდიდა უსლარისა და ბართოლომეის მოქმედებით ცოლ-შვილისა და თავისი სამფლობელოს მოშორებით და საერთოთ მის გარშემო შექმნილ გარემოებით.

მან მოკლეთ უთხრა გაგარინის შიკრიკს:

–კარგი, კარგი. პირჯვარი გადაისახა და თავის ქნევა დაიწყო. გაგარინის ამისთანა მოქმედებამ იზიუმსკი დაარწმუნა, რომ მოთმინებისაგან გამოყვანილი მურზაყანის მხრით მოსალოდნელი იყო საშინელების დატრიალება და ამიტომ, როცა გაგარინმა მეორეჯერ მურზაყანთან კაცი გაგზავნა, გამოეკიდა მას იმ მიზნით, რომ თვითონ მისულიყო მურზაყანთან უფრო მოხერხებულად საქმის მოსაგვარებლად, მაგრამ მურზაყანი მას შუა გზაზე შეხვდა. საკმარისი იყო თურმე მურზაყანის შეხედვა, რომ მის სახეზე კაცს წაეკითხა, თუ რა მიზნით მიდიოდა ის გაგარინთან. იზიუმსკი შეეცადა მის დამშვიდებას, მაგრამ ამაოდ. ის ხმას არ იღებდა, გაგარინისკენ წასვლას იჩქაროდა და პირდაპირ შევარდა მის კაბინეტში.

გაგარინი სცდილობდა ზრდილობიანად მიეღო მურზაყანი, მიეგება მას, თავი დაუკრა, ხელი ჩამოართვა და უთხრა:

–,,ძალიან ვწუხვარ, თავადო, რომ თქვენ წირვის დროს შეგიშალეთ ხელი და შეგაწუხეთ, მაგრამ ანდრიან ანდრიანისძე თქვენ მოგახსენებთ, თუ რამ გამოიწვია ეს. მე ტფილისიდან მივიღე ცნობა თქვენს საქმეზე. ამოიღო ქაღალდი და გადასცა წასაკითხად იზიუმსკის.

ამ ქაღალდის წაკითხვის დროს მურზაყანი გაქვავებული დგას, სმენად გადაქცეული, თვალები სისხლით ევსება.

გაგარინიც საკმაოდ ღელავს, კაბინეტში სიარულს მოუხშირა და, როცა იზიუმსკიმ გაათავა თავის საქმე, მიუბრუნდა მურზაყანს და უთხრა:

–ხომ ხედავთ, თავადო, რომ თქვენი საქმე წარდგენილი აქვს ხელმწიფე იმპერატორს და იქ უნდა დამთავრდეს. თქვენ იცით, რომ ჩვენი ხელმწიფე ყოვლად შემბრალებელია და დარწმუნებული უნდა იყოთ იმაში, რომ თქვენი საქმე ცუდათ არ წავა. მაგრამ იქიდან ცნობის მიღებამდე ,,ნამესტნიკმა“ საჭიროდ დაინახა თქვენი საცხოვრებლად ერევანში გაგზავნა, სადაც დღესვე უნდა წაბრძანდეთ.

მურზაყანმა გაგარინს უპასუხა:

–კარგი, მეფისა და ნამესტნიკის ბრძანებას მე დავემორჩილები, მაგრამ როგორ შეიძლება ჩემი ერევანში წასვლა, როდესაც სამი თვის განმავლობაში ცოლ-შვილი არ მინახავს, სახლ-კარი, ადგილ-მამული და ჩემი ქვეყანა მიტოვებული მაქვს. გთხოვთ შეხვიდეთ ჩემს მდგომარეობაში.

–მართალია, მაგრამ თქვენს საქმეზე რასაც დამავალებთ, მივიღებ ყოველგვარ ზომებს, გავაგზავნი საჩქაროდ კაცს და ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც თქვენ გსურთ, მიუგო მას გაგარინმა.

–არა, ჩემი საქმეები უჩემოდ არ გაკეთდება და ვერც მივანდობ ვინმეს მათ მოწესრიგებას. ამიტომ გთხოვთ გამიშვათ სახლში და როცა მიბრძანებთ, ჩამოვალ.

–ამისი უფლება მე არა მაქვს და ეხლავე სისრულეში უნდა იქნეს მოყვანილი ,,ნამესტნიკის“ განკარგულება თქვენი ერევანში გაგზავნის შესახებ, უთხრა მას გაგარინმა.

–არა, მე გთხოვთ ეხლავე გამიშვათ, – განაგრძობს მურზაყანი.

–არა, არ შემიძლია, არ შემიძლია, – მიუგებს მას გაგარინი და თან იწყებს ნერვიულად კაბინეტში სიარულს.

გამიშვით სამი თვით, ყველაფერს მოვაწესრიგებ, მერმე თქვენთან გამოვცხადდები, – განმეორებით მიმართა მას მურზაყანმა.

–როგორ შემიძლია, სამი თვით კი არა, მე არ მაქვს ნება სამი დღითაც, ან სამი საათით გაგიშვათ. თქვენ დღესვე უნდა გაემგზავროთ ყოველი მიზეზის გარეშე ერევანისკენ.

მურზაყანი ღელავს, საშინელ წუთებს განიცდის, პირისახე უსივდება, თვალები უწითლდება და ხანჯალზე ხელს იკიდებს. იზიუმსკი დარმუნდა, რომ უბედურება მალე დატრიალდებოდა და ფრანგულად ეუბნება გაგარინს:

–ფრთხილად, თავადო, ეს თქვენ მოგკლავსთ. მაგრამ გაგარინმა ალბათ ამისთანა მღელვარების დროს ვერ გაიგონა ეს სიტყვები, მიუბრუნდა მურზაყანს და უთხრა:

–მე თქვენ დაგიბარეთ იმისთვის, რომ გამომეცხადებინა თქვენთვის ,,ნამესტნიკის“ განკარგულება, რომელიც ეხლავე უნდა იქმნეს სისრულეში მოყვანილი. მეტი საქმე მე თქვენთან არაფერი მაქვს და ეხლავე უნდა გაემგზავროთ ერევანში.

მან თავი დაუკრა მურზაყანს და მით აგრძნობინა, რომ ლაპარაკი გათავებული იყო. მაგრამ მურზაყანი მიუბრუნდა იზიუმსკის და სთხოვს:

–გადაეცით გაგარინს, რომ მე წასვლა არ შემიძლია, რადგანაც სახარჯო ფულიც კი არ მომეპოვება. იზიუმსკიმ როცა ეს სიტყვები გაგარინს მოახსენა, ის დამშვიდდა, გამხიარულდა, რადგანაც ამ მიზეზს ადვილად წააცხებდა მალამოს და უთხრა იზიუმსკის:

–გადაეცით, თავადს, ამაზედ ნუ შეწუხდება, ფული რამდენიც უნდოდეს, ეხლავე წაიღოს. იბრუნა პირი სალაროსკენ, გამოიღო ფული და გამოიტანა მურზაყანის გადასაცემათ. მურზაყანი, რა თქმა უნდა, ამ დროს ფულზე არ ფიქრობდა. ის ლომივით მივარდა თავისი საშინელი ხანჯლით გაგარინთან, მოუქნია მას ხანჯალი და პირველი ჭრილობა მისცა იმ მარჯვენა ხელში, რომლითაც ის ,,საგძალს“ აძლევდა, ხოლო მეორე სასიკვდილო ჭრილობა მისცა მუცელში.

გაგარინი იქვე წაიქცა ყვირილით:

–მომეხმარეთ, მომეხმარეთ. ამ წუთებში საშინელ სურათს წარმოადგენდა ალბათ თვით მურზაყანი გასისხლიანებულ ხანჯლით ხელში. გააფთრებული ეს უზარმაზარი ადამიანი დაერია გაგარინის მოხელეებს, როგორც არწივი წიწილებს დ ა გაიმართა ჟლეტა. ყველანი სცდილობდენ მის ხელიდან დაძრომას. ზოგი შკაფებში შეიმალა, ზოგი მაგიდის ქვეშ შეძვრა, ხოლო გაგარინის ადიუტანტი თალხან არდიშვილი ამოღებული ხმლით ხელში მურზაყანის მოსაკლავად მიიწევს. მურზაყანმა რომ ის დაინახა, შეჰყვირა:

–შენ ქართველი ხარ, ნუ დამაქცევინებ შენს სისხლსო. მაგრამ არდიშვილი მურზაყანის ამგვარმა მიმართვამ უარესად გაათამამა და მისმა თავხედობამ იმ ზომამდე მიაღწია, რომ მივიდა

მურზაყანთან და მოუქნია მას ხმალი. მურზაყანმა ხმალი აიცდინა და უთხრა:

–ცოდვა შენ გქონდეს, რომ გეკადრება, პასუხს იმისთანას იგემებო, – და პირდაპირ გულში ხანჯალი ჩაჰკრა. არდიშვილი იმ წუთშივე გამოეთხოვა წუთისოფელს.

ამის შემდეგ მურზაყანს მიეპარა გაგარინის მეორე მოხელე ილინი, რომელმაც დაჭერა მოუნდომა, ხელები გაუკავა, მაგრამ გაბრაზებულმა მურზაყანმა ისე შეუბრალებლად აკუწა ეს მეტიჩარა თავისი ხანჯლის მესამე მსხვერპლი, რომ ისაც მალე სულს ლევს და ბევრი ჭრილობებისაგან მისი სახის გამოცნობა შეუძლებელი შეიქნა. ოთახში დამდგარი სისხლის ტბა მას არ აკმაყოფილებს და დაეძებს სხვა მოხელეებს, მაგრამ რომ ვერავის ნახულობს, სტოვებს გაგარინის კაბინეტს და გარეთ გამოდის. ამ დროს კარებში მას უკნიდან მიეპარა გაგარინის მზარეული მაქსიმი, რომელმაც დაჭერა მოუნდომა, მაგრამ მხრების მძლავრი მოქნევით მურზაყანმა მას კედელზე ტვინი მიასხმევინა და თავის გზას გაუდგა.

ელვის სისწრაფით მოედო ეს ამბავი მთელს ქუთაისს. მალე გაგარინის ბინაზე გაჩნდნენ ჯარები, ვიცე-გუბერნატორი ივანოვი და სხვები. მურზაყანმა მიირბინა ჯაჭვის ხიდთან, სადაც მას დაბარებისამებრ უნდა დახვდომოდენ თავისი მხლებლები ცხენოსანი სვანები, მაგრამ მისდა საუბედუროთ, ისინი მას არ ხვდებიან და ამიტომ იძულებული ხდება შევიდეს იქვე ბაქრაძის სახლში. დადევნებული ჯარი და ადმინისტრაცია მას დაეძებს ყველგან. მალე მათ გამოარკვიეს, რომ მურზაყანი ბარქაძის სახლში იმალებოდა. ალყა შემოარტყეს ამ სახლს. ამ სახლში მურზაყანი ნახულობს კედელზე ჩამოკიდებულ თოფს, რომლითაც აუტეხა ჯარს სროლა, სამი სალდათი მძიმედ დასჭრა, და სანამდე ტყვიები არ შემოელია, წინააღმდეგობას განაგრძობდა. ივანოვმა უბრძანა ჯარს, რომ ცეცხლის ალში გაეხვიათ მურზაყანი და მისი სამყოფი სახლი. ასტყდა საშინელი სროლა, რომლის დროსაც მურზაყანი დაიჭრა ბეჭებში, მაგრამ ეს არაფრათ არ ჩააგდო და წინააღმდეგობას განაგრძობდა, სანამდე მის ოთახში ფანჯრიდგან შემძვრალ ერთი რუსის გასაპობად მოქნეული ხანჯალი ტართან არ გაუტყდა.

ამის შემდეგ მურზაყანი დაემორჩილა ჯარს და დაიძახა სახლიდგან: თუ ქართველები ხართ მანდ ვინმე, მოდით, რუსი არ

მომაკაროთ. მასთან შედიან ქართველი ოფიცრები, რომლებმაც ის გამოიყვანეს გარეთ.

მთელი ხალხი ქუჩაში იყო გამოფენილი. როცა ის ქუჩაში გაატარეს, მან შეჯგუფულ ხალხს დაუძახა:

–კარგი, კარგი, მე არავინ დამეხმარეთ, მაგრამ თქვენც არავის კარგი დღე არ მოგელისთო.

საჩქაროთ ეს ამბავი ეცნობა ტფილისს. სამი დღის შემდეგ ქუთაისში გაჩნდა ბარიატინსკის მიერ საველე სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშნული თავადი ბექათბეგოვი. მურზაყანი ბეჭებში მიღებული ჭრილობისაგან საშინლად იტანჯებოდა, მაგრამ ამან საველე სასამართლო ვერ შეაჩერა და ისიც შეუდგა მურზაყანის საქმის გარჩევას.

მურზაყანმა ვექილად მოითხოვა კოლუბიაკინი, მაგრამ რადგანაც ის ქუთაისში არ იმყოფებოდა, მის მაგივრათ თვითონ სასამართლომ დაუნიშნა მას დამცველად ქუთაისის ახალი გუბერნატორი ივანოვი. საველე სასამართლოს მურზაყანი წარუდგა და გულახდილად განუცხადა:

–,,გაგარინი მოვკალი მხოლოდ მაშინ, როცა თავისი ჩემდამი ცუდი მოქცევით მოთმინებისაგან გამომიყვანა, თორემ ის მე არ მძულდა, და ვწუხვარ, რომ მოვკალი. ყველაფერი ეს მოყვა იმას, რომ ის მე უზრდელათ მომექცა ჩემთვის განსაცდელის ჟამს. ყვირილსა და დამცირებას მე, სვანეთის მფლობელი, მიჩვეული არ ვიყავი, ვერც ეხლა ავიტანე ასეთი დამცირება. მართალია, გულახდილათ ვამბობ, რომ მე მინდოდა უსლარის და ბართოლომეის მოკვლა, რომლებმაც თავისი გველური მოქმედებით მე სიცოცხლე გამიშხამეს, გაგარინი ჩემ მიმართ შეცდომაში შეიყვანეს და დღეს ორივენი დაგვღუპეს. ვწუხვარ, რომ იმათი მოკვლა არ მეღირსა. არდიშვილმა ძალით მომაკვლევინა თავი. მე მათთვის ღონით რომ არ მეჯობნა, ისინი მე მომკლავდენ. ყველასი ცოდვა ჰქონდეს უსლარს, რომელმაც ტყუილა-უბრალოდ ასეთი უბედურება დაატრიალა. ვიცი, მე მძიმე სასჯელი მომელის, მაგრამ ნაძრახ სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი მირჩევნია და რაც გინდათ, ის მიქენითო“.

საველე სასამართლომ მას სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, რომელიც მეორე დღესვე, ე. ი. 5 ნოემბერს, სისრულეში იქნა მოყვანილი. მურზაყანი აქაც გმირულათ და

ღიმილით უშვერს მკერდს ტყვიას, და ისე კვდება. მის დახვრეტის შემდეგ გავიდა ორი დღე. ხელმწიფისაგან მიღებულ იქმნა ბრძანება, მურზაყანისთვის ხელი არ ეხლოთ, მაგრამ გვიანღ იყო, მასთან ანგარიშები გასწორებული იყო. მისი გვამი არქიელის გორაზე მიაბარეს მიწას. ამ ადგილას შემდეგში მისმა ცოლმა ააშენა წმ. გიორგის ეკლესია.

უსამართლობისათვის კ. დადეშქელიანის უკანასკნელი თავგანწირული ბრძოლა და ვაჟკაცური სიკვდილი ხალხურ ზეპირ-სიტყვიერებაში გალექსილია შემდეგი სახით.

კონსტანტინე დადეშქელიანი

(ჩამაწერინა თავისი ბაბუის კაცოს ნაამბობიდგან სვანეთში ირაკლი ქურასპედიანმა)

კონსტანტინე დადეშქელიანის ქება განთქმული ქვეყანაზეო,
სვანეთიდგან წამოსულა გაჯავრებული გულზეო,
გაგარინმა დაიბარა რაღაც სწრაფი საქმეზეო,
,,რუსეთში უნდა წახვიდე, ნახმობი ხარ რაცხაზეო,
ხემწიფისა ბრძანებაა, ვერ გადაუხვევთ განზეო,
სამი ცხენი და ტროიკა მზათ არის ეზლავ კარზეო.
–სვანეთიდგან ჩამევედი, მოვალ პირდაპირ შენთანაო
შვილები მყავს სასწავლებლათ, არ ვყოფილვარ არც ერთთანო,
წავალ და მათ ვინახულებ, მალე მოვალ თქვენთანაო.
–მე აქეთგან ვერ გაგიშობ, ნუ მენდური მაგაზეო,
შენ სვანი ხარ, არ გეძრახვის, გაიპარები გზაზეო.
ეს რომ კონსტანტისნ მოესმა, ხელი გაისვა ხმალზეო,
–მე სვანი ვარ, არ მეკადრის, უნდა გავიდე გვარზეო.
გაგარნს შემოუქნია, თავი მოსთალა მხარზეო,
სამი კაცი რომ მოუკლა, ხმალი გაუტყდა შვაზეო,
მივა და გულზე მიიკრავს და გადაკოცნის ტარზეო,
შენ რომ მთელი დამრჩენოდი, შევასრულებდი ცხრაზეო,
ყველა გაფანტ-გამოფანტა, ერთი სტოლ ქვეშ შეუძვრესო,
კონსტანტინე გამევიდა, უნდა რიონში ჩავარდესო,
–მე რომ წყალში ჩავვარდე, სირცხვილია ჩემ თავსაო.
მივა და ძალით შესტეხავს ვიღაც ბაქრაძის სახლსაო,

ქალები აკივლდებიან – ვინ შემოვარდა ესაო,
ვაი რა ბედი გვეწვია ჩვენ უბედურებს დღესაო.
–თქვენ, დებო, ნუ გეშინიათ, მე არ გიშავებთ არაფერს,
მტრისგან გამოვქცეულვარ, თორემ გაიგებთ ყველაფერს.
წყალში ქუდი გადააგდო, ეგებ ვეგონო გამხრჩვალიო,
მაგრამ იმ ურჯულოებმა იქ მიაყენეს მთლათ ჯარიო,
მაშინა თქვა კონსტანტინემ: ნეტავი სვანეთის მთაზე დამსვაო,
ჯარი ისე დამხვია, როგორც ბალანი თავსაო,
ასი კაცი ხელს უკრავდა, ვერ გაგვექცევი ვერსადო,
გაგარინის თავის მოცლა შენ დაგიჯდება ფასადო,
ხელმწიფისა ბრძანებაა კონსტანტინე დახვრიტეთო,
ქალი-კაცი გაიყვანეთ სულყველას დაანახვეთო,
გაიყვანეს კონსტანტინე, ზე მიაკრეს ხეზედაო,
თვალებიდგან ცეცხლს აფრქვევდა ძველენურის ფერზედაო.
ხუთი ტყვია შუბლში დაჰკრეს, ათჯერ მეტი ფერდზედაო,
პირისახე უცინოდა, თხილის კაკალი ეგონა.

მურზაყანის ადგილ-მამული ამის შემდეგ სახაზინოთ ჩაირიცხა, მისი ძმები და ცოლ-შვილი სვანეთიდგან იქნენ გადასახლებული.

ამნაირად ბოლო მოეღო მურზაყანისა და მისი შთამომავლობის ბატონობას სვანეთში. ხოლო მურზაყანის მტრობით სვანეთიდგან დევნილი, ისლამის მიერ მოკლულ ზემოხსენებულ ჯანსუხის შვილი თენგიზი, ეს შემდეგში მეფის ლაქიათ ქცეული და სამშობლო ქვეყნის გამყიდველობით სახელგანთქმული, გაბატონდა სვანეთში [89]).

ეს ისტორიული ეპიზოდი მშვენივრად ახასიათებს თვითმპყრობელობის ჩინოვნიკების მოღვაწეობას ჩვენს ქვეყანაში, ვინაიდან როცა მურზაყანის სახლ-კარი და ადგილ-მამული ჯანსუხმა გაანადგურა, ჩვიდმეტი კარის-კაცი მოუკლა, მისი და ტყვედ წაიყვანა, ხოლო მურზაყანის ბებია ციხიდგან გადმოაგდო, მაშინ მთავრობამ კრინტი არ დასძრა, ხოლო ამისთანა ველურ საქციელის ჩამდენ ეკატერინეს ,,შვილობილ“ ჯანსუხის მოკვლაზე უსლარმა ,,ქალბატონის ხათრით“ ასეთი უბედურება დაატრიალა ამ საქმეში უდანაშაულო მურზაყანის გარშემო.

ამნაირად დამარცხდა მურზაყანი და გაიმარჯვა თენგიზმა, რომელიც 1858 წელს უბრუნდება სვანეთს თავისი ძმებით (გელა, ბექირბი) და დაეპატრონა ეცერ-ცხუმარს. ბეჩოს მფლობელის ოთარის შვილი ბექირბიც, რომელიც ბახსანში იმყოფებოდა, 1859 წ. უბრუნდება სვანეთს და იწყებს აქ ცხოვრებას. მადაგახსნილ თავადს თენგიზს ამის შემდეგ აღეძრა სურვილი, რომ ბოლო მოღებოდა მის ბიძაშვილების, ბეჩოს თავადების, არსებობას. სვანეთის ახალი მფლობელი თენგიზი იმდენათ თავს იმცირებს, რომ მალე სვანეთის ბოქაულის თანაშემწეთ ინიშნება. ამის შემდეგ ის უფრო განამტკიცებს მეგობრობას მაშინდელ მეფის მოხელეებთან, რომელთა შემწეობითაც იწყებს მუშაობას ბეჩოს თავადების საწინააღმდეგოთ შემდეგი საბუთებით: 1852 წ. გარდაცვალებული ბეჩოს ბატონი ოთარი რუსეთის მეფის მიერ იქმნა მიპატიჟებული რამოდენიმე წლის წინათ პეტერბურგში, სადაც ის გაემგზავრა ბეჩოს მთით. თერგის ოლქში სოფ. ბახსანში ის ესტუმრა იქაურ ბატონს ურუსბიევს. აქ მას მოეწონა მასპინძლის ქალიშვილი, რის გამოც დაივიწყა რუსეთში წასვლა, გადასწყვიტა მისი ცოლად შერთვა. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევათ მისთვის საჭირო შეიქნა გამაჰმადიანება. ქალის სიყვარულით დაბრმავებული ოთარი ამაზეც თანხმდება და ამის შემდეგ ირთავს ურუსბიევის ქალიშვილს.

ამ გარემოებით შემდეგში სარგებლობს თენგიზი და არწმუნებს მთავრობას, რომ ბეჩოს თავადების გამაჰმადიანება მთელს სვანეთს უქადის გამაჰმადიანებას და ამის თვიდან ასაცილებლად საჭიროა ბეჩოს თავადების სვანეთიდან გადასახლებაო. თენგიზს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, რომ ოთარის საქციელით განრისხებული მეფე მათ წინადადებას მოიწონებდა და ეს ასეც მოხდა. უმაღლესმა მთავრობამ მალე დაადგინა ბეჩოს თავადების სვანეთიდან სხვაგან გადასახლება, ადგილ-მამულის ჩამორთმევა და მემკვიდრეობით მეფის ერთგულ თენგიზისთვის გადაცემა, მათი გვარის დადეშქელიანის ოთაროვათ გადაკეთება. მაგრამ გაგარინსა და მურზაყანს შორის მომხდარი ტრაღიკული ეპიზოდის მიხედვით არც ისე ადვილი იყო იმ ჟამად ბეჩოს თავადების სვანეთიდან გადასახლება, როგორც მთავრობისთვის, აგრეთვე თვით თენგიზისთვისაც, ამიტომ ამ მიზნის სისრულეში მოყვანა მაშინ შეჩერებული იყო, ხოლო როცა

რუსეთის მთავრობამ სვანეთში საკმაოთ მოიკიდა ფეხი, მაშინ თენგიზის შვილებმა ოთარმა და თათარყანმა მთავრობას სისრულეში მოაყვანინეს ზემოხსენებული დადგენილება და ამნაირად დასცეს ბეჩოს თავადების არსებობა და მოუსპეს მათ ყოველგვარი უფლებრივი და ქონებრივი საშუალება ცხოვრებისათვის[90]).

85) Рапорт Левана Дадиани графу Паскевичу Эриванскому от 1 окября 1830 г. № 373.

86) Сим. Эсадзе. Историческая записка об управ. Кавказом. Т. 1. Стр. 112 и 113.

87) სხვა ისტორიული წყაროების მიხედვით ეს აქტი უნდა მომხდარიყო არა 1833 წ., არამედ 1842 წ.

88) Сим. Эсадзе. იქვე.

89) 1875 წ. მან ხელოვნურად სვანეთის აჯანყებას ხელი შეუწყო, მერმე მის ჩაქრობაში მთავრობას მიემხრო და მისი გული მოიგო. შემდეგ 1876 წ. ორი ყაჩაღის დასაჭერად კიდევ სვანეთში ჯარის მოსვლა მოაწყო. ხალდეში აჯანყება შეთხზა და მათ დასარბევად სვანების გამოყვანით მთავრობის თვალში სახელი დაიმსახურა.

90) მეცხრამეტე საუკუნის თ. დადეშქელიანების და საერთოდ სვანეთის თავგადასავლის აღწერის დროს მე ვხელმძღვანელობდი უმთავრესად სვანეთში სახელგანთქმული ,,ბაპის“ მოხუც გიორგი მარგიანის სწორი ისტორიული ცნობებით, ლატალში მცხ. მოხუც ფაცი შუკვანის ნაამბობით და ბოროზდინის ცნობებითაც.

თავისუფალი სვანეთის 1875–76 წ. წ. აჯანყება

მის შემდეგ, რაც საქართველოს და ამიერ-კავკასიის ყველა სამეფოებს ან სამთავროებს რუსეთის ძლევამოსილ სახელმწიფოს რკალში ან ორთავიან არწივის კლანჭებში მოთავსება არგუნა ბედმა, განვლო ნახევარმა საუკუნემ და თავისუფალი სვანეთიც 1853 წ. რუსეთს ნებაყოფლობით შეუერთა.

თუმცა, მართალია, ამ შეერთებას, როგორც ვიცით, გარეგნული ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ამ ისტორიულმა აქტებმა მაინც ბევრი ცვლილებები შეიტანა სვანეთის ცხოვრებაში. უხსოვარ დროიდგან ეკონომიურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე მიჩვეულ სვანებს საშინლად ეუცხოვათ პირველში ახლად შემოღებული კანონები, თავისუფლების შეზღუდვა და განსაკუთრებით გადასახადების შემოღება.

ამისთანა ძარღვებაშლილობის ჟამს საკმარისი იყო პატარა ნაპერწკალი სვანების გულში დიდი ცეცხლის გასაჩენად და ეს ასეც მოხდა.

1875 წ. ივანობისთვეში ადგილობრივმა ბოქაულმა თავად ჯორჯაძემ თავისუფალ სვანეთის ყველა საზოგადოებას გამოუცხადა მთავრობის ახალი განკარგულება თავისუფალ სვანეთში მიწების გაზომვისა და რაოდენობის გამორკვევის შესახებ.

ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელს თავისუფალ სვანეთს და მეხივით მოხვდა გულზე მის მცხოვრებთ. სვანები დარწმუნდნენ, რომ მიწის გაზომვას და რაოდენობის გამორკვევას უნდა სარჩულად ჰქონოდა სვანეთში მიწის ახალ გადასახადების შემოღება. ამ გარემოებამ, რა თქმა უნდა, სვანებზე საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა. უცბათ ხალხში დიდი მღელვარება გამეფდა. ბოქაულთან ყოველ საზოგადოებიდგან იგზავნება თავ-თავი კაცები საქმის საფუძვლიანად გამოსარკვევათ. მაგრამ სამწუხაროდ ამ უსულგულო ჩინოვნიკმა ვერ შესძლო მათ გულში ჩახედვა და სვანების შეკითხვაზე მან მოკლეთ უპასუხა:

–მთავრობა მიბრძანებს წარუდგინო ცნობები თქვენი მიწების რაოდენობის შესახებ. ალბათ ეს საჭიროა და მეც უნდა წარუდგინო.

ასეთმა მკვახე ჩინოვნიკურმა პასუხმა მთლად დააბნია ხალხი, უარესათ გააძლიერა ცეხლი სვანების გულში და გააღრმავა ეჭვი ახალი გადასახადების შემოღების შესახებ. ამ ეჭვებმა ყველაზე უფრო მაგრად მოიკიდეს ფეხი პირველად მულახის საზოგადოებაში, სადაც ერთ დღეს სასწრაფოდ ზარების რეკვით და საყვირის დაკვრით თავს იყრის მთელი ხალხი დიდიდგან პატარამდე ერთს ადგილას. ამ კრებაზე საშინელი ქაოტური მდგომარეობა და მღელვარება სუფევდა. ყველა ერთხმად ამბობდა: ,,აბა რა გეგონათ რუსის მეფის მთავრობის ჩვენზე გაბატონება?! ჩვენი წინაპრები არავის ემორჩილებოდენ, ბრძოლით დამოუკიდებლობა და თავისუფლება შეინარჩუნეს და გადასახადებსაც იმიტომ არ იხდიდენ. ჩვენ კი მაგათძე დავამყარეთ რაღაც იმედები და ახალმა მთავრობამაც გადასახადების შემოწერით დაგვაჯილდოვა. ყველანი ერთ დღეს დავიხოცებით და მთავრობას კი ვერ მივსცემთ გადასახადებს მამა-პაპის მიერ დატოვებულ მიწა-წყალზე“.

ამ დროს ხალხის წინაშე წარსდგება ყასბულათ შერვაშიძე და აღელვებული ხმით მიმართავს აყვირებულ ხალხს:

–გთხოვთ დამშვიდდეთ და ყური დამიგდოთ. თქვენ ყველას გაღელვებთ ჩვენი პრისტავის ახალი განცხადება მიწის გაზომვის შესახებ. მაგრამ დანამდვილებით არცერთმა არ იცით, თუ რაშია საქმე აქ. მეც თვითონ არ ვარ გამორკვეული ჯერ ამ საქმეში, მაგრამ ვფიქრობ, რომ მიწის გაზომვით მთავრობას უნდა ქონდეს მიზნათ მიწაზე გადასახადის შემოღება ჩვენს ქვეყანაში... ამ სიტყვებმა საშინელი ყვირილი, არევ-დარევა, ღრიალი და მღელვარება გამოიწვია. ყასბულათი სიტყვას ვერ ათავებს და მთელი ხალხი ყვირის:

–ყველანი დავიხოცებით, ისე, როგორც ამისთანა დროს ჩვენი წინაპრები იხოცებოდენ და ახალ გადასახადების შემოღების ნებას ჩვენს მიწა-წყალზე არავის არ მივსცემთო.

ამის შემდეგ კრებას ერთხმად გამოაქვს შემდეგი დადგენილება: თუ მთავრობამ მართლა განიზრახა მიწაზე გადასახადის შემოღება, პირველათ მივმართოთ მთავრობას და ვსთხოვოთ, რომ ამ მიზნის ცხოვრებაში გატარებაზე ხელი აიღოს და ჩვენი მიწები გადასახადებისაგან იქნენ განთავისუფლებული, ხოლო თუ ეს ჩვენი შუამდგომლობა უყურადღებოთ დარჩა, ყველამ იარაღს მოვკიდოთ ხელი და ჩვენი უფლებები ისე დავიცვათ, როგორც სახელოვანი ჩვენი წინაპრები იცავდენ ყოველგვარ ძალმომრეობისაგან თავის დამოუკიდებლობას. ეს ჩვენი დადგენილება ეცნობოს თავისუფალ სვანეთის ყველა საზოგადოებას 50 კაცის პირით და სხვა.

ამ 50 კაცის მიერ ეს ამბავი მართლაც ეცნობა მესტიის, ლენჯერის, ლატალის, იფარის, კალისა და უშგულის საზოგადოებებს. ყველგან ერთხმად იქნა მიღებული ზემოხსენებული დადგენილება მულახის საზოგადოებისა.

ამის შემდეგ მთელი თავისუფალი სვანეთი დანიშნულ დღეს თავს იყრის ს. კალაში წმინდა კვირიკეს ტაძარში ფიცის მისაღებათ ერთმანეთის ერთგულებისა და თავისი დადგენილების ცხოვრებაში გატარების შესახებ.

მრავალ რიცხოვანი ხალხი აბობოქრებულ ზღვის ტალღასავით ღელავდა. ყველა იძახოდა: არ გვინდა მონობაში სიცოცხლე, აბა იარაღი, ტყვია, წამალი და ვაჟკაცურად სიკვდილიო.

ამ დროს ერთი მოხუცი ჭაღარა გინადრუყ ფარჯიანი ადის დიდ ქვაზე და მოკლედ მიმართავს მის წინ გაშლილ მინდორში მყოფ ხალხს შემდეგი სიტყვებით:

–პატივი ეცით ჩემს ჭაღარას, გთხოვთ დაწყნარდეთ და სიტყვა მომისმინოთ. ასეთი ყვირილით ჩვენ ვერაფერს საქმეს ვერ გავაკეთებთ. გთხოვთ დამშვიდდეთ, გამოვარჩიოთ თავი-კაცები, ვილაპარაკოთ და გამოვარკვიოთ ჩვენი საქმე. ჯერ-ჯერობით ასეთი მღელვარება უადგილოა, ვინაიდგან არ განვიცდით ისეთ მდგომარეობას, რომელიც თავის შეწირვას თხოულობდეს. მაგრამ თუ მომავალში დავრწმუნდებით, რომ ეს საჭიროა და მთავრობას ჩვენს მიწებზე გადასახადების დადება უნდა, მაშინ გვმართებს ვაჟკაცობა და შეურცხვეს ულვაში მას, ვინც მაშინ თავი დაზოგოს. მართალია მე მოხუცებული ვარ წლოვანობით, გარეგნულათ, მაგრამ გული ისე გაფოლადებული მაქვს, რომ პირველათ მე გაგიძღვებით მტერთან საბრძოლველად და სიამოვნებით მის ტყვიას მკერდს მივუშვერ, თუ ჩვენი ქვეყნისათვის ეს საჭირო იქნება. მაშ ქალის ლეჩაქი დაიხუროს, ულვაშ მოპარსული და თავს ლაფ დასხმული იყოს იმისთანა ვაჟკაცი, ვინც საჭიროების დროს სიკვდილს შეუშინდეს. ეხლა დაწყნარდით, ერთმანეთის აზრი გავიგონოთ ყველამ და რამე გარკვეულ გზას დავადგეთ.

–,,გუნ ეზერ, გუნ ეზერ“ (ძალიან კარგი, ძალიან კარგი), იგრიალა ხალხმა. მოხუცი ჩამოდის ქვიდგან და მის ადგილს ყასბულათ შერვაშიძე იჭერს. მთელი ხალხი მის დანახვაზე სმენად გადაიქცევა.

–,,სვანეთის ხევო! დღეს რომ მთელი სვანეთი აქ თავს იყრის, ამისთანა მოვლენებს ძველ დროშიაც ჰქონდა ადგილი. როცა ჩვენს წინაპრებს რაიმე უჭირდათ და მტერი მის დაპყრობას ლამობდა, ჩვენი ბედის გადამწყვეტიც აქ თავის მოყრა იყო ხოლმე. მაგალითად, როცა რომელიმე თავადი ფიქრობდა ჩვენზედ გაბატონებას, მაშინ ჩენი მამა–პაპაც აი სწორეთ ამ ადგილას იყრიდენ თავს და გამოჰქონდათ დადგენილება მტრის სასტიკი პასუხით მოგერიების შესახებ. ამ კრებაზე ჩემზე ხნიერი ბევრი ურევია. მათ ჩემზედ უფრო კარგად იციან, რომ ყველა, ვინც კი განიზრახავდა ჩვენი თავისუფლების საწინააღმდეგოთ გამოლაშქრებას, საშინელ დამარცხებას ღებულობდა პასუხათ. თოფი და ხანჯალი იყვნენ ყოველთვის ჩენი ბედის გადამწყვეტი.

ამჟამად სვანეთის ყველა წმინდანებმა და ხატ-ჯვარმა აგვაშოროს ეს. ჩვენ ყველას გვინდა სიცოცხლე და არა სიკვდილი და რუსებთან ბრძოლა. მაგრამ თუ კი ამას საჭიროება მოითხოვს, მაშინ, რა გაეწყობა, ვაჟკაცს სახელოვანი სიკვდილი შეშვენის და ჩვენც ყველანი ვაჟკაცურად უნდა დავიხოცოთ. ჩვენ რუსეთს ნებაყოფლობით შევუერთდით, თორემ ძალით დაპყრობა მან ვერც იფიქრა. მთავრობა ჩვენ გვპირდებოდა გაბედნიერებას, მაგრამ მისი თამასუქები არ განაღდდა. მე თვითონ ნამესტნიკ ვორონცოვის მონათლული ვარ და ვიცი მთავრობის დაპირებებს რა ფასიც უნდა ჰქონდეს, მაგრამ მაინც არავითარი წინააღმდეგობა ჩვენ რუსეთისთვის არ გაგვიწევია. გამოგვიგზავნეს მღვდლები-მივიღეთ, დაგვინიშნეს პრისტავი-მივიღეთ, დაგვიყენეს მამასახლისები-მივიღეთ, შემოიღეს გადასახადები მოსახლის თავზე 1 მ. 30 კაპ.–ვაძლევთ. ასეთ გადასახადებს სვანეთი არასოდეს იხდიდა და ეხლაც ძალიან მაკვირვებს მთავრობის მიერ ამ გადასახადების შემოღება, იმ დაპირებების შემდეგ, რომლებითაც ჩინოვნიკებმა ყურები გაგვიჭედეს. ჩვენთვის ჯერ ზარალის მეტი არაფერი მოუტანიათ და არც უნდა თხოულობდენ ჩვენგან რამეს, მაგრამ.. მთავრობის მოქმედება, ცხვარმა რომ თხას მატყლი სთხოვოს, სწორედ იმას წარმოადგენს. ეხლა ახალი განკარგულება მივიღეთ მიწების გაზომვის შესახებ. ჩვენ შეკითხვაზე ბოქაულმა დამამშვიდებელი პასუხი ვერ გვითხრა და მოკლეთ აგვიხსნა: ,,ასეთია მთავრობის განკარგულება და ალბათ საჭიროაო“. მე მწამს, რომ მთავრობისათვის ეს საჭიროა, მაგრამ ჩვენთვის... არა. თუ მიწის გაზომვით მთავრობას მიზნათ აქვს მიწაზე გადასახადების დადება, სჯობია ჩვენთვის, რომ ყველანი ერთ დღეს გავწყდეთ. მაგრამ ჯერ კიდევ ნუ ავჩქარდებით. ვეცადოთ საქმე კარგათ გამოვარკვიოთ, შევეკითხოთ თვით მთავრობასაც და ვნახოთ, რას მოგვიტანს მომავალიო“. ამ სიტყვებით ყასბულათმა გაათავა თავისი სიტყვა, რომელიც ხალხმა ,,გუნ ეზერ, გუნ ეზერის“ (ძალიან კარგი, ძალიან კარგი) თქმით დაადასტურა.

მის შემდეგ ქვაზე ადის ისევ ზემოხსენებული გინადრუყ ფარჯიანი, რომელიც მოახსენებს კრებას: ყასბულათის სიტყვებს მე მხოლოდ იმას დავუმატებ, რომ ყოველთვის, როცა სვანეთში ასეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხები სწყდებოდა, ჩვენი წინაპრები ამას დასტურსა და სიმტკიცეს წმინდა კვირიკეზე დაფიცებით

აძლევდენ. საჭიროდ მიმაჩნია დღესაც ასე მოვიქცეთ. წავიდეთ ეკლესიაზე და შევფიცოთ ერთმანეთს, რომ საჭიროების დროს ერთმანეთს არ ვუღალატოთ; ჭირში და ლხინში ვიყოთ განუყრელი, როგორც ერთი კაცი; თუ საქმე მოითხოვს, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლოთ და თავი შევწიროთ საერთო საქმეს. ხოლო თუ ვინმემ ამ ფიცს უღალატოს, სასტიკათ იქნას საჯაროთ დასჯილი.

ამ წინადადებას ხალხი უკამათოდ ღებულობს. ჩქარი ნაბიჯით წმინდა კვირიკეს მონასტრისაკენ მიდის და მის გალავანში თავს იყრის.

ამის შემდეგ ეკლესიის კარები იღება. მოხუც ფანგანს გამოაქვს იქიდგან მთელი სვანეთის სათაყვანებელი ,,შალიანის“ ხატი, რომელზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. მთელი ხალხი ქუდ მოხდილი მის წინაშე მუხლს იდრეკს, პირჯვარს იწერს და ,,დიდება შალიანს“ იძახის. ფანგანი იმეორებს ზემოხსენებულ გინადრუყ ფარჯიანის სიტყვებს და აფიცებს ხალხს, რომლის გათავებისასაც ხალხმა ერთხმად იგრიალა: ,,ამინ, ამინ“. და მერმე მშვიდობიანათ დაიშალა.

ყველაფერი ეს მალე გაზვიადებული სახით ეცნობა ადგილობრივ ადმინისტრაციას. ადგილობრივი ბოქაული თავადი ჯორჯაძე მისმა ჯაშუშებმა დაარწმუნეს იმაში, რომ თითქოს სვანეთის ფიცი მიეღოს ბეჩოში მდგომ ჯარისა და ადმინისტრაციის განადგურებაზე. შეშინებულმა ჯორჯაძემ სასწრაფოდ ეს ამბავი აცნობა თ. დადეშქელიანებს და სთხოვა მათ მოსალოდნელ უბედურებისაგან დაეცვათ. თავადმა თენგიზმა იშოვნა დრო მთავრობისადმი ერთგულების დამტკიცებისათვის და მალე თავისი ხალხით ბეჩოში გაჩნდა ჯარისა და ადმინისტრაციის დასაცავად.

ეს ამბავი ეცნობა თავისუფალ სვანეთს იმ სახით, თითქოს ჯარი, ადმინისტრაცია და დადეშქელიანები ემზადებოდნენ მათთა საომრად და თავისუფალ სვანეთის დასაპყრობათ.

ეს ხმა ელვის სისწრაფით მოეფინა მთელ სვანეთს. ხალხი, საომრად გამოწყობილი, საჩქაროთ იკრიბება ერთ ადგილას. როგორც გადმოგვცემენ, საშინელ სურათს წარმოადგენდა თურმე ეს უმაგალითო აღელვებული ხალხის ზღვა, როგორც გარეგნულად, ისე თავისი მისწრაფებით და სულისკვეთებით. ცოტა ხნის შემდეგ

კრებას გამოაქვს დადგენილება, რომ ისინი მართლაც დაეცენ ბეჩოში დაბანაკებულ ჯარსა და ადმინისტრაციას, გასწყვიტონ ისინი და მათი იარაღი და ტყვია-წამალი ხელთ იგდონ.

ამ დადგენილების სისრულეში მოსაყვანათ მთელი ხალხი ბალის მთით ბეჩოსკენ მიემგზავრება. აქ მათ შეხვდენ თავადი დადეშქელიანები და მუხლმოდრეკილი სთხოვდენ შეჩერებას, სიტყვის მოსმენას და დამშვიდება. პირველად ხალხის უმრავლესობა წინააღმდეგი იყო დადეშქელიანებთან მოლაპარაკებისა, მაგრამ ზოგიერთი მოხუცებულების მეცადინეობამ და პატივისცემამ აქაც გასჭრა და აღელვებული ხალხის ტალღა შეჩერდა. გაიმართა კამათი ამ ორ მხარეთა შორის, რომლის დროსაც მრავალი შხამიანი სიტყვა იქნა წარმოთქმული დადეშქელიანების მიმართ. თავადებიც თავისი მხრით არწმუნებდენ ხალხს, რომ ჯარი მათ საბატონო კუთხეშია დაბანაკებული და სტუმრები რომ ვერ იპატიონ და დაიცვან, ეს მათი თავის მოჭრაა. მაგრამ ამ სიტყვებმა ხალხი უარესად გააღიზიანა და ყველამ ერთხმად იგრიალა: ,,წავიდეთ, წავიდეთ, კმარა ზღაპრებიო“ და ხალხმა იწყო ბეჩოსკენ წინ წაწევა.

დადეშქელიანებმა მათ მოკლე გზით წინ გაასწრეს, კიდევ დახვდენ გზაში და კვლავ შეუდგენ სვანების დამშვიდებას. აქაც ზოგიერთ გავლენიან პირების მეცადინეობით ხალხი იქნა შეჩერებული. გაიმართა ცხარე კამათი, რის შემდეგაც გამოიტანეს ასეთი დადგენილება: ხალხი დაბრუნდეს უკან, ხოლო ბეჩოში მდგომ ჯარსა და ადმინისტაციას მიეცეს წინადადება თავისუფალ სვანეთის საზღვრებს არ გადააბიჯონ.

ლატალის და ლენჯერის საზოგადოებებს დაევალოს თავისუფალ სვანეთის დასავლეთის საზღვრების დაცვა და ბალის მთაზე ამ მიზნით შეიარაღებული ყარაულის დაყენება, რათა არც ერთი მთავრობის კაცი არ შეუშვან თვისუფალ სვანეთში დასავლეთიდგან. ხოლო დანარჩენ 5 საზოგადოებას უნდა დაეყენებინა ყარაული ლატფარის მთაზე აღმოსავლეთის საზღვრების დასაცავად და გზების შესაკრავათ.

ამასობაში ადგილობრივმა ბოქაულმა ჯორჯაძემ ყველაფერი ეს დაწვრილებით აცნობა ლეჩხუმის მაზრის უფროსს, სვანეთის კბილის მატლს და დაუძინებელ მტერს გრივენსკის, რომელმაც თავისი მხრით სასწრაფოდ უმაღლეს მთავრობას აცნობა

სვანეთის ამბები და ითხოვა ამ ქვეყნის დასამშვიდებლათ და წესების აღსადგენად ჯარი.

მისი შუამდგომლობა მალე განხორციელდა და ივლისის პირველ რიცხვებში ქუთაისიდგან გაემგზავრა სვანეთისაკენ ქუთაისის გუბერნატორი მალაფეევი და ჯარი გენერალ ციტოვიჩის მეთაურობით.

7 ივლისს ეს ჯარი ამოვიდა ლეჩხუმში და დაბანაკდა მურში. ჯარის სვანეთისაკენ გამოგზავნა მალე შეიტყვეს სვანებმა და სასწრაფოთ ლატფარისა და ბალის მთებზედ ყარაულის გაძლიერებას და საომრად მზადებას შეუდგნენ.

ამ დროს გრინევსკი ნახულობს სვანეთში მიმავალ ექვს მგზავრ სვანს, რომლებსაც ავალებს გადასცენ აჯანყებულ სვანებს, რომ ეს აჯანყება არის ნაყოფი გაუგებრობისა. მართალია მთავრობა ახდენს მიწების გაზომვას, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ,,ხელმწიფე-იმპერატორმა“ უნდა იცოდეს თავის ქვეშევრდომთა მიწის რაოდენობის ამბავი და არავის აზრათ სვანეთში გადასახადის შემოღება არა აქვს. გამოცხადენ ჩემთან არეულობის მეთაურნი და თან ჩამოიყვანონ თითო საზოგადოებიდგან 8-8 კაცი. მე მათ დავხვდები სადმე ქვემო სვანეთში და აქედგან, თუ ისურვებენ, ჩემთან ერთად წავლენ ცაგერში გუბერნატორთან მოსალაპარაკებლად. თუ შევთანხმდებით, ჯარი უკან დაბრუნდება, თუ არა და ყველანი ერთად სვანეთისაკენ, წამოვალთ და სხვ...

წინააღმდეგ მოლოდინისა, გრინევსკის ამგვარი მოთხოვნილება სვანების მიერ შესრულებულ იქმნა და რამოდენიმე დღის შემდეგ მასთან გამოცხადდა ათი კაცისაგან შემდგარი თავისუფალი სვანეთის დელეგაცია ყასბულათ შერვაშიძის მეთაურობით.

გრინევსკი ყასბულათს იცნობდა, ამიტომ პირველად საყვედურებით მიმართა მას და უთხრა: ,,აგერ 15 წელიწადია, რაც შენ მთავრობის სამსახურში ხარ. მთავრობამაც შენ ორი მენდლით დაგაკილდოვა და დღეს მის საწინააღმდეგოთ სვანეთის ხალხს ამხედრებ. იცოდე, რომ თუ შენ მიერ აჯანყებული ხალხი არ დაგიწყნარებია, სასტიკათ იქნები დასჯილიო“.

ყასბულათმა უპასუხა:

–,,ტყუილათ ფიქრობთ, თითქოს მე ხალხი ამეჯანყებინოს. რა შუაში ვარ აქ მე, როცა ამის გამოწვევის მიზეზები თქვენთვის

ნათელი უნდა იყოს. თქვენ ხომ იცით, რომ მთელი სვანეთის ხალხი კალაშია თავმოყრილი. რა საკვირველია იქ ვიყავი მეც. ხალხმა მთხოვა მეთქვა მისთვის ჩემი აზრი და მეც ვუთხარი მას, რაც გულში მქონდა, მაგრამ უფრო მთავრობის სასარგებლოთ და ხალხის დასამშვიდებლათ“.

–რაც იყო იყო, ახლა თქვენ გევალებათ, რომ საჩქაროთ მოხსნათ ყარაული ლატფარისა და ბალის მთებიდგან. უთხრა მათ გრინევსკიმ.

–რასა ბრძანებთ, ხალხის უმრავლესობამ თუ არ ისურვა, ჩვენ როგორ შეგვიძლია ეს შევასრულოთ, მიუგო მას ყასბულათმა.

გრინევსკი გაფიცხდა და უბრძანა დელეგაციას წასულიყო მასთან ცაგერში გუბერნატორთან. დელეგეაციაც დაეთანხმა ამაზე და 13 ივლისს წარუდგა მალაფეევს, რომელმაც ისინი შესაფერისი პატივისცემით მიიღო და სთხოვა დაწვრილებით მოეხსენებინათ მისთვის აჯანყების გამოწვევის მიზეზები.

დელეგაციიდგან მის წინაშე წარსდგა ყასბულათი და მოახსენა:

–,,უმთავრესი მიზეზი ჩვენი აჯანყებისა გახლავთ მთავრობის ახალი განკარგულება მიწების გაზომვისა და რაოდენობის გამორკვევის შესახებ. არის მრავალი სხვა მიზეზებიც ჩვენი მთავრობისადმი უკმაყოფილებისა“.

აქ მას გუბერნატორი სიტყვას აწყვეტინებს და ეკითხება.

–რატომ ხართ მთავრობით უკმაყოფილო?

ყასბულათი უპასუხებს:

–,,აი რატომ, უხსოვარ დროიდგან ჩვენ თავისუფალი ვიყავით, არავის ვემორჩილებოდით, ბეგარას და გადასახადს არ ვიხდიდით. ამ ბოლო დროს ჩენ ნებაყოფლობით რუსეთს შევუერთდით, გვეგონა მთავრობა დაპირებებს გაანაღდებდა, რამე შემწეობას მოგვცემდა, მაგრამ, ნაცვლათ ამისა, ჩვენვე გვახდევინებს რაღაც გადასახადებს და რატომ მოხდა ეს – ჩვენ ძალიან გვიკვირს. ჩვენ ამას მიჩვეული არა ვართ, მონობაში ყოფნისა არა ვიცით რა, და ჩვენი წინაპრების სისხლით გამოსყიდულ თავისუფლებას ასე ადვილათ ვერავის გავათელვინებთ ფეხქვეშ და სხვა“.

–ვინ მოგატყუათ, რომ მთავრობას მიწის ახალი გადასახადების შემოღება უნდა სვანეთში, ჰკითხა გუბერნატორნა. ყასბულათმა უპასუხა:

–,,ბევრი ჩვენთაგანი რაჭა-ლეჩხუმში იყო, სადაც საქმის მცოდნე პირებმა ამის სინამდვილეში დაგვარწმუნეს“.

–ყველაფერი ეს სიცრუეა, რატომ დაუჯერეთ ასეთ ცრუ ხმებს.უთხრა მალაფეევმა.

–ჩვენ გვქონდა საბუთი ასეთი ხმებისათვის დაგვეჯერებინა, ვინაიდგან რამოდენიმე წლის წინეთ გავრცელდა ხმა სვანეთში სახაზინო გადასახადების შემოღების შესახებ და, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ ეს არ გვჯეროდა – გამართლდა. მის შემდეგ ხალხს მთავრობისადმი ნდობა დაეკარგა და ამ ხმებმაც იმიტომ მოიკიდეს მაგრათ ფეხი მთელ ხალხში. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს ხმები გამართლდეს, თუ არა ყველანი ერთ დღეს დავიხოცებით და ამაზე მთავრობას ვერ დავეთანხმებით. ლეჩხუმში ჩვენ ისიც გვითხრეს, თითქოს ჩვენი ციხეების დანგრევაც ჰქონდა მთავრობას აზრათ. რასაკვირველია ეს არ არის დასაჯერებელი და არც მჯერა, მაგრამ ამ სიტყვების გაგონებაც საკმარისია ჩენ გულში ცეცხლის გასაჩენად – მოახსენა გუბერნატორს ყასბულათმა.

–,,მე თქვენ ჭკვიანი კაცი მეგონეთ და მიკვირს ძალიან, რომ ამისთანა ყალბ ხმებს ყურადღებას აქცევთ“. უთხრა მას გუბერნატორმა.

–,,ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ, მაგრამ რაც ითქვა, კიდეც ახდა. ხოლო რასაც შეგვპირდით, არაფერი განაღდდა და ახლაც ეჭვი გვეპარება, რომ გადასახადები“... მიუგებს ყასბულათი.

–,,რა გადასახადებიო, – გულმოსულათ უთხრა მას გუბერნატორმა; თვენი გადასახადი ის უნდა იყოს, რომ თვითეულმა თქვენგანმა იყიდოს სანთელი, აუნთოს ის ხატს და ღმერთს მადლობა შესწიროს, რომ რუსეთის მფარველობის ქვეშ იმყოფებით. თქვენ იცით, რამდენი ფული ეხარჯება თქვენთვის მთავრობას... ბოქაული, მისი თანაშემწე, კანცელარია, სამღვდელოება, ყველა ესენი ხომ ხაზინის ხარჯზე იმყოფებიან. იცით თქვენ ესა? არა, არ იცით“.

ყასბულათმა მას გაბედულათ უპასუხა:

–,,თუ თქვენ ამდენს ხარჯავთ ამ თქვენ მიერ ჩამოთვლილ მოხელეების შესანახავად, ეს ალბათ იმიტომ, რომ ყველა ესენი თქვენთვის არიან საჭირო. ჩვენ კი არავითარ სარგებლობას ამ პირებისაგან არ მოველით, ვინაიდგან უკვე დავრწმუნდით იმაში, რომ როცა ისინი არ გვყავდა, უფრო კარგად ვცხოვრობდით, ვიდრე

ახლა. მფარველი სვანეთს მრავალ საუკუნეთა განმავლობაში არ ჰყოლია და არც ახლა არის საჭირო. თუ შემწეობის აღმოჩენის მაგივრათ ჩვენ მონათ ქცეული ვიქნებით, ხალხის სახელით მოგახსენებთ, მწყალობელი თამარ მეფეც ვერ გვახდევინებდა ჩვენ ხარკს და არც დღეს შეგვიძლია ვინმეს ამისი ნება მივცეთ“.

–,,მართალია თამარ მეფე თქვენ ბეგარას არ გახდევინებდათ, მაგრამ მაას სამაგიეროთ ჯარში გაჰყავდით, და ეს დიდ ხარჯებთან იყო თქვენთვის დაკავშირებულ“-იო, – უთხრა მას მალაფეევმა.

ყასბულათმა უპასუხა:

–,,არა, ბატონო გუბერნატორო, ეს ასე არ გახლდათ. ჩვენ ყოველწლიურად თამარ მეფესთან ვგზავნიდით კაცებს ქვეშევრდომობის დასამტკიცებლად და ის ჩვენ გაგზავნილ კაცებს, მართლაც, ნამდვილ მეფურად ისტუმრებდა და ძვირფასი საჩუქრებით აჯილდოვებდა და აბრუნებდა ჩვენ ქვეყანაში.

ახლა რას ვხედავთ. ვხედავთ იმას, რომ ყოველწლიურად სვანეთის ყველა საზოგადოებების მამასახლისების ,,პომოშნიკები“ მიდიან ქუთაისში ღარიბ სვანების ოჯახებში აბოჭილი ფულების ხაზინაში შესატანად, მაგრამ მთავრობა მათ ქალამნის ფასს და გზის ხარჯებსაც კი არ აძლევს. როგორც ხედავთ, განსხვავება დიდია. თამარს ჩვენ ვეცოდებოდით. მასთან არაფერი მიგვქონდა, გარდა კეთილი გულისა, ის კი დიდ ყურადღებას გვაქცევდა, საჩუქრებს გვიგზავნიდა. სვანეთში არსებული ძირფასი ეკლესიები მის მიერ არიან აშენებული და მათში შენახული მრავალი ძვირფასი ხატ-ჯვარი შემოწირული“.

გუბერნატორი დარწმუნდა, რომ ამგვარი მოლაპარაკებით ის მიზანს ვერ აღწევდა, შესწყვიტა დელეგაციასთან უნაყოფო ბაასი დაგამოუცხადა:

–,,დავანებოთ ლაპარაკს თავი, მე მივდივარ სვანეთში და ადგილობრივ გამოვარკვევ ყოველივეს. თქვენც ჩემთან წამოხვალთ, ჯარი კი უკან გამოგვყვებაო“. ამითი გათავდა გუბერნატორისა და სვანეთის დელეგაციის შორის უშედეგო კამათი და შეუდგენ მზადებას სვანეთისაკენ წასასვლელად.

15 ივლისს ცაგერიდგან გამოვიდა ფეხოსანი ჯარი და გურიის რაზმი, ხოლო კაზაკები მურში დარჩნენ.

სვანებმა რომ ეს შეიტყვეს, შეუდგნენ საომრათ მზადებას და ლატფარის მთაზე ყარაულის გაძლიერებას, ამიტომ ჯარი შეჩერდა ჩოლურში და სვანეთში მალაფეევის განკარგულებით გაიგზავნა ხალხის დასამშვიდებლათ ერთი დელეგატთაგანი, რომელსაც ყასბულათმა დააბარა ლატფარის მთიდგან ყარაულის მოხსნა. ყარაულის მოხსნის შემდეგ გუბერნატორი წინდაწინ გზავნის სვანებთან გრინევსკის ლეჩხუმის 20 თავად-აზნაურის თანხლებით.

17 ივლისს ის შევიდა კალაში, სადაც მთელი ხალხი იყო დაბანაკებული. მის დანახვაზე ხალხმა საშინელი ყვირილი ასტეხა, ათი შეიარათებული სვანი მომართული კაჟიანი თოფებით მისკენ მიიწევენ, წინ ეღობებიან და უყვირიან: ,,შეჩერდი, ფეხი არ გადაადგა, თორემ“..... შეშინებული გრინევსკი თხოულობდა სოფელში შესვლის ნებართვას და თან ნელი ნაბიჯით იქითკენ მიიწევდა. სვანებმა მას მრისხანედ შეუყვირეს: თუ ერთ ნაბიჯს კიდევ გადაადგამ, მერმე შენს ბალანს კაცი ვერ ნახავსო.

გრინევსკი ცხენიდგან ჩამოდის და თავისი ამალით წყლის პირათ ჩამოჯდება.

აღელვებული ხალხი მისგან თხოულობს დაუყოვნებლივ უკან დაბრუნებას, ყასბულათისა და მისი ამხანაგების განთავისუფლებას, მაგრამ გრინევსკიმ ურჩობის გაწევა მოინდომა. ამან უარესი მღელვარება გამოიწვია და მთელი ხალხი მისკენ გაეშურა. ამ ხალხს წინ ეღობება ერთი გავლენიანი მესტიელი გლეხი, რომელმაც ხალხი შეაჩერა და უთხრა: ,,სირცხვილია ერთი კაცისათვის ამდენმა კაცმა ხელი შევისვაროთ. სჯობს ჯერ კიდევ გავუგზავნოთ მას კაცები და წინადადება მივცეთ ახლავე დაიკარგოს აქედგან, ყასბულათი და მისი ამხანაგები ხვალვე ჩვენთან გამოუშვას და თუ ეს არ აასრულოს, მერმე მოვკლავთო“.

ხალხი მას დაეთანხმა, გრინევსკისთან კაცი გაგზავნეს ხალხის გადაწყვეტილების გადასაცემათ. გრინევსკი სტოვებს კალას და ლატფარის მთით ქვემო სვანეთში მდგომ გუბერნატორისკენ გაუდგა გზას.

მეორე დღესვე ყასბულათი და მისი ამხანაგები კალაში გაჩნდნენ. მათმა მოსვლამ და დანახვამ აღელვებული ხალხი ძალიან დაამშვიდა. ყასბულათმა ხალხის დაარწმუნა, რომ ჯარის მოსვლით მათ საფრთხე არ მოელით და ამიტომ მეორე დღესვე მალაფეევი სვანების მიერ იქმნა მიღებული ს. კალაში.

მალაფეევის ტაქტიკური მოქმედებით საქმემ მშვიდობიანი ხასიათი მიიღო, სვანები დამშვიდდენ და გადასახადების შემოღების შესახებ გავრცელებულ ხმების სიყალბეს ფარდა აეხადა.

ამჟამად ჯარის მოსვლამ იმსხვერპლა მხოლოდ ლატალის საზ. ერთი მოსახლე გირგვლიანები (რამზიშა), რომლებმაც ჯარს წინააღმდეგობა გაუწიეს და ციხეებიდგან სროლა აუტეხეს.

ყასბულათი და მისი ამხანაგები, არეულობის მეთაური, 13 კაცი, გუბერნატორის მიერ იქმნენ ქუთაისში ჩაყვანილი. სასამართლომ მათ მიუსაჯა თითო წლის ციხე, მაგრამ სამწუხაროთ მთის მწვერვალებზე შობილმა და თავისუფლებაში აღზრდილმა მთის შვილებმა ვერ აიტანეს ციხის პირობები და ყველანი ვადის შესრულებამდე რამოდენიმე თვით ადრე დაიხოცნენ.

ჯარის მოსვლით რომ სვანეთი არ განადგურდა და საქმემ ისე მშვიდობიანათ ჩაიარა, ამით ძალიან უკმაყოფილო შეიქმნენ ადგილობრივი ბოქაული, მისი თანაშემწეთ. დადეშქელიანი და ყველაზე უფრო კი ლეჩხუმის მაზრის უფროსი სვანეთის ზემოხსენებული მტერი გრინევსკი, რომელიც სვანების დანახვაზე კბილებს აკრაჭუნებდა ხოლმე და ტანი ცახცახს უწყებდა. ეს ვაჟბატონები კვალვ შეუდგნენ სვანეთში წყლის ამღვრევას თავისი ბოროტ მიზნების მისაღწევათ. მათი ,,მოღვაწეობა“ იქმნა დაგვირგვინებული 1876 წ. რუსეთის ძლევამოსილ სახელმწიფოს მიერ მის და სამარცხვინოდ 19 მოსახლისაგან შემდგარ სოფ ხალდეშისთვის ომის გამოცხადებით, რომელმაც მრავალ რიცხოვანი რუსეთის მხედრობა იმსხვერპლა ორჯერ, და თენგიზ დადეშქელიანის მოღალატეობრივი მეცადინეობით რომ თვით სვამეთი არ გამოსულიყო მათ წინააღმდეგ, კიდევ დიდ ხანს გაუმკლავდებოდენ მთავრობას.

ხალდეშის ტრაღიკული ისტორია, სხვათა შორის, მშვენივრად ახასიათებს მთავრობის უსულ-გულო წარმომადგენლების როლსა და უტაქტო მოქმედებას სვანეთისთანა მივარდნილ კუთხეებში. ჩინოვნიკების მიერ ამისთანა ამბის შექმნა და უბედურების დატრიალება სვანეთის ერთს პატარა სოფელში მშვენიერ გაკვეთილს ანუ მაგალითს წარმოადგენს იმის დასახასიათებლად, თუ რა სიფრთხილე მართებს ამისთნა ხალხში მუშაობის დროს ამ ქვეყნის მესვეურთ.

ეს სასაცილო და თავისი შინაარსით მთავრობისთვის სამარცხვინო ,,ომი“, სამწუხარო შედეგებით ხალდეშლებისათვის დამთავრებული, იქმნა გამოწვეული შემდეგი გარემოებით:

1875 წ. სვანეთში მომხდარ არეულობის მეთაურებად ითვლებოდნენ 16 კაცი. 14 მათგანი მალაფეევთან გამოცხადდა, ხოლო ორი კაცი ს. ხალდეშში მცხოვრებნი გასვიანი და ჯოხაძე დაიმალენ.

მათი შეპყრობა გუბერნატორის მიერ დაევალა ადგილობრივ ადმინისტრაციას, რომელმაც ამ საქმეზე ოდნავათაც არ იზრუნა. 1876 წ. სვანეთში იმოგზაურა მაზრის უფროსმა გრინევსკიმ, რომელსაც ადგილობრივმა ბოქაულმა და მისმა თანაშემწემ თენ. დადეშქელიანმა მოახსენეს, რომ ამ ორი კაცის დასაჭერათ მათ მიერ იქნა მიღებული ყოველგვარი ზომები, მაგრამ ამაოთ.

ამ ამბავმა გრინევსკიზე საშინლად იმოქმედა. სასწრაფოდ მან მოითხოვა ჯარი ამ ორი ,,ბუნტოვშჩიკის“ დასაჭერათ და რამოდენიმე ხნის შემდეგ ეს ჯარი გენ. ლიაუსის მეთაურობით მასთან გაჩნდა. ცოტა ხნის შემდეგ მის ,,დასახმარებლათ ამ ორი კაცის დაჭერაში“ მასთან იქმნა გამოგზავნილი კიდევ კახეთისა და გურიის რაზმები და არტილერია.

ამ მრავალრიცხოვანი ლაშქრით გრინევსკი ივლისის თვეში მიდის ს. ხალდეშში ორი ყაჩაღის დასაჭერათ. მის სიხარულს ამჟამად საზღვარი აღარ ჰქონდა, რადგანაც გაუთენდა სანატრელი დრო სვანებთან შურის საძიებლად. ამ ჯარით ის შეჩერდა ს. ხალდეშიდგან ორი ვერსის მანძილზე მიჯვრიშის მინდორში და ამ ადგილიდან შეუდგა ხალდეშელებთან ,,დიპლომატიურ“ მოლაპარაკების წარმოებას.

გრინევსკი თხოულობდა სოფლელებისაგან ჯოხაძისა და გასვიანის დაჭერას და მასთან მოყვანას. ამაზე ხალდეშელები მას მოკლედ უპასუხებდნენ:

,,დაიჭირეთ თვითონ, თუ შეგიძლიათ. ძალა თქვენს ხელშია და ჩვენც ხელს შეგიწყობთ. მაგრამ თვითონ ჩვენი ძმების დაჭერას ვერ ვიკისრებთ, რაც უნდა იყოსო“.

ამ პასუხის მიღების შემდეგ გრინევსკიმ გასცა ბრძანება მთელი სოფელი მასთან გამოცხადებულიყო. ამაზე ხალდეშელებმა შემოუთვალეს მას:

–ჩვენ იმისთანა კაცს ვერ ვენდობით, რომელმაც მულახში მამის მაგივრათ მისი უდანაშაულო შვილები დაიჭირა. ვინ არის იმის თავდები, რომ ორი კაცის მაგივრათ მთელ სოფელს არ დაგვიჭერთ?

ამის შემდეგ უკანასკნელად გრინევსკი გზავნის ხალდეშელებთან რამოდენიმე შეგნებულ სვანს და მათ შორის ტფილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეს ბეს. ნიჟარაძეს, რომლებსაც ხალდეშელები ძალიან აღელვებული დახვდენ. ამ კაცებმა შეიტყვეს, რომ ქალები და ბავშვები უკვე მთებში და ტყეებში იყვნენ დამალულნი, ხოლო მამაკაცები ემზადებოდნენ ჯართან საბრძოლველად. მაგრამ მათმა მეცადინეობამ სასურველი ნაყოფი გამოიღო და ხალდეშელები დაათანხმეს გრინევსკისთან წასვლაზე იმ პირობით, რომ ჯარი მისგან ყოფილიყო დაშორებული ერთი ვერსით. მოციქულებმა სასწრაფოდ გრინევსკისკენ გასწიეს, ხოლო ხალხი მათ უკან გაჰყვა დანიშნულ ადგილამდე მაგრამ სამწუხაროთ მშვიდობიან მოლაპარაკებას ხელი შეუშალა სადილობის დროს გრინევსკისა და ჯარის უფროსის ლიაუსის შორის მომხდარმა განხეთქილებამ. გენერალი უკმაყოფილებას აცხადებდა იმის შესახებ, რომ ის იმყოფებოდა გრინევსკის განკარგულებაში და ამბობდა:

–თუ ჩვენ აქ მოვსულვართ საქმისთვის, შევიდეთ ხალდეშში, ტყუილად რათა ვართ გაჩერებული და საქმე გავაკეთოთ, თორემ მე ჩემი ჯარით უკან დავბრუნდებიო. ამაზე გრინევსკი უპასუხებდა, რომ მას უფლება აქვს მის განკარგულებაში მყოფი ჯარი ამოქმედოს ისე, როგორც საჭიროება მოითხოვდა.

ასეთი პასუხი ლიაუსს თვის დამცირებათ მიაჩნდა და მათ შორის მტრობა და განხეთქილება ჩამოვარდა. ნასადილევს ორივემ ცხენები შეიკაზმეს და შეუდგნენ მზადებას ხალდეშში შესასვლელათ.

ამ დროს გრინევსკის გაგზავნილმა მოციქულებმაც მოაწიეს მიჯვრიშში და გადასცეს მას ხალდეშელების მასთან მოსალაპარაკებლად იქვე მახლობელ სათიბში ჩამოსვლის ამბავი:

–,,დამნაშავეები მოჰყავსთ“? ჰკითხა მათ აღელვებულმა გრინევსკიმ.

–,,დამნაშავეები ჯერ არ მოჰყავთ, მაგრამ შესაძლებელია ხალხთან მოლაპარაკების შემდეგ ესეც მოხდეს“. უპასუხეს მოციქულებმა.

–,,დამნაშავეები თუ არ მოდიან, მე თვითონ შევალ ხალდეშში, ერთ საათში ქვას ქვაზე აღარ დავსტოვებ და მერმე მომიყვანებენო“. იყვირა გრინევსკიმ და გაუდგა გზას.

გრინევსკის წინ გადაეღობა სვანეთის ახლად დანიშნული ბოქაული მიქელაძე, რომელმაც სთხოვა მას შეჩერებულიყო და მიეცა მისთვის ერთი კვირის ვადა ამ ორ ხალდეშელის მოსაყვანად. მაგრამ გრინევსკიმ მას უთხრა: ,,თქვენ, თავადო, შეგიძლიათ დარჩეთ, ყველა ისეთი მშიშარა კი არ არის, როგორც თქვენ“-ო.

ეს სიტყვები ისარივით მოხვდა მიქელაძის გულს და უბრძანა თავის ,,იასაულს“, რომ საჩქაროთ მისთვის ცხენი შეეკაზმა. ლიაუსმა ჯარი გამოაწყო და ყველანი ერთად ხალდეშისაკენ გაემგზავრნენ.

ხალდეშელებმა მათ სოფლისაკენ მიმავალი ჯარი რომ დაინახეს, სასწრაფოდ შეცვივდნენ თავის სოფელში, შეუდგნენ მზადებას, შეიარაღდენ; ახალგაზრდები ციხეებში ავიდნენ, ხოლო უფრო ხნიერები და დედაკაცები შუაგულ სოფელში ჯარს დახვდნენ იმ მიზნით, რომ თუ ჯარი მშვიდობიანათ შევიდოდა და არაფერს დააშავებდა, იმ ღმეს ვახშამი გაემართათ, პატივი ეცათ, ხოლო მეორე დღეს ამ ორი კაცის გამოყვანაში დახმარება გაეწიათ. გრინევსკი ასეთი პატივისცემით მიღებამ ძალიან გაამხიარულა. მაგრამ ეს მხიარულება მალე მოუშხამა შემდეგმა გარემოებამ: ლიაუსი, რომელიც თავის ჯარით უკან მოდიოდა, როცა სოფელში შემოვიდა, შეჩერდა ერთ ციხის ძირში. ამ ციხის ზედა სართულიდგან ჯარის შესახედავათ გამოჰყვეს ბავშებმა თავები, რომლებსაც უნებურად ფანჯრებზე მდებარე პატარა ქვები გადმოუვარდათ. ეს ქვები მოხვდა თავში ციხის ძირში მდგომ გენერალ ლიაუსს, რომელმაც იფიქრა, რომ ეს ქვები მას განგებ ესროლეს ციხიდან არა ბავშვებმა, არამედ მათმა მამებმა და ამითი გაბრაზებულმა გენერალმა უბრძანა სალდათებს:

–,,როგორ გაბედეს ციხეში შესვლა, მე მაგათ სეირს ვუჩვენებ, ააგეთ ხიშტებზე ეს ჩვენთან მყოფი სვანებიო“. ეს ის ორი სვანი იყო, რომლებიც მათდა საუბედუროთ ლიაუსთან მოდიოდნენ სალამის მისაცემად და ცხენების ჩამოსართმევად. დაიწყო ბრძოლა.

სალდათებმა თავის გენერლის ბრძანება შეასრულეს და უცბათ ხიშტებზე ააგეს ერთი სვანი, ხოლო მეორე მათ გაექცათ. სალდათები მასაც დაედევნენ უკან, და როდესაც დაეწიენ, მაშინ სვანმა იშიშვლა ხმალი, სამ სალდათს იქვე წელები დააყრევინა და შემდეგ გაუგებრობის მეოთხე მსხვერპლი თვითონაც შეიქმნა.

ციხეში მყოფმა სვანებმა ამ საშინელ სურათს რომ შეხედეს, გაისვეს ხელი თავის კიჟიან თოფებზე; აუტეხეს ჯარს სროლა. პირველი მოკლეს გენერალი ლიაუსი, მეორე ტყვიით ბოქაული მიქელაძე, მესამე ტყვიით ექიმი ბელსკი და მრავალი სხვა. ამ უბედურობაში მალე დაღამდა. მოკლული სვანების ჭირისუფალნი გაბრაზებულნი დაეძებდენ მათ უბედურობაში უმთავრეს დამნაშავეს გრინევსკის, რომელიც დამალული ნახეს თავისი ამალითურთ ერთ სვანის სახლში, და მოჰკლეს როგორც ის, აგრეთვე ყველა მისი ამალის წევრები, გარდა ორიოდე კაცისა. მიწაზედ გაწოლილმა ჯარმა ისარგებლა დაღამებით და თავის სადგომში მიჯვრიშისკენ გაბრუნდა, მაგრამ გზაზე ბევრი დაიღუპა. ზოგი მათგანი წყალში ჩავარდა, ზოგიც კლდიდან გადავარდა და სხვა.

ხალდეშელები ამის შემდეგ სასწრაფოდ შეუდგენ თავისი ცოლ-შვილის ღამე მთებით მეზობელ საზოგადოებებში თავიანთ ნათესავებთან გადამალვას და მთელი სოფელი მალე დაიცალა. დარჩენ მხოლოდ ორი ქალი და მოხუცები, ვისაც იარაღის ხმარება არ შეეძლო. ამ მდგომარეობაში საქმე დარჩა 7 მარიამობისთვემდე.

7 მარიამობისთვეს ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებით კალაში მყოფ ჯარს მოემატა გურიის რაზმი, ქუთაისის მაზრის უფროსის ხელმძღვანელობით და სხვა ჯარის ნაწილები. მალე სვანეთის თავადებმა უღალატეს ხალდეშლებს, მთავრობას მიემხრენ და ერთი კვირის განმავლობაში თენგიზ დადეშქელიანის თაოსნობით მათ მიერ გამოყვანილ იქმნა სვანეთის ხალხი. 19 მარიამობისთვეს მათ მოემატა ქუთაისიდან გენერალი ციტოვიჩი არტილერიითა და კახეთის რაზმით. ამ შეერთებულ ძალებით 19 მოსახლის წინააღმდეგ 21 მარიამობისთვეს მთავრობა იწყებს მოქმედებას და ხალდეშლებზე იერიშის მიტანას. პირველათ ზარბაზნებს უშენდნენ ციხეებს, მაგრამ უშედეგოთ. 22 მარიამობისთვეს კაჟიანი თოფით ციხიდგან გამოსროლილ ტყვიით ერთ მეზარბაზნეს თავის ზარბაზანზე დაანთხევინეს ტვინი, მოჰკლეს და ამის შემდეგ ზარბაზანი არ გავარდნილა.

23 მარიამობისთვეს ჯარმა ალყა შემოარტყა ხალდეშს, თანახმად სამხედრო შტაბის გადაწყვეტილებისა. 25 აგვისტოს ეს ჯარი ღამე უნდა შესულიყო ხალდეშში. კახეთის რაზმი აღმოსავლეთიდგან, სვანეთის რაზმი ჩრდილოეთიდგან, ხოლო დანარჩენი ჯარი დასავლეთიდგან 26 მარიამობისთვეს ნაშუაღამევს ყველანი ერთად ,,ურას“ ძახილით შედიან სოფელში. ხალდეშელები ძალთა განწყობილების მიხედვით ბრძოლას არ განაგრძობენ და ყველანი მთებში გადიან.

გათენებამდე სრული სიჩუმე სუფევდა ორივე მხრიდგან და თოფი არ გავარდნილა. დილას ჯარი დარწმუნდა, რომ სოფელში არავინ იმყოფებოდა, გარდა იმ ცხრა მოხუცისა, რომლებსაც წასვლა არ შეეძლოთ. ორი მათგანი ციხეში იჯდა, ხოლო დანარჩენები ჯარს არწმუნებდენ იმაში, რომ სოფელი დაცლილი იყო. ამ დროს გავარდა თოფი ციხიდგან, რომლითაც დაიჭრა რამოდენიმე კაცი. ამის ჩამდენი იყო ის ორი მოხუცი გასვიანი, რომლებიც ციხეში იჯდენ. ჯარი სახლებში შეიმალა და უბრძანა გასვიანებს გამოსულიყვნენ, მაგრამ ამაოდ, რის შემდეგაც ციხე აფეთქებულ იქმნა და მის ნანგრევებში დაიღუპა ეს ორი მოხუცი გასვიანიც.

27 მარიამობისთვეს ჯარმა ააფეთქა მთელი სოფელი. ადგილობრივ ეკლესიიდან გამოტანილ იქნა ხატ-ჯვარი, რომლებიც ს. იფრაარში გადაიტანეს, მოძრავ ქონებას ადგილობრივი ადმინისტრაცია და მათი მოღალატე თავადები დაეპატრონენ და გაინაწილეს. ამის შემდეგ ჯარმა დასტოვა განადგურებული ხალდეში და ქუთაისისაკენ დაბრნდა ისე, რომ ვერც ერთო აჯანყებულთაგანი ვერ დაიჭირეს. დამალული ხალდეშელები შემოდგომაზე ზოგი თავის ნებით გამოცხადდენ ლეჩხუმში სამაზრო მთავრობასთან, ზოგიც ადგილობრივ ადმინისტრაციასთან გამოცხადდა და თენგიზ დადეშქელიანმა ქუთაისში ჩაიყვანა. მათი საქმე ქუთაისში საველე სასამართლომ გაარჩია. სამს მათგანს სიკვდილით დასკა მუსაჯა, მაგრამ ნამესტნიკის შუამდგომლობით ეს სასჯელი სამუდამო გადასახლებით შეეცვალათ. დანარჩენი 55 კაცი გადასახლებულ იქნა რუსეთის სხვა და სხვა გუბერნიებში.

1880 წ. გადასახლებულების ცოლ-შვილმა ნებართვა მიიღეს თავის სოფელში დასახლებისა და მალე ეს ისტორიული სოფელი განახლდა.

ასეთი მწარე შედეგებით დამთავრდა არარაიდგან შექმნილი სვანეთის 1875-76 წ. ამბები მთავრობის უსულ-გულო წარმომადგენლებისა და სვანეთის მტრების, გრინევსკის, ჯორჯაძის და თენგიზ დადეშქელიანის პოლიტიკის წარმოებით ამ კუთხეში [91]).

91) სვანეთის 1875-1876 წ. წ. აჯანყების ისტორიის დაწერის დროს უმთავრესად მე ვხელმძღვანელობდი როგორც აჯანყებაში, ისე მის ჩაქრობაში მონაწილეობის მიმღებ მოხუც პირების, აგრეთვე გიორგი მარგიანის, ბიმურზა გუჯეჯიანის და ბესარიონ ნიჟარაძის ნაამბობით. უკანასკნელი მთავრობასა და ხალდეშელებს შორის მოლაპარაკების დროს სხვათა შორის მოციქულის როლს ასრულებდა.

სვანეთის 1905 წლის აჯანყება

როგორც ვიცით ზემოთ ნათქვამიდან, აუტანელი იყო ფეოდალური ეპოქის სიმკაცრე ამ ქვეყანაში. რამდენათაც უფრო ველურ პირობებში იმყოფებოდენ აქაური ბატონი და მის მონათ ქცეული გლეხი, იმდენათ უფრო მწარედ გამოიხატებოდა ბატონის მოქმედება და გლეხის ცხოვრება.

ძნელი ასატანი იყო ისედაც ბეჩავი, ცხოვრებით დაჩაგრული, ქონებრივათ გაძვალტყავებული სვანეთის გლეხკაცობისთვის ეს მონობის უღელი და მისგან შექმნილი მძიმე ეკონომიური პირობები.

ამიტომაც ნიადაგი მუდამ მზად იყო იმისთვის, რომ ხალხში აგრარული მოძრაობა აფეთქებულიყო, მაგრამ ამისთვის ხელსაყრელი პირობები მათთვის არ არსებობდა.

1905 წ. რევოლუციამ სადადეშქელიანო სვანეთის გლეხ-კაცობა აამხედრა თავისი ბატონების წინააღმდეგ, ხოლო ქვემო სვანეთში თ. გარდაფხაძეებს აუჯანყდნენ. აჯანყებას ხელმძღვანელობდა ადგილორივი ინტელიგენცია, უმთავრესად მასწავლებლობა. გლეხთა მოძრაობასა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას დადეშქელიანებმა შამილის დროის ძველი ზარბაზნების გრიალითა და ქუხილით უპასუხეს. გლეხებმა მათ პასუხი იარაღითვე გასცეს, რომლის დროსაც დაიჭრა მძიმედ თ. ალ. დადეშქელიანი. თავადების ქომაგებაში ამ ჟამად თავი ისახელეს თავისუფალ სვანეთის ზოგიერთმა აზნაურებმა და თავადებთან

დაახლოვებულმა გლეხებმა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ თავადებმა, დროებით მაინც, მიატოვეს სვანეთი და ტფილის ქუთაისისაკენ გაემგზავრენ. ქვემო სვანეთში ამ დროს თ. გარდაფხაძეები თავის ციხეში გამაგრდნენ, მაგრამ ჩოლურში პროპაგანდისტის [92]) შამშე გელოვანისა და მასთან ერთ მუშა გლეხის ამბროსი ონიანის მუხანათურად მოკვლის შემდეგ ისინი აღელვებულ ხალხს გაექცნენ და თავი ზემო სვანეთში თავის ნათესავ აზნაურებს შეაფარეს. ნაწილი რევოლიუციონური ჯგუფისა და ამ დროს ზემო სვანეთში დაეცა ბეჩოში მყოფ ადგილბრივ ადმინისტრაციას, განაიარაღა ის, დასწვა საქმეები და დაიჭრა მისი წარმომადგენლები. როდესაც საქართველოში რეაქციამ გაიმარჯვა და რეაქციიც ,,სახელგანთქმულმა გმირმა“ ალიხანოვმა ფრთები გაშალა, თავადებიც მისკენ გაეშურენ და რეოლუციისაგან შელახულ თავმოყვარეობის აღდგენას შეუდგნენ.

მალე ლეჩხუმ-ქვემო სვანეთისაკენ რეაქციის მოციქულათ ალიხანოვის მიერ იგზავნება სვანეთის თავადი ქუთაისის მაზრის უფროსი ჯანსუხ დადეშქელიანი, რომელმაც დასწვა ლეჩხუმში რამდენიმე ,,ბუნტოვშჩიკის“ სახლი, დააპატიმრა ლეჩხუმის მაზრაში აჯანყების ხელმძღვანელის ლ. დადეშქელიანის ცოლშვილი და გადასწვა მისი სახლკარი. ამის შემდეგ სვანეთში ,,წესიერების აღსადგენად“ იგზავება მეფის ჯარი პოლკ. შიშკევიჩის მეთაურობით, თავადების თანხლებით, რომელმაც ქვემო სვანეთში დასწვა რამოდენიმე მოსახლე, ხოლო ზემო სვანეთში წასვლა ვერც ისე ადვილათ გადასწყვიტა, ჯარი ლაშხეთში შეაჩერა და იქითკენ ხალხთან მოსალაპარაკებლად შესაფერისი პირები გაგზავნა. მალე ზემო სვანეთიდან შიშკევიჩთან გამოცხადდა სვანეთის დელეგაცია, საქმე მორიგებით დამთავრდა და ჯარიც სიხარულის ნიშნად ზარბაზნების გრიალით გამოეთხოვა სვანეთის მთებს და ქუთაისისკენ დაბრუნდა.

ამ გარემოებით ძალიან უკმაყოფილო დარჩენ ზოგიერთი თავადები. შიშკევიჩსა და მათ შორის შავმა კატამ გადაირბინა და ერთმანეთს მტრულად დაშორდენ. ამ გარემოებამ ძალიან ხელი შეუწყო აჯანყებულთა ბედს, რადგანაც შიშკევიჩის მოხსენება თავადების წინააღმდეგ იყო მიმართული.

ეს აჯანყება დამთავრდა ორი წლის გადაუხდელ ნადელების ერთად გადახდევინებით და რამოდენიმე სვანის დაჭერით.

,,დამნაშავენი“ ქუთაისის სასამართლო პალატამ გაასამართლა. ზოგი მათგანი გაანთავისუფლა, ზოგსაც მცირე სასჯელი მიუსაჯა. ხოლო ერთი გლეხი მ. გოშვანი და სუპატაშვილი გადასახლებულ იქნენ ციმბირში.

92) სხვათ შორის რევოლუციონურ მოძრაობას სვანეთში 1905 წელს ხელმძღვანელობდენ შემდეგ თენგიზ დადეშქელიანი, ვარლამ გელოვანი (მასწავლებელი), ლევან ჯაკობია, დანიელ ქინქლაძე, კორნელი ჯუღელი, მღ. სუპატაშვილი და სხვები.

სვანეთის ეკლესიები და ძველი ნაშთები

მკვლევარი განცვიფრებაში მოჰყავს სვანეთში შენახულ იმ მრავალ ძველ ტაძრებს და მათში შენახულ ხატ-ჯვარს, ტყავზედ დაწერილ ხელთნაწერებს და სხვა საეკლესიო სიმდიდრეებს, რომლებიც საქართველოს ბრწყინვალე წარსულზე მოგვითხრობენ.

სვანეთში არსებობს 100-მდე ეკლესია. მათ შორის თავისი სიძველით, მხატვრობით და ორიგინალობით ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევენ: უშგულის ღვთისმშობლის, კალის წმინდა კვირიკეს, იფარის წმ. გიორგის, წვირბის მაცხოვრის, ადიშის მთავარ ანგელოზის, მუჟალის მაცხოვრის, ჟამუშის მაცხოვრის, ლაღამის მთავარ ანგელოზის, ლატალის იოანნე წინასწარმეტყველის და მაცხოვრის, ლაბსყალდის მთავარ ანგელოზის, ფხოტრერის მთავარ ანგელოზის და სუფის წმინდა გიორგის ეკლესიები. ყველა ეს ეკლესიები უნდა იყვნენ აშენებული X-XIV ს. შორის. მთაში სვანების შეხედულებით პირველი ადგილი უჭირავს კალის წმ. კვირიკეს ტაძარს. მასზე დაფიცებით სვანეთში ხშირათ ბოლო ეღება შურისძიების ნიადაგზე კაცის კვლას, ქურდობას და სხვა ბოროტმოქმედებას.

სვანეთის საეკლესიო სიმდიდრე და განძეულობა განიყოფება სამ კატეგორიათ:

პირველ კატეგორიას ეკუთვნის ის ხატ-ჯვარი და ნივთები, რომლებიც აქ არიან შემოხიზნული საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდგან, განსაცდელის ჟამს მტრის მიერ განადგურებისაგან გადასარჩენათ. ტყუილა კი არ წერს ვახუშტი: ,,ლეჩხუმის სამხრით და ოდიშის აღმოსავლეთით არს ეცერი. აქ არს ეკლესია სვეტათ

წოდებული, სახიზარი სვეტის-ცხოვლის სამკაულ-საუნჯისა, რომელსა შინა იტყვიან სვეტის ცხოვლისა კანკელისა ყოფასა დღესაცა, რომელიც მიიღო გორგასალ ინდოეთიდგან, წითელი იაგუნდით ქმნილ ოქრო-ვერცხლოსანნი,მოჭედილნი ქვითა, მრავალნი და პატიოსანნი, დიდნი და მცირენი, არამედ უკეთესი ხატი უბიათ ოქროს ჯაჭვითა და იტყვიან: უკეთუ აუშვით, დალეწავს აქა მყოფსა სხვა ხატჯვარსა და სხვ“...

ცხადია, საქართველოს განსაცდელის ჟამს სვანეთი გადაქცეულა მის საეკლესიო სიმდიდრისა და ძველი ნაშთების სახიზრათ და დამცველათ და სვანეთსაც თავისი მძიმე მისია ღირსეულათ შეუსრულებია. მაგრამ მეფის მთავრობის და მის სამღვდელოების სვანეთში ფეხის მოკიდება შემდეგ იწყება სვანეთის ეკლესიების გაძარცვა და ქონების უცხო ქვეყნებში გატანა.

მეორე კატეგორიას ეკუთვნის ის ხატ ჯვარი და ნივთები, რომლებიც საქართველოს მეფეებს შეუწირავს სვანეთის ეკლესიებისათვის, შესაფერისი წარწერებით, მაგალითად: 1) ეცერში ფხოტრერის ეკლესიაში ინახება ერთი ოქროთი დაფერილი ვერცხლის ხატი წარწერით: ,,ჰე დაუსაბამო და დაუსრულებელო ღმერთო, ცისა და ქვეყნის დამწყებელო და დამაარსებელო, მაცხოვარო წმ. წალენჯიხისა ჩბემ ცვა და მფარავმა შენმა მონდობილმან და მოსავმან სიწმინდისა შენისამან დადიანმა ლეონმა დაგასვენეთ ეცერს ჩვენდა სადღეგრძელოთ, გასამარჯვებლად და სახსოვრათ სულისა ჩვენისათვის ამინ“ [93]).

2) ლატალის მაცხოვრის ეკლესიაში ინახებოდა ერთი ვერცხლის თასი ,,ჩარა“ ძვირფასი თვლებით მოჭედილი, წარწერით: ,,ჰე ცისა და ქვეყნის დამბადებელო მამისა ჩვენისა ადამისა, მამაო ლათალისა მაცხოვარო, ჩვენ მოწამემან შენმან ხმა ნებითა შენითა მამაღლებელმან, მეფემან დადიანმა, პატრონმან ვამეყ და დედოფალმან პატრონმან ელენემ ოდეს იმერეთის მეფენი გარდაშენდნენ და ძალითა შეწევნითა შენითა დიდსა და შავ ჯიქეთ შუა მეფობა და დადიანობა ჩვენ დავიჭირეთ და მონდობილმან თქვენმან შამოგწირეს ჩარა ესე თვალებიანი სი ესე ჩუენს სადღეგრძელოთ და საქმისა ჩენისა წარსამართებლათ და გასამარჯვებლად სულისა ჩვენისა სახსრად და საოხად შვილებისა ჩვენისა გიორგის და ბაგრატის და ასულისა ჩვენისა დარეჯანის სადღეგრძელოთ. მაცხოვარო ლატალისა შეიწირე შესაწირი ესე [94]).

3) ენაშის იოანე წინასწარმეტყველის ეკლესიაში ინახება ხატი წარწერით: ,,მოვჭედე ხატი ესე ინ-ე წი-სა ჩვენ გურიელმან მამიამ ამ სოფლის გასამარჯვებლად და საუკუნო სახსრად სულისა ჩვენისა ამინ [95]).

4) ჟამუშის მაცხოვრის ეკლესიაში ინახება მაცხოვრის ხატი წარწერით: ,,ადიდენ ღმერთმან მეფე გიორგი, დედოფალთ დედოფალი რუსუდანი, ძეთა მათა გიორგისა, რომელთა შეამკეს ხაი ესე. მაცხოვარო მულახისა მცველ და მფარველ ექმენ ორთავე ცხოვრებასა მაჭავარიანსა გედეონს ამინ“. მეორე მხრით: ,,უფალო და მაცხოვარო მოლახისა გააძლიერე მეფეთ-მეფობა პატრონისა გიორგისა და დედოფალთ დედოფლისა პატრონისა თამარისა და ძეთა მათა ალექსანდრესი“ [96]).

5) მესტიის წმ. გიორგის ეკლესიაში ინახება მაცხოვრის ხატი წარწერით: ,,წ-ო იოანე ლატალისა. წმ. გიორგი მესტიისა“. მეორე გვერდზე: ,,მთავარ ანგელოზო უღვრისა უბედნიერენ ღმერთმან ერთობილსა ხევსა ბედნიერსა ლომისა დროშის თავი ესე დროშითურთ ჩემისა დიდისა მონასტრისა წმინდისა, გრიგოლ კოპაძისაგან შამოწირული“. ამ წარწერის მიხედვით, უვაროვას აზრით, ეს შუბი უნდა წარმოადგენდეს იმ დროშის თავს, რომელიც ინახება მესტიაში. ეს დროშა წარმოადგენს აბრეშუმის ქსოვილისაგან შეკერილ ლომის ფიგურას. ყოველწლიურათ ულიშობაზე მესტიის ეკლესიიდგან გამოაქვთ ის გარეთ. საუკეთესო მხედარი იკავებს მას ხელში. სხვების თანხლებით გაქანებული ცხენებით გაეშურებიან მინდორზე, რომლის დროსაც დროშა იბერება, იშლება და ცოცხალ ლომის სახეს ღებულობს. უვაროვისა და ბართოლომეის აზრით ის შეადგენს სამ საზოგადოების მესტიისა, ლენჯერისა და ლატალის შეერთების სიმბოლოს და ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ორივენი შემცდარი არიან იმაში, უღვრის საზოგადოებას ისინი შეცდომით ღებულობენ ლენჯერის საზოგადოებით, მაშინ როდესაც ეს უნდა ჩაითვალოს მულახის და იფარ-წვირმის შეერთებულ საზოგადოებათ შემდეგი მოსაზრებით: ,,უღვირი“ მდებარეობს მულახისა და იფარის საზღვარზე; ძველათ აქ ყოფილა აშენებული ეკლესია, რომელსაც უღვრის ,,მთავარ ანგელოზის“ ეკლესია ერქვა. მისი ნანგრევები დღემდის დაცულია ამ ადგილას. ამ ეკლესიის მახლობლათ დიდს მინდორში თავს იყრიდენ საჭიროების დროს იფარ-წვირმი და მულახი. ეს ეკლესია

ეკუთვნით მულახელებს და ამიტომ მისი დასახელება წარწერაში უნდა ვიგულისხმოთ და მივიღოთ ან მარტო მულახის, ან მულახ-იფარის-წვირმის შეერთებულ საზოგადოებათა აღსანიშნავათ და არა ლენჯერის საზოგადოებათ.

6) ლატალის საზოგადოებაში ინახება საყვირი წარწერით: ,,ეჰა საშინელო დიდო და პატიოსანო მაცხოვარო ლატალისაო შემოგწირეთ და მოგართვით შესაწირავი ეს ჩიქოვანმა პატრონმა ბატონმან ქაიხოსრომ ჩემისა გასამარჯვებლად, სადღეგრძელოთ, სულისა ჩემისა საოხათ და სახსენელათ. ამინ [97]).

7) იმავე ეკლესიაში ინახება ვერცხლის ხატი წარწერით: ,,მაცხოვარო ლატალისაო ადიდენ მეფეთ მეფე გიორგი, დედოფალთ-დედოფალი რუსუდანი და ძე მათი ბაგრატი [98]).

8) ნაკიფარის წმ. გიორგის ეკლესიაში ინახება ხატი წარწერით: ,,წ-ო გიორგი მოიჭედა ხატი ესე წმ. გიორგისა იფარისა ჩემგან მარუშის მიერ სალოცავად და სახსრად სულისა ჩემისა დღესა მას განკითხვისასა ჩემითა ოქროთა და ვერცხლითა ომან ოქრომჭედლისათა [99]).

9) ალექსანდრე კახთა მეფის მიერ შემოწირული ზარები ინახება: მუჟალში, ჟამუშში, ზარდლაშში, ლახირში და ადიშში. კალის კვირიკეს ტაძარში ინახება ზარი თეკლეს მიერ შემოწირული. ლაშთხვერის ეკლესიაში არის ზარი, შემოწირული დავით კახთა მეფის მიერ და სხვა და სხვა...

მესამე კატეგორიას ეკუთვნის ის საეკლესიო ქონება და ხატ-ჯვარი, რომელიც თვით სვანების მიერ არის შეძენილი და შემოტანილი სხვა და სხვა გზით და საშუალებით, მაგალითათ:

1)ლაბსყალდის ეკლესიაში ინახება ძვირფასი ბიზანტიის ხელობის ოქროს ჯვარი, რომელიც სვანებს ჯვარიდგან (ზუგდიდის მაზრა) შემოუტანიათ ძველ დროში.

2) მულახის მაცხოვრის ეკლესიაში ინახება ღვთისმშობლის ხატი ,,სალშგარვხატ“ (სალაშქრო ხატი), რომელიც სვანეთს ომის დროს წაურთმევიათ ლეჩხუმ-რაჭის ერთ-ერთ ერისთავისთვის.

3) კალის წმინდა კვირიკეს ტაძარში ინახება უძვირფასესი ბიზანტიური ძვირფასი ქვებით შემკობილი მე-XII ს. ხელობის ოქროს ხატი ,,შალიანი“. ამ ხატს წელიწადში სამჯერ ბანენ. მის ნაბან წყალს ინახავენ იმ სურაში, რომელიც ამავე ეკლესიის კუთვნილებას შეადგენს და ყურადღებას იქცევს თავისი ორიგინალური

მხატვრობით. ამ სურით ზემოხსენებულ ხატის ნაბან წყალს ჩამოატარებენ ხოლმე მთელს სვანეთში ქურდობის აღმოჩენისათვის. ხშირათ მასში შენახულ შალიანის ხატის ნაბან წყალს საფუვარში ჩაუსხამენ, რომ მისი ძალა შიგ ადამიანის სხეულში შეიტანონ და ფიცის გატეხა არ გაბედონ. აი ეს ძვირფასი ნივთი გადმოცემით არის შემოტანილი სვანეთში შემდეგ პირობებში: ერთხელ იმერეთის ერთმა მეფემ დაიბარა ყოველ კუთხიდან რამოდენიმე კაცი. მათ თავი მოუყარა გეგუთის მინდორში და გამოუცხადა: ვინც ერთი კაცი მათგანი დილიდგან საღამომდე გეგუთის მინდორს მოთიბავდა, საღამოს საჩუქრად რასაც ითხოვდა, იმას მიიღებდა. ყველამ ამაზე უარით უპასუხა. მაშინ გამოვიდა ერთი სვანი ,,შარშხლანი", რომელმაც აღუთქვა მეფეს ამ საქმის ასრულება. ეს შარშხლანი იყო მულახში მცხოვრები გლეხი ახლანდელი – შერვაშძეების წინაპარი. სვანური გადმოცემა ამბობს, რომ ერთ დღეს მისი შვილი თავის სახლის მახლობლათ ძროხებს აძოვებდა. იქვე მან ნახა ქვა, ესროლა ძროხას ეს ქვა და მარცხენა გვერდში რომ მოხვდა, მარჯვენაში გავიდა. ძროხა მოკვდა. ბავშვი ტირილით მამასთან მივარდა და აცნობა ეს ამბავი. შარშხლანი წავიდა, ნახა მოკლული ძროხის მახლობლათ მის შვილის განასროლი ქვა და ის ,,მეხის ფინთიხი" გამოდგა. შარშხლანმა ის სახლში წაიღო და, როდესაც მჭედელს ცელი გააკეთებინა, იმაში გაურია. ამიტომ ცელს გალესვა არ უნდოდა, ისე სჭრიდა ბალახს, რომ კაცს არც კი ღალავდა. და ამიტომაც შესძლო შარშხლანმა ამ ცელით გეგუთის მინდვრის მოთიბვა. მეფემ საღამოს შარშხლანი დაიბარა და ნება დართო აერჩია საჩუქარი. სვანმა აირჩია ზემოხსენებული ძვირფასი ხატი და ამიტომაც ამ ხატს დაერქვა შალიანი, რაიცა უდრის შარშხლიანისეულს. მან ძვირფასი საჩუქარი თხის გუდაში ჩასდო და სვანეთისკენ გაემგზავრა. ლატფარის მთაზე მას შეხვდა კალაში მცხოვრები ვიღაც იოსელიანი, რომელმაც წასვლისას თავის ცოლს დაუბარა, რომ ამაღამ თუ შარშხლანი ესტუმრებოდა, თავი არყით დაეთრო და შემდეგ მასთან დაწოლილიყო. იოსელიანი შეხვდა შარშხლანს, დააფიცა, რომ ღამის გასათევათ კალაში მის ცოლთან მისულიყო, თვითონ ვითომდა გაუდგა გზას. შარშხლანი მას ესტუმრა. ცოლი დაბარებისამებრ მოიქცა, და ღამე, როცა იოსელიანი უკან დაბრუნდა, შარშხლანი ცოლთან შეისწრო და მოკვლა მოუნდომა. მაგრამ თავი მით იხსნა,

რომ ეს ძვირფასი ხატი აჩუქა. იოსელიანს შემდეგში ეს ხატი წაართვეს დადეშქელიანებმა, მაგრამ მათ მალე ის მოჰპარეს თანბი გოშტელიანმა და ვიღაც ბერიანმა, იოსელიანს დაუბრუნეს ეს და მის შემდეგ კალის წმინდა კვირიკეს მონასტერში მოათავსეს და შეიარაღებული ყარაული დააყენეს. როცა სვანები ამ ხატით ფიცულობენ, 25 მანეთი ხდებათ, ხოლო ამას არ იხდიან შერვაშიძეები, იმიტომ რომ, ეს ხატი მათი წინაპრის შარშხლანის მიერ არის შემოტანილი, იოსელიანებიც ასეთი გადასახადისაგან თავისუფალნი არიან, იმიტომ რომ ეს ხატი იმათ შეიძინეს და დაიბრუნეს დადეშქელიანებისაგაან. სვანების მიერ შემოწირული ასეთი ხატები შესაფერისი წარწერებით არიან აგრეთვე უშგულის წმ. ბარბალეს, იფარის წმ. გიორგის, ჩუკულის, ჟახუნდერის და სხვა ეკლესიებში...

ეტყობა, რომ პირველათ სვანეთში ეკლესიებს სათავეში უდგენ ღირსეული პირები და მათ პირნათლად შეუსრულებიათ საეკლესიო სიმდიდრის დაცვაში თვისი მოვალეობა, მაგრამ შემდეგში სვანეთის ეს სასულიერო წოდება იმდენათ დაცემულა, რომ მათთვის ყურადღება არ მიუქცევიათ და ფასი დაუკარგავთ, ხოლო როცა საეკლესიო წიგნები დაიბეჭდა და ეკლესიათა მწყემსობა მეფის სამღვდელოებას გადაეცა, იწყება სვანეთის საეკლესიო სიომდიდრის მათ მიერ ,,გატანა და სხვა ქვეყნებში გაყიდვა. ჯერ კიდევ 1916 წელს ამის შესახებ ჩემ მიერ იქნა მოთავსებული გაზეთ ,,ხალხის მეგობრის“ მე-39 ნომერში შემდეგი წერილი ,,საქართველოს სიძველენი და მათი დღევანდელი მდგომარეობა სვანეთში“.

აი წერილის შინაარსი ასეთია:

,,უძველეს დროიდან ქართველი ხალხის ერთი ნაწილი მოთავსებულია კავკასიის მთებს შუა, რომელსაც დღეს სვანები ქვიან. ყოფილა დრო, როცა ეს სვანეთი საქართველოს სიმდიდრის და ძველი ნაშთების ტაძრათ ქცეულა. იყო დრო, როცა სვანები თავის მდინარეებში ოქროს და ვერცხლს პოულობდენ; გამართული იყო ფულის საჭრელი ქარხნები. მაგრამ ყველა ამაზე ვილაპარაკოთ შემდეგ, რადგან ეს წერილი, ამჟამად გამოიწვია მხოლოდ გაზ. ,,სახალხო ფურცლის“ მე-544 და ,,მეგობრის“ მე-37 №-ში დაწერილმა წერილებმა. რომლებიც ჩემთის ისე ამაღელვებელი შეიქნენ, რომ ვერ მოვერიე ჩემ თავს, რათა სულგრძელობა მეხმარა და გადამედო

ამაზე ლაპარაკი მანამდის, სანამდის ჩემ მიერ მომზადებულ ვრცელ მოხსენებას სვანეთის ძველი ნაშთების დაღუპვის შესახებ საზოგადოებას გავაცნობდი. უუძველეს დროიდგან სვანეთმა შეუნახა საქართველოს ძვირფასი ნაშთები, რომლებიც მის წარსულზე მოგვითხრობენ. დღეს კი სვანეთის ტაძრები განიცდიან საშინელ რბევას. მის ძვირფას ნაშთებს და საეკლესიო ქონებას იტაცებენ სამღვდელოება, მოგზაურები და მეფის მოხელეები: გრაფ ლევაშომა 1869 წელს სვანეთში მოგზაურობის დროს სოფ. ჟახუნდერის ეკლესიას ჩამოხსნა ძვირფასი თვლებით მოჭედილი კარები, საუკეთესო ნაშთი ძველი ხელოვნებისა, და სხვა ნივთებთან ერთათ წაიღო სვანეთიდგან.

სოფ. ლენჯერის ეკლესიის ყოფილ მწყემსის მღ. ჩიქოვანის განკარგულებაში მყოფი ლაშთხვერის ტყავზე დაწერილი ძველი სახარება 1906 წ. უკვალოთ დაიკარგა.

რამოდენიმე წლის წინეთ სვანეთში მოგზაურობის დროს სტოიანოვმა ხელთ იგდო ,,Миниатюрное изображение Евангелистов X в.“, რომელიც მან აჩუქა გრაფ ალექსი სერგის ძეს (იხ. Матер. по Арх. Кавказа. Вып. X. Уваровой. Стр. 154).

უვაროვამ წაიღო სვანეთიდგან ბრინჯაოს XI ს. მშვენიერი მხატვრული კანკელი (Уварова. Там же. Стр. 155).

იმავე უვაროვასთვის მიუცია ერთ ადგილობრივ მღვდელთაგანს ხელთნაწერი, კუთვნილი სოფელ ნაკიფარის წმ. გიორგის ეკლესიისა, დაწერილი 1051 წ. იოანე მესვეტეს მიერ ართვინის მონასტერში ბაგრატ კუროპალატის დროს (Уварова. Там же. Стр. 177).

ლევაშოვმა წაიღო სვანეთიდგან წმ. კვირიკეს მონასტრის მეოთხე საუკუნის ბერძნული სახარება.

ლატალის მაცხოვრის ეკლესიის დიდი ვერცხლის თასი ,,ჩარა“, ძვირფასი ქვებით შემკობილი, მეფე ვამეყ დადიანის მიერ შემოწირული, ამჟამად დადეშქელიანების კუთვნილებას შეადგენს.

ეცერის მთავარ ანგელოზის კუთვნილი თამარ მეფის სარტყელი და კვერთხი თენგიზ დადეშქელიანის დედამ სამეგრელოს დედოფალს ეკატერინეს უფეშქაშა 1856 წ.

სვანეთის პირველ მისიონერს დეკანოზ ქუთათელაძეს წაუღია სვანეთიდგან ძვირფასი ხელთნაწერები. ერთი მათგანი ამჟამად პეტროგრადის სამეცნიერო აკადემიის სამკითხველოში ინახება.

მოსკოვის სასულიერო აკადემიის სამკითხველოში სვანეთიდგან წაღებული ორი ოქროს ყდიანი სახარება ინახება. მე არაფერს არ ვიტყვი იმ 400 ხელთნაწერზე, რომლებიც ერთს მღვდელთაგანს წაუღია სვანეთიდგან და მისგან საქართველოს სათანადო დაწესებულებებს შეუძენიათ, რადგანაც არსებითად ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ იმ სახით ამ ხელთნაწერების სვანეთიდგან წაღება და გადაცემა, როგორც ეს მოხდა, ყოვლათ დაუშვებელ მოქმედებათ უნდა ჩაითვალოს.

ვინ მოსთვლის, რამდენი რამ არის კიდევ სვანეთიდგან წაღებული. ახლა შევეკითხები თვით იმ ადგილობრივ მკვიდრთ, რომლებსაც სხავდასხვა ეკლესიებიდგან ზემოთ ჩამოთვლილ ნივთების გარდა წაუღიათ სხვადასხვა ხელთნაწერები და ნივთები, დაუბრუნეს თუ არა ეს ნივთები ეკლესიებს? შეიძლება ვინმემ მიპასუხოს: ,,არა, არა, იმიტომ, რომ ჩვენ უფრო კარგად შევინახავთ და ეკლესიებში კი გვეშინია დაგვეკარგოსო“. მაგრამ მე მათ ვუპასუხებ: თუ სვანეთის ეკლესიებმა ასეთი იშვიათი სიმდიდრენი და სიძველენი უხსოვარ დროიდგან დაიცვეს და შეინახეს ყრუ ,,ბაპების“ ხელში, განა დღეს უკეთ არ შეიძლება ამ საქმის მოწესრიგება და ნაშთების დაცვა? დიახ, ეს შეიძლება, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროთ ისევ გრძედლება სვანეთის ეკლესიების გაძარცვა.

და თუ ეს ასე არ არის, აბა მიპასუხეთ: ვინ მოიპარა მუჟალის მაცხოვრის ეკლესიის ძველი ოქროს ფული 1910 წ. ვინ წაიღო ფარიდგან სოფელ სუფის წმ. გიორგის ეკლესიიდან ვერცხლის თასი. იმავე წელში ვინ მიართვა მამა ვოსტორგოვს, როგორც გვაცნობებს მისი ბიოგრაფი ნ. დურნოვო, სვანეთის ხელთნაწერები, რომლებიც მას თითქოს სვანეთის ეკლესიების რევიზიის დროს შეეძინოს, რასაც ადგილი არ ჰქონია, რადგანაც ვოსტორგოვი სვანეთს არ სტუმრებია, და რომლებითაც მან შეიძინა ყუბანის ოლქში დიდი სააგარაკო ადგილები?

ცხადია, ეს ხელნაწერები და ძვირფასი ნაშთები მისთვის მიურთმევია სვანეთიდგან ვინმე ისეთს, რომლისთვისაც მისი მოწყალე თვალით შეხედვა საჭირო იქნებოდა. ვინ წაიღო არცხელის წმ. გიორგის და ზეგანის ღვთისმშობლის ეკლესიებიდგან ხელნაწერები?

ვინ წაიღო ელის ეკლესიიდგან ორი ჯვარი, დაბრუნებული მხოლოდ ხალხის ახმაურებისა და საჩივრების გამოცხადების

შემდეგ. სად და ვისთან უნდა ვეძიოთ დ. ბაქრაძის მიერ ნახული და დღესდღეობით უკვალოთ დაკარგული ზარდლაშის წმინდა ბარბალეს, ლახირის იოანნე წინასწარმეტყველის, ჟამუშის მაცხოვრის, ჩვიბიანის მაცხოვრის ეკლესიიდან ხელთნაწერები? დაუბრუნდა თუ არა კვირიკეს ეკლესიას ის ნივთი, რომლის დაბრუნების შესახებ პირობაც კი მიჩენა ერთმა ამ ეკლესიის დარაჯთაგანმა, მაგრამ ეს პირობაც პირობათ დარჩა.

ყველაფერზე უფრო აღმაშფოთებელია ის მოვლენა, რომ სვანეთის ძველი ნაშთების ბედ-იღბალი იმ ზომამდე მისულა, რომ არამც თუ ძვირფასი ხატ-ჯვარი და განძეულობა გაბნეულა, არამედ იშვიათი და ძვირფასი ხელთნაწერებიდგანაც კი ამოუჭრიათ ვიღაცეებს ფურცლები. სეტის X ს. ზემოხსენებულ ტყავზედ დაწერილ სახარებიდან, რომელიც, როგორც არის ნათქვამი, ოდესმე ყოფილა დაწერილი ჭოროხის ხეობაში, ოშკის მონასტერში, ბაგრატ მე-IV კუროპალატის დროს, ილარიონ იშხნელის მინდობილობით, გიორგი მთაწმინდელის ძმისწულის გაბრიელის მიერ, თერთმეტი ფურცელი ამოუჭრიათ.

ადიშის მე-IX ს. იმ სახარებიდგან, რომელიც მეცნიერების მიერ ცნობილია მე-IX ს. მწერლობის საუკეთესო ნიშნათ და რომელიც ყოფილა ნახული კლარჯეთში ნიკოლოზ ჯუმათელის მიერ, ხოლო დაწერილი სოფრომის მიერ ადარნასე კუროპალატის და მისი შვილის დავით ერისთავის განკარგულებით, 88 ფურცელია ამოჭრილი. მოვითხოვ სვანეთის ეკლესიების მტერ-მოყვარისაგან დაუბრუნონ ეკლესიებს თავიანთი ქონება, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები ავხადო ფარდა მათ მოქმედებას და უფრო ვრცელი ცნობები, დამყარებული ფაქტებზე, მივაწოდო პრესას. ტაძრების რაოდენობა ამჟამად 100 მეტია მთელს სვანეთში. მათ მწყემსობენ 15-დე მღვდელი და იმდენივე დიაკონი.

93) დ. ბაქრაძისა და ხახანაშვილის აზრით ეს ლევანი უნდა იყოს ლეონ მეორე, რომელმაც დიდ ლეონის სახელი დაიმსახურა ხაზართა ლაშქრის შემწეობით აფხაზეთის დაპატრონებისა და შერვაშიძის დამორჩილებით. ბაქრაძე. გვ. 69; ხახანაშვილი. გვ. 40.

94) ეს ჩარა ამ ბოლო დროს დადეშქელიანების კუთვნილებას შეადგენს. მის წარწერაში მოხსენებული ვამეყი უნდა იყოს იმერეთის მეფის ალექსანდრეს მიერ XVII ს. დანიშნული სამეგრელოს დადიანათ. 1661 წ. მას მტრათ გადაეკიდა ქართლის მეფე ვახტანგი და აიძულა სვანეთში გაქცეულიყო. იქ ხოსია ახვლედიანის შეჩენილ კაცების მიერ იქმნა მოკლული (მარი ბროსე. საქ. ისტ. გვ. 37, 38 და 39).

95) ეს მამია გურიელი, ბროსეს თქმით, იყო სიმამრი ლევან კახთა მეფისა, რომლის მამაც მოკლა გიორგი ავმა. ამის შემდეგ ის იმალებოდა ჩოლოყაშვილებთან. მის წინააღმდეგ გალაშქრებული ბიძა დავითი მამიამ სასტიკათ დაამარცხა (მ. ბროსე. საქართველოს ისტორია. გვ. 56).

96) აქ ლაპარაკი უნდა იყოს იმერეთის მე-XVI ს. მფლობელებზე.

97) ეს ქაიხოსრო ჩიქოვანი დახატულია ლეჩხუმში ნაყურალეშის ეკლესიის კედელზე წარწერით: ჩიქოვანი ქაიხოსრო. ის უნდა იყოს მე-XVII ს. ლეჩხუმისა და სალიპარიტოს ერთ დროის მფლობელი.

98) დ. ბაქრაძისა და ხახანაშვილის აზრით ეს გიორგი მეფობდა 1548-1585 წ., ხოლო რუსუდანი უნდა ყოფილიყო შერვაშიძის ასული.

99) როგორც არის ზემოთ ნათქვამი, აქ ლაპარაკი უნდა იყოს იმ მარუშიან ვარდანიძეზე, რომელიც, ბაქრაძის თქმით, განთქმული იყო თამარ მეფის დროს. XI ს. – XIV ს-დე ვარდანიძეები იყვნენ სვანეთის ერისთავებათ, და ის უნდა იყოს პირველი წარმომადგენელი მათი ამ ქვეყანაში. მარუშიანი მოხსენებულია ლეხეურის ძველ ტაძრის წარწერაში (თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსია და გამოკვლევები. გვ. 18).

ქრისტიანობის გავრცელება სვანეთში, კერპთა-თაყვანისმცემლობის ნაშთები, ძველი ზნეჩვეულებები

სვანეთში არსებულ მრავალ საეკლესიო საბუთების მიხედვით ჩვენც ვიცით, რომ ქრისტიანობა აქ ძალიან ადრე გაგრძელებულა, მაგრამ როდის მოიკიდა მან ფეხი ამ ქვეყანაში და რომელ საუკუნეებიდან დაიწყო ეკლესიების აშენება, ჯერ კიდევ არ არის კარგად გამორკვეული. საეკლესიო გადმოცემით, ზოგნი მოვიქულ სიმონ კანანელს სთვლიან სვანეთში პირველ ქრისტიანობის მქადაგებლად, ხოლო სხვა წყაროების მიხედვით საქართველოდგან სვანეთში ქრისტიანობის გასავრცელებლად პირველი მოციქული მატათა უნდა შესულიყო და არა სიმონ კანანელი, რომელიც დიოსკურიაში და ნიკოფსიაში უნდა დარჩენილიყო [100]).

1867 წ. სვანეთში იმოგზაურა გაბრიელ ეპისკოპოზმა, რომელმაც ქრისტიანული წესით პირველად მონათლა ეს ადგილობრივი ,,ბაპების“ მიერ მონათლული ქრისტიანი ხალხი და გამოთქვა ის აზრი, რომ სვანებს ყველა მეზობელ ხალხებზედ ადრე უნდა მიეღოთ ქრისტიანობა. ამ აზრს ის ამტკიცებდა აქაურ ეკლესიების სიძველით, სიმრავლით და მათში შენახულ მრავალ ხატ-ჯვარით, ხელთნაწერებით და სხვა საეკლესიო სიმდიდრით.

სვანეთში ქრისტიანობის გავრცელებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით მარტვილის მონასტერს, ცაგერის სობოროს, დავით აღმაშენებელს, ადგილობრივი მკვიდრის ვახტანგ ფარჯიანის შემწეობით [101]), და თამარ მეფეს. მაგრამ მათ დრომდისაც რომ აქ ეკლესიების აშენება დაწყებული ყოფილა, ეს, სხვათა შორის, იქიდანაც ჩანს, რომ ეცერის საზ. ფხოტრერის მთავარ ანგელოზის ეკლესიაში, როგორც ზემოთ დავინახეთ, ინახება მე-8 საუკ. აფხაზეთის ერისთავის და შემდეგ დასავლეთ საქართველოში გამეფებულ (746-791 წ.) ლეონ მეორის მიერ შემოწირული ხატი შესაფერისი წარწერით [102]).

დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს უნდა იყოს აშენებული უშგულის ღვთისმშობლის, კალის წმ. კვირიკეს, იფარის წმ. გიორგის, წვირმის მაცხოვრის, მესტიის წმ. გიორგის, ლატალის იონა წინასწარმეტყველის, მაცხოვრის და მთავარ ანგელოზის ეკლესიები, ლაბსყალდისა და ფხოტრერის ტაძრები, ხოლო დანარჩენი 63 ეკლესია ამის შემდეგ სვადასხვა დროს.

იმ დროს მესტია ითვლებოდა საეპისკოპოზოთ და სვანეთის მღვდელ-მთავრის სამყოფათ. ეტყობა, რომ ძველ დროში სვანეთში ქრისტიანობის გავრცელების თავის საქმის კარგად მცოდნე სასულიერო პირები ყოლია სათავეში.

დროთა ვითარების გამო, სვანეთის სასულიერო წოდება ჩამორჩენის გზას ადგება და საშინლად ეცემა. ამ გონებრივათ გაკოტრებულ სვანეთის სასულიერო წოდების წარმომადგენლებმა ჩვენ დრომდინაც მოაღწიეს, სვანები იმათ ,,ბაპებს“ უწოდებენ სახელათ. ივ. მარგიანის ცნობებით ეს ,,ბაპები“ ყოველ სოფელში მრავალრიცხვოვანი იყვნენ და უბრალო სვანებისაგან თითქმის არასფრით არ განირჩეოდნენ. თავზედ მათ ეხურათ ნაბდის ფაფანაკი, ტანზედ შიგნით ეცვათ შინაური ხელობის ჭუჭყიანი ტილოს პერანგი, რომლის საყელო კანაფის მსხვილი ბაწრით იკვრებოდა. პერანგი წინ ღია იყო და მკერდი უჩანდათ. პერანგზედ შინაური ხელობის მსხვილი მატყლის ჩოხა ეცვათ, ფეხზედ მრგვალი ქალამნები ბაწრით შემოჭირებული და ,,წერაქოთ“ [103]) გატენილი ეცვათ, წელზედ ერტყათ მოუქნელი ტყავის სარტყელი, რომელსაც ადგილობრივი ხელობის დიდი ხანჯალი ამძიმებდა, მხარზე კაჟიანი თოფი ,,ყირიმი“ ან ,,სტამბოლი“ ეკიდათ და ამნაირად გამოწყობილნი შედიოდენ ხოლმე ეკლესიაში [104]).

თავისუფალ სვანეთის ,,ბაპებს“ ერთ დროს ცაგერის მღვდელმთავარი აკურთხებდა და მწყემსობდა (მას სვანები ცაგერის ,,ბაპს“ ეძახდნენ), ხოლო სადადეშქელიანო სვანეთის ,,ბაპებს“ – ცაიშის მღვდელმთავარი [105]).

ბაპებს ჰყავდათ რამოდენიმე შეგირდები ,,დიკვნარ“. როდესაც ,,ბაპი“ მოხუცდებოდა, ამ ,,დიკვნებს“ გზავნიდნენ ცაგერის ანუ ცაიშის ეპისკოპოზთან, რომელიც მღვდლათ ნაკურთხებს აბრუნებდა სვანეთში. ძღვნათ მღვდელმთავართან მიჰყავდათ თითო ხარი, რომელსაც კურთხევის დღეს კლავდენ და სადილათ მიიწვევდენ ხოლმე ეპისკოპოზს კრებულითურთ.

შემდეგში ეს დამოკიდებულება მოისპო და სვანეთის ,,ბაპებმა“ თვითონ მიითვისეს კურთხევის უფლება. თავისი შეხედულებით ისინი ხელს ასხამდნენ ,,დიკვნებს“ და ეკლესიასაც თვითონ განაგებდენ. უფროსს ,,ბაპს“ დეკანოზს ეძახდნენ [106]).

100) გორგაძე. საქ. ისტ. გვ. 60; ფერაძე. გაზ. ,,ცნ. ფურც“. 1917 წ.

101) ეს ვახტანგი დახატულია ლატალსი მაცხოვრის ეკლესიის ჩრდილოეთის კედელზე კარებთან.

102) ეს წარწერა მოყვანილია ამ წიგნის 112 გვერდზე.

103) ეს ერთგვარი ბალახია, რომელსაც საგანგებოთ მოიმარაგებენ ხოლმე სვანები ფეხსაცმელში ჩასატანებლათ.

104) ივ. მარგიანი. ,,შინაური საქმეები“ № 21-31.

105) ამ აზრს ადასტურებს აგრეთვე ვახუშტის შემდეგი ცნობები: ,,ცაგერში ზის ეპისკოპოზი – მწყემსი ლეჩხუმისა და სვანეთისა, ხოლო ბიჭვინთაში იჯდა კათალიკოზი, რომელსაც ემორჩილებოდა იმერეთი, სამეგრელო, გურია, სვანეთი და აფხაზეთი (ვახუშტი. საქ. გეოგრ. გვ. 264 და 312). ცაგერის ერთ დროის ორი მღვდელმთავრის ნახატები დაცულია დრემდე ნაყურალეშის ეკლესიის კედელზე წარწერით: ,,ქრისტიანე დიდისა ამისა საყდრისა ამშენებელი მღვდელმთავარი გაბრიელი ცაგერელი ცაგერელი ჩიქოვანი სვიმონი“.

106) ივ. მარგიანი. ჟურნ. ,,შინაური საქმეების“ № 21-31.

,,ბაპების“ ლოცვა მღვდლათ ანუ დიაკვნათ კურთხევის დროს

,,ლოცვა იერუსალიმისა, მათი ჯვარითა, მათი პირითა, გაკურთხოს ქრისტემან. კვართი-კვართალი, ოლარი, გინგილი, ფილოვანი, ხელი შემოსილი, ცოცხალს მღვდელს ანუ დიაკონს (სახელი და გვარი) ვაჰანდელეს ექს-მელექს, ფარა მოწაფეთა მისთა, იამენ“.

ჯვრისწერის დროს ,,ბაპები“ სკამზე დასვამდენ საქმროსა და საცოლოს. ნემსით ერთმანეთს კალთებს გადაუბამდნენ, ღვინის მაგივრად არაყს ხმაროდნენ, გვირგვინების მაგიერობას ვაზის რგოლები სწევდნენ. მათზედ ხის ჯვრები იყო დამაგრებული და როცა ჯვრისწერას გაათავებდნენ, დიდი ქეიფი იმართებოდა.

აღდგომა დღეს გათენებამდე ,,ბაპები“ ეკლესიაში მიდიოდნენ. ერთი ტრაპეზში შედიოდა, სხვები გარეთ რჩებოდნენ და იტყოდენ ხოლმე: ,,აღეპყენით ბჭენი თქვენი მთავარნო და აღეფხვენით ბჭენი საუკუნენი და შევიდეს მეუფე დიდებისა“. შიგნიდან ,,ბაპი“ მიუგებდა: ვინ არს ესე მეუფე დიდებისა. გარედან დასძახდნენ: ,,მე ვარ უფალი ძალთა დიდებისა“.

შემდეგ შედიოდნენ ეკლესიაში და შეუდგებოდენ ცისკარს.

ცისკრის შემდეგ ერთი ,,ბაპი“ დადგებოდა ეკლესიის კარებთან და იტყოდა მაღალი ხმით“ ,,ქრისტე აღსდგა, გიხაროდეთ, ვისაც გესმოდეთ, არა გესმოდეთ, პირსა და პირ მეტყველსა, კაცსა და პირუტყვსა, ტყესა და კლდესა, და ქრისტე აღსდგა, გიხაროდეთ.

მიცვალებულის კუბოში ჩასვენებას ,,ბაპები“ დაესწრებოდენ. ისინი შეახვევდენ მიცვალებულს სუდარით, თავიდგან ფეხებამდე ჯვარის სახედ ძაფს დაადებდენ, მერმე დაფხვნილ ნიგოზს გადააყრიდენ მას და იტყოდნენ: ,,იამენ იესო ღვთისა, იამენ მამისათა ძისათა, იამენ სულისა წმინდისათა, იამენ. ერთჯერ თქო, ორჯერ თქო, სამჯერ თქო, თავიდან ფეხებამდე ზეთი გცხებია, მეორედ მოსვლამდე უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა. იამენ იესო ღვთისა, იამენ ძისათა, იამენ სულისა წმინდისათა, იამენ. საფლავი ლაზარესი, ძვალი იობისა, სული აბრამისა ეს ხიდი ყოველთა ჩამოსავალი არს“.

მათ დროს გავრცელებული იყო ზეთის კურთხევა, **ლიყვჟალ და ლიტბული.**

ზეთს უმეტეს შემთხვევაში ავი ზნის ავადმყოფს უკურთხებდნენ.

ზეთის კურთხევისთვის დიდის ამბით ემზადებოდნენ: ასუქებდნენ რამოდენიმე ხარს, ქერისაგან ხდიდნენ არაყს, აცხობდნენ ბლომად პურს, იწვევდენ ოცამდე ბაპს, რომლებიც ტაბაგს მოუჯდებოდნენ ხოლმე, ზეთს უკურთხებდნენ, ხელში კურთხევანს იკავებდნენ და კითხულობდნენ ზეთის კურთხევის წესს. ერთი კვირის განმავლობაში ყოველ დღე ამრიგად ხდებოდა,

ერთი კვირის შემდეგ მოსახლის ყველა წევრები სათითაოდ მიდიოდნენ უფროს ბაპთან – დეკანოზთან და აღსარებას ეუბნებოდნენ. ხელში ამ დროს მათ ეჭირათ ,,თონის კონა“ (ბალახი) და ამბობდნენ: ამდონი ცოდვა მიქნია. მერმე ,,ბაპი“ მათ ,,გახსნიდა ცოდვებისაგან“. ამის შემდეგ მასპინძელი იწვევდა მთელს სოფელს და სასიხარულოს იხდიდა [107]).

ქრისტიანობამ რომ სვანეთს ერთ დროს მძლავრი სხივები მოჰფინა, ამას, სხვათა შორის, ამტკიცებენ სვანეთში არსებული მრავალი ძველი ქრისტიანული ტაძრები და მათში შენახული ის ურიცხვი ხატ-ჯვარი, ძველი ხელთნაწერები და სხვა საეკლესიო სიმდიდრენი, რომლებიც საქართველოს წარსულზე მოგვითხრობენ და დღესაც მისი ძველი ხელოვნებისა და შემოქმედების არქეოლოგიურ და ისტორიულ განძს შეადგენენ. ხოლო ქრისტიანობის გავრცელებას რომ ვერ ჩაუქვრია უძველეს დროის ქართველთ შორის გავრცელებული ცრუმორწმუნეობა და კერპთაყვანისმცემლობა, ამას ნათლად ამტკიცებენ სვანეთში დღემდე შენახული კერპთაყვანისმცემლობისა და ცრუმორწმუნეობის უთვალავი ნაშთები, ძველი ტრადიციები და თამამად შეიძლება ითქვას, რომ სვანები ამჟამად, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ერთსა და იმავე დროს ემსახურებიან როგორც ქრისტიანობას, აგრეთვე ცრუმორწმუნეობას და კერპთაყვანისმცემლობას. სვანების შეხედულებით ღმერთი მრავალრიცხოვანია. მათ უყვართ ბინადრობა მთა-გორიან სუფთა ადგილებში და რადგანაც სვანებს თავის ღმერთები იქ ეგულებათ, ამიტომაც მათ სახელზე მრავალი ტაძრები აუგიათ ამ ადგილებში. ღვთის მსახურება, მსხვერპლთ შეწირვა სვანებს სხვა ქვეყნების ხალხებთან შედარებით თავისთვის უფრო სავალდებულოთ იმიტომ მიაჩნიათ, რომ მათი წარმოდგენით ღმერთებს ბინა სვანეთის მაღლობზე უნდა ჰქონდეთ.

ყოველწლიურათ თვითეული სოფელი სვანეთში აგროვებს პურს ან ქერს, რომლითაც ყიდულობენ რამდენიმე სამსხვერპლო ხარს, მოზვერს, უშობელს, ხბოსა და ცხვარს. დანიშნულ დროს ისინი მიჰყავთ ხოლმე ეკლესიაზე, კლავენ, ღმერთს სწირავენ და მერმე ხორცს თანასწორათ ინაწილებენ. ამისთანა მსხვერპლთ შეწირვას სვანები უძახიან: ,,ლიყჟალ“-ს (ღვიძლობა).

გარდა ამისა თვითეულ სოფელში რიგრიგობით იზრდება მოზვერი (სამსხვერპლო მოზვერი – ,,უსხვაჲ“). მას დათესილ ყანებში თარეშს ვერ უშლიან. ქვისა და ჯოხის დარტყმას ერიდებიან, ვითარცა საღვთოს, პეტრე-პავლობის დღეს დილას ამას სწირავენ ღმერთს და ჰკლავენ ეკლესიის გალავანში.

ასეთი სამსხვერპლო ხარები იზრდებიან აგრეთვე თვითეულ ოჯახშიც. მათ მოპარვას ქურდები ძალიან გაურბიან, როგორც საღვთო ცხოველის.

ასეთი მსხვერპლშეწირვის გარდა სვანებმა იციან პურებითა და არაყით ღვთის მსახურება. ამ შემთხვევაში თვითეული ოჯახი აცხობს 1-3 დიდ პურს ,,ლესკარ“, რიგ-რიგობით ხდიან არაყს წინასწარ საარაყეთ მოგროვილ ქერიდგან, იყრიან თავს ან ეკლესიის გალავანში, ან მოსახლისას. ამას სვანები ეძახიან: **,,ლიტბული“**-ს (ტაბლობა). მაგრამ სანამდე სვანები არ დარწმუნდებიან იმაში, რომ ერთი თვის განმავლობაში მათ სოფელში მშობიარობა არავის ჰქონდა და თვიურით ავათმყოფი ქალები ოჯახებში არსად ყოფილან, მანამდე ისინი ვერ ბედავენ ვერავითარ ღვთის მსახურებას. მაშინაც კი ეკლესიიდგან მოტანილი ნაკურთხი წყლით ანუ ნათლიღებას ჯვრის ნაბან წყლით მოზელილ ნაცრის კოკორების გაქნილ წყლით თუ არ გასწმენდენ არემარეს [108]).

სოფ. კალაში ამისათვის ხმარობენ ,,იორდანს“, რომელიც ინახება კალის წმ. კვირიკეს მონასტერში. რისგან შესდგება ეს იორდანი, არ ვიცით, ხოლო კალელები კი ამბობენ: ,,ი. ქრისტე რომ გოლგოთის მთაზე ჯვარს აცვეს, მისი სისხლის დანაწვეთ მიწისა და სხვა საგნებისაგან შესდგება იორდანეო“.

მამა ღმერთს სვანები ეძახიან: ,,ხოშა ღერბეთ“ ანუ მთავარი ღმერთი, ძე ღმერთს ანუ მაცხოვარს – ,,მაცხვარს“, ,,ქრისტე ღერბეთ“-ს, ღვთის მშობელს: ,,ლამარჲა“. აღდგომის წინ ბზობის კვირაში დღით ხუთშაბათს სვანებს მოაქვთ ტყის ყვავილის შტოები, ამით კარ-ფანჯარას ამკობენ, რათა ეშმაკები ვერ შევიდნენ ოჯახებში. თითო ძირს კი ყანებში არჭობენ. ამ კვირას სვანები უძახიან: ეშმაკების კვირას (,,ჰერია მიშვს“). ახალ დაღამებისას ახალგაზრდები დაიკავებენ ხელში მუგუზალს, გარბიან გარეთ, ურტყამენ იქით-აქეთ ამ მუგუზლებს, დევნიან სახლებიდგან ,,ეშმაკებს“ და იძახიან ,,ფუ ეშმაკს“ და სხვა.

აღდგომას სვანები ,,პატარა აღდგომას“ უძახიან და იმდენად არ უქმობენ, რამდენადაც ახალკვირეს.

ახალკვირეს სვანები უძახიან დიდ აღდგომას ,,ხოშა თანაფს“ ანუ ,,უფლიში მიშლადეღს“. დიდ მარხვაში კვირაობით სჭამენ ნათლიღებას მოტანილილ ნაკურთხი წყლით მოზელილ და გამომცხვარ ლავაშებს და ამით ,,იწმინდებიან“ ცოდვებისაგან სააღდგომოთ.

ახალკვირას იწყება ქეიფი და კარგი დროს ტარება. სვანეთში რამოდენიმე მოსახლე აგროვებს შემოდგომაზე პურს (უფლიში გვიზ) და ამას თავს უყრიან იმ მოსახლისას, რომელიც არის გადამხდელი დღესასწაულებისა და ლხინისა. ხოლო თვით ეს მოსახლე ასუქებს ხარს, რომელსაც ჰქვია ,,ლევფალიშ“-ი (საუფლისო). მას ახალკვირას დილას კლავენ მის სახლში და რამოდენიმე კვირას დროს ლხინში და მხიარულებაში ატარებენ. ასეთი განსხვავება ნამდვილ აღდგომისა და ახალკვირის შორის, სვანების აზრით, მით აიხსნება, რომ მარტო იმ დღეს დარწმუნდა ურწმუნო თომა და მასთან ხალხიც ქრისტეს აღდგომაშიო.

სვანების შეხედულებით ღვთაებაში წმ. გიორგის თითქმის პირველი ადგილი უჭირავს და ამიტომ, როცა განსაცდელში ჩავარდებიან, პირველათ მას ახსენებენ. გიორგობას სვანები ,,ლიგერგის“ ეძახიან. ამ დღეს მრავალი მსხვერპლი იკვლება ყველგან მის ეკლესიის გალავანში და ამ სამსხვერპლო პირუტყვს ,,გერგაის“ ეძახიან.

მისი სახელობის ყველა ეკლესიებში უფრო მძლავრია სუფის წმ. გიორგის ეკლესია ფარის საზოგადოებაში სოფ. სუფშია. ის არის ქვიდან გაკეთებული და ამიტომ ამ სოფელში ქვის სახლის აშენებას ვერავინ ბედავს, რათა წმ. გიორგის არ აწყენინონ და მთელი სოფელი ხის სახლებისაგან შესდგება და მით განირჩევა ყველა სვანეურ სოფლებისაგან. გიორგობა დილას ამ ეკლესიაში მოსახლის თავზე ყველას მიაქვს ხის შუბები. მათი თქმით აღდგომა დილას წმ. გიორგი ამ შუბებს ისვრის ზოგს სამხრეთისაკენ, ზოგს აღმოსავლეთისაკენ. აღმოსავლეთისაკენ გასროლილი შუბები იმის მომასწავებელია, რომ რამდენი შუბის მონარტყამიც ტრაპეზის კედელს დააჩნდება, იმდენი დადეშქელიანების გვარეულობიდგან უნდა მოკვდეს, ხოლო სამხრეთისაკენ გასროლილი შუბების რიცხვი არის იმის ნიშანი, რომ რამდენი შუბიც იქითკენ არის

გასროლილი, იმდენი ფარის საზოგადოების მცხოვრები გლეხი უნდა მოკვდესო. მამა ღმერთის, ძე ღმერთის და წმინდა გიორგის შემდეგ პირველი ადგილი უჭირავს უშგულის ღვთისმშობლის ეკლესიას. ამ ეკლესიაში მრავალი ძვირფასი ხატ-ჯვარი და საეკლესიო ქონება არის შენახული. ყოველწლიურად მას უშგულელები მრავალ ხარს და სხვა მსხვერპლს სწირავენ.

სვანეთის ყველა საეკლესიო დღესასწაულებიდგან განსხვავება თავისი ორიგინალობით ჟაბეშის ღვთისმშობლის დღესასწაული (აღბა ლაღრალ), რომელსაც აქვს ადგილი ყველიერის აღების კვირას.

ყველიერის ხუთშაბათს საზოგადოთ, თითქმის მთელს სვანეთში და კერძოთ ს. ჟაბეშში თოვლისაგან აშენებენ ციხეს, რომელსაც შუაში ჩაატანენ მაღალ ხეს. ამ ხის წვერზე ჟაბეშში ჩამოაცობენ ძველ კალათს, ორ ხის ლეკურს (დაშნარ) და ხისგან გაკეთებულ კაცის ასოს.

შაბათს მუჟალ-ჟაბეშის ყმაწვილები ერთად თავს იყრიან, ირჩევენ ზემოხსენებულ დღესასწაულის მომწესრიგებელ პირებს. ეს კაცები თავიანთ შორის ირჩევენ ორ მეთაურს: ,,ყაინს“ და ,,საქმისაჲ“-ს.

საქმისაჲს ეძელვა ექვსი მხლებელი ,,მოახარ“ (მოახლეები), ყაენს ორი ქალი ,,დედფალარ“ (დედოფლები). კვირა დილას ყველა ესენი თავს იყრიან საქმისაჲს სახლში. იქიდგან მიდიან ყველა მოსახლეებში, ვისაც უნდა, რომ მათ თავი დაალოცვინოს. მათ ყველა არაყით უმასპინძლდება და საჩუქრებათ აძლევენ გაცვეთილ ცოცხებს (ლანგვარ) [109]).

შემდეგ შედიან ერთს ოჯახში. აქ ,,საქმისაჲს“ აცმევენ გლახის ძონძებს, პირისახეს ნახშირით უმუშავებენ და უთითხნიან, თავზედ ქუდის მაგივრათ თხის ტყავის გუდას ახურავენ, ზურგზედ მას აჰკიდებენ ხოლმე ჭინჭებს და სხვა ასეთ ძველ საგნებს. მის სარტყელს ამძიმებს ხისგან გაკეთებული ადამიანის ასო. ამნაირად აწყობენ ყაენსაც, ხოლო მათ მხლებლებს ეძლევათ ხელში მუხის შუბები. საქმისაჲ თავის მხლებლებით ჩამოუვლის ხოლმე ხალხს, თვითონ ურტყამს ცოცხებით, ხოლო მისი მხლებლები ხის სადგისებით უხევენ ტანისამოსებს, ვინც ხელში ჩაუვარდებათ. ამასობაში ყაენს ციხის მახლობლათ დაუგებენ ქეჩებს. ის წამოწვება, დედოფლებს მიიწვენს, ეარშიყება, ეღლაბუცება, კოცნის, ზევიდგან

აჯდება. ამ დროს საქმისაჲს მიართმევენ დიდ ხაჭაპურს და ყველს. ის პირს ღვთისმშობლის ეკლესიისაკენ იზამს, ყველს პირში იდებს, და იძახის: ,,ფუჲ ლამარჲა“-ს და თან აფურთხებს მისკენ. ციხის ძირში არშიყობისაგან დაქანცულ ყაენს მიეძინება. ამ დროს მას მიეპარება საქმისაჲ, რომელიც მოჰპარავს დედოფლებს. ყაენი რომ გამოიღვიძებს, ბრაზმორეული ეძებს დედოფლებს. მათ მოპარვაში ეჭვი საქმისაჲზე შეაქვს და ამიტომაც ყაენი ეკვეთება მას. იმართება მათ შორის ბრძოლა და როცა დაიქანცებიან ჭიდაობისაგან, მერმე შორდებიან ერთმანეთს. ამის შემდეგ იმართება ცეკვა, თამაში და ფერხული სიმღერები. მზის ჩასვლისას ანგრევენ ციხეს და იტაცებენ ხოლმე ხეზედ მიბმულ ზემოხსენებულ საგნებს. ციხის დარღვევის დროს ხე საითკენაც გადაიხრება, ეს იმის ნიშანია, რომ იმ სოფელს კარგი მოსავალი მოუვა.

სვანი რომ მძიმე ავად გახდება, მას თავს მოავლებენ: ხარს, ვერძს, ანუ ვაცს; ასეთს ცხვარს ქვია ,,გოცა“.

როგორც ვიცით, მცხეთაში არმაზის მთაზე ძველ დროში ესვენათ კერპი არმაზი (ღმერთთა ღმერთი), რომელიც შემოიტანა მცხეთაში ქართლის მეფემ არანისძემ აზომსარკინეს ქალაქის აღების შემდეგ. ეს აზო ალექსანდრე მაკედონელმა 324 წ. მცხეთას დასვა მეფეთ. ამ კერპს მარჯვნით უჯდა ოქროს კერპი **,,გაიმი“**, მარცხნით ვერცხლის კერპი **,,გაცი“** [110]). ეს ,,გაცი“ იყო ღმერთი გამანაყოფიერებელი, ხოლო ,,გაიმი“ ნაყოფის მიმცემი ანუ მიწის ღმერთი. ეჭვს გარეშეა, რომ სვანური მიწის სახელი ,,გიმი“ და აგრეთვე ხის სახელი მე-გამი ამ კერპების სახელისაგან არის წარმომდგარი. ამავე აზრს გამოთქვამს მ. ჯანაშვილიც.

სამსხვერპლო ვერძის სახელი ,,გოცა“ უნდა უდრიდეს ზემოხსენებულ კერპის ,,გაც“-ის, ვინაიდგან მის საპატივცემლოდ შეწირულ ცხვარს უნდა დარქმევოდა ,,გოცა“ ანუ გაცი, ისე როგორც წმ. ბარბალეს სამსხვერპლოს ,,ბარბლაი“, მაცხოვრის სამსხვერპლოს ,,მაცხვარაი“ და სხვ.

107) ივ. მარგიანი. ,,შინაური საქმ“. 1911 წ. №№ 21-31.

108) ნათლისღებას თვითეულ მოსახლეს მოაქვს ეკლესიიდგან ჯვრის ნაბანი წყალი. ამითი მოზელავენ ნაცარს, აცხობენ კოკორებს, ახმობენ და ინახავენ მთელი წლის განმავლობაში ზემოხსენებულ მიზნისათვის.

109) ეს ცოცხები არიან გაკეთებული არყის ხის ტოტებიდგან.

110) თ. ჟორდანია. ქრონიკები და სხვა მასალები საქ. ისტორიისა. გვ. 12. შატბერდის კრებული № 2. ჯანაშვილი. ვახუშტი და მისი შრომა. გვ. ჟდ.

ჰეერია (კუდიანი)

სვანეთში შენახულია სიტყვა ჰეერია, რომელიც ნიშნავს კუდიანს, გულთმისანს, ბოროტსა და ავსულს. სვანების რწმენით ის ადამიანის გულში იხედება და არაფერი საიდუმლოება არ დაემალება. მას შეუძლია ადამიანის მავნებლობა, ის მტერია ლამაზი ქალისა და კაცისა, და აგრეთვე ოთხფეხი საქონლისა. მის საწინააღმდეგოთ თავს შველიან ოსეთში, თათრების მიერ გაკეთებულ რაღაც ნალოც ტყავში გამოხვეულ ქაღალდით, რომელსაც ეძახიან ,,დუა"-ს. ადამიანები ამას გულზედ ატარებენ, ხოლო საქონელს დაჰკიდებენ ხოლმე კისერზე და მის საწინააღმდეოთ არსებობს აგრეთვე შელოცვა და მსხვერპლთ შეწირვა.

ტყის კაცი ანუ დევი ,,ცხეკი დაავ"

სვანებს სწამთ დევის ანუ ტყის კაცის არსებობა. მათი წარმოდგენით ის არის უზარმაზარი ტანის ცალ-თვალიანი, ბალნიანი და კაცის მსგავსი არსება. დღის სინათლეში ის არ ჩნდება. უდაბურ ტყეებში და ღრეებში ბინადრობს, ღამე ის სოფლათაც დაიარება. გადმოცემით ის მონადირეებს ხშირად უნახავთ და როცა მოუკლავთ, ქაფათ ქცეულა. მდევი თუ კაცს დალოცავს, ის ბედნიერია, თუ დასწყევლის-უბედურია. ამიტომ სვანები, როცა ერთმანეთს დაწყევლიან, ხშირად გაიგონებ ხოლმე: ,,დავდ აჯჭათვნე" (მდევმა დაქგწყევლოს), თუ დალოცავს: ,,დავდ აჯმაზრე" (დევმა დაგლოცოსო)... და სხვ.

მის საპატივცემლოთ და გულის მოსაგებად ზოგან სხვერპლის შეწირვასაც აქვს ადგილი, მაგრამ ამას საზოგადოებრივი ხასიათი არ აქვს.

გადმოცემით ეს მდევი ერთ დროს უშგულის მღვთისმშობელს გადაემტერა, შეებრძოლა, და რომ ის დაეხრჩო,

უშგულის დასავლეთით ერთ ვიწრო კლდოვან ენგურის ხეობაში ააშენა მაგარი კედლები, რომლებსაც დღემდის სვანები ,,დავა ნალგემაალვს“ ეძახიან (დევის ნაშენები). ამ კედლებით მას უნდოდა დაეგუბებინა ენგურის წყალი იმ სიმაღლემდე, რომ უშგულის ღვთისმშობლის ეკლესია მასში გამოეხრჩო. განსაცდელში ჩავარდნილმა ღვთისმშობელმა მიმართა კალის წმ. კვირიკეს და სთხოვა მიშველება. ამის შემდეგ უშგულის ღვთისმშობელმა აღმოსავლეთიდგან და კალის წმ. კვირიკემ დასავლეთიდან გამოუშვეს ოქროს რქიანი ვერძები, რომლებიც ეძგერენ რქებით დევის მიერ ღვთისმშობლის დასახრჩობად აგებულ კედლებს, დაანგრიეს ისინი, დაგუბებული წყალი გაუშვეს თავისი გზით, ხოლო უშგულის ღვთისმშობელი იხსნეს დახრჩობისაგან.

დევი ამ დროს იმყოფებოდა სადღაც, იფარის საზოგადოების ტყეებში, სადაც თავის კედლების გასამაგრებლად დიდ ქვებს ეძებდა. მას უნახავს ეს ქვები და იფარიდგან მთებით უშგულისაკენ მიჰქონდა. ამ დროს მას გზაზედ ეცნობა ამ ღვთისმშობლის დასახრჩობათ აგებულ კედლების დანგრევა, საშინლად შესწუხდა, აღრიალდა და გაჯავრებულმა ქვები ერთი ჩრდილოეთისკანე გადაისროლა, მეორე სამხრეთისაკენ. სამხრეთისკენ გასროლილი ვეებერთელა ქვა შეჩერდა ,,ლაშნაში“, ენგურის წყლის მარჯვენა ნაპირზე. მასზედ შემდეგში იქნა აგებული ქვუტკირის ციხე, რომელიც დღემდის შენახულა. ჩრდილოეთისაკენ გასროლილი ქვა შეჩერებულა ,,ელბეშში“. ჯანაშვილის ცნობებით აფხაზეთის ჭეშმარიტი ღმერთი იყო ,,ადაუ“, რომელიც უდრის სვანურ ,,დავს“, მეგრულ ,,ნდის“ და ქართულ ,,დევს“. უწინდელ დროში ის იყო ის იყო ინდოეთში და ბევრგან სხვაგან სინათლისა და ბრწყინვალების ღმერთი. იგი იყო ლათინთა ,,დეუს“, ბერენთა ,,თეოს“, რომელიც შემდგეში იქცა ბოროტ სულათ ან, როგორც ჩვენში იციან, ბაყბაყ დევათ [111]).

111) ჯანაშვილი. ვახუშტი და მისი შრომა. გვ. პე და რა.

შაშშარ (ჭინკები)

სვანებს სწამთ, რომ აქ გიორგობის თვეში ჩნდებიან ჭინკები. დღით ისინი არიან დამალული, ღამე დადიან, მაგრამ ისეთი პატარა აგებულების არიან, რომ ადამიანს მათი დანახვა არ შეუძლია. ჭინკებს შეუძლიანთ კაცის იმდენათ გაბრუება, რომ გზა და კვალი დაუბნიონ... ისინი ლაპარაკობენ ადამიანის ხმითა და ენით, ამიტომ სვანები ცალკე სიარულს ამ თვეში ღამით ერიდებიან. მაკე ცხენის ხედნა და გარეთ დატოვება ამ ჭინკობის თვეში შეუძლებელია, რადგანაც ჭინკებს შეუძლიათ მუცელი მოუშალონ. ჭინკებისაგან ცხენის დასაცავად სვანები აკეთებენ კანაფის წვრილ ბაწარს, მიაქვთ მლოცავ ქალთან და შემდეგ ამ ნალოც ბაწარს გამოაბამენ ხოლმე ცხენს კუდის ძირში [112]).

112) ,,შაშშარ“ ქართული სიტყვა საშიშარისაგან უნდა იყოს წარმოშობილი.

ლახვაარ [113]

სვანებს სწამთ ,,ლახვაარის“ არსებობა. ისინი ღრმათ არიან დარწმუნებული იმაში, რომ ამ ლახვაარს შეუძლია მისი პატრონის მეზობლებსა და სოფლელებს წაართვას ბარაქა და აქციოს ის თავისი პატრონის სასარგებლოთ ანუ გასამდიდრებლათ.

სვანების წარმოდგენით ის არის სამნაირი: ერთი წარმოადგენს ბრინჯაოსაგან გაკეთებულ ბაყაყის ქანდაკებას, მეორე თითბრისაგან გაკეთებულ ცხენის ქანდაკებას და მესამეც ამავე საგნებისაგან ჩამოსხმულ ცხვრის ქანდაკებას. თვალებიდგან ისინი ცეცხლს აფრქვევენ, პირში მუდამ რკინა უნდა ქონდესთ საღეჭათ, რადგანაც სხვაფრივ მათი დაწყნარება არ ხერხდება.

ლახვაარის არსებობა რომელიმე სვანის ოჯახში ყოველგვარი საიდუმლოებით უნდა იყოს დაცული. პურის გალეწვისა და განიავების დროს პატრონმა თუ თავის ლახვაარს სხვის კალოსკენ უქნა პირი, მას შეუძლია, პურის პატრონის შეუჩნევლათ, ეს პური მას წაართვას, ბარაქა მის კალოს დაუკარგოს, თავისი პატრონისაკენ გაზიდოს და ბეღელში ჩაუყაროს. ამიტომ პურის გალეწვის დროს რკინის რეკვით და ჭინჭრით კალოს სამჯერ

გარს შემოუვლიან, ხოლო პურის განიავების დროს ლახვაარისაგან პურის დასაცავათ მუდამ რკინა უდევსთ ამ გასანიავებელ პურში, ზოგგან ცხენის თავის ძვლებს ჩამოკიდებენ ხოლმე მის მახლობლათ და ხშირათ ლახვაარის შესაშინებლათ თოფსაც გაისვრიან ხოლმე. როცა პურს გარეცხვის შემდეგ გასაშრობათ აივანზე გაიტანენ, იქაც პურში აუცილებლათ რკინა უნდა იყოს ჩადებული და თუ პურის პატრონმა შეამჩნია, რომ მისი პური ამ გაშრობის დროს თვალსაჩინოდ იკლებს, ამას ,,ლახვაარს“ აწერენ, გამოიტანებენ ხოლმე თოფს, ტუჩს იმ მოსახლისაკენ უზამენ, სადაც ,,ლახვაარი“ ეგულებათ და ისვრიან მისი დამღუპველი ლახვაარის შესაშინებლათ და თავის პურის დასაცავათ.

თუ რომელიმე სოფელში ერთი ან ორი მოსახლე პურით სხვებზე მდიდარია, ხალხს მათზე შეაქვს ეჭვი ამ ლახვაარის შენახვაში და მათ საწინააღმდეგოთ ამუშავებაში და ამიტომ ასეთ მოსახლეებს ხშირათ ცუდ მდგომარეობაში ჩააყენებენ ხოლმე, ვიდრე ისინი ეკლესიაზე არ წაყვებიან, თავის ნათესავებს ფიცში არ ჩაიყოლებენ და არ დაიფიცებენ, რომ მათ ლახვაარი არ აქვთ და თავის სოფლელებისთვის მის საშუალებით არავითარი ზარალი და მავნებლობა არ მიუყენებიათ.

113) ,,ლახვაარ“ სვანურ სიტყვა ლაქვნარ-ისაგან უნდა იქნეს წარმოშობილი, რაიცა ნიშნავს დამღუპველს.

მნათობთა თაყვანისმცემლობა

ძველ დროში ქართველებს შორის ღრმად ჰქონდა გამდგარი ფესვები მნათობთა თაყვანისმცემლობას. მათ სახელზე ბევრგან ტაძრები იყო აგებული, ხოლო მათ საპატივცემლოდ ადამიანების მსხვერპლად შეწირვა იყო გავრცელებული. სამსხვერპლო პირს ისინი ერთი წლით ასუქებდნენ და შემდეგ მთვარის ტაძარში კლავდნენ. მეფე რევ მართალმა (186-190 წ. ქრ. დაბ. წინ) ეს წესი აუკრძალა თავის ქვეშევრდომთ და მის შემდეგ ადამიანების მსხვერპლად შეწირვა შეიცვალა პირუტყვების მსხვერპლად შეწირვით, რომელიც ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ღვთის თაყვანისმცემლობაზე გადავიდა [114]).

მთვარის პატივსაცემლად ძველ დროში ორშაბათი იყო განკუთვნილი და ეს დღე მთვარის დღეთ ითვლებოდა.

სვანურად ორშაბათს ქვია ,,დოშდიშ"-ი. დოშდული სვან. მთვარის სახელია; ხოლო მისგან წარმომდგარი ორშაბათის სახელი დოშდიში მთვარის დღეს ნიშნავს. ზაფხულობით სვანები ორშაბათს აქამდე უქმობენ და არაფერს მუშაობას როგორც კაცები, აგრეთვე ქალებიც არ აწარმოებენ. ამას უძახიან ,,ლიდშდუშის" (მთვარისათვის), ე. ი. მთვარის პატივსაცემათ. გარდა ამისა ორშაბათობით ოჯახებიდგან არაფრის გაცემა არ შეუძლიანთ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ახალი მთვარეა, რათა ბარაქა არ გაყვეს გაცემულ ნივთს.

ახალ მთვარის დანახვაზე სვანები პირჯვარს იწერენ, ლოცულობენ, პირში რკინას იდებენ და სთხოვენ მთვარეს, რომ რკინის სიმაგრე მისცეს. ახალგაზრდები ზევით ხტებიან და მთვარეს ეხვეწებიან, რათა ნახტომის სიმაღლემდე ისინი აღამაღლოს ანუ გაზარდოს. მთვარის ნახვის შემდეგ სანამდე რაიმე ხევსს (საჭმელს) არ დაადგამენ კბილს, სახლში შესვლას და ცეცხლის ნახვას ერიდებიან.

როგორც ვიცით, მსხვერპლის შეწირვის გარდა ძველად ქართველები მთვარეს ცეცხლის ანთებითაც სცემდენ პატივს და ამის ნაშთებათ უნდა ჩაითვალოს სვანეთში დღემდე შენახული ,,ლამპრობ", (ლამპრობა), ,,დეცე ლამპრობ" (ცის ლამპრობა) და ,,სვიმნიშ"-ი – სვიმონობა და ,,ლიჰრი".

ლამპრობა ქართველი ხალხის ძველი ჩვეულებაა [115]). სვანეთში ლამპრობა ხდება ზამთარში მეზვერისა და ფარისევლის კვირაში.

შემოდგომაზე სვანებს მოაქვთ ტყიდან არყის ხეები, 5 იანვარს ამ ხეებისაგან აკეთებენ იმდენ დიდ ,,ჟინჟღილს" ანუ ლამპარს, რამდენიც ოჯახში მამობრივი სქესის წევრია და აგრეთვე პატარა წვრილ ლამპრებსაც.

ლამპრობის დღეს – ,,ლიმპარი ლადეღ" – ამ ჟინჟღილებით ანუ და ლამპრებით მიდიან ყველანი ადგილობრივ ეკლესიაში, ჟინჟღილებს ერთად აწყობენ ეკლესიის გალავანში და მისგან დიდი ცეცხლი ინთება. ამის შემდეგ იმავე დღეს სამსხვერპლოთ გაკლულ ერთი წლის წინ ნასუქი ხარის (უსხვაჲს) ან ცხვრის და ვაცის გულღვიძლს და თავ არაყს შესწირავენ ხოლმე ღმერთს და ჭამენ

იქვე. ჭამას და სმას რომ გაათავებენ, შემდეგ იწყებენ ღვთის საგალობელს ,,კვირიას“ საღამოს თავიანთ სახლებში ბრუნდებიან და სამი დღის განმავლობაში რამოდენიმე მოსახლე ერთ წელიწადს ერთთან, მეორეს მეორესთან – ერთად თავმოყრილი ლხინში და ქეიფში ატარებენ. ამ დღესასწაულებს უძახიან ,,ლიმპარიელ“–ს (ლამპრობას).

სვიმნიშ (სვიმონობა). ორ თებერვალს სვანეთში ეძახიან ,,სვიმნიშ“-ს. ამ დღეს მზის ჩასვლისას მოსახლიდან თითო კაცი არყის ხის ჟინჟღლებით დატვირთულნი ზედაშითა და ,,ლესკარ“-ით (შესაწირავი დიდი პური) მიდიან ადგილობრივ ეკლესიაში. ჟინჟღილებს ანთებენ ერთდროულად, პურსა და არაყს ღმერთს სწირავენ, მერე თვითონ მიირთმევენ, შემდეგ იმღერიან ,,დიდება თარგლეზერი“-ს (დიდება მთავარ ანგელოზს). მერე გადასწყვეტენ, თუ რომელ ოჯახში მოიყარონ თავი დროს გასატარებლად. ნავახშმევს მიდიან ყველანი: ბავშვი, ქალი და კაცი ამ ოჯახში. გათენებამდე დროს არაყის სმაში, ცეკვა-თამაშში, ფერხულში, სიმღერებში და ხუმრობაში ატარებენ. ამ დღიდგან დაწყებული სამი დღის განმავლობაში ყოველ ოჯახიდგან მიაქვთ თითო დანთებული ჟინჟღლი ეკლესიაში და თითოც მიცვალებულთა საფლავებზე. იმავე 2 თებერვალს აცხობენ სამ-სამ ლემზირს (შესაწირავი პური) თვითეულ ოჯახის წევრის თავზე. ოჯახის უფროსს ესენი თითო ლამპრით ეზოში გააქვს და ეხვეწება ,,სვიმ დეციშ“-ს (სვიმონა ცისას), რომ თვალების ავადმყოფობა ააშოროს მათ.

მესამე დღეს კი სვანები ,,დეცე ლამპრობს“ ეძახიან (ცის ლამპრობა). ,,დეც“ სვანურად ცასა ჰქვიან, დეცე ლამპრობ – ცის ლამპრობს. საღამოს თვითეული ოსახლე აკეთებს არყის ხის დიდ კონას – ,,დეცე ლამპარს“, რომელსაც ჩამოაცობენ ხოლმე გრძელ ჯოხზე, აიტანენ სახლის სახურავზე და აუნთებენ ცას. ამის შემდეგ მიაქვთ ეზოში ,,თხერემი ლამპარ“ (მგლის ლამპარი), რათა ამ პატივისცემისათვის მგელმა მათ საქონელს არ ავნოს.

,,ცააშ“. ხუთშაბათს სვანურად ქვია ,,ცააშ“-ი, ე. ი. ცის დღე. სვანები ამ დღესაც ოჯახიდგან, როგორც ორშაბათს, არაფერს გასცემენ ხოლმე, რათა გაცემულ ნივთს ბარაქა არ გაჰყვეს.

საბა-სულხან ორბელიანის ცნობებით ქართულ შვიდეულში ხუთშაბათი აფროდიტესთვის იყო განკუთვნილი. ივ. ჯავახიშვილის თქმით მის სახელზე ცაიშში იო ტაძარი აგებული [116]).

,,ვებიშ“. პარასკევს სვანურად ,,ვებიშ“ ქვიან, ე. ი. ვობის დღე. ძველ დროში ცა-ღრუბლის, სეტყვა-მეხისა და დარავდრის ღმერთს ვობი ერქვა. მის პატივსაცემად განკუთვნილი იყო პარასკევი და ამიტომაც ამ დღეს სვანურად ვებიში დარქმევია. ამ დღეს სვანები ხვნა-თესვას და საზოგადოთ მიწის დამუშავებას და სხვა მუშაობასაც ერიდებიან. თუ გლახა ქარიშხალი ამოვარდა ან კოხი მოვიდა და ქარ-ბუქი ასტყდა, ამას სვანები პარასკევის მუშაობას აწერენ. ამიტომ ყანების დამუშავებას და დათესვას რომ გაათავებენ, მთელი სოფელი თავს იყრის ადგილობრივ ეკლესიაზე და ფიცს სდებს, რომ პარასკეობით არ იმუშაონ, ხოლო თუ მიუხედავად ამისა კიდევ ვინმე მუშაობას განაგრძობს – იმას ახდევინებენ ჯარიმას 1-3 მანეთამდე.

,,მიშლადეღ“. კვირას სვანურად ქვიან მიშლადეღ-ი. **მიჟი** ნიშნავს **მზეს, ლადეღი** – დღეს. ხოლო მიჟლადეღი ერთად, რომ გადავთარგმნოთ – მზის დღეს.

ლეონტი მროველისა და სტრაბონის ცნობებით ქართველები ძველ დროში თაყვანსა სცემდნენ აგრეთვე მზესაც და ამიტომაც ამ დღეს სვანურად დარქმევია ,,მიჟლადეღ“–ი, მზის პატივსაცემად განკუთვნილი დღე.

ხშირად სვანები ამჟამად ფიცულობენ მზეს და ამბობენ ხოლმე: ,,მგჟაშია ყერღო“ – მზის მადლმა. დილას მზის ამოსვლისას მის ნახვაზე იტყვიან: ,,ჰო დიდაბ აჯჯად“ (ჰო, დიდება მოგივიდეს).

,,ბალი“. თავისუფალ სვანეთისა და სადადეშქელიანო სვანეთის საზღვარზე მდებარე მთას ქვია ,,ბალ“-ი, რომელსაც შეიძლება რაიმე კავშირი ჰქონდეს ასურული კერპის ,,ბაალის“ სახელთან. ამ ადგილას ეხლა ასვენია ქვის ჯვარი. ცნობილია, რომ კერპების საყუდრების ადგილას ქრისტიანობის შემოღების შემდეგ აშენებდენ ქრისტიანულ ტაძრებს და ზოგგან ჯვრებს აღმართავდენ ხოლმე.

მულახის საზოგადოებაში სოფელ ზარდლაშის დასავლეთით მდებარეობს საეკლესიო ტყე, რომელსაც უწოდებენ სახელად ,,ხვალმი“-ს. ამ ტყის მოჭრის უფლება არავის არა აქვს. მის განაპირა გზის ახლოს ამოსულ ნაძვს სვანები თაყვანსა ცემენ, მასზედ პირჯვარს იწერენ და რაიმე საჩუქარს უტოვებენ [117]). ასეთი სალოცავი ხეები სხვაგანაც მოიპოვებიან სვანეთში.

ნ. მარის თქმით, ქართველები ერთ დროს დიდ ხეებსაც სცემდნენ თაყვანს. ბროსეს თქმით, ეს გაგრძელდა, სანამ იუსტინიანე მეფემ ლაზიკაში ხალხს ქრისტიანობა არ მიაღებინა [118]). სვანეთში ხეების თაყვანისმცემლობა უნდა შეადგენდეს ქართველების იმ დროის ხეების თაყვანისმცემლობის ნაშთს.

114) ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. გვ. 113, 118, 119, 121; ს. გორგაძე. საქართველოს ისტორია. გვ. 79.

115) ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, გვ. 116.

116) ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. გვ. 130-131.

117) ჩემის აზრით ეს ტყე შეწირული უნდა იყოს ლეჩხუმში ხომლის მთაზე არსებულ წმინდა გიორგის ეკლესიისთვის.

118) მ. ბროსე. საქართველოს ისტორია. წიგნი 2. გვ. 161.

შურისძიების საშინელებანი სვანეთში

ძველ დროში გვარეულობაში რომელიმე ოჯახის წევრის მოკვლა ქართველებს სათემ–ტომო შეურაცხყოფად მიაჩნდათ და ამიტომაც მთელი გვარეულობის მოვალეობას შეადგენდა სისხლის აღება ამ სათემო სირცხვილისა და შეურაცხყოფის წარსახოცავად.

სვანეთში ეს ჩვეულება დღემდე მტკიცედ არის დაცული, დიდი უბედურება შეაქვს მას ცხოვრებაში და ასეული წლობით გრძელდება შურისძიების ნიადაგზე სისხლის ღვრა მხარეთა შორის. სვანს რომ ვინმე მოკლავს, ეს მთელი თემის შეურაცხყოფად ითვლება და სანამდე ამ სირცხვილს არ წარხოცავენ, მანამდე ისინი ვინმესთან ხმამაღლა დალაპარაკებას ძალიან ერიდებიან, რადგან თუ ვინმესთან წალაპარაკება მოუხდათ, ხელად შეაგინებენ: ,,შე სისხლის აუღებლის შვილოო“ (გვარის ეს საყვედური ყველაზე ვრცელდება – ძმაზე, ბიძაშვილზე, დაზე და სხვ.).

როცა მოკლულს მიწას მიაბარებენ, მის საფლავზე, ვისთვისაც სისხლის აღება უფრო სავალდებულოა, ის გაისვრის ხოლმე თოფს და მით ფიცსა სდებს განსვენებულის წინაშე მიწის მიბარების ჟამს, რომ სისხლს აიღებენ. ხოლო როცა ისისხლებენ, – ხშირად გაეშურებიან მოკლულთა საფლავზე, ჯოხს ჩაარჭობენ ხოლმე საფლავში და ჩასძახებენ ,,გისისხლეო“. ამის შემდეგ მთელი გვარეულობა და ნათესაობა იყრის თავს ერთად და დიდ ზეიმს

იხდიან. მკვლელი დიდ პატივისცემას იხვეჭს ხალხის თვალში და ამის შემდეგ ყველას ამაყად შეუძლია ხალხში გამოსვლა, ხმამაღლა ლაპარაკი და სხვ. ყოფილა ისეთი მაგალითები, რომ მამას შვილი დედის მუცელში დარჩენია. ის დაიბადა, გაიზარდა და 22 წლის რომ შეიქნა, მამის სისხლი აიღო და მისი მკვლელი მოკლა. ხოლო თუ შვილმა ან ძმამ ვერ ისისხლა, მერე შურისძიება გადადის შვილის-შვილზე და ამნაირად მთელი საუკუნეებით გრძელდება ასეთი უბედურება სვანეთში. შურისძიების ფანატიკოსობა იმ ზომამდე გაღრმავებულა სვანეთში, რომ მე თვითონ ვიყავი მოწმე, როცა ერთი სვანი სასიკვდილოდ დასდევდა მეორე სვანს იმისათვის, რომ 40 წლის წინეთ ამ სვანის მამის ჯორს მოურტყმევია წიხლი თეძოში მის ბაბუისათვის. მეორე სვანი აცხადებდა მთავრობასთან: ,,მთაზე რომ ცხენს ვიჭერდი, მეზობლის ცხენმა წიხლი ჩამკრა ფერდში და მატკინა. გთხოვთ ცხენის პატრონი გამირიგდესო“. სვანის ძაღლი რომ ვინმეს უკბენს ეს ხომ სულ ხშირად გადაქცეულა შურისძიების საგნად, ძაღლებიდგან ადამიანებზე გადასულა ,,კბენაობა“ და სისხლის ღვრა მოყოლია. ხარმა რომ ვინმეს ხარს ურქინოს – რქა მოსტეხოს ან მთაზე გადააგდოს, ხშირად ხარის პატრონი აგებს პასუხს. ზოგიერთ შემთხვევაში სვანეთში მოკლულის ჭირისუფალნი ურიგდებიან მკვლელს და მის ნათესაობას. ისინი ირჩევენ 12-20 მედიატორეს, მიჰყავთ ეკლესიაში და აფიცებენ, რომ არც ერთ მხარეს არ მიუდგენ და თავად რომ თვითეულს მათგანს ასეთი საქმე სჭირდებათ, რითაც თავის დაკმაყოფილებას ისურვებენ, ისეთი განაჩენით დააკმაყოფილონ მხარეებიც. შემდეგ მედიატორეები შედიან ჯერ მოკლულის, მერე მკვლელის ოჯახში და ირკვევენ, თუ რა პირობებში მოხდა მკვლელობა. არჩევენ საქმეს და ადგენენ თავის განაჩენს. დადგენილების გამოცხადებამდე მიჰყავთ ორივე მხარე ეკლესიაში და აფიცებენ, რომ მედიატორული განჩინება მხარეებმა პირნათლად შეასრულონ და შემდეგ გამოუცხადებენ განაჩენს. მედიატორეები, რათმა უნდა, უსჯიან მოკლულის ჭირისუფალს დაწესებულ ,,წორს“ (სისხლის ფასი) სახნავი ადგილებით სამ დღიურამდე, სათიბებით და ოთხფეხა საქონლით. გლეხის წორი არის 3.000 მანეთი, აზნაურის 6.000 მანეთი [119]). ამ ანგარიშს რომ გაასწორებენ და მკვლელი გაისტუმრებს, ვისაც რა ერგება, იმის მიცემით, ის მიიპატიჟებს სახლში მოკლულის ჭირისუფლებს, მედიატორეების თანხლებით

უწყობს ვახშამს. დაჩოქილი მიდის მათთან და სთხოვს პატიებას, ასაჩუქრებს ხარებისა, ძროხებისა და სხვა განძეულობების მიცემით. მერე ერთგულობას იფიცებენ წმინდა კვირიკეს ანუ სხვა ეკლესიაზე. კანონიერი სასჯელი დამნაშავეს ვერ ანთავისუფლებს სვანურ კანონებით დასჯისაგან და ხშირად ყოფილა ისეთი მაგალითები, როცა მკვლელი სასამართლოს დადგენილებით კატორღაში გაგზავნილა, სასჯელი მოუხდია, ხოლო როცა უკან დაბრუნებულა სვანეთში, ამას ვერ უხსნია წორის გადახდისაგან ან მოკვლისაგან.

ძველად სვანს რომ თავისი ნათესავი შემოაკვდებოდა, სამ პატარა ქვას გამოაბამდა ხოლმე იღლიაში და სამი წლის განმავლობაში ატარებდა ცოდვების მოსანანიებლად.

119) ამ ჟამად გლეხი და აზნაური ამ საქმეში გათანასწორდნენ.

შანთობა სვანეთში

როცა ნამდვილი მკვლელი ან რაიმე სხვა ბოროტების ჩამდენი გამორკვეული არ იყო ძველად, ერთ დროს საეჭვო პირი უნდა წასულიყო ლეჩხუმში, სადაც სოფელ გენდუშში შანთობის საშუალებით თავი უნდა ემართლებინა. მარჯვენა ხელის გულზე ბრალდებულს უნდა დაეფარა თხელი ქაღალდი, მერე მასზედ ზევიდან დაადებდნენ გახურებულ შანთს. სამი ნაბიჯის გადადგმაში მას თუ ხელის გულის კანი არ ამოეწვოდა, უდანაშაულოდ ჩაითვლებოდა და გამართლებული იყო, ხოლო თუ მოსწვავდა – დამნაშავეთ. ეს ჩვეულებაც ძველ დროში ერთ ხანს საქართველოში იყო გავრცელებული და, რა თქმა უნდა, იქიდან იყო აქაც შემოტანილი. ვახუშტი მოგვითხრობს: ,,ხოლო წესნი სამართილისა და შერისხვისათვის აქუნდათ სისხლი, ჴრმალი, შანთი, მდუღარე და ფიცი. შანთი აქუნდათ გამართლებისათვის. გახურვიან შანთსა ვითარცა ნაკვერცხალს და დასხდვან მაღალთა ზედა, რათა მალიად შეედვას ჴელნი ქვეშე მისსა; და დასდვიან შენანებულსა ტილოს ანუ ქაღალდს ჴელთა ზედა. იგი მივიდის და აღიღის საჴნისი და წარდგის სამი ბიჯი და გარდაადის, მასვე წამს შეუხვივიან ჴელნი სამ დღემდე და სამისა დღისა გაუხსნიან და

უკეთუ დაუწვავარს – განმართლდის, უკეთუ დამწვარია – მტყუარ“ [120]).

ამ ბოლო დროს სვანეთში ეს წესი შეიცვალა წმინდა კვირიკეზე ანუ სხვა ეკლესიაზე დაფიცების საშუალებით თავის გამართლებით. ხშირად ასეთ შემთხვევებში მედიატორული წესით მორიგება ხდება, მაგრამ ბევრჯერ ამ გარიგებას დროებითი ხასიათი აქვს, რადგანაც ახალი შთამომავლობა რომ გაიზრდება – იხსენებს და იძიებს ხოლმე შურს.

120) ვახუშტი. საქართველოს გეოგრაფია. გვ. 9.

საიქიო ცხოვრება და მიცვალებულთა პატივისცემა

ძველად ქართველებს სწამდათ საიქიო ცხოვრება და ფიქრობდენ, რომ საიქიოსაც მიცვალებულთ ის მოთხოვნილებანი აქვთ, რაც სააქაოს აქვს ადამიანს. ვახუშტის ცნობით: ,,მკვდარსა დაფლვიდიან ყოვლითა შესამოსლითა და საჭურველითა და სამკაულითა თვისითა, ტიროდიან, საბნელოსა სხდიან, აღიპარსიან თავნი თვისნი, წვერ-ულვაშნი, წარბნი, წამწამნი... იცემდიან ვიდრე სისხლის დინებამდე; არა სჭამდიან ხორცსა და ცხოველსა წლამდე, გარნა მაშვინაც იძულებითა დიდითა შთაიცვიან ძაძა, ფლასნი და დაიბურვიან თავსა თხისურნი ჩაჩნი; გაჰყვიან საფლავამდე ძაძითა მოკრულითა... (ეს წესი მოშალა მეფემან გიორგიმ 1675-1695 წელს, როდესაც საქართველოში მოვიდა პატრიარქი დოსითეოს 1681 წ.).

სვანეთში ეს ჩვეულებაც იმ სახით არის დაცული, როგორც, ვახუშტის აღწერილობით, ძველ დროში საქართველოში არსებობდა.

სვანი რომ მოკვდება, ძაძებს იცვამენ, ქალები დიდ ხანს ფეხშიშველნი, თმა გაშლილნი, პირისახე დასისხლიანებული დადიან დიდად დამწუხრებულნი. ხშირად ერთი წლით ანუ რამოდენიმე თვით სახსნილოს არაფერს სჭამენ. კაცებიც ძაძებში გაეხვევიან, თეთრს არაფერს იცვამენ, წვერებს არ იპარსავენ, სარტყელს არ ირტყამენ, თავშიშველნი დადიან, თავსაც იპარსავენ და ამის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში ჩაჩს ატარებენ და სხვ. სვანები დღესაც დარწმუნებულნი არიან, რომ საიქიოსაც

მიცვალებულთ ჭამა და სმა უნდათ, ტანისამოსი, ცხენი, ხარი, ძროხა და სხვა არსებობისათვის საჭირო საგნები ესაჭიროებათ; ამიტომ მიცვალებულის ჭირისუფალი თავისი არსებობისთვის იმდენს არ ზრუნავს, რამდენსაც მიცვალებულის საიქიო ცხოვრებისათვის. გარდაცვალებულს ტირილს უხდიან. ამისათვის კუბოსთან დააწყობენ გამომცხვარ პურს, არაყს, კუბოს მახლობლათ დააყენებენ შეკაზმულ ცხენს და ხარს, კუბოზე დაადებენ იარაღს, ფულს და განძეულობას. ყველა ამას მღვდელი უკურთხებს მას, შემდეგ უგებს წესს და მიცვალებულს რომ გაასვენებენ, ჭირისუფალნი წივილ-კივილით უკან მიჰყვებიან, მიწას მიაბარებენ, ზარით გამოეთხოვებიან, შემდეგ ბრუნდებიან მის სახლში, რომლის ეზოშიც მთელი საზოგადოება თავს იყრის, ურიგებენ ყველას თითო პურს, ასმევენ არაყს, ტირილს იხდიან და შემდეგ კი თავიანთ სახლებში მიდიან. ერთი თვის განმავლობაში შაბათობით საფლავზე მიცვალებულს სუფრას უკურთხებენ, ხოლო ერთი წლის განმავლობაში სახლში სადილობისა და ვახშმობის დროს მისთვის ცალკე სუფრას შლიან, მასზედ პურებს აწყობენ, სანთლებს ანთებენ, თუთუნსა, წყალსა და საჭმელს აწყობენ და ამნაირად ემსახურებიან მის სულს.

ერთი წლის შემდეგ უხდიან ,,კათხ-ტაბაგს“ ანუ კონჩხარს (აღაპი). ამისათვის ასუქებენ ხარებს, ღორებს, ხდიან ბლომად არაყს, აცხობენ პურს, უკერავენ ყოველგვარ ტანსაცმელს. თითო საკლავი მოყავთ ახლობელ ნათესავებს. ტანისამოსისაგან აკეთებენ სახეს, ამას დასვამენ სკამზე, წინ სუფრას გაუშლიან, დანარჩენი სუფრები ხორცით, პურით და არაყით მის გარშემო დგას და ყველას ერთად მიცვალებულს უკურთხებენ. ყოველწლიურად სულიწმინდის მოფენის დღეს და მარიამობას ამზადებენ ბევრნაირ საჭმელს, მიაქვთ ესენი საფლავზე და უკურთხებენ მიცვალებულთ. ვისაც ჭირისუფლის იმედი არა აქვს, რომ ტირილსა და აღპს გადაუხდიან, ესენი სიცოცხლეში იხდიან და იკურთხებენ ყოველივეს, რაც საჭიროა მათთვის სიკვდილის შემდეგ.

სვანი რომ თავის სახლის გარეთ ანუ სხვა სოფელში სადმე მოკვდებოდა, მისი სულის სახლში მოსაყვანად მიდიოდნენ რამოდენიმე დღის შემდეგ, მიჰყავდათ იქ მამალი, მიჰქონდა ჩანგი და ასე გამოწყობილი გარდაცვალების ადგილიდან გამოუძღვებოდენ სულს სახლისკენ.

გზაზე თუ მამალმა არ დაიყივლა და ჩანგმა კარგი ხმით არ დაუკრა, ეს იმის ნიშანია, რომ სული მათ არ მიყვება, გაჩერებულია, და ამიტომ სანამდე ეს გარემოება არ გამოკეთდებოდა, გაჩერებული იყვნენ იმ ადგილას სულის წინამძღოლნი.

ლიფანალი. სვანებს სწამთ, რომ 5 იანვარს, ყოველწლიურად, მიცვალებულთა სულნი აღსდგებიან და თავიანთ ოჯახებს ეწვევიან ერთი კვირით. ამ დღეს სვანები ,,აღდგომს“ (აღდგომას) ეძახიან, ხოლო მათ პატივსაცემად განკუთვნილ ამ ერთ კვირას ჰქვიან ,,ლიფანალი“. აღდგომას დილიდან საღამომდე სვანები ემზადებიან მიცვალებულთა მისაღებად: ასუფთავებენ სკამებს, ტობაგებს (სუფრებს), ჯამ-ჭურჭლეულობას, კათხებს, ამზადებენ ყოველგვარ სამარხვო საჭმელებს, აკეთებენ თაფლის სანთლებს, ხატავენ ფქვილით სახლის შიდა კედლებს. ახალ დაღამებულს სუფრებს უდგამენ საჭმელებით, სანთლებს უნთებენ; ოჯახის უფროსი ქუდმოხდილი ჩამოივლის ყველა სუფრას, და იჩოქებს მათ წინ ხელში კათხით და ჩამოთვლის ყველა მიცვალებულს, შენდობას უთვლის მათ, ეხვეწება კარგი ფეხით შემოვიდენ, კარგი ფეხით გავიდენ, ოჯახის წევრი და პირუტყვი დასამარცხებლად არ გაიმეტონ, ბარაქა მისცენ ოჯახს და, თუ პატივისცემით არ იყვნენ კმაყოფილნი, აპატიონ. ნავახშმევს ანთებენ დიდ ცეცხლს, რომ არ შესცივდეთ, ზღაპრების მოყოლით, ჭიანურისა და ჩანგის დაკვრით ართობენ მათ. ხუთშაბათს, სვანების აზრით, მიცვალებულები იყრიან თავს ერთ ადგილას და სწყვეტენ თავიანთ ოჯახების ბედ-იღბალს ერთი წლით. ამას ჰქვიან ,,ლალხორა ცააშ“ (კრების ხუთშაბათს), ხოლო კვირას ნაშუაღამევს უმზადებენ გამოსათხოვარ სუფრას და გათენებისას – ორშაბათს ისტუმრებენ მათ. ამ დროს ოჯახის უფროსი სუფრით ხელში მიუძღვება მათ სახლიდან გარეთ. სუფრაზე უდგია ერთი კათხა რძე, ასხურებს მით იქით-აქეთ და ევედრება მიცვალებულთ, რომ კარგი ფეხი დაუტოვონ; კარგად რომ გათენდება, ახალგაზრდები იყრიან თავს, იკავებენ ხელში ხის ჯვარს, თვითეულ ოჯახს ჩამოივლიან, ჯვარზე სანთლებს ანთებენ და ,,სულების“ პატივსაცემად გალობენ: ,,ქრისდე ფუსტ ლგკლათხე ალ ქორისგა ჭვიშ ათფიშირი შე-ე-ე“ (ქრისტე ღმერთო, ამაღლებულო, ამ ოჯახში ახალგაზრდობა გაამრავლე), შემდეგ ,,ქრისდე ფუსტ ლგკლათხე იშგვიდ ლგნგაზ ჩვიჩლიდაშ ქვინ ლახჭირ, აშ ლახჭირ ალ ქორაშ ლგდგარი ლაქუნი

მე-ე-ე“ (ქრისტე ღმერთო, ამაღლებულო, შვიდი კვირის ბავშვის სული შეიწყალე, ამ ოჯახის ყველა მიცვალებულთა სული შეიბრალე) და სხვ. ამის მომყოლ შაბათს სვანები უძახიან ნალტახვრას. მათ სწამთ, რომ მიცვალებულები, ზემოხსენებულ ხუთშაბათს კრებაზე მიდიან და წყვეტენ ერთი წლის განმავლობაში, რაც უდნა მოუვიდეს მათ ოჯახებს. ისინი იმ საღამოსვე ბრუნდებიან სახლებში, ხოლო კოწლები და დავრდომილები შაბათამდე ვეღარ მიაღწევენ თავიანთ სახლებში და ამიტომ ამ კოჭლებს შაბათობით უწყობენ სუფრებს.

სვანების შეხედულება ქალების თვიურ ავადმყოფობაზე და მშობიარობაზე

ქალებს სვანეთში მშობიარობისა და თვიური ავადმყოფობის დროს ოჯახებში არ აყენებენ. სახლების ეზოების გარედ საგანგებოდ თვიურ ავადმყოფობის დროს ქალების მოსათავსებლად აგებულ ჯანგვლებში ათავსებენ. სვანების შეხედულებით ქალი ამ დროს იმდენად უწმინდურია, რომ სანამდე არ დარწმუნდებიან იმაში, რომ არამც თუ ოჯახში, არამედ მეზობლებში და სოფელშიც თვიური ავადმყოფობა არა აქვს ქალს, მანამდე მონადირე სანადიროდ ვერ მიდის, მლოცველნი ეკლესიას ვერ ეკარებიან, მსხვერპლის შეწირვა დაუშვებელია. ამ დროს ქალს არ შეუძლია დათესილ ყანებში სიარული, იმ მარანში შესვლა, სადაც პურის მარაგი აქვთ შენახული, საფუტკრეს სიახლოვეს გავლა, ეკლესიების სიახლოვეს სიარული, საარაყეთ დამზადებულ გამოუხდელ საგნების მიკარება, მიცვალებულთა ცხედართან მისვლა, ნანადირევი ხორცის ნახვა და ჭამა, რადგანაც ყოველივე შეიძლება წაბილწულ იქნას. ხოლო სამჯერ-ოთხჯერ რომ ტანს თბილი წყლითა და საპნით დაიბანენ და თვიური ავადმყოფობისაგან გათავისუფლდებიან, მაშინ ნება ეძლევათ სახლში მისვლისა, მაგრამ მსხვერპლის შეწირვას მანამდე ვერ ბედავენ, სანამ სახლს და ეზოებს ეკლესიიდან მოტანილი ნაკურთხი წყლით არ გასწმენდენ. თუ ვინმეს ოჯახში საუბედუროდ ავადმყოფობა გაუჩნდა გაციებისაგან და მოკვდა, ამას ხშირად სვანები აწერენ ქალების მიერ თვიური ავადმყოფობით ან სხვა

კაცთან დაწოლით ოჯახის წაბილწვას მსხვერპლთ შეწირვის დროს და ამისათვის დასასჯელად ღვთისაგან მოვლინებულ რისხვად სთვლიან.

ცხადია, ეს ჩვეულება სვანეთს შეუნახავს ძველ დროიდან. რომაელების მსოფლიო ბატონობა რომ განმტკიცდა, მაშინ ეს ჩვეულება გავრცელდა იქიდან აღმოსავლეთის ქვეყნებშიც. პლინიუსის ცნობებით, რომაელების შეხედულებით თვიური ავადმყოფობის დროს ქალის მიკარებით ბალახები და მცენარეები ხმებოდნენ, დანები ჟანგდებოდენ, ძაღლები ცოფიანდებოდენ. მე-17 საუკუნეში ასეთ შეხედულებას ადგილი ჰქონდა დასავლეთის მედიცინაშიც კი, ხოლო იტალიაში დღემდის არსებობს თვიურით ავადმყოფ ქალებზე ამდაგვარივე შეხედულება.

ბერინგეთის ნაპირებზე მცხოვრები ესკიმოსები დღესაც დარწმუნებულნი არიან, რომ თვიური ავადმყოფობის მქონე ქალი იმდენად აფუჭებს ჰაერს, რომ თუ ამ ჰაერით მონადირემ ამოისუნთქა, ნადირობა იღუპება.

გერმანიაში, რეინის სანაპირო ოლქში, დღესაც, როცა მაჭარი დუღს, თვიური ავადმყოფობის მქონე ქალს მარანში არ უშვებენ, რომ ღვინო არ წაუხდეთ. ამგვარათვე იქცევიან მანჰეიმელები ლუდის გაკეთების დროს.

სილეზიაში ამ დროს ქალებს არ შეუძლიათ დარგვა ან რაიმე მცენარეების ხელის მოკიდება, რომ უკანასკნელნი არ გახმენ.

ხევსურეთშიც ისე, როგორც სვანეთში, თვიურით ავადმყოფი ქალები ყავთ ეზოს გარედ აშენებულ განცალკევებულ ჯანგვლებში, სანამ არ განთავისუფლდებიან.

თვიურ ავადმყოფობაზე ასეთი შეხედულება უნდა წარმოადგენდეს მოსეს კანონის ნაშთს, რადგანაც მოსეს კანონით თვიურით ავადმყოფ ქალებს სასტიკად ჰქონდათ აკრძალული ამ დროს სხვებთან მიკარება და ხალხში გარევა. არავითარი ღვთისმსახურება დაშვებული არ იყო, სანამდე ასეთი ქალები არ დაიბანდენ ტანს თბილი წყლით ისე, რომ ერთი ბალანიც დაუბანელი არ დარჩენოდათ. გერმანიაში – ფრიდბერგში საშუალო საუკუნეებიდან აქამდე შენახულან ებრაელთა საბანაოები, თვიურ ავადმყოფთათვის გაკეთებულნი. როცა ქალს თვიური ავადმყოფობა ექნებოდა, მაშინ თუ კაცთან დაწვებოდა, მოსეს კანონით ორივენი – ქალიც და კაციც სიკვდილით ისჯებოდნენ [121]).

121) Женщина и Мужчина. თარგმანი გერმანულიდან პროფ. ოგელის და ენგელგარდტისა. გვ. 394 და 395).

ცოლის თხოვნა ანუ ქალის გათხოვება სვანეთში.

ძველ დროში სვანი თავის შვილს უნიშნავდა ცოლად აკვანში მწოლიარე გოგონას. ამჟამად ეს დასაგმობი ჩვეულება მოისპო, მაგრამ 7-8 წლის ქალიშვილის თხოვნას მაინც ხშირად აქვს ადგილი. ცხადია, ამას ახდენენ მათი მშობლები თავის შვილების უკითხავად. თუ ცოლის თხოვა ამ წესით არ მოხდა, სვანი, როცა დავაჟკაცდება, აირჩევს საცოლეს, უგზავნის მას კაცს და სთხოვს ცოლად წაყოლას. თუ ქალი და მისი მშობლები ამაზე არ დათანხმდნენ, იმ შემთხვევაში საქმრო ღამე მიეპარება თავის საცოლეს სახლს, კარებიდან ან ფანჯრიდან შეუდგებს სახლში ნიშანს 3 მ. ფულს და თოფის ტყვიას, ხოლო თვითონ იბრუნებს პირს და გარბის სახლში. ამის შემდეგ უნდა თუ არა ქალს, ის მაინც დანიშნულია და სხვაზე გათხოვება მისთვის დაუშვებელია. ტყვია, რომელიც ნიშნად არის მის ოჯახში შეგდებული, სწორედ იმის ნიშანია, რომ თუ ქალი სხვას გაჰყვა, მისი ნათესავები ტყვიით იქნებიან მოკლულნი. ცოლის ასეთ თხოვას სვანეთის ცხოვრებაში დიდი არევ-დარევა, უბედურება და სისხლისღვრა შეაქვს, რადგანაც ხშირად ამ წესით ან ერთი გამოდის უვარგისი ან მეორე. შეუღლებულნი ასეთ შემთხვევაში ხშირად ირჩევენ მედიატორეებს და ამ საშუალებით გაიყრებიან ხოლმე. დამწუნებელი მხარე იხდის დაწუნებულის სასარგებლოდ მედიატორული განჩინებით მისჯილ ჯარიმას, ხოლო თუ ასეთი მორიგებით საქმე არ დამთავრდა და ერთმა მათგანმა მიატოვა, ეს, სვანების თვალსაზრისით, ,,კაცის ნახევრად მოკვლას“ უდრის და ან მკვლელობით თავდება საქმე ან ფასდება კაცის მოკვლის ნახევარ ფასით, ე. ი. 1.500 მანეთამდე.

ასეა თუ ისე, იმ შემთხვევაში, როცა ცოლის თხოვას სვანეთში საფუძველი ეყრება – სიძე აძლევს ერთი წლის შემდეგ საცოლეს მშობლებს ერთ ხარს, შემდეგ ერთ უღელ ხარს და ორ ძროხას, მერე იწერს საცოლეზე ჯვარს, მაგრამ ვისაც ამ ანგარიშების გასწორების საშუალება არა აქვს, ის რჩება უცოლოდ.

სტუმართმოყვარეობა სვანეთში.

მიუხედავათ იმისა, რომ სვანები ღარიბად ცხოვრობენ, სტუმრის მიღება და პატივისცემა ძალიან უყვართ. საპატიო სტუმარს საკლავს უკლავენ – ვისაც რა ჰყავს. ღვინის მაგივრობას არაყი ეწევა. ფული რომ შეაძლიოს მიპატიჟებულმა სტუმარმა ნახარჯში – ეს დიდ შეურაცხყოფად ითვლება. მათი გულუბრყვილობა ამ საქმეში იმ ზომამდე აღწევდა ერთ დროს, რომ, როცა სვანები ერთხელ ქუთაისში ჩავიდნენ, თურმე ასეთი მაგალითი იყო: სვანები ერთი დუქნისკენ იცქირებოდნენ. მიკიტანმა, როგორც ეს წესად აქვთ მათ მიღებული, შეიპატიჟა სვანები და შეეკითხა ,,რას მიირთმევთო?, სვანებმა ეს თავისებურად ახსნეს – დაპატიჟებად მიიღეს. დამშეულმა და მადა გახსნილმა მგზავრებმაც მოითხოვეს შემწვარი გოჭები, ქათმები, ღვინო და სხვა. გემოზე იქეიფეს, მაგრამ მალე ეს ჭამა მათ გაუმწარდათ. მიკიტანმა მათ ანგარიში წარუდგინა. ამით გაოცებული სვანები შეკრთენ და უთხრეს ,,მასპინძელს“: ,,ჩვენ გვეგონა თქვენ მიგვიპატიჟეთ ისე, როგორც ეს ჩვენში ვიცითო, და ეხლა რომ ფულს თხოულობ, აბა რა საკადრისია“-ო; მიკიტანმა ისინი, რასაკვირველია, სასაცილოდ აიგდო. გაიმართა ჩხუბი. მიკიტანი კარგად მიბეგვეს სვანებმა ასეთი ,,პატივისცემისათვის“, რის შემდეგაც ამ საქმეში ჩაერია პოლიცია, რომელმაც სვანები გაამართლა და უდანაშაულო მიკიტანს შერჩა ხარჯი და გალახვა ასეთი ,,გულუხვობისათვის“.

სვანს თავისი სტუმრის გალანძღვა, არამც თუ მაშინ, როცა ის მის ოჯახში იმყოფება, არამედ ოჯახიდან გასვლის შემდეგაც, დიდ სასირცხვილოთ და თავის შეურაცხყოფად მიაჩნია და ამიტომაც, თუ სვანის სტუმარს მის ოჯახიდან გასვლის შემდეგ მოგზაურობის დროს რაიმე ხიფათი მოელის, მასპინძელი მიჰყვება მას, სანამ სამშვიდობო ადგილს არ მიიყვანს, და, რადგანაც სტუმრის გალანძღვა ჩვენში მასპინძლის შეურაცხყოფად ითვლება და ამ ნიადაგზე ხშირად მკვლელობაც მომხდარა, ამიტომ თუ რომელიმე სვანს ასეთი სტუმრის გალანძღვა აქვს განზრახული, ის ხშირად იძულებული ხდება თავი შეიკავოს, ხოლო თუ ეს ასე არ მოხდა, მათ შორის, როგორც არის ნათქვამი, იმართება ბრძოლა და ხშირად

მკვლელობაც. ამის დასახასიათებლად, სხვათა შორის, მოვიყვან ერთ მაგალითს.

რამოდენიმე ათეული წლის წინეთ სვანეთში მოვიდნენ პირველი ნაკურთხი მღვდლები ქუთაისიდგან. ქვემო სვანეთში ისინი ესტუმრენ თავად გარდაფხაძეს, ზემო სვანეთში რომ ამოვიდნენ – მარგიანებს. გარდაფხაძეებს ამ დროს ემტერებოდნენ მესტიაში მცხოვრები ჯაფარიძეები (მურზაყანშა), იმის გამო, რომ მათ მიერ ცოლად დანიშნულ გარდაფხაძის ერთმა ასულმა ჯაფარიძე მიატოვა. ჯაფარიძეებმა როცა გაიგეს, რომ ზემოხსენებული მღვდლები გარდაფხაძეების სტუმრები იყვნენ, გარდაფხაძეებისთვის რომ შეურაცხყოფა მიეყენებინათ, გადასწყვიტეს მათი დაჭერა და დაუდარაჯდნენ სოფლის გარედ, იქვე მახლობლად. ამ მღვდლებს მიაცილებდა მათი მასპინძელი მურზა მარგიანი. როცა მან გაიგო, რომ ჯაფარიძეებს მისი სტუმრების გალანძღვა უნდოდათ, სტუმრები უკან დასტოვა, თვითონ წინ წავიდა, მონახა დადარაჯებული 6 ჯაფარიძე და სთხოვა ასეთ განზრახვაზე ხელი აეღოთ. მათ შორის საქმე გამწვავდა. მოხდა ჩხუბი, რომლის დროსაც მურზას მიერ მოკლულ იქნა ერთი ჯაფარიძე და რამოდენიმე დაჭრილი. თვით სტუმართმოყვარეობის მსხვერპლი მურზაც ვაჟკაცურად მოკვდა იქვე. ხოლო მღვდლებმა თავი გადაარჩინეს უბედურებას, იქვე გავლენიან აზნაურ სვინჩილდ ჯაფარიძესთან თავის შეფარებით.

სვანს თავის სტუმრის და აგრეთვე საკუთარი იარაღის გალანძღვა, მაგალითად, ზუმბის, ჩახმახის, სალტის და სხვა ნაწილების მოპარვა ძალიან საძნელო საქმედ მიაჩნია და დამნაშავე სასტიკ პასუხს აგებს ხოლმე. საზოგადოდ, სვანს იარაღი იმდენად უყვარს, რომ ის მიაჩნია ცხოვრების საუკეთესო ამხანაგად და მისი ჩამორთმევით ის ნახევრად მკვდარი რჩება. უნებურად გაგეცინებათ, როცა დაინახავთ, რომ ღრმად მოხუცებული სვანი ხშირათ დღისით თავის კაჟიან თოფს გარეთ გამოიტანს, მუხლზე გადაიდებს, წმენდს, ხელს უსვამს, ეალერსება, ესიყვარულება და ავი თვალი რომ არ ეცეს, ნალოცი ჭინჭი უნდა შეაბას მას.

მართვა-გამგეობის საქმე სვანეთში.

უხსოვარ დროიდგან დღემდის სვანეთში არ ყოფილა ისეთი მთავრობა, რომელსაც გაეგოს ამ ხალხის სულისკვეთება, გაცნობოდეს მის ფსიქოლოგიას, ჩაეხედოს სვანის ცხოვრების სიღრმეში და დაენახოს ის მრავალნაირი მძიმე ჭრილობები, რომელთა შემსუბუქებას და მორჩენას სვანეთი მუხლმოდრეკილი ევედრებოდა ყველას, მაგრამ ამაოდ.

არავინ ზრუნავდა ამ ხალხის სიბნელისაგან გამოყვანაზე, მის კულტურაზე, განვითარებაზე. ამ გარემოებამ ხალხს გული გაუტეხა, ურწმუნო თომათ გახდა, დაღუპვის გზაზე შეაყენა და უფსკრულისაკენ გააქანა.

თვითმპყრობელობის დროს ეს კუთხე ითვლებოდა სვანეთის საბოქაულოთ და ექვემდებარებოდა ლეჩხუმის მაზრას და მის ერთ ნაწილს შეადგენდა. სვანეთს განაგებდა ერთი ბოქაული და მისი თანაშემწე 15 ჩაფრით. ადმინისტრატიულ ცენტრად და ბოქაულის საბინადრო ადგილად ითვლებოდა **ბეჩო**. ბოქაულს, როგორც მთავრობის ერთად–ერთ წარმომადგენელს, განსაკუთრებულ და დამოუკიდებელ პირობებში უხდებოდა მუშაობა, უმეტეს შემთხვევაში რუსულ კანონების გვერდზედ მიტოვებით, ადგილობრივი ადათებისა და ზნე-ჩვეულებების ხელძღვანელობით. სასამართლო აქ არ არსებობდა და სადაო საქმე ბოქაულის თაოსნობით, მედიატორული წესით წყდებოდა. ამიტომაც იყო, რომ კარგს მმართველს სვანეთისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მას დაკისრებული ჰქონდა ადგილობრივი ცხოვრებისათვის ხელმძღვანელობა გაეწია.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ სვანებს პოლიტიკის თითქმის არა გაეგებათ რა და მთვარობას დღემდის მუდამ აფასებდა და აფასებს იმ პირის ღირსება-ნაკლულევანებათა მიხედვით, რომელიც მთავრობის წარმომადგენლად ითვლებოდა სვანეთში. ამნაირად სვანეთში მთავრობის წარმომადგენელზეა დამოკიდებული თვით მთავრობის და სვანეთის შორის კეთილი ურთიერთობის დამყარება. ამას გვიმტკიცებს ჩვენ, სხვათა შორის, სვანეთში მომხდარი 1875-1876 წლები აჯანყება, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ.

ამიტომ განსაკუთრებით მანამდე, ვიდრე სვანეთი პოლიტიკურათ არ მომწიფდება, მთავრობამ ყოველთვის უმთავრესი ყურადღება უნდა მიექციოს სვანეთში შესაფერს, ჭკუადალაგებულ, გამოცდილ, დინჯ მოსამსახურეების გაგზავნას. ადგილობრივი ძალების შეთანხმებული მუშაობით, ხალხთან თბილი გულით მისვლით, ტკბილი ენით და საუბარით, ცხოვრების სხვადასხვა მოვლენების გასაგებათ ახსნით აქ დიდი საქმის გაკეთება შეიძლება მთავრობისა და ხალხის შეუწუხებლათ.

გარდა ამისა, ხალხი რაც უფრო მოწყვეტილია კულტურულ კერას, რაც უფრო ჩამორჩენილია განათლების მხრივ და ისეთ კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევა, როგორც სვანეთი, მით უფრო ადვილია ყოველგვარი გაუგებრობის გამოწვევა, მეტადრე მაშინ, როდესაც ამ ხალხს არ ჰყავს გონიერი და გამოცდილი ხელმძღვანელები.

თვითმპყრობელობის დროს ადმინისტრატიულ დაწესებულების შესანახათ წელიწადში დაახლოვებით იხარჯებოდა:

ბოქაულის ჯამაგირი . . . . . 1.700 მან.
მისი თანაშემწე . . . . . 1.200 ,,
საქმის მწარმოებელი . . . . . 624 ,,
ორი დარაჯი . . . . . 200 ,,
საკანცელარიო ხარჯები . . . 200 ,,
უფროსი ჩაფრის ჯამაგირი . 480 ,,
თხუთმეტი ჩაფარი . . . . . 1.110 ,,
ყაზარმის გათბობა-განათება . . 150 ,,

სულ 5 664 მან.

თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ სვანეთი მოწყდა ცენტრს და თითქმის სრულიად უპატრონოდ დარჩა.

ხალხი ანარქიის ქარ-ცეცხლში გაეხვია, დიდი არევ-დარევა შეიქნა. სვანეთში ყოველთვის იყო შურისძიება სისხლის აღების ნიადაგზე, კაცის კვლა, ძარცვა-გლეჯა და ყოველგვარი უბედურება, მაგრამ მთლათ უპატრონოთ, მიტოვებულ ხალხში ყველაფერი ეს

ხომ სულ მეტის მეტათ განვითარდა. შეუძლებელი გახდა ერთი სოფლიდგან მეორე სოფელში უშიშრათ გადასვლა. ზოგან მოსახლე თავის სახლიდგანაც ვერ გამოდიოდა გარეთ ისე, რომ დადარაჯებულ მტრის ტყვიას სიცოცხლე არ მოესპო მისთვის. დაიწყო თემობა და მის განსამტკიცებლად ურთიერთ შორის ფიცის დადება. ამის გამო სასტიკათ იჩაგრებოდენ სუსტი თემები თოფის ტუჩით დაწერილ კანონებისაგან. გაბატონდენ ყაჩაღები, სასწავლებლები გაძარცული და გაპარტახებული იყო, მეცადინეობა, რასაკვირველია, აღარ სწარმოებდა. ერთი სიტყვით, სვანეთის ცხოვრება ნამდვილ ჯოჯოხეთს დაემსგავსა. იმ დროს ყურადღების მიმწცევი არსად ჩანდა. მენშევიკურმა მთავრობამ სვანეთის საკითხი ერთ დროს იმით გადასჭრა, რომ მან მთელი ეს ხალხი კანონს გარეშე გამოაცხადა ლეჩხუმში მომხდარი გამოსვლების გამო და გზა დაუკეტა მას ყოველ მხრისკენ.

ასეთ დროს ისეთი ხალხის კანონს გარეშე გამოცხადება, როგორიც არაინ სვანები და მათთვის გზების დაკეტვა და მთებში მომწყვდევა თუ რა შედეგებით დამთავრდებოდა, ეს ჩემთვის ადვილი წარმოსადგენი იყო და ამიტომ გაზ. ,,ხალხის მეგობრის“ 18 მარტის 1918 წ. № 127-ში ჩემ მიერ მოთავსებულ იქნა შემდეგი საპროტესტო წერილი: ,,ქუთაისის გუბერნიის კომისრის საყურადღებოთ“. ყველამ კარგათ იცის, რომ ლეჩხუმის მაზრა ამჟამად კანონს გარეშეა გამოცხადებული იქ მომხდარი ამბების გამო. ლეჩხუმის მაზრის ნაწილს შეადგენს ზემო სვანეთიც, რომლის მცხოვრებთა რიცხვი 20,000 აღემატება. თვით გუბერნიის კომისარმა კარგად უწყის, რომ ზემო სვანებს ლეჩხუმში მომხდარი ამბებისა არაფერი გაეგებათ, გამოსვლებში მონაწილეობა არ მიუღიათ. გუბერნიის კომისრის დეკრეტი თავისი სრული მნიშვნელობით სვანებზეც ისე ვრცელდება, როგორც დანარჩენ ლეჩხუმელებზე. სვანეთის სასწავლებლებს კრედიტი დაუხურეს, ,,პროპუსკი“ მათთვისაც ისეთ მწვავე საკითხათ გადაიქცა, როგორც ლეჩხუმელებისათვის; დაიხურა აქაც ყველა დაწესებულებები და დაეკეტა ყოველ მხრიდგან სვანეთს გზა. ამ მოცლენას აუცილებლათ მოჰყვება საშინელი არევ-დარევა და ანარქია, რომლის შედეგებიც საშინელ მწვავე ხასიათს მიიღებენ, მერე მისი ჩაქრობა ისეთ ხალხში, როგორიც არიან სვანები, დიდ დროს, ხარჯებს და საქმიანობას მოითხოვენ და მაშინ გვიანღა იქნება თითებზე კბენანი, ამიტომ

საჭიროა ბ. გუბერნიის კომისარმა თავის ზნეობრივ და კანონიერ მოვალეობად ჩასთვალოს სვანების დაუმსახურებელი სასჯელისაგან განთავისუფლება“.

პირველად ასეთი ჩემი წერილი ბ. კომისარს არაფრათ მოეწონა, მაგრამ მალე ჩემი ნათქვამი, სამწუხაროთ, ასრულდა. უპატრონოთ მიტოვებულმა, გზების დაკეტვით შევიწროვებულმა ხალხმა მთავრობის ასეთს საქციელს მით უპასუხა, რომ პირველათ კბილი გაჰკრა ყაბარდოს, შემდეგ პირი იბრუნა სამეგრელოსა, რაჭა-ლეჩხუმსა და თერგის ოლქში მცხოვრებ თათრებისაკენ. ამან სვანეთს მტრათ გადაჰკიდა ყველა მეზობელი ხალხები.

ხსნა არსაიდან იყო. ისევ ადგილობრივ მკვიდრთა შეგნებულ ნაწილს რომ არ გამოეჩინა თაოსნობა და საზოგადო საქმეების მოწესრიგებისათვის არ მოეკიდა ხელი, ვინ იცის კიდევ რა უარეს დღეში ჩავარდებოდა ეს კუთხე. ამას მოჰყვა მთავრობასთან სასაყვედურო დელეგაციის გაგზავნა. 12 თებერვალს სვანეთის დელეგაცია წარუდგა მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას. დელეგაციის თავმჯდომარემ ეგნ. გაბლიანმა სხვათა შორის მიმართა მას შემდეგი სიტყვებით:

,,ნება მოგვეცით მუდამ თავისუფლების მოტრფიალენი მოგესალმოთ სვანეთის სახელით. უუძველეს დროიდგან კავკასიის მთებს შუა მომწყვდეული სვანები, აქ არსებულ ბუნებრივ და გეოგრაფიულ პირობების წყალობით, მოწყვეტილნი ვართ ქვეყნიერებას და განვიცდით ცხოვრების პირველყოფილ პირობებში არსებობას. რევოლიუციის შემდეგ ჩვენ დავრჩით სრულიათ უპატრონოთ. ჩვენი ხალხი ანარქიის ქარ-ცეცხლშია გახვეული. სვანები აწუხებენ ერთმანეთს, აწუხებენ თავის მეზობელ ხალხებს. საჭიროა პატრონობა, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ მთავრობა ყურადღებას არ გვაქცევს, ჩვენთან არ მოდის და ამიტომ ჩვენ თვითონ ჩამოვედით მის საძებრათ და ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის გასაცნობათ.

მართალია, ჩვენ დავშორდით დანარჩენ ქართველებს რამოდენიმე საუკუნის წინეთ ქრისტეს შობამდე მცირე აზიაში, მაშინ, როდესაც ასურელებთან ხანგრძლივი ბრძოლით დაქანცული ქართველები კიმმერიელებისა, ხაზარებისა და სხვა ველური ხალხების შემოსევის წყალობით იყვნენ აყრილნი და დევნილნი, მაგრამ მრავალი ისტორიული საბუთი მოგვითხრობს, რომ სვანები

მის შემდეგაც ყოველთვის საქართველოს ხალხთან მჭიდროთ ყოფილან დაკავშირებულნი ჭირში და ლხინში. ამას, სხვათა შორის, გვიმტკიცებს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მრავალი აქ არსებული ძველი ეკლესია საქართველოს მეფეების მიერ არის აშენებული და მათში შენახულია იშვიათი და ძვირფასი საეკლესიო სიმდიდრენი, მათ მიერ ზოგი შემოწირული, ზოგიც განსაცდელის ჟამს მტრის განადგურებისაგან გადასარჩენათ და დასაცავათ სვანებისთვის მიბარებული. მაგალითათ, ჩვენთვის საკმაოთ არის გაშუქებული, რომ დავით აღმაშენებელს აქ დაუწყია ეკლესიების აშენება და ქრისტიანობის გავრცელება. თამარ მეფის მამის გიორგის დროს სვანებმა შანშე დადიანის მეთაურობით აიღეს სომხეთის სატახტო ქალაქი ანისი.

თამარ მეფემ, რომელიც სვანეთის მეხსიერებაში სილამაზისა და დიდების შარავანდედით არის შემოსილი, სვანეთს დიდ ყურადღებას აქცევდა. მან ბევრი ტაძრები ააგო სვანეთში და ურიცხვი ხატ-ჯვარით შეამკო ისინი. ამიტომაც გიორგი რუსის ჩაგონები თამარის მსახურთ-უხუცესის ვარდან დადიანის მიერ თამარის საწინააღმდეგოთ ამხედრებულმა სვანებმა თვით გიორგი რუსი დაიჭირეს და ხელფეხ შეკრული თამარ მეფეს მიუყვანეს. მეექვსე საუკუნეში კოლხებისა და სვანების შეერთებული ლაშქარი ერთათ ებრძოდა სპარსელებს. აიღო ქალაქი პატრა და დაანგრია ციხე საძირკვლებამდე. ამისთანა საარაკო იერიშები სვანებს მტრის წინააღმდეგ მრავალჯერ მიუტანიათ.

დღეს, როდესაც მონობის ბორკილები დაიმსხვრა და სვანეთის ჰორიზონტიდგან თავსუფლების მზემ სვანეთს უფრო სხივოსნურათ მოჰფინა თავისი მადლიანი სხივები, ნუ თუ ჩვენ ასე უპატრონოთ უნდა ვიყოთ მიტოვებული და თავისუფლების სადარაჯოზე მტრის ტყვიისათვის მკერდის გმირულათ მიგებების მაგივრათ ერთმანეთს უნდა ვსპობდეთ და მეზობლებს ვაწუხებდეთ? არა, ეს დაუშვებელია, და ამიტომ გთხოვთ ხალხის სახელით, რათა ყურადღება მიაქციოთ ჩვენს ქვეყანას, და დღეიდგან მაინც გარკვეულ მდგომარეობაში ჩავაყენოთ და სხვა [122])...

მთავრობამაც მათ უპასუხა: ,,მართალია ჩვენ სვანეთს აასეთ არევ-დარევის დროს ყურადღება ვერ მივაქციეთ სიშორის გამო. ჩვენ აქაც ბევრი საქმეები გვქონდა და სვანეთისათვის ვერ მოვიცალეთ, მაგრამ ვეცდებით შემდეგში მაინც გიპატრონოთო“. ეს

მათ აღარ დასცალდათ. სანამ ისინი სვანებისადმი რაიმე მზრუნველობას გამოიჩენდნენ, მენშევიკებმა ძალა-უფლება დაჰკარგეს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

გადავავლოთ ეხლა თვალი მენშევიკების დროის სვანეთის ადმინისტრაციის შესახებ წლიურ ხარჯებს. ნაანგარიშევია ოქროს კურსის კვალობაზე.

კომისრის ჯამაგირი . . . . . 600 მან.
მისი თანაშემწე . . . . . 450 ,,
საქმის მწარმოებელი . . . . . 200 ,,
დარაჯი . . . . . 106 ,,
სამი უფრ. მილიც . . . . . 648 ,,
30 მილიციონერი . . . . . 3 600 ,,
საკანცელარიო ხარჯ . . . . . 100 ,,
გათბობა–განათება . . . . . .70 ,,

სულ 5.718 მან.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ახალი ისტორიული ხანა დგება სვანეთისათვის. სვანეთი ცალკე მაზრათ იქნა დამტკიცებული. აქვე დაარსდა სამაზრო აღმასკომი, სამაზრო მილიციის სამმართველო, 4 საუბნო აღმასკომი, 4 საუბნო საადმინისტრაციო ნაწილი თავისი მოსამსახურეებით.

ჯერ კიდევ თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებშივე ქვემო სვანეთში გლეხები დაერივნენ თავადებს და ერთდროულად ყველგან 9 თავადი გარდაფხაძეები დახოცეს. ზემო სვანეთში სადადეშქელიანო სვანეთის გლეხკაცობამ საძირკვლამდე დაანგრია დადეშქელიანების სახლ-კარი და მათი ადგილმამული თვითონ გაინაწილა. ამნაირათ ამოვარდა ძირიან-ბუდიანათ სვანეთის ცხოვრებიდგან 500 წლის განმავლობაში შეურყევლათ დაცული ბატონყმობა.

უნდა ითქვას სიმართლე, რომ ფული, რომელიც ამჟამად იხარჯება საბჭოთა ხელისუფლების მიერ ყოველწლიურად სვანეთზე, სრულიად საკმარისია ამ ქვეყნის კეთილდღეობისათვის. სვანეთის ისტორიას არ ახსოვს, რომ რომელიმე მთავრობას იმდენი თანხა გაეღოს სვანეთზე, რამდენსაც ამჟამად საბჭოთა

ხელისუფლება ხარჯავს ამ კუთხის მოსაწესრიგებლათ. საჭიროა მხოლოდ ამ თანხების წესიერი განაწილება და მომჭირნეობით დახარჯვა. ეს ადგილობრივი ხელმძღვანელების საქმიანობაზეა დამოკიდებული. თუ ეს მოხერხდა, მაშინ სვანეთის დაწინაურება ეჭვს გარეშე იქნება.

ამჟამად კულტურული მუშაობა სვანეთში შეძლებისდაგვარად ვითარდება. საჭიროა იქ მომუშავეთ კულტურულ მუშაობაში დაეხმარონ ყოველ მხრივ არა მარტო ხელისუფლება, არამედ ყველა ის ადგილობრივი მკვიდრნი, რომლეთაც ოდნავ მაინც აინტერესებთ თავისი ჩამორჩენილი ქვეყნის ბედ-იღბალი და მაშინ არსებულ პირობებში სვანეთში წესიერების განმტკიცებას და ხალხის კულტურულად და ეკონომიურად აღორძინებას წინ არაფერი დაუდგება. საბჭოთა ხელისუფლების მხრივ, ვიმეორებ, სვანეთს ყურადღება არ აკლია. იმედია, რომ მთავრობის მუშაობა თვით სვანეთში შემდეგისთვის უფრო ნაყოფიერი იქნება. ყოველივე ეს გვაძლევს ურყევ იმედს ვიფიქროთ, რომ სულ მოკლე ხანში ამ ქვეყანაში სრული მშვიდობიანობა იქნება აღდგენილი და კულტურული მუშაობა ჩქარის ტემპით წავა.

მკითხველმა რომ ცარიელ უსაბუთო სიტყვებათ არ ჩამომართვას ზემოთ ნათქვამი, მის დასამტკიცებლად მე მოვიყვან ცნობებს იმის შესახებ, თუ რა ხარჯია გაღებული სვანეთზე მთავრობის მიერ ამ უკანასკნელ წლებში.

1923 წ. 1 ოქტომბრიდან 1924 1 ოქტომბრამდე

1) შინაგან საქმეთა კომისარიატის მიერ ზემო სვანეთის მაზრის მილიციისათვის (§§ 1. 1. 2. 2. 2. 3. 4. 5. 6. 12. 16; მუხ. 1. 2. 1. 2. 3. 1. 7. 2.) . . . . 20.907 მან. 67 კაპ.

2) სახელმწიფო ხარჯთ აღრიცხვიდან (§§ 1. 2. 5. 12. 16; მუხ. 2. 1. 2.) . . . . . 13.291 მან. 12 კაპ.

3) ადგილობრივი ხარჯთ-აღრიცხვიდან . . 16.854 ,, 33 ,,

სულ . . 51.053 მან. 12 კაპ.

1924 წ. 1 ოქტომბრიდან 1925 წ. 1 ოქტომბრამდე.

1)ადგილობრივი ხარჯთ–აღრიცხვიდან (§§ 1. მუხ. 1. 2. 3. 4. 13. 14. 15. 19)

ა) საერთო ადმინისტ. დაწესებ. შენახვა . . . . . 44,906 მან. 58 კაპ.

ბ) დაცვა საზოგადოებრივი წესრიგისა

(§ 1. მუხ. 2. 3. 4. 5. 7. 13. 15) . . . 12.001 მან. 20 კაპ.

2) სახელმწიფო ხარჯთ–აღრიცხვიდან (§ 1. 16; მუხ. 2. 2) . . . 18.174. მან. 84 კაპ.

სულ . . 75.082 მან. 62 კაპ.

122) იხ. ეგნატე გაბლიანის სიტყვა გაზ. ,,საქართველოს“ 1919 წ. 15 თებერვლის № 36-ში.

სახალხო სასამართლო

თვითმპყრობელობის დროს სვანეთში ზაფხულობით სამი თვით მოდიოდა გამომძიებელ–მოსამართლე. ის ახდენდა კვლევა ძიებას ერთი წლის განმავლობაში მომხდარ და დაგროვილ საქმეების შესახებ. ცხადია, ამ მცირე ხნის განმავლობაში ის ვერაფრის გაკეთებას ვერ ასწრებდა. სვანებს მის მოსვლით არაფერი უკეთდებოდათ და ამიტომაც ისინი ისევ და ისევ ძველი წესით და სამართლით არიგებდენ თავიანთ საქმეებს. დიახ, მედიატორული წესით ყოველგვარი საქმეები აქ ირჩეოდა ადგილობრივი ზნე–ჩვეულებების და მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებულ ადათების მიხედვით. ამნაირად, რუსული კანონები სვანეთის ცხოვრებას თითქმის სრულებით არ მიჰკარებია და სვანურმა კანონებმა შთანთქეს ისინი.

ამ გარემოებით სვანეთში მუშაობის დროს გზა-კვალ არეულმა და ჭკუა დაკარგულმა ერთმა მოსამართლემ სთქვა: ,,სვანებისათვის კანონები არ არსებობს, ზედმეტია აქ ჩემი მუშაობაო“; მან ერთათ თავი მოუყარა ყველა საქმეებს, გადაასხა ნავთი, წაუკიდა ცეცხლი, დასწვა ისინი და თვითონ კი ქუთაისისაკენ გაემგზავრა.

რას უდრიდა თვითმპყრობელობის დროს სვანეთის სახალხო სასამართლოსთვის გადადებული წლიური ხარჯები?

მოსამართლე . . . . . 600 მან.
მდივანი . . . . . 180 ,,
თარჯიმანი . . . . . 90 ,,
კანცელ. ხარჯები . . . .120 ,,
დარაჯი . . . . . 45 ,,

სულ 1.035 მან.

მეწშევიკურ მთავრობის დროს სვანეთს მოსამართლე არ უნახავს.

გასაბჭოების შემდეგ სვანეთში პირველად გაიხსნა სახალხო სასამართლო 1923 წელს ს. ბეჩოში. ხოლო წარსულ 1924 წ. შემოდგომიდგან სვანეთში ინახება მეორე სახალხო სასამართლო

სოფ. მესტიაში. ამჟამად სვანეთს ყავს ორი მოსამართლე, ორი გამომძიებელი და მათი შენახვა ჯდება:

1924 წ. – 1925 წ. საბიუჯეტო წელი:
2 მოსამართლის ხელფასი . . . 5.919 მან. 36 კაპ.
ორი მდივანი . . . . . 3.392 ,, 64 ,,
ორი მდივნის თანაშემწე . . . . . 1.545 ,, 60 ,,
ორი დარაჯი . . . . . 502 ,,
ორი სახალხო გამომძიებელი . . . 4.406 ,, 40 ,,
ორი საქმის მწარმოებელი . . . . . 2.083 ,, 20 ,,

სულ 17.848 მან. 20 კაპ.

ამის გარდა:

3 პროც. ზედმეტ მუშაობისათვის . . . . . 92 მან. 64 კაპ.
4 ,, შვებულებისა . . . . . .672 ,,
2 ,, ადგილკომისა და კულტფონდისათვის . . . 336 ,,
8 ,, ანარიცხი და დაზღვ. სალაროსათვის . . . 1.134 ,,
სულ 2.4444 მან. 64 კაპ.
სამეურნეო და საკანცელარიო ხარჯები:
(§ 2. 3. 4. 5. 9; მუხ. 1. 2. 3. 2) . . . . . 1.380 მან.
სულ 21.672 მან. 84 კაპ.

ჯანმრთელობის საკითხი და ექიმობა სვანეთში

იშვიათ საკვირველ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს, რომ სვანეთის ხალხმა გაუძლო იმ საშინელ პირობებს, რომელშიაც ის სცხოვრობდა და მთლათ არ ამოწყდა. ამას სვანები თავის მომაჯადოვებელი ბუნების მადლიან ჰაერს უნდა უმადლოდენ.

ყველაზე უფრო მძიმე ლოდათ სვანეთის ცხოვრებას ჯანმრთელობის მოუწესრიგებელი საკითხი აძევს. ამიტომ მე საჭიროთ მიმაჩნია რამოდენიმეთ მაინც გავაცნო მკითხველი ამ მხრივ სვანეთის მდგომარეობას.

სვანეთში გავრცელებულია მრავალნაირი ავადმყოფობა, მათ შორის ზოგიერთ საზოგადოებებში (მაგალითად, მულახი და ბეჩო) ჩიყვი და სილენჩე.

ჩიყვის გავრცელების მიზეზი დღემდე არ არის გამორკვეული. ტეპცოვი ამბობს: ,,იქ, სადაც მცხოვრებნი სვამენ მდინარის წყალს, მაგალითათ მულახში და მესტიაში, გავრცელებულია ჩიყვი“-ო. ეს აზრი სიმართლეს მოკლებულია, მესტიაში, სადაც მართლაც სასმელათ მარტო მდინარის წყალს სვამენს, ერთს ჩიყვიანს ვერ შეხვდებით, ხოლო მულახი, სადაც მდინარე წყალს სრულებით არ ხმარობენ სასმელათ, ჩიყვიანებით არის სავსე.

უშგულში და კალაში, სადაც მდინარე ენგურის წყალია მუდმივ ხმარებაში, ჩიყვის არაფერი იციან; ხოლო მაზერში (ბეჩოს საზ.), სადაც ასეთ წყალს არ სვამენ, ბევრ ჩიყვიანს შეხვდებით.

ამ საქმის გამოკვლევაში ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: მუჟალი მდებარეობს თვეთნულდის მთის ძირში, მაზერი კი უშბის მთის ძირში. სხვა სოფლებთან შედარებით ორივე უმზეო, ნოტიო, ჭაობიან ადგილებშია მოთვსებული. მათი სასმელი წყალი გამომდინარეობს ნესტიან, ტყეებით დაფარულ ჭაობიან ადგილებიდან. თვით სვანები სწორეთ ამ გარემოებით ხსნიან ამ სოფლებში ჩიყვის გავრცელებას. ქალებს, რომლებსაც სხვა სოფლებიდან ამ სოფლის მკვიდრნი თხოულობენ, რამოდენიმე წლის შემდეგ უჩნდებაო ჩიყვი.

თვითმპყრობელობის დროს სვანეთს ექიმს უგზავნიდენ ზაფხულობით სამი თვის ვადით, ხოლო დანარჩენ 9 თვის განმავლობაში სვანეთი ამ მხრითაც უყურადღებოთ იყო მიტოვებული. რამოდენიმე წლის წინეთ ბეჩოში გაიხსნა საფერშლო პუნქტი, რომელიც, რასაკვირველია, ყველა მცხოვრებლებს ვერ დააკმაყოფილებდა. 1908 წელს სოფელ მესტიაში გაიხსნა ერთი საავადმყოფო და დაინიშნა ერთი ექიმი, ერთი ფერშალი და ერთი ბებია ქალი.

ყველაზე მძიმე დაღს სვანეთის ცხოვრებას აჩნევდა თვისი შედეგებით უექიმობა. მრავალ სიცოცხლით სავსე სვანს უსპობდა უდროოთ სიცოცხლეს ეს გარემოება. სიბინძურე, უსუფთაობა და სოფლის ექიმობის ველური წესები ხელს უწყობდენ ხალხის ჯანმრთელობის უფსკრულისაკენ გაქანებას.

ნათქვამია, წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო უექიმობის გამო სვანეთშიც სოფლის ექიმებმა ფართო ასპარეზი მოიპოვეს. ისინი ექიმობდენ მეტ წილად თოფით და ხანჯლით დაჭრილებს, ქარებით ავადმყოფთ, ძვლის ჭლექით ავადმყოფთ, ძვალგატეხილებს და სხვ...

ამ ექიმების ,,ექიმობის" დასახასიათებლათ აქვე მოვიყვან ორიოდე მაგალითს: რამოდენიმე წლის წინეთ ერთმა ასეთმა სოფლის ექიმმა ურჩია ქარებით დასნეულებულ თავის მეზობელს: ,,ჩაასხი დიდ ქვაბში წყალი, ჩაჰყარე ანწლის ფოთოლი, ძალიან გაათბე, შემდეგ შიგ ჩაწექი, ზევიდგან კი ქეჩა და საბანი გადაიხურე და რაც არ უნდა გაგიჭირდეს სიცხისაგან, ქვაბიდგან კარგა ხანს ნუ ამოხვალო".

გულუბრყვილო სვანმა თავის ,,ექიმის" დარიგებას ვერ გადაუხვია, მაგრამ რამოდენიმე წუთის შემდეგ მოხარშული ამოათრიეს ქვაბიდან.

ორი წლის შემდეგ მისმა ჭირისუფალმა შური იძია და ექიმს შვილი მოუკლა.

მეორე სვანს ქარებისაგან ფეხი უკან ჰქონდა გადაღუნული. ექიმი იმ მიზნით, რომ ავადმყოფისათვის ფეხი გაესწორებინა, მტკივანი დააკრა ფიცარზე, ზევიდგან თვითონ დააჯდა და სანამ ფეხის ძარღვები არ გაწყდა, მანამდე არ მოეშვა ავადმყოფს.

ფილტვების ანთებიანს, სახადით (ხურვება) ავადმყოფს, როცა ავადმყოფს კრიზისი დაუდგება, მყრალ არაყს ასმევენ, ძალით აჭმევენ ისეთ საჭმელებს, რომლის მონელება ავადმყოფის კუჭს არ შეუძლია. ხოლო როცა ავადმყოფი სიკვდილის პირზე მიდგება, მაშინ იციან მსხვერპლის შეწირვა: ხარს, თხას და ცხვარს თავზე შემოავლებენ, ეკლესიაში არაყს და პურს მიიტანენ და ხშირათ სამსხვერპლო საკლავსაც მიიყვანენ ხოლმე ამავე მიზნით.

ახლათ დაჭრილთ სისხლის გასაჩერებლათ ჭრილობაზე აყრიან თუთუნს, ,,მალა თუს" (ერთნაირი გამხმარი სოკოს ფერფლია) და ზედადებენ აბედს. სისხლის დენის გაჩერების შემდეგ ჭრილობაში ხშირათ უტენიან მატლს იმ მოსაზრებით, თითქოს მას ჭრილობა ისისხლხორცებდეს. ჭრილობის გამოსაშუშებლათ ხმარობენ უსუფთაო, ხელით დაზელილ ყველს, ხოლო როცა ჭრილობა გასივდება და ანთება გაუჩნდება, ღორის ქონს ან

კვერცხის ცილაში გაქნილ რაღაც ერთნაილ ბალახის (შვარა ჟაგარ) ფხვნილს წაუსვამენ ხოლმე.

ძვალი რომ ვინმეს დაუზიანდება, მაშინათვე მონახავენ ერთს მცენარის ძირს, მის განაფხეკ ცილს ტილო წააცხებენ, შემოახვევენ მტკივან ადგილზე, შემდეგ გარედგან ყავრის პატარა ფიცრებს მოუჭერენ მაგრათ ბაწრებით და ამ მდგომარეობაში ტოვებენ რამოდენიმე დღით.

ქარებიან ავადმყოფს ანწლის ფოთლის ნახარშ თბილ წყალში აბანებენ ხოლმე. თუ ავადმყოფს მუდმივი თავის ტკივილი აქვს (,,თავის ქარი“), სოფლის ექიმი პატარა დანით თავში და კისერში ბევრ ალაგას ჭრილობას აძლევს ავადმყოფს, იქიდგან ,,გლახა სისხლს“ გამოუშვებს. ფეხი თუ უსივდება ავადმყოფს, მაშინ ეს ექიმი ფეხებში აძლევს ასეთ ჭრილობებს, ზევიდგან ,,ბანკებს“ (ხარის რქაა) ადგამს და იღებს ,,გლახა სისხლს“, ამნაირად ავადმყოფი იწურება სისხლისგან და მის მორჩენას შემდეგში არაფერი შველის. ასეთ შემთხვევის მოწმედ მრავალჯერ მე თვითონ გავმხდარვარ ხოლმე.

კუჭის ტკივილის საუკეთესო წამლათ მიაჩნიათ ,,ნათავედი“ (თავი, მაგარი) არაყი, პილპილი, ნიორი, ადგილობრივი ხელობის თოფის წამალი და საკვეთი (დვრიტა).

გაციებულს ოფლის სადენათ აძელევნ ქერის თხელს ფაფას (ლუცფექ).

თვალების წამლათ ხმარობენ ქალის რძეს, რომლითაც თვალებს ირეცხავენ.

მუწუკებისა და ძირმაგარების წამლათ არის შემოღებული ნაძვის ფისი (ნეზვი მაშან) და ადგილობრივი ხელობის შავი საპონი.

წელის ტკივილის მოსარჩენად ხმარობენ მუხის ცილის ნახარშ წყალისაგან გაკეთებულ ფაფას, ავი ზნით ავადმყოფს უნთებენ წინ ღორის ჯაგარს, გოგირდს, თოფის წამალს, რომ ამათმა მყრალმა სუნმა ,,ავადმყოფობა შეაშინოს“.

შემდეგ იციან წმ. კვირიკეზე ყოველწლიურად მსხვერპლის შეწირვა: ბატკნით, თიკნით, პურითა და არაყით.

გულის ტკივილის წამალია შელოცვა.

უშვილობის წამლათ ხმარობენ რაღაც ბალახის ძირებს და გარდა ამისა ბევრი ყოველწლიურად ადიშის წმ. გიორგის ეკლესიას კვირიკობის თვეში მსხვერპლს სწირავს ხოლმე, რომ ვაჟი ეყოლოს.

აი ასეთ საშინელ პირობებში მყოფ ქვეყანას თვითმპყრობელობის დროს მხოლოთ სამი თვით დაენახვებოდა ექიმი და ამიტომაც საცოდავმა ხალხმა აქ განავითარა თავის მომსპობი ,,სოფლის ექიმობა“.

მენშევიკების დროს სვანეთს ექიმი არ უნახავს. მართალია მაშინ სამ ადგილას გაიხსნა საფერშლო პუნქტები, მაგრამ საჭირო წამლების უქონლობის გამო ისინი გულზე ხელდაკრეფილი ისხდენ და ხალხის ჯანმრთელობისათვის ვერაფერს აკეთებდენ.

ამჟამად სვანეთში არსებობს ერთი საავადმყოფო ს. მესტიაში, რომელსაც ჰყავს საკუთარი ექიმი, ფერშალი და ბებია ქალი. ხოლო სამ ადგილას: კალაში, ბეჩოში და ლახამულაში დაარსებულია საექიმო პუნქტები 5-5 საწოლით, ტანსაცმელით და საჭირო წამლობით. სულ სვანეთს ჰყავს 7 ექიმი, 2 ფერშალი და 2 ბებია ქალი.

დიდი დახმარება აღმოუჩინა სვანეთს აგრეთვე წითელი ჯვრის მიერ გამოგზავნილმა გადამდებ ავადმყოფობებთან მებრძოლმა რაზმმა.

აი მოკლეთ სვანეთის ჯანმრთელობის სურათი და მე მგონია ყველასათვის გასაოცარი და გასაკვირი უნდა იყოს ზემოთ მოყვანილი ცნობების და მაგალითების მიხედვით, რომ ამ მართლაც უყურადღებობით დაღუპვისა და მოსპობის გზაზე შემდგარ ბედკრულ ქვეყანას, დღემდის ისე უპატრონოთ მიტოვებულს, როგორც ტყეში ნადირი, კიდევ სული უდგია და თავის არსებობას ჩვენ დრომდე განაგრძობს.

იმედია საბჭოთა ხელისუფლება ყურადღებას მიაქცევს სვანეთის ხალხის ჯანმრთელობის საკითხს და შესძლებს მომავალში ამ ხალხის გაჯანსაღებას და მით იხსნის ამ ბუნების გულუბრყვილო შვილებს მოსპობისაგან. იმედია, რომ მომავალში მტკიცე საფუძველი ჩაეყრება ხალხის ჯანმრთელობის საქმეს და სასურველ დონეზე დადგება ამ მხრივ სვანეთის ცხოვრება.

თვითმპყრობელობის დროს 1908 წლამდე სვანეთის ჯანმრთელობაზე ვარაუდით იხარჯებოდა წლიურად:

ექიმი . . . . . 600 მან.
1 ფერშალი–ერთი წელი . . 360 ,,
დარაჯი . . . . . 150 ,,

მედიკამენტები . . . . . 300 ,,

სულ . . 1.410 მან.

1908 წ. – 1917 წლამდე ნავარაუდევი ხარჯთაღრიცხვა სვანეთისათვის:

ექიმის ჯამაგირი . . . . . 1.400 მან.
ბებია ქალი . . . . . 400 ,,
ორი ფერშალი . . . . . 800 ,,
ორი დარაჯი . . . . . 300 ,,
წამლები . . . . . 1.500 ,,
სამეურნეო ხარჯები . . . . . 1.000 ,,

სულ . . 6.320 მან.

მენშევიკების დროს სვანეთისთვის გადადებული ჯანმრთელობის ხარჯები კიდევ უფრო შემცირდა (ნაანგარიშევია ოქროს მანეთებით).

სამი ფერშალი . . . . . 1.080 მან.
სამი დარაჯი . . . . . 300 ,,
გათბობა–განათება და სამ. ხარჯები . . 250 ,,
მედიკამენტები . . . . . 400 ,,
სულ . . 2.030 მან.

გასაბჭოების შემდეგ ზემო სვანეთის ჯანმრთელობის ხარჯები – უკანასკნელი წლებისა:

1925 წელი.

(§ 1. მუხ. 1, 2, 3; § 2. მუხ. 1, 2, 3, 4, 6, 7, 10, 11, 12, 13)
1. ხელფასი . . . . . 26.083 მან. 20 კაპ.
2. საკანცელარიო . . . . . 200 ,, – ,,
3. სამეურნეო . . . . . 3.111 ,, – ,,
4. კაპიტალური რემონტი . . 5.000 ,, – ,,
6. სურსათი . . . . . 4.161 ,, – ,,
7. ბებია ქალის სპეც. ტანისამოსი . . . 800 ,, – ,,

10. მედიკამენტები . . . . . 6.487 ,, – ,,
11. ხელსაწყო . . . . . 700 ,, – ,,
12. ცხენების შენახვა . . . . . 280 ,, – ,,
13. ინვენტ. შენახვა . . . . . 200 ,, – ,,

სულ . 64. 855 მან.

სწავლა-განათლების საქმე სვანეთში

სვანეთი რომ რუსეთს შეუერთდა (1853 წ.), ამ ქვეყანაში არ იყო წერა-კითხვის არც ერთი მცოდნე სვანი. შემდეგ სახელმწიფო ხარჯზე იზრდება რამდენიმე სვანი. მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ხანებში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ აქ გახსნა 6 სასწავლებელი. ეს სასწავლებლები შემდეგში მთავრობის ხელში გადავიდა. ამის შემდეგ მთავრობა იწყებს სკოლების გახსნას და მის არსებობის უკანასკნელ დღემდე გახსნა სულ 15 სასწავლებელი.

ქართულ ენას საშინლად სდევნიდენ ამ სკოლებიდან. მიუხედავათ იმისა, რომ სწავლის ფულს არ ახდევინებდენ, სამოსწავლო ნივთებსაც უფასოდ იძლეოდენ, სწავლა-განათლების საქმე სვანეთში წინ ვერ წავიდა, ამის უმთავრესი მიზეზი კი ის იყო, რომ ადგილობრივათ სწავლის გათავების შემდეგ ბავშვის მშობლებს სიღარიბის გამო საშუალება არ ჰქონდათ, რომ თავისი შვილი სვანეთს გარეთ, სადმე სწავლის გასაგრძელებლათ და დასამთავრებლათ გაეგზავნათ. მოწაფე სწავლის შემდეგ ისევ უბრუნდებოდა ძველ წესსა და პირობებს. მწყემსობაში მას რამოდენიმე წლის განმავლობაში ავიწყდებოდა წერა-კითხვა. მუშაობას გადაჩვეული, მეურნეობაზე გულაცრუებული ახალგაზრდა სიზარმაცეს ეჩვეოდა და ამნაირად სკოლა სვანისათვის თავისი უშედეგობით და უნაყოფიერებით ხდებოდა ზედმეტ ბარგად და ამიტომაც მშობლები ბავშვებს სასწავლებელში არ უშვებდენ. დიდი დრო და ენერგია ეხარჯებოდა მასწავლებელს იმისთვის, რომ ჩამოეარა სოფლები, რამოდენიმე მოწაფისთვის თავი მოეყარა და მთელი წლის განმავლობაში უსაქმოდ არ დამჯდარიყო.

რევოლუციის შემდეგ სვანეთის სასწავლებლები ჯერ მთლათ უპატრონოთ დარჩა, ბევრი სასწავლებელი კიდეც დაინგრა, ზოგი ისე დაიკერა და სწავლის საქმე მთლათ გაიყინა.

მენშევიკურმა მთავრობამ სვანეთის სკოლებს ვერ მიაქცია შესაფერისი ყურადღება და გაპარტახებული შენობები ვერ განაახლა.

საბჭოთა ხელისუფლება ამ საქმესაც ყურადღებით მოეკიდა. მთავრობამ გაიღო შესაფერისი თანხა დანგრეულ, გაპარტახებულ სკოლების შესაკეთებლად და განაახლა ისინი, გახსნა რამოდენიმე ახალი სკოლა, გახსნა ბავშვთა თვშესაფარი, საიდანაც თბილისში ამჟამად ჩამოყვანილლია 40-დე ობოლი ბავშვი. სვანეთის ის ახალგაზრდობა, რომლებსაც სვანეთის სკოლებში სწავლის გათავების შემდეგ არ ჰქონდათ სიღარიბის გამო სხვაგან სწავლის დასამთავრებლად წასვლის საშუალება, დღეს თბილისში და სხვა ქალაქებში იზრდებიან მთავრობის ხარჯზე. ასეთების რიცხვი 50-ზე მეტია. ფართო ხასიათი მიიღო უსწავლელობის სალიკვიდაციო მუშაობამ.

წერა-კითხვის მცოდნე სვანეთში ამჟამად 20%-ს არ აღემატება, ხოლო სასწავლებლების რიცხვი 24 აღწევს. ამ ბოლო ხანებში გაიხსნა საზეინკლო და სადურგლო სახელოსნებო და თიხის ჭურჭლეულობის დასამზადებელი პატარა ქარხანა.

თვითმპყრობელობის დროს ნავარაუდევი წლიური ხარჯები სვანეთის სწავლა-განათლების საქმისათვის:

1) პედაგოგიური პერსონალის ჯამაგირი . . . 11.520 მან.
2) სამოსწავლო ნივთები და საკან. ხარჯები . . . 2.600 ,,

სულ 14.120 მან.

მენშევიკების დროს ნავარაუდევი წლიური ხარჯები სვანეთის სკოლებისთვის (ოქრ. მან. კურსით):

1) პედაგოგიური პერსონალის შენახვა . . 4.320 მან.
2) სამოსწავლო ნივთები . . . . . 890 ,,
3) საკანცელარიო ხარჯები და განათება . . 720 ,,

სულ 5.830 მან.

სახალხო განათლებისათვის 1925 წ. ზემო სვანეთისათვის დამტკიცებული კრედიტი.

1) ადგილობრივი ბიუჯეტიდგან (§ 1. მუხ. 1. 2. 3. 4. 5: § 8 მუხ. 1. 3. 9) . . . 19.469 მ. 85 კ.

2) სახელმწიფო ბიუჯეტიდგან (§ 1. მუხლი 2; § 18 მუხ. 2.) . . . . . 13.860 მ.

3) საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თანხებიდგან 17 ოქტომბერს . . . 30.000 მ.

სულ . 63.329 მ. 85 კ.

4) მისგანვე სვანეთში სააღმშენებლო საჭიროებისათვის: 14 ნოემბერს; 30 ოქტომბერს; 4. 5. და 18 დეკემბერს . . . . . 39.193 მ. 43 კ.

მთავრობების ყოველწლიური ხარჯები სვანეთზე

№№ რიგ.	რა საგნებზე იხარჯებოდა	თვითმპყრ. დროს	მენშევიკების დროს	ბოლშევიკების დროს (აღებულია უკანასკნ. წელი)
				1925 წ.
1	ადმინისტრაციაზე . .	5.664 მ.	5.718 მ.	75.082 მ. 62 კ.
2		14.120 მ.	5.830 მ.	63.329 მ. 85 კ.
3	სწავლა–განათლებაზე	6.320 მ.	2.030 მ.	64.856 მ. –
4	ხალხის ჯანმრთელობაზე . .	1.035 მ.	–	21.672 მ. 84 კ.
5	სახალხო სასამართლოებზე	–	–	39.193 მ. 43 კ.
	აღმშენებლობის საჭიროებისათვის . . .	27.139 მ.	13.578 მ.	264.134 მ. 74 კ.

ამნაირად საქმის დაკვირვება, საღი აზროვნება მჭევრმეტყველურათ ღაღადებს და იმ ფაქტის წინაშე გვაყენებს, რომ, რაც ბოლშევიკების მიერ ასეთ მძიმე, რევოლუციონურ პირობებში ამ მოკლე ხნის განმავლობაში გაკეთებულა და კეთდება სვანეთში, მას ოდნავაც ვერ შეედრება წინანდელი მთავრობების მრავალ წლების ნორმალურ პირობებში მუშაობა. მაგალითად, წელიწადში (თვითმპყრობელობის დროს) სამი თვით ერთი ექიმის და ერთი ფერშლის და ერთ საავადმყოფოს და ერთი ბებია ქალის მაგივრათ დღეს არის 7 ექიმი, 2 ფერშალი, 2 ბებია ქალი, 4 საავადმყოფო პუნქტი ხუთ-ხუთი საწოლით, შესაფერისი წამლებით და ტანსაცმლით; სამი თვით გამომძიებლის მოსვლის ნაცვლათ, ორი სახალხო სასამართლო, ორი გამომძიებელი; სვანეთის საბოქაულოს სვანეთის მაზრათ გადაქცევა; ერთი სამაზრო სარაიონო აღმასკომი; 4 საუბნო ადმინისტრატიული პუნქტი; ერთი

სამაზრო მილიციის სამმართველო. ყველა ამაებისათვის საჭირო შენობების აგება; ბავშვთა თავშესაფარი და მრავალრიცხოვანი სვანების შვილების სახელმწიფო ხარჯზე მიღება სხვადასხვა ქალაქებში (მარტო ქ. თბილისში იზრდება მთავრობის ხარჯზე 70 სვანი). სკოლების დანგრეულ, გაპარტახებულ შენობების შეკეთება, განახლება და აღდგენა, რამოდენიმე ახალი სკოლის გახსნა, 4 ახალი შენობის აგება ბეჩოში, სახელმწიფო სავაჭროებისა და კოოპერატივის გახსნა, სამკითხველოების დაარსება, ფოსტა-ტელეგრაფის გაყვანა; მესტიაში 20 ოთახისაგან შემდგარი ორსართულიანი ქვის სახლის აშენების დაწყება, სვანეთის აღმასკომის ყველა დაწესებულებათა მოსათავსებლათ.

იქვე მეორე ორსართულიან 20 ოთახიან ქვის სახლის აშენების დაწყება ცენტრალურ საავადმყოფოსთვის.

აბანოსათვის ქვის შენობის აგების დაწყება მესტიაში. ბეჩოში სამეურნეო სასწავლებლის გახსნა.

მეფუტკრეობის და მერძევეობის თანამედროვე წესების ხალხისათვის გასაცნობათ სპეციალისტების მიწვევა.

პურის სალეწი და გასანიავებელი მანქანების შეძენა; კლუბის დაარსება და სასადილოს გახსნა მესტიაში. ორ ადგილას რადიო სადგურის მოწყობის განზრახვა. საკრედიტო ამხანაგობის დაარსება.

წერა-კითხვის უწოდინართა სალიკვიდაციო მუშაობა. კინოს შეძენა.

საზეინკლო და სადურგლო სახელოსნოების გახსნა; თიხის ჭურჭლეულობის ხალხისათვის მისაწვდენათ თიხის პატარა ქარხნის გახსნა. და, რაც უმთავრესია, ფეოდალური უღლის სიმძიმისაგან ხსნა და გლეხკაცობის მძიმე გადასახადებისაგან განთავისუფლება და სხვა...

სვანეთის ეკონომიური მდგომარეობა

სვანი ცხოვრობს ორსართულიან ქვის სახლში. თითქმის ყოველ მოსახლეს აქვს მაღალი 4-5 სართულიანი ციხე თავის სახლზედ მიშენებული. გარშემო სვანურ სახლებს ზღუდე-გალავნები არტყია. სახლის ზედა სართულში სვანი ინახავს თივას,

ბზეს, ჩალას და სხვ... ქვედა სართულში ზამთრობით თვითონ ცხოვრობენ. შუაში უნთიათ დიდი ცეცხლი, უდგიათ ამ ცეცხლთან კერა, რომელიც დახურულია თხელი ქვის ფიცრით, ამაზედ აცხობენ პურს დილას, სადილათ, საღამოს – ვახშმათ. ცეცხლისა და კერის გარშემო ხის ფიცრის სკამებზე სხედან ოჯახის წევრები, ხოლო ოჯახის უფროსისათვის განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნათ უდგიათ განსაკუთრებული სკამი (საკარცხვილ). ხოლო სტუმრებისათვის იქვე უდგიათ სავარძლისებური საჯდომი– ლურგმალ; გარშემო უბიათ ხარი, ძროხა, ცხენი, ცხვარი, ღორი, თხა და სხვ.... ხოლო ზაფხულობით თვითონაც გადადიან საზაფხულოთ აგებულ სახლებში და პირუტყვებსაც ათავსებენ ცალკე ბაგებში. სვანურ სახლს ???????? ფანჯარა. ამიტომ სინათლესა და მზის სხივებს სრულიათ მოკლებულია. ამის ახსნა ასე შეიძლება: ერთი კარი და სამი ფანჯარა ხელსაყრელია სვანისათვის, რომ მტერი უფრო ადვილათ მოიგერიოს და სახლში არ შეუშვას და თან სიცივისაგანაც უფრო დაიცვას თავი. შუაში დანთებულ დიდი ცეცხლისაგან ხშირათ ისეთი კვამლი დგება სახლში, რომ ერთმანეთს ვეღარ ხედავენ და სუნთქვას უშლის კაცს. კვამლის გასავალი სვანურ სახლს არსაითკენ არ მოეპოვება და ისეთ მჭვარტლს იკიდებს შიგნით, რომ აბინძურებს ყველაფერს. ერთათ-ერთი კვამლის გასავალი არის კარები, მაგრამ თუ კარები გააღეს, სიცივით აკანკალდებიან ხოლმე, თუ არა – კვამლისაგან იხრჩობიან.

ნავთის მაგიერობას სვანეთში სწევს **კვარი** და არყის ხის გამხმარი ქერქი სახლის გასანათებლათ. სვანეთში ძებს გაყოფა ძალიან ეზარებათ, უმეტეს შემთხვევაში ერთათ ცხოვრობენ და ამიტომ ხშირათ სვანის ოჯახის შემადგენლობა 20-30 კაცამდის აღწევს. ცოლ-ქმარი შვილებითურთ ერთათ წვებიან, ქვეშ უგიათ ჩალა, თივა ან ქეჩა; ზევიდგან იხურავენ ადგილობრივი შალების და ბამბის საბნებს.

ზამთრობით სვანები იკვებებიან უმთავრესად ქერის პურით და მოხარშული ცერცვით. პურსა და ხორცს ხმარობენ მხოლოდ დღესასწაულებზე, რაიმე წვეულებაზე; ზაფხულობით მათ საჭმელს შეადგენს: პური, მაწონი და ყველი. უმრავლესობას სარჩო-სანოვაგე ელევა გაზაფხულზე და ამიტომ იძულებულნი არიან ხშირათ სამეგრელოდან, ლეჩხუმიდან და სხვა მეზობელ

კუთხეებიდან ზურგით 2-3 ფუთი სიმინდი გადმოიტანონ სვანეთის მიუვალ მთებზე, ხოლო ვისაც ცხენი ყავს, მას მიაქვს ცხენით.

უმთავრესი ადგილი სვანების ეკონომიურ ცხოვრებაში უჭირავთ: მიწის დამუშავებას, მესაქონლეობას, მეფუტკრეობას, მაგრამ, სამწუხაროთ, პრიმიტიული წესებით წარმოების გამო მეურნეობის არცერთი დარგი არ არის იმდენათ განვითარებული და სასურველ ნიადაგზე დაყენებული, რომ თავისი ნაყოფიერებით რამოდენიმეთ მაინც უზრუნველყოს სვანების ცხოვრება. მიწის ხვნა სვანეთში უნდა იწყებოდეს აპრილის პირველ რიცხვებში, მაგრამ რადგანაც მაშინ ყანები კიდევ დიდი თოვლით არის დაფარული, ამიტომ თოვლზე აყრიან მიწას, რომელიც თოვლს მალე ადნობს და სვანიც აღნიშნულ დროიდგან ხნავს მიწას სახნისით 3-4 ვერშოკის სიღრმეზე. პირველად სთესენ პურს, ცერცვს, მუხუდოს, ქუბას, შემდეგ ქერს, ზოგიერთ ადგილას სიმინდს, ფეტვს, შვრიას, კანაფს და ოსპს. ზოგან პურს სთესენ აგრეთვე ????????

მიწის გასანოყიერებლად სვანები ხმარობენ ნაკელს. ყანების მოწყვა არ არის შემოღებული. რწყავენ მხოლოთ სათიბებს. სახნავ-სათესი ადგილი ღარიბ გლეხს აქვს 5-6 დღიური, საშუალოს – 10-12, მდიდარს – 15-20 დღიურამდე.

თითქმის ნახევარზე მეტი ითესება ქერი, რადგანაც ყველაზე კარგ მოსავალს ქერი იძლევა და, გარდა ამისა, ქერისაგან აკეთებენ არაყს, რომელიც სვანეთში ღვინის მაგიერობას სწევს. არაყს აგრეთვე ჰყიდიან ფართალზე, ფულზე და საქონელზე. ქერის შემდეგ ნახევარ ადგილზე სთესენ პურს, მეორე ნახევარზე–ცერცვს, მუხუდოს, ფეტვს, სიმინდს, კანაფს, კარტოფილსა და სხვ...

არის ისეთი ადგილები, სადაც ქერის მეტი მოსავალი არაფერი მოდის, მაგალითად, უშგულის საზოგადოება (მდებ. ენგურის სათავეში), მაგრამ, სამწუხაროთ, აქ ხშირათ არც ეს ქერი შემოდის და ამ ქვეყნის მკვიდრნი ნიადაგ შიმშლობას განიცდიან.

ბოსტნეულობა აქ კარგად ხარობს. დასავლეთის საზოგადოებებში კარტოფილი დიდ მოსავალს იძლევა. სიმინდი ითესებოდა უწინ მარტო სადადეშქელიანო სვანეთში. ამჟამად მას სთესენ თავისუფალ სვანეთის დასავლეთის საზოგადოებებშიც.

აგრონომიული დახმარება სვანებისათავის ამჟამად შეიძლება მიწის დამუშავების კულტურული წესის შემოღებით,

გაუმჯობესებული იარაღების გავრცელებით, მეტმოსავლიან თესლეულობის მიწოდებით და სხვ...

მეფუტკრეობა სვანეთში

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სვანეთი არის შექმნილი მეფუტკრეობისათვის. თანდათანობით ანუ პერიოდული აყვავება თაფლოვანი მცენარეებისა აქ გრძელდება ახალ გაზაფხულიდგან შემოდგომამდე. თაფლოვანი ყვავილებით მდიდარი ტყეებისა, მინდვრებისა და მთების სიახლოვე ფუტკარს უადვილებს თავის ოჯახის გამდიდრებას. სვანური ფუტკარი ცნობილია საუკეთესო ფუტკრათ, თაფლი – უმაღლეს ხარისხოვნათ. გამოცდილებამ დამანახვა, რომ დადანის სისტემის სკა იძლევა წელიწადში სულ ცოტა 20 გირვანქიდან 1 ფუთამდე მოსავალს. ბევრია სვანეთში ისეთი მოსახლე, რომელსაც 100-ზე მეტი ძირი სკა ჰყავს, მაგრამ თვალსაჩინო სარგებლობას ვერ ღებულობს პირველყოფილი წესით წარმოების წყალობით. თაფლის გამოღების დროს სვანი – რომ ფუტკარმა არ უკბინოს და თაფლის გამოღება გაიადვილოს – ირჩევს თაფლით ყველაზე მდიდარ სკას, ასხამს წყალს ფუტკარს და ახრჩობს. ასეთი ბარბაროსული წესით და მოქმედებით ის სპობს ყოველწლიურათ რამოდენიმე სკას.

სვანმა რომ შესაფერისი ცოდნა მიიღოს მეფუტკრეობის წარმოების საქმეში და ეს საქმე თანამედროვე კულტურული წესით აწარმოვოს, ვიმეორებ, – თვითეული სკიდგან შეუძლია წელიწადში გამოიღოს 1 ფუთი თაფლი. სვანური თაფლი გირვანქა ღირს უკანასკნელი 30 კ., ასე რომ თვითეული სკის მოსავალი ფულზე რომ გავყიდოთ, მივიღებთ 12 მ., ხოლო 100 სკიდან – 1200მ., ამას მიემატება ნაყარი, სანთელი და სხვ... ასეთს გლეხს სახნავ-სათესი ადგილიც რომ არ ჰქონდეს, როგორც ვხედავთ, შეუძლია 1200 მან. წლიურათ მიიღოს და მშვენივრათ იცხოვროს.

ხე-ტყე სვანეთში ბლომათ არის. მასალის დამზადება სვანს საკუთარი ხელით შეუძია. ფუტკარი თითქმის უმრავლესობას ჰყავს. საჭიროა მხოლოდ ხალხს მიეცეს საშუალება შეისწავლოს მეფუტკრეობის თანამედროვე წესები, რაც შეიძლება სვანეთში სამეურნეო სკოლის გახსნით, მოზრდილთათვის ყოველწლიურათ

კურსების მოწყობით, სკების დასამზადებლად და გასავრცელებლად სახელოსნოს გახსნით და სხვ.

მესაქონლეობა სვანეთში

მესაქონლეობას შეუძლია დაიჭიროს სვანეთის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი, მაგრამ ხანგრძლივი – 7-8 თვიანი სუსხიანი ზამთარი, სათიბების სივიწროვე, ბევრს ადგილას მთების სიშორე და უგზოობა ხელს უშლიან ამ საქმის სასურველ ნიადაგზე დაყენებას. გარდა ამისა ყანების დამუშავება, საზამთრო შეშის დამზადება, მთელი წლის სარჩოს მომარაგება სვანეთში ხდება 3-4 თვის განმავლობაშ და ამიტომ თივის დიდი მარაგის დამზადებას ვერ ასწრებენ და ამიტომ ბევრი საქონლის შენახვა არ ხერხდება, თუ განსაკუთრებით ამ ერთ დარგს არ მოჰკიდა ხელი კაცმა. მიუხედავათ ამისა, ღარიბ გლეხს ჰყავს 1-2 ხარი, ორიოდე ძროხა, საშუალოს – 2-4 ხარი, 4-5 ძროხა და მდიდარს – 4-8 ხარი და 7-9 ძროხა. საქონელი სვანეთში ორი ჯიშისაა: ერთი ადგილობრივი, მეტათ გამძლე და გამოსადეგი, მეორე – ჩერქეზული, ძალიან ლამაზი, ტანადი და ღონიერი.

რძიდგან თუ კარაქი კეთდება, ამაზე წარმოდგენა სვანს არა აქვს, მაშინ როდესაც აქაური რძიდან შეიძლება გაკეთდეს პირველხარისხოვანი კარაქი და ყველი. ამჟამად რძიდგან აკეთებენ მხოლოთ ყველსა და მაწონს, რაც ზაფხულობით სვანეთისათვის უმთავრეს საჭმელს შეადგენს. მესაქონლეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა: კარგი ჯიშის ძროხების გავრცელება და უმთავრესად ბუღების მიწოდება.

სვანეთის ტყეები

სვანეთი უხვათ არის დაჯილდოვებული ყოველგვარი ბუნებრივი სიმდიდრით: ხე-ტყით, ოქრო-ვერცხლით, სამკურნალო წყლებით. მათ დამუშავებას და საქმისათვის გამოყენებას მომავალში მნიშვნელობა ექნება არა მარტო სვანეთის, არამედ საქართველოს ეკონომიური აღორძინებისთვისაც. სვანეთის ტყეები

შესდგება უმთავრესათ: ფიჭვისა, ნაძვისა, წიფლისა, თელისა, მუხისა და არყის ხისგან. არის ისეთი სოფლები, მაგალითათ უშგული და ხალდე, სადაც არყის ხის გარდა თითქმის არაფერი მოიპოვება. ამჟამად დაწყებულია ამ ტყეებით სარგებლობა ანუ ექსპლოატაცია და ხე-ტყის გატანის საქმე ენგურისა და ცხენის წყლით ფართო ხასიათს ღებულობს.

ვაჭრობა-მრეწველობა

სვანეთის უდაბურ ტყეებში ბევრია დათვი, კვერნა, მელა და სხვა ნადირი. სვანები მთაზედ ნადირობენ და მოაქვთ ყოველწლიურათ ბაზარზე გასაყიდათ 500 მეტი კვერნა, მელა, მგელი და დათვი, რომლებსაც სცვლიან ან პირდაპირ ფართალზე ან ჰყიდიან ფულზე და ამ ფულით ყიდულობენ ცხოვრებისათვის პირველ საჭიროების საგნებს. ნადირობენ აგრეთვე ჯიხვ-არჩვზეც, რომლებიც სვანეთის მთებში და კლდეებში ჯოგობით არიან. ძველ დროში მთაზე ნადირობას სვანეთის ცხოვრებაში თითქმის უმთავრესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამას, სხვათა შორის, როგორც არის ზემოთ ნათქვამი, გვიმტკიცებს სვანეთში არსებული მრავალი გადმოცემა და აგრეთვე სტრაბონის ცნობები, რომელიც, სხვათა შორის, სწერს: ,,სვანები მარტო ნანადირევის ხორცით, რძით და ტყის ხილეულობით იკვებებიანო“.

ჯიხვ-არჩვის ტყავებისაგან სვანები იკერავენ ქურქებს, ხორცს სჭამენ და რქებს ან ეკლესიას შეწირავენ ან ჰყიდიან. უმრავლესობა კი მათ აგროვებს, ინახავს, როგორც ძვირფას განძს და თავის ოჯახის მშვენებათ სთვლის.

გაცვლა-გამოცვლითი მრეწველობა

გარდა მიწის დამუშავებისა, მეფუტკრეობისა, მესაქონლეობისა და ნადირობისა, სვანები აწარმოებენ გაცვლა-გამოცვლითი მრეწველობას. მიაქვთ თერგისა და ყუბანის ოლქებში ზაფხულობით ზურგით: არაყი, ჩირი, დაფქული მსხალი, თაფლი და სხვა ხილეულობა, ადგილობრივი ხელობის კალათები და

სცვლიან მატყლზე, ქეჩებზე, შალებზე და სხვა. ამ მატყლისაგან სვანის ქალები აკეთებენ მშვენიერ შალებს, ქუდებს. შალებისაგან მამაკაცები იკერავენ ჩოხებს, ხალათ-შარვალს და ტომრებს. იყო დრო, როცა ფართლის მაგიერობას ყველა სვანებისათვის ეწეოდა ეს ადგილობრივი ხელობის ტილო და ფართლის ტანისამოსი თვადების გარდა არავის ეცვა. კანაფისაგან სვანები აკეთებენ აგრეთვე მშვენიერ სამარხო საჭმელებს, ხაჭაპურებს და აგრეთვე ზეთს, რომელსაც ხშირად წამლათ ხმარობენ.

საპონს სვანები თვითონ აკეთებენ. ნოემბრის პირველ რიცხვებში სვანები – 15-50 წლამდე მამაკაცები – რამოდენიმე თვით ტოვებენ თავიანთ კერას და მიდიან სამუშაოთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. ისინი იცხობენ ორი კვირის სამგალს, იკიდებენ ამას გუდებით ზურგზე და სტოვებენ ოჯახს, ცოლ–შვილს და მიემგზავრებიან შორეულ ქვეყნებში, მაგრამ მრავალი სვანი ხდება ამ მოგზაურობის მსხვერპლი ან გაცივებისაგან ან მთაზე ატეხილ ქარბუქისა და ზვავისაგან. გაზაფხულზე, აპრილის შუა რიცხვებში, სვანები ბრუნდებიან თავიანთ ოჯახებში. ამ ხნის განმავლობაში ისინი ეწევიან დაქირავებულ შრომას. ქირათ ღებულობენ ფართალს ან ფულს და ცხენებს. ამ ფულით იძენენ ოჯახისათვის საჭირო საგნებს, ხოლო ვისაც სამუშაოთ წასვლა არ შეუძლიან, მას მიჰყავს ენკენისთვეში ცაგერში გახსნილ ,,ვაჭრობაზე“ ან ქუთაისში: ხარი, ძროხა, ცხენი, თხა და სხვა... და სცვლიან ამაებს ან პირდაპირ ფართალზე ან ფულზე და ამ ფულით იძენენ, რაც ესაჭიროებათ.

ვისაც ცხენი ჰყავს, ისინი მარილს შემოდგომაზე იძენენ, მაგრამ ასეთი საშუალება ყველას არ მოეპოვება და ნახევარზე მეტი ხალხი მთელი წლების განმავლობაში რჩება უმარილოთ.

მაისში სვანები მიდიან სათიბავათ იმერეთისა და სამეგრელოსაკენ, ხოლო მარიამობისთვეში მთელი სვანეთის ვაჟკაცობა თერგისა და ყუბანის ოლქებში მიდის სათიბავათ და შრომის ფასად ღებულობს 3-4 წლის მოზვრებს და ხცენებს. ამნაირათ ყოველწლიურათ შემოდის სვანეთში უცხო ქვეყნიდან კარგი ჯიშის საქონელი 500–1.000 სულამდე. ზამთრობით სამუშაოთ წასულთა რიცხვი 2.000 კაცს აღწევს, გაზაფხულზე სამუშაოთ წასულთა რიცხვი 250 კაცამდე აღწევს, ხოლო მარიამობისთვეში

ჩრდილო კავკასიისკენ სამუშაოდ წასულთა რიცხვი 500–1.000 კაცს აღემატება.

პატარა სვანეთი და მისი ეკონომიური მნიშვნელობა

პატარა სვანეთი ჰქვია ამ ბოლო ხანებში აფხაზეთში გადასახლებულ სვანთა ახალშენს. მიწის სივიწროვისა და უნაყოფობის გამო სვანი ყოველწლიურათ იძულებული ხდებოდა სარჩო-სანოვაგე სხვა ქვეყნიდან შემოეტანა. ვისაც ცხენი ჰყავდა, უფრო იოლათ გამოდიოდა, მაგრამ საშინელებას წარმოადგენდა ეს საქმე იმ სვანისათვის, რომელაც ზურგით უნდა გადმოეტანა 2-3 ფუთი სიმინდი 70 ვერსის მანძილზე.

ლეჩხუმიდან სვანეთის საშინელ მთის მწვერვალებზე მოგზაურობის მძიმე პირობებში, ყველასათვის ადვილი წარმოსადგენი უნდა იყოს, თუ რა ტრაღიკულ მდგომარეობას წარმოადგენდა ის უბედური მოვლენა, როცა შიმშილისაგან ატირებული სვანის ცოლ-შვილი, ზურგით მოტანილ ლუკმის მოლოდინში, მის ნაცვლათ ხშირად ღებულობდა ცნობას ოჯახის ასეთი ტვირთით მარჩენალის მთაზე ზვავისაგან დახრჩობის შესახებ, ან მის გაცივებულ გვამს იხილავდა საკაცით. ასეთი უნუგეშო მდგომარეობის გამო სვანებმა დაიწყეს სვანეთს გარეთ ამ ცხოვრების აუტანელ პირობებისაგან გამოსავალ გზების ძებნა და ოცი წლის წინეთ იწყებენ თავის ქვეყნის მიტოვებას და აფხაზეთისკენ გადასახლებას, სახელდობრ ,,დალში“ დასახლებას.

მალე სვანები მიწის ნაყოფიერებამ დაარწმუნა იმაში, რომ იქ დასახლება მათთვის ხელსაყრელი იყო და ამიტომ ბევრი მთლათ სტოვებდა სვანეთშ და სამუდამოთ იქ მიდიოდა საცხოვრებლათ. ამნაირათ, იქ გადასახლებულთა მიწა-წყალი, სარჩო-სანოვაგე სვანეთში დარჩენილთა ხმარებაში გადადიოდა. ამან დიდი დადებითი როლი ითამაშა სვანეთის ეკონომიურ ცხოვრებაში და ის ცვლილებები შეიტანა მასში, რომ თუ დღემდე სვანი სურსათს ზურგით ეზიდებოდა გარეშე ქვეყნებიდან, დღეს იშვიათად აქვს ამას ადგილი, და ვისაც სჭირდება – ადგილობრივათ შოულობს შეაძენ სურსათს. ამნაირათ სვანები წლიური სარჩოს მესამედის სხვა ქვეყნიდან შეძენის საშინელებისაგან ამ გარემოებამ იხსნა და,

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზემოხსენებულ სვანთა ახალშენის გაფართოვებას, ცხოვრების ხელსაყრელ პირობების შექმნას, მის კულტურულათ აყვავებას და იმ აუარებელ მიწა-წყლის ცხოვრებისათვის გამოყენებას და სარგებლობას, რომლებითაც დღემდე არ სარგებლობდა, ამ ქვეყანაში შეუძლია სამუდამოთ მტკიცე საფუძველი ჩაუყაროს სვანების ეკონომიურ სიდუხჭირისა და ყოველგვარ მძიმე პირობებისაგან ხსნას, განთავისუფლებას და ქონებრივათ სასურველ დონეზე დაყენებას მომავალში. ეს პატარა სვანეთი ამჟამათ შესდგება 420 კომლისაგან. მცხოვრებთა რაოდენობა იქ 4.500 კაცს აღემატება. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს სადღაც უდაბურ ტყეებში და ღრე-კლდეებში მიგდებული კუთხე სრულიად მოკლებულია ყოველგვარ კულტურულ საზრდოს და სწავლა-განათლებას. ხალხს სწყურია სწავლა, მაგრამ მასწავლებელი არა ჰყავს. ეკონომიური პირობები ხელს უწყობენ, მაგრამ კულტურულათ გაჯანსაღება არ ეტყობა. ხალხი თხოულობს მზრუნველობას. წარსულ წლის იანვრის ბოლო რიცხვებში თბილისში გამოგზავნეს საქართ. საბჭოთა მთავრობასთან შუამდგომლობის აღსაძრავად დელეგაცია. მათი სიტყვებიდან გამოირკვა, რომ არავითარი კულტურული დაწესებულება ამ ქვეყანაში არ არსებობს. ერთად ერთი სასწავლებელი, რომელიც აქ დაარსებულა რამოდენიმე წლის წინათ, მასწავლებლის სიკვდილის შემდეგ დაკეტილა. თხოულობენ 2 სასწავლებლისა და 2 საფერშლო პუნქტის გახსნას, ხალხიც თავის მხრით მზათაა თავისი წვლილი გამოიღოს და მთავრობის მოთხოვნილებები მათ დასაარსებლათ შეასრულოს. საბჭოთა თაოსნობა და, იმედია, ადგილობრივი ხელისუფლება ჩვეულებრივათ ყურადღებას მიაქცევს სვანთა ახალშენის გათვითცნობიერებას და კულტურულათ აღორძინებას.

სვანეთის გზების შეკეთება და გაყვანა

უგზო-უკვლობის გამო სვანეთი მოწყვეტილია მთელს ქვეყნიერებას, მეტადრე ზამთრობით 7-8 თვის განმავლობაში, როცა თოვლისაგან იკეტება ის მთებზე და მაღალ კლდეებზე მიმავალი საცალფეხო გზაც კი რომელზედაც მოგზაურობა სვანისა და გამოცდილი ტურისტის მეტს არავის შეუძლიან. მართალია,

ცხოვრების სიდუხჭირე სვანებს იძულებულს ხდის ზამთრობითც ფეხზე თხილამურ აკრულნი გადავიდ-გადმოვიდნენ ამ მთებზე, მაგრამ მრავალი სვანი გამხდარა ყოველწლიურათ ასეთი საშინელი მოგზაურობის მსხვერპლი. ხშირათ ამ მთებზე უცბათ იცვლება ამინდი და მთის ძირში რომ გზას გაუდგებიან, კარგი ამინდით მოტყუებულნი რჩებიან, რადგანაც მთების მწვერვალებზე ასვლამდე ამინდი იცვლება და ისეთი ქარბუქი ასტყდება ხოლმე, რომ ერთი კაცი მეორეს ვეღარ ხედავს, გზას ვერ აგნებენ და ან უნდა დასხდნენ და იქვე სული დალიონ ან უნდა გადაცვივდნენ სადღაც ხრამში და ჩაეშვან უფსკრულში. ხშირათ, და უმეტეს შემთხვევაში, ამ მთებზე მიმავალნი ხდებიან მსხვერპლი ზევიდგან ჩამოსული დიდ თოვლის ზვავებისა. ზაფხულობით სვანეთი უკავშირდება ლეჩხუმ–ქუთაისს და საქართველოს სხვა კუთხეებს ლატფარის მთაზე (11.000 ფ.) მიმავალი საცხენე გზით, ხოლო სამეგრელოს და აფხაზეთს და სხვა კუთხეებსაც – ლენხერის გზით. ზაფხულობით ფეხით მიმოსვლა ამ ქვეყნებისაკენ არის აგრეთვე ლასილის, უსკვირის (ლაჰლა), ვანის და ანდრიანის მთებითაც. თერგისა და ყუბანის ოლქებს უკავშირდება სვანეთი მხოლოთ ზაფხულობით 8 თვით: ჩუბეხევის (დონღუზორუნი), ბეჩოს, მესტიის, მულახის მთებზე მიმავალი გზებით.

ლატფარის მთის საცხენე გზა იხსნება ივანობისთვის შუა რიცხვებიდგან და იკეტება ოქტომბრის პირველ რიცხვებში. მრავალი სვანი, მისი სიმინდითა მარილით დატვირთული ცხენით, გამხდარა ამ გზის მსხვერპლი, მაგრამ 1912 წელს თვით ხალხმა გაიყვანა ამ მთზე 20 ვერსის მანძილზე მშვენიერი გზა და მით განთავისუფლდა ასეთი უბედურებისგან. ლენხერის გზის გაკეთებას მთავრობა შეუდგა ჯერ 1857 წელში, მერე – 1910 წ., მაგრამ მუშაობამ უნაყოფოთ ჩაიარა.

ამჟამად საბჭოთა ხელისუფლება ემზადება სვანეთში გზების გასაყვანათ და თუ სვანეთის ამ ყოფნა-არყოფნის საკითხის გადაჭრაში მან მტკიცე ნაბიჯი გადადგა, იმედია, ახლო მომავალში სვანეთის მრავალტანჯულ გლეხკაცობას გაეღება ჭიშკარი განათლების სხივებით ამ ქვეყნის მოსაფენათ და იქნება ცხოვრების ყოველგვარ მძიმე პირობებისაგან განთავისუფლებული. დიახ, სვანეთი ამჟამად მოწყვეტილია, უგზო-უკვლობის გამო, მის გარშემო მოსახლე ერებს, კულტურულ ცენტრს და ეს არის

უმთავრესი მიზეზი სვანეთის სიბნელისა, უკულტურობისა, ეკონომიური სიკოტრისა და ყოველგვარ აქ არსებულ ცხოვრების მძიმე პირობებისა. ამიტომ უმთავრესი ყურადღება მთავრობამ უნდა მიაქციოს სვანეთში გზის გაყვანას. გზის გაყვანა სვანეთში ხელს შეუწყობს არა მარტო ამ ქვეყანაში სასურველ მდგომარეობის შექმნას და ხალხის გაბედნიერებას, არამედ თვით საქართველოს ეკონომიურათ აყვავებას და პოლიტიკურათ სვანეთთან მჭიდროთ დაკავშირებას, ვინაიდგან გზის გაყვანა გააადვილებს სვანეთიდგან ბევრ იქ არსებულ სიმდიდრის გამოტანას და ცენტრთან გაერთიანებას. ხოლო სანამდე სვანეთს ამ ჯურღმულიდგან და ღრე-კლდეებიდგან გამოსავალი, კულტურულ ცენტრებთან დამაკავშირებელი გზები არ ექნება, მანამდე ფუჭი იქნება ყოველგვარი მუშაობა და მზრუნველობა ამ ქვეყნის კეთილდღეობისათვის. გზა, გზა და მხოლოდ გზა იხსნის სვანეთს სიბნელისა და ყოველგვარ უბედურებისაგან და მის გაკეთებით გადაწყდება სვანეთის ბედ-იღბალი.

კოოპერატივები

სვანეთში დღემდის არ ყოფილა არავითარი კოოპერატიული მუშაობა. კერძო ვაჭრობაც არ სწარმოებდა ადგილობრივათ. ერთ დროს ორიოდე სომეხი ვაჭრობდა აქ და მანუფაქტურის დუქნები ჰქონდათ გახსნილი ბეჩოში. სომხებმა რომ აქ ვაჭრობას თავი დაანებეს, სვანეთში ორმა-სამმა სვანმა დაიწყო ვაჭრობა. ერთმა კალაში გახსნა სავაჭრო, მეორემ მულახში და მესამემ ლატალში, მაგრამ საჭირო საქონლის გარდა მათ სავაჭროებში ყველაფერს ნახავდით. ამ გარემოების წყალობით სვანეთში ყველა მცხოვრები, განსაკუთრებით მოსამსახურეები, განიცდიან დიდს გაჭირვებას. მახსოვს, მაგალითათ, რომ ხშირად სოფლის მასწავლებლებს ლამპის შუშა რომ გაუტყდებოდათ, რამოდენიმე თვეების განმავლობაში ან უნდა დამსხდარიყვნენ სიბნელეში, ან იძულებული ხდებოდენ ექირავებინათ კაცი, გაეგზავნათ ის 120 ვერსის მანძილზე შუშის შესაძენათ ცაგერში ან ჯვარში. დაქირავებულ კაცს დღიურ ქირათ აძლევდენ 1 მ. და ერთი კვირის საგძალს. თუ მას კარგ პირობებში უხდებოდა მგზავრობა,

ერთ კვირაში უკან ბრუნდებოდა და ლამპის შუშა მოსამსახურეს უჯდებოდა 7 მ. 20 კ. (ე. ი. ერთი მესამედი თვიური ჯამაგირისა), ხოლო თუ მეტ ხანს დააგვიანდებოდა – მეტიც. რამე უბედურება რომ ეწეოდა ასეთს დაქირავებულს, მისი ჭირისუფალნი მედიატორულ სამართალში მოსთხოვდნენ ხოლმე გამოსვლას. მის დამქირავებელს. ასეთივე ისტორია აქვს ნავთის, მარილის და სხვა საჭირო საგნების შეძენას.

ცხოვრების ასეთი პირობების წყალობით სვანეთში სამსახურში წასვლაზე ძალიან უარს აცხადებდა ყველა. ხშირათ თვით სვანეთის ინტელიგენციაც სვანეთს გაურბოდა. უმაღლეს სწავლა დამთავრებულნი ადგილობრივი მკვიდრნი აქ ცხოვრებას ხომ სულ ვერ ახერხებდენ. ამ მხრივ პირველი მაგალითი მათ უჩვენა განსვენებულმა ექსევასტი გაბლიანმა და ბოლო დროს ექიმმა გიორგი ნიჟარაძემ. ამჟამად სვანეთში მთავრობამ გახსნა ორი სავაჭრო და შემდეგ ერთი კოოპერატივი მესტიაში. განზრახულია გაიხსნას კოოპერატიული განყოფილება ბეჩოში და ლახამულაში. მოსამსახურეებს დღეს შეუძლიათ ადგილობრივათ შეიძინონ მათთვის საჭირო საგნები. ეს სვანეთის ცხოვრებაში იშვიათ მოვლენათ ჩაითვლება და, იმედია, მომავალში სათანადო ორგანოები ამ საქმის გაფართოებას სვანეთში ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ.

სამკითხველოები

სამკითხველოები ძველ დროში სვანეთში არ არსებობდა. ჟურნალ-გაზეთების წაკითხვის საშუალება ადგილობრივ მოსამსახურეებს არ ჰქონდათ. მთელი წლების განმავლობაში არ ესმოდათ არაფერი მათ გარშემო მომხდარ ამბებზე და ამნაირად მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ სულიერსა და გონებრივ საზრდოს და რამოდენიმე წლის განმავლობაში ეს გარემოება გადაგვარების დაღს აჩნევდა სვან ინტელიგენტს.

ხშირათ იქერდენ გაზეთებს, მაგრამ ცაგერიდგან ისინი არ მოჰქონდათ ფოსტის ზურგით მოსატანათ გაგზავნილ ჩაფრებს. სვანს რომ რუსეთში სალდათათ მყოფ შვილისათვის ფული გაეგზავნა, ხშირათ იცხობდა ერთი კვირის საგძალს, მიდიოდა

მთებით ცაგერისაკენ და, თუ არ იღუპებოდა მთზე ზვავისა და ქარ-ბუქისაგან ხრამში ანუ უფსკრულში გადავარდნით და მშვიდობიანათ იმგზავრებდა, ჩადიოდა ცაგერში, გზავნიდა ფულს რუსეთში, ხოლო თვითონ უკან ბრუნდებოდა და ამნაირად 5-10 მ. გაგზავნა სვანს უჯდებოდა 7-10 მანეთამდე. ამჟამად დაწყებულია მუშაობა ჯვარიდგან სვანეთამდე ტელეგრაფისა და ტელეფონის გასაყვანად და ახლო მომავალში იქნება დამთავრებული. გახსნილია სამკითხველოები: მესტიაშ, მულახში და სხვ.

სვანები და სვანური ენა

მრავალი მეცნიერული საბუთი ნათლათ ღაღადებს სვანებისა და დანარჩენ მის მომმე ქართველ ტომების ერთიანობაზე და ნათესაობაზე. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ამ საკითხზე დღემდე გრძელდება ბუნდოვანი აზრების გამოთქმა და ფაქტების დამახინება იმ პირების მიერ, რომლებსაც საქართველოს წარსულზე თითქმის არაფერი გაეგებათ და მათ მიერ ასეთი აზრების გამოთზმა მხოლოდ ძველ დროშ საქართველოში გაძლიერებულ გამარუსებელ პოლიტიკის ნაკარნახევათ უნდა ჩაითვალოს. ზოგი მათგანი ამბობს, რომ სვანები სულ სხვა ტომ-მოდგმის ხალხია, არავითარი საერთო და ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართველებსა და მათ შორის არ არსებობს. სვანურ ენას არავითარი მსგავსება და ნათესაობა ქართულ ენასთან არ აქვსო და სხვა...

აი, მაგალითათ, რას სწერენ ამაზე ბ.ბ. **ტეპცოვი** და **სტოიანოვი.**

პირველი ამბობს: ,,თვითეულ საზოგადოებას სვანეთში აჩნევია თავისებური და განსაკუთრებული ტიპიური დაღი. სვანეთში მყოფს ადვილათ შეუძლია გაარჩიოს უშგულელი მულახელისაგან, ლახამულელი მესტიელისაგან და სხვა... უშულელია წვრილი, შავგვრემანი და სულით მგოსანი. მესტიელი ნამდვილი მკვიდრია იაროსლავის გუბერნიისა: იგივე ქერა წვერი, მუდამ მოცინარე მოძრავი თვალები. მულახელი წარმოადგენს ნამდვილ მალოროსიელს არა მარტო შეხედულებით, არამედ ხასიათით, ყოფა–ცხოვრებით, იგივე ზაპოროჟელი ,,მუჟიკის“ ულვაშები, მძიმე სიარული, დაღვრემილობა და სხვა“ [123])...

როგორც დაინახავს მკითხველი ამ ამონაწერიდან, ბ-ნი ტეპცოვი ტიპიურ განსხვავებას უფრო ნახულობს თვით სვანეთის ამა თუ იმ საზოგადოებაში მცხოვრებ ძმებს შორის, ვიდრე სვანებსა, ველიკოროსებსა და მოლოსორებს შორის და ამნაირად სვანები მან რუსების სახელით აკურთხა. ზედმეტათ მიმაჩნია ამ საგანზე ბ. ტეპცოვის საწინააღმდეგოთ ანუ საპასუხოთ სერიოზულათ გალაშქრება, ვინაიდგან ღრმად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ყოველი, ცოტათ თუ ბევრათ შეგნებული ადამიანისთვის, რომელსაც საქართველოს წარსულზე რაიმე გაეგება, სვანებზე რაიმე სმენია, ანბანურ ჭეშმარიტებას შეადგენს, რომ სვანები ქართველი ხალხის მოძმე შტოს შეადგენენ და არა მალოროსებს და ველიკოროსებს, ხოლო სვანური ენა იაფეტურ ენათა ერთ ჯგუფათ ჩაითვლება.

ამავე აზრის არიან ივ. ჯავახიშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი, პლინიუსი, იერუსალიმელი პატრიარქი დოსითეოსი, შარდენი, მე-XVIII საუკ. მწერალი ჰილდერშტეინი, კლაპროტი, დიუბუა-დე ბონოპრე, ხახანაშვილი, რადდე, მაქს მიულერი, ნადეჟდინი, დიმიტრი ბაქრაძე, გორგაძე, ნ. მარი და სხვა...

მართალია, პირველი შეხედვით კაცი დაინახავს რაღაც ტიპიურ განსხვავებას სვანებსა და ქართველებს შორის, მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ ქართველი ხალხი თავისი პირვანდელი ბინადრობის გამოცვლის შემდეგ ბედმა, ან უკეთ რომ ვთქვათ, ეტნოგრაფიულმა პირობებმა დააშორა ერთმანეთს. მის შემდეგ მათ შეხვდათ ცალ-ცალკე ცხოვრება და ამ სხვადასხვა ბუნებისა და გეოგრაფიულ პირობების გავლენამ შექმნა მათ შორის ისეთი ტიპიური განსხვავება, როგორიც არის, მაგალითად, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ფრანგებს, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გერმანელებს შორის, მალოროსებსა და ველიკოროსებს შორის და სხვა.

მართალია, ტიპიური განსხვავება არსებობს სვანეთში ლახამულელებსა და დანარჩენ სვანებს შორის, მაგრამ მათ თვით სვანებიც ებრაელების შთამომავლობათ სთვლიან. ებრაელთა ტიპი დღემდე შეუნახავთ. სვანები ამ ლახამულელებს ამ ბოლო დრომდე ცოლათ არ ირთავენ, მაგრამ დანარჩენ სვანებს შორის არავითარი

ტიპიური განსხვავება, როგორც ზევით არის ნათქვამი, და რუსების მსგავსება არ არსებობს.

სვანური ენის შესწავლაში ანუ გამორკვევაში ლინგვისტიკას დღემდე ვერ მიუღწევია მიზნისათვის. ამ ბოლო ხანებში სვანური ენის შესწავლას შეუდგენ პროფესორები ნ. მარი და აკ. შანიძე და, იმედია, მათი შრომით ახალი ნაბიჯები იქნება გადადგმული მეცნიერებაში სვანური ენის გამორკვევის საქმეში.

ამჟამად თამამად შეიძლება ითქვას, რომ სვანური ენა უნდა წარმოადგენდეს უუძველესი ქართული ენის ნაშთს და დღესაც მის ერთ შტოთ ინდა ჩაითვალოს. ამ მოსაზრებას რამდენიმეთ ეთნხმება ნ. მარიც, რომელიც სწერს: Лишь только жалкая горсть когда то многолюдного народа (сванов), застрявшая в пределах Свании, является ныне одной из лучших хранительниц исконных яфетических традиций и единственной живой представительницей устраченного на юге чрезвычайно важного лингвистического звена [124]).

იგივე პროფესორი გამოსთქვამს იმ აზრს, რომ სვანები მცირე აზიაში ცხოვრების დროს პირველ როლს თამაშობდნენ იაფეტური მოდგმის ტომთა შორის. პირველადვე უნდა ეჩინა თავი იაფეტურ ენაზე მწერლობას, იმ საღმთო წიგნებს, რომლებიც უფრო ძველნი არიან, სვანური ენით გაჟღენთილობა ეტყობათო და ამიტომაც მისი აზრით სამღვთო წიგნები პირველად სვანური ენიდგან უნდა იყოს გადმოთარგმნილი [125]). რამდენათ მართალია მარის ასეთი მოსაზრებანი, მე ვერ შევეხები, მაგრამ ის კი თამამად შეიძლება ითქვას, რომ სვანურ ენაში ბევრი ისეთი სიტყვები შენახულა, რომლებიც ქართულ ლიტერატურაში ერთ დროს ხმარებაში ყოფილან, მაგრამ შემდეგში მას ეს სიტყვები დაუკარგავს და მარტო სვანურს შერჩენია დღემდე.

ივ. ჯავახიშვილი სვანურ ენას ქართულ ენის მესამე შტოთ სთვლის და ამბობს: ,,შეიძლება მომავალში დამტკიცდეს, რომ ქართველების ძველი ლიტერატურული ენა იყო ქართული, არამედ სვანური ან მეგრულიო [126]).

ასეა თუ ისე ადგილობრივ გეოგრაფიულ პირობებისაგან სვანეთში შექმნილ კარჩაკეტილ ცხოვრების წყალობით, სვანურ ენაზე ეტყობა არც ერთ ენას, არც ერთი ერის მწერლობას და ლიტერატურას გავლენა არ მოუხდენია და ამიტომ სვანური ენა ამ

კუთხეში დღემდე იმ სახით არის დაცული და შენახული, რა სახითაც ის შეჰყავთ მათ სამხრეთიდგან სვანეთში შესვლისა და დამკვიდრების დროს.

დიმიტრი ბაქრაძე სვანურ ენაზე სხვათა შორის სწერს, რომ ის სავსეა ქართული სიტყვებით. გენერალმა ერკეტმა სვანური ენა წარმოადგინა ქართული ენის მესამე შტოთ [127]), მაგრამ, მიუხედავათ ყოველივე ზემოთ ნათქვამისა, ახალმა ,,მეცნიერმა“ ბ. სტოიანოვმა განიზრახა ამ ჭეშმარიტების დაჩრდილვა, ფეხქვეშ გათელვა და 1882 წელს შემდეგი მოსაზრება გამოაქვეყნა: ,,ერთნი ამტკიცებენ, რომ სვანური ენა ქართული ენის მონათესავეა. მეორენი ამბობენ, რომ ეს ენა არის განსაკუთრებული ენა. მესამენი მას წარმოგვიდგენენ დამახინჯებულ ქართულ ენათ. მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერაფრით თავის ამა თუ იმ შეხედულებას ვერ ამტკიცებს, იმ უბრალო მიზეზით, რომ სვანური ენა არ იციან. მე კი ძალიან მაკვირვებს, რომ სვანურ ენაში ერთი ქართული სიტყვაც არ ურევია და სხვა... ბაქრაძე ამტკიცებს, რომ თავისუფალ სვანეთის საუბარში უმრავლესობა ქართული სიტყვებია, ხოლო სადადეშქელიანოში – მეგრული. მას უნდა, რომ ამაში ჩვენ დაგვარწმუნოს, მაშინ როდესაც მას თავისი მოსაზრების დასამტკიცებლათ ვერ უპოვნია რამოდენიმე ათეული სიტყვაც კი. რადდე ბაქრაძეს ფეხის ხმას აჰყოლია და ამასვე იმეორებს. ნადეჟდინი, მაქს მიულერის ზეგავლენით, ამტკიცებს სვანური ენისა და ქართულის ერთძირიანობას“ [128]).

თუ რამდენათ მართალია ბ. სტაიანოვი იმაში, რომ სვანურ ენაში ერთი ქართული სიტყვაც არ ურევიაო, ამას მკითხველი ადვილათ დაინახავს ჩემ მიერ მისი ასეთი გამოსვლით გამოწვეულ და ამ ორ ენათა შესადარებლათ შედგენილ ლექსიკონიდგან. აქ კი მხოლოთ იმას ვიტყვი, რომ თუ რომელიმე მეცნიერი ლინგვისტი ამა თუ იმ ენის გამორკვევას შეუდგება, მისთვის საჭიროა ამ ენების შესწავლა და მერე ამა თუ იმ დასკვნის გამოტანა მათ შესახებ. ბ-ნი სტაიანოვი ამ ლოღიკურ გზას ასცილებია და ისე ზერელეთ გაულაშქრია მასზე უკეთესათ სვანურ-ქართულ ენათა მცოდნე მეცნიერებათა წინააღმდეგ. მართალია მას სვანური ენის შესწავლა დაუწყია 1881 წ. თავის მოწაფე დადეშქელიანისაგან, მაგრამ მან სვანეთში იმოგზაურა შემდეგ 1882 წ. და მე ვერ დავიჯერებ, რომ ერთი წლის განმავლობაში მას სვანური ენა შეესწავლა და თუ კი ის

აღიარებს თავს სვანური ენის მცოდნეთ, საკმარისია მივუთითოთ მას, მისივე ხელით, სვანურათ დაწერილ სიმღერებზე და ლეგენდებზე: მეთქი, ბიმურზოლა, ლილა, ვოსაბრალე უშგვლაშ ბაპარ, ბარბოლ, რავქენ და სხვა, რომლებიც ისეთი უტრანსკრიპციო და დამახინჯებული სვანური ენით არის დაწერილი, რომ მათ კითხვის დროს სვანური ენის მცოდნეს პირი უშრება. ცხადია ბ. სტოიანოვს თვითონ არ სცოდნია რამდენიმე ათეული სიტყვა არც სვანური, არც ქართული, თორემ მას არ გაუჭირდებოდა სვანურ ენაში არამც თუ ერთი ქართული სიტყვის ნახვა, არამედ რამდენიმე ასეული სიტყვისაც, რასაც ჩვენ დავინახავთ ჩემს მიერ შედგენილ ქვემოთ მოთავსებულ სვანურ-ქართულ სასაუბრო ფრაზებსა და ლექსიკონიდგან. მაგალითათ:

1) სვანურად: ძიძაი სკივრისგა ვოქვრა̈ განზა̈რ ა̈რიხ
ქართულად: ძიძას სკივრში ოქროს განძები არის.
2) სვ.: ამ სოფლი მამასახლიშ ყვილიერისგა ა̈დგმგზავრა̈ნ ქუთა̈შთე ბა̈რგი ლა̈ყიდ ი ლაღვჭარდ.

ქართ: ამ სოფლის მამასახლისი ყველიერში გაემგზავრა ქუთაისში ბარგის საყიდლათ და სავაჭროთ.

3) სვ.: მეზვბელ გლეხდ სამ თუმნი ნა̈ლ ლურსა̈ნ ა̈ნყიდ.

ქართ.: მეზობელმა გლეხმა სამი თუმნის ნალ-ლურსმანი იყიდა.

4) სვ.: დედეს აშირ ბა̈ტილ ქათალ ხაყა ქორს სამ თუმა̈ნდ ნა̈ყიდვ.

ქართ.: დედას ასი ბატი და ქათამი ყავს ოჯახში სამ თუმნათ ნაყიდი.

5) სვ.: თვეფ, ხანჯა̈რ, დაშნაჲ სა̈ჭირო ჲარა̈ღ ლიხ შვა̈ნისგა.

ქართ.: თოფი, ხანჯალი და დაშნა საჭირო იარაღი არიან სვანეთში.

6) სვ.: საბრალ ვობელ ბეფშვს ყვითელ ფურვ ხასჩქვა̈რე მიჩა̈ ბიძა̈ჲდ.

ქართ.: საბრალო ობოლ ბავშვს ყვითელი ფური აჩუქა მისმა ბიძამ.

7) სვ.: დიდა̈რ გლეხდ ჭა̈გრეშ ი დეკა̈ვლა̈რე ჯვეგ ა̈ნყიდ სა̈მ ა̈თას მანა̈თდ ღვაჭრა̈ლხა̈ნქა.

ქართ.: მდიდარმა გლეხმა ჭაკებისა და დეკეულების ჯოგი იყიდა სამ ათას მანეთად ვაჭრებისაგან.

8) სვ.: ყვილთჲერე აღაბს ტაფელშვ ოთგლხინედ საბრალ მეზბელ ქვრივ ვობელ.

ქართ.: ყველიერის აღებას ტაფეულით დავალხინიანეთ საბრალო მეზობელი ქვრივ-ობოლი.

9) სვ.: დედე ილცოვალ საყდარისგა თვეისგა ვრშთხვინ.

ქართ.: დედა ლოცულობს საყდარში თვეში ოთხჯერ.

10) სვ.: დადვ ქათლა ფას სემი აბაზლი, წინწლიშ სემი შაურ.

ქართ.: დედალი ქათმის ფასი სამი აბაზია, წიწილისა-სამი შაური.

11) სვ.: მამასახლისდ ამბეჭდე ათას მანთი თამასუკვ.

ქართ.: მამასახლისმა დამიბეჭდა ათასი მან. თამასუქი.

12) სვ.: ვიდჲერ თემ სარგებლი ნათივობაშდ.

ქართ.: უდიერი თემი სასარგებლოა ნათესაობისათვის.

13) სვ.: ღარიბ გლეხ გვიჲანდ ადვოხშმან ტახი ლერშვ.

ქართ.: ღარიბმა გლეხმა გვიან ივახშმა ტახის ლორით.

14) სვ.: ნეზვი ფოლიკ ლგპხილდ ოთაყდ გზავრს თუმანდ.

ქართ.: ნეზვის ფოლიკი პოხით მივყიდე მგზავრს თუმნად.

15) სვ.: აფხნეგდ ამგმჯავრე შუკვჟი უზდელ ანბავშვ.

ქართ.: ამხანაგმა გამაჯავრა შუკაზე უზრდელი ამბით.

16) სვ.: წყენარ გზავრ ადლგნძღავე ლასდილალჟი მიჩა მიმთილდ.

ქართ.: წყნარი მგზავრი გალანძღა სადილობაზე მისმა სიმამრმა.

17) სვ.: თვეფი ვარჩხლი სალტ ი ჩახმახ ჩხარა შაურდ ახვიყდ.

ქართ.: თოფის ვერცხლის სალტე და ჩახმახი ცხრა შაურად ვიყიდე.

18) სვ.: ბოტა ქვირქვ, ბამბი ლები ი საბან ამყიდ მეზვბელდ.

ქართ.: ბოტის ქურქი, ბამბის ლეიბი და საბანი მომყიდა მეზობელმა.

19) სვ.: ჯიბისგა მიზ ვარჩხლი განზარ ფარსაგდ.

ქართ.: ჯიბეში მისდევს ვერცხლის განძები ფარსაგად.

20) სვ.: ფიცრი დეფან ამგე ვოსტატდ.

ქართ.: ფიცრის დერეფანი ამიგო ოსტატმა.

21) სვ.: ძუღვᾰ პილს მგშიდᾰრ ᾰდღვᾰპვᾰნხ.

ართ.: ზღვის პირას მუშები დაიღუპნენ.

22) სვ.: დიდᾰბ ი მᾰდლ ქვეყნი გამჩენ ღერბᾰთვ.

ქართ.: დიდება და მადლი ქვეყნის გამჩენ ღმერთს.

23) სვ.: მი Გერუ უღვა მგჯნი მაყა, ჩხარა ფურᾰლ, სემი ჭგრელ დეკავლᾰრ.

ქართ.: მე ორი უღელი (ხარი) მხვნელი მყავს, სამი ჭრელი დეკეული.

24) სვ.: საყდᾰრისგა ათᾰს ვოქვრᾰ ხᾰტ-ჯვᾰრ ᾰრიხ სემი აშირ ვარჩხლი თასᾰრ.

ქართ.: საყდარში ათასი ოქროს ხატ-ჯვარი არის და სამასი ვერცხლის თასი.

25) სვ.: კვამᾰრ, ჭყვარტᾰლ სემი ფრლიკ თვით თუმᾰნდ ᾰხვიყდ, გვეჭი კᾰლვერ ი ზურგვევილ თვით მანᾰთდ.

ქართ.: გაკვამლული, გაჭვარტლული ტახის ლორის სამი ფოლიკი თითო თუმნათ ვიყიდე, გოჭის კალივერი და ზურგიელი თითო მანეთად და სხვა.

ასეთ მაგალითებს ბ. სტოიანოვს უთვალავს მოვუყვან სვანურ ენაზე მის ყალბ შეხედულების გასაშუქებლათ, მაგრამ მე მგონია მკითხველი ამითაც დაკმაყოფილდება და ახლა კი ჩამოვთვლი იმ სიტყვებს, რომლებიც ერთსა და იმავე მნიშვნელობით არიან ხმარებაში სვანურში და ქართულში. მაგალითად:

ᲐᲐ.

სვ. ქართ.

ანბᾰვ – ამბავი

ასᾰგ – ასაკი

ანგრიშ – ანგარიში	ამლᾰკ – ამლაკი
აზრ – აზრი	ამ ᾰდგილს – ამ ადგილას
ადგილ – ადგილი	ამ ზუმ – ამ ზომის
აფხნეგ – ამხანაგი	ანგურ – აგური
ადვილ – ადვილი	ᾰდვილ – ადვილი
ᾰრი – არის	ათეშᾰკ – ათაშანგი

ამგვაჲ – ამგვარი
აზმა – იაზმა
ასვ – ასო
არტაᲮ – არტახი
ალიონ – ალიონი
ᲮᲯილღ – აᲯილღა
ავშარაჲ – ავშარა
ათᲮს – ათასი
ატლᲮს – ატლასი
აღა – აღა
ამნᲫმ – ამან
ამითᲮნ – ამისთანა
ამიშ – ამისი
ამჲტველ – ამის ტოლი
Ხცქე – აცა
არტავაზ – არტავაზი
ასტამ – ასტამი
აღაბ – აღება
Ხრთქვილ – ერთგული (ზედამხედველი)

ბ.

ბარაქ – ბარაქა
ბოლეკ –
ბეᲯით – ბეᲯითი
ბᲮრ – ბარი
ბოგ–ბოგირი
ბაგ–ბაგა
ბინძვირ–ბინძური
ბᲮტ–ბატი
ბოლ–ბოლო
ბეფშვ–ბავშვი
ბოქლომ–ბოქლონი
ბუზᲬულ–ბუზი
ბიზიკ–ბზიკი
ბუღვა–ბუღა
ბალᲮხ–ბალახი
ბზანᲮბ–ბრძანება
ბრაზ–ბრაზი
ბრაზიᲮნ–ბრაზიანი
ბᲮქ–ბაქი (ბაქი–ბუქი)
ბᲮნ–ბანი
ბედნიჲერ–ბედნიერი
ბინბილ–ბიბილო
ბეზვ – ბოზი
ბოლოკი ბეღელ – ბეღელი
ბოდიშ – ბოდიში
ბედ–ბედი
ბორეტ–ბოროტი
ბედავირ–ბედაური
ბᲮრგ–ბარგი
ბანბაჲ–ბამბა
ბეგᲮრ–ბეგარა
ბალთა–ბალთა
ბრიყვ–ბრიყვი
ბეწვ–ბეწვი
ბერკილ–ბორკილი
ბზᲬული–ბზუის
ბოტა–ბოტი
ბადრᲮგ–ბადრაგა
ბეყვ–ბოყვი
ბადრიკვ–პატრუქი
ბლივ–ბლუ
ბაჩᲮ–ბაჩა (ცხენი)
ბელ–ბელი (დათვის ბელი)
ბᲮრგ–ბარგი

ბალიშ–ბალიში
ბუნბილ–ბუმბულ
ბენდვ–ბონდი
ბნელ–ბნელი
ბიქვ–ბუქი
ბურღვი–ბურღვა
ბალღამ–ბალღამი
ბარქაშ–ბარქაში
ბაჯგ–ბაჯგი
ბატკ–ბატკი
ბაბულ–ბაბა(ბავშვის პურის სახელი)
ბუბა–ბაბუა
ბეღელი–ბღავის
ბრალ–ბრალი

გ.

გვამ–გვამი
გვარ–გვარი
გურგვინ–გვირგვინი
გვალი–გვალვა
გვალ–გვალე (წადი, გასწი)
გარევილ–გარეული
გიჟ–გიჟი
გვეჭ–გოჭი
გამ–გემო
გემაშ–გემოსი
გუდრა–გუდა
გლეხ–გლეხი
გან–განი
განიერ–განიერი
გზავრ–მგზავრი
გოგირ–გოგირდი
განზ–განძი
გმირ–გმირი
გაჭირვება(ჭირი)–გაჭირვება
გვემ–გომი
გრილ–გრილი
გვარჯილა–გვარჯილა
გოწხირ–კოწახური
გამოცდილ–გამოცდილი
გვირიშტ–გვირისტი
გგრზნევილ–გრძნეული
გამჩენ–გამჩენი
გვიან–გვიანი
გავარ–გავა
გარყვნილ–გარყვნილი
გაღან–გაღანამცა
გალავან–გალავანი
გაწბილვ–გაწბილება
გურიზ–გრუზვილი
გარჯ–გარჯა

დ.

დედე–დედა
დამდვ–დათვი
დეკავილ–დეკეული
დედფალ–დედოფალი
დეფან–დერეფანი
დარბაზ–დარბაზი

დჲრ–დირე
დჳვ–მდევი
დიდჳრ–მდიდარი
დიმთილ–დედამთილი
დარჳჯ–დარაჯი
დუმაჲ–დუმა
დრევ–დრო
დედბერ–დედაბერი
დჳიჭ–ტაიჭი
დაშნჳჲ–დაშნა
დგ̀თხელ–თხელი
დანაშაურ–დამნაშავე
დინჯ–დინჯი
დჳრ–დარი
დიდჳბ–დიდება
დუხჭირ–დუხჭირი
დჳღ–დაღი
დინდგილ–დინდგილა
დანბალ–დაბალი
დილეგ–დილეგი
დორჳჲ–დორა

ე.

ეშმჳკ–ეშმაკი
ჲეჭვ–ეჭვი
ეგებას–ეგების
ჲერუ–ორი
ჲეფდ–იაფად
ჲეჭვჲჳნ–ეჭვიანი

ვ.

ვჳლირვ–ველური
ვჳზირ–ვეზირი
ველ–ველი
ვერბ–ორბი
ვოხშჳმ–ვახშამი
ვჳრ–უარი
ვოლ–ვოლო
ვჳლ–ვალი
ვორგვილ–ორგული
ვეფ–ოფლი
ვეფხ–ვეფხვი
ვჳრგ (აზნაური)–ვარგა
ვიქმ–უქმე
ვიდჲ̄რ–უდიერი
ვერთქლ–ორთქლი
ვოსტჳტ–ოსტატი
ვჳზინაჲ–ვაზნა

ზ.

ზჳრ–ზარი
ზავ–ზავი
ზვინ–ზვინი
ზჲჳრება–ზიარება

ზარჷლ–ზარალი
ზჷრილვ–მზარეული
ზღვიდ–ზღუდე
ზგნე–ზნე
ზგმა–ზომა
ზურგვევილ–ზურგიელი
ზუმბჷდ–ზუმბა
ზეთ–ზეთი
ზარმჷც–ზარმაცი
ზისხ–სისხლი (მეგრ. ზისხირი)
ზორჷკ–ზვარაკი

თ.

თვეფ–თოფი
თვით–თვითო
თვე–თვე
თე–თვალი
თჷსმა–თასმა
თეთრ–თეთრი (ფული)
თჷკვ–თოკი
თჷს–თასი
თუთინ–თუთუნი
თოთ–თოთო
თუმჷნ–თუმანი
თანახმა–თანახმა
თავსუფჷლ–თავისუფალი
თვალაშ–თვალადი
თვინგ–თუნგი
თჷვნ–თავნი
თემ–თემი
თეთვნე–თეთრი
თხილმჷრ–თხილამური
თარგმჷნ–თარგმანი
თჷვბოლ–თავი და ბოლო
თხრილ–თხრილი
თიაქჷრ–თიაქარიჷ
თამასუკვ–თამასუქი
თჷვდებ–თავდები
თოხრიკ–თოხარიკი
თავდანბალ–თავდაბალი
თეფშ–თეფში
თვითჟი–თვითეულად
თურქულ–თურქული

ი.

იმედ–იმედი
იმგვჷდ–იმგვარი
იღბჷლ–იღბალი

კ.

კვიდრ–მკვიდრი
კახბა–კახპა
კინჩხ–კინჩხი
კაპჷს–კაპასი
კჷვ–კავი
კაკჷლ–კაკალი

კიბდენ–კიდობანი
კალვ–კალო
კათხ–კათხა
კვენ–კვერნა
კჷნ–კანი
კემუხ–კემუხტი
კიბ–კიბე
კვანჩხვ–კვანჩხვა
კვახნესგ–კვახი
კერაჲ–კერა
კუღუნ–კოღო
კვჷმ–კვამლი
კოლეფ–კოლოფი
კუბ–კუბო
კეტ–კეტი
კუპრ–კუპრი
კუბდჷრ–კუპატი
კოტრ–კოტრი
კეთლობ–კეთილობა
კაბ–კაბა
კარავ–კარავი
კერკჷჟ–კირკაჟი
კვირტ–კვირტი
კვირწ–ყურწი
კალტვეზ–კალატოზი
კჷნკვ–კაკვი
კალდამ–აკლდამა

კალენ–კანონი
კალპეტვ–კალაპოტი
კალმახ–კალმახი
კჷჭ–კაჟი
კენჭ–კენჭი
კუთხვ–კუთხოვანი
კვჷთხ–კვათხი (კვერთხი)
კირ–კირი
კეხ–კეხი
კეთილ–კეთილი
კვიჭ–კუჭი
კალთჷჲ–კალთა
კოკორაჲ–კოკორა
კოკა–კოკა
კარკჷცე–კაკანობს
კჷპ–კაპი
კარდალ–კარდალა
კჷვირ–კევრი
კირვენ–კიროვანი
კელპ–კერპი
კვერულ–კვერი(პატარა საბავშვო პური).
კვაბალ–კომბალი
კვაჩხაჲ–კოჭლი
კუდაჲ–კუდა
კუთვ–კუთი (ბარკალი)
კათხ–ტაბაგ – კათხა–ტაბაკი
კჲლ–კივილი

ლ.

ლაჩჷქ–ლეჩაქი
ლჷრტყ–სარტყელი
ლამპჷრ–ლამპარი
ლერვ–ლორი

ლუწხვჷვე–მწუხარე
ლჷრ–ლარი
ლიმჯჷრვე–გაჯავრება
ლახუსდჷგ–ლახოსტაკი

ლიშნავი–აშენება
ლირღვე–დარღვევა
ლამთილარ–სამამამთილო
ლოცვ–ლოცვა
ლეთვ–ლოთი
ლუსვემ–ლურსმანი
ლაკირ–საკირე
ლობიო–ლობიო
ლრმ–ლომი
ლაშგარ–ლაშქარი
ლაყაფ–ლაყაფი
ლიწხვავალ–მწუხარება

ლიბანდე–დაბანდვა

ლიბემ–დაბმა
ლიბძღვნე–დაბურძგვნა
ლიზულე–ზუზუნი

ლიბგრგენი–აბარგვა
ლგბარგ–აბარგული
ლიბრავი–აბარვა
ლიბგრკილე–დაბორკვა
ლიგჯე–აგლეჯა
ლიგვრანალ–გორვა

ლიჰელვე–აელვება
ლგჰელვე–აელვებული

ლისაზრე–მოსაზრება
ლითმდნე–მოთმინება
ლითრინე–თრევა
ლილფარი–ფარვა
ლიფთქე–აფეთქება

ლგიჩგრავე–დაჩაგრული
ლაჭმარ–სახმარი
ლუღპავე–დაღუპული
ლიგვნევი–მოგონება
ლრდ–ლოდი
ლაგამ–ლაგამი
ლგბდითე–ბედითობა
ლისრულე–დასრულება
ლირღვე–დარღვევა
ლავაშ–ლავაში
ლიც–ლიცლიცი
ლემზირ–სამზერი (შესაწირავი)

ლგლგნძღავე–გალანძღული

ლანძღ–ლანძღვა
ლაბამ–საბამი
ლგბგრცან (ლიბგცანდელ)–ბარბაცი
ლიბგლბგნე–ბიბინი
ლიბანდე–ბანდვა
ლიბრადე–მიბარება
ლგძრნძე–დაძონძილი
ლიჭუჭე–ჭმუჭნვა
ლითუვრალი–დათვალიერება
ლიშდობდნე–დამშვიდება
ლიმურგვალი–დამრგვალება
ლირხუნალ–ქუხილი
ლაფრი–საფარი
ლასფლავ–სასაფლაო
ლიყვდრევ–ყვედრება
ლიჩგრავი–დაჩაგვრა

ლიბვრე–დაბურვა
ლიზვი–გაზავება
ლიკაზმე–შეკაზმვა
ლიმტე–აღმატება
ლიღვეღელ–ღოღიალი
ლისრულე–აღსრულება
ლახომა–ახუმა (მიეცი თუ არა)
ლიჩივლე–ჩივილი
ლიძგრგნე–ძგერება
ლუბურძგვილ–ბურძგალი
ლიბღელი–ბღავილი
ლგგგლჯგრე–დაგლეჯილი
ლუგუბე–დაგუბებული
ლიკაფი–დაკაფვა
ლიკპგნე–დაკეპვა
ლიკდლი–კივილი
ლითრდარი–თედორობა
ლაყაფ–ლაყაფი
ლილხავი–გალახვა
ლებ–ლეიბი
ლიტკცე–მტიკცება
ლილოკე–ლოკვა
ლისრავი–დასერვა
ლისგნჯავი–გასინჯვა
ლისწვრე–გასწორება
ლინტყოვდნე–დატყვევება
ლიქგრდავ–დაქირავება
ლიღრავი–დაღარვა
ლიყვრევი–დაყვერვა
ლიყდი–ყიდვა
ლიჩქვევი–დაჩოქება
ლიფუნჩულალ–ჩურჩული
ლიჩხრიკი–ჩხრეკა
ლიხნი–ხვნა
ლიჩდნჩქვი–მოჩიჩქვნა
ლიგრუზი–დაგრუზება
ლიზობაგი–დაზოგება
ლაჰრაკ–საარაკო
ლაჰრაყ–საარაყე
ლემთავნე–სამთავნი
ლისმართლე–სამართლობა
ლისმდნე–სმენა
ლიგაწბულე–გაწბილება
ლიღრალ–მღერა

მ.

მგქაფ–მუქაფა
მგკეთ–მოკეთე
მურდალ–მურტალი
მენდვრევ–მემდურის
მადვრევ–მადროვე
მარცხ–მარცხი
მემარჯვ–მემარჯვება
მაკლი–მაკლია
მუბირვ–დაბურული
მუყვლიტ–მუყურტი
მირჰენ–მირონი
მარგიმიშვ–მარგიმუში
მაგიერ–მაგიერი
მამძაგ–მძაგს
მარცხ–მარცხი
მგთხრილავი–მთხრელი
მგრდაბ–მორიდება
მოზვერ–მოზვერი
მინდვერ–მინდორი
მადლ–მადლი

მიზეზ–მიზეზი
მოდაბ–მოახლე
მეხ–მეხი
მეჯვეგ–მეჯოგე
მგდრაჯი–მოდარაჯე
მარჯვ–მარჯვე
მგქარ–მუქარა
მელანდ–მელანდება
მოლ–მოლი
მარწვიხვ–მარწუხი
მურგვალ–მრგვალი
მგსაზრე–მოსაზრე
მესერ–მესერი
მილ–მილი
მაჭიჭ–მეჭეჭი
მაბრადა–მაბარია
მაბრალი–მაბრალებს
მაბრალა–მბრალდება
მგსგრთავ–მოსართავი
მი–მე
მატყ–მატყლი
მარქვ–მარქვა
მეწვმ–მოწმე
მაგალით–მაგალითი
მასხარად–მასხარა
მგწგხ–მუწუხი
მოღლატ–მოღლატი
მინჯვ–მუნჯი
მადლიერ–მადლიერი
მუ, მამა–მამა
მარწვენ–მაწონი
მალ–მელა
მართალ–მართალი
მეზვბელ–მეზობელი
მგშად–მუშა
მარხვ–მარხვა
მახათ–მახათი
მეტ–მეტი
მეცქვილ–მოციქული
მომრავ–მოურავი
მახვილ–მახვილი
მაჭიკ–მაჭიკი
მგღავ–მოღავი
მარქაფ–მარქაფა
მაჩხაფ–მჩქეფარე
მაბრალ–მებრალება
მაცუნე–მაცინებს
მაცხვარ–მაცხოვარი
მგთმინე–მთმენელი
მთხრობელ–მთხრობელი
მგსგრჩელი–მოსარჩლე
მომჩივარ–მომჩივანი
მგღგლი–მღრინავი
მგჯნი–მხვნელი
მანკ–მანკი
ჯან–ხარი

ნ.

ნადირ–ნადირი
ნამუსვ–ნამუსი
ნერგ–ნერგი
ნივრა–ნიორი
ნად–ნადი
ნანღველ–ნაღველა
ნაბად–ნაბადი
ნიშადვირ–ნიშადური

ნეკფა–ნიკაპი
ნაბ–ნება
ნამეტან–ნამეტანი
ნაკლებ–ნაკლები
ნიშან–ნიშანი
ნიჭ–ნიჭი
ნისლ–ნისლი
ნიავ–ნიავი
ნათლ–ნათელი
ნაღებ–ნაღები
ნახატ–ნახატი
ნეწვ–ნერწყვი
ნათმინ–ნათმენი
ნამსახურ–ნამსახური
ნარიყვ–ნარიყი
ნასდგომ–ნასადგომი
ნასმგრთალვ–ნასამართლევი
ნავოფ–ნაოფლარი
ნარდათ–ნარდათ
ნაგჯულ–ნაგლეჯი
ნაღდ–ნაღდი
ნიკრატ–ნისკარტი
ნალ–ნალი
ნეზვ–ნეზვი
ნაყიდობ–ნასყიდობა
ნინ–ენა
ნახარჯვ–ნახარჯი
ნაბიქვ–ნაბუქარი
ნაბამ–ნაბამი
ნასფლავ–ნასაფლავარი
ნატიალვ–ნეტარი
ნაცადვ–ნაცვლად
ნაყიდვ–ნაყიდი
ნაწილ–ნაწილი

პ.

პემან–პაემანი
პასვიხვ–პასუხი
პეხილ–პოხიერი
პილ–პირი
პირიტყვ–პირუტყვი
პირობ–პირობა
პილწ–ბილწი
პაღვირ–პანღური
პატივ–პატივი
პიტნა–პიტნა
პატრონ–პატრონი

ჟ.

ჟინჟღილ–ჟინჟღლი
ჟამ–ჟამი
ჟღგლ–ჟღივილი
ჟანგ–ჟანგი

რ.

რისხვ–რისხვა
რიონი–რიონი
რიყ–რიყე
რიგაბ–რიგება

რიგ–რიგი
რიგჲან–რიგიანი
რაშ–რაში

ს.

სპილენჯ–სპილენძი
სასდიკ–სასტიკი
სვინაჲ–სვინა
სიგელ–სიგელი
საკმევილ–საკმეველი
სახ–სახე
საძგელ–საძაგელი
საჴსარ–სახსარი
საკუთარ–საკუთარი
საყვედირ–საყვედური
საფვარ–საფუარი
საბრალ–საბრალო
საფარ–საფარი
სადილ–სადილი
სადლობ–სადილობა
სარგებ–სარგებელი
სამგრთალ–სამართალი
საჩივარ–საჩივარი
საკუთარ–საკუთრი
საყდარ–საყდარი
საბუთ–საბუთი
სვეტ–სვეტი
სხივ–სხივი
სკივრ–სკივრი
სანყვირ–საყვირი
საბან–საბანი
სალამ–სალამი
სგელ–სქელი
საკვრელ–საკვირველი
სანდრევ–სანდურავი
სადგვემ–სადგომი
სუდარ–სუდარი
სვისტ–სუსტი
სამეთხვ–სამოთხე
სვინიდის–სინდისი
საპენ–საპონი
სოფელ–სოფელი
საფლავ–საფლავი
სარაჯ–სარაჯი
საწგნდარ–საწინდარი
სეფსკვერ–სეფისკვერი
სარჩელ–სარჩელი
სტვიერ–სტვირი
საჯლაბ–საჯალაბო
სალხინვ–სალხინო
საჩქარ–საჩუქარი
სათალ–სათვალე
საზრ–საზრი
სათმ–სათნო
საკგრცხვილ–სკამი (საკაცური)
საკაცხ–საკაცე
საკვამ–საკვამლე
საბეგვ–საბეგვი
სვევ–სვე
სვევიან–სვიანი
სვრილ–სრული
სვიკვ–სუკი

ტ.

ტაფრლ–ტაფეული
ტვერ–მტვერი
ტალახ–ტალახი
ტვეტ–ტოტი
ტვიტელ–ტიტველი
ტახდ–ტახტი
ტახ–ტახი
ტარესვ–ტაროსი
ტუტ–ტუტა
ტველ–ტოლი
ტან–ტანი
ტვინ–ტვინი
ტიშ–ტილი
ტალ–ტალი
ტრაბახ–ტრაბახი
ტრმბ–ტომბო (ტბა)
ტყვე–ტყვე
ტევან–მტევანი
ტყვიბ–ტყუბი
ტევრ–ტევრი
ტყვი–ტყვია
ტანჯვა–ტანჯვა
ტომარ–ტომარა
ტაბლ–ტაბლა
ტკიც–მტკიცე

უ.

ურჯულ–ურჯულო
უდუნბირ–უდაბური
ულმაშ–ულვაში
უღვა–უღელი
უნბილდ–უნებურად
უბრალვ–უბრალო
უზდელ–უზრდელი
უფლობ–უფლება
უკალონ–უკანონო
უკადრის–უკადრისი
უკანასკნელ–უკანასკნელი
უბადვ–უბედური
უდროვდ–უდროვოდ
უმგნკა–უმანკო
უცხვ–უცხო
უსვინდის–უსინდისო
უკცრავდ–უკაცრავად
უსგრგებილ–უსარგებლო
უგულმაშა–უულვაშო
ულხინვდ–ულხინოდ
უგვარ–უგვარო
უბაჟვდ–უბაჟოდ
უმზაზვდ–უმიზეზოდ
ულაყ–ულაყი
ურო–ურო
უმადვირ–უმადური
უღირს–უღირსო
უნგრიშდვ–უანგარიშოდ
უწმინდვირ–უწმინდური
ულუფ–ულუფა
უკლინდვ–უკლებლად
უჭირდვ–უჭირველად
უქურწვილდ–უქორწინოთ
უჯრავ–უჯერო

უფასვდ–უფასოდ
ურიგვრ–ურიგოდ
უტოლ–უტოლო
უბრაქვ–უბარაქო
უმადვირ–უმადური
უფასვდ–უფასოთ

ფ.

ფათრაკ–ფათერაკი
ფარსაგდ–ფარსაგად
ფირთხილ–ფრთხილი
ფაფალ–ფაფარი
ფურვ–ფური
ფინთ–ფინთი
ფას–ფასი
ფიცარ–ფიცარი
ფიცვრილ–ფიცრული
ფისე–ფისი
ფიწალ–ფიწალი
ფაცერ–ფაცერი
ფირწამალ–საპირისწამლე
ფარშმაგ–ფარშავანგი
ფოლედ–ფოლადი
ფერცვლაბ–ფერისცვალება
ფენ–ფონი
ფათრაკ–ფათერაკი
ფიჭ–ფიჭა
ფერაბ–პირფერობა
ფატვ–ფეტვი
ფერ–ფერი
ფიქრ–ფიქრი
ფხა–ფხა
ფაშ–ფაშვი
ფანდვირ–ფანდური
ფლიდ–ფლიდი
ფელიკ–ფოლიკი
ფაყვ–ფაფანაკი
ფაშატ–ფაშატი
ფერფლ–ფერფლი
ფინდიხ–ფინთიხი
ფანჩხ–ფიჩხი
ფორეცხ–ფოცხვერი
ფურცელ–ფურცელი
ფექ–ფქვილი

ქ.

ქონაბ–ქონება
ქაჯ–ქაჯი
ქორ–ქორი
ქათალ–ქათამი
ქვერწილ–ქორწილი
ქადარ–ქადა
ქვირქვ–ქურქი
ქაუბდავა–გაუბედავი
ქირდავ–ქირდვა
ქვირით–ქვირითი
ქვიტკირ–ქვიტკირი
ქერქ–ქერქი
ქვასა–ქოსა
ქულა–ქულა

ქვიშე–ქვიშა
ქვეყანა–ქვეყანა
ქვრივ–ქვრივი
ქარვან–ქარავანი
ქინძ–ქინძი
ქირაჲ–ქირა
ქობაჲ–ქობა
ქარქაშ–ქარქაში
ქაბაბ–ქაბაბი
ქალაქ–ქალაქი
ქარახს–ქარახსა
ქილვარდ–ქლიავი
ქოქოჩაჲ–ქოჩორი
ქრისდიან–ქრისტიანი

ღ.

ღერბეთ–ღმერთი
ღვენ–ღონე
ღვენიერ–ღონიერი
ღარ–ღარი
ღალატ–ღალატი
ღერძ–ღერძი
ღარიბ–ღარიბი
ღირსება–ღირსება
ღვაჭარ–ვაჭარი
ღერ–ღერო
ღართ–ღართი
ღილარ–ღილები
ღერღილ–ღერღილი
ღგრჭგნ–ღრაჭუნი
ღველ–ღველფი
ღუნზელ–ღვეზელი

ყ.

ყარილვ–ყარაული
ყია–ყელი
ყვიჩ–ყვინჩილა
ყალბ–ყალბი
ყგრყგნჯ–ყანყრატო
ყურბევილ–ყურბეული
ყლაპ–ყლაპი
ყვილჲერ–ყველიერი
ყვითელ–ყვითელი
ყაურჯელ–ყავარჯენი
ყანჯვ–ყანჩი
ყიყვ–ყიყვი

შ.

შობ–შობა
შალბარ–შარვალი
შიშველ–შიშველი
შარბათ–შარბათი
შამფირვ–შამფური
შვენდბა–შენდობა
შაგურმან–შავგვრემანი
შანთ–შანთი
შაურდენ–შავარდენი
შართქვინ–შართქვინი

შაურ–შაური
შვიდბა–მშვიდობა
შვიდბიან–მშვიდობიანად
შინაგირ–შინაური
შხამ–შხამიანი
შაირ–შაირი
შველტ–შოლტი
შაშიკ–შაშიკი
შგერი–შქერი
შალშვემ–შალაშინი
შაქარ–შაქარი
შვეთ–შოთი
შუკვ–შუკა
შუშპარ–შუშპარი

ჩ.

ჩანგ–ჩანგი
ჩალ–ჩალა
ჩახმახ–ჩახმახი
ჩირთ–ჩირთი
ჩოვლობ–ჩვეულება
ჩქარდ–ჩქარად
ჩვიმდ–ჩუმად
ჩხირ–ჩხირი
ჩირქ–ჩირქი
ჩოგან–ჩოგანი
ჩვენჩხ–ჩონჩხი

ც.

ცოდ–ცოდვა
ცოდწლ–ცოდვილი
ცერ–ცერი
ცაცხვ–ცაცხვი
ცელქ–ცელქი
ცქვიტ–ცქვიტი
ცალ–ცალი
ცალკე–ცალკე
ცვარ–ცვარი
ცხგრილ–ცხრილი
ციცაბ–ციცაბო

ძ.

ძუღვა–ზღვა
ძრახვ–ძრახვა
ძირ–ძირი
ძუა–ძუა
ძიძაგ–ძიძა
ძენძვ–ძონძი
ძალა–ძალა
ძღვენ–ძღველი
ძაძ–ძაძა
ძვირ–ძვირი
ძევალ–მძევალი
ძგიდ–ძგიდე

წ.

წვირ–წვირე
წიბარ–წრიაპი
წიფ–მწიფე
წმინდ–წმინდა
წარ–წერო
წინწილ–წიწილა
წაგან–წაგება
წვად–მწვადი
წალდ–წალდი
წეს–წესი
წირვ–წირვა
წორ–სწორი
წიფრა–წიფელა
წყენარ–წყნარი
წაკატ–წალკატი
წონა–წონა
წყვილ–წყვილი
წვალან–წვალება
წგნავ–წუნი
წილ–წილი
წათხ–წათხი
წყალობ–წყალობა
წინდ–საწინდარი
წყაზარ–წყაზარი
წალ–წალა
წამს(ამხვ წამს)–ერთ წამს
წუღვზარალ–წაღები
წერაქვ–წერაქო (ბალახი)
წიდ–წიდა
წიდარ–წიდიანი
წკინტილ–სკინტილი
წინდარ–წინდა
წკიპარტ–წკიპარტი

ჭ.

ჭალაი–ჭალა
ჭაბიგვ–ჭაბუკი
ჭვალ–ჭვალი
ჭყვარტ–ჭვარტლი
ჭკუა–ჭკუა
ჭგრელ–ჭრელი
ჭაგ–ჭაკი
ჭახრაგ–ჭახრაკი
ჭარხალ–ჭარხალი
ჭუნგრი–ჭიანური
ჭირ–ჭირი
ჭერ–ჭერი
ჭირისუფალ–ჭირისუფალი
ჭა–ჭა
ჭვეკ–ჭოკი
ჭიპ–ჭიპი
ჭოლეკ–ჭოლოკი
ჭგრჭვნ–ჭრიჭინი

ხ.

ხატ–ხატი
ხშირდ–ხშირად

ხილ–ხილი
ხინ–ლხინი
ხალხ–ხალხი
ხანჯარ–ხანჯალი
ხარჯ–ხარჯი
ხერგება–ერგება
ხეკუთვნი–ეკუთვნის
ხვაშინ–ხვაშინი
ხსნილ–ხსნილი
ჴეც–მხეცი
ჴევ–ხევი
ჴოჴვებ–ხოხობი
ჴერჴ–ხერხი
ხვარს–ხვარსა (ქეცი)
ხერხ–ხერხი
ხეირ–ხეირი
ხარაბ–ხარება
ხარბ–ხარბი
ხან–ხანი
ხნიდერ–ხნიერი
ხრამ–ხრამი
ხდრილვ–მხიარული
ხაზ–ხაზი
ხავის–ხავსი
ხამ–ხამი
ხორევ–ხორავი (ხროვა)
ჴარჴ–ხახა
ხაშმ–ხაშმი
ხაშმირიან–ხაშმიანი
ხერსტავ–ხევისთავი
ხელწიფ–ხელმწიფე
ჴმელეთ–ხმელეთი

ჯ.

ჯოჩხეთ–ჯოჯოხეთი
ჯავრ–ჯავრი
ჯიბ–ჯიბე
ჯარ–ჯარი
ჯვარ–ჯვარი
ჯილდო–ჯილდო
ჯანდაბას–ჯანდაბას
ჯვეგ–ჯოგი
ჯარღვ–ძარღვი
ჯალაბ–ჯალაბი
ჯამაგდრ–ჯამაგირი
ჯან–ჯანი
ჯინ–ჟინი
ჯანჯალ–ჯანჯალი

ჰ.

ჰარაყ–არაყი
ჰაყბა–ყბა
ჰაღვირ–აღვირი
ჰაკვან–აკვანი
ჰაბჯარ–აბჯარი
ჰავდარ–ავდარი
ჰაბედვ–აბედი
ჰაბარ–აბარა
ჰარაკ–არაკი
ჰალალ–ალალი
ჰალაგ–ალაგი
ჰაშკ–აშკი
ჰაჯ–აჯა
ჰაერ–ჰაერი

123) ტეპცოვი. Сборник материалов для опис. Местностей и племен Кавказа. Вып. 10. გვ. 42.

124) Марр. Из. Поезд. в Сванию. Стр. 34.

125) Марр. Яфетические названия деревень и раст. Стр. 9-45.

126) ჯაცახიშვილი. ქართ. ერ. ისტ. წ. 1. გვ. 19. 20.

127) პროფ. ფიუგო შუხარტი. გეოგრ. და სტატისტ. ქართ. ენებისა გვ. 287.

128) Стоянов. Сбор. мат. для. опис. мест. и плем. Кавказа. вып. X.

Стр. 22 и 23.

სვანური გვარები

უშგული. ჩარკსელან, ღვაჩლან, რატიან, ჩარკვიან, დავითულიან, ჭელიძე, კოკრიაშვილ, ნიჟარაძე, ასათიან.

კალა. მარგველან, ხარზიან, დოდვან, ფანგან, გასვიან, ჩფლიან, გულბან, ჯოხაძე.

იფარი. პირველ, ხვისტან, გულბან, ქურდან, კორზაია, ავალიან, ქალდან, გიგლემიან, თამლიან, ფანგან, ხვიბლან, ანსიან, კვებლიან, ხორგუან, სულაძე, ლეკჩიყიფიან, ფირცხელან.

მულახი. გუჯაჯიან, მარგიან, ნავერიან, ზურებიან, კახიან, ქოჩგიან, ჯაჭვლიან, გიგან, შერვაშიძე, დევდერიან, იოსელიან, ჟორჟოლიან, ქურდიან, გვიდან, ქალდან, გაბლიან, ლუხვიტაშვილ, წიფიან, ბერიან, დადვან, მიბჩუან, მიტულიან.

მესტია. ჯაფარიძე (ჯაფრან), გოშტელან, ხერგიან, მარგიან, ჩართოლან, ნაკან, მუშკვდიან, ფალიან, ჭედლლიან, ხოჯელან, გვარლიან, რატიან.

ლენჯერი. გულედან, ფილფან. უდესიან, მერლიან, შუკვან, ხაფთან, ხორგვან, წიფიან.

ლატალი. ფარჯიან, გირგვლიან, წერედიან, კვანჭიან, გვიჭიან, ნანსყან, აბდელან, სიდიან, ივეჩიან, ასუმბან, ფირცხელან, ნიკლეზიან, ჩორგოლიან, თამლიან.

ბეჩო. კვიციან, გოშვან, შომპრიან, უშხვან, ცინდელან, კაბოლან, ცალან, ვეზდენ, ვერცკიან, აფრასიძე, ვიბლიან, გაბულდან, დაჩქელან.

ეცერი. გერლიან, პაკელან, გურჩიან, ხორგუან, აფრასიძე, გაზდელან, ცალან, უმფრიან, ჩარკვიან, მურღვლიან, არღვლიან, ქალდან, მილდან, ჯაჭვლიან, შომპრიან, გუგუსიან.

ფაარი. რეზესიძე, ნარსავიძე, გადრან, აფრასიძე, ჩხეტიან, ჩხვიმიან, მიქიან, დევდერიან, წულკიან, ვიბლიან.

ჩუბეხევი. ცინდელან , ანსიან, სუბარ, ვიბლიან, ქალდან, ჩხეტიან, გადრან, ჩხვიმიან.

ლახამული. ჭკადუა, დავითიან, კვანჭიან.

სვანური ხალხური ფერხული სიმღერები. ვიცბილ-მაცბილ (სახელები)

საბრალ დოლარე ლეჟრი დოლარე
ტეფნამსჷდუ ალ ეცერალე.
ამჟი ეცრჷლს დეშლოგჭენიდ
ბოფშჷრს ჰაკვნჷრშვ გვეღეშგჷლეხ
ლახხვას გუშგვეჲ ხელეყურეხ
ფისევ ხაბახ სორთმანშერჷლს
ლიფუსტ ხოლა მინს ხოხალეხ.
ამჟი ნაჲ მინს დეშლოგჭენიდ
ლინზრრჷლედ ბეჩვი ლეჩყჷნ
ჩუ ლუზერლიდ დრლჷ სუფჷს
ჲერუ მჷრე ქა გვითიშახ
ჟახად ხაჟხჷხ ვიცბჲლ მჷცბილ,
სემი ზჷილდუ გვარენა
ჟჷგიშ ფინდხიშ ლამარასა
სამ ზაუნღო სგჷვ ლაბეკიდ
გუშგვეჲ ფუსტჷრს სორთმჷნშერჷლს
ლადრელ ჰოკერ მურყვამ ლგგჷნ
სგჷვ გვისკინა ალ მურყვამითე
სოფლიშ მგქაფ ნავრილრრედ
სემი ზაილდ მურყვამს ლოგვჷდ
ეცერ ცხუმჷრ ჰაყრს გვიგენახ
დჷბთე ჰჷნწვიშ დეშაშდ გვიგმუნა

უჴნა ულაშვინდ ჩუვ გვიცვჲრჳხ.
ხინზორალედ ეცერალე
ლაშგარისჳ ხილაშგარედ, ეცრიშ ლაშგარი გვალაშგარე
ლაშგრიშ მახვში ლგქჳდ ავლჳყ.
ჳმლეთ ლაშგჳრ სგჳვ გვაგენიხ,
ლგქჳდ ავლჳყ სგვებინ ხოჟვეღხ.
ტანის ხაქუდ თვეთნე ლერექვ
ეშ ათხპგნა მუბირისგა.
ლგქჳდ ავლჳყს ხოჩაჯჳდა
ლგირ ლგნქეჭ ხეხვმიშ ლილყურ.
იღეშგჳლვნიხ ეცრიშ ბუშვჳრ.
ხოცჳდუნეხ მურყვამხჳნქა.
აშხვუმ ხაჴიდხ მურსგვენ ბარჯას
თვეთნე ლერექ წგრნიდ ესღვჳფხ
წგრნიდ ესღვაფხ ლგქჳდ ავლჳყს.
ამლუთ ლაშგჳრ ქა ხაყეჩიხ
მერმა ლუთის სგჳვ ხაგენიხ
სგჳვ ხაგენიხ ცხურმიშ ლაშგჳრ
მართჳლ გაგულ ლაშგრიშ მუთხვმი.
გაგულს ნამგრთალოშ ჯერი მჳი ჯეყრენი
ლარტყან ჟიბავ დემის ჯაჴდედ
აშხვანიშ ფოყს ლაცხუვს ლჳჯსყიდ
მერმა ფოყას ლაყრრლს ლჳჯსყიდ
ხოცჳდუნეხ მურყვამხჳნქა ლუნქროვა მინეთოფარეს
მირთვენ ფოყას ლატყუვ ლოხსყეხ
მირსგვენ ფოყჟი, ჩუ ლაჲყვინეხ
ამლუთ ლაშგჳრ ქჳდ ხოყჲჩახ
მუსმა ლეთის სგჳდ ხაგენახ
ბრლაშ ლეკედ რიჩკვიჳნჳრ
იშგვიდ კერაჲ რიჩკვიანარ
ლჳშთხა სგჳჲ მჳდ ჯარუნახ
ფინხიშ საფჳრდ კჳვრჳლ ხჳცუდახ
მურყვმი ძირად სგა ხაჴვესგახ
ალ მურყვამს ლიბჲნჯვი ლოხვბინეხ

მურყვამდ ლიჯჯგგნე ლოხვბინეხ
მუგლი ბიკჲრს ჩუქვანისგა ხოცჲდეხ
საბრალ ლახვბა ლეჟრი ლახვბა.
თხუმას ისგვეჲ დო ხილეჭედ
სემი ზჲილდ ჟჲგს ლიმჲრუედ
სემი ზჲილდ მურყვჲმს ოგვჲდდა
ქორჲშ ლირდუშ მჲმ გვეშ გვიხა
ხეხვი გეზალ დუსა გვიწვა
ეცერ ცხუმჲრ ჰაყრს გვიგენახ
მინე მუთხვმა ჩუ გვიდგარახ
უხნა ულჲშვინდ გვიცვჲრახ
ოტ საბრალე ვიცბჲლ მაცბჲლ
ლეზვებ ლეთრე მოლიდ გვაცვირ
ჟაგი ფინდიხ სგა გვაშდეხი
ეშხუ ტუნულ ღედრილ გვაცვირ
ვოშთხვ ლაზმჲრ ჟჲგილდ გვაცვირ
თვით ჲერუ ცხუვჲრ გვასიდხ
საბრალ ლახვბა ლეჟრი ლახვბა
ძირიშ მგლჲშ ლჲშდვრას ჯატყციხ
ხოშა ლუთხვიმ მახვში სოთმან
სორთმან ფალთაჲ ჩალდჲყჟი სგურ
მასჲრდ ხჲხჲად ღალატ გვიშგვეჲ
ქა გვასმჲნე ლიცვმიშ გგრჰგნს.
საბრა ლახვბა ლეჟრი ლახვბა
თჲფჲრს გუშგვეჲ დრდ ლაკჰურედ
ნაჲთოშ, ლჲფდჲლ მჲდმა ხჲდახ
ლგქგნთირნე ლასხვ ნაშჲალე.
ლოცადუნედ მურყვამხანქა
აშხვუმ თუმიშ გირგველდს ლაჯიდ
მერმემ მუჭოდისგა ლაჯიდ.
წგრნი ზისხილდს ეჩავ ლეწჲდ
ატ ლგკჩევლი ბედი გვიშგვეჲ
ჰჲდურდ უწვრა მჲდმა ლჲრად
ხოშა სორთმან ჩუდ გვიდგარა
ნჲჲ ლირდე მჲდლმა გვერი

სორთმანს ლიფუსტ მადლმა ხერი
საბრალ ლახვბა, ლეჟრი ლახვბა
ლახვბას მურყვამ ხეგიწალეხ
სორთმანს ქვინილდ ხედუწალე
ლახვბას მურყვამ ჩუ ხაკაფახ
სორთმანს ქნინილდ ჟივხაჩედა.

თარგმანი
ვიცბილ-მაცბილ (ორი ძმის სახელი).

საბრალო დოლელებო, საცოდავო დოლელებო, [129])
პურის ქერქი ეცერლები,
ასე ეცერლებს ვერ გავუძლებთ,
ბავშვებს აკვნებით გვართმევენ,
ჩვენ ცოლებთან ისინი წვებიან,
ფისი დაესხათ სორთმანშერლებს (დადეშქელიანებს):
მათ ბატონობა გლახა იციან.
ასე ჩვენ მათ ვერ გავუძლებთ.
შევიკრიბენით ბეჩოს ხევი,
თავი შევიყარეთ დოლასუფას (ს. დოლში მდებარე მინდორი),
ორი კაცი ავირჩიეთ,
სახელათ ერქვათ ვიცბილ და მაცბილ.
სამ წელიწადს ტყვია-წამალს იმზადებდნენ,
სამი წლის შემდეგ წინ აღუდექით
ჩვენს ბატონებს სორთმანშერლებს [130]).
ლადრელის ძირში ციხე იდგა.
შიგ შევედით ამ ციხეში.
სოფლის სამუქაფოთ ვიყოთ ჩვენა.
სამი წელი ციხეში დავრჩით.
ეცერ-ცხუმარლები შევაწუხეთ (ავიკელით),
ყანაში გუთანი არ გამოვატაინეთ,
ხვნა-თესვა არ დავანებეთ.
თავს იყრიან ეცერლები...
ეცერის ლაშქარი მოგვადგა.

ლაშქრის უფროსი მედიდური ავლაყი.
ამ ღამეს ჯარი მოგვადგა.
თავხედი ავლაყი წინ უძღოდა,
ტანზედ ეცვა თეთრი ჩოხა,
ბნელს ღამეში ანათებდა.
ავლაყ, შენ გერჩია
წარბშეღებილ ცოლთან წოლა.
მას დაიტაცებენ ეცერელი ბუშები...
ესროლეს ციხიდან თოფები.
ერთმა გულში მოარტყა,
მეორემ მოახვედრა მარჯვენა ბეჭში,
თეთრი ტანისამოსი წითლათ შეუღებეს,
წითლათ შეუღებეს მედიდურ ავლაყს.
ამ ღამეს ჯარი უკან გაბრუნდა,
მეორე ღამეს ისევ მოგვადგა,
ისევ მოგვადგა ცხუმარის ჯარი,
მართალი გაგული ჯარისთავი,
გაგულ, სიმართლით მოგივა, რაც მოგივა,
წელს ზევით არ მოგარტყამთ,
ერთს თეძოში ტყვიას მოგცემთ,
მეორე თეძოს საწოლათ მოგცემთ
ესროლეს ციხიდან თოფები.
მარცხენა თეძოში ტყვია მოარტყეს,
მარჯვენა თეძოზე წამოაწვინეს.
ამ ღამეს ლაშქარი კიდევ გაბრუნდა,
მესამე ღამეს ისევ მოგვადგა.
ძირამოსაგდები რიჩგვიანები
შვიდი კერა (კომლი) რიჩგვიანები,
არ ილევა გვარი მათი.
ტყვიის საფრად კევრები (კავრალ) დაიკავეს,
ციხის ძირამდე ისე მოგვეპარენ,
ამ ციხეს დაუწყეს ძირის გამოთხრა,
კვარის ჯირკებს ქვეშ უწყობდენ.
საბრალო ძმებო, საცოდავო ძმებო,
ჩვენი თავი დავიტიროთ.
სამ წელს წამალს ვიმზადებდით,

სამი წელი ციხეში ვიყავით,
ოჯახის და ცხოვრების არაფერი ვიცით,
ცოლი და შვილი არ გვინახავს,
ეცერი და ცხუმარი ავიკელით,
მათი წინამძღოლები ჩენ მოვკალით,
ოხ, საბრალო ვიცბილ მაცბილ,
საჭმელ-სასმელი ცოტა დაგვრჩა,
ტყვია-წამალი შემოგველია,
ერთი ქოთანი ცერცვი დაგვრჩა,
ოთხი საზომი წამალი და ორ-ორი ტყვია.
საბრალო ძმებო, საცოდავო ძმებო,
ძირიდგან (ციხის საძირკვლიდან) ალი ზევით გვწვდება.
დიდთავიანი ბატონი სორთმანი აივანზე ზის,
ძალიან უხარია ჩვენი დაღუპვა,
სიცილის გრგვინვას ჩვენ გვაგონებს.
საბრალო ძმებო, საცოდავო ძმებო,
მოდი ჩვენი თოფები გამოვცადოთ.
გახურებული იყვნენ ნაომარი, ვით ნაკვერცხალი,
ხელის მოკიდება ძალიან გვიჭირდა.
ვისროლეთ ციხიდან თოფები,
ერთმა მოვარტყით სორთმანსა წარბში,
მეორემ შიგ გულში მოვახვედრეთ,
წითელი სისხლი იქ დავინახეთ.
ოჰ, ნეტავი ჩვენ, სისხლ-აუღებელი აღარ დავრჩით,
თავი ჩვენი კი ვისისხლეთ,
დიდი სორთმანი მოგვიკლავს.
ჩვენ ცხოვრება აღარ გვექნება,
სორთმანს კი ბატონობა არ ექნება.
საბრალო ძმებო, საცოდავო ძმებო,
ძმებს ციხე ენგრევათ,
სორთმანიც ამ დროს სულს ღაფავს...
ძმებს ციხე წაექცათ,
სორთმანს სული ამოსძვრა.

129) აქ ლაპარაკია ბეჩოს საზ. სოფ. დოლში მცხოვრებ სვანებზე, რომლებიც იყვნენ თ-დ დადეშქელიანების ყმები. ეს სიმღერა აგვიწრეს იმ გარემოებას, თუ

როგორი შევიწროებული ჰყოლიათ ისინი თავადებს და როგორ მოუკლავთ თავისი ბატონი სორთმანი. ეს სორთმანი უნდა ყოფილიყო მე-XVI საუკუნეში.

130) აქ არის ლაპარაკი სორთმან დადეშქელიანის შტოის დადეშქელიანებზე, რომლებიც იყვნენ ეცერის მფლობელები.

ქალსა ვისმა

ქალსა ვისმა ერქვა შრუშანა
თითსა ხუთსა ეცვა ბეჭედი
ბეჭდის თავსა იდგა ბოსტანი
ბოსტან შუა მოლი მოსულა
მოლთ შუა ნაძვი ასულა
ნაძვის წვერსა ქორს ბუდე ედგა
ბუდე ედგა აბრეშუმისა
კვერცხიც ქონდა მარგალიტისა
ვჩხეკე ვკეკე კვერცხიც გავსტეხე
შვილი ჰყავდა იაგუნდისა
ღმერთო ერთი ჩემთვის გაზარდე
სხვა ათასი სხვისთვის გაზარდე
სანადიროს გზა გაუწაფე
წყაროს თავსა ისადილესო
ნასადილევს მოჰკლეს ირემი
მაგ ირემსა ქულა დავგლიჯეთ
ჩემო ცოლო ხვახვა მოჭრილო
შენ მაგისი ჩოხა შეგვირთე
რაც გადაგრჩეს წინდა–პაიჭი
ლიბნი ხესა ქვეშ უგდივართ
მოვკართ ხელნი შტონი დავგლიჯეთ
ჩემო ქმარო ლომო და გმირო
შენ მაგისი სახლი დამიდგი
რაც გადაგრჩეს წისქვილ–ბეღელი
წისქვილ წისქვილსა და ჯარასა
ქალი აბრუნებდა ჯარასა
ქალო ნუ აბრუნებ ჯარასა (ლათას)
მე მოგიტან ხათაიასა (ფართალსა)
წითელ ყვითელ დარაიასა.

სანადირო

სანადიროს მივდიოდით
ამირანი და ყმანი მისი
წინ ირემი შეგვეყარა
დავიჩოქეთ და ვესროლეთ
ბეჭში ისარი შამოვტყორცნეთ
არ გასდინდა ცვარი სისხლი
დღისით ვსდიეთ ღამე ვიდექით
არ დავკარგეთ კვალი მისი
აგვიძღვა და ქვე ჩაგვიძღვა
ბალხეთ მინდორით ჩაგვიძღვა
ბალხეთ მინდორს კოშკი იდგა
კოშკი იდგა აგებული
აგებული ათჟამისა
სამჯერ ირგვლივ მოუარე
ვერსად ვნახე კარი მისი
ამირანმა ქუსლი ჩაჰკრა
შიგ ჩასტეხა კარი მისი
კარებს უკან კუბო იდგა
კუბო იდგა მითა ჟმისა
საფერხულსა რაში ება
სასთუმალსა ხმალი ედვა
ორ თითს შუა წიგნი ქონდა
წიგნი ქონდა დაწერილი
დაწერილი ქაღალდზედა
ვინც ამ წიგნსა წაიკითხავს
მასა ქონდეს ცხენ-იარაღი
იარაღი და რაში ჩემი
დავ-ბაყბაყი ჩამემტერა
გულსა ჩამყვა ჯავრი მისი
ვინც ამ ბაყბაყს მე მომიკლავს
მას ყავდეს ჩემი რაში
ჩემი რაში და იარაღი.

მავლია (მოვლენ)

(ჩამაწერინა გიორგი ხაქრზიანმა ს. კალაში).

მავლიოს ღმერთმანი მავლიოს
(უნდა იყოს: მოვლენ, ღმერთმანი, მოვლენ).
ქართლი კახეთი თუ არე
სულა რაჭა და ლეჩხუმი
მევიდა ლაშხეთს ლაშქარი
ჩოლური ჩვენთვის ვიარედ
იწაიწა იღუმთიან
დავიდგი უშგულს კარავი
გიორგი ცეცხლის ულაში
მულახში კაცი გაგზავნეს
მულახი დიდი ბატონი
ქვეითი მესეტუარე
ბაღდი ქალაქ სოლა ლენჯარ
ეცერში კაცი გაგზავნეს
ეს ეცერი და უშგული
მოკლეს ქექავოზ ქაიხოსრო
კალას მოხმარი ჯახმარეხ
ჯახმარეხ დიდი ძალია
მიჯვრიშ გიწირეს ვაზირი.

სოლომონ

(ჩამაწერინა გოგა რატიანმა ს. უშგულში)

აღსდგა სოლომონ, წაბრძანდა,
შესდგა სტამბოლის გზაზედა,
შვიდი დღე-ღამე იარა,
მიბრძანდა ხვანთქრის კარზედა.
ვეზირი დაუხვდა კარზედა,
ხელი დაადვა მხარზედა:
სოლომონ, რაზედ გარჯილხარ, რაზედა?
მოგეხსენებათ, ბატონო, ცუდს დროს შევეყარეთ, მაზედა.
შეიპატიჟა სოლომონ, დასვეს ხალიჩის თავზედა.

სოლომონ, ჯირთის გიქებენ, განთქმული გურჯისტანზედა.
მე ჯირითისა რა ვიცი, რა დავიქადნო რაზედა.
გავზრდილვარ გაუჩარხველად სახლში და მოედანზედა.
სოლომონ, არ მოგეშვებით, გაგიყვანთ მოედანზედა;
ერთი ჩვენცა გვყავს არაბი, განთქმული ქვეყანაზედა;
თუმც ეჯიბრები, ხვანთქარის წყალობას მიიღებ მაზედა.
ეხ, ბატონო, რა გამეწყობა თქვენზედა,
ცხენიც ისეთი მიშოვნეთ, ტოლი არ ყავდეს ქვეყანაზედა;
შევიდნენ, გამოიყვანეს ნაბამი ოთხკეც ჯაჭვზედა,
შვიდსა მეჯინიბეს მოჰყავს, ვერ ამაგრებენ გზაზედა;
ოქროს იარაღი ედგა, ალმასი ერჭო თავზედა.
ორშაბათ დილა გათენდა, სოლომონ შეხტა ცხენზედა,
ცხენი დგებოდა ყალყზედა,
ვოდებს გადევლება თავზედა.
აქ მოჰქრის, მოშხუის არაბი ვით შავარდენი მთაზედა,
სამი ჯირითი უწყვია იმ გაშავებულ მკლავზედა;
სამსა სოლომონს ექადვის, რა გადახდება თავზედა.
სოლომონ სალამს მიართმევს, არც ხარობს არაფერზედა.
მე სალამი არ ვიცი, ვხედავ გამექეც განზედა,
წყალივით ოფლში გაგწურო, გაგსინჯო კაცობაზედა,
სოლომონ წინა გაექცა, არაბი გაყვა კვალზედა;
ერთი ესროლა ჯირითი, გადააცილა თავზედა,
მეორე ჯირითი ესროლა, არ წაიკარა ტანზედა,
მესამე ჯირითი ესროლა, ცხენს მოარტყა ტანზედა.
სოლომონ მეტად შეფიქრდა, გადაეხვია ცხენსა და აკოცა ორსა თვალზედა.
შენი ჭირიმე, ლურჯაჯან, გადამარჩინე წამზედა,
აწი მობრძანდი, არაბო, მე ერთის მეტს არ გესვრი
და მასაც სამართალზედა.
ერთი ესროლა ჯირითი, დაასვა ბეჭის თავზედა.
იკივლა და გადმოვარდა, ცხენი დარბოდა წყალზედა...
ხვანთქარს კაცი მიუვიდა და აცნობა: მოგიკლეს შენი არაბიო.
ხვანთქარმა კითხვა დაუსვა – ვინ არის არაბის მკვლელიო?
წადით მომგვარეთ სოლომონ. შეიპატიჟეს სოლომონ,
დასვეს ხალიჩის თავზედა,
ორთუღვიანის ფაშობა ფიცხლათ დასწერეს ტანზედა.

ხმალს იხმარს ალმასისასა,
სამართალი ისეთი აქვს, შუათ ჰყოფს ბეწვსა თმისასა.

გივერგილა

ვოჲდა ლემჩილ იჲავოდა ჲაქაშ
ვოჲდა გივერ იჲავოდა გილა
ხითხვი ჲარე ჭანგულისგა
კოჯას ფივერს დუმ ხაცური
ძუღვაშ ჰოკერ ცუზვარს ხიტხე
ძუღვას ცუზვარს დუმხაცური
ჩიაშ მეთხვიჲარს ეჯნოშ ხასრე
ქორულდ ჯჲგაშ სოფლიშ თხუმას
ლგლშგილდ ჯაჲდა ღვაშაშ ცილილდშ
ხორევ ჯჲგაშ ღვაბა ჯიჯვმიშ...

თარგმანი

გასაზრდელო და დასაბერებელო გივერგილა (გიორგი),
ნადირობდი ჭანგულში,
კლდეში ჯიხვ–არჩვს არ ტოვებდი,
ტყეში ნადირს არ ტოვებდი,
ზღვის სიღრმეებიდგან თევზი (ცუზას) ამოგყავდა,
ზღვას თევზებს არ არჩენდი,
ყველა მონადირეს ამითი სჯობნიდი.
სახლი გედგა სოფლის თავში,
დახურული ჯიხვის ტყავით,
ხროვა გედგა ჯიხვის ძვლისა,
დასაბერებელო გივერგილა...

დალი კოჯას ხელღვაჟალე

დედე ხიდად ლეზიზ ჷმნაყ
ერსკჷნ კვიცრჷ საუდ ლამჷდ
ქა ლოხვნაყე დედედ ლეზიზ
მეთხვიდარ მიჩა ლელატ გეზალს
დოსდა ძინჷრს ჟი ხვიგნალე
ჟდვ ამჩედხვი თანჷღთეჟი
ხევსი ლიკედს ხვემურჯჷლე
ეშხუ თგმდ კდლ ლამსგმდა
ამღა მია მადმა ონფეში
მერმე კდლ აჯაღდ მასგმდა
მივ ლგჭჷთ ხვი მოდ ახვემჭრა
ალი კილი მჷვ დრრლე
ლეჟჷვ ლახვსგი თეთვნე კოჯლი
კოჯჷს დჷლი ხელღვაჟჷლე
ჩუქვჷნ თხერრლ ხოყგლპგნე
დჷლის გეზალ კოჯს ხაშყედა
ეჯი თხერრლს ეშლოხქარვა
მეთხვიდარ კოჯა ძირდ ამჩედლი

შეცდომების გასწორება

გვ.	სტრ.	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
23	8	ზევ. ,,**ლა**“	და ,,**ლა**“,
41	9	ქვ. შენობების	შენობის
42	12	ზევ. სოფ. ჭერში	სოფ. ყარში
48	10	ზევ. ხმით	მით
65	9	ქვ. ქალებს	ქალები
76	13	ზევ. მთავრობის	მთავრების
108	4	ქვ. ბიმურზა	ათმურზა
124	8	ზევ. მაღლობზე	მაღლობებზე
136	10	,, გამოაბამდა	გამოიბამდა
141	სათ.	თხოვნა	თხოვა
		‘’ 2 ქვ. ოგელის	დოგელის
154	18	,, ორი	ოცი
165	16	,, მთაზედ	მათზე

308(47.924)
I

ეგნატე გაგლიანი

К 88.599
3

თავისუფალი სვანეთი

К 4474
3766.
6477.

სახელგამი
თფილისი — 1927

ავტორისაგან

სვანეთის ყოფა-ცხოვრებისა და ადათ-ჩვეულებების გაშუქება თავისი ორიგინალურობით თანამედროვე მკითხველ საზოგადოებისათვის არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული, ხოლო მეცნიერებისა და ისტორიისათვის ის იძლევა ფასდაუდებელ მასალას მრავალნაირ საკითხების გადაჭრა-გამორკვევაში. ამ გარემოებას დღემდე არ ქონდა მიქცეული სათანადო ყურადღება. მართალია, სვანეთზე ბევრი რამ დაწერილა მე-19 საუკუნეში უცხოელების მიერ, მაგრამ მათ მიერ სვანეთის ცხოვრების სინამდვილე უფრო დამახინჯებულია, ვიდრე ნათელყოფილი. ამის დასამტკიცებლად მე მოვიყვან, სხვათა შორის, ორიოდე უბრალო მაგალითს: ბართოლომეის, რომელსაც თავისუფალი სვანი და ერისთავი ასახელებენ სვანეთის ნუმიზმატათ, ვერ გაურჩევია თხა ბაყბაყ დევისაგან. ლაშთხვერის ეკლესიის ჩრდილოეთის კედელზე დახატულია ამირანის ბრძოლა ბაყბაყ დევთან. ბართოლომეის რქოსან, ბალნიან ცალ-თვალა ვეებერთელა დევის ადგილას თავის წიგნაკში თხა დაუხატია. მას ვერ გაურჩევია აგრეთვე იალბუზი თვეთნულდისაგან და თვეთნულდი იმ იალბუზის სახელით მოუნათლავს, რომლესაც სრულიად ვერ შეამჩნევთ სვანეთიდან. სტოიანოვსა და ტეპცოვს სვანები უცვნიათ წმინდა უკრაინელებად და ველიკოროსებად და მათი ენა არა ქართული ენის მონათესავედ.

ბოროზდინა თავისუფალი სვანეთის სახელწოდებას ასე გვიხსნის: ,,თავისუფალი სვანეთი ამ ქვეყანას დაერქვა იმისთვის, რომ ერთხელ მის მკვიდრთ შემოაკვდათ თ. დადეშქელიანიო, რისთვისაც მთელი სვანეთი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, გაწყვეტილ იქნენ დადეშქელიანების მიერ და, რადგანაც ეს ქვეყანა სრულიად გაიწმინდა და განთავისუფლდა მოსახლეობისაგან, ამიტომ დაერქვა თავისუფალი სვანეთიო“. მე არ შევჩერდები ამ სასაცილო მოსაზრების გაქარწყლებაზე და ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ასეთი ,,მეცნიერების“ გამოკვლევებით სვანეთზე სწორი შეხედულება შეუძლებელია ვიქონიოთ. ასეც რომ არ იყვეს, მათი ნაწარმოები არ სცილდებოდა ვიწრო წრესა და სპეციალობას.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ამ მხრივ პირველი ადგილი უჭირავს სვანეთის შესახებ ლიტერატურაში თავისუფალი სვანის ეტნოგრაფიულ წერილებს, შემდეგ რ.

ერისთავის წიგნაკს ,,Заметки о Сванетии“. ცხადია მხოლოდ ის რომ ან ერისთავის წიგნი უნდა იყოს სიტყვა სიტყვით გადმოთარგმნილი თავისუფალ სვანის წერილებიდან, ან უკანასკნელს უნდა ქონდეს მის წიგნაკიდან ნათარგმნი. ჩემი ღრმა რწმენით, პირველი მოსაზრება უფრო ახლოს უნდა იყოს სიმართლესთან, ვიდრე მეორე, ვინაიდან თავისუფალი სვანის წერილები მოთავსებული იყო გაზ. ,,ივერიის“ 1866-67, 68 და 69 წლების ნომრებში, ხოლო რ. ერისთავის წიგნი გამოცემულია 1897 წელს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ერთსაც და მეორესაც ბევრი რამ ღირსაღსანიშნავი და საინტერესო მასალები დარჩენიათ ხელშეუხლებლათ, მაგრამ თავისუფალი სვანის წერილები სვანურ ადათ-ჩვეულებებზე იმ მხრივ არიან სასარგებლო, რომ მათში მოიპოვება ცნობები ზოგიერთი ადათის შესახებ, რომლებიც ჩვენ დრომდე გამქრალან, და როგორც მე, ისე სვანეთის სხვა მკვლევართ შეუძლიათ ზოგიერთ შემთხვევაში მათი გამოყენება.

თქვენს წინ მდებარე წიგნის ავტორს, თავისუფალ სვანეთის შვილს, ბედმა დამაკისრა მრავალი წლის განმავლობაში ვყოფილიყავი სვანეთის მართვა-გამგეობის მუშაკი. ამიტომ საშუალება მომეცა საფუძვლიანად გავსცნობოდი მის ყოფა-ცხოვრებას და იმ ადათ-ჩვეულებებსა და იურიდიულ ფორმებს, რომელთა ხელმძღვანელობითაც მიხდებოდა უმთავრესად მუშაობა ამ ქვეყანაში. ამჟამად სურვილი მაქვს ეს ჩემი შრომა ვუძღვნა მკითხველ საზოგადოებას სვანეთის თავ-გადასავლისა და ყოფა-ცხოვრების ახლო გასაცნობათ.

დასასრულს მადლობას ვუძღვნი ს. ესაძეს. ს. გორგაძეს და ს. კაკაბაძეს, რომლებმაც ამ შრომისათვის ზოგიერთი ცნობები მომაწოდეს.

ავტორი

I
სვანების დამოკიდებულება ფეოდალიზმისა და ბატონ-ყმობისადმი

ჩემს პირველ წიგნში, ,,ძველი და ახალი სვანეთი“, მოთავსებულ სვანეთის ისტორიული მიმოხილვიდან ჩანს, რომ სვანეთი პირველ საუკუნეში ქ. და შ., სტრაბონისა და სხვა ბიზანტიელმწერლების აღწერილობით, წარმოადგენდა ძლევამოსილ დამოუკიდებელ სახელმწიფოს, მის მოსაზღვრე მეზობელ ერებზე გაბატონებულს, რომელსაც, როგორც ნათქვამი იყო, ამ დროს განაგებდა ხალხის მიერ, ამორჩეული 300 ჩენილისაგან შემდგარი საბჭო. მე-VI საუკუნის ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი სვანებზე ამბობს, რომ ,,უძველეს დროიდან ეს ხალხი საკუთარი კანონებით განაგებს თავის ქვეყანასაო“.[1]) სვანეთის ტერიტორიის მაშინდელი საზღვრები იყო: დასავლეთით დიოსკურია (სოხუმის მახლობლად) და წებელდა, სამხრეთით მას ეკუთვნოდა ნაწილი სამეგრელოსი და დღევანდელი ლეჩხუმისა, აღმოსავლ. მისი საზღვარი იყო მე-15 ს. ჭიდროთსა და გლოლას ზემო ჩრდილო და სამხრეთი ოსეთი. რიონის სათავეებში მდებარე ზემო რაჭა ანუ მთიულეთიც სვანეთს ეკუთვნოდა. ძველი ნაშთები და საბუთები ჩვენ გვარწმუნებენ, რომ ჩრდილოეთით ანუ ყაბარდოსა და ყარაჩს მხრით პირველად სვანებს ეპყრათ დიდი ტერიტორია, რომელიც გადავიდა სხვის ხელში და შემდეგში ამ მხრით მას საზღვრებად დარჩა მხოლოდ ჩეგემი და ბახსანას დაბლა ხუთი ვერსის მანძილზე მდებარე ნაქმუკვარი და ლაბგვიარი[2]).

დროთა ვითარებით სვანეთის ის ნაწილები, რომლებიც ამა თუ იმ მხრით დღევანდელ სვანეთთან გეოგრაფიულ პირობებით იყვნენ მოწყვეტილი, – მაგალითად, ლეჩხუმში, სვანო-კოლხები ანუ დღევანდელ სამეგრელოში დამკვიდრებული სვანები, აფხაზეთის აღმოსავლეთით მობინადრე სვანები და ზემო რაჭა, – თანდათანობით მოწყდენ სვანეთის ეროვნულ სხეულს, სხვადასხვა სამეფოების ანუ სამთავროების მფლობელობაში გადადიოდენ და მათ ტერიტორიად იქცეოდენ. ამნაირად, დღევანდელი სვანეთი წარმოადგენს სვანეთის მხოლოდ ძველი სამკვიდრებელი ტერიტორიის ნაწილს, რომლის მკვიდრნი შემდეგში წარმოადგენდენ ხან დამოუკიდებელ ერს, ხან საერისთაოს, ხან ამა

თუ იმ სამეფოსა ანუ სამთავროს ნომინალურ დამოკიდებულებაში მყოფ ქვეყანას. მაგალითად: სტრაბონის ცნობებით, როგორც არის ზემოთ ნათქვამი, მის დროს სვანეთი წარმოადგენდა ძლევამოსილ დამოუკიდებელ სახელმწიფოს.

პროკოფი კესარიელის ცნობითაც სვანები უხსოვარ დროიდგან არავის მორჩილებაში არ იყვნენ და საკუთარი კანონებით განაგებდენ თავის ქვეყანას. ისინი ეცემოდენ სომხეთისა და რომაელების ოლქებს ზღვამდე, ძარცავდენ და ანადგურებდენ მათ. სვანების ამნაირი გამოსვლებისაგან რომ თავისი სამფლობელო ქვეყანა ეხსნა, რომის მეფე მათ ყოველწლიურად უგზავნიდა ოქროს, მაგრამ სვანები მაინც თავისას არ იშლიდენ და განაგრძობდენ ზემოხსენებულ ქვეყნების აოხრებას. თავის სამკვიდრებელი ქვეყნის მიუდგომლობით ისინი ყოველთვის დაუსჯელნი რჩებოდენ. ბოლოს მოფერებითა და ტკბილი სიტყვებით ისინი დამორჩილებული იქნენ იუსტინიანეს მთავ. სარდლის სატტოს მიერ[3]). მეორე ბიზანტიელი ისტორიკოსის მენოიდროს ცნობებით სვანები მეფე თეოდორეს დროს რომს მიემხრენ და მეფე ლევის (408-474 წ.) გამეფებამდე მის მოკავშირედ ითვლებოდენ. რომის მორჩილებაში მყოფ ლაზების მეფეს სვანები აძლევენ ბეწვეულს, თაფლს და სხვ... თითონ სვანები კი ამის ნაცვლად ლაზიკიდან ღებულობდენ პურს. როცა სვანეთის უფროს გარდაიცვლებოდა, მისი მოადგილე ლაზიკის მეფის წარდგენით უნდა დაემტკიცებინა რომის მეფეს, მხოლოდ მაშინ, თუ ის სვანი იქნებოდა.

ერთ დროს, როდესაც სვანეთს განაგებდა ცაფი, იქ მყოფ რომაელების ჯარების მთავარსარდლად ითვლებოდა დატატი.

როდესაც ლაზიკაში მყოფ რომაელების ჯარების მთავარსარდალსა და ლაზიკის მეფის შორის განხეთქილება ჩამოვარდა, კოლხიდიდან შესწყვიტეს სვანებისათვის პურის გაგზავნა და ამიტომაც სვანები მიემხრნენ სპარსელებს.

როდესაც ივერია გადაიარა სპარსეთის ბატონმა ხესროიმ და ბიზანტიელებთან კავშირის დამყარებისათვის ანადგურებდა ამ ქვეყნის ქალაქებს, რომის მეფემ გუბაზს მისცა დასახმარებლათ 1000 სვანი და 7000 რომაელი დოსიფეუსის მეთაურობით, მაგრამ როდესაც ქ. პეტრას ალყა შემოარტყეს და გამარჯვება ხელთ უნდა ეგდო, რადგანაც სპარსელებს მისი დაცვის უნარი დაკარგული ჰქონდათ, დოსიფუესის ლაჩრობით ალყა

მოხსნილ იქნა და ის თავის ჯარით მდ. ფოსოსით თავის ქვეყანაში გაემგზავრა. სვანები რომ მას დაშორდენ, დაეცენ სპარსელებს, დაამარცხეს ისინი და დაანგრიეს ციხე საძირკვლამდე.

როდესაც 562 წ. რომაელებსა და სპარსელებს შორის ზავის შესახებ ხელშეკრულება დაიდვა, სვანები არ იყვნენ მასში ნახსენები. ამიტომ შემდეგ წელს რომაელებმა საგანგებო დესპანი პეტრე გაგზავნეს ფარმაისში სპარსეთის პატონთან სვანების შესახებ მოსალაპარაკებლად, მაგრამ ხესროიმ სვანეთის დათმობაზე უარი განაცხადა. პეტრე ბიზანტიაში დაბრუნდა და მალე გარდაიცვალა.

ამის შემდეგ იუსტინიანე II გზავნის სპარსეთში იოანნე კომმენთიელს ამავე დავალებით, მაგრამ ამჟამადაც ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. ამის შემდეგ ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის იმართება სვანეთზე ვაჭრობა. იუსტინიანემ იმავე იოანნეს პირით შეუთვალა ხესროის, სვანეთი მომყიდეო. ხესროიმ ეს საქმე გადასცა გადასაწყვეტად ზიხს, რომელიც დათანხმდა სვანეთის ფულად გაყიდვაზე, მაგრამ ზიხი მალე მოკვდა და სვანეთი დარჩა თავისთვის. ტიბერის კეისარმა სვანეთზე ხელი აიღო, ხესროიმ 573 წ. აიღო დარი და მის დაბრუნებას მიაქცია მთელი თავისი ყურადღება.

ხესროის შემდეგ გამეფებული ორმუზდი სვანეთს არავის უთმობდა და მის მოკვლის შემდეგ გამეფებული ხესროის მემკვიდრე ბეხრა ჩუბინი ამ ორმუზდის სიცოცხლეშივე შევიდა სვანეთში [4]).

საქართველოს მატიანეს ცნობებით, სხვათა შორის, გიორგი II დროს სვანეთმა გაილაშქრა მის წინააღმდეგ და მთელი საეგრო გაანადგურა, მაგრამ დავით აღმაშენებელმა შემოიმტკიცა ეს ქვეყანა და სვანები მის ავანგარდს შეადგენდენ [5]).

თამარ მეფის დროს სვანეთი მჭიდროდ უკავშირდება საქართველოს.

რუსუდან დედოფლის დროს ჯელალ-ედინის საწინააღმდეგოდ ივანე მხარგრძელის ჯარში 40.000 ლეკი და სვანი იყო, [6]) ხოლო მონგოლების შემოსევისა და საქართველოში მძვინვარების დროს რუსუდანი თავისი შვილითურთ მიდის სვანეთში იმ საურმე გზით, რომელიც მაშინ მიდიოდა საქართველოდან დვალეთ ზემო–რაჭით და ურავის მთით სვანეთში და თათრის მოციქულებიც იქ მიიღო მოსალაპარაკებლათ. [7]) დ.

ბაქრაძის ცნობებით, სვანები ზეიმობენ იმ დავით ნარინის სამეფო ტახტზე ასვლას, რომელსაც ერთ დროს რეზიდენცია სვანეთში ჰქონდა. მხითარ აირავანსკის ცნობებით, 1251 წ, ორივე საქართველოს მეფეები დავითები გაიქცენ და თავი სვანეთს შეაფარეს, ხოლო დოკუდარი 1261 წ. გაიხიზნა ამ ქვეყანაში [8]).

ბაფრატ მეფის დროს სვანები 1361 წ. თავს დაესხენ ქ. ქუთაისს და ცეცხლითა და მახვილით გაანადგურეს ის.

ბაგრატი რაჭიდან ზემოხსენებული გზით დიდი ჯარით შევიდა სვანეთში ეცერამდე, დაიმორჩილა ეს ქვეყანა, გამოსცვალა სვანეთის ერისთავი ვარდანიძე და მის მაგიერათ ერისთავად დასვა გელოვანი [9]).

მაგრამ, ვიმეორებ, ეს დამოკიდებულება ყოველთვის იმდენათ ნომინალური იყო, რომ სვანეთის ზემოთაღნიშნულ წესწყობილებაში და შინაურ მდგომარეობაში არა დროს არავინ არ ერეოდა და ეს ხალხი თავის საქმეებს თავისი ჩვეულებითი უფლებებით და ადათებით განაგებდა.

სვანეთის ასეთი მდგომარეობა გრძელდება მე-XIV საუკუნემდე, ხოლო აღნიშნული ეპოქის შემდეგ იწყება მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ახალი ხანა, ხანა მეტად ტრაღიკული რომელმაც ლახვარი ჩასცა გულში მის პოლიტიკურ მთლიანობას და ეკონომიკურ მდგომარეობას. დაქსაქსა, დაანაწილა ეს ქვეყანა რამოდენიმე სხვადასხვა პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებში მყოფ კუთხეებათ და იქ ფეოდალიზმი დაამკვიდრა. ამნაირად მე-15 საუკუნეში სვანეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ხდება დიდი ცვლილებები: საქართველოს მატიანეს ცნობებით, 1442 წ., ალექსანდრეს მეფობის დროს საქართველოს სამეფო, გაყოფის შემდეგ, სვანეთი იმერეთის სამეფოს ეკუთვნოდა, მაგრამ მე-XV ს. მეორე ნახევარში ზემო სვანეთი მას გამოეყო და, ბაგრატ მეფის თანხმობით, თავი დამოუკიდებელ ერად გამოაცხადა [10]), ხოლო ქვემო სვანეთი ჯერ ისევ იმერეთის სამეფოს დარჩა და შემდეგ ლეჩხუმთან ერთად სამეგრელოს სამთავროს შეუერთდა.

ამ დროს ვარდანიძეების შემდეგ ბაგრატის მიერ სვანეთის ერისთავად დანიშნული გელოვანის გვარეულობის წარმომადგენელი სვანეთის უკანასკნელი ერისთავი აბესალომ გელოვანი კარგავს სვანეთთან იმ ნორმალურ ურთიერთობასაც კი,

რომლითაც მანამდე სარგებლობდენ ესა თუ ის მეფეები ან საერთოდ სვანეთის ერისთავები. [11])

,,ჩვაბე-ხევში“ ანუ სვანეთის დასავლეთ ნაწილში მე-15 ს. დასაწყისში თავი იჩინეს თავადმა დადეშქელიანებმა, რომლებმაც მალე დასცეს მათ დრომდე იქ გაძლიერებული რიჩუგიანების ძლიერება.

უკანასკნელები ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ გაძევებულ იქნენ სვანეთიდან და დადეშქელიანებმა ხელში ჩაიგდეს პირველად ეცერი, შემდეგ ფარ–ჩუბეხევი და ბოლოს ბეჩვი, რომელთაც მძიმე მონობის უღელი დაადგეს კისერზე, ბატონ–ყმური წესწყობილება დაამყარეს ამ მხარეში, ამნაირათ, სვანეთის ერთს მთლიან, დამოუკიდებელ პოლიტიკურ სხეულს მოწყდა მისი დასავლეთის ნაწილი და დადეშქელიანების საყმოდ გადაიქცა.

ქვემო ანუ ცხენის წყალის ხეობის სვანეთი, როგორც ზემოთ არის ნათქვამი, კარგა ხანს კიდევ იმერეთის სამეფოს ეკუთვნოდა. ამ ქვეყანაში ლაშხეთის თემში გაბატონდნენ: ჯერ ლაშხიშვილები, შემდეგ ყიფიანები და ბოლოს გელოვანები.

ჩოლურის საზოგადოების გლეხკაცობა შეიქნა გარდაფხაძეების სამფლობელო კუთხედ, ლენტეხის თემი კი ჯერ ჩარკვიანების, შემდეგ დადიანის საყმოდ. ბოლოს მთელი ქვემო სვანეთი ლეჩხუმთან ერთად შეუერთდა სამეგრელოს სამეფოს და ამ ქვეყნის თავადებიც დადიანის ვასლებად გახდენ, რის გამო დაერქვა სადადიანო სვანეთი. ამნაირად, სვანეთს პოლიტიკურად მოწყდა მისი სამხრეთის ნაწილი ქვემო სვანეთიც.

ჩვენ ხელთ არის საბუთები, რომელთაც მტკიცება, რომ მე-XVII ს. პირველ ნახევარში სვანეთის ეს ნაწილი კიდევ არ იყო დადიანის სამეფოსთან შეერთებული. ეს არის ფხოტრერის [12]) ტაძარში ჩვენ დრომდე შენახული მთავარ ანგელოზის ხატის შემდეგი წარწერა:

..ა. ეტლნო ღთისანო. საყდარნო საშინელნო. ცეცხლნო სულათ სიტყვითა: მწრაფლათ: შექმნილნო ბრძანებითა: საღვთო ამის ყოფთა ამორტყმულნო: მიხეილ ძალითა მთავარნო გაბრიელ ქალწულსა ხარებითა კაცთა ღვთისა: თქვენ რომელნი წამის ყოველთა ღმრთისა ბრძანებისა უხილავთ ძლიერებითა უმჯობესსა განაგებთ რომელნი, სცავთ ცას და ქვეყანასა ფრთითა თქვენითა ხოლო წ. მეცა მიჩრდილეთ მეოხება თქვენი მე დადიანს ლევანს, მთავარ ანგელოზო მიქელ გაბრიელ სახელითა ღვთისათა და

ძალითა და შეწევნითა შენითა ჩვენ ხელმწიფემან დადიანმა პატრონმა ლევან გავილაშქრენით მეფესა ალექსანდრესა და მის ძმას მამუკაზე და მივედით ქუთაისის ციხის საბრძოლათ თავზე მეფე სრულნი იმერელნი, და სვანნი ლენტეხელნი და საფარ ფაშა მეთოფეები, ბევრი ახლდა და ციხესა ჯიბირში იდგენ, ჩვენ მივედით და სოფა წმიდის საყდარი მეთოფეებით აევსო და გაემაგრებინა. უყავი ღამით იერიში დაქ საყდარი წავართვით. საცა მეომარი მეთოფეები იდგა ყველა გამოვასხით ჯებირსა გარეთ ორი დიდი ქვის პალატი იყო ძველთაგან ნაშენები და ის მეთოფეთა და მეომარის კაცით აევსო და გაემაგრებინა, სოფა წმინდის საყდართანა დიდი ზარბაზანი მივიტანეთ და იქიდამა დაუწყეთ სროლა ცემა ქვის სახლებში და დავამტვრიეთ ზარბაზნებითა და მრავალი კაცი იმაშიდ მდგომი დავხოცენით: მერმე იერიში უყავით და იქით მეფემ მოაშველა ლაშქარი: დაუშინეს ერთმანეთსა თოფითა სროლა საკვირველი ომი შეიქნა მრავალი კაცი დაიხოცა იქითაც და აქეთაც, მოკვდა თავადი და აზნაურიშვილი: გიორგი ლორთქიფანიძე, ელიზბ. ლოლაძე, ორი ძმანი ახვლედიანი და კვირიკე, სხვა ზოგი დაიხოცა და ზოგი დაიკოდა და წავართვით ის ქვის პალატები. ციხეზედან ზარბაზნები ვერ მივიტანეთ მისატანი ალაგი არ გვქონდა ჩამოვჯედით დაბლა რიონს. დავდექით... მოსახლის ქვის სახლებს დაუწყეთ ზარბაზნების სროლა და ცემა დავამტვრიეთ ის ახალი ქვის პალატა თვით ალექსანდრე მეფისაგან აშენებული გავუსივეთ ლაშქარი გაღმა ქუთაის ქალაქს. დავსწვით აღუაოხრეთ. მრავალი ვიშოვეთ და წამოვედით გამარჯვებული, მოვედით ოდიშს ძიგურს და ერთი კვირე არ გასულა... ვქენით ოლღარი ცხენის წყალს შემოვიღამეთ ის ღამე ვიარეთ და გათენების დროს დავიხიეთ... სასახლესა და ქალაქის უწინდელისაგან ოთხი და ხუთი ზომა საშოვარი ალაფი და ტყეები ვიშოვეთ, რომ ლაშქარი ძლივს დაერივა და წამოვედით გამარჯვებულნი. შევასვენეთ ლაშქარი და ცხენი. დავდექით და გაველაშქრენით იმერეთზე თვესა თებერვალსა და მივედით... ურიას აჯამეთს და დავსწვით ავაოხრეთ. მივედით ჩხარის ქალაქსა და იქ დავდექით და სოფლები და ნაშენები დავწვით ააოხრეთ, დავსწვით ვარდის გორა და ჩიხორი ქალაქი... დავეცით არგვეთის რუთოს... ახლოს დავდექით და იქიდაღმა ჩვენმან ლაშქარმან სრულ არვეთი და ჭალა ტყესა იქეთ რაც სახლები და სოფლები იყო დაუწვავი აუოხრებელი არა დააგდეს რა. იქიდან

ავიყარენით და თერჟალას და გოფანოს მხეიძის სასახლეში დავდექით და იქიდაღმა სადაც ლაშქარი მოუწევდა აუოხრებელი არა დააგდეს. წამოვედით გამარჯვებული და ნაშოვარით სავსე, რომ ლაშქარი ჯერ დაერივნეს ბალახვანზე რიონს გამოვედით ქუთაის ციხისგაღმა და სრულ იმერელ ლაშქარი შეყრილი თვალით გვიმზერდენ მისი თემის და ქვეყნის ამოწყვეტას ხედავდა და იმდენი ნაშოვარის ტყვეების ჟღივილი ყურით ესმოდა, მაგრამ ციხიდაღმა თავი ვერ გამოყვეს და ვერც რა დაგვაკლეს ასრე შევარცხვინეთ და წამოვედით ოდიშს გამარჯვებული მას ჟამსა ოდეს მოვაჭედინეთ ხატი ესე, ოდეს იმერეთიდაღმა მოვედით გამარჯვებული გამოუგზავნეთ და დავასვენეთ ტაძარსა შენსა ფხუტერსა და ალაგსა და თემსა ეცერსა ხატი ესე მთავარ ანგელოზისა ქორონიკონსა სამას ოცდა ათოთხმეტსა“.

ეს საბუთი საინტერესოა, სხვათა შორის, იმ მხრივ, რომ ლენტეხელი სვანები ამ დროს ყოფილან იმერეთის მეფის ალექსანდრეს ჯარში დადიანის საწინააღმდეგოთ და მაშასადამე არ ყოფილან დადიანთან შეერთებული.

სვანეთის ის ნაწილი, როლმელიც დღემდე თავისუფალ სვანეთის სახელს ატარებს, მას შემდეგ, რაც მეფე ალექსანდრე I-ლის მეფობის დროს, საქართველოს სამეფოს გაყოფის მერე იმერეთის სამეფოს ხვდა წილად, გამოეყო მას. აქაურმა გლეხობამ დაიწყო მედგარი ბრძოლა როგორც ყოველ მხრიდან მოზღვავებულ და მათ დამონავების მსურველ მტარვალებთან, აგრეთვე საქართველოს მეფეების დროს სვანეთში გაჩენილ იმ თავადაზნაურობასთანაც, რომლებსაც უნდოდათ ისინი თავის ყმებად გაეხადათ, მაგრამ თავისუფლების მოყვარული ხალხი მათ არა თუ ვერ დაიმორჩილეს, არამედ ამ ხალხმა ისინი გაანადგურა და შეინარჩუნა თავისუფლება, რის შემდეგაც გაამაგრა თავისი აღმოსავლეთისა და დასავლეთის საზღვრები. უმთავრეს როლს ამ საქმეში თამაშობდა ლატალის თემი, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა დასავლეთის საზღვრების დაცვა დადეშქელიანების შემოსევისაგან, რაიც მან ღირსეულად შეასრულა, თუ უშგულის საზოგადოება, რომელიც დარაჯად უდგა სვანეთის აღმოსავლეთ საზღვრებს. უკანასკნელს ყველაზე მეტი ღვაწლი მიუძღვის ამ ქვეყნის თავისუფლების მოპოვება–დაცვა–განმტკიცებაში. ამ საბედისწერო ბრძოლაში სვანები შემდეგში უფრო იმ გარემოებამ გააფოლადა, რომ დასავლეთით ისინი

ხედავდენ დადეშქელიანების ფეოდალურ უღლის სიმძიმისაგან დაძაბუნებულ, არაადამიანურ პირობებში ჩაყენებულ გლეხკაცობას და მის საშინელ ტანჯვას. პირს იბრუნებდენ სამხრეთისაკენ, იქ მათ ესმოდათ იქაური ბატონების მიერ დაჩაგრული თავის მოძმე ქვემო სვანეთის ბეჩავი ხალხის კვნესა. ამან ისინი, ვიმეორებთ, გააფოლადა, თავისუფლების ფანატიკოსებად გადააქცია და იმ შეგნებამდე მიიყვანა, რომ ყველანი შეკავშირებული იყვნენ მტრის მოსაგერიებლად და ამიტომ რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში მათ არ ჩაუგიათ ქარქაშში თავისი ხმალი, სისხლით მოპოებული თავისუფლების დროშა ძირს არ დაუხრიათ და ღირსეულად დაუცავთ, ამაში მათ ხელს უწყობდა თვისი ბუნებრივი სიმაგრეებიც. ამნაირად, სვანეთმა თავისი გმირული მოქმედებით ჩინებულად შეასრულა ეს დიადი საქმე და ჩვენ დრომდე თავისუფალი სვანეთის სახელი არ დაჰკარგა და ღირსეულად დაიცვა.

მაგრამ ხშირად იმდენად ძვირად უჯდებოდა სვანეთის თავისუფლებისათვის მტრებთან ბრძოლა, რომ საკვირველ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ამ ხალხმა ამის შემდეგ კიდევ, რომ შესძლო არსებობა.

1) Прокопий Кесарийский. История войн римлян с персами, кн. 1, глава XV.

2) Рапорт Шаховского Б. Розену от 14 августа 1834 г. № 29, და დიგორხანის მოხსენება ბარონ როზენისადმი 1835 წ. თვით სიტყვა ლაბგვიარი სვანური სიტყვაა და ნიშნავს სახიდე ადგილების სახელწოდებას; ბახსანას მზრით თავის საზღვრათ სვანები დღემდე ასახელებენ ყანღუთი ქეშენიარს.

3) Прокопий Кесарийский. История войн Римлян с персами, кн. 1, гл. XV.

4) ბარათაშვილის საქართვ. ისტორია. რვეული II და III, გვ. 65.

5) Журнал ,,Светоч“, 1872 г. ст. 54.

6) История монголов. Вып. II, стр. 61-62, издание Патканова.

7) ვახუშტის ისტორია, დიმ. ბაქრაძის გამოცემა, გვ. 281, დ. ბაქრაძე ,,სვანეთი“ გვ. 31.

8) Мхитар Айраванский, стр. 416.

9) Бакрадзе, <<Сванетия>>, стр. 31.

10) Д. Бакрадзе, <<Сванетия>>, стр. 32.

11) პროფესორი კოვალევსკი ამბობს, რომ მე-XV საუკუნემდე დღევანდელი სადადეშქელიანო და თავისუფალი სვანეთი ერთნაირ პირობებში იმყოფებოდენ. ამ დრომდე მათ განაგებდენ საქართველოს მეფეების მიერ დანიშნული ერისთავები, რომლებსაც ნომინალური დამოკიდებულება ჰქონდათ სვანებთანო. (Ковалевсиий. Законы и обычаи на Кавказе. т. II. стр. 13).

12) ეცერის თემშია.

რაჭის თავადების ჯაფარიძეების დახოცვა თავისუფალ სვანების მიერ მე-XV საუკუნეში

ამ ჟამად ჩვენს ხელთ არის ფრიად საინტერესო საბუთი მე-XV საუკ. სვანთა ყოფა–ცხოვრების გასაშუქებლად. ეს არის შემდეგი შინაარსის სასისხლე სიგელი, ბოძებული ალექსანდრე მეფის მიერ სვანებისადმი მე-XV საუკ. პირველ ნახევარში:

... . . მიუხდეთ [12]) და თქვენი ბიძანები თვალია და ივანე. მოგვეწივნეს და შეგვებნეს. მოგვერია ცოდვა ეშმაკის მანქანებითა შემოგვერივნეს, მერმე დაგვიწყეთ მტრობა თქვენ ჯაფარიძემან სარგის და აღარც გაგვიშვით საჯამაგიროთ აღარც რაჭს და ლეჩხუმს სამუშაოთ გამოგვიშვით, შვიდს წელიწადსა ასე ვიყვენით რომ სრულიად სვანეთისა ქვეყანასა საზიარებელს ვეღარ ვიშოვნებდით და არც არავის მარილის გემო გვინახავს.მერმე მოგვჭირდა და აღარა ღონე გვქონდა. შევიყარენით და ოთხასი საპალნე ცხენი წამოვიტანეთ. თვითოს ცხენსა ორ-ორი კაცი წამოვყევით. ჩამოველით ლეჩხუმს და რაც სავაჭრო გვახლდა გავყიდეთ და ვისაქმეთ. ავკიდეთ ღვინო და წამოვედით. თავი მორჭმული გვქონდა, აღარას მოველოდით, თურმე კუჭაიძე და ლაშხიშვილი შემოჩენილი გვყუა როგორც ჩვენ სავაჭროდ ჩამოვედით, კუჭაიძესა და ლაშხიშვილს თქვენთვის კაცი გამოეგზავნა. თქვენ სრულიად რაჭველნი შეგეყარა და ასრე მოსულიყვენით რეხტაშიგა, რომ ჩვენ თქვენი მოსვლა ვერა საქმით ვერ შევიტყენით. წინათ თქვენ დაგუხდით, უკანით კუჭაიძე, ლაშხიშვილი, ინასარიძე, და გარეყანიძე მოგვეწივნეთ, გავიყავით წინაუკანა და დაგვხოცეთ და ამოგვწყვიტეთ რვაასი კაცისაგან ოთხასი მეტი აღარ მოვრჩით, ეს ყველანი კაცნი დაგვხოცეთ და ოთხასი ცხენი, ყველას ღვინო ეკიდა მისი საპალნით წაგვართვით. ამას გარეთ სხვა მრავალი მტრობა გვიყავით და ვერსაით საჯამაგიროთ ვერ გაგეპარენით ამისი ღონე ვერ დავდევით რომ გზა გვეშოვნა. ასი სვანი დვალეთისაკენ გავიპარენით კახეთს საჯამაგიროთ წავედით, მის წასვლა ვერ შეგვიტყევით და მერმეთ შინისაკენ რომ შემოვიქეცით, იმავე დვალეთზე წამოვედით, დაგვხდით, გლოლას და ჭიორსა შუაზედან დამოგვიჭირეთ ხელთა დაგვცარცვეთ, ასის კაცისაგან ორი მოამბეთ გაუშვით, სხვა ყველა ტყვეთ წავასხით, ჩვენის მონაგებიანათ ონს მიგვასხით, საქონელი სალაროში შეიტანეთ და

ჩვენ დარჯილნი, საბრალონი საღორესა და საბატეში შეგვყარეთ. ნააღდგომევი დაღმა ენკენისთვემდის იმაში ტყუედ ვიყვენით. ღონე აღარ გუქონდა, დავიხოცენით თავი და თვითო კარგი აბჯარი ჩვენი თავის სახსრად გამოვიღეთ და გარჯილი სული ამით შევირჩინეთ. სხუა რამდენი ჭირი და მტრობა გარდაგვეკიდა, კაცის ენა როგორ იტყვის, ვიყვენით სრულიად ეცერს აქეთ, რაც სვანეთი არს, თორმეტი წელიწადსა ასრე შემწყდეულნი რომ ვერც კახეთისკენ ვიშოვეთ საჯამაგირო გზა, ვერც სამცხისაკენ და ვერცა გურიისაკენ, ვერც მიმჭირეთ, და მერმე შევიყარენით სრულიად სვანეთის ჩენილები. და ვქენით ვაზირობა. მივედით ეცერს, რიჩუგიანსა და დადეშქელიანსა შევეხვეწენით და დადიანთან გავგზავნეთ, შევეხვეწენით დადიანსა მამიასა და ცხრა ჯორი გაუგზავნეთ. ამის აჯა [15]) ვსთხოვეთ, რომ მეფეთ მეფეს პატრონს ალექსანდრესთან აჯა ეშოვნა. ღმერთმან გაუმარჯოს პატრონსა დადიანსა.ჭყონდიდელი გაეგზავნა და შეხვეწოდა ალექსანდრე მეფესა ეაჯებინა [16]) და ეპატივებინა ბატონის დადიანისათუის და ასრე ებრძანა მეფეთ მეფესა პატრონსა ალექსანდრეს თუ ჯაფარიძისთანა თავადი რაჭას არა მყავსო თუ ჯაფარიძის სისხლს გადიხდიანო, სვანთ გზას მივსცემო და ჯაფარიძესაც ჩამოვხსნითო, თუ არა და ჯაფარიძის საქმეს არ გადავსწყვეტთო, ჯაფარიძენი უბრალოთ დახოცესო, მწვედ მძლავრნი კაცნი არიანო და სრულიად რაჭველნი და ლეჩხუმელნი დამეკარგვიანო და თუ ამ ჯაფარიძის საქმეს გადასწყვეტენო, მოიყენე კარსა და რარიგადაც სჯობდეს და ემართებოდნენ, ჯაფარიძესაც გადაუწყვიტონ და შემოვიწყობთო. ამაში გამოხდა ხანი და მივედით დადიანთან სრულიად ჩენილები. წამოგვიძღუა თვითონ ბატონი დადიანი და გეგუთს მივედით შეიქნა საქმობა და სანახშირე [17]) გვთხოვეს ჯაფარიძეთა. დასხდეს თუითან მეფეთ მეფე პატრონი ალექსანდრე და დადიანი ბატონი მამია. ფალავანდიშვილი ზვიადი, ჭილაძე ლომკაცი, ერისთავი კახაბერი, ამირაჯიბი რამინა და ფალავანდიშვილი ფალავანდი. ქნეს მოკითხული და სიგელიც მოატანინეს ჯაფარიძეთა. და მეტათ უზომოთ დიდი სისხლი და სანახშირე ეწერა. ამაზედან იანგარიშეს და სამასი კაცი მოეკლა ჯაფარიძეთა და სხუა მრავალი ავი დამართებოდა ჯაფარიძეთაგან სვანთა. დაუდევით სიგელი სვანთა და გარდაიხადეს და მოვაცემინეთ ლაშხეთს: სოფელი და ციხე ზერიას [18]) ცხრა კვამლი კაცი და ერთი მომცრო მონასტერი წმ.

გიორგისა თექვსმეტი ჯვარ–ხატით, ოთხთავით, საწინასწარმეტყველოთა სამოციქულოთა, მარხვიანითა, ტიბიკონითა, სტოდიელითა, მას გარეთ მოგეცით ოსეთის პირად მთიულეთს, ხიდურას [19]) ოცი გლეხი, ერთი კარგი ციხე, ორი მონასტერი, ერთი დიდი გუმბათიანი მთავარ–ანგელოზის მონასტერი, ორი დიდი ოქროს ხატითა, ორმოცდათვრამეტი სხუა დიდი ხატითა, თორმეტით ოქროს და ვერცხლის კანდელითა მისით სამონასტრო წიგნებითა, დიდი გულანითა ოთხთავითა, სამოციქულოთა, მარხვანითა, მეტაფრასითა დავითითა, დავითით თარგმანითა, ოთხთავის თარგმანითა, ენქეროს წინამძღვარითა, მეორე წმინდისა გიორგის საჯანის დიდი სიონი მონასტერი ოცდათორმეტი ჯვარი ხატითა და რაც სამონასტრო წიგნი არის მით სრულიათ გათავებული და საბატონო დეკანოზს წინამძღვარს ოცი კუამლი კაცი, ამის გარეთ იქვე ხიდურს ერთი აზნაურიშვილი ხოხაგიძე, მისი ციხით თორმეტი კუამლით კაცითა. სხვა მთიულეთს ციხე და სოფელი ცრილი [20]) ოცდა ოთხი კუამლი კაცი, ერთი ეკლესია თხუთმეტი პატიოსნით ხატითა და მისით წიგნებითა სრულებით შემკობილი, თევარეშოს [21]) თექვსმეტი კუამლი, კაცი და ციხე სხუა და არეშიძე [22]) ლომი მისით ციხითა ორმოცი კუამლი კაცისა ზედა ქალაქსა [23]) კარგი საპატიო გუმბათიანი საყდარიჯვარცმისა საეფისკოფოსოსა მისით მოთვალმარგალიტური ომფორითა შემკობილი. რაც ეფისკოპოსსა და იმისთანას საყდარს ეკადრების იმისთანა წიგნებითა სრულიათ გათავებული ასი კვამლით კაცით და ღებს ორი აზნაურიშვილი გაგაშვილები [24]), მისითა ციხითა და სამოცდა თორმეტი კუამლი კაცითა. შოდას [25]) წმ. გიორგის ეკლესია და სოფელი ოცდა ხუთი კაცი და ციხე, ჩუეშოს [26]) ციხე და შვიდი გლეხი; ჭიორას ციხე და სოფელი თექუსმეტი კუამლი გლეხი, ბუბას [27]) კარგი ეკლესია, ციხე და სოფელი, ეკლესია ჯუარ ხატითა, ოცდა ხუთი გლეხი. სხუა ღების შესავალი სოფლები ჯუმლად [28]) ოთხასი კუამლი კაცი სამი საშავარდნე სხუა, ყოვლის დღის სანადიროები, საჯიხვე, ზოფახითო [29]), ვირტიშო [30]), ედენ [31]), გილოინა, რიონის სათავე, სხუა სანადიროები არჩევისა. ამ მამულს გარეთ სამასი სამანქანური და ზედაური აბჯარი. სამასი ვერცხლის ჭურჭელი: სურა, თეფში, ჩოლათო, ვერცხლის თასი და წურწუმა, კახთ მეფის ნაპარავი. ამას გარდა სამასი დიდი და სუბუქი ქუაბი, სამასი ჯორი, სამასი კარგი

ულაყი, ამას გარეთ ვეღარ ამოგივედით, არ შეგვჯერდით ამისათუის რომე თქვენი სწორი კაცი სვანეთს არ იყო და ვეღარა ღონე ვქენით სრულიად სვანთა ეცერს აქეთ ყველამან თქვენი ბაჟი დავიდევით სრულიად მულახელთა და მულახის შესავალთა, ლატარელთა და ლატარის [32]) შესავალთა უშგულელთა და უშგულის შესავალთა. აწი მოგვიხსენებია გლოლას ზედათ, ცენას იქით, ოსეთს აქათ – სრულიათ მთიულეთის თემი მათით სამართლიანითა მთითა, ბარითა, საყდრებითა, წყლითა და წისქვილითა საზვერითა, სანადიროთა, ველითა, სათიბითა მისითა მიმდგომითა მართლით სამართლიანითა საძებრითა და უძებრითა მისითა ყოვლითა. გქონდეს მკვიდრათ და სამამულოდ თქვენ ჯაფარიძესა სარგისს, აბესალომს და ვამიყს, ვინც ეს მოგიშალოს და შეგიცვალოს წყეულიმც არს აქა და მერმესა მის საუკუნისა ორთავე ცხოვრებასა შიგან, ან თემისაგან სანამდის სვანეთი იხსენიებოდეს, ან ჯაფარიძის გუარი იყოს ან იხსენებოდეს. ვინცა შეგიცვალოს და ან მოგიშალოს შეიცვლების ქრისტიანობის სჯულისაგან. რისხვამცა მამა ძე და სული წმინდა. ასე გქონდეს მკვიდრად და სამამულოთ ჭიდროთას ზედათი, გლოლას ზედათი, ცენას იქით ოსეთს აქეთი და სრულიათ მთიულეთი ოთხასი კუამლი აზნაურიშვილიანათ, გლეხიანად, სრულიად ეცერს აქათ რაც სვანი იყოს, ყველამ ბაჟი მოგვცეს. გიბედნიეროს ღმერთმან როგორც ნასისხლსა მართებდეს ვინც ან ამ მთიულეთს დაგეცილოს და ან ბაჟსა ამისი პირისა პასუხის გამცემნი ჩუენ სრულიად სუანნი ვიყვნეთ. ამას გარეთ საადაპოთ მოგახსენეთ სამასი ნებიერი; ათასი ცხვარი და სამასი ლიტრა სამთელი. დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონსა ,,რკ“ და ერთსა ხელითა ფრიად ცოდვილისა ფალავანდიშვილის ფალავანდისითა მოწამეცა ვარ ამ საქმისა“.

ალექსანდრე მეფის მიერ ბოძებული 1432 წ. სიგელი ჩვენ საშუალებას გვაძლევს დღემდის ბურუსში გახვეულ მრავალ ისტორიულ მოვლენებს ნათელი მოვფინეთ:

1. ყველაზე უფრო საყურადღებო ის არის, რომ ამ საბუთით მტკიცდება, რომ თავისუფალ სვანეთს მე-XV ს. პირველ ნახევრამდე ეჭირა ეცერსა და ოსეთს შუა ჭიდროთასა და გლოლას გასწვრივ მდებარე ტერიტორია, ე. ი. რაჭის ერთი ნაწილი, მოთავსებული რიონის სათავეში, სრულიად მთიულეთის, რომელიც ამის შემდეგ ჯაფარიძეების ხელში გადასულა.

2. სვანეთში ამ დროს გაცვლა-გამოცვლითი აღებ-მიცემობა სწარმოებდა. ადგილობრივი ნაწარმოებით დატვირთული 400 ცხენი სვანებმა ლეჩხუმში ჩაიყვანეს. ცნობილია, რომ ძველ დროში სვანებს გაჰქონდათ ბაზარზე: თაფლი, სანთლები, ჯიხვის რქები, ბეწვეულობა, გვარჯილა, ტყვია, თოფის წამალი, ხის ჭურჭლეულობა, შალეულობა, კანაფისაგან გაკეთებული ტილოები, ბაწრები, რომლებსაც ცვლიდენ მათთვის საჭირო საგნებზე.

3. სვანები ამ დროს მიდიოდენ სამუშაოდ დვალეთით კახეთისაკენ, რაჭა-ლეჩხუმში, გურიასა და სამცხესაკენ.

4. ერთად ერთ წერილობით საბუთად სვანეთში დადეშქელიანების შემოსვლის დროის გამოსარკვევათ ეს სიგელი ჩაითვლება. ეტყობა, რომ ისინი ამ დროს დიდი ხნის შემოსული არ ყოფილან, რადგანაც ბეჩვი-ლეჩყანი ამ დროს მათ ხელში არ ყოფილა და თავისუფალი სვანეთის ნაწილს შეადგენდა.

5. ამ სიგელის მიხედვით ჩვენ ვარკვევთ, რომ ცხენის წყალის სათავეში ყოფილა დასახლებული 129 მეკომური სვანი, ხოლო რიონის სათავეში 271 კომლი.

6. სიგელში მოხსენებული ეკლესიები და საეკლესიო სიმდიდრე, რომელიც ამ ეკლესიებში ყოფილა შენახული, ჩვენ გვიმტკიცებს, თუ რამდენათ მოღონიერებული ყოფილან ამ ხეობაში მცხოვრებნი ჯაფარიძეების ხელში გადასვლამდე. ვხედავთ იმასაც, რომ ამის შემდეგ ბოლო ეღება მათ არსებობას დასახლებულ ადგილებში და სხვ..

ამნაირად, როგორც ვხედავთ, მე-XV საუკ. ხდება სვანეთის ეკონომიური და პოლიტიკური დაცემა და დარბევა. ამ დროიდან მას მოწყდა აღმოსავლეთი ნაწილი, დაეკარგა ტერიტორია სიგრძით 100 ვერსამდე და სიგანით 50 ვერსამდე, რომელიც ამის შემდეგ ჯაფარიძეების ხელში გადავიდა და დღემდის რაჭის მაზრის ნაწილს შეადგენს. მაგრამ ეტყობა, ზემოჩამოთვლილ ზოგიერთ ადგილებიდან ჯაფარიძეების მონობის უღელით გამწარებული გლეხობა აყრილა მის თავიდან ასაცილებლად და ამ ადგილებში სრულიად მოშლილა სვანთა მოსახლეობა და არსებობა, გადასახლებულან სხვადასხვა ადგილებში. ჩვენ გვიმტკიცებენ, რომ ცენა–ზესხოს მიდამოებიდან უნდა იყვენ სვანეთში გადმოსახლებული: ლატალში მცხოვრები თამარშა–ივეჩიანები, ლენჯერში გამიშა, მესტიაში ჩართოლანები, უშგულში სუმაიშა,

ჩარკვიანები (ჩუბრუკიანები), დოღვანები, ყულან და მამინოშა ჯანხოთელი – ლაშხეთის საზოგადოებაში [33]), ხოლო ხიდურიდგან (ლაფურიდან) გადმოსახლებულათ ითვლებიან ლაშხეთში მცხოვრებნი: გაგნიძეები და რაჭაში დღემდე მყოფნი ნანუკაშვილები, ლომჯანიძეები და გოგრიჭიანები [34]).

ზემოხსენებული ფრიად საყურადღებო და ძვირფასი საბუთი ყოფილა შენახული უშგულში, მაგრამ უშგულის მღვდელს სიმონ გაბიანს ის ბროსესათვის გადაუცია, ბროსეს ის გადაუთარგმნია ფრანგულ ენაზე 1838 წ. იქიდან გადმოთარგმნილი ფალავანდიშვილის მიერ ქართულად, მოთავსებულ იქმნა ჟურნალ „ცისკარში“ 1866 წელს, ხოლო 1914 წელს ის კაკაბაძის მიერ იქნა შესწორებული ბროსეს თარგმანის მიხედვით გამოქვეყნებული.

13) სიძველის გამო ამ საბუთს თავი აკლია და ამ სიტყვებით იწყება.

15) შუამდგომლობა.

16) ეშუამდგომლა.

17) სანახშირე – სისხლის ფასი.

18) ზერია უნდა ნიშნავდეს ზესხვას. ამ ადგილას დღემდე შენახულია ქვითკირის სახლების, ციხეების და ეკლესიების ნანგრევები ანუ ნასოფლარი.

19) ხიდურა უნდა იყოს დღევანდელი ლაფური, ნასოფლარი მდ. ხიდურას სათავეში.

20) ცრილი – უნდა იყოს ბრილი.

21) თევარეშო – ეხლანდელი თევრეში, რომელიც მდებარეობს ბრილსა და ღებს შუა. იქ არის დღესაც ნასოფლარი, ეკლესიების ნანგრევები, სასაფლაოები, რაც არქეოლოგიური მხრით მეტად საინტერესოა.

22) არეშიძეების სახლის ნანგრევებს, მ. გავაშელის სიტყვით, დღესაც გვიჩვენებენ ღებელები, ღებიდან ორი ვერსის მანძილზე სამხრეთ აღმოსავლეთით. გადმოცემით ჯაფარიძეების მიერ მათ ქონდათ მინიჭებული პირველი ღამის უფლება, ამიტომ ერთმა ახალგაზრდა ლომჯანიძემ ცოლი არ ითხოვა, წაუყარა ღებელ ახალგაზრდებს თავი და ერთხელ, როდესაც სამი ძმები არეშიძეები სანადიროთ ბრილის ხიდზე მიდიოდენ, ესროლეს ისრები. ორი ძმა მოკლეს, მესამე წყალში ჩახტა და სიკვდილს გადარჩა. ამის შემდეგ ღებელებმა მოისყიდეს მისი მოსამსახურე ქალი, რომელიც დაითანხმეს მის მოკვლაზე იმ პირობით, რომ სანამდი ღები იხსენიებოდა, ყოველ ღებელს, როცა თავიანთ მიცვალებულებს ტაბლას გამოუცხობდენ, ერთი ტაბლა მისთვის გამოეცხოთ. ერხელ როცა არეშიძე დასამალავად ჭიორისკენ მიდიოდა, ეს ქალი მას გაჰყვა, რადგანაც ხიდზე გასვლას ვერ ენდობოდა, ის შემოუჯდა უკანიდან ცხენზე თავის ბატონს და როდესაც შუა წყალში შევიდენ, ქალმა გადმოათრია იგი ცხენიდან და ორივენი წყალში დაიხრჩვნენ. ღებში დღემდე სავალდებულოა ყველა ოჯახისათვის ოთხი ტაბლის გამოცხობა. სამი თავიანთ ახალ გარდაცვალებულთა სულის სასარგებლოთ, მეოთხე კი ბებიის სულის მოსახსენებლად.

23) ზედაქალაქი – დღევანდელი ს. ღები. მას გზა მხოლოდ ერთი მხრით აქვს და ამ გზას უწოდებენ ციხის კარს. ის განთქმულია ციხე–კოშკებით და ბუნებრივი სიმაგრეებით. გადმოცემით აქ იყო საკათედრო მონასტერი ჯვარცმის ეკლესიათ სახელ–წოდებული. ამ ეკლესიიდგან ერთმა გიორგი სვანმა მოოიპარა ძვირფასი მაცხოვრის ხატი. ამ დროს ერთ ღებელს ღამე ტყეში დარჩენილ ძროხების ძებნის დროს დათვის მაგივრად შვილი შემოაკვდა. ამ ცოდვის მოსანანიებლად მან აღუთქვა ღებელებს მოპარული ხატის დაბრუნება. ის წავიდა სვანეთში დადგა იქ მოჯამაგირეთ და ერთი წლის შემდეგ მოიოპარა ეკლესიიდან ხატი და ღებში ჩამოიტანა, ავიდა ზედა ქალაქს, გადმოსძახა სოფელს: ,,დიდება ბრძანეთ მაცხოვრისა, წმ. გიორგისა ზედა ქალაქისა; შეგეწიოსთ იმისი მადლი“. ღებელები დღემდე დღესასწაულობენ ამ ხატის დაბრუნებას, ყველიერში ისინი შეიკრიბებიან ღამით, ავლიან ზედა ქალაქს და გამოსძახებენ სოფელს: ,,დედაბა ბრძანეთ მაცხოვრისა, წმ. გიორგისა ზედა ქალაქისა; შეგეწიოთ იმის მადლი“. შემდეგ კარ და კარ ჩამოუვლიან ყველას და ულოცავენ ხატის დაბრუნებას.

24) გაგაშვილები შეიძლება იყოს გავაშელიშვილები.

25) შოდა არის ღებიდან 3 ვერსის მანძილზე სამხრეთ აღმოსავლეთით. იქ დღემდე შენახულია სახლების, ციხეების და ეკლესიების ნანგრევები. ღების ეკლესიაში, მ. გავაშელის სიტყვით, შენახულია შოდას გაკეთებული ხატები ქართული წარწერებით.

26) ჩუეში მდებარეობს ღების ჩრდილო აღმოსავლეთით 4 ვერსის მანძილზე, აქაც დღემდე შემონახულია ნასოფლარი.

27) ბუბა მდებარეობს გლოლის ჩრდილოეთით 3 ვერსის მანძილზე, აქ შენახულია ნასოფლარი, ეკლესიის ნანგრევებს ეძახიან: ,,ბუბას ჯვარს“.

28) ჯუმლად – ჯამად, სულ.

29) ზოფახითო – მთის სახელია. ის მდებარეობს ღებიდან 10 ვერსის მანძილზე ჩრდილოეთით და ითვლება საუკეთესო საჯიხვეთ.

30) ვირტიშო – ეს არის სალი კლდე და მდებარეობს ღების ჩრდილო აღმოსავლეთით 10 ვერსისი მანძილზე, მდ. ჩვებურის სათავეში. ამ კლდიდან გამოდის მჟავე წყალი, რომელიც ჯიხვებს ძალიან უყვართ და ამიტომ ხშირად მისი მსხვერპლიც ხდებიან ხოლმე.

31) ედენ – ედენი არის ალპიური ხასიათის საარჩვე სანადირო მთა და მდებარეობს ღების ჩრდილოეთით 5 ვერსის მანძილზე.

32) ლატარის – უნდა იყოს ლატალის.

33) ,,ივერია“, 1886 წ. № 241.

34) ,,ივერია“, 1886 წ. № 262.

თავისუფალი სვანეთი და თავ. დადეშქელიანები

თავისუფალი სვანეთის დაპყრობას დაჟინებით ცდილობდა მისი დაუძინებელი მტერი, დასავლეთის მეზობელი თავ. დადეშქელიანი. მაგრამ მას თოფითა და ხანჯლით ხვდებოდენ და იგერიებდენ. დასავლეთით, როგორც ზემოთ არის ნათქვამი,

სვანეთს მუდამ ფხიზლად დარაჯობდა ლატალი. დადეშქელიანებმა მათ ვერაფერი მოუხერხეს, გარდა იმისა, რომ ერთხელ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დღეობა გამართეს და მოიწვიეს, სხვათა შორის, ლატალის თავი კაცები, რომელნიც დაატყვევეს და სანამდი დიდი სახსარი არ მიუტანეს, არ გაანთავისუფლეს. ამის შემდეგ მათ შორის მდგომარეობა იმდენად გამწვავდა, რომ ცხენოსან თავადსა და აზნაურსაც არ უშვებდენ თავის ქვეყანაში. პირველი თოფი თავისუფალ სვანეთში დადეშქელიანების წინააღმდეგ უშგულში გავარდა და მისი ტყვიით ფუთა [35]) იქნა განგმირული. ამის შემდეგ ფუთას შვილი ისლამ ბერლანი იწყებს მზადებას შურის საძიებლად. გადმოცემით მან უშგულელების საწინააღმდეგოთ მოიყვანა დიდი ლაშქარი რუხიდან.[36]) ამ ჯარით ის იწყებს უშგულელებთან ომს და მიდის თავისუფალ სვანეთში შურის საძიებლად. გზაზე მას პირველად ხვდება ლატალ-ლენჯერი, შემდეგმესტია-მულახი, ბოლოს იფარ-კალა და უშგულში მისვლამდე მას იმდენი ჯარი გაუწყვიტეს, რომ ბრძოლის უნარი დაეკარგა და შეუთვალა უშგულელებს – შემირიგდითო. უშგული მას ურიგდება, აძლევენ ,,წორს“, ფუთს სისხლის საფასურს. მაგრამ როცა ის ამ წორით უშგულიდან მიემგზავრებოდა და მურყმელის წმ. ბარბარეს ეკლესიის წინ მიდიოდა. უცბად ცხენი მოუკვდა. ისლამმა ეს თავისებურად ახსნა, უშგულიდან წორის წაღებისათვის მღვთისაგან მოვლინებულ რისხვათ ჩასთვალა და ამით შეშინებულმა დასტოვა ,,წორი“. ამის შემდეგ უშგულის დაპყრობა განიზრახა დუდაუშა ყვარყვარემ; მაგრამ ვერაფერს გახდა. ერთხელ, როდესაც მოსახლეობა სამუშაოდ ყოფილა წასული, ყვარყვარე შესულა უშგულში და ჯოგი წაურთმევია. ეს ამბავი ქალებმა შეატყობინეს მის შვილობილ უშგულელ ბექას, რომელიც დაეწია, ბევრი ეხვეწა ჯოგი დაეტოვებინა, მაგრამ ამაოდ, ამიტომ ესროლა ისარი და იქვე მოჰკლა. მისი ტანისამოსი უშგულელებმა ლამურიაში შეინახეს [37]). ამის შემდეგ, უშგულელების საბედნიეროთ, იწყება საშინელი ბრძოლა ისლამსა და რიჩგუიანებს შორის. ისლამმა მოიყვანა ჯიქებით ჯარი და რიჩგუიანები იმდენად შეავიწროვა, რომ მარტო სამი სოფელი შერჩათ. ისლამის შვილი ,,ხოშა ოთარი“ – დიდი ოთარი განაგრძობს რიჩუგიანებთან ბრძოლას. რამოდენიმე წლის ბრძოლამ მათ შორის საკითხი ვერ გადასჭრა. ბოლოს ოთარმა ხელი

მიჰყო მუხანათურ მოღალატეობას. ერთხელ, აღდგომა დღეს, ჩვეულებისამებრ, ლადრერის რიჩუგიანებმა მიიპატიჟეს 12 ისკარის რიჩუგიანები, ხოლო ამ ისკარის რიჩუგიანებმა 12 ლადრერის რიჩუგიანები, და როდესაც ყველანი საშინლად შემთვრალნი იყვნენ, ოთარის მიერ მოსყიდულმა გლეხმა ციქვლიდ ცალანმა მათ შორის საშინელება დაატრიალა. მან დაკლა ხბო, მის სისხლით ტანისამოსი შეითითხნა, მივარდა დაფეთებული ლადრერის რიჩუგიანებთან და უთხრა: ,,ისკარის რიჩუგიანებმა თქვენი 12 კაცი ყველანი დასწყვიტეს და იმათი სისხლით მეც შევითითხნეო“. შემდეგ გაიქცა ისკარში და იქაურ რიჩუგიანებს გადასცა: ,,ლადრელებმა თქვენები დახოცესო“. დაიწყო ორივე ადგილას საშინელი ჟლეტა და ერთ საათში 24 რიჩუგიანი დაიღუპა, ხოლო მოღალატე ცალანმა ოთრისაგან ამისთვის მიიღო 27 კომლი გლეხი ფარის თემში.

ამ უბედურებას გადარჩა რიჩუგიანების გვარეულობიდან მხოლოდ ერთი უძლეველი გმირი ოთარ რიჩუგიანი, რომელიც 12 წლის განმავლობაში კიდე ეომებოდა ოთარ დადეშქელიანს.

ბოლოს ოთარ დადეშქელიანმა მოისყიდა ოთარ რიჩუგიანის გამზრდელი აზნაგებ გერლიანი, რომელმაც, ვითომცდა, შეარიგა მოსისხლე მტრები და მისცა ოთარ დადეშქელიანს შემდეგი დარიგება:

როდესაც რიჩუგიანს და შენ ერთმანეთს შეგახვედრებ, გამოართვი მას თოფი დასათვალიერებლად და შენი თოფი კი მას მიეცი ისე, გატენილი არ იყოს. როდესაც ეს ორი მტერი შეხვდენ ერთმანეთს ს. ბარშსა და ისკარს შუა შესარიგებლად, ოთარ რიჩუგიანი უნდა მოეკლა ოთარ დადეშქელიანის მიერ საკანაფეში დამალულ სამ კაცს. მაგრამ ისინი შიშმა შეიპყრო, თოფები ვერ გაისროლეს. მაშინ ოთარმა თავისი ცარიელი თოფი მისცა რიჩუგიანს და გატენილი თოფი დასათვალიერებლად მას გამოართვა. ეს თოფი მან ესროლა რიჩუგიანს და მოკლა. ამნაირად ბოლო მოეღო რიჩუგიანების ძლიერებას სვანეთში და დაიწყო დადეშქელიანების ბატონობა.

რიჩუგიანების მოსპობის შემდეგ დადეშქელიანები მიუბრუნდენ ერთმანეთს და შეუწყვეტელი ბრძოლა და სისხლის ღვრა მათ შორის მეცხრამეტე საუკუნემდე საშინელ ხასიათს ღებულობდა. ერთი რომელიღაც ეცერის მფლობელი ისლამი

ბეჩოში მცხოვრებ დუდაუშერების დადეშქელიანებს ყაბარდოში გაუქცევიათ, და ათი წლის განმავლობაში იქ ბერიანეთში დარჩენილა და მუხლ–მოდრეკილი ევედრებოდა ქაშგის ბატონებს მიეცათ მისთვის შემწეობა თავის სამშობლოში დაბრუნებისათვის. ამაზე სვანეთში დღემდი შენახულია შემდეგი ხალხური სიმღერა:

დუდაუშა ლუქდუსუღვი ჰო-ი
ისლამ ოთკვარახ ბერიანითე
ეშდ ღეთ ზაილ ბერიანეთს ჯადა
ღულაი მეტყვფე ოღვჯარენა
ნახურალე ქაშქარეში
ნაჩქონიელე ქაშგის ფუსდარეში.

თარგმანი:

დუდაუშა მედიდურებმა
ისლამი გააქციეს ბერიანეთში
ათი წელი ბერიანეთს დაჰყო
მუხლები დაცვეთილი ჰქონდა
შენახვეწები ქაშაგებისა,
დანაჩოქები ქაშაგის ბატონებისა.

ზემოხსენებული გარემოებანი, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა თავისუფალ სვანეთს დადეშქელიანების ბატონობისაგან დაცვის საქმეში და ამანვე იხსნა უშგულელები ფუთა დადეშქელიანის მოკვლისთვის შურის ძიების საშინელებისაგან.

35) დაწვრილებით ცნობები ფუთა დადეშქელიანის მოკვლის შესახებ იხ. ჩემი წიგნის ,,ძველი და ახალი სვანეთის“, გვ. 65 და 66.

36) რუხი სამურზაყანოსა და სამეგროლოს შუა მდებარე ქვეყანასა ქვიან.

37) უშგულის ღვთისმშობლის ეკლესიაში შენახული ტანისამოსი სწორედ ყვარყვარეს ტანისამოსი უნდა იყოს, და არა ფუთასი.

დადეშქელიანების მიერ 86 ლატალელის დატყვევება

ლატალის თემი, რომელიც მდებარეობს სადადეშქელიანო სვანეთის საზღვარზე, როგორც ზემოთ არის ნათქვამი, დარაჯად ედგა თავისუფალი სვანეთის დასავლეთის საზღვარს და ამიტომ დადეშქელიანებთან ბრძოლის სიმძიმე უმთავრესად მათ აწვებოდათ კისერზე. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ლატალის გლეხკაცობამ იშვიათი როლი ითამაშა თავისუფალი სვანეთის ისტორიაში და თუ მას დადეშქელიანების ფეოდალური რეჟიმის მწარე მუხრუჭები არ მოხვდა და თავისუფალი სვანეთის სახელი დაერქვა, ამაში სვანეთი უმთავრესად ლატალის გლეხკაცობას უნდა უმადლოდეს.

დადეშქელიანები ბრძოლით რომ ლატალელებთან ვერაფერს გახდენ, ერთ დროს მათი გვარეულობის ერთმა წარმომადგენელმა, ლატალის გლეხკაცობის დასამონავებლად, მიმართა ყოვლად უნამუსო, არა ადამიანურსა და ლაჩრულ გზას. მან გამართა წვეულება, რომელზედაც ლატალელების თვალების ასახვევად მიიწვია ყველა თემებიდან ხალხი. ამ წვეულებაზე ლატალიდანაც მიიპატიჟა თვითეულ მოსახლედან თითო კაცი, სულ 86 სული. მან უღალატა თავის სტუმრებს და ნასადილევს ისინი დატყვევებულად გამოაცხადა, ხუნდები და ბორკილები გაუყარა ხელ-ფეხში, ყველანი ციხეში შეჰყარა [38]) და გამოუცხადა: ,,თუ თქვენს ქვეყანას ჩემს სამფლობელოდ არ აღიარებთ და თავს ჩემს ყმად არ გამოაცხადებთ: თქვენ აქედან ცოცხალი ვეღარ გახვალთო“. მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე ლატალელებმა გადაჭრით უარი განაცხადეს, დიდ ხანს ტყვეობაში დარჩენ და შემდეგ, როდესაც მთელი სვანეთი გამოეწყო დადეშქელიანებთან საბრძოლველად, ისინი წავიდენ დათმობაზე, დათანხმდნენ სახსრის მიღებას და მოითხოვეს, გარდა იმ დიდი ქონებისა, რაც თვითეულს გადახდა, მთელი ლატალის კუთვნილი ძვირფასი თვლებით შემკობილი, მეფე ვამეყ დადიანის მიერ საჩუქრად მათდამი ბოძებული, დიდი ვერცხლის თასი ,,ჩარა“ შემდეგი წარწერით: ,,ჰე ცისა და ქვეყნის დამბადებელო, მამისა ჩვენისა ადამისა, მამაო ლატალისა მაცხოვარო ჩვენ მოწამემან ხმა ნებითა შენითა მამღებელმან, მეფემან დადიანმა, პატრონმა ვამეყ და დედოფალმან პატრონმან ელენემ ოდეს იმერეთის მეფენი

გარდაშენდენ და ძალითა შეწევნითა შენითა დიდსა და შავ ჯიქეთს შუა მეფობა და დადიანობა დავიჭირეთ და მინდობილმა თქვენმან, შემოგწირეთ ჩარა ესე თვალებიანი ჩუენს სადღეგრძელოთ და საქმისა ჩვენისა წარსამართებლად და გასამარჯვებლათ სულისა ჩვენისა სახსოვრად და საოხად, შვილებისა ჩვენისა გიორგის ბაგრატის და ასულისა ჩვენისა დარეჯანის სადღეგრძელოთ. მაცხოვარო ლატალისო შეიწირე შესაწირი ესე“ [39]).

38) Лобанов Ростовский. Газ. ,,Кавказ“, 1882 г. № 18.

39) ეს ჩარა, გადმოცემით, ძველ დროში ფასდებოდა რამოდენიმე კაცად. ამ ბოლო დროს ის დადეშქელიანების კუთვნილებას შეადგენდა. ის უნდა იყოს შემოწირული მე-XVII საუკუნეში იმ ვამეყ დადიანის მიერ, რომელსაც 1661 წ. მტრად გადაეკიდა ქართლის მეფე ვახტანგი და ხოსია ახვლედიანის მიერ შეჩენილი კაცებით მოკლული იქმნა ქვემო სვანეთში (მარი როსე. საქ. ისტ. გვ. 37, 38 და 39).

ლაშხეთის ბატონის ბეჟანა ყიფიანის მოკვლა უშგულელების მიერ

მე-16 საუკ-ში ლაშხეთში იყვნენ გაძლიერებული ყიფიანები. ყანსავ ყიფიანის სახელი დღემდი ცოცხალია ხალხის მეხსიერებაში, ვითარცა ხალხური გმირისა. ერთ დროს ყანსავი ითვლებოდა პირველ კაცად ქვემო სვანეთში და შეერთებულ ზემო და ქვემო სვანთა ლაშქრის მთავარსარდლად, რომელსაც, ვიმეორებ, დიდი გმირის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. გადმოცემით, მას დადიაშის მთიდან თავის სამკვიდრებელ ჩიხარეშამდე უნდა წამოეყვანა წყალი არხით, რომელსაც დღემდე ლაშხეთში ეძახიან ,,ყანსავა ლულჰნარს“ – ყანსავის არხს. სოფ. დაბიბში მის სახელზე არის აგებული საყდარი, რომლის კედლებზე დღემდე შენახულია ყანსავისა და მისი სახლობის ნახატები.

აი ამ ყანსავ ყიფიანის შთამომავალი ბეჟანა ყიფიანთან უხდება უშგულს ომი. ბრძოლა იმართება მათ შორის ცენას ზემოთ იმ ადგილას, რომელსაც ქვია ,,ნაშიალ ლარე“ – ნაომარი სათიბი. გადმოცემით, სანამ მბრძოლის ველამდე ბეჟანა თავის ჯარით მიაწევდა, მისი მებაირახტრე ცენას ქვემოდ მოკლა ცენაში მცხოვრებმა ერთმა ღრმად მოხუცებულმა გიერგ თოდრუანმა ისრით.

ამით გაბრაზებული ბეჟანა ყიფიანი, როცა დაეწია უშგულელებს, მას მიეგება უშგულის მახვში ბეგაში და სთხოვა ,,განდობ“ – მშვიდობიანობის ჩამოდგება, მაგრამ ბეჟანამ უარი სთქვა, ესროლა ისარი ბეგაშს, მაგრამ მან ისარს ხელი შეაგება და დაიჭირა. ამის შემდეგ ბეგაშმაც ესროლა ყიფიანს ისარი, რომელიც მას მოხვდა მარჯვენა იღლიაში და მარცხენაში გავიდა. ამის შემდეგ მის ჯარს უშგულელებმა მუსრი გაავლეს.

ერთ კაცს კისერზე ბეჟანას ,,დარაიას“ პერანგი ჩამოკიდეს, ხელები უკან შეუკრეს და მოამბეთ ლაშხეთს გაუშვეს. ბეჟანას ყავდა ცოლად მულახის უფროსის ქურდიანის ქალიშვილი მარიხი, რომელმაც დაინახა თუ არა კისერზე ბეჟანას პერანგი ჩამოკიდებული, იგრძნო რაშიც იყო საქმე. გული შეუწუხდა, გადიქცა, გადავარდა აივნიდან და მოკვდა. მისმა სიკვდილმა დიდი უბედურება დაატრიალა სვანეთში. ქურდიანები ამ დროს ძალიან გაძლიერებული იყვნენ მულახში. მათ მოვალეობას შეადგენდა მათი ასული მარიხი ესისხლებინათ უშგულელებთან. დაუწყეს მათ მტრობა. მრავალი უბედურება დაატყდათ თავს უშგულელებს. ბოლოს უშგულელებს აევსოთ მოთმინების ფიალა, მოიპატიჟეს შესარიგებლად ქურდიანი უშგულში, მოჰკლეს ის და დახოცეს მისი ამალა. ამან, რა თქმა უნდა, უშგულს გადაჰკიდა მტრად მთელი მულახი. ძვირად დაუჯდა უშგულს მულახთან ბრძოლა. ბოლოს, როდესაც არაქათი გამოელიათ, მიმართეს ლატალს თხოვნით, რათა მორიგება ჩამეგდოთ მათ შორის. ლატალის ინიციატივით მთელი თავისუფალი სვანეთი სთხოვს მულახს უშგულელებთან მორიგებას, მაგრამ ამაოდ. მულახელების ურჩობა იწყინეს ლატალმა და მესტიამ. უშგულელებმა სთხოვეს მათ მფარველობა და შეჰპირდენ ყოველ-წლიურად 12 რკინის ნაჭერის ბეგარათ მიცემას. ორი თემიც შეუდგა მულახის მტრობისაგან უშგულელების დაცვას და შეჰფიცა მათ ერთგულობა. ,,უშგულის გულანის“ ერთ გვერდზე დასწერეს შემდეგი შინაარსის პირობა: ,,სახელითა ღვთისა, მამისა, ძისა, სულისა წმინდისათა ესე წიგნი დავსწერეთ ყოვლად წმინდის მშობელი უშგულისა მთავარ მოწამე გიორგი სეტისა მაცხოვარო ლატალისა თავისდებობითა და შუამდგომელობითა ერისათა ერთგულებასა ზედა მოყვარისა მოყვრობა მტრისა მტრობა რომელმან სოფელმან ეს წიგნი შეგვიშალოს კრულიმც არს ქრისტეს ჯვარითა [40]).

ხანფრძლივი ბრძოლისა და დიდი ომების შემდეგ დაქანცული მულახი ურიგდება უშგულს, ლატალს და მესტიას. ამ დახმარებისათვის 1854 წლამდე უშგულელები მართლაც აძლევდენ უკანასკნელებს 12 ნაჭერ რკინას, რომელსაც ისინი თანასწორად ინაწილებდენ.

40) თავის. სვანი. გაზ. ,,ივერია", 1886 წ.

ბალყარის ბატონის დევეთგერი მურზაყულოვის მოკვლა უშგულში

აღმოსავლეთით სვანეთის დაუძინებელ მტრებს წარმოადგენდნენ მისი მეზობელი ბალყარის ბატონები, რომელთაც მრავალჯერ განუძრახავთ მისი დამორჩილება და როდესაც ვერაფერს გახდენ, დაუწყეს სვანებს მტრობა.

ერთხელ ბალყარის ბატონი დევეთგერი მურზაყულოვი და მისი ბიძა ქურდულად შეიპარენ სვანეთში და განიზრახეს უშგულის წმ. ბარბალეს და კალის წმ. კვირიკეს ტაძრების გაძარცვა. დევეთგერმა გატეხა უშგულის წმ. ბარბალეს ეკლესიის კარები, რაც რამ იყო გამოიტანა და წაიღო. ხოლო კალის კვირიკეს ეკლესიის გაძარცვა მის ბიძას ვერ მოუხერხებია. მეორე დღეს უშგულელები დევეთგერს დაედევნენ; თუმცა მას ვერ დაეწიენ, მაგრამ მათ ჩაუვარდათ ხელში ტყვეთ ამალითურთ კალიდგან დაბრუნებული ბიძა მისი. ერთი დაჭერილთაგანი უშგულელებმა გააგზავნეს ბალყარში და შეუთვალეს დევეთგერს: ,,თუ მოკლე ხანში ჩვენს ეკლესიის ქონებას არ დაგვიბრუნებთ, ბიძა შენსა და მის მხლებლებს დავხოცავთო". დევეთგერმა საკუთარი ხელით მოიტანა ეკლესიიდან მოპარული ნივთები, მაგრამ მას აკლდა ერთი მძივი, რომელიც თავის საყვარელისათვის ეჩუქებინა, მას იგი არ დაუბრუნებია და ამიტომ უშგულელებს დევეთგერი მოუკლავთ. ეკლესიის გალავანთან იმ ქვებზე, რომლებსაც დღემდე შერჩენიათ სახელად ,,დევეთგერი ნადგარ ბაჩარ" – დევეთგერის დანაკლავი ქვები. დიდხანს ბალყარის ბატონები არ ურიგდებოდენ უშგულს, მაგრამ შემდეგ დაყაბულდენ შერიგებაზე. გაუშვეს 12 კაცი მსაჯულ-მედიატორეთ. მისი ჭირისუფალი სისხლის საფასურათ

თხოულობდა 15 გლეხ-კაცის ,,წორს“ – სისხლის ფასს, რადგანაც ბალყარში მათი მოკვლა ამდენად ფასდებოდა თურმე. მედიატორეებმა მათ მიუსაჯეს 200 ხარი. ამ 200 ხარიდან ეკლესიის გაძარცვა-გაპარტახებისათვის უშგულელებს მიესაჯათ 100 ხარი, ხოლო დანარჩენი 100 ხარი უნდა მიეცათ მურზაყულოვებისათვის. უშგულელებმა გაჰყიდეს საეკლესიო მიწები, 70 ხარი მაშინვე მისცეს, ხოლო 30 ხარი შემდეგ.

სეტელი ,,ბაპის“ – მღვდლის ფუთუ ფალიანის მოკვლა მესტიაში

გადმოცემით, ერთ დროს მესტიის ხევში გაბატონდა ვიღაც სეტელი მღვდელი ფუთუ ფალიანი, რომელიც თავის სახლიდან მესტიის წმ. გიორგის ეკლესიამდე ფეხით წასვლასაც კი არ კადრულობდა; თავის სახლიდან ეკლესიამდე გვირაბი ჰქონდა გაკეთებული [41]). აუტანელი შეიქნა მესტიის გლეხკაცობისთვის ფუთუს ბატონობა და გადაწყვიტეს მისი მოკვლა. ხევის ასეთი განზრახვის სისრულეში მოყვანა დაევალა პაიდანშერების პაიდანს. ერთ დღეს, როდესაც ფუთუ ,,ლაგვნიაში“ ,,ლასგვრა ბაჩარჟი“ – საჯდომ ქვებზე იჯდა (დღესაც გვიჩვენებენ ამ ადგილას ქვებს, რომლებსაც ფუთუს დანაკლავ ქვებს ეძახიან), მოიხურა პაიდანმა ნაბადი, დამბაჩა შიგ დამალა და, როდესაც ფუთუსთან მივიდა, დაახალა გულში და იქვე სული გააცხებინა.

საინტერესო ის არის, რომ 1918 წელს, მესტიის წმ. გიორგის გალავანში, საფლავის ამოთხრის დროს, იქნა აღმოჩენილი ერთი აკლდამა, რომელშიც იდგა ძვირფასი არქეოლოგიური ნაშთი – სპილენძის კუბო შემდეგი წარწერით: ,,ამას შინა დავიკრძალვი სეტიელი მღვდელი ოთხ ძეთა ჩემთა ფალი იოვანე ფოვთუ და ფალიანით“... [42]).

41) 1925 წ. მესტიაში იქმნა აღმოჩენილი ეს გვირაბი.

42) ამ კუბოს ნახვამ კინაღამ უბედურება დაატრიალა მესტიაში, რაგდანაც ის იყო ჩართოლანების და ფალიანების სასაფლაოს საზღვარზე. ჩართოლანები ამბობდენ, რომ ეს კუბო ჩვენი წინაპრების უნდა იყოსო, ფალიანები კი ამტკიცებდნენ, რომ კუბო ჩვენი წინაპრის ფალიანის არისო. კუბო პირველად ეკლესიაში შეინახეს, მაგრამ შემდეგ, როდესაც მასზე დავა შეიქმნა, ფალიანებმა გამოიტანეს ის და თავის

ციხეში შეინახეს. შეიქმნა ციხეებიდან თოფების ბათქა–ბუთქი, არჩეულ იქნენ მსაჯულ–მედიატორეები ამ საქმის გასარჩევად. მედიატორეებმა გამოარკვიეს, რომ ეს კუბო ფუთუ ფალიანის იყო, ამიტომ ფალიანებს (სეტელშეერ) მიუსაჯეს. 1918 წელს ფალიანების გვარეულობიდან მოკვდა მღ. გიო ფალიანი, რომელიც დაიმარხა ამ კუბოთი.

ჯაფარიძის მოკვლა მესტიაში

პროფესორ კოვალევსკის ცნობებით, მე-XVს. შემდეგ ერთ დროს მესტიაში ძალაუფლებას იხვეჭდენ ჯაფარიძეები, რომლებმაც ფეოდალური უღელი დაადგეს მესტიის გლეხკაცობას კისერზე. მესტიის გლეხკაცობა ვალდებული იყო: ემუშავნათ ჯაფარიძეებისათვის, როცა მათ დასჭირდებოდათ, 1 კვიდოლა პური (3 ფუთი) ყოველ წლიურათ ბეგარად მიეცათ, ომში გაყოლოდენ მათ და სხვა ყოველგვარი სამსახური გაეწიათ. თუ რომელიმე გლეხს მემკვიდრე არ ეყოლებოდა, მისი ადგილ-მამული ჯაფარიძეებს უნდა გადასცემოდათ.

ერთ დღეს ერთი ჯაფარიძე მოდიოდა თავის მამულზე. მან დაინახა, რომ ერთი გლეხი თავის ყანაში მუშაობდა. მივიდა მასთან და უთხრა: ,,როგორ თუ შენ ჩემს ყანაში არ მუშაობო“, დაუწყო ლანძღვა-გინება და ცემა. მოთმინებიდან გამოსულმა გლეხმა იშიშვლა ხანჯალი და მოკლა ჯაფარიძე. მის მოკვლაზე დიდი წივილ-კივილი და ხმაურობა ასტყდა და ამიტომ სხვა ჯაფარიძეებმა და მესტიელებმაც ამ ადგილს მოიყარეს თავი. მოხდა გლეხებსა და ჯაფარიძეებს შორის შეტაკება, რომლის დროსაც ჯაფარიძეები იქნენ დახოცილნი. ამ უბედურებას გადარჩა მხოლოდ ერთი ჯაფარიძე. მისგან შემდეგში გამრავლებული ჯაფარიძეების გვარეულობა უფლებრივად გათანასწორდა გლეხობასთან. ამიერიდან მესტიის ხალხი ირჩევდა თავიანთ შორის ,,მახვშის“ (უფროსს) და თვითონ განაგებდა [43]) თავის საქმეს. ჯაფარიძეებს შერჩათ მხოლოდ ის პრივილეგია, რომ მათი სისხლი ფასდებოდა ორ გლეხის სისხლად და გლეხებს თავის ქალიშვილებს არ აძლევდნენ ცოლად.

43) Ковалевский. Зак. и обыч. на Кавк. Стр. 15-16.

ლატალელების გამოსვლა ჩარკვიანების წინააღმდეგ

ლატალში ერთ დროს გაძლიერდნენ ჩარკვიანები, რომლებმაც ამ თემზე გაბატონება განიზრახეს. თავის ციხე-სიმაგრეებით, რომელიც ჰქონდათ ზარგალში, გუგბაში, ჩარულდში, ლახუშტში და გილიანში, ისენი გარშემო იყვნენ შემორტყმული ლატალის თემს. ჩარკვიანებს დაავიწყდათ, რომ საქმე თავისუფლების სადარაჯოზე გმირულ ბრძოლით სახლეგანთქმული ლატალის გლეხკაცობასთან ჰქონდათ და ბევრს თავხედობას ჩადიოდნენ. ლატალის გლეხკაცობამ შეთქმულება მოახდინა მათ სამტროდ, ერთდროულათ თავს დაესხა ყველგან ჩარკვიანების სასახლეებს და სუყველანი ერთ დღეს მოსპეს. მთელი მათი უძრავი და მოძრავი ქონება გლეხებმა გაინაწილეს. ამ უბედურებას შემთხვევით გადარჩა ერთი ჩარკვიანის ბავშვი, მულახში თავის ნათესავთან ყოფნის წყალობით. რამოდენიმე წლის შემდეგ მას ხალხმა ნება მისცა დასახლებულიყო იქ, სადაც მისი წინაპრები იყვნენ დასახლებული. მისი შთამომავლობა უფლებრივად გლეხებთან იქნა გათანასწორებული და დღემდე სიღარიბეში განაგრძობს არსებობას.

ლატალის გლეხკაცობის დადეშქელიანების წინააღმდეგ გალაშქრება 1895 წ.

ლატალის თემში მდ. ლაჰლას ხეობაში მდებარე ადგილს ჰქვია ,,ლაჰლა ჭალაი“. ეს ადგილი მდებარეობს სადადეშქელიანო სვანეთის საზღვარზე და ითვლება ამ მხარეში ხე-ტყით, საბალახოებით მდიდარ ადგილად. ამიტომ დადეშქელიანებს მუდამ თვალი ეჭირათ ამ ადგილებისაკენ. 1895 წ. მთელმა დადეშქელიანების გვარეულობამ (გარდა ბეჩოელებისა) თავი მოიყარა და იარაღით ხელში გაილაშქრა ამ ადგილების დასაპყრობათ. ამის გაგონებაზე ლატალის გლეხკაცობა ფეხზე დადგა. ჩვეულებრივად იარაღზე ხელი გაისვეს, ელვის სისწრაფით გაეშურენ საომრად იქითკენ, საიდანაც დადეშქელიანები იყვნენ მომდგარი. დადეშქელიანებმა რომ ლატალის ხალხის ასეთი

ერთსულოვნურათ გამოსვლა დაინახეს, გამარჯვების იმედი დაკარგეს, პირი იბრუნეს და უკან დაბრუნდენ.

ამის შემდეგ ისინი 1912 წელს შემოიჭრენ სხვა ადგილებში, სადაც სოფ. ქართვანში მცხოვრებ თავის ყმებს გააკეთებინეს ყანები, დაამზადებინეს შეშა, მაგრამ ერთ დღეს დაეცენ ამ ადგილებს ლატალელები, ცეცხლი წაუკიდეს როგორც დათესილ ყანებს, აგრეთვე შეშას და გაანადგურეს.

გალიფხანების (გარდაფხაძეების) ამოწყვეტა ჩოლურის გლეხობის მიერ ძველ დროში

როგორც ზემოთ დავინახეთ, ქვემო სვანეთში ჩოლურის საზოგადოებაში ძველ დროში გაბატონდენ თ. გალიფხანები (გარდაფხაძეები), რომლებიც თავს ყაბარდოდან მოსულად სთვლიან.

სვანური გადმოცემა მათ ტირანობას ასე ახასიათებს: გალიფხანებს იმდენად უყვარდათ გლეხების ტანჯვა-წამება, რომ ფერდოებში ანუ აღმართებში ყანების გათოხნის დროს მუშებს წელი და მუხლები რომ უფრო ძლიერ სტკენოდათ, აიძულებდენ გაეთოხნათ ყანები არა ისე, როგორც საზოგადოთ არის შემოღებული – ქვევიდან ზევით, არამედ ზევიდან ქვევით. ხოლო როცა გლეხებმა ამ ფიზიკური ტანჯვისაგან თავის დასაღწევად მიმართეს ხრიკებს და თავის ბატონს მადლობა უთხრეს ყანების ამ წესით გათოხნისათვის, რადგანაც თოხნის დროს გადმოცვენილი ქვები ფეხებში არა გვხვდებაო, მაშინ ბატონმა ყმების ამ წესით დათოხნა შესცვალა და ისე დააწყებინა, როგორც საერთო წესია და სხვ...

საერთოდ გარდაფხაძეების გლეხისადმი უხეში და უდიერი მოპყრობა იმდენად მწარე და აუტანელი იყო, რომ ჩოლურის გლეხობამ ამას ვეღარ გაუძლო და შეთქმულება მოახდინა, რათა გარდაფხაძეების ერთ დროულად ამოწყვეტით ეხსნათ თავი მათი ტირანიისაგან.

ამ შეთქმულების სისრულეში მოყვანა წილად ხვდა გარდაფხაძეების მოურავს აფრასშა ლიპარტელიანის გვარის კაცს.

გარდაფხაძეების გვარეულობა იმ დროს შესდგებოდა ორი ძმისაგან, რომლებსაც ყავდათ 8 ვაჟიშვილი. უფროსი ძმა გიერგი ცხოვრობდა სოფ. ბულეშში, უმცროსი მამში. ყველანი რომ ერთ დღეს გაეწყვიტათ. ხალხმა საუკეთესო დროდ ჩასთვალა ,,თანაფ სახრაბი“ – აღდგომის განთიადი, რადგანაც ყველა გალიფხანები იმ დღეს ჩვეულებრივად აღდგომის წირვაზე უნდა წასულიყვნენ, ხოლო მათ ,,მახვშის“ – გვარეულობის უფროსს გიერგის წვერი უნდა მოეპარსა იმ თავისი მოურავის ლიპარტელიანის ხელით, რომელსაც ხალხის მიერ დაეკისრა მისი მოკვლა...

ვინაიდან ჩოლურის მაცხოვრის ეკლესია სოფ ბულეშიდან შორს არის, ხოლო სოფ. მამიდან ახლოს – გიერგ გალიფხანის შვილები შაფათ საღამოს ყველანი სოფ. მამში მცხოვრებ თავის ბიძასთან ავიდენ და ნაშუაღამევს იქიდგან ყველა გარდაფხაძეები ერთად მაცხოვრის ეკლესიაში წირვაზე წავიდენ. გათენებისას, აღდგომის წირვა რომ გამოვიდა და გარდაფხაძეები შინისაკენ მიდიოდნენ, გავარდა ერთის მხრით დადარაჯებულ ჩოლურლების, ხოლო მეორე მხრით ეკლესიის გალავანში მყოფი ხალხის თოფები და 9 გალიფხანი ერთად იქნა გაწყვეტილი. გიერგი ამ დროს წვერს იპარსავდა იმ თავისი ზემოხსენებული მოურავის ხელით, რომლისთვისაც თოფების სროლა უნდა ყოფილიყო სიგნალი თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანისათვის. მან გამოუსვა თავის ბატონს გირგ გალიფხანს ყელში სამართებელი და თვალის დახამხამებაში დაკლა.

ამნაირად, ყველა გალიფხანებს ერთ დღეს გაავლო მუსრი ჩოლურის გლეხობამ.

ამ უბედურებას შემთხვევით გადარჩა ერთი ძუძუმწოვარი გალიფხანის შვილი, რომელიც ზურებიანებთან იზრდებოდა. თავისი ძიძის ქმარმა ის გუდაში ჩასვა და ყაბარდოში გადამალა. იქ ის გაიზარდა, და როცა დავაჟკაცდა, მოიყვანა ყაბარდოს ლაშქარი, ჩოლური კვლავ დაიპყრო და ბატონყმური წესები დაამყარა. უსლარის და ლობანოვ-როსტოვსკის თქმით, კალა-უშგული 1852 წ-დე აძლევდენ ბეგარად ორ გირვანქა გვარჯილას გელოვანებს ვიღაც მათი ნათესავის მოკვლისათვის.

ამნაირად, სვანეთის ბრძოლის ზემოთ მოყვანილი სურათები ნათლად მოწმობენ, რომ სვანეთს რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში უწარმოებია სასტიკი ბრძოლა თავისუფლების

მოპოების და განმტკიცებისათვის, მონობა თავიდგან აუშორებია და ამიტომაც დარქმევია მას თავისუფალი სვანეთი.

ბ. ბოროზდინა და სტოიანოვი კი სვანეთის ამ ისტორიულ სახელის შესახებ თავისებურ ბავშვურ ახსნას იძლევიან: ,,დღევანდელ თავისუფალ სვანეთში წინად ცხოვრობდენ დადეშქელიანების ვასალებიო, მაგრამ ერთხელ ისინი აჯანყდენ და მოკლეს თავისი ბატონი, რისთვისაც სულ ერთიანად იქნენ დადეშქელიანების მიერ მოსპობილიო (ორსულ ქალებსაც მუცლები გამოსჭრეს და შუაზე გაჩეხესო). რადგანაც ამის შემდეგ მცხოვრებლებისაგან ეს კუთხე გაიწმინდა ანუ განთავისუფლდა, ამიტომ დაერქვა თავისუფალი სვანეთიო“.

თავის თავად ცხადია, მკითხველი ამ სასაცილო მოსაზრებას ჩემ მიერ ზემოთ აღწერილ ისტორიულ ჭეშმარიტებას რომ დაუპირისპირებს, დარწმუნდება, რომ თავისუფალი სვანეთის სახელი არის ხანგრძლივი ბრძოლით მოპოვებული და სისხლით გამოსყიდული ისტორიული სახელი ამ ქვეყნისა.

II
სვანები და თვითმპყრობელურ რუსეთის იმპერიალიზმი

თავისუფალ ბუნების წიაღში აღზრდილმა ხალხმა მთებითა და სიმაგრეებით განთქმულ ქვეყანაში რომ თავისუფლებისათვის თავგანწირული ბრძოლა აწარმოვა რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში და მუდამ მტარვალთა სისხლის მორევში ცურაობდა, ეს სრულიად ბუნებრივ მოვლენად ჩაითვლება, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ თვითმპყრობელ რუსეთის მიმართ ამ პოლიტიკურად გაუთვითცნობიერებულმა და უკულტურო ხალხმა იმდენი პოლიტიკური მოქნილობა და დიპლომატობა გამოიჩინა, რომ ნახევარი საუკუნის განმავლობაში არც გაამწვავა მასთან დამოკიდებულება, არც შეუერთდა, და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, კომიკურ მდგომარეობაში ჩააყენა მეფის მთავრობა. ჯერ კიდევ ციციანოვის მიერ განსაკუთრებული ყურადღება იყო მიქცეული სვანეთზე, შემდეგ პასკევიჩ ერივანელმა დაიწყო მუშაობა ამ ხალხის დამორჩილებისათვის [44]).

მას შემდეგ, რაც რომ იმერეთის მმართველმა გესსემ მას მიმართა საიდუმლო მოხსენებით იმის შესახებ, რომ სვანების დამორჩილება იარაღით ძნელია, მაგრამ შეიძლება ეს მოხერხდეს თავი-კაცებისათვის დიდი საჩუქრის მიცემითო [45]), პასკევიჩ ერივანელმა ოფიციალურად უბრძანა მას, რათა თანახმად მისი მოხსენებისა, მოსყიდული ყოფილიყვნენ სვანეთის ,,მახვშიები“ – თავიკაცები [46]). გესსემ ეს საქმე დაავალა სამეგრელოს მთავარს ლევან დადიანს, რომელმაც გაიკაფა გზა სვანეთისაკენ დადეშქელიანების დამოყვრებით და ჩუბეხევის მთავარის ციოყის დის დარეჯანის თავის ძმის დავითისათვის ცოლად შერთვით. ამის შემდეგ, როგორც სჩანს ჩემს მიერ ერთ ოჯახში ნახულ ერთ წერილიდან, დადიანმა გაგზავნა სვანებთან მოსალაპარაკებლად თავისი გამზრდელი ჭყონდიდელი ცაიშელი ცაგერელი გიორგი, რომლის ხელითაც გაუგზავნა ყველაზე უფრო ურჩ ლატალის თემს შემდეგი შინაარსის მოწოდება: ,,ჩემგან პატივცემულნო ერთობით ლატალის მცხოვრებნო აზნაურნო და გლეხნო.. მთავარი მინგრელიისა ლევან დადიანი სიყვარულითა და შესაფერისი პატივისცემით მოგიკითხავთ. მერმე ამისა თქვენც კარგათ იცით, რომ თქვენი მამა–პაპა ყოველთვის ჩემი მამა-პაპის ერთგული ყოფილან და თქვენ ჩემი ოჯახის ერთგული ხართ და ამისთვის ჩვენ ვყოფილვართ თქვენი პატივისმცემელი და მწყალობელი და ეხლა უფრო მსურს თქვენი წყალობა და ბედნიერება. დამიჯერეთ მე, თქვენს სამჯობინო საქმეს გირჩევთ, რომლისთვისაც წარმოვგზავნე თქვენთან ჩემი გამზდელი და მოძღვარი, ჭყონდიდელი ცაიშელი ცაგარელი გიორგი, რომელიც ჩემს თქვენთან დაბარებულს ყოველსავე გეტყვით და თუმცა თქვენი თავის ბედნიერება გინდათ ანუ ჩვენგან პატივისცემა, რაც მან გითხრათ, ყოველივე გაუგონეთ, სარწმუნო იყავით იმაზე, რომ რაც თქვენთვის არ ივარგებს, ისეთს არას გეტყვით“ [47]).

სჩანს, ეს მოციქულობა დამაკმაყოფილებელი შედეგებით არ დაგვირგვინებულა, რადგანაც 1830 წელს ლევან დადიანი კვლავ გზავნის სვანეთში სამეგრელოს მიტროპოლიტს დავითს, რომლის პირითაც სთხოვს სვანებს მასთან ჩამოსვლას და ჰპირდება დიდ საჩუქრებს. ამ დროს თავისუფალი სვანეთის აზნაურები: შმაგი და მურზა ქურდიანები, ბესი იოსელიანი, სორთმან ჯაფრანი მიდიან დადიანთან, რომელმაც ლეჩხუმის მოურავ ბერ გელოვანის

თანხლებით, ისინი წარუდგინა პასკევიჩს, ვითარცა თავისუფალი სვანების მოციქულები [48]). პასკევიჩმა მოახსენა ღრაფ ჩერნიშევს, რომ დღემდის დაუპყრობელი სვანეთი აცხადებს სურვილს რუსეთთან შეერთებისაო. რომ სამეგრელოს მთავარს ლევან დადიანს მიუძღვის ამ საქმეში უმთავრესი ღვაწლი, რადგანაც მან გამოგზავნა დაუმორჩილებელი ხალხის წარმომადგენლები ჩემთანაო, და რომ ეს სვანები დიდის საჩუქრებით დატვირთულნი გაისტუმრა თავიანთ ქვეყნისკენ [49]) და სხვ.

როგორც ვხედავთ, ამ ,,დელეგაციაში“ ერთი გლეხიც არ ურევია და ოთხივე არიან დადიანის მიერ საჩუქრების შეპირებით მოხიბლული ორი თემის მულახის და მესტიის აზნაურების ორი გვარეულობის – ქურდიანების და ჯაფარიძეების წარმომადგენლები და არა თავისუფალი სვანეთის გაგზავნილი მოციქულები. ამიტომაც ამ საქმემ არამც თუ რაიმე სასურველი ნაყოფი არ გამოიღო მთავრობისათვის, არამედ თავისუფალი სვანეთის გლეხკაცობა უფრო აამხედრა, შეაკავშირა და დარაზმა მის წინააღმდეგ, რადგანაც მეფის მოადგილესთან წასვლა მათთან უფლებრივად გათანასწორებულ აზნაურებისა გლეხებმა ჩასთვალეს მათ მიერ დაკარგულ პრივილეგიების აღდგენის მეცადინეობათ, დაკარგეს მათდამი ნდობა და სიახლოვესაც არ იკარებდენ მათ.

ამის შემდეგ, როდესაც 1833 წ. ჩუბეხევისა და ეცერის სამთავროები რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდენ, დიგორხანი [50]) და მისი შვილი ციოყი პირდებიან ბარონ როზენს თავისუფალ სვანეთის თვითმპყრობელურ რუსეთისადმი დამორჩილებას.

სჩანს, დადეშქელიანების მეფესთან კეთილგანწყობილების დამყარებას სვანებისათვის ძალიან დაუფრთხია ძილი, რადგანაც უფიქრიათ, რომ მისი დახმარებით დადეშქელიანები შესძლებენ დაუპყრობელ თავისუფალ სვანეთის დამონავებას და ამიტომაც ამ დროს თავისუფალი სვანები კეტავენ ყოველ მხრიდან თავის საზღვრებს. ისინი მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს და ფიცსა სდებენ, რომ არცერთი დადეშქელიანი და მთავრობის კაცი თავის ქვეყანაში არ შეუშვან და მოციქულებს უგზავნიან დიგორხანს და მის შვილს ციოყ დადეშქელიანს, რომ თვითმპყრობელობასთან შეერთებაზე უარი განაცხადონ, რასაც ჩვენ სხვათ შორის ნათლად გვიმტკიცებენ შემდეგი საბუთები:

1833 წ. სექტემბერში ციოყმა მისწერა სხვათა შორის ბარონ როზენს შემდეგი: ,,თუმცაღა შეიყარნენ მეზობელნი ჩემნი სვანნი და გაიფიცნენ ჩემს მტრობაზე და მრავალი მოციქულები მიგზავნეს, რათა არ მივსცე თავი ხელმწიფესა და ჩემსა დამხობას სცდილობენ, მაგრამ ვერა დამაკლეს და დაიშალნენ. გამოგვიგზავნეთ რუსეთის მხედრობიდან 200 ჯარის კაცი, რომ აქაური ხალხი ხელმწიფეს დავამონოთო“. [51])

ამავე წლის 31 ოქტომბერს დუგორხანი სწერდა ბარონ როზენს: ,,რომელიცა მიბრძანა თქვენმა მაღალ აღმატებულებამ... მე გიახელი ჩემს ძმებთან [52]) და აქა ვარ. დიახ ჩქარა დაბრუნებას ვაპირობ და რომელიც უბატონო სვანეთი ზემო სვანეთი არის, ამაზე უნდა გიახლოთ და თქვენი ნებაც იქნეს, იმ დროისთვის ერთი შენი ერთგული კაცი გამომიგზავნე სვანეთში მიმავალი გზის გასასინჯავათ, რომ ყოველი საჭირო გზები ვაჩვენო იმისთვის, რომ ჩემსავით სხვას არ შეუძლია ჩვენება აქაური გზებისა, იმისთვის რომ დაუნდობელი ხალხნი არიან და ჩემთან არავის რაიმე უკანონობა მიადგება“ [53]).

ეს წერილი სხვათ შორის ჩვენ გვიმტკიცებს, თუ რამდენათ ძნელი ყოფილა მთავრობის გაგზავნილ კაცისათვის სვანეთში შესვლა და რამდენად ფრთხილად დარაჯობდენ სვანები თავის გზებსა და საზღვრებს. რადგანაც სვანური ჩვეულება ნებას არავის აძლევდა ქალის მფარველობაში მყოფ მტრისათვის რაიმე ევნოთ, მთავრობის კაცის შესვლა სვანეთში მარტო დიგორხანთან ერთად უცვნიათ შესაძლებლად.

ამის შემდეგ 1834 წელს 11 მარტს ციოყი წარუდგა ბარონ როზენს წერილობითი მოხსენებით, რომელშიაც სხვათა შორის წერდა: ,,სცნეს რა მეზობელთა ჩემისა ქვეყნისათა, რომელ მე ქვეშევრდომილ დიდისა ხელმწიფისადმი, ამის გამო მივიღე დიდი შიშნეულობა. დაიწყეს თვით შორის აღშფოთება, რადგანაც გრძნობდენ, რომ მე მიპყრიან გზანი და სიმაგრენი, საიდამაც უჯაფოთ შემიძლიან რუსეთისა მხედრობის შეყვანა მათზე და დაპყრობა თვისა მამულისა ჩემისაგან და რასაკვირველი არს, რომ ეგენი დღეს იყვენ ჩემდა მტერი, სადაცა კიდეცა მაჩვენეს მაგალითნი მტრობისანი ერთი მეორესთან შეფიცებით სამტროდ ჩემდა“ [54]).

იმავე 1834 წ. მარიამობის თვეში მთავარ მართებლის ბ. როზენის მიერ სვანეთში გაიგზავნა კომისია. ეს კომისია ესტუმრა

ჯერ ჩუბეხევის მთავარს ციოყს, შემდეგ ეცერისას – თათარხანს და მერე წავიდა თავისუფალ სვანეთში დიგორხანის დის თანხლებით თვითმპყრობელობასთან შეერთების მქადაგებლად. თავისუფალი სვანები მას შეხვდენ იარაღით ხელში, აუტეხეს სროლა, რომლის დროსაც სხვათა შორსი იქნა მოკლული დიგორხანის დაც [55]).

ვინაიდან სვანური ადათით, როგორც ზემოთ არის ნათქვამი, ნება არავის ეძლეოდა ქალთან მყოფ მტრისთვის რაიმე ევნო, სჩანს დიგორხანის დაც იმიტომ გაუყოლებიათ კომისიისთვის, მაგრამ ამ შემთხვევაში სვანები ისეთ თავდავიწყებამდე მისულან, რომ ეს ქალბატონიც კი მოუკლავთ.

ამის შემდეგ იმავე 1834 წელს სექტემბრის 1-ლ რიცხვებში ბარონ როზენის ბრძანებით სვანეთში იგზავნება გენერალური შტაბის შტაბის-კაპიტანი თ. შახოვსკოი, რომელიც ვამეყ დადიანის, გიორგი აფაქიძის და მღ. დავით ქობულოვის თანხლებით მივიდა სვანეთში, ესტუმრა ციოყსა და თათარხან დადეშქელიანებს, გადასცა მათ ღრამოტები და მეფისგან გამოგზავნილი ძვირფასი საჩუქრები, შეარიგა ეს ორი მოსისხლე მტერი ერთმანეთთან და შემდეგ უნდა გადასულიყო თავისუფალ სვანეთში. მაგრამ სადადეშქელიანო სვანეთის საზღვარზე დასახლებულმა ლატალის გლეხ–კაცობამ შეუთვალა, რომ თავისუფალი სვანეთის დადგენილებით არც თ. დადეშქელიანებს, არც მთავრობისაგან გამოგზავნილ პირებს ნება არა აქვთ მათ ქვეყანაში გაიარონ. ამიტომ შახოვსკოი იძულებული შეიქნა უკან დაბრუნებულიყო და 4 სექტემბერს ბარონ როზენს გაუგზავნა ეცერიდან შემდეგი შინაარსის მოხსენება: ,,პირველი თემი თავისუფალი სვანეთისა ლატალი მე არამც თუ არ მღებულობს, არამედ გზათაც არ მიშვებს თავის მამულზე. ამის მიზეზი ის არის, რომ ორი კვირით დადეშქელიანების სტუმარი ვიყავი. ლატალელებმა შემომითვალეს, რომ ქვემო ანუ სადადიანო სვანეთიდან შეგვიძლია თქვენთან მოლაპარაკების დაწყებაო. მძევლების მოთხოვნა მათან და ჩვენი ბოქაულის დანიშვნა იქ ნაადრევათ უნდა ჩაითვალოს. თუ მათთან მისასვლელ გზის გაკაფვას და თავისუფლად მიმოსვლას შევძლებთ მომავალში და რაჭა-ლეჩხუმის ყოველწლიურად მათ მიერ განადგურებისაგან დაცვას, ჩვენთვის ისიც მიღწევად უნდა ჩაითვალოსო“ [56]).

რადგანაც საშუალება არ ქონდა თავისუფალ სვანეთზე გაეარა გზათ, შახოვსკოი უსკვირის მთით გადავიდა ლეჩხუმში და იქიდან გორდში ლევან დადიანთან. გორდში მასთან მივიდნენ ოთხი აზნაური – შმაგი და მურზა ქურდიანები, სორთმან ჯაფარიანი, ბესი იოსელიანი და ვიღაც მულახელი მღვდელი მურზალი (ვფიქრობ, ჟორჟოლიანი უნდა ყოფილიყო), რომლებიც 1830 წ. ლევან დადიანმა წარუდგინა პასკევიჩ ერივანელს.

დიდი მეცადინეობის შემდეგ ლევან დადიანმა და შახოვსკოიმ ისინი დაითანხმეს, რათა შახოვსკოისთან ერთად წასულიყვენ ტფილისში ბარონ როზენთან, ვითარცა თავისუფალ სვანეთის ხუთი თემის: იფარის, მულახის, მესტიის, კალის და უშგულის წარმომადგენლები თვითმპყრობელობასთან შეერთების სათხოვრად.

გორდიდან შახოვსკოი სწერდა ბარონ როზენს: ,,ვინაიდან თქვენ დიდი სურვილი გაქვთ სვანეთი რუსეთის მმართველობას დაუახლოვოთ, მე ბევრი ვეცადე დამეთანხმებინა ჩემთან თავისუფალ სვანეთიდან მოსული ოთხი კაცი, რომ წამომყოლოდენ თქვენთან ტფილისში. იმედი მაქვს 1-ლ ოქტომბერს თქვენთან ვიქნებით და გთხოვთ ბრძანება გასცეთ, რომ იმ დროისთვის მათთვის ბინა მზათ იყოსო“ [57]).

ამნაირად, როგორც ვხედავთ, საჩუქრებზე მიჩვეულ ზემოხსენებულ აზნაურებს შახოვსკოი უდგენს ბარონ როზენს თავისუფალი სვანეთის სახელით თვითმპყრობელობის ქვეშევრდომობაში შესვლის შესახებ, მაშინ როდესაც, როგორც სჩანს თვით შახოვსკოის მოხსენებიდან და აგრეთვე ბარონ როზენის სვანეთის ხალხისადმი ქვემოთ მოთავსებულ მოწოდებიდან, ისინი ყოფილან შახოვსკოისთან მისული იმ მოსაზრებით, რომ გაეგოთ მისი აზრი და, თუ მოეწონებოდათ, წაეყვანათ ის სვანეთში იმ ხალხთან მოსალაპარაკებლად, რომელმაც ის არამც თუ არ მიიღო, არამედ თავის ადგილზე გზაც კი არ მისცა. ბარონ როზენმა ამ ოთხ ,,დელეგატს“ ჩამოართვა შემდეგი შინაარსის ხელწერილი [58]): ,,ხეობის სოფელთა გიპარს (იფარს), მულახს, მესტიას, მუჟალს, კალას და უშგულ გაეგზავნათ თავიანთაგან აღმორჩეულნი კაცნი ლეჩხუმს, უფროს ადიუტანტს შტაბს-კაპიტან კნიაზ შახოვსკოისთან და ეთხოვნათ მისთვის, რათა იგი მისულიყო სვანეთში, მოესმინა აზრი მათი შესვლისა ზედა სარწმუნო

ქვეშევრდომისა შინა ხელმწიფე იმპერატორისა, გარნა კნიაზ შახოვსკოის რადგანაც არა ქონდა ამ საქმეზე დარიგება ჩემგან და რადგანაც ზამთარი მოახლოვებული იყო, მისათვის ერჩივა თავისუფალთა აზნაურთათვის, რომელნიცა მასთან მოსულან, რათა ისინი წამოყოლოდენ ტფილისში ჩემთან პირდაპირი ჩემისა ბრძანებისა მისაღებათ. წარმოდგნენ ჩემთან აზნაურნი: შმაგი ქურდიანი, ბესი იოსელიანი, სორთმან ჯაფრანი, მურზა ქურდიანი და მღვდელი მურზალი, მითხრეს მე სოფელთა სურვილი, რათა მიიღონ თავადი შახოვსკოი და მთელი ხალხი ათანახმონ ესე ვითარი საქმის განზრახვის აღსრულებაზედა და მასთანვე მთხოვეს მე, რათა გამოვგზავნო იგი მათთან მისაღებად ფიცისა ყოველთა სვანეთისა სოფელთაგან და აღმითქვეს მე, რომელ ისინი თვის მხრიდან მოიხმარებენ ყოველსავე ღონეს, რათა აღსრულდეს ესოდენ კეთილი განზრახვა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის განუზომლისა მოწყალებისა გამო თვისისა.

მისცემ რა ყურადღებას მშვიდობიანობისა ზომიერობას, რომ მით მოიყვანებდეს ქვეშევრდომობაში სხვადასხვა კავკასიის მთის ერნი თავისუფლების კეთილ მოქმედებით მიიღებს ჩემგან გამოცხადებულსა მორჩილებასა და გამოგიგზავნით მომავლის ზაფხულის თავში თ. შახოვსკოის, მაგრამ იმ პირობით, რომ ყოველივე სოფელნი ზემორე თქმულისა ხეობისა ერთსულობით მეცადინეობდენ აღმოკვეთასა ერთმანეთში შფოთისა და სისხლის ღვრელობისა, და აგრეთვე არას გზით არ გაბედონ მოხდენა ავაზაკობისა და მტაცებლობისადმი ერთა შინა და ყოველსავე, რასაც მე ვუბრძანებ, აღასრულონ უსიტყვოდ და გარდა ამისა, რადგანაც ქრისტიანეთ იწოდებიან, იბეჯითონ, რომ შეუდგნენ იმის სწორესა და მართალსა ღვთის მადიდებლობას, რომელიც მათ დიდის დროიდან დაუვიწყებიათ. ყოველივე თქმული წერილსა შიგა თავისუფალთა ჩვენთა სოფელთადმი ჩვენ უნდა აღვასრულოთ ჩვენის მხრით წმინდათა და დაურღვევლად.

მღვდ. მურზალი (მულახიდან)
აზნ. შმაგი ქურდიანი (იფარიდან)
ბესი იოსელიანი (მულახიდან)
მურზა ქურდიანი (მულახიდან)
სორთმან ჯაფრანი (მესტიიდან)

როგორც ვხედავთ, ეს ხუთი აზნაური არ ყოფილა თავისუფალი სვანეთის მიერ გაგზავნილი თვითმპყრობელობის ქვეშევრდომობაში შესვლის სათხოვრად, არამედ ხალხის დაუკითხავად, საკუთარი სურვილით შახოვსკოისთან წასული მოსალაპარაკებლად და თუ მისი აზრები მოეწონებოდათ, მერე სვანეთში მის მიღების ნებართვის გამოსაცხადებლად თავისი მხრით. ამას დაერქვა სვანეთის ,,დელეგაცია“ თვითმპყრობელობის მორჩილების გამოსაცხადებლად და ბარონ როზენმაც აცნობა პეტერბურგს: ,,დაუმორჩილებელი სვანეთი დაპყრობილიაო“.

ამავე 1834 წ. 24 ნოემბერს შახოვსკოიმ წარუდგინა ბარონ როზენს წერილობითი მოხსენება, რომელშიაც სხვათა შორის სვანეთის მოწესრიგების შესახებ გამოსთქვამდა შემდეგ მოსაზრებებს:

1) თავისუფალმა სვანეთმა მიიღო ფიცი თვითმპყრობელობის მფლობელობაში შესვლის შესახებ, ისე რომ არც დადეშქელიანებმა, არც დადიანებმა ამაში მონაწილეობა არ მიიღონ.

2) გაძლიერდეს დადეშქელიანების ძალა-უფლება მათ სამფლობელო კუთხეში ერთკომპლექტიან როტის ჩაყენებით, რომ ისინი დაცულ იქნენ გლეხკაცობის თვითნებობისაგან.

3) თავისუფალი სვანეთის შვიდ საზოგადოებაში არიან აზნაურები და შავი ხალხი (черный народ). ამ ორ წოდებათა შორის ამ ჟამად უთანხმოებაა, [59]) მაგრამ საჭიროების დროს ისინი მაინც საერთო მტრის წინააღმდეგ ჩვეულებრივად შეკავშირდებიან და ერთსულოვნად იმოწმედებენ. ამიტომ საჭიროა თავისუფალი სვანეთის დაქსაქსვა, მისგან ლატალისა და ლენჯერის თემების ჩამოშორება და სადადიანო სვანეთზე მიწერა. თუ დადიანი იმათაც ისე დაიმორჩილებს, როგორც ქვემო სვანეთის ლენტეხის, ლაშხეთის და ჩოლურის თემები დაიმორჩილა, ჩვენთვის ძალიან ხელსაყრელი იქნება, ხოლო თუ დადიანს რაიმე ურჩობა გაუწიონ, სასტიკად უნდა იქნენ იარაღით დასჯილნი, რათა ამ მაგალითით დაშინდენ დანარჩენი თავისუფალ სვანეთის ის თემებიც, რომლებმაც დღემდის შიშის არაფერი იციანო.

4) თავისუფალ სვანეთში უნდა იქნეს შემოღებული ხალხის თვითმმართველობა. მსაჯულებად უნდა ინიშნებოდეს გავლენიანი პირები და ისინი, ვისაც ბევრი ნათესაობა ყავთ. ჯამაგირი მათ უნდა დაენიშნოს მთავრობიდგან. სასურველია მათი შვილების

მძევლებათ წამოყვანა იმ სახით, თითქოს მათი სასწავლებელში შეყვანა ანუ სამსახურში მიღება გვინდოდესო“ და სხვ. [60]).

უნდა აღვნიშნოთ, რომ შახოვსკოის სვანეთში მუშაობამ უნაყოფოთ ჩაიარა და სვანეთსა და მთვრობას შორის ყალბი ურთიერთობა კიდევ დიდხანს გაგრძელდა, რასაც, სხვათა შორის, ჩვენ ნათლად გვიმტკიცებს შემდეგი საბუთი:

არქეოლოგიურ კომისიის აქტების მე-XI ტომში ამის შესახებ დაბეჭდილია ფრიად საინტერესო საბუთი. ეს არის მოხსენება, გაკეთებული 6 ივლისს 1843 წ., გენერალურ შტაბის მესამე განყოფილებისა თავისუფალი სვანეთის თვითმპყრობელობასთან შეერთების შესახებ, რომელიც შემდეგს მოგვითხრობს:

,,თავისუფალმა სვანებმა, როგორც სჩანს წინა წლების საქმეებიდან, მრავალჯერ განაცხადეს მთავრობისადმი მორჩილება. ისინი ყოველთვის გვპირდებოდენ ძევლების გამოგზავნას, ჩვენი ჩინოვნიკებისა და სამღვდელოების მიღებას. თავისუფალი სვანეთის გამოგზავნილი რწმუნებულები მოდიოდენ მთავარმართებელთან, ღებულობდენ დიდ საჩუქრებს და ამით თავდებოდა სვანეთის შესვლა მეფის ქვეშევრდომობაში. მრავალჯერ გავგზავნეთ მათთან ჩვენი ჩინოვნიკები და მღვდლები, მაგრამ სვანებს ისინი ერთხელაც არ მიუღიათ. პირველად მორჩილება თავისუფალმა სვანეთმა ღრ. პასკევიჩს ერივანელს განუცხადა, მას შემდეგ თავ. ვარშავსკის დროს და მესამედ 1834 წელს ბარონ როზენს, მაგრამ როდესაც ბარონ როზენის მიერ სვანებთან გენერალურ შტაბის კაპიტანი თ. შახოვსკოი გაიგზავნა, არამც თუ არ მიიღეს ის, არამედ გზადაც არ გაატარეს თავის მამულზე.

გოლოვინის დროს სვანებმა განაცხადეს მორჩილება თვითმპყრობელობისადმი 1840 წელს. მაშინ მოგვცეს ერთი მძევალი, რომლის დროებით გაშვება სთხოვეს იმერეთის მართველს ესპეხოს და შემდეგ არც კი დაუბრუნებიათ მასთან.

ამის შემდეგ თავისუფალი სვანები ან, უკეთ რომ ვსთქვათ, ზოგიერთი ,,მახვიშები“ ანუ მამასახლისები საჩუქრების მიღების სურვილით სთხოვდენ იმერეთის სამხედრო ნაწილის მმართველს პოლ. ბრუსილოვს, რომ ის წასულიყო მათ ქვეყანაში ფიცის ჩამოსართმევათ თვითმპყრობელობის ქვეშევრდომობაში შესვლის შესახებ.

1842 წელს ბრუსილოვი გაემგზავრა სვანეთში. საზღვარზე მას შეხვდენ სვანეთის წარმომადგენლები და გამოუცხადეს, რომ მას მიიღებენ იმ შემთხვევაში, თუ მასთან არ იქნებიან არც თავ. დადიანი, არც თ. დადეშქელიანები, არც პროტორიერეი ქუთათელაძე და არც ერთი იმერელი; რომ ბრუსილოვი უნდა წასულიყო მხოლოდ მარტო, არ გაჩერებულიყო სვანეთში ორ დღეზე მეტი ისიც მხოლოდ იმისთვის, რომ გასცნობოდა მათ ყოფა-ცხოვრებას; რომ მუდმივად მძევალს არ მისცემენ, რუსის პრისტავს არ მიიღებენ და სანამ ის სვანეთში იქნებოდა, მანამდი მძევლებს ქვემო სვანეთში ლაშხეთის თემში დატოვებდენ. ხოლო იქიდგან მის დაბრუნების შემდეგ მძევლები უნდა დაბრუნებულიყვნენ თავის ქვეყანაში. და თუ რომელიმე თემი დასთანხმდებოდა თვითმპყრობელობის ქვეშევრდომობაში შესვლაზე, მათი დაფიცება შეესრულებინა მხოლოდ ყიფიანების მღვდელს.

რა თქმა უნდა, ბრუსილოვისათვის ეს პირობები იმდენათ მიუღებელი და დამამცირებელი იყო, რომ მან უარი განაცხადა სვანეთში წასვლაზე და უკან დაბრუნდა გოლოვინთან. ამის შემდეგ სვანები წავიდენ პირდაპირ გენ. გოლოვინთან და მოახსენეს მას, რომ ბრუსილოვი მათ ქვეყანაში არ მივიდა მის მხლებელ-მღვდლის ჩაგონებით და სთხოვდენ ქუთაისის მაზრის უფროსის პოლ. ბიკოვის გაგზავნა სვანეთში ხალხის ფიცის მოსასმენლად თვითმპყრობელობის ქვეშევრდომობაში შესვლის შესახებო“ [61]).

1847 წელს ვორონცოვის დროს სვანეთში გაიგზავნა ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი კოლუბიაკინი. სვანებს მან წინდაწინ შეატყობინა თავისი იქ წასვლის მიზანი. ამიტომ ჩვეულებისამებრ მას საზღვარზე დახვდენ თავისუფალი სვანეთის თემთა ,,მახვშიები“ ანუ წარმომადგენლები, და როცა ნება მისცეს სვანეთში შესვლისა, მათი თანხლებით შევიდა სვანეთში. იფარისა და მულახის თემებმა ის მიიღეს და თანხმობა გამოუცხადეს თვითმპყრობელობის ქვეშევრდომობაში შესვლაზე [62]), ხოლო როცა მესტიის თემში გადავიდა, იქ მას ხალხმა აუტეხა სროლა, რომლის დროსაც სხვათა შორის დაიჭრა ის ყასბულათ შარვაშიძე, რომელზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი [63]). ლატალისა და ლენჯერის თემებმა კი უარი განაცხადეს მის მიღებაზე.

კოლუბიაკინმა დააარსა რაჭის მაზრაზე მიწერილი იფარ-მულახის საბოქაულო, ე.ი. იმ ორი თემის, რომლებმაც ,,მორჩილება“

გამოუცხადეს და ბოქაულად დანიშნა თ. ალ. მიქელაძე, რომლის რეზიდენცია იფარში იყო.

ამის შემდეგ იმავე წლის 31 ოქტომბერს ვორონცოვმა გამოაქვეყნა შემდეგი ბრძანება: ,,დღემდის დაუპყრობელი თავისუფალი სვანეთი ამჟამად ნებაყოფლობითა და საკუთარი სურვილით შევიდა თვითმპყრობელობის ქვეშევრდომობაში. სვანეთის მმართველად დანიშნულია პრაპ. ალ. მიქელაძე. ვაცხადებ რა ამას, ვავალებ მთავრობის ყველა დაწესებულებებს და სვანეთის მეზობელ სამთავროებს, რომ სვანებს ყველგან და ყველანი ყურადღებითა და პატივისცემით ეპყრობოდენ ვითარცა მეფის ახალ ქვეშევრდომთ“ [65]).

სვანეთის შეერთება ვორონცოვმა მოახსენა ჩერნიშევს, რომელმაც 22 ნოემბერს 1847 წ. აცნობა მას, რომ ეს სასიხარულო ამბავი მან მოახსენა მეფეს [66]).

ორი წლის შემდეგ სვანები აუჯანყდენ ბოქ. მიქელაძეს, რომელიც იძულებული შეიქნა თავისუფალ სვანეთიდან გაქცეულიყო და ამიტომაც 23 თებერვალს 1849 წ. ვორონცოვის განკარგულებით სვანეთის საბოქაულო გაუქმებულ იქნა [67]) და სვანეთიც ხუთი წლის განმავლობაში განაგრძობდა თავის ჩვეულებითი კანონებით მართვა-გამგეობას.

1853 წ. რაჭის თავადმა გიორგი წერეთელმა გაგზავნა სვანეთში მღვდელი სპირიდონ გავაშელიშვილი ერთი რაჭველის თანხლებით და დაავალა მათ უშგულიდან რამოდენიმე კაცის მასთან წაყვანა. უშგულში მისი გაგზავნილი კაცები ესტუმრენ გეგი რატიანს. მან კარ და კარ ჩამოუარა უშგულელებს და შეატყობინა სტუმრების მოსვლის მიზანი. უშგულელებმა თავი მოიყარეს და გამოიტანეს დადგენილება, რომ ამისთანა მოციქულები დაეჭირათ. გეგი რატიანმა რომ ეს შეიტყო, ისინი უკაცურ სახლში გადამალა, მაგრამ სამი დღე და ღამე ალყა შემორტყმული გეგი იძულებული გახდა დაეჩოქებინა ხალხის წინაშე და ეთხოვა სტუმრების უშგულიდან წაყვანის ნებართვა. უშგულელებმა ისმინეს მისი ვედრება და ნება მისცეს, რათა დაუყოვნებლივ გაეყვანა მას სტუმრები უშგულიდან და გაემგზავრებინა იქით, საიდანაც იყვნენ მოსული.

გეგი რატიანმა ისინი ხალხის შესახედავად უშგულიდან თუმცაღა გაიყვანა და რაჭისკენ გაამგზავრა, მაგრამ ღამით ისევ უკან დააბრუნა და მულახში და იფარში წაიყვანა. უშგულელებმა ეს რომ

შიეტყვეს, გეგის ოჯახიდან გამოიყვანეს ერთი უღელი ხარი და შეჭამეს. გეგი და მისი ამხანაგები იქ შეჰპირდენ დიდ საჩუქრებს ზოგიერთ თავ-კაცებს, იშოვეს 5 კაცი და გაუდგენ გზას რაჭისაკენ. უშგულელების მიერ დაყენებულმა ყარაულებმა ყველანი შეიპყრეს, შემდეგ სვანები გაუშვეს, ხოლო გავაშელიშვილი და მისი ამხანაგი დაატყვევეს. ერთ კვირა დღეს გავაშელიშვილმა სთხოვა უშგულს: ,,მღვდელი ვარ, ამდენი ხანია ღმერთი არ მიხსენებია და ნება მომეცით ვსწიროვო". უშგულელებმა ნება მისცეს.როცა წირვა გათავდა, მღვდელმა ხატი დაიკავა ხელში, დაუჩოქა უშგულელებს და უთხრა: ,,ამ ხატს აპატივეთ ჩემი თავი და ჩემს ქვეყანაში გამიშვითო". ხატისა და ეკლესიის პატივისცემით ისინი იქნენ განთავისუფლებული. მაგრამ ისევ მულახ-იფარში გაიპარნენ და მივიდენ იმ კაცებთან, რომლებიც მათ მიყვებოდათ წერეთელთან რაჭაში. იმათ შეიერთეს კიდევ ერთი იფარელი და ერთი მესტიელი აზნაურები და ყველანი ერთად წავიდენ რაჭაში წერეთელთან. წერეთელმა ისინი დიდის ამბით მიიღო, რამდენიმე მათგანი იშვილა, დაასაჩუქრა და დაითანხმა ყველანი მასთან ერთად წასულიყვნენ ქუთაისში გუბერნატორთან. უკანასკნელმა ისინი დაითანხმა ბორჯომში ვორონცოვთან წასვლაზე.

ვორონცოვმა ისინი დიდი ზეიმით მიიღო. რამდენიმე დღე არსად არ გაუშვა, დიდ პატივისცემაში ყავდა, შემდეგ მონათლა. ნათლიად ის და მისი მეუღლე დაუდგენ, რათა ნათესაური კავშირი დაემყარებინათ მთიულებთან. შემდეგ დიდაღ დასაჩუქრებულნი თოფებითა და ფულებით წავიდნენ თავის ქვეყანაში.

ბართოლომეი, როგორც დამსწრე ამ ისტორიულ მოვლენისა, შემდეგს მოგვითხრობს: ,,Прошедшее лето 1853 г. в Боржоме ознаменовалось одним из тех редких событий, которые могут случиться только на Кавказе. В здании Минеральных вод на берегу Шовис-цкали совершился обряд таинства Св. Крешения над семью дикарями Вольной Сванетии, доселе де признававшей над собой никакой власти. Сам наместник кн. Воронцов и супруга его в кругу сановников и приближенных были в числе восприемников. Обрадованные, обласканные и прилично одаренные сваны вернулись в свои горы" [68]).

ამის შემდეგ ვორონცოვის მიერ იმავე 1853 წ. სვანეთში გაიგზავნა პოლკ. ბართოლომეი სვანეთის ყოფილ ბოქაულის ალ. მიქელაძის თანხლებით.

26 ივლისს ისინი მივიდენ ჩოლურში და ესტუმრენ თ. გარდაფხაძეს, სადაც მათ დახვდათ აზნაური სორთმან ქურდიანი, რომელიც მეორე დღესვე გაგზავნეს ზემო სვანეთში, რომ მას ხალხისათვის ეცნობებინა ბართლომეის სვანეთში მოსვლის მიზანი და, როდესაც ბართოლომეის ეცნობა, რომ სვანეთი არ იყო მისი მიღების წინააღმდეგი, გადავიდა ლატფარის მთაზე. კალაში მას შეხვდენ ბორჯომში ვორონცოვის მიერ მონათლული სვანები: დადაში ქურდიანი, გელა იოსელიანი, სიმონ დევდარიანი, სორთმან ქურდიანი, ყასბულათ შერვაშიძე, ნეშრევან ყიფიანი და სხვები. ისინი ყველა ერთად გადავიდენ იფარში, მაგრამ მათ იქ, ქალებისა და ბებრების გარდა, არავინ დახვდა. აქედან ის ავიდა სოფელ წვირმიში და ესტუმრა ზემოხსენებულ ყიფიანს.

წვირმიდან მან თავისი მასპინძელი ყიფიანი და ყასბულათ შერვაშიძე გაგზავნა მოციქულებად ლატალის თემში, რომელიც ჯერ კიდევ მოსალაპარაკებლადაც არ მიჰკარებია მთავრობას და მათი პირით სთხოვა მიეცათ ნება ლატალში შესვლისა, ეკლესიების სიძველეების დასათვალიერებლად.

ლატალიდან დაბრუნებულ მოციქულებთან ერთად ბართოლომეისთან მოვიდენ ლატალის აზნაურები ჩარკვიანები და აცნობეს ლატალის თანხმობა მისი მიღების შესახებ.

ამ სასიამოვნო ცნობით გახარებული ბართოლომეი სასწრაფოდ წავიდა ლაყარის გზით ლატალისკენ. ლატალში ერთ ადგილას მას დახვდა თავმოყრილი 600 კაცი ლატალის მახვშის აბი ფარჯიანის თაოსნობით, რომელმაც თოფი ჩამოიხსნა, წინ დააბჯინა და ლატალის ხალხის სახელით მიმართა ბართოლომეის შემდეგი სიტყვებით: ,,მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ლატალის ხალხი ვერავის ვერ დაუმორჩილებია. ტყუილა ცდილობენ ჩვენი მეზობლები (მთავრები) ხან ძალით, ხან ხერხით და ეშმაკობით ჩვენს დაპყრობას. მტარვალთა მოძალადეობას ჩვენ უპასუხებდით ყოველთვის იარაღით, ხოლო მათ ხრიკებსა და ეშმაკობას დიდი ჯიუტობითა და სიმკაცრით. ბევრი სისხლია ამ ბრძოლაში ჩვენი მამა-პაპის მიერ დაღვრილი და ამიტომაც ლატალის ხალხმა დღემდე შესძლო ასე ბრწყინვალედ თავისი წინაპრების მიერ

ნაანდერძევი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვა-შენარჩუნება.

ამჟამად ჩვენი საკუთარი სურვილითა და ნებით, ძალდაუტანებლად, ყოველგვარ გავლენის გარეშე, ჩვენ გვსურს რუსეთის სახელმწიფოს შევუერთდეთ, მის მთავრობას დავემორჩილოთ და მთავრობის მიერ გამოგზავნილი პირები მივიღოთ. ლატალელები მადლობელი ვართ თქვენი იმისათვის, რომ ჩვენთან თქვენ ერთადერთი მოხვედით. რადგანაც ეხლა ვერავინ ვერ იტყვის და გვისაყვედურებს, თითქოს ჩვენ ძალით დაპყრობილი ვიყოთ და ყველას ეცოდინება, რომ ჩვენ საკუთარი სურვილითა და ნებით განვაცხადეთ მთავრობისადმი მორჩილება და არა იძულებით“. И гордо и весело сверкали взоры новых подданных. Этой минуты не позабуду никогда, ამბობს ბართოლომეი აქ მიღებულ შთაბეჭდილებაზე. იმ ღამეს ის ესტუმრა ჩარკვიანებს, ხოლო მეორე დღეს ფიცი მიაღებინა ლატალელებს რუსების ქვეშევრდომობაში შესვლის შესახებ და ფიცის ფურცელზე ხელი მოაწერინა სოფლის 13 ,,მახვშის“ – მამასახლისს [70]).

10 აგვისტოს აქედან გახარებული ბართოლომეი მიდის ლენჯერის თემში, რომელმაც ლატალის მაგალითს წაბაძა და ფიცი მიიღო რუსეთთან შეერთებაზე. ამნაირად 10 აგვისტოს 1853 წ. დამთავრდა იმ ლატალისა და ლენჯერის თემების რუსეთთან ნებაყოფლობით შეერთების აქტი, რომელთაც არც ერთი თავადი და მოხელე ამ საგანზე მოსალაპარაკებლად სიახლოვეს არ მიუკარებიათ და ამიტომაც ამ დღეს სვანეთის მკვლევარნი სვანეთის რესპუბლიკანურ წესწყობილების მოსპობის დღედ სთვლიან.

ლენჯერიდან ბართოლომეი გადავიდა მესტიაში, სადაც ის ესტუმრა დადაში ჯაფარიძეს, რომელმაც უცხო სტუმარი გააოცა როგორც მასპინძლობით, აგრეთვე იმ გარემოებით, რომ ამ უცხო სტუმრის სადილობის დროს სუფრაზე არავის ნება არ მისცა ჩვეულებრივად სიმღერები და ცეკვა-თამაში გაემართათ იმ მიზეზით, რომ რამოდენიმე თვის წინათ მისი შვილის ცოლი, გარდაფხაძის ქალი, ერთ ლეჩხუმელ აზნაურს წაუყვანია ცოლად და ამის გამო მისი ოჯახი ყოფილა დამგლოვიარებული. ბართოლომეი რომ მისი გულის ტკივილების შემსუბუქებას ათასნაირი ნუგეშის ცემით შეუდგა, დადაშიმ ასე უპასუხა თურმე: ,,მთელი სვანეთის

ბუმბერაზი მთები რომ ოქროდ იქცენ და ამ შეურაცყოფის ასანაზღაურებლად მე მომცენ, მაინც ვერ დავკმაყოფილდები, სანამ შურს არ ვიძიებო“.

მესტიიდან ბართოლომეი წავიდა მულახში, სადაც ის ესტუმრა იმ დადაში ქურდიანს, რომელიც თავისუფალ სვანეთის სახელით წარუდგა 1834 წ. ბარონ როზენს და შემდეგ 1853 წ. ვორონცოვს, და ერთ დროს მძევლად მისცა მთავრობას თავის შვილის ნაცვლად იფარში მშობლების სიკვდილის გამო დაობლებული და უპატრონოდ დარჩენილი, მის ნათესავებისაგან დადაშის მიერ ნაყიდი გიორგი გულმანი. რომელიც მღვდელმოქმედების შესწავლის შემდეგ უკან გამოითხოვა და მის მიერ აშენებულ მურშკიერის ეკლესიაში მღვდლად დააყენა. მას, სხვათა შორის, კოლუბიაკინის მიერ ნაჩუქარი ხმალი ბართოლომეის სიტყვით დღე და ღამე ზედ ჰქონდა ჩამოკიდებული. მულახიდან ისე გაემგზავრა ადიშში, შემდეგ ხალხდეში და უშგულში, მაგრამ არსად ის ეკლესიებში არ შეუშვეს. აქედან ბართოლომეი ქუთაისში დაბრუნდა.

ქუთაისის გუბერნატორმა ვორონცოვს მოახსენა: ,,ამ ზაფხულში ჩვენ შეგვიერთდენ ნებაყოფლობით დღემდე დაუმორჩილებელი ლატალისა და ლენჯერის თემები, რომლებიც 360 კომლისაგან შესდგებიან და მცხოვრებთა რაოდენობა 2,000 აღემატებაო. სვანეთის იმ ნაწილის ნებაყოფლობით შეერთება, რომელიც უხსოვარ დროიდან დღემდე არავის მორჩილებაში არ ყოფილა და იარაღით ხელში მუდამ თავის დამოუკიდებლობას იცავდა, ჩვენთვის დიდ მიღწევად და ბედნიერებად ჩაითვლება და ამიტომ ვთხოვთ ეს ამბავი ხელმწიფეს მოახსენოთო“ [71]).

ამავე მოხსენებაში ის სთხოვდა ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობის მიღებისათვის ალ. მიქელაძის დაჯილდოვებას, მღვდელი გ. გულბანის სვანეთში ქრისტიანობის გავრცელებისა და მთავრობის ერთგულებისათვის ერთდროულად 200 მან. დასაჩუქრებას, მოხუც აზნაურ დადაში ქურდიანის მე-3 ხარისხის ანნას ორდენითა და 100 მან. პენსიის დანიშვნით დაჯილდოვებას სვანეთში მთავრობის სასარგებლოდ მოღვაწეობისა და ქრისტიანობის გავრცელებისათვის. ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნა.

ამის შემდეგ იმავე 1853 წ. 24 ივლისს ქუთ. გენ-გუბერნატორმა გაგარინმა წარუდგინა ვორონცოვის მოხსენება, რომელშიც სხვათა შორის სწერდა სვანეთზე: მართალია 1849 წ. თავისუფალმა სვანეთმა წინააღმდეგობა გაუწია ბოქაულ მიქელაძეს, რომელიც ამის შემდეგ გაიქცა სვანეთიდან და თავისი რეზიდენცია ლაშხეთში (ქვემო სვანეთშია) გადაიტანა, რის გამო სვანეთის საბოქაულო გაუქმებულ იქნა, მაგრამ ვინაიდან ამის შემდეგ სვანებმა მორჩილება განაცხადეს და მთავრობის ერთგულების დასამტკიცებლად წარსული წლის ზაფხულში არ მიიღეს მუჰამედ ემინის აგენტები, ხალხის ასაჯანყებლად მათთან გაგზავნილნი, ამიტომ, თუმცაღა, მართალია, იქ ფორმალურ მმართველობის დაარსება ნაადრევად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც სვანებს თავის ველურობისა და ხასიათის სიმტკიცის გამო არ შეუძლიათ დაემორჩილონ რომელიმე მთავრობას და თავისი თვითნებობით შეუძლიათ მთავრობა კვლავ იმ უსიამოვნო მდგომარეობაში ჩააყენონ, როგორც 1849 წ., მაგრამ ხელის აღება ამ ხალხზე და უყურადღებოთ მიტოვება ერთის მხრით უსამართლობა იქნება. რადგანაც თუ ზოგიერთმა სვანმა ბოქაულს წინააღმდეგობა გაუწია, მთელ სვანეთს ამაში მონაწილეობა არ მიუღია, ხოლო მეორე მხრით ეს არ იქნება ჩვენთვის მიზანშეწონილი იმიტომ, რომ სვანებს შეუძლიათ ჩვენ მოწინააღმდეგეებს მიემხრონ და გააძლიერონ ისინი.

ადგილობრივი მთავრობა რომ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდნილიყო და ხაზინა უნაყოფო ხარჯებში, გაგარინს საჭიროდ მიაჩნდა შემდეგი:

1) რომ სვანეთის მმართველი მიქელაძე ყოფილიყო სვანეთის დამცველი ყოველგვარ საქმეში, როგორც სამეგრელოში, ისე ქუთაისის გუბერნიის სხვადასხვა კუთხეებში, რათა უსამართლობას სვანებისადმი ადგილი არსად არ ჰქონოდა.

2) რომ მას ებრძოლა მხოლოდ ზოგიერთი ადგილობრივი ჩვეულების წინააღმდეგ, რომლებიც ამ ხალხს ანადგურებდა ზნეობრივად და ფიზიკურად.

3) რომ ყოველგვარი საქმეები და სადაო საკითხები ეწარმოებინა მხარეების თანხმობით ადგილობრივი ადათებისა და ჩვეულებითი უფლებების მიხედვით, რომლებიც უნდა ჩაწერილიყო ჟურნალში და ყოველ ნახევარი წლის ბოლოს წარდგენოდა ქუთაისის გუბერნატორს.

4) რომ ხელი შეეწყო სვანეთში ქრისტიანობის გავრცელებასა და სკოლების გახსნისათვის საქართვ. ექზარხოსის მიერ შესაფერი მღვდლების გაგზავნით.

5) რომ ხალხისათ გაეკეთებინებინა გზა სვანეთში საჭიროების დროს ჯარების შესაყვანად.

6) რომ სვანეთის მმართველი მიქელაძე სვანეთში ყოფილიყო ზაფხულობით 3 თვით, ხოლო დანარჩენ დროს იმერეთში და გზის ხარჯები მას ჰქონდა წლიურად 100 მან. ხოლო სვანების ქუთაისში ხშირი ჩამოსვლით მთავრობასთან მჭიდროთ დაკავშირება რომ მოეწყო და მიემხრო გავლენიანი კაცები, ამისათვის მას უნდა მიცემოდა 300 მან. წლიურად.

ამნაირად გუბერნატორის მოხსენებით სვანეთზე უნდა დახარჯულიყო ყოველწლიურად 400 მანეთი, ხოლო როცა დარწმუნდებოდენ იმაში, რომ იქ ნაყოფიერი მუშაობის წარმოება შეიძლებოდა, მაშინ უნდა დაარსებულიყო სვანეთის საბოქაულო იმ შტატით, რომელიც დაარსდა 1847 წ. კოლუბიაკინის მიერ და გაუქმდა 1849 წ. ვორონცოვის განკარგულებით მიქელაძისათვის წინააღმდეგობის გაწევის გამო [73]) ვორონცოვმა 15 ოქტომბერს 1853 წ. აცნობა გაგარინს, რომ ზემოხსენებულ მის მოსაზრებებს ის სავსებით ეთანხმებოდა, და თან ავალებდა მათ გატარებას ცხოვრებაში შეუცვლელად [74]). ხოლო გენერალმა რეადემ კავკასიის კომიტეტის წინაშე აღძრა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ სვანეთში ყოფილიყო დაარსებული სვანეთის საბოქაულო ისე, როგორც სამურზაყანოში, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მკვლელობების გარდა ყოველგვარი საქმეები ადგილობრივი ჩვეულებითი უფლებებით ყოფილიყო წარმოებული, და იმ 400 მანეთის გარდა, რომელიც სვანეთის მმართველს მიქელაძეს ეძლეოდა მთავრობასთან დაკავშირების მიზნით სვანების ქუთაისში მოგზაურობის გზის ხარჯებად, მისცემოდა სვანეთს ოთხ სამრევლოს დასაარსებლად 2000 მან. მაგრამ რადგანაც ფინანსთა სამინისტრომ ამაზე უარი განაცხადა, მურავიოვმა მოახდინა განკარგულება, რომ 570 მ. მის ექსტრა-ორდინარულშეთანხმებიდან ყოფილიყო გაცემული სვანეთზე [75]). ამის შემდეგ გენ. ნენუთოვი მოახსენებდა მურავიოვს, რომ ის 570 მანეთი, რომელიც მის თანხებიდან ეძლეოდა სვანეთის ბოქაულის, ოთხი იასაულისა და მღვდლის შესანახავად, არ იყო საკმარისი; რომ სვანებმა მოუხშირეს

ქუთაისში ჩამოსვლას, სადაც მათ არ ყავს ნაცნობები, მეგობრები, ნათესავები და განიცდიან იქ ყოფნის დროს დიდ გაჭირვებას და ამიტომ საჭიროა მათთვის ნივთიერი დახმარების აღმოჩენა, ურომლისოდაც სვანებს შეუძლიათ შესწყვიტონ ქუთაისში ჩამოსვლა და ეს გარემოება მოუსპობს მთავრობას ამ ხალხთან დაახლოვების საშუალებასო და სხვა... ამიტომ ბებუთოვი შუამდგომლობა ამ საჭიროებისათვის სპეციალური თანხების გადადებას, რაც 7 მარტს 1855 წ. მურავიოვის მიერ დაკმაყოფილებული იქნა [76]).

ამის შემდეგ იმავე 1855 წ. 22 მარიამობისთვეს ბებუთოვი მოახსენებდა დოლგორუკოვს, თავისუფალი სვანეთის იფარის თემის მცხოვრებნი თვითნებობას იჩენენო. მათ, სხვათა შორის, დაიჭირეს სადადეშქელიანო სვანეთიდან რაჭაში მიმავალი მღვდლები და სანამდე 300 მან. სახსრად არ მიიღეს, არ გაუშვეს. გარდა ამისა, იმავე წლის ივლისში იფარელებმა მიიღეს თათრის მოლა და მისი ამხანაგები, რომელთა მიზანსაც სვანეთის აჯანყება შეადგენდა და იფარლებიც ამ საქმეში მათ ხელს უწყოდბენ. ვინაიდან სვანეთის მმართველ მიქელაძეს მათ საწინააღმდეგოდ ზომები ვერ მიეღო, ამიტომ ბაგრატიონ მუხრანსკის განკარგულებით სვანეთში გაგზავნილი იქნა რაჭის მაზრის უფროსი მაიორი ვასილიევი 200 კაცით. ეს ვასილიევი რაჭიდან ქვემო სვანეთში გადავიდა და ს. ლუჯიში დაბანაკდა. აქ მასთან გამოცხადდენ თავისუფალ სვანეთიდან კომლის თავზე თითო კაცი.

დამნაშავე იფარლები რომ დაეჭირათ, მიქელაძემ ისინი წაიყვანა სოფ. ჟახუნდერში ეკლესიაზე ვითომდა ფიცის ჩამოსართმევად მთავრობის მორჩილებაზე. მაგრამ დაფიცების შემდეგ მიქელაძემ გამოუცხადა მათ, რომ მთავარი დამნაშავენი უნდა დაეჭირა და ქუთაისში წაეყვანა. ამის გაგონებაზე იფარელებმა იარაღზე გაისვეს ხელი. ამოეფარენ ეკლესიის გალავანს და გამოუცხადეს მიქელაძეს – ,,არ დაგნებდებითო“, მაგრამ შეტაკებას ადგილი არ ჰქონია და საქმე მშვიდობიანად დამთავრდა [77]).

1855-1857 წლებში ჩუბეხევისა და ეცერის მთავრებს შორის შურის ძიების ნიადაგზე მომხდარმა სისხლის ღვრამ და ამის გამო სადადეშქელიანო სვანეთში გამეფებულმა ანარქიულმა მდგომარეობამ მთავრობა იძულებული ჰყო 1857 წ. სამხედრო შტაბის უფროსის უსლარის მთავარსარდლობით სვანეთში ჯარი

გაეგზავნა [78]). ჯარი სვანეთისაკენ გაემგზავრა ერთი ნაწილი ყაბარდოდან, მეორე წებელდიდან და მესამე ლეჩხუმიდან. როდესაც უსლარმა ლატფარის მთა გადაიარა და კალის თემში დაბანაკდა, იქ მასთან მივიდა მურზაყან (კონსტანტინე) დადეშქელიანი და განუცხადა, რომ ის მიდის პირდაპირ ქუთაისში გაგარინთან. ამის შემდეგ ჯარის სვანეთში შეყვანას აზრი დაეკარგა და უსლარი უკან დაბრუნდა.

სანამ სვანეთიდან წავიდოდა, უსლარმა გამოარკვია, რომ უშგულის თემს თურმე არავითრი მონაწილეობა არ მიუღია თავისუფალი სვანეთის რუსეთთან შეერთების დროს, განდგომილად და დაუმორჩილებლად ყოფილა და, როდესაც 1853 წ. გიორგი წერეთლის მეცადინეობით 7 სვანის ვორონცოვთან წასვლა მოეწყო, როგორც ზემოდ არის ნათქვამი, ამ დროს უშგულში შემოსულა ციოყ გარდაფხაძე, რომელიც სვანეთში განთქმული იყო თურმე იმით, რომ ,,ისე შორს უვლია, შავი ზღვაც კი დაუნახავსო“ [79]). უშგულში ციოყი ესტუმრა ზემოხსენებულ ყაჩაღს ჯამათა ჭელიძეს, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, შემდეგში ღებში იქმნა მოკლული და სთხოვა მას, ეშოვა ორი უშგულელი, რომლებიც უნდა წაყოლოდენ ნალჩიკში, სადაც იმ დროს იმყოფებოდა კავკასიის მთავარმართებელი. ჯამათას უშოვია ამხანაგები. ციოყი შეპირებია მათ დიდ საჩუქრებს და ყველანი ერთად ნალჩიკში რაჭის გზით გასულან. ნალჩიკიდან მთავარმართებელი პიატიგორსკში წასულიყო და ამიტომ ციოყი თავის ,,დელეგაციით“ იქითკენ გაეშურა. მან ეს სამი უშგულელი მთავარმართებელს წარუდგინა, ვითარცა უშგულის თემის გამოგზავნილნი თვითმპყრობელობის ქვეშევრდომობაში მიღების სათხოვად. მას ძალიან სასიამოვნოდ დარჩა თურმე ეს. მთავარმართებელმა სვანებს დიდი პატივი სცა, აჩუქა თითოს 50 მანეთი და ისე გაისტუმრა თავის ქვეყნისაკენ.

უშგულის გლეხობას რომ ეს ამბავი გაუგია, დიდად აღშფოთებულა და ციოყის მიერ წაყვანილ სამ უშგულელის სასტიკად დასჯა დაუდგენია. ჯამათას და მის ამხანაგებს რომ ეს ამბავი გაუგიათ, ჩუმად შესულან უშგულში, თითო კარგი ნებიერი გათენებამდე თავიანთ სახლებიდან გაუყვანიათ და უშგულის ღვთის მშობლის ეკლესიის კარებისთვის მიუბამსთ. მეორე დღეს ეს რომ ხალხმა შეიტყო, მთელმა უშგულმა ეკლესიის გალავანში მოიყარა თავი. ჯამათა და მისი ამხანაგები წარსდგენ დაჩოქილი

ხალხის წინაშე და სთხოვეს პატიება. რადგანაც მათ ეკლესიის კარებზე ხარები მიაბეს, ამის შემდეგ სვანური ჩვეულება უშგულელებს ნებას არ აძლევდა დამნაშავენი დაესაჯათ და ამიტომ აპატიეს დანაშაული და სამი ხარი იქვე დაკლეს და შესჭამეს. ამნაირად, როგორც ზემოთ არის ნათქვამი, უშგულის ხალხი უსლარის სვანეთში მოსვლამდე ყოფილა დაუმორჩილებელი. ხოლო უშგულის მღვდლის სიმონ გაბიანის ჩაგონებითა და მეცადინეობით უშგულის გლეხობა მაშინ გამოცხადდა უსლართან და მიიღო ფიცი რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შესახებ [81]).

1834 წ. ბარონ როზენის მიერ სვანეთში გაგზავნილმა შახოვსკოიმ რომ სვანეთის მამულების აღწერა და საზღვრების გამიჯვნა მოახდინა, მან სვანეთს ჩამოსჭრა ყოველ მხრიდან დიდი ტერიტორია.

დასავლეთით სადადეშქელიანო სვანეთის საზღვარი, სამეგრელოს მხრით, მანამდე იყო ს. ჯვართან ახლოს აღმოსავლეთით მდებარე ქედი ,,ცხვიმზაგელი“, რომელიც შეიცვალა მდ. ეცით, ტყაბედნიერით და ბოგურჯელით [82]). ჩრდილოეთით სვანეთის საზღვარი იმ დროს იყო ყარაჩას მხრით ,,ლაბგვიარი“, ყაბარდოს მხრით ნაქამუკვარი, თეგენეკის მთა და ჩეგემი, რომლებიც კავკასიონის უმთავრეს ქედით შეიცვალენ. ამას ამტკიცებს ამ ჟამად ჩემ მიერ აღმოჩენილი ფრიად საინტერესო საბუთი. ეს არის მოხსენება ჩუბეხევის ,,მთავრინის“ [83]) დიგორხანისა ბარონ როზენისადმი 1835 წ. 14 ივლისს, რომელშიც ნათქვამია [84]):

,,სვანეთის მამული დღემდის ყოფილა ქუეშე ჩვენსა და არისცა. მათ მამულთა საზღვრავს ჩერქეზებისა მხრიდან მთა თეგენიკი და ყარაჩებისა მხრით არის საზღუარი სადაც დასრულდება ვაკე ალაგი, რომელსაც ეწოდების ,,ლაბგვიარი“ და ეს ლაბგვიარი არის ჩვენი და იმას იქეთ ყარაჩელთა, ხოლო სამეგრელოს მზრივ საზღვრავს ჩვენსა მამულსა მთა, წოდებული ცხვიმზაგელად.

ჩერქეზების მხრივ, რომელნიცა სახლობენ ჩერქეზიდამ, გადასახლებულნი მცხოვრებნი სოფელსა ბახსანასა, იგი ბახსანა არის საკუთარი ჩუენი. ამის გამო რომელ იქ მცხოვრებნი, რომლებიც დღესა სცხოვრობენ, ადრე სახლებულან ჩერქეზის სოფელს ზანგისსა, და იქიდამ გადმოსახლებულან იმ სოფლის ნახევარი ხალხი თავიანთ მამულს სოფელს ნაქამუკვარსა და ნაქამუკვრიდან

არ არის დიდი ხანი რომელ თათარყანის მამას ციოყს გადმოუსახლებია ჩვენს საკუთარს სოფელს ბახსანასა თხოვნითა მათის მეუფროსის ისმაილ ვერსპილოვისა და რომელისაცა შვილი მირზაყულა დღეს არ ცოცხალი და სცხოვრობს მას ჩვენს სოფელს ბახსანასა, და რომელი ჩუენი გლეხნი სახლებულან მას ბახსანაში ისენი ზოგნი ამოუწყვეტია ჭირსა და დანარჩომნი გადმოუსახლებია მთავარსა ციოყს სოფელსა ღეშტერსა და ლაშხრაშსა, რომელნიც გვემსახურებიან ჩვენ ბატონყმურის წესითა, ხოლო მთავრისა ციოყისა მიერ ეს ვითარი ბახსანას მათი დასახლება ყოფილა მისდა შესამატ პირუცვლი ამისთვის რომ იქ იმათის მოსახლეობით დაიცუავდა იმ მხარეს გარეულთა მტერთაგან ჩუმათ შემოსულისათვის მამულსა თვისაა და მეორედ იმისთვის, რომ იგინი ისე გვემსახურებოდენ ჩუენ ვითარცა საკუთარი ყმანი, როგორც საბალახოსა მოცემითა, აგრეთვე სხუათა სამსახურითაცა, რასაც უბრძანებდით ჩუენ დღემდის.

მეორე. ყარაჩელნი როდესაც მოიხმარებდენ მამულსა და ანუ სხვისა პირუტყვისა საძოვნელად გვაძლევდენ თვინიერ ყოვლისა უარის ყოფისა შესახვედრსა საბალახოსა, რაიცა შეხუდებოდათ ჩვეულების მიერ.

მესამე. სამეგრელოს მხრიდამ ოდეს გარდმოვლენ იქაურნი მცხოვრებნი ხსენებულსა მთასა ცხვიმზაგალასა მაშვინ იმათ ვართმევთ პირუტყვსა თვის საბალახოსა და სხუა რაც სამსახურსა. ამა საზღვრებსა იქეთ მდებარეობს სოფელი ჯვარი რომელიც არის და ეკუთვნის თავად დადიანს კაციასა და ვამეყსა და ნიკოსა და ნათესავთა მათთა; წარსულთა უწინარეს იმასა წლებისა სიცოცხლისა დროსა ქმრისა ჩემისა სვანეთის მთავრისა მოსოსტრისა და მურზაყანისა [85]) ერთხელ გადმოსულიყო ამა საზღვარსა გარდაცვალებული გიორგი დადიანი ცოლით და შვილებით და გაეკეთებინა კოშკი და დამდგარიყო მუნ, თვინიერ დაკითხვისა ჩუენისა და ოდეს ჰსცნეს ქმარმან ჩემან მოსოსტრმა და მურზაყანმან იმავე დროს განდევნეს იქიდამ და დაუქციეს კოშკი იგი, რომელსაც არა უარს ყოფენ შვილნი მის გიორგი დადიანისანი კაცია და ვამეყი, რომელნიცა ამ ჟამად ისინიცა იყუნეს იქ თავისი ცოლებით და შიდ რაოდენსამე წლისა თხოვნითა მათ დადიანთა, რადგანაც არს მამული იგი საჭირო მათის სოფლისა ჯვარისათვის, მივეცით ნება რათა იხმარონ მათ და მისთვის გვაძლევენ ჩუენ

პირუტყვსა თვისა საბალახოსა და თაფლსა რადგანაც იმ ჩვენ ხმელში კეთილობს დიდათ ფუტკარი, და რაოდენიცა გამოვა თფლი მას სრულებით წამოვიღებთ ჩუენ და სანთელს წაიღებენ ისენი და რაიცა შეხუდების სოფელსა ჯუარსა, რომელიცა არს მთის ცხვიმზაგელისა იქით იგი ზემოთქმისამებრ ეკუთვნით მათ დადიანთა თუმცა გვყვანან იქ ყმანნი ჩუენნი, გარნა ისენი არიან ზოგნი ნასყიდნი, ზოგნი ნაშოვარნი და უმეტესი ნაწილი მოცემულ არს სამეგრელოს ყოფილ მთავრის გარდაცვალებულის გრიგ. დადიანისაგან იმ მიზეზისა გამო რომელ ოდეს მოადგა ჯარით უკანასკნელი მეფე იმერეთისა სოლომონ გრიგოლ დადიანსა და შეავიწროა იმ ჟამად ეთხოვნა შეწევნა მაშვინ მყოფის სვანეთის მთავრის თენგიზისათვის, რომელიც იყო მამა ქმარისა ჩემისა მოსოსტრისა და მურზაყანისა და შემწეობისა მიცემისა ჟამს, რადგანაც დახოცოდა მას ომში კაცნი ამისათვის გრიგოლ დადიანს მიეცა რამოდენიმე კომლი გლეხნი სოფელსა ჯვარსა, რომელნიცა გვყვანან დღესაცა და მაშვინდელისა გარემოებისა თვალით მნახველი არს მათი უგანათლებულესობა საქართველოს მეფის გიორგის ასული ნინა დედა აწინდელისა მთავრის ლეონ დადიანისა, რომელიც ჰსცხოვრობს პეტერბურგსა.

მეოთხე. წარსულსა წელსა მოვიდა რა სვანეთში კაპიტანი კნიაზი შახოვსკოი იმავე დროს იწყო წერად სვანეთის მამულებისა და ყოვლისა მხრიდამ არა თუ შეავიწროვა საზღვარნი ჩუენნი, არამედ თვისისა აზრითა მისცა მამულნი ჩუენნი სხუათა და ისე ვითარ მისი მოქმედება არ უწყი თუ ვისგან ქონდა მონდობილი, და როგორც მე უწყ ესე არა ექნებოდა მას თქუენგან ბრძანებული, რათა მოგვაკლოს საკუთარსა ჩუენსა მამულს, რომელნიც გვქონია ჩუენ დღემდის და ამასთანავე მისცა ბრძანება როგფორც ყარაჩელთა აგრეთვე ბახსანას მცხოვრებელთაცა რათა დღეის იქით არღარა გვაძლევდენ ჩუენ იგინი მამულისა ჩუენისა შამოსავალსა, რომლითაცა გვისარგებლნია და არს ჩვენი სამკვიდრო და მამულიცა იგი დასწერა მათზედ საკუთრობისა თვისა ვითამცა იყოს მათი, მაშინ როდესაც ბახსანისა მცხოვრებნი არიან ჩუენგან დასახლებული და იქ მსახლობელნი ჩუენნი გლეხნი დღეს ცხოვრობენ ღეშტერსა და ლაშხრაშსა, რომელთაცა ყოველმან მეკომურმან იციან თავ-თავისი ნამოსახლარნი, სახლნი და საკუთარნი მამულნი სოფელსა ბახსანასა, და თუნდაცა კიდეცა ის

მამული არ ყოფილიყო ჩუენი მაშინაც არ იყო დრო, რათა გამოეცხადებინა ეს ვითარ უმეცართა და ახალთა ხალხთა შორის.

მეხუთე. ოდეს ჩავაგონეთ ჩვენთა საკუთართა ყმათა და მოვიყვანეთ იგენი წესსა ზედან ქრისტიანობისა ესე აღუჩნდა მას უსიამოვნოთ, რადგანაც ვქმენით დაუკითხავად მისსა და გამოგვიცხადა, რომელ ესე ვითარ არ უნდა გვექნა თვინიერ მისისა და დადიანის განკარგულებისა, რადგანაც არსო სვანეთის საქმე დადიანსა და ჩემზედ დამოკიდებული, და იმისათვის მღვდელთაცა აღუთქვა გარდახდევინება და მგონია არცა დააგდებდა შეუსმენელად რომელთაცა არ რა უჯერო უქმნიათ თვინიერ ხალხის დანათვლისა და მღვდელნიცა იგი გამოყვანილ იქმნენ ჩუენიდამ იმა მიზეზისათვის არცა დააფიცა ხელმწიფის ერთგულებასა ზედა ჩვენგან დიდის ცდით მოყვანილნი თავისუფალი სვანეთიდამ ორმოცნი პირველნი კაცნი, რომელნიცა წარუდგინა მას ზნიაზ შახოვსკოის შვილმან ჩემმან მაიორმა მიხაილმა (ციოყი) ჩუენს სახლში დასაფიცებლად, მე ჭეშმარიტებისა გულით მოვახსენებ მაღალ აღმატებულებას თქვენსა რომ უკეთ თუ კნიაზ შახოვსკოის დაეფიცებინნა ამ ჟამად იგი ორმოცი კაცნი აღარცა მოკვდებოდა ღვიძლი და ჩემი, რომელიცა მოკვდა თოფით თავისუფალ სვანთაგან ხელმწიფესა ერთგულებისათვის, რადგანაც ქონდა ჩემგან ესე ვითარი ჩაგონებული და იმასაც დაგარწმუნებთ, რომ არათუ თავისუფალი სვანეთი დღემდის იქნებოდა დიდის ხელმწიფის ქვეშევრდომილი და ქრისტიანენი ვითარცა ჩვენ შევიქენით არამედ წებელდიცა მოყვანილი იქნებოდა დამორჩილებისა ქვეშე, რადგანაც შვილსა ჩემსა მიხაილსა ჰქონდა მისთვის ზომიერება მიღებული ვინაიდან ჰყვანდა მას იქაურნი პირველნი მებატონენი ნათესავად და მეგობრად. და არცა დაზოგავდა იგი სიცოცხლესა და ქონებას თვისა სამსახურად ჩვენისათვის თქვენი აღმატებულებისა, გარნა მოკლეთ ვიტყვი: რომელ დიდისა იბკუნებულებისა შინა ახალნი და უმეცარნი ხალხნი პირველი საკუთრისა მამულისა მიღებით და საზღვრებისა შევიწროებით, და მეორედ გამოაცხადებინა ვითარცა საქმე სვანეთისა მინდობილ იყოს დადიანსა ზედან რომელსაც ესე ვითარსა არავინ ისურვებს, რადგანაც დადიანი არს სამეგრელოს მთავარი და არა სვანეთისა და იმ მხარეს როგორც არს ოთხი სამთავრო აფხაზეთისა, მენგრელიისა, გურიისა და სვანეთსა

ჰყვანდა თვის თვისი მთავარ ნირამოდენიმე საუკუნედგან და არა ახალნი მოგონილნი, და სვანეთი ესე არს დასახლებული საქართველოს მეორეისა მეფისა საურმაგისაგან მისანდობელათ საქართველოს მეფეთა სიმაგრისათვის, და არც ოდესმე წოდებულა ერთი მთავარი მეორესა სამთავროსა მთავრად, და უკეთუ ყოფილიყო ესე იგი აღარ იქნებოდა მთავარი არამედ მეფე, და ამა ზემო აღნიშნულთა გარემოებათა დამუსდვეს მე ბრალად და შევირაცხე სვანეთისა ხალხში და მახლობელს მეზობლებში უპატიოთ რადგანაც ვითომ შემდგომათ მოსვლისა ჩემისა თქუენს მაღალ აღმატებულებასთან წაერთვათ მათ სამკვიდრო მამულები და საქმეცა მათი ვითომცდა დამოკიდებულ იქმნა დადიანსა ზედან, და ესე ვითარცა სიძნელესა შინა შესულმა მოგმართე მაღალაღმატებულებას თქვენსა რათა განგიცხადოთ რომელმანცა მოგზაურობაში ვნახე არა მცირედი მწუხარეობა თოვლისა და ცუდს გზებზე სიარულითა უდროოთ. იქნება ცამეტი წელიწადი რომელ ყოველთვის ვცდილობდი რომელ მეპოვნა ღონის ძიება და გზა რათა სვანეთი შემეყვანა ქვეშევრდომილებისა ქვეშე დიდისა რუსეთისა ხელმწიფისა და მოყვანაცა ქრისტიანობისა წესსა ზედან, რომლისა საგანსა ზედა მინახავს დიდი ძალი ჯაფი და უსიამოვნება ვითარც თანხმობისათვის უმეცართა ხალხთაგან აგრეთვე მახლობელ მონათესავეთაგანაც. და ესე ვითარი ჰაზრი ჩემი განსვენებულ იქმნა მთავრობისა თქვენის როგორც ქვეშევრდომობა რუსეთისა ტახტისადმი აგრეთვე მსწრაფლად მოყვანისა ქრისტიანობისა წესსა ზედან ხალხისა ჩვენისა და ამისთვის სულ არ ვიმედოვნებ რომელ უკეთუ არა მივიღებ შესაბამსა ჯილდოსა მაშინცა არ მოვაკლდებით პატივსა ღირსებისა ჩვენისასა, წოდებასა მთავრობისასა და მამულსა ჩუენსა და მაშვინ უმეტეს ოდესცა რომელ თქვენი მაღალაღმატებულება მთავრობს აქაურსა მხარეს და არა სხვა ვინმე უცნობი ჩუენის ერთგულობისა და გულმოდგინებისა და იმისათვის ვითხოვთ ჩვენგან, რათა კეთილი ინებოთ . . . . . გვიბოძოთ წერილი თქუენი ხელის მოწერით ესრეთ რომელ რაიცა დღემდის ყოფილ იყო სამფლობელოსა ქუეშე და გვესარგებლნოს მითი იგი მიგვეღოს და აღწერილობა კნიაზ შახოვსკოისა მოიშალოს, რათა სვანეთისა უმეცარნი ხალხნი გამოვიყვანო ჩემზედ ცუდის იჭვიანობისაგან და დასასრულ მოგვეცეს იმისთანა მღვდელი,

რომელმაც შესძლოს და იცოდეს წერა ქართული და რუსული, როგორც სამღვდელოთ ხალხსა ჩემსა ეგრეთვე სასწავლებლად ყმათა ჩუენთა წერილისა“...

როგორც ვხედავთ ამ საინტერესო საბუთებიდან, შახოვსკოის განკარგულებით მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში სვანეთის საზღვრებზე დიდი ცვლილებები მომხდარა. ცხადია, ამას ვერ შეურიგდებოდენ როგორც დადეშქელიანების სამთავრო, აგრეთვე თავისუფალი სვანეთი, და როდესაც ისინი კანონიერი გზით ვერაფერს გახდენ, გადასწყვიტეს საკუთარი ძალ-ღონით და იარაღით დაეცვათ თავისი საზღვრები. ამიტომ როცა შახოვსკოის განკარგულებით მათ მიერ დაკარგული ადგილებით სარგებლობას განიზრახავდენ ხოლმე მეზობლები, სვანები ეცემოდენ ამ სადაო მთებზე როგორც დადიანის საყმო ქვეყნის, ისე ყარაჩელთა და ყაბარდოელთა მეჯოგეებს და ანადგურებდენ მათ. მაგალითად, ჩუბეხევის მთავრებმა 1848 წ. ამ ნიადაგზე მოკლეს დადიანის ლეჩხუმის მოურავი ბაკა ჩიქოვანი. 1852, 1853 და 1854 წლებში ისენი სისტემატიურად ეცემოდენ სამეგრელოს მეჯოგეებს, რომელთაც ამ სამი წლის განმავლობაში წაართვეს 10,000 ცხვარი, ხოლო შემდეგ წლებში მიჰყავდათ კაცებიც [86]).

ამნაირად შახოვსკოის ,,კეთილმოღვაწეობით“ ჩაეყარა საძირკველი სვანებსა და მის გარშემო მოსახლე მეზობელ ერებს შორის დაუსრულებელ მტრობასა და უბედურებას, და როდესაც 1858 წ. დადიანის განკარგულებით სამეგრელოდან აუარებლი ჯოგები მოიყვანეს ლატალის საზღვარზე მდებარე დაბუერის სადაბო მთაზე, ლატალელები დაეცენ მათ და ჯოგები მეჯოგეებითურთ ლატალში შემორეკეს [87]).

ჩეგემი მულახის საზოგადოებას უხსოვარ დროიდან აძლევდა ყოველწლიურად 12 ვერძს სგიმიერს [88]) საბალახო ადგილების ბაჟად, რომლის მიცემაზეც 1858 წ. მან უარი განაცხადა. ამიტომ მულახი დაეცა ჩეგემის მთებს და წაართვა აუარებელი ჯოგები.

ვინაიდან ადგილობრივმა ადმინისტრაციამ სვანების ასეთ თვითნებობის ასალაგმავად ვერავითარი ზომები ვერ მიიღო, 1858 წ. სვანეთში გაემგზავრა ჯარით ქუთ. გენ. გუბერნატორი გ. ერისთავი, რომელმაც სვანებს ჯოგები ჩამოართვა, მშვიდობიანობა დაამყარა სვანეთში, ერთი როტის ამ ქვეყანაში დატოვებით მთავრობას

ზურგი გაუმაგრა და შეირიგა ჯანსუხის მკვლელები ისლამი, ციოყი და თენგიზი, რომლებიც წარუდგინა უმაღლეს მთავრობას [89]).

1869 წ. სვანეთში წავიდა ქუთ. გუბერნატორი ღრაფი ლევაშოვი, რომელმაც მოაგვარა გლეხებსა და თვად დადეშქელიანებს შორის გამწვავებული ურთიერთობის საკითხი და ბეგარა დაადვა სვანეთს მოსახლის თავზე წელიწადში 1 მ. 30 კ.

1875 წელს ადგილობრივმა ბოქაულმა და თენგიზ დადეშქელიანმა გამოუცხადეს ხალხს მთავრობის განკარგულება თავისუფალ სვანეთში მიწების გაზომვის შესახებ. სვანებმა იფიქრეს მიწების გაზომვა მთავრობას ალბათ მიწებზე ახალი გადასახადების შესაწერად სჭირდებაო. ამ მიზეზების სიყალბეში ადგილობრივმა ხელისუფლებამ ისინი ვერ დაარწმუნა და მოხდა მთელის თავისუფალი სვანეთის ამხედრება მთავრობის წინააღმდეგ და შეიარაღებული გამოსვლა, რასაც შედეგად მოჰყვა 1876 წ. რუსეთის მრავალრიცხოვან მხედრობის ხალდეშელების მიერ ორჯერ გაწყვეტა, სოფელ ხალდეშის აფეთქება დადეშქელიანის შემწეობით, 55 ხალდეშელების ციმბირში გადასახლება, აჯანყების 14 მეთაურის ქუთაისის ციხის რეჟიმის წყალობით ერთი წლის განმავლობაში წუთი სოფლის გამოსალმება [89]) და მრავალი სხვა უბედურებანი.

ამნაირად, როგორც დავინახეთ, ფორმალურად სვანეთის თვითმპყრობელობასთან შეერთება დამთავრდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარის დასაწყისში, ე. ი. საქართველოს დანარჩენ ნაწილების შეერთებიდან ნახევარ საუკუნის შემდეგ. მაგრამ, როგორც ზემოდ არის ნათქვამი, სვანებმა ფაქტიურად ამის შემდეგაც საკუთარი კანონები და ადათები შეინარჩუნეს და ახალი კანონები მათ ცხოვრებაში არსებითად არარას წარმოადგენდენ, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს ერთი რუსი მოგზაური კონევსკი, რომელმაც ინახულა სვანეთი 1886 წ. იგი ამბობს: ,,მართალია, სვანეთი რუსეთის თვითმპყრობელობის ქვეშ იმყოფება, მაგრამ თავისუფალი სულისკვეთება მათში არ ჩამკვდარა და დღემდის, მიუხედავათ იმისა, რომ ბავშვური გულუბრყვილობით პრინციპიალურად თუმცაღა ცნობენ მეფის მთავრობას, მაგრამ მაინც ფრიად ორიგინალურად ეკიდებიან ამ ახალ მთავრობის კანონების ცხოვრებაში გატარების საქმეს, განსაკუთრებით სასამართლოსა და ადმინისტრაციის ჩარევას მათ შინაურ საქმეებში, რომელთა რიცხვში უმთავრესად სისხლის

აღების საქმეები შედის. მკვლელები სასამართლოში გულახდილად მოყვებიან ხოლმე მათ მიერ ჩადენილ დანაშაულობას და სიამოვნებით განაცხადებენ, რომ მომავალშიც ასეთ შემთხვევაში ასევე მოიქცევიან. ან და უწყებების გაგზავნაზე სასამართლოს უპასუხებენ ციხეებში ნათესავებითურთ შესვლით და მათ საწინააღმდეგოთ წასულთა იქიდგან თოფის სროლით მოგერიებით და სხვა“ [90]).

44) Донесение барона Розена.

45) Секретное донесение Гессе гр. Паскевичу Эриванскому от 14 июля 1830 года, № 74.

46) Предписание гр. Паскевича Эриванского ген. М. Гессе от 23 августа, 1830 г., № 790 (См. Акты Закавказ. Археол. Комиссии, т. VII).

47) აქედან წერილს აკლია და ამისთვის მისი სრული შინაარსი ვერ მომყავს.

48) Рапорт Л. Дадиани гр. Паскевичу Эриванскому от 17 сент. 1830 г. №358.

49) Отношение Графа Паскевича Эриванского гр. Чернышеву от 7 января 1831 года, №6.

50) დიგორხანი იყო გარდაფხაძის ქალი, ჩუბეხევის მთავრის ციოყის დედა და ფაქტიური მმართველი თავის შვილის სამთავროსი. როდესაც დავით დადიანმა ციოყის და დარეჯანი მიატოვა, მზითევი არ დაუბრუნა და მეორე მხრით ეცერის მთავარმა თათარხანმა მტრობით შეავიწროვა, 1832 წ. დიგორხანი ზამთარში გადავიდა კავკასიის ქედზე ყაბარდოში, წარუდგა ნალჯიკში მდგომ ყაბარდოს ხაზის ლაშქრის მთავარ სარდალს გენ. გორიხვოსტოვს და განუცხადა მისი შვილის ციოყის რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის სურვილი. ძევლად ჩააბარა ციოყის შვილი ბექირბი. აქედან ის ბ. როზენთან ტფილისში გაემგზავრა და მოაწერა ხელი რუსეთთან შეერთებაზე. მისი თხოვნით როზენმა დააბრუნებია დავით დადიანს მის მიერ დარწმუნებული ცოლის ციოყის დის დარეჯანის მზითევი, ხოლო თვით დარეჯანი ტფილისში გამოიხმეს და მითხოვეს თ. დავით აფხაზს. მთავრობამ მას დაუნიშნა წლიური პენსიის სახით მზითვათ 1.500 მანეთი. 1843 წელს ეცერის მთავარი თათარხანი და მისი შვილები ფახის სასახლეს დაეცენ და ციხეს ცეცხლი წაუკიდეს. დიგორხანი გადმოხტა ციხიდან და ტრაღიკულად სული განუტევა ციხის ძირში.

51) სსაქ. ცენტრ. არქ. სვანეთის საქმეთა შორის ციოყის წერილი 1833 წლის 15 სექტემბრის თარიღით ბარონ როზენისადმი.

52) ქვემო-სვანეთში თ. გარდაფხაძესთან.

53) საქ. ცენტრ. არქ. სვანეთის საქმეები. დიგორხანის წერილი ბარონ როზენისადმი 31 ოქტომბ. 1833 წლის თარიღით.

54) საქ. ცენტრ. არქ. სვანეთის საქმე. მოხსენება ციოყისა 1834 წ. 31 ოქტომბრის თარიღით ბარონ როზენისადმი.

55) Рапорт Шаховского Бар. Розену от 4 сент. 1834 г. № 31; მოხსენება დიგორხანისა 14 ივლისი 1835 წ.

56) Рапорт Шаховского от 4 сент. 1834 г. № 31 Бар. Розену.

57) Рапорт шт.-кап. Шаховского Бар. Розену от 24 сентября 1834 г., № 35.

58) ასლი წერილისა, წარგზავნილისა უფლისა საქართველოს მთავარ მართებლის მიერ თავისუფალ სვანეთის სოფლებისათვის 27 ოქტომბერს 1834 წ. № 6072 (იხ. საქ. ცენტრ. არქ. სვანეთის საქმეთა შორის).

59) ეს სიტყვები ნათლად გვიმტკიცებენ, რომ მას შემდეგ, რაც მოხსენებულმა აზნაურმა სვანეთის ხალხის სახელით მეფის მთავრობასთან კავშირი დაიკავეს, გლეხებსა და მათ შორის დიდი განხეთქილება ჩამოვარდნილა.

60) Рапорт шт.-кап. Кн. Шаховского к Бар. Розену от 24 сентября 1834 г. № 41. (см. акты арх. Комисии. т. VIII, стр. 467).

61) Доклад по 3 отд. Генеральн. Штаба об из'явлении покорности Вольн. Сванами от 6 июля 1843 г. (см. акты арх. Кавк. арх. т IX, гл. V, стр. 743).

62) Отношение кн. Воронсова к Чернышеву от 9 ноября 1847 г. № 1457. (см. акты арх. ком. т. Хб стр. 248).

63) Бартоломеи. Поездка в Вольн. Сванетию. Стр. 206.

65) Акты арх. Кавк. ком. т. XI, стр. 942.

66) იქვე.

67) Доклад Кут. Губ. Гагарина кн. Воронцову от 24 июля 1853 г. № 168 (см. Акты арх. ком. т. XI, стр. 941).

68) Бартоломеи. Поездка в Вольную Сванетию. Запис. Кавк. отд. Имп. Рус. Георг. Обш. Стр. 149, 151.

70) Бартоломеи. იქვე.

71) Бартоломеи. Поездка в Вольн. Сванетию. Зап. Кавк. отд. Ими. Рус. гегр. обш. Стр. 186.

72) Донес. Кн. Воронц. к Чернышеву от 24 февр. 1854 г. № 189. (см. акты арх. комисии, т. X, стр. 260).

73) ბოქაულის ჯამაგირი . . . . . 600 მ.
მისი თანაშემწის . . . . . 250 ,,
თარჯიმანის . . . . . 150 ,,
საქ. მწარმოებლის . . . . . 100 ,,
ორი დარაჯის . . . . . 160 ,,

სულ 1.260,,

74) Донесение Кут. Губ. Гагарина кн. Воронцову от 24 июля 1853 г. № 167; отв. Кн. Воронцова Гагарину от 15-го окт. того же года, № 2838 (см. акты Кавк. арх. Комисий, т. XI, стр. 941, 942).

75) Рапорт Ген. Реада пред. Кавк. комитета от 13 авг. 1853 г. № 773 и отношение Муравьева к мин. Внут. дел от 4 мая 1855 г. № 350 (см. акты Кавк. арх. Ком. т. XI, стр. 942, 943).

76) Доклад Ген. Бебутова кн. Муравьеву от 25 июля 1855 г. (см. акты Кавк. арх. Ком. т. XI, стр. 943, 944)

77) Акты Кавк. арх. Ком. т. XI, стр. 945.

78) 1843 წ. ეცერის მთავრებმა ჩუბეხევის სამთავრო დაიპყრეს, რამაც იმსხვერპლა კონსტანტინეს ბებია დიგორხანი და მისი და; მათ მოუკლეს აგრეთვე 17

კარის კაცი. და ამიტომ 1855 წ. ჩუბეხევის მთავრის ციოყის შვილებმა ისლამმა და თენგიზმა მოკლეს ეცერის მთავარი ჯანსუხი და დაიპყრეს მისი სამფლობელო ქვეყანა.

79) ,,ივერია“. 1888 წ., № 122.

81) სიმონ გაიანი იყო სოფ. შგედის, ლაშხეთის საზ., მცხოვრები და ამიტომ სვანები მას ეძახდენ ,,შგედი ბაპულდს“ - შგედელ მღვდელს. სვანები გაბუძგულსა, ულამაზო და დაბალ მღვდელს რომ დაინახავდენ, დღემდი ეძახიან ,,შგედი ბაპულდს“ - შგედელ მღვდელუკას. წერა-კითხვა სიმონ მღვდელს უსწავლია ცაგერის სობოროში, მღვდლათ კურთხებულა მარტვილში, 1866 წ-დე მღვდლად იყო და მთავრობისაგან 400 მან. ჯამაგირს ღებულობდა, ხოლო შემდეგ პენსია დაენიშნა 130 მ. წელიწადში. უსლართან რომ უშგულელები მიიყვანა, მაშინ იყო 108 წლის მოხუცი. იხ. ,,ივერია“. 1888 წ., № 122.

82) მაშინ დასავლეთის მხრით სვანეთს ჩამოეჭრა 25 ვერსი.

83) ასე უწოდებს საბუთში თავის თავს დიგორხანი.

84) ტექსტი ამ საბუთისა, რომელიც აღმოვაჩინე საქ. განათლების კომისარიატის ცენტრო-არქივში, მომყავს შეუცვლელად.

85) დიგორხანი იყო მოსოსტრის ცოლი, ქმრის სიკვდილის შემდეგ ის ცოლად შეირთო თავისმა მაზლმა, და დის მეხას ქმარმა მურზაყანმა, როგორც ჩანს არქივის საქმეებიდან.

86) Письмо правидельницы Мингрелии кн. Екатерины Дадиани к ген. Бебутову от 20 июня 1855 г. № 3456 (см. акты Кав. арх. Ком., т. XI стр. 944).

87) ჩვენ ვიცით, რომ 1857 წ. სვანეთში უსლარის მთავარსარდლობით დადეშქელიანების საქმეზე ჯარი იყო შეყვანილი და ქუთაისის გუბერნატორის გაგარინის მოკვლის გამო ჩუბეხევის სამთავრო გაუქმდა და სვანეთში მთავრობა უფრო მოღონიერდა. ამიტომ დადიანმა შეურჩია დრო და ცდილობდა სადაო ადგილებით სარგებლობას, რათა შემდეგში მათი ფაქტიური მფლობელობა უზრუნველეყო, მაგრამ იმედი გაუცრუვდა და ლატალელებმა ჯოგების წართმევით უპასუხეს.

88) სგიმერი მდებარეობს კავკასიონის ქედს გადაღმა 20 ვერსის მანძილზე ჩეგემში ანუ თერგის ოლქში და შეადგენდა სვანეთის კუთვნილებას.

89) Отношение Барятинского к Военному министру от 13-го ноября 1858 г., № 71 (см. Акты арх. ком. т. XII, стр. 380).

89) დაწვრილებით ცნობები ამის შესახებ იხილეთ ჩემი წიგნის ,,ძველი და ახალი სვანეთის“ პირველ ნაწილში.

90) Коневский. Любопытные уголки Кавказа. Батумский округ и Сванетия. Стр. 150.

III
ხალხის თვითმმართველობა სვანეთში

შორეულ წარსულში, ტიგრ-ეფრატის მიდამოებიდან ქართველი ხალხის აყრის შემდეგ, ურართუს სახელმწიფოში დამკვიდრებულ სვანებს, როგორც ფიქრობს თანამედროვე მეცნიერება, მე-7 ს. ქრისტეს შობამდე მოუხდათ ამ ქვეყნის მიტოვება. ამის შემდეგ დროთა ბრუნვამა და უკუღმართმა ისტორიულმა პირობებმა აიძულა ეს ხალხი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ გაწეულიყო და კავკასიის უმთავრეს ქედამდე მიეღწია. იმანაც ეს ხალხი მაგრად მიიკრა თავის ამაყსა და მძლავრ მკერდზე. უხვად გადაუშალა მას თავისი კალმით აუწერელი სილამაზით შემკული და ბუნებრივი სიმაგრეებით განთქმული ქვეყანა სამარადისო საცხოვრებლად.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სვანეთის ის ნაწილი, რომელსაც იმ დროს დღევანდელი სვანეთის გარშემო მდებარე ქვეყნებში დაბინავება მოუხდა, ჩაება საქართველოს საერთო ისტორიულ და პოლიტიკურ ვითარების ფერხულში და გაითქვიფა ქართველ ხალხში, ხოლო დღევანდელ სვანეთში დამკვიდრებული ნაწილი მოწყდა ქვეყნიერებას პოლიტიკურად, კულტურულად, ეკონომიურად და ჩვენ დრომდე განაგრძობს არსებობას თითქმის პირველყოფილი სახით, ტრადიციებით და შეიძლება ჩაითვალოს იმ, ოდესღაც, მრავალ-რიცხოვანი ხალხის წარმომადგენელ საცოდავ ერთ მუჭა ჯგუფად, რომელიც მესამე საუკუნეში ქ. წინეთ, ფარნაოზ მეფის დროს, მისი სიძის ქუჯის საერისთაოს შეადგენდა.

ამნაირად თავისი გეოგრაფიული პირობების წყალობით ეს ქვეყანა შემდეგში იქცა საქართველოს წარსული ცხოვრების ნაშთების შემნახველ სალაროდ და საუკეთესო მუზეუმად, სადაც თანამედროვე მკვლევართ შეუძლიათ იპოვონ განვლილი ხანის ყოფა-ცხოვრების საუკეთესო მასალები.

რა თქმა უნდა, ის ხალხი, რომელიც სამხრეთში გამოეყო ანუ დაშორდა ისეთ ერს, რომელიც განთქმული იყო თავისი პოლიტიკური ძლიერებით და საკუთრი კულტურით, როცა მოწყდა ქვეყნიერებას, იმ ფაქტის წინაშე დადგებოდა, რომ შეექმნა საკუთარი ან, უკეთ რომ ვსთქვათ, დამოუკიდებელი ცხოვრების კანონები და მართვა-გამგეობის წესები.

ამიტომ, როგორც ვიცით სტრაბონის ცნობებით, 1 საუკ. (24 წ.) ქრისტეს შემდეგ, და შეიძლება მანამდეც, სვანეთს განაგებდა ხალხის მიერ ამორჩეული უფროსი და საბჭო, რომელიც შესდგებოდა 300 ჩენილისაგან.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, სვანეთს ადათების აღწერის დროს ჩვენ არ გვაქვს არავითარი საფუძველი ვიფიქროთ, რომ სტრაბონის ამგვარი ცნობები სიმართლეს მოკლებული იყოს და ჭეშმარიტებას არ შეადგენდეს. ამიტომ მკვლევარს ადვილად შეუძლია უტყუარი დასკვნის გამოტანა იმის შესახებ, რომ უძველეს დროიდან მე-19 ს-დე სვანეთში დამყარებული ყოფილა დემოკრატიულ საფუძველზე აგებული სახალხო თვითმმართველობა, რასაც სვანეთის ზოგიერთი მკვლევარი ,,რესპუბლიკანურ წესწყობილებასაც" კი უწოდებს [92]). თავის თავს იმ დროს, როგორც ხელნაწერებიდან სჩანს, თვით სვანებიც უწოდებენ: ,,ერთობილ თავისუფალსა და ბედნიერ ხევს, ლომისა და თავისუფალ მოქალაქეებს".

მესტიის ეკლესიაში დღემდის შენახულია დროშის თავი წარწერით, რომელიც ბართოლომეის, ბაქრაძეს, სტოიანოვს და უვაროვას ასე ამოუკითხავთ: ,,Да ублажит Господь соединенную счастливую долину льва, которая по мнению упомянутых лиц служила символом соединения Сванетии с обшественным знаменем республиканского союза страны" [93]) სვანეთის ამ ხალხის თვითმმართველობას იმ დროს ჰქონდა შემდეგი საფეხურები:

1) ,,ქორა მახვშობ" – პატრიარქალური წესწყობილება.

2) ,,თემობ" – გვაროვნული წესწყობილება.

3) ,,სოფლის მახვში" და ,,სოფლობ" – სოფლის უფროსი და სოფლობა.

4) ,,ხევობ" – თემობრივი წესწყობილება.

5) ,,შვანია ხევობ" ანუ ,,სვიმრობ" – სრულიად სვანეთის თემთა საკავშირო ყრილობა.

92) რაფიელ ერისთავი, დ. ბაქრაძე, ბართოლომეი, კოვალევსკი, თავისუფალი სვანი, კონევსკი და სხვები.

93) Бартоломеи. ,,Поездка в Вольную Сванетию", стр. 6, 50. Бакрадзе. ,,Сванетия", стр. 97. Стоянов, стр. 289. Уварова, Сб. Мат. Стр. 152.

,,ქორა მახვში“ ანუ პატრიარქალური წესწყობილება

,,ქორა მახვშის“ სვანები უწოდებენ ოჯახის უფროსს, ბატონს. ვინაიდან სვანეთში ძალიან ეზარებათ გაყოფა, არამც თუ ერთ დედ-მამის შვილებს, არამედ ბიძაშვილებს, მათ შვილი-შვილებს და შთამომავლობასაც, ამიტომ სვანნური ოჯახი ხშირად შესდგება დღესაც 40-50 წევრისაგან. რა თქმა უნდა, იქ, სადაც ხალხის ყოფა-ცხოვრება იარაღზე და ფიზიკურ ძალაზეა დამყარებული, არ არის მიზან-შეწონილი ძალების დაქსაქსვა, არამედ საჭიროა შეჯგუფება და შეკავშირება არა მარტო ერთი ოჯახის წევრებისა, არამედ მთელი გვარეულობისაც. ამიტომ როცა რაიმე გარემოებით გაყოფა უხდებათ, ეს გარემოება დღესაც დიდ მწუხარებას და ცხარე ცრემლებს იწვევს გასაყოფ ოჯახში და მის ნათესაობაში. სვანების შეხედულებით ოჯახის წევრების გაყოფას სჯობია ოჯახის ერთი წევრის სიკვდილი და ხშირად გაიგონებთ მათგან: ლითალს აშხვმი დაგრა ხოჩა ქორისგაო – გაყოფას ოჯახის წევრის სიკვდილი სჯობია ოჯახისათვისო.

იქნებოდა სვანის ოჯახი მრავალრიცხოვანი თუ მცირე, სულ ერთია მას აუცილებლად უნდა ჰყოლოდა და დღესაც ჰყავს ,,ქორა მახვში“ – ოჯახის უფროსი. ოჯახის უფროსობა სვანური ჩვეულებით დღემდი ეკუთვნის ოჯახში ხნით ყველაზე უფროსს, მაგრამ თუ ის საუფროსოდ შესაფერი არ არის, ,,მახვშობა“ ანუ უფროსობა მის შემდეგ ხნით უფროსს ძმაზე ან შვილზე გადადის.

,,ქორა მახვში“ იყო და არის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი თავისი ოჯახისა. ის განაგებს თავისი ოჯახის ყოფა ცხოვრებას და ყველა მას ემორჩილება.

წინად მახვშის ასახელებდა ომში წამსვლელთ თავის ოჯახიდან, იგი აგრეთვე თავისი სურვილისამებრ ირჩევს და აგზავნის შურის საძიებლად, თუ ვინმესთან მის ოჯახის რომელიმე წევრს საქმე აქვს, ის აძლევს ,,მოციქულებს“ პასუხს, გარიგების დროს ,,სარჩელს“ - საჩივარს, უნაწილებს ოჯახის წევრებს მუშაობას, არჩევს ფულის მოსაგებად სამუშაოდ წამსვლელ პირებს, ღებულობს მათგან სამუშაოდან დაბრუნებისთანავე სრულ ანგარიშს, იბარებს ამ ფულს და საჭიროების მიხედვით ხარჯავს ოჯახის საკეთილდღეო საქმეებზე და საჭიროებაზე.

ქალის გათხოვების დროს ის სწყვეტს მის მისაცემ საჩუქარს, არჩევს საზვარაკო პირუტყვს და საზოგადოთ მისი განკარგულებით უნდა დაკლულ იქმნეს ყოველგვარი დასაკლავი. ზვარაკს თვითონ სწირავს ღმერთს და სხვ...

ოჯახის თუნდა ყველა წევრს რომ უნდოდეს გაყოფა, მახვშის ნებადაურთველად ეს მაინც შეუძლებელი ხდება, ხოლო თუ ოჯახის წევრთა შორის რაიმე უთანხმოება და უკმაყოფილება ჩამოვარდა, იგი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ მათ შორის ეს მოსპობს და საქმე მორიგებით დააბოლოვოს. მისთვის სავალდებულოა თემის ყრილობაზე დასწრება, განსაკუთრებით მაშინ, როცა რაიმე სერიოზული საზოგადოებრივ მნიშვნელოვანი საქმე წყდება.

ნიშნათ განსაკუთრებული პატივისცემისა, მახვშის ოჯახში ცალკე ჰქონდა და აქვს დღესაც დადგმული ჩუქურთმებით შემკობილი საპატიო სკამი ,,საკარცხული“ [94]), რომელზედაც იშვიათად ვინმე ჯდება მაშინაც კი, როცა ის სადმე სხვაგან იქნება. მახვში იშვიათად უთმობს მას საპატიო სტუმარსაც კი. სადილობისა და ვახშმობის, ანუ ჭამის დროს მას საკუთრათ წინ უდგამენ სამფეხიან მრგვალ სუფრას ,,ფიჩქს“. თუ რამე საკლავი დაიკვლება, ნიშნად მეტი პატივისცემისა, დაკლული ცხოველის თავი – თხვიმ მახვშის აუცილებელ ულუფას შეადგენს. არაყი მისთვის ისხმება განსაკუთრებულ კათხაში – ,,მახვში კათხ“, უფროსის კათხა. თითქმის ყოველ ოჯახში სდგას ორი საკარცხული. ერთი განკუთვნილია, როგორც ზევით არის ნათქვამი, ,,მახვშისათვის“, მეორე მის კანდიდატისათვის, ე. ი. მის შემდეგ საუფროსოსა, ანუ მომავალ სამახვშიოსათვის.

დიდ შეურაცყოფად ითვლება ოჯახისათვის, თუ მახვშის ვინმე გაულანძღავს, განსაკუთრებით ხელისშეხებით. ამას სვანეთში ურჩევნიათ ოჯახის უბრალო წევრის მოკვლა.

გაყოფის დროს მახვშის უდავოთ ეძლევა ,,ნამხოშიერ“, საუფროსოთ, ერთი დღიური ყანა, ხოლო დანარჩენს ყველა ძმები თანასწორად ინაწილებენ.

ოჯახის ,,მახვშის“ – უფროსის პატივისცემა ისე ღრმად არის ხალხის გულში გამჯდარი, რომ თუ მას ოჯახის რომელიმე წევრი აწყენინებს, ის ხალხის თვალში ყოველგვარ პატივისცემას კარგავს და მეზობლები მას უსაყვედურებენ ხოლმე: ,,თხვიმ

ქვინლუმგენალს ქა ხოთრახო“ – თავისი უფროსი პირუტყვებსაც კი ჰყავსთო.

საინტერესო ის არის, რომ სვანეთში უფროსობის თაყვანისმცემლობა ადამიანებიდან პირუტყვებზეც გადადის. მაგალითად ხარი, რომელიც სხვებზე ხნით უფროსი და მეტი ნაშრომია ან ლამაზი, გამორჩეული ჰყავთ ხოლმე სხვებიდან და მას უფრო პატივსა სცემენ, პირველი ბინის მიცემით ბოსლებში და უკეთესი საკვების მიცემით ღრმა სიბერემდე. ხშირად, როცა უხერხდებათ, ასეთი საყვარელი ხარები ჰყავსთ ,,ლაწდავდ“, ე. ი. უმუშევრად და უჯაფოდ. ახალ წელიწადს ასეთი ხარი შემოჰყავთ სახლში ,,მუჭშხი“ – მეკვლედ და სხვა...

94) ამ საკარცხვილს ჩიტაია უწოდებს ,,სვანთა რიტუალურ და სოციალურ ყოფა-ცხოვრების ატრიბუტს“ (ჩიტაია. საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. II, გვ. 109 და 110).

,,თემობ“ - გვაროვნული წესწყობილება

,,თემს“ სვანები უწოდებენ არა საზოგადოებას, როგორც სხვა ქვეყნებში, არამედ ერთ რომელიმე გვარეულობას, ხოლო ,,თემობა“-ს ამ გვარეულობის კავშირს. საჭიროების დროს გვარეულობის თვითეული ოჯახის უფროსები იყრიან თავს ერთ ადგილას ურთიერთ შორის მტკიცე კავშირის დასამყარებლად. ირჩევენ თავიანთ შორის უფროსად ვინც მათ გვარეულობაში ყველას სჯობია ვაჟკაცობით, ჭკუით, გამოცდილებით, პატიოსნებით და რომელსაც ხშირად ეკითხება მთელი გვარეულობის საქმეებზე პასუხი.

ამ საგვარეულო ყრილობას გამოაქვს დადგენილება, რომ ჭირში და ლხინში იყვნენ განუყრელნი: ,,აშხვ ფაუს ოხგუდირდეხ“ ერთ ჯოხს მოკიდონ ყველამ ხელი. რომელიმე მათგანის მტერთან ყველანი მტრულად იყვნენ, მოყვერსთან და ნათესავთან ერთგულად და მოყვრულად.

სისხლის აღება ყველასათვის სავალდებულოა და, საჭიროება თუ მოითხოვს, მათ გვარში სისხლის ამღებ პირს უნდა გაყვეს ოჯახიდან თითო კაცი ანუ ვისაც ის არჩევს. თუ რომელიმე გვარი, რომელიმე მათგანს ,,ახბეკი“ – მტრობას დაუწყებს, ყველამ

მფარველობა და ქომაგობა უნდა გაუწიონ მას და მტერს არ დააჩაგვრინონ. თუ რომელიმე მათგანს ვინმე სხვა გვარის კაცი შემოაკვდა, უნდა დაეხმარონ მას როგორც ფიზიკურად, აგრეთვე ,,წორის“ სისხლის ფასის მიცემის დროს ნივთიერად და ,,ნამხუბიერ“ - საძმოს [95]) გადახდით; თუ ვინმე მათ გვარში გარდაიცვლება, შესაწევი უნდა მიუტანონ პურით, არაყით ან ფულით და სხვა. არჩევენ თავიანთ შორის რამოდენიმე კაცს, რომელთაც ევალებათ გვარეულობაში სადავო საქმეების გარჩევა, უკმაყოფილო პირების ერთმანეთთან შერიგება, გამოტანილ დადგენილების ცხოვრებაში განხორციელება და სისრულეში მოყვანა. თუ ვინმე ამ დადგენილებას უარს ყოფს და არ შეასრულებს, იმას გვარეულობიდან გააძევებენ. ამ პირობას რომ მეტი სიმაგრე ჰქონდეს, ფიცს სდებენ, რათა პირნათლათ შეასრულონ ყოველივე. ტყვილად კი არ ამბობს ლობანოვ როსტოვსკი: ,,Внутри общества каждое родство иногда каждый дом живет независимо, то воюя, то мирясь с соседними домами [96])“.

ასეთ საგვარეულო წეს-წყობილების დასახასიათებლად, სხვათა შორის, მოვიყვან ერთ ძველ წერილობითი საბუთს, რომელიც ჩვენ დრომდე დაცულია მესტიის მე-10 ს. სახარებაზე შემდეგი სახით: ,,ქ. ესე წიგნი დაგვიწერია: ჩ. ნ. (ჩვენ) ხერეგიანებმან: წმ. გიორგი: შენი: ვართ: აზნაური: ყველასა: მოგვარის: გლეხი: კაცი: მაზე: აზნაური: კაცი: თუ: შემაკუდეს: სისხლი: ყველას: გარდახდეს: თუ: ხერეგანი: შევაკუდეთ: ყი: (ყველანი) მისი: გლეხმან: კაცმან: თუ: ვინმენმე: მოვკლას: თუ: სისხლი: ვინმემ გაღირსოს ორი ქვაბის [97]) ხხერგიანის გვარის იყოს სხვა მკვდარის თუ ვინმე მოკლათ კომლზე [98]) თვითო ქვაბის (ნახევარი დღიური მიწა) ნახევარი [99]) სახარჯო ერთი ხარი ..... თუ ხერგიანი კაცი ვინმე უბედური გამოჩნდეს ეს წიგნი შეგვიშალოს მისი სახლი დაწოს ყოველმან სეტელმან საქონელი შეჭამოს ხერეგიანებმან“.

სვანეთში დიდი თემების მიერ პატარა თემების საშინელ ჩაგვრას ჰქონდა ადგილი და ამიტომ უკანასკნელნი იძულებული ხდებოდენ რამოდენიმე თემი ერთად შეკავშირებულიყო და საერთო ძალებით ერთმანეთის ინტერესები დაეცვათ. ასეთ შემთხვევის წერილობითი დასასაბუთებლად მოვიყვან ზემოხსენებულ მესტიის მე-10 ს. ერთ წარწერას: ,,წ:. თავარ მოწამე გი (გიორგი) ძლიერი. ესე წიგნი დავწერეთ ჩ-ნ (ჩვენ) ლელჯგრაგა

[100]) ერთმანეთისა ერთგულობასა ზედა ჩვენ რატიანები ვიტყვით და ყველა შენთან მოვკვდებით საშორ [101]) არაფერს ვიტყვით წისა თუ უბედური კაცი გამოჩნდეს ჩხუბი... ქურდობა ავი რამე ქნას იმან ნათესავ [102]) ამოაგდოს მისი სახლი დაწუს საქონელი შეჭამოს ყოველმა კაცმა წ. გიორგი და თემი ამას გაუწყრეს“...

უნდა აღინიშნოს, რომ დღესაც სვანეთში რამოდენიმე გვარეულობა არის ისე მჭიდროდ დაკავშირებული ერთმანეთის ინტერესების დასაცავად. თვით წარწერაში მოხსენებული ,,ლელჯგრაგა“ შესდგება 6 გვარის 40 კომლისაგან და დღემდე ამ წარწერის მიხედვით არიან დაკავშირებული ჭირში და ლხინში.

რევოლუციის შემდეგ სვანეთი კარგა ხანს დარჩა უმთავრობოდ. ამიტომ აქ მაშინათვე იჩინა თავი მოგვარეთა შორის ფიცით მჭიდრო კავშირის დამყარებამ, მტრისათვის შეერთებული ძალებით პასუხის გაცემამ, ძველ ცოდვებზე პასუხის მოთხოვამ და ერთმანეთის დახმარებით შურის ძიების ნიადაგზე სისხლის აღებამ. ასეთ შემთხვევაში ყოველგვარ მუშაობასაც: ხვნა-თესვას, თიბვას, ყანების მომკვას და სხვ... ერთად აწარმოებდენ.

ამ დროს ისინი უწოდებდენ ,,შვანობს“ – სვანობა, ხოლო სვანობას კი იმ დროს ეძახიან, როცა სვანეთში არავითარი მმართველობა არ ყოფილა.

პროფესორი კოვალევსკი ამბობს: ,,Жизнь сванов родами и нераздельными семьями не исключала вполне у сванетов некоторых зачатков государственности [102]).

Одна часть сванетинцев управляется во всякое время кн. Дадешкелиани, другие же народы сванетские Живут свободно, зашишаются и управляются самими собою по множеству фамилий, независимых одна от другой“ [103]).

95) ნამხუბიერი არის გადასახადი, რომელიც უნდა მიეცეს მოკლულის ჭირისუფალს გარიგების დროს მკვლელის სახლიკაცებისაგან.
96) Ломанов-Ростовский. Газ. ,,Кавказ“. 1852 г. № 15.
97) ,,ქვაბის“ ანუ ,,ცხვადიში“ ნიშნავს ნახევარ დღიურ ყანას.
98) კომლზე.
99) შესაწევარი.
100) ლელჯგრაგა – წმ. გიორგის ეკლესიის მცველნი.
101) ცუდს.
102) ნათესავი.
102) Ковалевский. Законы и обычаи на Кавказе, т. I, ст. 13.
103) Секрет. донесение ген. Гессе гр. Паскевичу Эриванскому от 14 июня 1830 г., № 74.

,,სოფლის მახვშიობ“ ანუ ,,სოფლობ“ – სოფლის უფროსობა ანუ სოფლობა

სვანეთში თითქმის თვითეულ სოფელს ჰქონდა თავისი საკუთარი თვითმმართველობა. ყოველ კომლიდან თვითო კაცი იყრიდა ხოლმე თავს დანიშნულ დღეს იმ ადგილას, რომელიც სოფლის მიერ ამ დანიშნულებისათვის იყო სადმე ეკლესიის მახლობლად განკუთვნილი და სახელად ეწოდებოდა ,,სვიფი“.

ამ ერთ სოფლის ყრილობას ჰქვია დღემდის ,,სოფლობ“ - სოფლობა და არა რომელიმე თემის ყველა სოფლების საკავშირო ყრილობას, როგორც ამას გვაუწყებენ პატივცემული რ. ერისთავი და თავისუფალი სვანი. ეს სასოფლო ყრილობა არჩევდა ,,სოფლის მახვშის“, თავ კაცს და მისი თავმჯდომარეობით გამოჰქონდა ყოველგვარი დადგენილებები თავის ცხოვრების მოწესრიგებისა და ურთიერთ შორის მჭიდრო კავშირის დამყარების შესახებ. ერთი სიტყვით, მოკლედ რომ ვთქვათ, სასოფლო ყრილობა შეადგენდა ერთგვარ საკანონმდებლო ორგანოს ამა თუ იმ სოფლისათვის, ხოლო ამ კანონების ცხოვრებაში გატარება ევალებოდა ზემოხსენებულ სასოფლო ყრილობის მიერ ამორჩეულ სოფლის ,,მახვშის“ და ყოველ თემიდან მის დასახმარებლად დანიშნულ თითო კაცს.

,,სოფლის მახვშობა“ და ზემოხსენებული წესები, როგორც სჩანს ბართოლომეის სიტყვებიდან (1853 წ.), არ ყოფილა შეფერხებული და აღნიშნულ წელს, როცა ლატალისა და ლენჯერის თემები რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდენ, ფიცის ფურცელზე ის ხელს აწერინებს ლატალის თემის 13 სოფლის 13 ,,მახვშის“ – უფროსს. ,,При от’езде моем из Латали 13 старшин 13 Латальских селений подписались, т. Е. приложили кресты к присяжному листу [104]).

104) Бартоломеи. Поездка в Вольн. Сванетию, стр. 45.

,,ხევობ“ – თემობრივი წესწყობილება

რამოდენიმე სოფლის კავშირი შეადგენდა ერთ საზოგადოებას, რომელსაც სვანურად ჰქვია ,,ხევ“, მაგალითად მულხა ,,ხევ“, მესტია

,,ხევ“ და სხვა... ხოლო ამ თემის ყრილობას ეძახიან ,,ხევობს“, ,,ლუზრობს“, ,,ლახორს“ ანუ ,,სვიმრობს“..

საჭიროების დროს თემის ,,მახვშის“ – უფროსის განკარგულებით ინიშნებოდა თემის ყრილობა. ეკლესიის დარაჯს, ,,მუსუნყურის“ – საყვირის დამკვრელს, ჰქონდა დაკისრებული ამ დღეს ბუკის დაკვრა. დილას ხალხის სამუშაოდ გასვლამდი [105]) გამოიტანდა ის ეკლესიიდან ამ ,,სანყვირს“ – საყვირს, და დაუკრავდა მას და მით აცნობებდა საზოგადოებას, რომ ყრილობა იყო დანიშნული.

კომლზე თვითო ქუდოსანი – ,,ფაყვა მეგემ“ ვალდებული იყო გამოცხადებულიყო ყრილობაზე. მაგრამ იყო და არის დღესაც ისეთი შემთხვევები, როცა რომელიმე სოფელს გარეშე მტერი მიუხტება და ჯოგებს წაართმევს, ან როცა საზოგადოების საქმეებისათვის იარაღზე ხელის გასმა ,,ფადასობ“ არის საჭირო. მაშინაც დაუკრავენ ხოლმე ბუკს, მაგრამ უფრო ნერვიულად, ამიტომ ასტეხენ სროლას და, ვისაც კი იარაღის ხმარება შეუძლია, ყველა გაეშურება საითკენაც საჭირო არის და მტერს შესაფერის პასუხს აძლევენ. ამას ეძახიან ,,ფასადობს“.

ერთი სიტყვით, ბუკის ხმის გაგონებისთანავე იძულებული იყვნენ კერძო საქმეებისათვის თავი დაენებებინათ, იარაღი გადაეკიდათ და ან ჯგუფ-ჯგუფად წასულიყვნენ დანიშნულ ადგილას ან შეგროვილიყვნენ და სოფლის მახვშიების წინამძღოლობით იმ ადგილას მოეყარათ თავი, რომელიც საზოგადოების მიერ ასეთი სათემო ყრილობების მოსაწვევად იყო განკუთვნილი. ეს ადგილი ჩვეულებრივ თემის შუაში იყო დანიშნული და მას საერთოდ მთელს სვანეთში დღემდე ქვია ,,სვიფ“ ანუ ,,ლალხორალ“, და შეადგენდა მთელი საზოგადოების უძრავსა და ხელუხლებელ კუთვნილებას. სანამ მთელი ხალხი თავს მოიყრიდა, მანამდე საქმეზე სჯა-ბაასი დაუშვებელი იყო და ამიტომ ამ დროს თავს იქცევდენ სხვადასხვა ვარჯიშობით. უმთავრესად ერთობოდნენ: ნიშანში თოფის სროლით [106]), ქვის გასროლით [107]), ჭიდაობით, მძიმე ლოდის აწევით [108]), გადახტომით [109]) და სხვა...

სხვათა შორის ამ ყრილობაზე დასწრების უფლება ქალებსაც ჰქონდათ ყოველთვის მინიჭებული, თუმცა ეს მათთვის სავალდებულო არ იყო და უმეტეს შემთხვევაში ესწრებოდენ მხოლოდ მაშინ, როცა რომელიმე ოჯახში მამაკაცს ქალი სჯობდა

ჭკუით, გავლენით და მასზე უფრო ანგარიშ-გასაწევად ითვლებოდა ხალხის თვალში.

ასეთი სათემო ყრილობა თემის ყოფა-ცხოვრებაში წარმოადგენდა სრულუფლებიან საკანონმდებლო იურიდიულ და პოლიტიკურ უზენაეს ორგანოს, რომელიც საბოლოოდ სწყვეტდა საზოგადოების საქმეებს და თავის მოქმედების ანგარიშში არავის წინაშე პასუხისმგებელი არ იყო.

კოვალევსკი სვანეთის ამ წესწყობილებას ასე ახასიათებს:

,,Жизнь родами и нераздельными семьями не исключала вполне у сванов некоторых зачатков государственности. В княжеской Сванетии представителями ея являлись кн. из рода Дадешкелиани, а в вольной-избираемые народом старшины и народные сходы [110]).

დიახ, მას დიდი უფლებები ჰქონდა მინიჭებული: თავისი ,,მახვშის" თავმჯდომარეობით გამოჰქონდა დადგენილება ერთი მოსახლის ანუ რამოდენიმე კომლის ,,ლიჰყრე" – აყრისა და თემიდან გაძევების შესახებ. მას შეეძლო ცეცხლითა და მახვილით მოსახლის განადგურება, უძრავი და მოძრავი ქონების ჩამორთმევა საზოგადოების ფონდში გადასაცემად, დამნაშავეების სიკვდილით დასჯა და სხვ...

უკანასკნელ ზომას ანუ უმაღლეს სასჯელს საზოგადოების ყრილობა ხმარობდა ისეთ დამნაშავეთა მიმართ, რომელთაც ბრალად ედებოდათ თავისი პირადი სარგებლობისათვის თემის მოღალატეობა – ,,ვერილიქდენი", ე. ი. რომელიმე თავადისათვის ხელის შეწყობა მათ თემში გასაბატონებლად, ვინც სხვა ქვეყნინსა და ტომ-მოდგმის ხალხს სვანეთის სამტროდ მიეხმარებოდა, ვინც ეკლესიას გაუტეხავდა და ხატ-ჯვარს და სხვა საეკლესიო სიმდიდრეს გაიტაცებდა.

გადმოცემით, ასეთ ზომებს მიმართა იფარის თემის გლეხკაცობამ მაშინ, როდესაც გიო გულბანმა განიზრახა გელა ქურდიანის იფარელებზე გაბატონება და ეს უკანასკნელი თავის სახლში დააბინავა.

ხსენებულმა იფარელებმა ეს თავისი თემის მოღალატე შეიპყრეს, წვეტიან ანძაზე ჩამოაცვეს, საშინლად აწამეს და მოკლეს [111]). გიო გულბანს დღემდის იხსენიებენ წყევლა-კრულვით სიმღერაში შემდეგი სიტყვებით:

,,ფისევ ხაბა გიო გულბანს იმვაი გელა ქურდან ბოგრეშთე ანხიდ“ - ფისი დაესხას გიო გულბანს გელა ქურდიანის ბოგრეში მოყვანისათვის.

უშგულში ორმა ძმამ რატიანებმა გასტეხეს უშგულის ღვთის მშობლის ეკლესია. უშგულის გლეხკაცობამ ისინი დაიჭირა და ეკლესიიდან მათ მიერვე გამოტანილი დანებითა და შუბებით გამოფატრა [112]).

იმავე თემში სიკვდილით დასჯა მიესაჯა უშგულის ღვთის მშობლის კალატოზის დამდანის მკვლელს სოლმენიანს, მაგრამ რადგანაც ეს მკვლელიც თვითონ ამ ეკლესიის ამშენებელი კალატოზი იყო, სიკვდილით დასჯა, თანახმად მისი ვედრებისა, შეუცვალეს მით, რომ მას ამ ეკლესიისათვის უნდა შემოევლო გალავანი და აეგო ციხე მის დასაცავად.

ამჟამადაც, რომ ვინმემ თემის ან მთელი სვანეთის საწინააღმდეგო დანაშაულება ჩაიდინოს, სვანები გაიძახიან: ,,ჟი ლეჰყრელი შვანია მოღლატ“ – უნდა აიყაროს ეს სვანეთის მოღალატეო.

რა თქმა უნდა, რამდენადაც მკაცრი ზომები იყო დაკანონებული ასეთ შემთხვევებში, მათ თავიდან აცილებასაც ყველა ცდილობდა და ამიტომ ამისთანა ხასიათის დანაშაულობის ჩადენას იშვიათად ჰქონდა ხოლმე ადგილი. უმეტეს შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ისეთი ხასიათის დანაშაულობის ჩადენას, რომლისთვისაც დამნაშავენი ისჯებოდნენ სახლ-კარის განადგურებით, უძრავ-მოძრავი ქონების ჩამორთმევით და თავის თემიდან გაძევებით.

თემის ყრილობას გამოქონდა დადგენილებები აგრეთვე შემდეგ საკითხებზე:

1) მეზობლებზე, განსაკუთრებით ჩერქეზებზე და ყაბარდოელებზე, ან მარტო საკუთარი ძალებით ან სხვა თემებთან შეთანხმებით თავდასხმის მოხდენის შესახებ.

2) მეზობლებთან ამა თუ იმ ურთიერთობის და განწყობილების დამყარების შესახებ.

3) საჭიროების დროს სხვა თემებთან კავშირის დამყარებაზე და მრავალ სხვა საქმეებზე.

ხევის ანუ თემთ ყრილობაზე გამოტანილი ზოგიერთი დადგენილებების წერილობითი საბუთები დღემდის შენახულან,

სხვათა შორის, მესტიის მე-10 ს. ტყავზე დაწერილი ,,ვეთხთავზე“ – სახარებაზე შემდეგი მინაწერის სახით: 1) ,,ღვთისა:. დედისა:. მამისა:. და ყოველთა:. წთა:. (წმინდათა) მისითა შუამდგომლობითა:. მაცხოვრისა:. მულახისა:. თავსდებობითა:. და შუამდგომლობითა:. მთავარ:. მოწამისა:. სეტისა:... დაგიწერეთ:. წიგნი:. ესე:. მტკიცე:. და:. უქცეველი:. მოგახსენეთ ჩ. ნ:. (ჩვენ). მულახელთა:. თქვენ:. სეტიელთა:. ოდეს:. ჩარქასთა:. ამოგწყვიტათ:. მერე:. თქვენ:. გვიასაბეთ:. მერე:. სამი:. ხარი:. ბეგარა:. გვებოძა:. დღეის იქით:. მტრისა:. მტრობა:. მოყვრისა:. მოყვრობა:. ამა:. პირსა ზედა:. თუ სისხლი:. გვმართებდეს:. ანუ:. სხვა:. უნცროსი:. საქმე:. ამის:. გარდამწყვეტი:. მაცხოვარი:. მულახისა:. ვინც:. შეშალოს:. გინდა მრალისა (შეიძლება იყოს მარილისა) გულისათვის გინდა:. საქონლისა:. გულისათვის:. კრულიმც:. არს:. ჯითა:. კაცი:. იგი:. და სამამოსაგან უკუნისამდე:. აწ კაცთაგან:. მოწამენი:. გოგნა:. იოსელიანი:. ართუთა: ქურდიანი:. და:. მესტიელნი:. გუდულეა:. ჯაფარიძე:. ბედნი:. გოშგოთელიანი:. ხურჯილი:. მარგიანი:. მე:. ქერაბის:. უხოჯელასა:. დამიწერია:. და მოწამეცა:. ვარ:.“ 2) ღვთსა:. დედისა:. და მითა:. ყოველთა:. წთა:. თავსდებობითა:. და:. შუამდგომლობითა:. მაცხოვრისა:. მულახისა:. და:. წმ:. გიორგისა:. სეტისა:... დავსწერეთ:. და:. დავსდევით:. წიგნი:. ესე:. ჩვენ:. ერთმანეთისა:. ნდობითა:. ამა:. პირსა:. ზედა:. რომ:. მტრისა:. მტრობა:. და მოყვრისა:. მოყვრობა:. ერთმანეთს არავინ:. დავანებოთ:. ნურცა:. კარგი:. ნურცა:. ჰავი:. ვინც:. ესე:. დაწერილი:. შეშალოს:. კრულიმც:. არს:. კაცი:. ესე:. ჯითა:. ქესითა:. ნესტორი:. და:. ორიგინემც:. არს:. ნაწილი:. მისი:. ამინ:.“

ეს ორი საბუთი მოგვითხრობს ჩვენ მულახისა და მესტიის თემების ხელშეკრულების დადებას იმის შესახებ, რომ ერთმანეთს ზურგი გაუმაგრონ მტრისაგან თავდაცვის დროს. და როდესაც მულახს ჩერქეზები დასხმიან თავს, მესტიელები მათ დახმარებიან და ამის შემდეგ მტერს ერთად მტრობდენ და მოყვარესაც ერთნაირად მოყვრობდენ.

თემის ყრილობას გამოქონდა დადგენილება აგრეთვე: ა) თუ თემის საერთო მტერს ან ერთი ან რამოდენიმე კაცი მოკლავდა, მისი სისხლის საფასურის ,,წორის“ ურთიერთშორის განაწილების და მთელი თემის მიერ გადახდის შესახებ.

ბ) თუ საერთო საქმეზე მტერს ტყვეთ ჩაუვარდებოდა ხელში თემის ერთ-ერთი წევრი, იმისი ,,სახსრის“ თემის მიერ გადახდის შესახებ.

ამას მოწმობს მესტიის ზემოხსენებულ ,,ვეთხთავზე“ სახარების ფურცლებზე შენახული მინაწერი:

,,წმინდისა:. დედისა:. და:. ყოველთა:. წმინდათა:. მისთა:. თვისდებობითა:. და:. შუამდგომლობითა:. მთავარ:. მოწამისა:. სეტისა:. დავწერეთ:. და დავდევით წიგნი:. და:. ნიშანი:. ესე:. ჩუენ:. სეტიელმან:. ერთმანეთისა:. ნდობითა:. მას ჟამს:. ოდეს:. ქურდანი:. შეგუაკუდა:. მაშინ ამაზე:. დავმაგრდით:. თუ:. რამე:. ზიანი:. დაგვემართოს:. ანუ:. სიკვდილით:. ან სახლის დაწუით:. ან:. საქონლის:. წართმევით:. ამისი:. მოსახარი:. [113]) სეტისა:. ხევი:. ყველა:. იყოს:. თუ:. ვის:. ყანისა:. ან:. სათიბისა:. ნ...ა:. დააკლდეს:. ამ:. საქმით:. იმისი:. საზღავი:. ყველამ:. გარდავიხადოთ:. თუ:. ვინმე:. გამოჩნდეს:. და:. ცრუობა:. გულში:. დაიდოს:. ან:. სიტყვით:. ან:. საქმით:. იმისი:. საწინდარი:. კაჩალა:. [114]) გარდაგვიწყვეტია:. (ბოლოში 27 ჯვარი ასვია.)“.

თემის ანუ ხევის ყრილობის გადაწყვეტილებით რომ საზოგადოება იხდიდა მისი საერთო მტრის მოკვლისათვის ,,წორს“ – სისხლის ფასს, ეს არ არის იმდენად გასაკვირველი, რამდენადაც ის რომ კერძო ინტერესებით ანუ შურის ძიების ნიადაგზე მომხდარ მკვლელობის დროს მთელი საზოგადოება უწევდა ქომაგობას დამნაშავეს და გამოეხმაურებოდა ხოლმე თემის ყრილობის დადგენილებით ამ საქმეს. ამას გვიმტკიცებს ჩვენ შემდეგი ნწერილობითი საბუთი, შენახული მესტიის იმავე მე-10 ს. სახარების ფურცლებზე:

,,ღმერთისა:. და:. სეტისა:. მთავარმოწამისა:. თავსდებობითა:. და:. შუამდგომლობითა:. დაგიწერეთ:. და:. გიბოძეთ:. რაიცა:. საქმე:. საფიცისად:. გარდახდეს:. თქვენივ:. ფიცი:. გინდა:. კარგი:. იყოს:. ყველასა:. ეკადრებოდეს:. სხვისისა:. საქმისა:. ეგრე:. გვიბრძანებია:. როცა:. ერთსა:. მეხევესა:. კაცსა:. მართებს:. სისხლი:. და:. გერში:. სანამსა:. თქვენსაცა:. საქმე ესე:. ასთე:. დაეკლოს ერთობილისა:. ხევისა:.ბრძანებითა:. თქვენი:. თავი:. სამაჯნოთ:. (დასაჩაგრავათ) არ:. ვის:. მივანებოთ:. ვინცა:. მთავარ:. მოწამესა:. ხევის:. მიმაჯნოს:. ჩვენ:. ერთმანეთისა:. არა:. უშველოთ:. მთავარ:. მოწამისაგან:. და:.

ჩვენგან:. გამოსული:. იყოს:. ხევისა:. საპატივო:. იყოს:. კაცი:. იგი:. მე:. დემეტრეს:. დამიწერია:.“

თემის ყრილობას გამოქონდა დადგენილება აგრეთვე იმის შესახებაც, რომ მის ნებადაურთველად უცხო ქვეყანაში მგზავრად არავინ წასულიყო, ,,ჰავი“ სენი სვანეთში სხვა კუთხეებიდან არავის არ შემოეტანა. დამნაშავეს ამ საქმეში სჯიდენ. ამ გარემოების დასამტკიცებლად საჭიროდ მიმაჩნია აქვე მოვათავსო შემდეგი საბუთი, შენახული სეტის სახარებაზე წარწერის სახით:

,,ესე:. დაწერილი:. დავსწერეთ:. სეტისა:. სოფელმან:. მტკიცე:. და:. უქცეველი:. მას:. ჟამს:. ოდეს:. ჩუენ:. უკითხავათ:. (ვინმე) ოსეთს:. წავიდეს:. ორასისა:. თეთრისა:. იმას:. წაუღონ:. (გარდახდეს).

თუ:. ვინ:. ჰავისა:. სენითა:. დასნეულდეს:. იმას:. მეთასისა:. (ათასისა) თეთრისა:. იბარა:. (ჯარიმა) გადავახდევინოთ:. თუ:. რაიმე:. ქმნილა:. თუ:. რაიმე:. სამტერო:. საქმე:. მოჰყვეს:. პირი:. და:. პასუხის:. გამცემი:. სეტისა:. და:. ლაღამის:. [115]) ხევი:. ვართ:. ამასა:. გათავებისა:. თავსდებნი:. დაგვიწერია:. სამება:. სკარაშისა:. და:. მთავარ:. მოწამე:. სეტისა:.“.

არის შენახული ერთი ისეთი საბუთიც, რომელიც მოგვითხრობს, რომ 7 მოსახლე წასულა ოსეთში და რაღაც სნეულება შემოუტანიათ და ბევრი ხალხი დაუწყვეტია. სეტის ხევის თემის ყრილობის დადგენილებით მათთვის ,,იბარი“ (ჯარიმა) გადაუხდევინებია საზოგადოებას. აი ეს საბუთი:

,,თავსდებობითა:. და შუამდგომლობითა:..... მაცხოვარისა:. სკორეშისა:. სეტისა:. მთავარ მოწამისა:. მაცხოვარისა:. ლაღამისა:. დავსწერეთ და დავსდევით:. დაწერილი:. ესე:. ჩუენ:. ერთობილმან:. ხევმან:. ოდეს:. შვიდმან:. მოსახლემან:. სნეულება:. ოსეთით:. მოიღეს:.ამოსწყვიტა:. ქვეყანა:. და გარდავახდევინოთ:. ჰიბარა[116]) როგორც.. დავჯერდით:. და:. ვინც:. ენდურვის:. მისი:. პირი:. პასუხის:. გამცემი:. ჩუენ:. ლაღამელნი:. და სეტისა:. ხევი:. ვართ:. თუ ვინცა ამის:. ჰიბარისა:. შეშალონ:. და:. ვარი:. თქვას:. ეგმოს:. მამა:. ძე:. და:. კრულიმც არს სული და ხორცი:. მისი:. და მას საუკუნესა:. (ბოლოში უსვია 50 ჯვარი).

როდესაც თავის ქვეყანაში ვინმეს არ ემყოფებოდა, ის გაიქცეოდა ხოლმე ერთ რომელიმე მაგარ თემში, შეაბამდა ეკლესიას ხარს და შეახვეწებდა თავს ხევს, რომლის ყრილობის

დადგენილებითაც ის უნდა ყოფილიყო მიღებული თემის მფარველობის ქვეშ. და ასეთი პირიც მტრის დევნისაგან ამ ხნის განმავლობაში სრულიად უზრუნველყოფილი იყო.

ხევის ანუ თემის ყრილობას გამოჰქონდა დადგენილება, რომ: ,,თუ:. ვინმემ:. გარეგანმან:. კაცმან:. ვინმე:. ჩუენთაგანი:. დაგვიჭიროს:. ვისაც:. რითი:. შეგვეძლოს:. მაგიერი:. გადაუხადოთ:.“. [117]).

ხევი სდებდა პირობას, თუ:. ვინმემ:. მთანი:. გაგვიტეხოს:. ანუ:. ჭალანი:. ერთობილი:. პასუხი:. გავსცეთო“ [118]).

ხევის დადგენილებით სათემო ადგილებით ყველას თანასწორათ უნდა ესარგებლა.

ხევის ყრილობა ადგენდა ნიხრს ყველაფერ საგნებზე: პურზე, ქერზე, ცერცვზე, ხარზე, ცხენზე, არაყზე, ღორზე, ცხვარზე, თხაზე, ძროხაზე და სხვა...

ახდევინებდა ქურდებს ნაქურდალში ორმაგ ფასს და ჰიბარს (ჯარიმას); სჯიდა ჯარიმის გადახდევინებით იმ მოსახლეს, რომელიც მშობიარობის შემდეგ ერთ თვეზე ადრე ქალს გარეთ გამოუშვებდა, ხოლო თვიური ავადმყოფობის შემდეგ ერთ კვირაზე ქალს ოჯახში სხვებთან ერთად იყოლებდა; შაბათს, პარასკევს და ზაფხულობით ორშაბათობით მუშაობისათვისაც დამნაშავე იხდიდა ,,ჰიბარს“ – ჯარიმას.

ყრილობას უშუალოდ ემმორჩილებოდა სამღვდელოება და ამიტომ ჩხუბში მონაწილეობის მიღებისათვის ,,ბაპს“ ითხოვდენ თანამდებობიდან და მის ადგილას სხვას აყენებდენ, ხოლო ლოთობისა და მრუშობისათვის ახდევინებდენ ჯარიმას.

ხევი სჯიდა იმ ქალის მშობელს, რომელსაც გათხოვებამდე ვინმესაგან შვილი ეყოლებოდა, ერთი დღიური ყანის გადახდევინებით თემის სასარგებლოდ. გარდა ამისა ასეთ ქალებს აკრძალული ჰქონდათ საეკლესიო დღესასწაულებზე დასწრება და ნაკურთხ მიწაში დამარხვა [119]). ყრილობის დადგენილებით სასტიკად ისჯებოდა, ვინც შემჩნეული იქნებოდა ნათესაობისა და გვარის გატეხაში, ე.ი. ვინც სქესობრივ კავშირს დაიჭერდა და შეიყვარებდა თავის ნათესავს.

თემის ყრილობას გამოჰქონდა დადგენილება აგრეთვე იმათ დასასჯელათ, ვინც თემობას გატეხავდა (უღალატებდა), აზნაური იქნებოდა ის თუ გლეხი, ჩხუბის მოხდენით, ქრთამის აღებით,

ყანებიდან მოღავის მოპარვითა და სხვ., რასაც გვიმტკიცებს შემდეგი საბუთი [120]):

,,ღ-ო:. შეგვიწყალე:. შეგუიბრალე:. დავსწერეთ:. წიგნი:. ესე:. წმ:. გიორგისა:. სეტისა:. თავსდებობითა:. და შუამდგომლობითა:. ლეხთაგსა:. ქართნალსა:. შუა:. წმ:. გიორგის:. აშენება:. არავის:. ახსოვს:.

თუ:. აზნაური:. გასცალოდეს:. თუ:. გლეხს:. უღალატოს:. სახლი:. დაეწუს:. საქონელი:. შეჭამოს:. ყოველმან:. სეტელმან:. ერთობილმან:. ლეხთაგის:. ქართნალს:. შუა:. ელთობ:. იგი:. მისი:. სახლი:. დაეწუს:. ვინც:. ჩხუბი:. ქნას:. კახარაის:. (კახურ) ფშეურს:. (უნდა ნიშნავდეს ღელე ფუშყვერს):. შუა:.

სახლი:. დაწუს:. მისი:. ვინმე:. უბედური:. კაცი:. გამოჩნდეს:. ქალაბანი:. ჩაფულ (ქრთამი) მიიღოს:. ერთი უღელი ხარი:. შეჭამოს:. სეტელმან:. თუ:. ვინმე:.უბედური:. კაცი:. გამოჩნდეს:. ყანასა:. იპარვიდეს:. არ:. ადინოს:. სისხლი:. ფას:. მეტანოს:. ბაჟი:. ერთი:. ცხოარი:. წმ:. გიორგის:. არის:.

სვანეთის თემობრივ წეს-წყობილებაზე თავ. ლობანოვ-როსტოვსკი სწერს: <<Каждое обшество Вольной Сванетии имеет свой независимый политический быт и с прочими не находится ни в потоянных связях, ни в постоянной вражде>>. [121])

ერთი სიტყვით, როგორც გვიმტკიცებენ ზემოთ ჩამოთვლილი საბუთები, თემთა ყრილობების უფლებები იყო განუსაზღვრელი. ამას ადასტურებს აგრეთვე კონევსკი, რომელმაც იმოგზაურა სვანეთში 1886 წ. და სვანეთის ჩვეულებითი უფლებებზე შემდეგი დასწერა:

<<Эти маленькие республики жили и упрявлялись на совершенно демократических началах. В таком состоянии эти 11 республик и обшеств, называюшихся до сих пор Вольной Сванетией, застала на Кавказе водворившаяся здесь Русская власть.

Формальое подчинение Латальских и Ленджерских республиканцев произошло в 1853 г., когда республиканский образ правления в Вольной Сванетии покончил свое сушествование>> [122]).

1853 წ. სვანეთში იმოგზაურა ბართოლომეიმ, რომელიც კალის თემის აღწერაში ამბობს:

<<Для господ географов не лишним считаю заметить, что Кальское общество, совершенно демократическое, не имеет ни

одного дворянина Вообще же в этом демократическом крае дворяне сохранили в некоторых обществах только право обедать по одноиу разу в год у потомков своих бывших крестьян да и в случае кровомшения взыскивать две крови за одного [123]).

105) ასეთ ყრილობებს ხალხი რომ მუშაობას არ მოსცდენოდა, უმეტეს შემთხვევაში იწვევდენ უქმე დღეებით.

106) თოფისასროლ ნიშანს შეადგენდა ,,ლუგრე“ კვერცხი ანუ ,,ლუმშხილ“ ყავარზე ნახშირით დაჩენილი პატარ მგვრალი დაღი, ვინც ამათ შუაში მოარტყამდა, ის სჯობდა ყველას სროლაში.

107) ერთი კაცი აიღებდა ქვას, გამოიქცეოდა შორიდან დანიშნულ ადგილამდი და რაც ძალა და ღონე ქონდა გაისროდა. ვინც ყველაზე შორს გადააგდებდა, მისი მარჯვენა მკლავი ძალით ყველას სჯობდა.

108) ასწევდა ორივე ხელებით დიდ ლოდს და ვინც ყველაზე მაღლა ასწევდა, უფრო წელ-მაგარ და ღონიერ კაცად ითვლებოდა.

109) ერთი კაცი გამოიქცეოდა შორიდან დანიშნულ ადგილამდე, რაც ძალა და ღონე ქონდა ისკუპებდა და ცალი ფეხით გადახტებოდა, ვინც ყველაზე შორს დააბიჯებდა, ის ითვლებოდა ყველაზე უფრო ფეხით მაგარი და ტანით მსუბუქ კაცად.

110) М. Ковалевский. Законы и обычай на Кавказе.

111) Р. Эристов. Заметки о Сванетии, стр. 2.

112) თავისუფალი სვანი. გაზ. ,,ივერია“, 1886 წ.

113) უნდა ნიშნავდეს მოსისხლეს, სისხლის ამღებს.

114) კაჩალა საეკლესიო ყანაა მესტიაში.

115) ლაღამი – მესტიის თემის ერთი სოფელი.

116) ჯარიმა.

117) მესტიის ვეთხთავის (სახარება) 10 საუკუნის მინაწერი.

118) იქვე.

119) Р. Эристов. Заметки о Сванетии, ст. 3.

120) მესტიის მე-10 ს. ვეთხთავი სახარება.

121) Кн. Ломанов-Ростовский. Газ. Кавказ, 1852 г., № 15.

122) Коневский. Любопытные уголки Кавказа, стр. 150, 152.

123) Бартоломеи. Поездка в Вольную Сванетию, стр. 22, 24.

,,შვანია ხევობ“ – სრულიად სვანეთის თემთა საკავშირო ყრილობა

უზენაეს ინსტანციას სვანეთის პოლიტიკურ და იურიდიულ წესწყობილებაში შეადგენდა ,,შვანია ხევობ“ ანუ სრულიად სვანეთის თემთა საკავშირო ყრილობა.

ასეთ ყრილობების მოწვევას ადგილი ჰქონდა მაშინ, როცა რომელიმე თავადი ლამობდა სვანეთის დაპყრობას; როცა გარშე მტერი აწვებოდა სვანეთს; როცა თვითონ სვანეთს უნდოდა სადმე საომრათ წასვლა; როცა სვანეთის საერთო ინტერესები თხოულობდა საერთო კანონების შემუშავებას და გამოცემას; ერთი სიტყვით, როცა სერიოზული პოლიტიკური მოვლენები თხოულობდენ სვანეთის ძალების ერთად დარაზმვას და მჭიდროდ შეკავშირებას.

ამ ყრილობების მოსაწვევად სვანეთს ჰქონდა დანიშნული სამი ადგილი: ლალვერი[124)], ლალხორი[125)] და სიმონი[126)]. დანიშნულ დროს ერთ-ერთ ზემოხსენებულ ადგილას იყრიდენ თავს ან სვანეთის თემების ,,მახვშები“ - მამასახლისები და სოფლების ჩენილები, ან თვითო კაცი ყოველ მეკომურიდან.

ეს ყრილობა რომელიმე თემის ,,მახვშის“ ირჩევდა თავმჯდომარეთ და შემდეგ შეუდგებოდა სვანეთის პოლიტიკურ, სოციალურ და იურიდიული საკითხების განხილვას[127)].

ხშირად ასეთი ყრილობა ასახელებდა აგრეთვე სრულიად სვანეთის ,,ხევის მახვშის“ ანუ მთავარ სარდალს.

საინტერესო ცნობებს ამის შესახებ იძლევა, სხვათა შორის, სვანეთის მესამე ბოქაული (1860 წ.) მამაცოვი, რომელიც ამბობს: ,,До половины 19-в. Сванетия образовала у себя нечто в роде федеративной республики. Во главе этого правления стоял Совет под названием <<Лузроб-или Угврис лашкари>>. Члены этого федеративного Совета выбирались по большинству голосов. Каждое обшество назначало по 24 человека и селение Цвирми (Симон) было местом заседания, куда собирались все члены два раза в год для разбора порученных им дел. Под ведением этого союзного схода находились дела, касаюшиеся всей вообше Сванетии, как напр. об’явление войны соседям, вызов ополчения, назначение главного начальника над ополчением, а равно и сотников и заключение мира.

В случае нужды <<Лузроб>> имел право облагать жителей податями для ведения войны и для других финансовых нужд.... Решение или постановление этого союзного Совета было безапелляционное для всех сванетов, в знак чего и присягали образу <<Шалиани>>. Эти советы не касались внутреннего управления Сванетии, т. К. каждое обшество само заведывало своими делами“ т. д.

სტოიანოვის ცნობებით სვანეთში ყოფილა შენახული ერთი ხელთნაწერი მე-13-14 ს. სვანთა კანონმდებლობის შესახებ, რომელიც წაუღია სვანეთიდან 1870 წელს ზემოხსენებულ მაშინდელ სვანეთის ბოქაულს მამაცოვს[128]).

ასეთი ყრილობის მოწვევას თავისუფალ სვანეთში ადგილი ჰქონდა 1875 წ., როცა მიწების გაზომვის შესახებ მთავრობის განკარგულებამ იჭვი დაბადა სვანების გულში.

მიწის გადასახადების შემოღების შესახებ მულახის თემის და მისი მახვშის ყასბულათის ინიციატივით დანიშნულ დღეს მთელმა სვანეთმა თავი მოიყარა ლალხორში (კალის თემში) და გამოიტანა დადგენილება მეფის მთავრობისათვის ომის გამოცხადების შესახებ, რამაც დიდი უბედურება დაატეხა თავზე როგორც მთავრობას, აგრეთვე თვით სვანეთსაც[129]).

ჩემი აზრით, სწორეთ სვანეთის ზემოთ აღწერილ წეს-წყობილებაზე უნდა ჰქონდეს ლაპარაკი სტრაბონს, რომელიც, როგორც დავინახეთ, სხვათა შორის ამბობს: ,,სვანეთს განაგებს ხალხის მიერ ამორჩეული უფროსი და საბჭო, რომელიც შესდგება 300 ჩენილისაგანო“ და სხვ...

ხოლო რაფიელ ერისთავი და სვანეთის მრავალი სხვა მკვლევარი ამ წეს-წყობილებას უწოდებენ ,,ფედერატიულ რესპუბლიკას“ [130]).

ამნაირად, ჩვენ თამამად შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ უხსოვარ დროიდან დაწყებული მე-19 საუკუნემდე სვანეთი (თავისუფალი) ექვემდებარებოდა ზემოხსენებულ ჩვეულებით უფლებებსა და ადათებს, ხოლო სადადეშქელიანო სვანეთი, მას შემდეგ, რაც იქ მე-15 ს. თავი იჩინეს თავად დადეშქელიანებმა, ამ წეს-წყობილებას დადეშქელიანების მიერ დამონავების წყალობით გამოეთხოვა. ამის შემდეგ და შეიძლება უფრო ადრეც სვანეთს დაერქვა ორი სახელი ,,ჩვაბე ხევი“ – დასავლეთის ხევი და ,,ჟაბე ხევი“ – აღმოსავლეთის ხევი. პირველს ამიერიდან განაგებდენ დადეშქელიანები, ხოლო

მეორემ დაიწყო მათთან საშინელი ბრძოლა, ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის და ქედ-მოუხრელად განაგრძობდა ძველებური წეს-წყობილებით თავისუფალ არსებობას, რასაც პროფესორი კოვალევსკი შემდეგნაირად გვიხასიათებს:

Замечательную черту в быту Волной Сванетии составляет сознание отдельными обшествами необходимости столковываться между собою об обших делах. этой потребности удовлетворяли сходы всего взрослаго его населения, созываемые в одном, из следуюших 3-х мест: в Ушгули, на плошади Жибиани, Цвирми на плошади Симон, и Лалвери-и они носили своего рода федеративное устройство.[131])

სხვათა შორის უნდა აღვნიშნო, რომ კოვალევსკი თავისუფალ სვანეთის ყრილობის მოსაწვევ ადგილად ლალვერს რომ ასახელებს, შეცდომათ უნდა ჩაეთვალოს, რადგანაც ეს ადგილი მდებარეობს სადადეშქელიანო სვანეთში და ამ ქვეყანასთან კი თავისუფალმა სვანეთმა ყოველგვარი კავშირი შესწყვიტა მას შემდეგ, რაც მას დადეშქელიანები დაეპატრონენ.

სვანეთის ზემო აღწერილ ,,ხევობის“ ანუ სრულიად სვანეთის თემთა საკავშირო ყრილობის ფუნქციების საინტერესო ნაშთებათ შეიძლება ჩაითვალოს მესტიის მე-10 საუკუნის სახარების ფურცლებზე მინაწერი საბუთები და საკავშირო ყრილობების კანონები: 1. ,,ხებედნიერო:. სვანეთისაო:. პლ:. მნი:. და ჩვენი:. საქმე:. აგრე:. იყო:. ოდეს:. ზაფხულსა:. შეყრა:. იყო:. ცეცხლისა:. თბობა:. გუმართებდა:. მერე:. უკეთურმან:. კაცმან:. დაგვიჯაბნა:. პური:. გაჭამეთ:. მერე:. უკეთურმან:. რაიცა:. გუება:. და:. ყოუელი:. თქვენთვის:. გინდოდა:. ვერ გაგიძლებდით:. მას:. ყველასა:. ჩვენ::. მას:. ზედა:. ჩვენისა:. სახლისაგან:. შეგვიშალენით:. სხუარა:. პირი:. უქენით:. მერე:. განღელდა:. [133]) ხევი:. ჩენილნი:. კაცნი:. შეიყარა:. მერე:. დაგვამაგრა:. (აქ ჩამოთვლილია სვანეთის ყველა ეკლესიები) ამათ:. ყოველთა:. თავსდებობითა:. და შუამდგომლობითა:. დაგიწერეთ:. და:. გიბოძეთ:. დაწერილი:. ესე:. მტკიცე:. და უცვლელი:. ჩვენ:. ხევმან:. ერთობილმან:. ლალვერსა:. და:. უშგულის:. შუა:. ამა:. პირსა:. ზედა:. შემოდგომისა:. გიორგობისა:. ზაფხულისა:. გიორგობისა:. შუა:. ზარალი:. არა:. მოგაყენოთ:. ერთობიდგან:. ჩენილმან:. რაიცა:. გვიბძანებია:. ჩვენ:. არ გაგიტეხოთ:.

ამ წარწერის შინაარსი ერთობ ბუნდოვანია, ალბათ მისი ავტორის სუსტი კალმის ბრალით, და ამიტომ ბევრს არაფერს იძლევა, მაგრამ მას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ამ დადგენილების გამოტანაში მთელი სვანეთის ხევი – ,,ხევო ბედნიერო სვანეთისაო“ - ღებულობდა მონაწილეობას და ამიტომ ის უნდა იყოს დაწერილი მე- XV-ე საუკუნემდე, რადგანაც ცნობილია, რომ მის შემდეგ სვანეთის ხევი ორად გაიყო ჟაბე და ჩვაბე ხევებათ. მისი შინაარსის მიხედვით სვანეთს რაღაც ,,ცეცხლის თბობა“ ,,მართებია“, მერე თავისი თავი დაჩაგრულად ჩაუთვლია, ,,უკეთურმან კაცმან დაგვიჯაბნაო“ და პური რომ უჭმევიათ მისთვის, გაბატონება მოუნდომებია, ,,მერე რაიცა გვებადა, ყოველი თქვენთვის გვინდოდაო“. ამაზე აღელვებულა – ,,განღელდა“ ხევი, ჩენილ კაცებს თავი შეუყრიათ და ხევი გაუმაგრებიათ და უარი განუცხადებიათ მოთხოვნილების შესრულებაზე.

2. ,,მთავარ:. მოწამისა სეტისა:. დედობითა:. და შუამდგომლობითა:. დავწერეთ:. დავდევით:. დაწერილი:. ესე:. სრულიათ:. სვანეთისა:. ხევისა:. უშგულისა:. და:. ლალვერს:. შუა[134]) სამაგრებელი ესე:. ჩვენ:. ერთობილმან:. ხევმან:.ვარგმან:. და გლეხმან:. უფროსმან:. და:. უმცროსმან:.

უზედაესმან და უქვედაესმან[135]) ყოველმან მტკიცე:. და უქცეველი:. ყოვლისა:. მიზეზისაგან:. უმიზეზო:. რაიცა:. გინდა:. ჟამსა:. შურლებასა:. (3) თვის:. შეუძლებელი:. უთუმც:. და უთუმც:. ამა:. პირსა ზედა:. რაიცა:. სახევს:. უკეთ:. მოუხდებოდეს:. ყველა:. იმასა:. ვიჭირვიდეთ:. ვინც:. არი:. ჩუენ:. შიგა:. წავიდებით:. იყუნეს:. ურთერთ:. რომელმცა:. არ გაგვყუეს:. ათასისა თეთრისა:. გარდავახდევინოთ თუ:. ჩუენი:. მოციქული:. უშგულთ:. და:. კალით:. უდეს:. მიუიდეს:. თუა:. წანაგები:. არა:. შემუგუა:. კაციბს:. ხეუბს:. არა ჩამოერთუს ომი და მოლაშქრე მოვიდეს:. რომელიცა:. ხევი:. ანუ:. სოფელი:. არ:. გაგვუყვეს:. მისითა:. აბჯარითა:. იმა:. ხეუს:. და:. სოფელსა:. მიუხტეთ:. ჩვენ:. ერთობილი:. ხევი:. დღეისა:. იქით:. ვინცა ტეხოს კაცისა სიკვდილითა, ანუ შეპყრობითა, ანუ სახელ:. გატეხითა:. ანუ:. ცხენის:. წაგებითა:. ანუ:. სხვათა:. მტრობითა:. ხეუბა:. გაგვიტეხოს:. გარდავლისა:. და:. ამოწყვეტის:. მეტი:. არა:. ავართვათ:. ამის:. გათავება:. ჩვენ:. ერთობილმა:. ხევმან:. ფიცით:. შემოვფიცეთ:. ერთმანეთსა:. ამა:. საქმესა:. შიგა:.

სამდურავი:. მოხდეს:. იმისი:. პირი:. პასუხის:. გამცემი:. სრულიად:. ხევი:. ვიყოთ:. ერთს:. არავის დავანებოთ“:.

ეს საბუთი საკმაოდ გამაშუქებელია სვანეთის საკავშირო საკანონმდებლო ყრილობის მიერ გამოტანილ დადგენილების ხასიათისა. ძნელია მხოლოდ დანამდვილებით იმის თქმა, თუ რომელ საუკუნეს უნდა ეკუთნოდეს ის. მაგრამ ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ დასავლეთ სვანეთში ანუ ,,ჩვაბე ხევში“ დადეშქელიანების გაბატონების შემდეგ მას კავშირი გაუწყდა ,,ჟაბე ხევთან“ ანუ თავისუფალ სვანეთთან, ხოლო ეს დადგენილება გამოუტანია ,,სრულიად სვანეთის ხევის“ საკავშირო ყრილობას, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ აქაც ჩვენ გვაქვს საქმე მე-15 საუკუნემდე შედგენილ საბუთთან.

3. ღვთისა:. დედისა:. მისისა:. და ყოველთა:. წმინდათა:. მისთან:.თავის:. დედობითა:. და შუამდგომლობითა:. მაცხოვარისა:. მუჟალისა:. თვისდებობითა:. და შუამდგომლობითა:. მაცხოვრისა:. ქურეშისათვის:. და:. შუამდგომლობითა მთავარ:. მოწამისა:. ადიშისათვის თვისდებობითა:. და:. შუამდგომლობითა:. მთავარ მოწამისა:. იფარისა:. თვისდებობითა:. შუამდგომლობითა:. კვირიკესა:. თვისდებობითა შუამდგომლობითა:. დედისა:. ღვთისა:. უშგულისა:. თვისდებობითა და შუამდგომლობითა:. დაუწერეთ:. საგმობი ესე ერთობილმა:. სვანეთის:. ხევმან:. ატკვერსა:. [136]) და ბელას [137]) შვამან:.ყოველმან:. ერთმანეთისა ნდობითა:. ამა პირსა:. ზედა რომელ:. თუ ეკლესია:. ცინ:. გატეხოს:. ანუ:. კაცი:. ვინ შეიპყროს:. ანუ:. ვინ:. მთა:. გატეხოს:. ანუ:. ვინ:. კაცი:. ოსეთს:. გაჰყიდოს:. ანუ:. ვინ სანახშიროთ:. არ:. იყოს:. სახლი:. ვინ:. დასწოს:. (ე. ი. ვისაც სისხლი არ ემართოს და სახლი ისე დაუწვას). ნაძლივი:. მისი:. დაუვარდეს:. თუ:. ეს:. ვინ:. შეშალოს:. კრულიმც:. არს:. სული:. და:. ხორცი:. მისი:. სახლი:. და:. საყოფელი მისი:. სასუმელი:. და საჭუმელი:.ორთავე:. ცხოვრებასა:. როსტანსა:. და ორიგინემც:. არს ნაწილი:. მისი:. ამინ:. თუ:. ვინ:. ხევის:. თავზე:. მთავარ:. მოწამის:. კაცს:. აწყენიოს:. მის:. ქვეყანას:. ნაძლივი:. დაუფასდეს:. ათასისა:. თეთრისა:. ჯარიმა გადაიხადოს:.

ამ მესამე საბუთში ყრილობის მოსაწვევ ადგილათ დასახელებულია აღმოსავლეთით ატკვერი, დასავლეთით ბალი, ე. ი. თავისუფალი სვანეთი. მაშასადამე, ზემოხსენებული დადგენილება გამოუტანია ,,უშგულსა და ბელას შუამან“ მცხოვრებ

ხალხის ყრილობას ანუ თავისუფალ სვანეთს, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ეკუთვნოდეს იმ დროს, როცა ,,შვაბე ხევი“ (ქვედა ხევი) დადეშქელიანების იქ გაბატონების წყალობით მოსწყდა ,,ჟაბე ხევს“ ანუ თავისუფალ სვანეთს.

124) დასავლეთ ანუ ყოფილ სადადეშქელიანო სვანეთში ჩუბეხევის თემშია.

125) ლალხორი - კალის თემის ერთი სოფელია.

126) სიმონი იფარის და მულახის თემებს შორის მდებარე ვაკეა.

127) Р. Эристов. Заметки о Сванетии. Стр. 4; თავისუფალი სვანი, გაზ. ,,ივერია“ 1887 წ.

128) გაზ. კავკაზის 1872 წ. № 121-ში მოთავსებული მამაცოვის ზემოთ აღნიშნული წერილი ამტკიცებს, რომ მას მართლაც ხელთ ჰქონია ეს ხელნაწერი და თავის წერილისთვის გამოუყენებია მისი შინაარსი.

129) იხ. ჩემი წიგნი ,,ძველი და ახალი სვანეთი“, გვ. 93-103.

130) რაფ ერისთავი: ,,Заметки о Сванетии“, გვ. 4.

131) Ковалевский. Зак. и обыч. на Кавказе. т. I.

133) აღელდა.

134) უზედაესმან, ე. ი. ზედა ხევმან ანუ ჟაბე ხევმან (თავისუფალი სვანეთია), უქვედაესმან, ე. ი. ქვედა ხევმან ჩვაბე ხევმან (სადადეშქელიანო სვანეთია).

135) აღმოსავლეთის საზღვრათ ნაჩვენები უშგული თავისუფალი სვანეთის თემია, ხოლო დასავლეთის საზღვრად ნაჩვენები ლალვერი სადადეშქელიანო სვანეთის დასავლეთის ნაწილში მდებარე ადგილია.

136) ატკვერი მდებარეობს უშგულის აღმოსავლეთით.

137) ბელა მდებარეობს ლატალის თემის დასავლეთით და შეადგენს თავისუფალ და სადადეშქელიანო სვანეთის საზღვარს.

,,მახვში“ – თემის უფროსი

სიტყვა მახვში უნდა იყოს წარმოშობილი სვანურ სიტყვა ,,ხოშა“-საგან, რაიცა ნიშნავს დიდს და აგრეთვე ხნოვანობით უფროსს, ხოლო ,,მახვში“ თავ კაცს, უფროსს, ანუ მეუფროსეს, თითქმის ისევ მამასახლისს. რაფ. ერისთავი მას ასე ახასიათებს: У сванетов бывал председателем волостного собрания <<Махвши>>, что то в роде президента республики>>[138]). ხოლო თავისუფალი სვანი მახვშიზე მოგვითხრობს, რომ: ,,სათემო ყრილობის თავმჯდომარის (ე.ი. მახვშის) როლი ბევრად წააგავდა როლს რესპუბლიკის პრეზიდენტისას, რასაკვირველია, ცოტა განსხვავებით“-ო.

ამ ,,მახვშის“ ხალხი ირჩევდა უდავოთ და თუ ის გამოდგებოდა შესაფერისი და თემისთვის მოსაწონი, ღრმა სიბერემდე ამ

თანამდებობას შერჩებოდა ხოლმე, თუ არა და ყოველ ჟამს შეეძლო მისი გამოცვლა სათემო ყრილობას.

კოვალევსკი ამბობს: <<Народное собрание каждого обшества выбирает своего старшину, который, подобно английскому мировому судье, не увольняется, пока его дурное поведение не сделает нужным в глазах народа назначение его преемника>>[139]).

მის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ყველას ჰქონდა მინიჭებული, ვინც მცირეწლოვანი არ იქნებოდა, და ოჯახში რომ 20-30 სული ყოფილიყო ხნით 20 წელზე მეტი, ყველას, როგორც ,,ზურაალს“ – ქალს, ისე კაცს შეეძლო არჩევნებს დასწრებოდა ხმის უფლებით [140]), მაგრამ ქალების რიცხვი ყოველთვის უმნიშვნელო იყო როგორც ამ არჩევნებში, აგრეთვე სხვა სათემო ყრილობებზე, რადგანაც მათთვის ეს სავალდებულო არ იყო და უმეტეს შემთხვევაში ამისთანა დროს ყრილობებს ესწრებოდენ ქალები იმ ოჯახებისა, სადაც მამა-კაცს დედა-კაცი სჯობდა ჭკუით და გავლენით ხალხის თვალში.

ზემოთ მე უკვე აღვნიშნე, რომ სათემო ყრილობის მოსაწვევად განკუთვნილ ადგილს სვანები დღემდე ეძახიან: ,,სვიფს“, ,,ლალხორალს“, ანუ ,,ლანზორალს“.

აი ამ ადგილას იყრიდენ თავს მთელი თემის მცხოვრებნი მახვშის არჩევის დროს. როცა ეკლესიის დარაჯი, ,,მუსუნყური“ – საყვირის დამკვრელი, ,,სანყვირ“ – ბუკს დაუკრავდა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ყველას თავი უნდა მოეყარა, – ყველა თავს ანებებდა მუშაობას, სასწრაფოდ შეუდგებოდენ პირის დაბანას, ტანისამოსის ჩაცმას, გადიკიდებდენ ,,აბჯარს“, თოფ-იარაღს, გაეშურებოდენ დანიშნულ ალაგს და შეუდგებოდენ თავისი ,,მახვშის“ ამორჩევას, რასაც რაფ. ერისთავი და თავისუფალი სვანი სიტყვა სიტყვით ერთნაირად ასე აგვიწერენ: ,,ხალხი რომ თავს მოიყრიდა, მის წინწარმოდგებოდა ,,სამახვშიო“ პირი, რომელიც ხალხს ჯერ კიდევ უწინდელი მახვშის სიცოცხლეში ჰყავდა ნაგულვები. ასე რომ მახვში დიდი ხნით წინასწარ არჩეული იყო და თუ არჩევნების დროს ხალხი თავს იყრიდა, ეს მხოლოდ იმისთვის, რომ საჭირო იყო საჯაროთ ჩაებარებინათ მისთვის ეს თანამდებობა“-ო... ხალხი და მახვში კარგა ხანს ერთმანეთს ღიმილით უყურებდენ, თითქოს ეხლა სინჯავენ და ეცნობიან ერთმანეთსო.

ამ დროს ყრილობიდან გამოვიდოდა რომელიმე ენამეტყველი და იტყოდა შესხმას სამახვშიო პირისას ამნაირად: ,,კარგო აბი ევა ადამუნღო“ – ევა ადამიდან დაწყებული პატივით და ქებით ხსენებულნი არიან შენნი წინაპარნი და ამიერიდან შენც შეიქნები. უცხო არ არის შენი გვარისათვის ამგვარი პატივი და დიდება ხალხისაგან. ეს ასეა და ტყუილი რომ არ მოგახსენოთ, ისეც უნდა ითქვას, რომ დღეს შენ დიდ პატივსა გდებთ. შენ ერთ ჩვენთაგანს გხდით ჩვენს უფროსად და რამდენად დიდია შენთვის ჩვენი შენდამი პატივისცემა, იმდენად ასი ათასჯერ მომატებული უნდა იყოს შენი ჩვენდამი სიყვარული და თავგანწირული ერთგულება. დღეის იქით შენ ჩვენი მამა ხარ და ჩვენ შენი შვილები. შენ იცი და შენმა კაი კაცობამ, თუ როგორ შეასრულებ ამ მოვალეობას, მახვშიობას, რომელიც ჩვენ დღეს ხელთ მოგეცით“ და სხვა.

შემდეგ ორატორი ახსენებს (ჩამოთვლილს) ამ მახვშის უწინდელ სახელოვან მახვშიებს არა თუ მარტო იმ საზოგადოებისას, არამედ მთელი სვანეთისას და ბოლოს სთხოვს ღმერთს, რომ ამ ახალ მახვშის დაემსახურებინოს იგივე სახელი, როგორიც ამ სახელოვან მახვშიებს დაუმსახურებიათ, – იმ მახვშიებს, რომელთა დროს საზოგადოებები კეთილდღეობაში ყოფილან. ,,ბევრს ნეტავის გეტყვიან შენ (ობაი ნატიალს ჯაქვნინეხ სი) – მიუბრუნდება ორატორი ისევ მახვშის – თუ ყოველივე ისე მტკიცედ აღასრულე, როგორც ჩვენი რიგი და წესი მოითხოვსო“. დასასრულს ორატორი ქუდ-მოხდილი დაიჩოქებს და იტყვის: ,,ღმერთო გევედრები და შეგივედრე: თუ ოდესმე სვანეთის ხეობაში მახვშის არჩევა კეთილი და ბედნიერი ყოფილიყოს, მეორედ ამ ჩვენი მახვშის არჩევა კეთილი და ბედნიერი გახადე, ამინ“. ,,ამენ“, ერთობის ხმით შებღავლებს ერი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი.

ამაზედ მახვში ჯერ მადლობას მოახსენებს ხალხს და შემდეგ დაიწყებს ხმა-მაღლა პასუხის გაცემას და სიტყვას დააბოლოვებს ღვთის ვედრებით: ,,დიდება შენდა, კაცისა და ქვეყნის გამჩენო ღმერთო, გეხვეწები და შეისმინე ჩემი ვედრება: ,,ლეჩმა ლექვისგ ამხვი“ სახვედროს მიმახვედრე, შეცდომას ამაცილე (ლაქად ნომა ამფუშდე“); ჭკუა-გონება მომეცი; ყოველ კეთილ საქმეში მწე-მფარველი მეყავ; ,,ქაჯ-ეშმაკი“ ამაშორე; შემაძლებინე ღირსეული სამსახური საზოგადოებისადმი; ნუ ჩამაგდებ მე, ჩემს შვილებს და შვილიშვილებს და მომავალს ,,ივაში ჟი-უკიდა შგვირთეისგა“ –

სამუდამოდ წარუხოცელ სირცხვილში, ძალა და ღონე მომეცი, რომ სიკვდილამდე გავატარო მახვშობა პატიოსნად, საზოგადოების საკეთილდღეოთ, ჩემდა სასახელოდ და შვილის შვილთა სასიქადულოთ“ და სხვა. ამითი თავდება მახვშის არჩევის ცერემონიალი. ხალხი დაიშლება და მახვში, ძალა-ფლებებით შემოსილი, შეუდგება საქმეს[141]).

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ რაფიელ ერისთავს და თავისუფალ სვანს არ უნდა ქონდეს სწორად გაშუქებული მახვშის არჩევნების ზოგიერთი წესები. მაგალითად, ისინი სწერენ, რომ მახვში ხალხს დიდი ხნით ამორჩეული ჰყავდა და თუ თავს იყრიდენ, ეს მხოლოდ იმისთვის, რომ მისთვის ეს თანამდებობა ჩაებარებინათ; ,,ევა ადამუნღო“ – ევა ადამიდან დაწყებული პატივით და ქებით ხსენებულნი არიან შენნი წინაპარნი... და უცხო არ არის შენის გვარისათვის ამგვარი პატივი და დიდება ხალხისაგან (ე. ი. მახვშობა).

ჩვენ ვიცით სარწმუნო წყაროებიდან, რომ მახვში არას დროს წინ და წინ არჩეული არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო სათემო ყრილობის მოწვევამდე, როგორც ისინი ამბობენ. ხალხი სწორედ მის ამოსარჩევად იყრიდა თავს და არასდროს ისეთს ერთსულოვნებას მის არჩევის დროს ადგილი არ ჰქონია, რომ სამახვშიო პირის გარშემო სჯა-ბაასით ხალხი არ დაქანცულიყო და პირდაპირ გამოეყვანათ ის ხალხის წინაშე მახვშის გვირგვინით შემკობილი. ვიმეორებ, რომ ასეთი შემთხვევები იშვიათი იყო, თორემ მაშინ, რასაკვირველია, მისი ამორჩევა ისე მოხდებოდა, როგორც მათ აქვთ აღწერილი: მაგრამ ამ არჩევნების დროს ხშირათ იყო რამოდენიმე პირის კანდიდატურა წამოყენებული და ამიტომ არჩევნებიც მოკლებული იყო იმ ერთსულოვნებას, რომელზედაც ჩვენ მოგვითხრობენ ზემოხსენებული პირები. ვინაიდან ,,მახვში“ უნდა ყოფილიყო ხანში შესული, მაგრამ მამაცობით განთქმული, პატიოსანი, გამოცდილი, მორწმუნე, გონიერი და საზოგადოების ერთგულებით ცნობილი, რასაკვირველია, წამოყენებული კანდიდატების ღირსება-ნაკლულევანებათა აწონ-დაწონვა დიდ დაკვირვებას თხოულობდა და დიდი სჯა-ბაასის შემდეგ ყრილობას გამოჰქონდა დადგენილება ან ერთხმათ რომელიმე მათგანის ამორჩევაზე, ან როცა ყველანი ისინი ერთნაირი თვისებით იყვნენ აღჭურვილნი და ვერაფრით ერთმანეთისაგან ვერ განირჩეოდნენ,

მაშინ ამ საკითხის გადაწყვეტაში თვით ღმერთს დაიხმარებდნენ ხოლმე და მისი ,,შემწეობით“ ახდენდნენ არჩევნებს შემდეგნაირად: გააკეთებდენ ხოლმე ჩხირებისაგან იმდენ კენჭს, რამდენი სამახვშიო პირის კანდიდატურაც იყო წამოყენებული და გარდა იმისა კიდევ ერთს, რომელსაც უწოდებდენ ,,ფუსვნა ჯულაის“ – ღვთის კენჭს. თვითეულ კენჭს ეძლეოდა თავისი ნიშანი და შემდეგ უჩვენებდენ ყველა კენჭებს ყრილობას და გააცნობდენ, რომელი კენჭი რომელ კანდიდატს ეკუთვნოდა და აგრეთვე იმასაც, რომელი იყო ღვთის კენჭი. ამის შემდეგ ხალხი ახმაურდებოდა ერთად და შეევედრებოდა ღმერთს: ,,ღმერთო დიდებულო, ვინც ამ სამახვშიო კანდიდატებში ხალხისთვის უფრო სასარგებლო იყოს და მღვთისათვის სასურველი, იმას შეახვედრე მახვშის კენჭ`იო“. მერე ჩაყრიდენ ყველა კენჭებს ქუდში, ერთი კაცი ამ ქუდს დაიჭერდა ხელში, მეორე მას ხელებს შემოკრავდა დაბლიდან, რათა ეს კენჭები ამოეყარა, მესამე ხელს ჩაუყოფდა ქუდში, ხალხს რომ რაიმე ეჭვი არ მიეტანა მასზე, თვალებს დახუჭავდა და დაიჭერდა კენჭს. ხალხში ამ დროს სიჩუმე ჩამოვარდებოდა, მთელი მისი ყურადღება ქუდისკენ იყო მიქცეული. მაგრამ სანამ ,,ფუსნა ჯულაი“ – ,,ღვთის კენჭი“ არ ამოვიდოდა, მანამდი ვისი კენჭიც არ უნდა მოხვდომოდა ხელში, ამას მნიშვნელობა არა ქონდა. ხოლო როცა ეს კენჭი ამოვიდოდა, მის შემდეგ ვისი კენჭიც ჩაუვარდებოდა ხელში კენჭის ამღებს, ის ითვლებოდა ღვთისთვის სასიამოვნო სამახვშიო, საუფროსო პირად და დიდი მხიარულებით მას ულოცავდენ მახვშობას და ნიშნავდენ ამ თანამდებობაზე.

ისეთ შემთხვევაში, როცა სამახვშიო კანდიდატები ერთმანეთისაგან არაფრით არ განირჩეოდნენ და ერთგვარი თვისებებით და ღირსებით იყვნენ დაჯილდოვებული, არჩევნების ეს წესი ითვლებოდა ყველაზე უფრო მიზანშეწონილად. გარდა ამისა არჩევნების ამ წესს ის მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ ამით არც ერთ მათგანს ხალხის მხრით უპირატესობა არ ეძლეოდა, სამახვშიო კანდიდატების თავმოყვარეობაც ოდნავ არ ილახებოდა, რადგან ეს საკითხი თვით ღმერთის სურვილით სწყდებოდა, ამნაირად თავშივე ისპობოდა პირველობისათვის ბრძოლა, ქიშპობა, შურიანობა და საერთო მდგომარეობის გართულება.

მახვშის არჩევის შემდეგ ხდებოდა სოფლის მახვშების არჩევნები. თვითეულ სოფლის მცხოვრებნი მიდიოდნენ ცალ-

ცალკე ჯგუფებათ, რომელიც ან მათ მიერ სასოფლო ყრილობაზე არჩეულ სოფლის მახვშიებს ტოვებდენ ამ თანამდებობაზე, ან ახლებს ნიშნავდენ. ამნაირად თვითეული სოფლიდან თემის მახვშის ემლეოდა თანამშრომელად ერთი ჩენილი. მათი რიცხვი განისაზღვრებოდა სოფლების რაოდენობის მიხედვით – და მათ ქონდათ დაკისრებული თავის თემის ბედ-იღბალი და მართვა-გამგეობის საქმე. ხშირად ყრილობა მათ აფიცებდა თემის ერთგულებაზე და თითონ ყრილობაც ეფიცებოდა მათ ერთგულებაზე და მორჩილებაზე. მ. კოვალევსკი სამართლიანად აღნიშნავს, რომ: ,,Старшина носил одно название с тем, какое принадлежит доселе старшему во дворе – ,,махвши". Буквально это слово означает старший. Кроме старшины сходы выбирали еще 12 человек выборных… Участие в выборах принимали все совершеннолетние, не только мужчины, но и женщины" [142]).

საინტერესო ის არის, რომ არჩევნების ზემოხსენებული წესი დღემდე არ შეფერხებულა სვანეთში. ამ წესით არჩევნები ხდებოდა ხშირად მის შემდეგაც, როცა მახვშობა მოისპო და მათი ადგილი მთავრობის მიერ დაყენებულმა მამასახლისებმა დაიკავეს. მეფის მთავრობის დამხობის შემდეგაც, როცა დამფუძნებელი კრების არჩევნები მოხდა სვანეთში, მე თვითონ ვიყავი იმის მოწმე, რომ ბევრ საზოგადოებებში განმეორდა სვანური არჩევნების ზემოაღწერილი წესი. ხალხი ამბობდა, ჩვენ არ ვიცით რომელი პარტია სჯობია ჩვენთვის და ვის უნდა მივცეთ კენჭიო. ამიტომ აკეთებდენ იმდენ ,,სვანურ კენჭს", რამდენი პარტიაც ყუთს იდგამდა. მისცემდენ მათ თავ-თავის ნიშნებს, ჩაუყრიდენ თავისებურად ქუდში და შეეხვეწებოდენ ღმერთს: ,,ღმერთო! რომელი პარტიაც ხალხისათვის სჯობდეს, იმ პარტიას შეახვედრე კენჭიო". და მართლაც ღვთის კენჭის – ,,ფუსნა ჯულაის" შემდეგ ვისი კენჭიც ამოვიდოდა, მთელი ხალხიც ერთხმად იმ პარტიას აძლევდა ხმას.

რაც შეეხება ყრილობის სახელით ერთერთი მისი წევრის მახვშისადმი მიმართვას: ,,ევა ადამუნღო" – ევა-ადამიდან დაწყებული პატივით და ქებით ხსენებული არიან შენნი წინაპარნი, უცხო არ არის ,,მახვშიობა" შენი გვარეულობისათვის-ო და სხვა, არც ეს უნდა შეადგენდეს სრულ ჭეშმარიტებას, ვინაიდან ამ სიტყვების მიხედვით ისე გამოდის, თითქო მახვშიობა რომელიმე გვარში

მემკვიდრეობით გადადიოდა, რასაც, რა თქმა უნდა, ადგილი არ უნდა ჰქონოდა, რადგანაც მახვშის თანამდებობაზე ირჩევდენ როგორც გლეხს, ისე უფლებრიივად და სოციალურად მასთან გათანასწორებულ ,,ვარგს“ – აზნაურსაც. და ამ შემთხვევაში ეძლეოდა უპირატესობა არა რომელიმე წოდებას, არამედ მას, ვინც თემში, როგორც არის ზემოდ ნათქვამი, ჭკუით, გონებით, ვაჟკაცობით, სინდისით ყველას ჯობდა და თავის თემის ერთგულობის დიდი ხნის სტაჟი ჰქონდა.

მახვშის არჩევნებისა და საზოგადოდ სვანეთის ჩვეულებითი უფლებების და ადათების აღწერის დროს მე ვსარგებლობ უმთავრესად იმ მოხუც გიორგი მარგიანის ნაამბობით, რომელიც 25 წლის განმავლობაში იყო ყოველივე ამის უშუალო მოწმე და თვალყურის მდევნებელი.

ეს ის გიორგი მარგიანია, რომელიც თავისი წარსულით და მოღვაწეობით კეთილი მოგონების ღირსია და რომლის მამა, მურზა, 1847 წ. მესტიაში ვერაგულად იქნა მოკლული ჯაფარიძეების მიერ, მაშინ როცა ის მიყვებოდა თავის სტუმრებს, საქართველოდან გაგარინის მკვლელ მურზაყან დადეშქელიანთან გამოგზავნილ ორ მღვდელს. ჯაფარიძეებმა განიზრახეს მათი დაპატიმრება, მურზა მათ შეება, მოუვიდათ ჩხუბი, რომლის დროსაც მან მოკლა ერთი ჯაფარიძე, რამდენიმე სასიკვდილოთ დასჭრა, სტუმრები თუმცაღა სიკვდილს გადარჩენ, მაგრამ თვითონ კი ტრაღიკულად გამოეთხოვა წუთისოფელს.

აი ამ ჯაფარიძეების მტრობით შევიწროებული გიორგი თოფით ხელში ციხეში იმყოფებოდა მაშინ, როცა 1847 წ. სვანეთში კოლუბიაკინის მოგზაურობის შემდეგ სვანეთს განაგებდა პირველი ბოქაული ალექსანდრე მიქელაძე, რომლის ამალასაც ზემოხსენებული მახვშიები შეადგენდენ. ამ მიქელაძემ 20 წ. ყრმა გიორგი წაიყვანა ქ. ქუთაისში, მიაბარა იქ გელათის მონასტრის ერთერთ ბერს წერა-კითხვისა და მღვდელ-მოქმედების შესასწავლად. ქუთაისში ყოფნის დროს ის შეიქნა, სხვათა შორის, კონსტანტინე დადეშქელიანის დახვრეტის საკუთარი თვალით მნახველი.

ქუთაისიდან ქართული წერ-კითხვის კარგად მცოდნე, მღვდლად ნაკურთხი, ის ბრუნდება თავის ქვეყანაში, სადაც მთელი სვანეთის ხალხის დიდ სიყვარულს და პატივისცემას იმსახურებს.

ხალხი მას არქმევს ,,ხოშა ბაპს“, დიდ მღვდელს. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ეს იყო სვანეთის წარსულის საუკეთესო მცოდნე და ჩემი შრომის დაწერის დროს მე ვსარგებლობ უმთავრესად მისი ცნობებითა და ნაამბობით და ამიტომ, ვგონებ, ეს ცნობები სავსებით სარწმუნო უნდა იყოს.

138) Р. Эристов. Заметки о Сванетии, стр. 4.

139) Ковалевский. Законы и обычаи на Кавказе, т. I, Стр. 22.

140) თავისუფალი სვანი. გაზ. ,,ივერია“, 1886 წ. №4.

141) თავისუფალი სვან. გაზ. ,,ივერია“, 1886 წ. № 4, Р. Эристов. Заметки о Сванетии. Стр. 4.

142) М. Ковалевский. Законы и обычаи на Кавказе. стр. 16.

მახვშის უფლებები და მოვალეობები

მახვშის ხალხისგან არავითარი ჯამაგირი არ ეძლეოდა თავისი მოღვაწეობისათვის, მაგრამ მისთვის დიდ ჯილდოდ ითვლებოდა ის, რომ მას ხალხი თავის თემში ყველაზე მაღლა აყენებდა და დიდ პატივსაც სცემდა. აღაპებზე, ტირილებზე და სხვა დღესასწაულებზეც კი მას თავისი ამალითურთ (ჩენილებით) ცალკე სვამდენ საპატიო სკამზე, ,,საკარცხულზე“, ხვნა-თესვაზე, ყანების მომკაზე, თიბვაზე და შეშის მოჭრაზე თუ ვინმეს დაუძახებდა, მას ყველა ეხმარებოდა, თუმცაღა ეს სავალდებულო არავისთვის არ იყო. გარდა ამისა მას ჰქონდა ხელუხლებლობის სრული გარანტია და მისი უფლებები, მოკლეთ რომ ვთქვათ, განუსაზღვრელი იყო.

სამართლიანად აღნიშნავს რ. ერისთავი: ,,Всякого рода дела были Махвши подведомы, как духовные, так и светские, как уголовные, так и гражданские, важные и маловажные”.

მაგრამ საზოგადოებრივ მნიშვნელობის საკითხებს ის ხალხის დაუკითხავად იშვიათად სწყვეტდა და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა დარწმუნებული იყო იმაში, რომ ეს ხალხის საკეთილდღეოდ სწყდებოდა და მადლობის მეტს ხალხი მას არაფერს ეტყოდა. მახვში საჭიროებისდა მიხედვით იწვევდა სათემო ყრილობას ზემოთაღწერილი წესით. წინასწარ მას ცალკე გაჰყავდა ჭკუა-გამოცდილებით პატივსადები პირები, ახდენდა მათთან თათბირს ანუ ,,ვაზირობას“, გამოჰქონდა მათთან შეთანხმებით თავისი

დასკვნა ამა თუ იმ საგანზე, რასაც შემდეგ ის გააცნობდა ყრილობას, რომელიც ან სავსებით ადასტურებდა მის აზრსა და შეხედულებას ან რაიმე ცვლილება შეჰქონდა ან სრულიად არ ეთანხმებოდა და არღვევდა. როცა მკვლელობა მოხდებოდა მის თემში, მახვშის უმთავრეს ამოცანას შეადგენდა ,,ზისხი ლიგნე“ – სისხლის ღვრის შეჩერება და გადამტერებული მხარეების შერიგება მედიატორული წესით, რომლის დროსაც დიდი დიპლომატობა იყო მახვშის მხრით საჭირო. პირველ ხანებში როცა ,,ზისხ ფუვა“ – სისხლი სდუღდა, მოკლულის ჭირისუფალს ვერავინ ვერ გაუბედავდა გარიგებაზე რამეს თქმას და მახვში მათ ამ ადუღებული სისხლის დანელებაზე ზრუნავდა, ათასნაირი მაგალითების მოყოლით და ჩამოთვლით უნდოდა, რომ ისინი შერიგებოდენ ამ უბედურებას, ხოლო როცა შეიტყობდა, რომ მორიგებაზე ლაპარაკის დაწყება შეიძლებოდა, მაშინ მოუყრიდა თავს თავ-თავ პატივსადებ პირებს და დღე და ღამე იმის მეცადინეობაში იყო, რომ როგორმე დაეყაბულებინა მოკლულის ჭირისუფალი გარიგებაზე, ხოლო თუ მისი შრომა უნაყოფოთ ჩაივლიდა, იმ შემთხვევაში მოიწვევდა თავისი საზოგადოების ყრილობას, რომლის დადგენილების თანახმად უნდა შერიგებულიყვნენ მხარეები. წინააღმდეგ შემთხვევაში ,,ხევის“ სურვილის ურჩობის გამწევი სასტიკ პასუხს აგებდა მის წინაშე.

ტირილზე, აღაპებზე, საეკლესიო და სხვა სასოფლო დღესასწაულებზე, როცა ,,ჰარყალობ“ – არაყობა ანუ ,,მაშდმარობ“ – მთვრალობა იყო მოსალოდნელი, მახვში ჯერ გამოდგებოდა მაღალ ადგილიდან და ,,ჰერაბს იხდა“, ე.ი. ხალხს აფრთხილებდა, რომ ჩეხვა და ჩხუბი არ მოეხდინა ვინმეს და მშვიდობიანად დაშლილიყვნენ. ხშირად იგი აჰყრიდა ხოლმე ხალხს იარაღს, ერთ ადგილას შეინახავდა და მეორე დღეს დაურიგებდა თავიანთ პატრონებს.

როცა რომელიმე ოჯახში უკმაყოფილება მოხდებოდა და სხვა ზომებით მათი მორიგება არ მოხდებოდა, მახვში მიდიოდა იმ ოჯახში და ცდილობდა ,,ლიყოლფა ლისყენეს“ – ოჯახის მოწესრიგებას, ხოლო როცა მიზანს ვერ მიაღწევდა, აურჩევდა მედიატორეებს და მშვიდობიანად ჰყოფდა მათ, ამრიგადვე აწარმოებდა ის ცოლ-ქმრის გაყრის საქმეს, როცა ისინი ვერ შესძლებდენ ერთმანეთთან ცხოვრებას.

როცა თემის რომელიმე წევრს სერიოზული საქმე ჰქონდა სხვა თემის კაცთან, მახვში შედიოდა იქ მოციქულად და ადგილობრივი მახვშის დახმარებით ცდილობდა მხარეების მორიგებას.

მახვშის მოღვაწეობას შეადგენდა აგრეთვე თავის ხალხის წინამძოლობა ანუ მთავარსარდლობა, როცა სადმე საომრათ წავიდოდნენ, ან როცა მათ საწინააღმდეგოდ საომრად მოსულთა იარაღით ხელში დახვდომა და პასუხის გაცემა იყო საჭირო.

ამნაირად მახვშის დიდი საქმე ჰქონდა დაკისრებული და მისი კეთილმოღვაწეობა დაუვიწყარი ხდებოდა ხოლმე ხალხის მეხსიერებაში. რაფ. ერისთავი ამბობს: ,,Имена любимых ,,Махвши“ живут и поныне в памяти народной, как имена славных героев других народов“ [143]).

მახვშიების პოპულარობა და გავლენა თავის ხალხზე იმდენად განთქმული იყო, რომ ლიტვინოვი ერთ-ერთ თავის მოხსენებაში სწერდა ციციანოვს: ,,Известные и довольно богатые руды находятся в Сванетии, но использовать их трудно, т. к. все жители сванетских гор управляются ,,старшинами“, которым соседство русских приятно быть не может“ [144]).

როდესაც რუსეთის თვითმპყრობელობა 1830 წლებში შეუდგა სვანეთის დაპყრობის მეცადინეობას, სხვა ზომებით ეს შეუძლებლად მიაჩნდა და იმერეთის მმართველი გესსე სწერდა ღრაფ პასკევიჩ ერივანელს: Покорить Вольных Сванов силою оружия сопряжено с большими затруднениями, но дать им повод к привязанности к Рос. Правительству есть средство через большие подарки от нас главнейшим старшинами [145]).

ღრაფ პასკევიჩ ერივანელმაც მას ასე უპასუხა: ,,Предлагаю Вам войти в сношения с кн. Дадешкелиани и со старшинами обществ Вольной Сванетии, стараясь их привлечь подарками и т. д. [146]).

ზემოაღწერილი მართვა-გამგეობის აპარატი სვანეთში მის ნებაყოფლობით რუსეთის ქვეშევრდომობაში 1853 წ. შესვლის შემდეგ ოცი წლის განმავლობაში, ე. ი. 1869 წლამდე, ოდნავ არამცთუ არ შეფერხებულა, არამედ მახვშიების საშუალებით და შემწეობით იწყება იქ მთავრობის წარმომადგენლების სამუშაოდ ფეხის შედგმა, რასაკვირველია, არსებული ჩვეულებითი უფლებების ხელმძღვანელობით.

კოლუბიაკინი, რომელიც პირველად ეწვია სვანეთს 1874 წ., სვანეთში შესვლას ვერ ბედავდა, სანამ სვანეთის მახვშიები მას არ მიეგებნენ. მის მიერ სვანეთში დანიშნულ პირველ ბოქაულ ალექსანდრე მიქელაძის ამალას სვანეთის მახვშიები შეადგენდნენ, მაგრამ როდესაც მან სცადა ახალი კანონების წარმოება, ისინი მას ჩამოსცილდენ და ამის შემდეგ იძულებული შეიქნა 1849 წ. ხალხის მიერ წინააღმდეგობის გაწევის გამო, გაქცეულიყო სვანეთიდან. და სვანეთიც ოთხი წლით, ე. ი. 1853 წ-მდე, დარჩა ძველებური ჩვეულებრივი წესებითა და ადათებით. 1853 წელს გაგარინმა სხვათშორის მოახსენა ვორონცოვს: ,,Учреждение в Вольной Сванетии формального управления нахожу преждевременным, потому что сваны по буйности своего характера не умеют еще подчиняться ни какому управлению и своим самоволием могут поставить начальство опять в такое неприатное положение, как ето было в 1849 г.“. მართალია, განაგრძობს ის, 1849 წ. სვანებმა წინააღმდეგობა გაუწიეს ბოქ. მიქელაძეს, მაგრამ ხელის აღება ამ ხალხზე შეუძლებელია, რადგანაც სვანებს შეუძლიათ ჩვენ მტრებს მიემხრონ და მით საქმე ძალიან გართულდეს ჩვენთვის და ამიტომ საჭიროა დაინიშნოს სვანეთის მმართველად ისევ მიქელაძე და დაეკისროს მას საქმის წარმოება სხვათა შორის ,,местными обычными правами” - ადგილობრივი ჩვეულებითი უფლებებით და სხვა [147]).

ვორონცოვმაც ამ მოხსენებას დასტური მისცა და ნება დართო სვანეთში ჩვეულებითი უფლებებით საქმის წარმოების შესახებ [148]) და როდესაც 1853 წელს სვანეთში შევიდა ბართოლომეი, და რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შესახებ ფიცი მიაღებინა ლატალისა და ლენჯერის საზოგადოებებს, ამ საქმეში მას ეხმარება ლატალის თემის მახვში აბი ფარჯიანი, ხოლო ფიცის ფურცელზე მან ხელი მოაწერინა ლატალის თემის 13 სოფლის 13 მახვშის [149]).

ალექსანდრე მიქელაძის შემდეგ სვანეთის ბოქაულად დანიშნულ სიმონ ამირაჯიბის დროს სვანეთის მახვშიებს დაერქვათ მდივანბეგები და დაენიშნათ თვითოს 300 მან. ჯამაგირი.

ამირაჯიბის შემდეგ სვანეთის ბოქაულად დანიშნულ მამაცოვისა და თ. ჯორჯაძის დროს მდივანბეგების სახელით მონათლული სვანეთის მახვშიები თანდათანობით კარგავენ თავის მნიშვნელობას და 1869 წ. მათი ძალა-უფლება გადადის უკვე

მთავრობის მიერ დანიშნულ მამასახლისების ხელში [150]). მაგრამ ხალხის გულს არც ახლა ეკარება ახლოს ახალი კანონები, სვანები რამოდენიმე საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებულ ზნე-ჩვეულებასა და ჩვეულებით წესებს იმდენად იყვნენ შეჩვეული, რომ ადვილად ვერ თმობდენ და ვერ ურიგდებოდენ მათ გაუქმებას, თვით მახვშიებსაც არაფრად მოწონდათ ხალხის მიერ მათდამი მინიჭებული უფლებების დათმობა. ამიტომ ხდება ამ ორ ძველ და ახალ მიმართულებათა შორის საშინელი ბრძოლა და შეჯახება, რასაც შედეგად მოჰყვა ბრძოლის ველზე ფორმალურად ანუ გარეგნულად პირველის გამარჯვება, ხოლო არსებითად ანუ სინამდვილეში მეორის გამარჯვება და ახლათ შემოღებულ კანონების სვანურ ჩვეულებითი უფლებების წინაშე მუხლის მოდრეკა. ამნაირად სვანეთის მახვშის ადგილის როლში ცხოვრებამ ჩააყენა სვანეთის ბოქაული, რომელსაც სვანები ,,მახვშის“ ეძახდენ; თემის მახვშიების მოვალეობის ასრულება სრულიად ბუნებრივად დაეკისრათ მამასახლისებს, ხოლო სოფლის მახვშიების ადგილი დაიკავეს ხევის თავებმა, რომლებიც მუდამ კომიკურ მდგომარეობაში იყვნენ სვანური ტრადიციების მიერ ჩაყენებული და ჩვენ დრომდე განაგრძობდენ არსებობა-მოქმედებას თვით ცხოვრების მიერ ნაკარნახევ ჩვეულებითი უფლებებისა და ადთების ხელმძღვანელობით. ზედმეტი არ იქნება ამის დასახასიათებლათ ორიოდე სიტყვა ითქვას აქ.

სვანეთის მმართველის მოვალეობა, რა თქმა უნდა, უმთავრესად იმით განსხვავდებოდა სვანეთის უწინდელი მახვშის მოღვაწეობიდგან, რომ მას არ ჰქონდა დაკისრებული სვანეთის ლაშქრის მთავარსარდლობა საჭიროების დროს, და გარდა ამისა ის ადგენდა ოქმებს სისხლის სამართლის ხასიათის დანაშაულის საქმეებზე, აძლევდა დამნაშავეთ სასამართლოში და მით ასრულებდა თავისი მოვალეობის ფორმალურ მხარეს, ხოლო დანარჩენი მისი მოქმედება, როგორც ხანგრძლივმა დაკვირვებამ დაგვანახა, ასეთ შემთხვევებშიაც კი სვანურ ჩვეულებითი უფლებებზე და ადათებზე იყო სავსებით დამყარებული. ამიტომაც სინამდვილეში ის არ წარმოადგენდა ისეთ ჩინოვნიკურ პიროვნებას ანუ ადმინისტრაციის წარმომადგენელს, როგორც სხვა ქვეყნებში, არამედ განსაკუთრებულ პირობებში მყოფ ისეთ დამოკიდებულ

მართვა-გამგეობის მუშაკს, რომელსაც ჰქონდა დაკისრებული ყოველმხრივათ ხალხის ცხოვრების წინამძღოლობა და სვე-ბედი.

მართალია, სვანეთში რომ მკვლელობა მოხდებოდა, ბოქაული ახდენდა კვლევა-ძიებას და დამნაშავეს სისხლის სამართალში აძლევდა, მაგრამ ამითი როდი თავდებოდა საქმე. საჭირო იყო დამნაშავის ხელში ჩაგდებაც, რაც ძალიან იშვიათად ხდებოდა, თუ ბოქაული არ იშოვნიდა მასთან დაახლოვებულ პირებს მოციქულებად, შორიდგან მასთან მოლაპარაკებას არ აწარმოებდა, დიდ კომპრომისებზე არ წავიდოდა და დამნაშავის გემოზე არ გადაწყდებოდა საქმე.

თუ ამ გზით ის მიზანს მიაღწევდა, დამნაშავე მასთან მანამდე მაინც არ მივიდოდა, სანამ ამ მოლაპარაკების დროს არ შეჰპირდებოდა შვილობილად დაყენებას, და ამიტომ ბოქაულის პერანგის საყელო მუდამ შეხსნილი იყო და მისი გულმკერდი ღია, მიშვერილი დამნაშავის სურვილის შესასრულებლად.

რაში გამოიხატებოდა ეს ,,შვილობილობა“? ეს იმაში გამოიხატებოდა, რომ როცა სვანეთში უნათესაო ელემენტებს უნდათ ერთმანეთთან ნათესაური კავშირის დამყარება, ამის მსურველი, სულ ერთია კაცი იქნება თუ ქალი, სთხოვს ვისთანაც დამეგობრება უნდათ, მიიღოს ის თავის სახლში ან თვითონ მას ეწვიოს.

პირველ შემთხვევაში დაიკავებს ერთ ,,ლერქვაშ“ ანუ ,,ზექა“ არაყს.[151]) თან გაიყოლებს ვინმე ნათესავს, მივა ღამე იმის ოჯახში, რომელთანაც უნდა ,,დანათესავება“. ისიც სტუმარს შესაფერისად უხვდება, კარგს მასპინძლობას უწევს და როცა ვახშმად სხედან, სტუმარი ადგება, ერთ კათხა არაყს დაიკავებს ხელში, მივა თავის სამამობილესთან, დაიჩოქებს მის წინ. ამასობაში ესეც იხსნის ჩოხა-ახალუხს, შემდეგ პერანგს, ამოიღებს მარჯვენა ძუძუს, უდებს მას პირში თავის შვილობილს, რომელიც ძუძუზე სამჯერ კბილს დაადგამს და სამჯერვე იტყვის: ,,სი მუ მი გეზალ“ – შენ მამა ხარ, მე შვილიო. შემდეგ ერთმანეთს დაკოცნიან, კათხებს გაცვლიან, ერთმანეთს დალოცავენ და უსურვებენ მათ შორის დაარსებულ ნათესაობის მტკიცეთ გატარებას ცხოვრებაში. ამიერიდან ისინი ერთმანეთის ნათესავებად ითვლებიან, ერთმანეთის ღალატი არ შეუძლიათ და ვალდებული არიან ჭირში და ლხინში განუყრელი იყონ.

სვანი, დარწმუნებული იმაში, რომ ამ წესით თუ მას ბოქაული იშვილებდა, არამცთუ არ უღალატებდა, არამედ კიდეც დაეხმარებოდა, დამშვიდებულად მიდიოდა მასთან და ყველაფერში ემორჩილებოდა. მაგრამ მოხდებოდა დამნაშავის ხელში ჩაგდება აღწერილი ცერემონიალით თუ შეპყრობით, ეგ სულერთი იყო, ამითი საქმე არ თავდებოდა, და რომ შურის ძიების ნიადაგზე სისხლის ღვრა არ განმეორებულიყო, ბოქაულის, მამასახლისების და ხევის თავების მოვალეობას მედიატორული წესით მხარეების შერიგება, ისე როგორც ამას აწარმოებდენ ზემოხსენებული ძველი მახვშიები და სოფლის ჩენილები, რომლის დროსაც მედიატორეების რიცხვში თავმჯდომარეთ ხშირათ დაინახავდით ბოქაულს, ხოლო მამასახლისს და ხევის თავებს მედიატორეებათ. სვანეთის ხალხის სიყვარულს და დიდ პატივისცემას დაიმსახურებდა ხოლმე ისეთი ახალი ,,მახვში“ (ბოქაული), რომელიც ,,ლუფინა ზისხს აგნა“ ადუღებულ სისხლს ანელებდა და ვინც მეტ მშვიდობიანობას ჩამოაგდებდა გადამტერებულ მოსისხლე მტრებს შორის ზავისა და მორიგების საშუალებით.

ისეთი ბოქაულების დროს, რომლებიც ბევრათ არ იწუხებდენ თავს სვანეთში მშვიდობიანი მდგომარეობის დამყარებითა და ხალხის კეთილდღეობაზე მზრუნველობით, დროს ლოთობაში და უმოქმედობაში ატარებდენ, საშინლათ იყო ხოლმე გავრცელებული ქურდობა და ბევრ მოსახლეს ეცლებოდა ხელიდან ოჯახის მარჩენალი ხარი, ძროხა, ცხენი და სხვა. ამ შემთხვევაშიც არსებული კანონების ფარგლებში ბოქაულის მოქმედება არარას წარმოადგენდა. ამიტომ ის იძულებული ხდებოდა ისევ სვანურ ჩვეულებითი უფლებებით და ადათებით გაეკეთებინა საქმე. ამ მიზნის მისაღწევათ ის ახდენდა კრებებს, ხალხს მოუწოდებდა ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად ფიცის საშუალებით. მაგ., 1912 წ., როცა სვანეთი უვიც ბოქაულების მოქმედებამ საშინელ მდგომარეობამდე მიიყვანა, და ქურდბაცაცებისაგან ხალხი ნადგურდებოდა, მე თვითონ ჩამოვიარე მთელი სვანეთი, მოვიწვიე კრებები და გამოვატანინე ხალხს დადგენილებები, რათა 15-50 წ-მდე მამაკაცი ყველა წასულიყო კალის წმ. კვირიკესა და იულიტეს მონასტერში დასაფიცებლათ. დანიშნულ დღეს კალაში სვანეთის ყველა თემებიდან თავი მოიყარა 3000 კაცმა [152]). სიკვდილამდე

დაუვიწყარი იქნება ჩემთვის ის შთაბეჭდილება და შედეგები, რომელიც მოყვა სვანეთის ხალხის თავის მოყრას ამ კეთილ საქმეზე: ეკლესიიდან გამოვატანინე ,,შალიანი“-ს ხატი, რომელიც სვანების შეხედულებით ყველაზე ძვირფასი და მძლავრია ამ ქვეყანაში. ხალხის სურვილით უნდა მომხდარიყო ,,ბუგიდ ლიგურცამი“ – მაგრათ დაფიცება. ამიტომ დაფიცებაც მე დამავალეს. მე შევუდექი ჩემს გარშემო მოზღვავებულ ხალხში ,,ლიგურცამის“ დაფიცებას, რომლის დროსაც ბევრ ქურდს ტანის ცახცახი აუტყდა. გათავდა ფიცი იმ ქურდების წყევლა-კრულვით, რომლებიც ფიცს გატეხდენ, რასაც მთელმა ხალხმა შეჰბღავლა ,,ამინ“, მერე ქუდები მიწაზე დაახეთქეს. ამის შემდეგ თვითეული ჩვეულებისამებრ ჯოხ-ქვეშ გამოვატარეთ და მერე შევუდექი დაკითხვას. ამნაირად აღმოვაჩინეთ 750 შემთხვევა ქურდობისა. შევადგინე კომისია, რომელშიაც თემიდან ორ-ორი კაცი შევიდა. ეს კომისია ჩამოყვა მთელ სვანეთს, ქურდებს ჩამოართვა ნაქურდალის ორმაგი საფასური და დაზარალებულთ ჩააბარა. ამან იშვიათი დიდი შთაბეჭდილება და გავლენა მოახდინა სვანეთის ხალხზე [153]).

ამის შემდეგ აქვე ხალხი იღებს ფიცს, რომ 5 წლის განმავლობაში არაფერი მოიპარონ, ხოლო თუ ვინმეს ქურდობა წამოცდეს ამხილონ. ამას შედეგად მოყვა ის, რომ ეს ხუთი წელიწადი აღსანიშნავი შეიქნა სვანეთის ყოფა-ცხოვრებაში მით, რომ ერთ ქურდობის მაგალითსაც ამ ხნის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია.

სვანური ჩვეულებითი უფლებების მიხედვით წყდებოდა აგრეთვე ცოლ-ქმრის გაყრა, მაჩხუბართა შერიგება, ერთი სიტყვით ყოველგვარი სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეები თვითმპყრობელობის დამხობამდე.

ხოლო ამის შემდეგ სვანეთში დამდგარი მენშევიკური ხანა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, შეიქნა როგორც ძველი ტრადიციების, ველური ინსტიქტების და ყოფა-ცხოვრების გამომამჟღავნებელ სარკეთ, აგრეთვე სვანეთის ასეთი მდგომარეობის ზემოთ-აღწერილ ჩვეულებითი უფლებებით და წესებით გამოკეთების საუკეთესო გამომხატველ საგნად. ამიტომ უადგილო არ იქნება მკითხველის ყურადღება რამოდენიმე წუთით ამაზე შევაჩერო.

რევოლუციის შემდეგ სვანეთი მოსწყდა ცენტრს და დიდხანს დარჩა უმთავრობოთ. ხალხისათვის არავის აუხსნია რევოლუციის მნიშვნელობა და ამიტომაც უპატრონოთ მიტოვებული სვანეთი ანარქიის საშინელ ცეცხლის ალში გაეხვია. ამგვარი ქაოტური მდგომარეობის გამეფებამ ფარდა ახადა, დღის სინათლეზე გამოიტანა და ჩვენ თვალწინ გადაშალა სურათი უძველეს დროიდან ხალხის მასებში ფესვებგამდგარი, მაგრამ მთავრობის მეცადინეობით და სვანური ზემოთაღწერილ თვითმმართველური წესების საშუალებით დანელებული და მიძინებული ველური ზრახვებისა და მისწრაფებებისა. დიახ, ამ მდგომარეობაში ჩავარდნილ სვანეთში სასწრაფოდ მთელი ხალხი შეიარაღდა. ციხეებს პატივი დაედო. ანარქია ელვის სისწრაფით იზრდებოდა. თავი იჩინა საგვარეულო კავშირის ფიცით დამყარებამ, ერთი სოფლის მეორე სოფლის წინააღმდეგ ამხედრებამ, რაშიც შეუძლებელი გახდა ერთი სოფლიდან მეორე სოფელში უშიშრად გადასვლა, ზოგან თავიანთი ციხეებიდანაც ვერ გამოდიოდნენ გარეთ, რომ დადარაჯებული მტრის ტყვიას მათთვის სიცოცხლე არ მოესპო. განახლდა ძველებურად კაცის დატყვევება. ასტყდა შურის ძიების ნიადაგზე საშინელი სისხლის ღვრა, რომლის დროსაც ადგილი ჰქონდა ერთში ორის მოკვლას და ამნაირად ამ უბედურებამ დღემდე იმსხვერპლა ხუთასამდე სიცოცხლით სავსე საუკეთესო ახალგაზრდა სვანი. და ამიტომაც ამ ხანას სვანების მიერ ეწოდა სვანეთის სისხლიანი წლები ანუ ,,შვანობ“ – სვანობა. ფართო ხასიათი მიიღო აგრეთვე ურთიერთ შორის და მეზობელ ქვეყნებიდან ჯოგების მოტაცებამ. განმეორდა ძველი დრო. სვანებმა პირველად პირი გაჰკრეს ,,ქაშაგს“ – ყაბარდოს, საიდანაც წამოიყვანეს მრავალი მსხვილფეხა საქონელი. ამის შემდეგ მესტიის თემიდან 30 კაცი გადავიდა ბიზინგი – ხულამის საჯოგე მთებში და წაართვეს უამრავი ხარ-ძროხის ნახირი, შემდეგ უთვალავი ცხვრის ფარა [153]). ამის შემდეგ, როცა კაჩუხაშვილის დეკრეტით სვანეთი კანოს გარეშე იქნა გამოცხადებული და სვანებს საქართველოს სხვადასხვა ქვეყნებში მიმმავალი გზა დაეკეტათ და აეკრძალათ ამ გზებით მისვლა-მოსვლა, სამეგრელოდან დაბრუნებული ორი მუშა, ერთი იფარელი და ერთი ჩუბეხეველი, გზის დარაჯების მიერ იქნენ მოკლული ს. ხუდოში და რამოდენიმე მუშა სვანი გაძარცული, ხოლო ქუთაისიდან დაბრულებული მუშები ზოგი ოფიჩხეთსა და

ნამეხვანს შუა დახოცილი და გაძარცული და ზოგიც რაჭა-ლეჩხუმში შეურაცყოფილი. სვანებმა სამწუხაროთ სამარცხვინო ნაბიჯი გადადგეს, შური იძიეს, პირი რაჭა-ლეჩხუმისა და სამეგრელოსკენ ქნეს, და აუარებელი საქონელი შემორეკეს სვანეთში.

რა თქმა უნდა, ამ მოქმედებაში მონაწილეობას მთელი არამც თუ არ იღებდა, არამედ ხშირად ჰქონდა ადგილი დამნაშავეებსა და უდანაშაულო ჯგუფებს შორის დიდ სროლა-წინააღმდეგობას, რომლის დროსაც ზოგჯერ ხალხის უმრავლესობა იმარჯვებდა, ნაძარცვს ართმევდა და პატრონებს უბრუნებდა.

ერთი სიტყვით, სვანეთი ჩავარდა ისეთ მდგომარეობაში, რომ შურის ძიების ნიადაგზე დაღვრილ საკუთარ სისხლის ნაკადულებში იხრჩობოდა, მეურნეობა თვალსაჩინოთ ეცემოდა, მეზობლები ნადგურდებოდენ და სიტყვა სვანის გაგონებაზე ტანის ცახცახი უტყდებოდათ.

აი ასეთ მდგომარეობაში მყოფ ქვეყნის მისაშველებლად წასვლა და სამსხვერპლოზე ასვლა ძალაუნებურად მხვდა მე წილად 1918 წლის ბოლო ხანებში და მეც ქუთაისიდან სვანეთში გავემგზავრე. დავიწყე მუშაობა თავისუფალი სვანეთის პირველ თემიდან, სახელდობრ უშგულიდგან, მაგრამ რადგანაც წესიერების დამყარების უბრალო ხსენებაც კი აბრაზებდა ზემოთ აღნიშნულ დანაშაულთა ჩამდენ ჯგუფებს, ისინიც შეუდგენ ჩემს მოსაკლავად მზადებას და როდესაც იფარის თემში მიტინგზე გამოვედი, ჩემს პირდაპირ მდგომ ციხიდან გავარდა თოფები, მაგრამ მე მუშაობაზე ხელი მაინც არ ავიღე და უფსკრულისაკენ გაქანებული სვანეთის მდგომარეობის ერთად-ერთ გამოსაკეთებელ გზად ჩავთვალე სვანური ჩვეულებითი უფლებების საშუალებით და თვით ხალხის დახმარებით მუშაობის წარმოება. მოვიწვიე ყველა თემში ყრილობები, დავნიშნე თავ-თავი კაცები ხევისთავებათ, დავაარსე ნაძარცვთა სალიკვიდაციო კომისიები და როცა ასეთი წინასწარი მუშაობით ნიადაგი მზად იყო, მოწვეულ იქნა სრულიად სვანეთის თემთა საკავშირო ყრილობა ს. ბეჩოში, რომელმაც დაადგინა არამცთუ მარტო ძარცვა-გლეჯის მოსპობა მომავალში, არამედ ვისაც ამ სახით წარსულ წლებში რამე ჰქონდა შეძენელი, იმის ჩამორთმევაც და ამიერიდან ამისთანა დანაშაულობის ჩამდენ ჯგუფების ასალაგმავად სასტიკი ზომების მიღება. მუშაობის ასეთმა

წარმოებამ იმ ფაქტის წინაშე დაგვაყენა, რომ სვანური ჩვეულებითი უფლებებით მოქმედება დაგვირგვინდა: ყოველ თემებში ნაძარცვის აღმოჩენით და ჩამორთმევით კუთვნილებისამებრ ჩასაბარებლად და მომავალში მეზობელი ხალხების ამგვარი უბედური მოვლენისაგან განთავისუფლებით.

143) Р. Эристов. Заметки о Сванетии, стр. 7, 8 ,,ივერია", 1886 წ.

144) Рапорт Литвинова Кн. Цицианову от 25 октября 1804 г. № 109.

145) Секрет. Донес. ген-м Гессе гр. Паскевичу Эриванскому от 14 июля 1830 г. № 74.

146) Предписание гр. Паскевича ген-майору Гессе от 23 августа 1830 г. № 710.

147) Доклад Кут. Губ. Гагарина кн. Воронцову от 24 июня 1853 г. за № 167.

148) Предписание кн. Воронцова Кут. Губ. Гагарину от 15 октября 1853 г. № 2838.

149) Бартоломеи. Поездка вВольную Сванетию.

150) Р. Эристов. Заметки о Сванетии, ст. 8. ,,ივერია" 1886 წ.

151) ლერქვაში ზედა ხევში, ზექა - ქვედაში ნიშნავს არაყის საწყაოს, რომელშიდაც ჩადის 6 ბოთლი.

153) Ильина. Пут. по Сванетии.

153) მესტიელები ამ საქონლის წართმევის მიზეზად ასახელებენ იმას, რომ ძველ დროში რომელღაც მესტიელ ჯაფარიძეს უნდა მოეპარა მათი ეკლესიიდან ძვირფასი ,,კალმახის სახე ხატი" და სხვა ნივთები, რომლებიც ბიზინგელებს უნდა შეეძინათ.

სვანური იურიდიული წესწყობილება და სამართლის წესები

დროთა ვითარებამ თუ სვანეთის ზოგიერთ ზნე-ჩვეულებებში ზოგადი ცვლილებები შეიტანა ან ისინი მთლად სვანეთის ცხოვრებიდან აღმოფხვრა, ამას ჩვენ ვერ ვამჩნევთ უხსოვარ დროიდან სვანეთში დამყარებულ, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში და დღემდე შეუფერხებლად წარმოებულ სვანურ იურიდიულ წესებს, რომელთა ცხოვრებაში გატარება დაკისრებული ჰქონდათ ,,მორვალს", მხარეთა შორის ყოველგვარ საქმეების გასარჩევათ ამორჩეულ მსაჯულ-მედიატორეებს, ადგილობრივ ადათების მიხედვით.

ვინ მოსთვლის, რამდენი შფოთი, უბედურება და სისხლის ღვრა მე თვითონ შემიჩერებია ამ გზით მუდმივად სვანეთში ცხოვრებისა და მუშაობის დროს, ამიტომაც ის, რასაც მე ქვემოდ

ვსწერ სვანეთის იურიდიულ წესწყობილებაზე, არის არა ვინმეს ნაამბობი, გაგონილი და ჩაწერილი, არამედ მრავალ წლების განმავლობაში საკუთარი თვალით ნახული საქმეების და პირადი ჩემი პრაქტიკის აღწერილობა ამ სფეროში და ამიტომაც მკითხველს შეუძლია ყველაფერი ეს სვანეთის ცხოვრებიდან ამოწურულ ჭეშმარიტებად ჩასთვალოს. მაგრამ სანამ მათ აღწერას შევუდგებოდე, საჭიროთ მიმაჩნია წინასწარ ისიც აღვიარო, რომ სვანეთს 1853 წ. რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შემდეგ იწყება მთავრობის მიერ ენერგიული მუშაობა სვანეთის სამართლის წესების ახალი სახელმწიფოებრივი კანონებით და წესებით შეცვლისათვის, მაგრამ პირველნი იმდენად გასალკლდევებულნი გამოდგენ, რომ ყოველგვარმა მეცადინეობამ 70 წლის განმავლობაში უნაყოფოთ ჩაიარა და არამცთუ ოდნავ ვერ შეარყია ისინი, არამედ მალე სვანურმა ადათებმა შთანთქეს ახალი კანონების მნიშვნელობა. ტყუილად კი არ სწერს ერთი მოგზაური რუსი: ,,მართალია რუსეთის მთავრობა უკრძალავს სვანებს სისხლის სამართლის საქმეების ადგილობრივი ადათებით განხილვას, მაგრამ ახალი დანაშაულებებისა და საზოგადოებრივი მყუდროების დარღვევის თავიდან ასაცილებლად მთავრობამ საჭიროდ ჩასთვალა გადამტერებულ მხარეების ადგილობრივი ადათებითა და მედიატორული წესით მოწესრიგება, მათი სასამართლოს მიერ განხილვამდე“ [154]). ამაში თვით მეფის მოადგილე კავკასიაში ვორონცოვიც მალე დარწმუნდა და ამიტომაც ის უბრძანებდა ქუთაისის გენ. გუბერნატორ გაგარინს:

По обоюдным просьбам сванов входить в разбор ссор и распрей, возникаюших между Сванами, согласно местным обычаям [155]).

სამართლიანად აღნიშნავს თავისი 1887 წ. სვანეთში მოგზაურობის აღწერილობაში პროფ. მ. კოვალევსკი:

,,Самостоятельные, не признаюшие над собою власти, кровные союзиы в Сванетии в своих взаимных отношениях придерживаются тех самых начал, что и суверенные государства. Подобно тому, как международные столкновения разрешаются не иначе, как мирным соглашением медиаторским судом“ [156]).

ახალი რუსული კანონების შემოღებით სვანური მედიატორული კანონები არამცთუ არ გაუქმდენ, არამედ, ვინაიდგან სვანეთს ურთიერთშორის საქმის გათავება

ადგილობრივი ადათებითა და მედიატორული წესებით ურჩევნიათ, განაგრძობს ის, სვანეთის სამხედრო მოსამართლე პფაფფი მუდამ იმას ჩიოდა, რომ მის კანონებით საქმის გარჩევას სვანები გაურბოდენ, თავის საქმეებს ადგილობრივი წესებით ათავებდენ და ამიტომ ის არარას წარმოადგენდა მოსამართლის როლში.

მართლაც, მსაჯული მეფის დროს რომ მოდიოდა სვანეთში 2 თვით, ახდენდა კვლევა-ძიებას მკვლელობაზე, მაგრამ სვანები მანამდე ან მედიატორული წესით რიგდებოდენ, ან მოკვლას მოკვლითვე უხდიდენ ერთმანეთს ანდა როცა ის დაიბარებდა მომჩივან-მოპასუხესა და მოწმეებს, მის თვალწინვე ხდებოდა მედიატორეების ამორჩევა, რის შემდეგაც ყველანი დამნაშავის სასარგებლოდ აძლევდენ ჩვენებას, რათა არსებულ კანონს ის არ დაესაჯა და საქმე ისევ სვანური კანონით გათავებულიყო. ამ მდგომარეობას ურიგდებოდენ კომიკურ მდგომარეობაში ჩაყენებული ორი თვის სტუმარი გამომძიებლები, რომელთაგან ერთი მთლად შკუაზე შეიშალა: ამ პირობებში რა საჭიროა კანონებიო, დააწყო საქმეები ერთ ადგილას, გადაასხა ნავთი, წაუკიდა ცეცხლი და გადასწვა.

მრავალჯერ ვყოფილვარ მე თვითონ იმის მოწმე, რომ როცა სვანეთის მმართველი კვლევა-ძიებას სასამართლოს გადასცემდა ხოლმე, თვითონ დაუყოვნებლივ შეუდგებოდა მხარეების შერიგებას მედიატორული წესით, რათა მკვლელობა არ განმეორებულიყო და ხშირად მსაჯულ მედიატორეთა რიცხვში მასაც დაინახავდით.

ვერაფერი გზით სვანს ვერ შეაგნებინებთ დღესაც, რომ თუ ის შურისძიების ნიადაგზე კაცს მოკლავს, ეს უკანონო მოქმედებად უნდა ჩაითვალოს და პასუხი აგოს კანონის წინაშე, ან და სისხლში ,,წორის“ - სისხლის ფასის გადახდის შემდეგ კანონიერი სასჯელი მიიღოს; ან თუნდა მკვლელმა კანონიერი სასჯელიც რომ მოიხადოს, მას შემდეგ ისევ არ მოსთხოვოს ,,წორი“ და არ გადაახდევინოს. სწორათ შენიშნავს კონევსკი, რომელმაც იმოგზაურა სვანეთში 1886 წ.: მიუხედავათ იმისა, რომ სვანეთი რუსეთის მთავრობას ემორჩილება, თავისუფლების სული (,,вольный дух“) თავისუფალ სვანეთის მცხოვრებლებში არ ჩამკვდარა და დღემდე ბავშვური გულწრფელობით პრინციპიალურად თუმცა ცნობენ რუსეთის

მთავრობას, მაგრამ ნამდვილად კი ძალიან ორიგინალურად ეპყრობიან რუსული კანონების ცხოვრებაში გატარებას, მეტადრე სასამართლოსა და ადმინისტრაციის ჩარევას მათ ისეთ შინაურ საქმეებში, როგორიც არის, მაგალითად, შურის ძიებისა და სხვა სისხლის სამართლის საქმეები. როდესაც სასამართლო იბარებს მათ დასაკითხავად ასეთ საქმეებზე, ისინი ბავშვური გულწრფელობით მოყვებიან დაწვრილებით მათ მიერ დანაშაულის ჩადენას და დიდი ხალისით განუცხადებენ სასამართლოს, რომ მათ ეს ჩაიდინეს წინასწარ მოფიქრებით და მომავალშიაც ასეთ შემთხვევებში ასევე მოიქცევიან. ან და ხშირად უწყებების ჩაბარებას იმით უპასუხებენ, რომ შევლიან კოშკებში ნათესავებითურთ და იქიდან ტყვიებით იგერიებენ, ვინც მათ საწინააღმდეგოდ მოქმედებას განიძრახავს. [158]) ერთი სიტყვით ყოველგვარი საქმეები, იქნება ეს სისხლის სამართლისა თუ სამოქალაქო, სვანეთში, როგორც ვხედავთ, ,,მორვალს“ ანუ მსაჯულ მედიატორეების განაჩენს ექვემდებარებოდენ და დღესაც კი, როცა სვანეთში სახალხო სასამართლო მუდმივად არსებობს, გვერდს უვლიან მას და ხშირად ადგილობრივი ადათებით ირჩევა საქმე.

154) Ковалевский. Законы и обычаи на Кавказе, т. стр. 22.

155) Предписание кн. Воронцова Кут. Ген. Губ. Гагарину от 15 окт., 1853 г., № 2838.

156) Ковалевский. Законы и обычаи на Кавказе, т. II, стр. 21.

157) Коневский. Любопытные уголки Кавказа. Батумский округ и Сванетия. Стр. 152.

,,მორვალ“

,,მორვალ“-ს სვანები ეძახიან მსაჯულთ-მედიატორეებს, მომჩივნისა და მოპასუხის მიერ ერთმანეთის თანხმობით ამორჩეულთ მათ შორის აღძრულ ამა თუ იმ საქმის გასარჩევად.

როცა სვანეთში მკვლელობა ხდებოდა, პირველ ხანებში მოკლულის ჭირისუფალთან გარიგებაზე ლაპარაკის ჩამოგდება არავის არ შეეძლო, რადგან ეს დიდათ საწყენი და ამაღელვებელი იყო ისედაც დამწუხრებულთათვის და გარდა ამისა სამარცხვინოც. ამიტომ უფრო მიზანშეწონილი იყო ჯერ ათასნაირი მაგალითების

ჩამოთვლით, დიპლომატიური ხრიკებით ,,მახა ლუფინა ზისხი ლიქველე“ – ახლად ადუღებული სისხლის შენელება და ნიადაგის მომზადება. ამის შემდეგ ძველ დროში ,,მახვში“, ხოლო მის შემდეგ მამასახლისი და ხშირად სვანეთის მმართველიც (ბოქაული) უყრიდენ თავს გავლენიან პირებს, რომლებსაც ერქვათ ,,მეცქულარ“ - მოციქულები. მათთან ერთად მიდიოდენ მოკლულის ჭირისუფალთა ოჯახში და იწყებდენ მოლაპარაკებას ჩვეულებისამებრ გარიგების შესახებ. პირველში, რა თქმა უნდა, ისინი ძალიან გაწყრებოდენ ხოლმე და ოჯახის ზოგიერთი ახალგაზრდა წევრიმათი გარიგებაზე ლაპარაკის მოსმენასაც კი გაურბოდა და ამიტომ ორი-სამი მისვლით არაფერი კეთდებოდა და ,,მოციქულების“ შრომა და მეცადინეობა უნაყოფოდ ჩაივლიდა ხოლმე. ბოლოს თუ დაითანხმებდენ გარიგებაზე, ხდებოდა მედიატორეების არჩევა, ხოლო თუ ვერ დაითანხმებდენ, მაშინ ,,მახვში“ მოიწვევდა თემის ყრილობას, ამ უზენაეს იურიდიულ ინსტანციას და მოახსენებდა გარიგებაზე ურჩობის გამწვევთა დანაშაულობას. ყრილობაც თავისი მხრით წინადადებას აძლევდა ურჩობის გამწვევს დათანხმებულიყო გარიგებაზე, წინააღმდეგ შემთვევაში თემის რისხვითა და ჭირში და ლხინში საზოგადოებიდან განრისხვით ემუქრებოდა. ამიტომ სვანეთში საქმე ბოლოს და ბოლოს ძალიან იშვიათად რჩებოდა გაურიგებელი. ასეთი მაგალითი მთელ სვანეთში მე არ ვიცი ერთის მეტი, რომელზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. მხარეების გარიგებაზე დათანხმება უფრო ადვილი იყო მაშინ, როცა სისხლში გათანასწორებული იყვნენ, ე. ი. ერთში ერთი იყო მოკლული, მაგრამ მანამდი კი რამოდენიმე წლობით გარიგებაზე მეცადინეობა თითქმის წყლის ნაყვას უდრიდა. იმ შემთხვევაში, თუ მახვში და მოციქულები დაითანხმებდენ მხარეებს მედიატორული წესით გარიგებაზე, ჯერ მკვდრის ჭირისუფალი ასახლებდა მედიატორეებს. მოციქულები მიდიოდნენ მოპასუხესთან, გააცნობდენ მედიატორეებათ არჩეულ პირების ვინაობას და თუ ვინმე მისი მტერი გამოდგებოდა, შემდეგ ოჯახის წევრები დაეკითხებოდენ ერთმანეთს და თვითონაც არჩევდენ მედიატორეთ ვინც უნდოდათ. მოციქულები ისევ მომჩივნის სახლს უბრუნდებოდენ, იმასაც ეტყოდენ მოპასუხის მიერ არჩეულ პირებს და თუ ამნაირად შეთანხმდებოდენ მედიატორეების არჩევაში, ხომ

კარგი, თუ არა და ხშირი იყო ისეთი მაგალითებიც, რომ დააფიცებდენ მოციქულებს, რათა მიუდგომელი ანუ ნეიტრალური საქმის მცოდნე პირები აერჩიათ მედიატორეებათ და ისინიც ირჩევდენ მათ. ხოლო რა რიგადაც არ უნდა მომხდარიყო მორვების ამორჩევა, ყოველ შემთხვევაში ერთი წესი აუცილებლად უნდა ყოფილიყო და დღესაც არის დაცული:

ა) მორვების რიცხვი უნდა ყოფილიყო უბრალო სამოქალაქო საქმეებზე 3-5;

ბ) უფრო სერიოზულ საქმეებზე, მაგ.: ,,ცვარობ“ – ქალის მიერ ქმრის მიტოვება, ან ქმრის მიერ ცოლის მიტოვება, ,,ქაჩობ“ – კაცის მძიმედ დაჭრაზე, ,,ქორა კვაშა“ – სახლის გატეხვა (Кража со взломом) და სხვ. 5-7;

გ) მკვლელობაზე – 12-24.

მორვების რიცხვი სამოქალაქო საქმეებში ორივე მხრიდან თანასწორია, ხოლო მკვლელობის საქმეში მომჩივანს ზოგიერთ თემში ეძლევა ერთი კაცი მეტი, ,,მუწვრი“, სისხლის ამღები, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლება, დამოუკიდებლად მედიატორეების გადაწყვეტილებისა, მიუსაჯოს მოპასუხეს თავისი შეხედულებით ის საგრძნობი თანხა, რომელზეც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

ცალმხრივობის თავიდან ასაცილებლად მედიატორეები არ უნდა იყვნენ არც ერთი მხრის არც მტერი, არც მოყვარე, და თუ კი რამე გარემოებით ამის თავიდან აცილებას ვერ შესძლებენ, მათი რიცხვიც ორივე მხრიდან ერთნაირი და თანასწორი უნდა იყოს.

,,მორვად“ შეიძლება იყოს არჩეული ყოველი სრულწლოვანი მოქალაქე. ისინი დიდი პატივითა და თაყვანისცემით სარგებლობენ ხალხის თვალში, თუ მიუდგომელ განაჩენს გამოიტანენ. სამართლიანად აღნიშნავს რ. ერისთავი: ,,На Морваров с благоговением смотрят в Сванетии, называя их божьими созданиями” [159]). მაგრამ, მიუხედავად ამისა, მორვად ყოფნას სვანები ძველად ძალიან გაურბოდენ, მათდა უნებურად და მიუხვედრელობით ფიცის გატეხის შიშით, რადგანაც სვანები დარწმუნებული არიან, რომ ფიცის გამტეხი საშვილიშვილოდ უნდა ამოწყდეს, დაიღუპოს და საიქიოსაც ფიცის გამტეხის სული ჯოჯოხეთში უნდა შევიდეს სამარადისო სატანჯველად.

ამიტომ ხშირად მორვების შოვნა არც ისე ადვილი იყო, რადგანაც გაურბოდეს ამას. მაგრამ ამ შემთხვევაში სვანები, როგორც გვაუწყებს თავისუფალი სვანი, თურმე შემდეგ ხერხს მიმართავდენ: იშოვიდენ რაიმე საეკლესიო ნივთს, მაგალითად ბოქლომს ან სხვა საგანს, ადევნებდენ თვალყურს იმ პირს, ვინც არ თანხმდებოდა მედიატორობაში ჩარევაზე, და როცა დანამდვილებით გამოარკვევდნენ მის ბინას, შედიოდნენ იმ სახლში, უჩვენებდენ ზემოხსენებულ ნივთ, მოაკიდებინებდენ მასზედ ხელს, რის შემდეგაც უარის თქმა დაუშვებელი იყო. [160]) როცა დიდი დავიდარაბის შემდეგ მორვების მძებნელი შესძლებს მათ შოვნას, დანიშნულ დღეს თავს უყრის მათ თავის სახლში. პირველათ ისინი მიჰყავს თავის სახლში მომჩივანს სადილათ ან ვახშმათ და ჩინებულად უმასპინძლდება პურით, არყით, ხორცით, ყველით და სხვა. სუფრაზე ის მოახსენებს სარჩელს – საჩივარს, ხოლო ამის შემდეგ მედიატორეები მიდიან მოპასუხის სახლში, რომელიც აგრეთვე უმასპინძლდება მათ ისე, როგორც მომჩივანი, თხოულობს მათგან დაწვრილებით უამბონ მომჩივანის საჩივარი და შემდეგ მიუგებს მორვებს პასუხს და სხვა...

სვანური შურის ძიებისა და მედიატორული წესით მხარეების შერიგების დასახასიათებლად და მსაჯულ მედიატორეების მუშაობის წარმოების წესების გასაშუქებლად, ანუ ნიმუშად საჭიროდ მიმაჩნია მკითხველის ყურადღევა შევაჩერო აქ ერთ ფრიად საინტერესო საქმეზე, რომელზედაც ზემოთ არის ნათქვამი, რომ სვანეთში მედიატორული წესით გარიგებელი არაფერი დარჩენილა, გარდა ერთი საქმისათქო. ეს საქმე გახლავთ ლატალის თემში მცხოვრებ გირგვლიანებსა და ფარჯიანებს შორის მე-18 საუკუნის დამლევს მომხდარი მკვლელობა [161]).

ამ სისხლის ღვრამ მათ შორის იფეთქა მაშინ, როდესაც ჩარკვიანების დახოცვის შემდეგ ლატალელების მიერ გირგვლიანები და ფარჯიანები მათ ადგილ-მამულის გაყოფაში ვერ შეთანხმდენ და ამ ნიადაგზე ერთმანეთს ომი გამოუცხადეს. გირგვლიანებს მიემხრენ კვანჭიანებიც და ერთ დღეს სამტაიშის ტყიდან სროლა აუტეხეს ფარჯიანებს, რომლის დროსაც მოკლულ იქნენ ფარჯიანების მხრიდან: გიერგილ ფარჯიანი და ერთი მოჯამაგირე გურმაჩილა ქაუზა გირგვლიანის მიერ. მალე ფარჯიანებმა შური იძიეს გირგვლიანებზე. მათ მოკლეს ქაუზა

გირგვლიანი. ამას მოჰყვა გირგვლიანების მიერ ბექმურზა ფარჯიანის მოკვლა. გირგვლიანებმა მოისყიდეს ერთი თავისი სახლი-კაცი ომანა რამზიშერებისა, რომელიც თუმცაღა გვარათ გირგვლიანი იყო, მაგრამ ნათესაობით იმდენად დაშორებული იყო შურის მაძიებელ გირგვლიანებისაგან, რომ მისთვის არამც თუ სავალდებულო არ იყო ამ შურისძიების ფერხულში ჩაბმა, არამედ ის ბექმურზა ფარჯიანი, რომელიც გირგვლიანებს ნიშანში ამოღებული ჰყავდათ მოსაკლავად, მის საუკეთესო მეგობრათ ითვლებოდა და ყველაფერში მას ენდობოდა.

ერთ დღეს, როცა გირგვლიანები დადარაჯებულ იყვნენ, ამ ომანამ თავისი მეგობარი ბექმურზა ფარჯიანი გარეთ გამოიხმო და ჩამოჯდენ ერთად იმ ჩირგვების ახლოს, სადაც მკვლელები იყვნენ ჩასაფრებული. ამ დროს გავარდა ჩანხვარ გირგვლიანის თოფი, რომლის ფინთიხი (ტყვია) ბექმურზას თუმცაღა მარჯვენა ხელში და მკერდში მოხვდა, მაგრამ მაინც იშიშვლა ხანჯალი და თავის მოღალატე მეგობარი იქვე მოკლა. ამ ადგილიდან ერთი ფარჯიანების, მეორე გირგვლიანების ოჯახისაკენ გაასვენეს. რამოდენიმე წლის შემდეგ ბექმურზა გირგვლიანი კლავს შაუხან ფარჯიანს შურის ძიების ნიადაგზე თავისი დის მიტოვებისათვის. მოკლულის მეორე ცოლი გულაზარი ამ დროს ორსულად იყო. მას დაებადა ვაჟიშვილი, რომელიც გაიზარდა და, 20 წლის რომ შეიქნა, მოკლა მამის მკვლელი და სხვა...

ყოველგვარი ზომები იყო სვანეთში მიღებული მათ შესარიგებლად, რადგანაც ამ ორი გვარის მტრობა საზოგადოებას ყოფდა ორად, გათიშვა და ყოველგვარი უბედურება შეჰქონდა მათ ცხოვრებაში მაგრამ ამაოდ.

1853 წელს, როდესაც პოლკ. ბართოლომეი შევიდა სვანეთში და ლატალის საზოგადოების მცხოვრებთ აფიცებდა რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შესახებ, იმდენად გამწვავებული იყო მდგომარეობა გირგვლიანებისა და ფარჯიანების შორის, რომ დასაფიცებლად ხალხის ერთად თავის მოყრა შეუძლებელი შეიქმნა.

ბართოლომეი მოგვითხრობს, რომ მას შემდეგ, რაც ლატალელებმა დაადგინეს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა, მას წარუდგნენ ლატალის ,,მახვში“ აბი ფარჯიანი და გირგვლიანების გვარეულობის წარმომადგენელნი თაისავი და დიდი მწუხარებით განუცხადეს, რომ ლატალის ხალხის ერთად დაფიცება

შეუძლებელია, ვინაიდან გირგვლიანებსა და ფარჯიანებს შორის არსებობს ძველი შურის ძიების ნიადაგზე სისხლის აღება... ,,Тщетно я убеждал их, чтобы они воспользовались торжественным случаем при вступлении в Русское подданство, – и достойно ознаменовали бы его забвением противной христианскому учению ненависти; и Тайсав и Аби сочувствовали моему предложению, но, зная своих соотечественников, сомнительно качали головой. Замечательно то, что женщины, со слезами на глазах, просили меня положить конец разгору, составляющему истинное бедствие для обшества. [162])

ბართოლომეიმ ისინი ვერ შეარიგა. ხალხი დასაფიცებლად ორად გაჰყო და გირგვლიანები და ფარჯიანები ამნაირად ცალ-ცალკე დააფიცა. ბოქაულ მიქელაძეს მან დაუბარა მათი შერიგება [163]), მაგრამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა.

1908 წელს, როდესაც მე ლატალის სკოლის მასწავლებლად ვიყავი და ხალხის ყურადღება და პატივისცემა საკმაოდ მქონდა დამსახურებული, როგორც მშვიდობიანობის დამყარების მუშაკს გადამტერებულ მხარეების შერიგებით, ჩემთან მოვიდენ ლატალის მამასახლისი დავით წერედიანი და სხვები, რომლებმაც მთხოვეს გირგვლიანებისა და ფარჯიანების შერიგების ინიციატივობა. მე არავითარი იმედი არ მქონდა და წყლის ნაყვად მიმაჩნდა ამ საქმის დაწყება, მაგრამ უარის თქმაც უხერხულად დავინახე და ბევრი ყოყმანის შემდეგ თანხმობა გამოვუცხადე. ცოტა ხნის მერე ჩვენ გარშემო შემოვიკრიბეთ ლატალის თემის ყველა პატივსაცემი პირები და შევუდექით მოციქულობას. ორი კვირის მოციქულობას ბევრი არაფერი შედეგი მოჰყვა, მაგრამ ისიც დიდ მიღწევად მიგვაჩნდა, რომ სალაპარაკოდ გვღებულობდენ და პასუხს გვაძლევდენ.

ამის შემდეგ ჩვენ წავედით თ. დადეშქელიანთან, რომელსაც მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა ორივე მხარესთან და მათზე გავლენითც სარგებლობდა, და აგრეთვე მაშინდელ სვანეთის მმართველ მ. ასათიანთან, და ვსთხოვეთ მათ დახმარება. თუმცაღა იმათაც შეუძლებლად მიაჩნდათ ეს საქმე, მაგრამ დახმარებაზე თანხმობა მაინც გამოგვიცხადეს. ამის შემდეგ ჩვენ ისევ მივუბრუნდით ჩვენ მიერ დაწყებულ მუშაობას, და როცა საქმე იმ ზომამდე მივიყვანეთ, რომ გარიგებაზე თითქმის დავიყაბულეთ, ჩვენ მოვიწვიეთ ზემოხსენებული პირები დასახმარებლად

ლატალში. ხუთი დღის თავის ტეხისა და სისხლის შრობის შემდეგ მხარეებმა მოგვცეს ხელწერილები გარიგებაზე. ავირჩიეთ 24 კაცი მსაჯულ-მედიატორეებათ, რომლებსაც ჩვეულებისამებრ მოციქულებთან ერთად უნდა გაერჩიათ ეს საქმე. სულ 30 მორვალი ვიყავით. პირობის მაგიერობას ამისთანა შემთხვევაში სწევს ფიცი და ამიტომაც ჩვენ მხარეებს მოვსთხოვეთ, რათა მიეღოთ ფიცი, რომ ისინი ჩვენ განაჩენს დაემორჩილებოდენ. ამაზე უარი რომ ვისმე ეთქვა, რა თქმა უნდა ჩვენ დავიშლებოდით, მაგრამ, როგორც იქნა, დავიყაბულეთ ამ ფიცის მიღებაზე.

დანიშნულ დღეს, როგორც წესია, ყველამ თავი ბრალმდებელ გირგვლიანების სახლში მოვიყარეთ.

სადილი, როგორც შემოღებულია ამ შემთხვევაში, საარაკო უნდა ყოფილიყო. ჩვენ მზად დაგვხვდა პურით, ხორცით, ყველით და ხაჭაპურებით სავსე ტაბაგები. მისვლისთანავე სუფრას შემოვუსხედით, რიგისამებრ დაისხა კათხებში და ქერასხებში უხვად არაყი და თითო კათხა ყველას ჩამოგვირიგეს. ამ დროს სუფრის თავში მჯდომი თემის მახვში (გვარეულობის უფროსი) ადგა ,,საკარცხულიდან“, კათხა ხელში დაიჭირა და მოგვმართა: ,,ხოჩა მორვალ“ (კარგო მორვებო) დღეს სამარცხვინო ,,ტაბაგი“ (სუფრა) სდგას ჩვენს ოჯახში. დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი ყველანი დარცხვენილი და საბრალონი ვართ. ამისთანა სუფრა და საქმე ღმერთმა ააშოროს თქვენს ოჯახებს. ჩვენი საბრალობა და მწუხარება ღმერთმა ნურც ერთ თქვენგანს ნუ მისცეს. მარტო სალხინოდ მოსულიყოს ყველა თქვენს ოჯახებში და ჩემი მადლი თქვენ მოგეცეთ, თუ ამ სირცხვილეულ გარიგებაში მაინც არ დაგვჩაგროთ, თქვენს სწორად და ტოლად ჩაგვაგდოთ“ და სხვა...

ჩვენ ავხმაურდით ყველა ერთად და, როგორც წესია, მივმართეთ: ,,ღმერთმა ამიერიდან შენს ოჯახში მარტო კარგი სუფრა დადგას. დღეს რომ საქმეზე ვართ მოსული, ამისთანა საქმეზე მოსვლა და ხარჯი ააშოროს შენს სახლს და ამიერიდან სალხინოდ და სამხიარულოდ მოვსულიყვეთ შენსას ყველანი“ და სხვა... მერმე ყველამ არაყი გადავკარით. ამის შემდეგ მახვში ჭამას შეუდგა. ჩვენც ყველამ ჭამას მივყავით ხელი. კარგა რომ დავნაყრდით, სამ-სამი კათხა არაყი დავლიეთ წესისამებრ, შემდეგ ადგა სუფრის თავში მჯდომი 80 წლის მოხუცი, სვანეთის 1875 წ. აჯანყებაში მონაწილეობის მიღებისათვის მურის ციხეში ერთი წლის სასჯელის

მოხდის შემდეგ სვანეთში დაბრუნებული ამ ჟამად გირგვლიანების გვარეულობის ,,მახვში“ ბაძუ გირგვლიანი, გაჩერდა კერასთან, დაებჯინა ჯოხს და დაიწყო თავისი ,,სარჩელის“ წარმოთქმა. ამ დროს მედიატორეები, როგორც შემოღებულია, სმა-ჭამას თავს ვანებებთ, ყველა სმენად იქცევა და მთელი ჩვენი ყურადღება მომჩივნისაკენ არის მიპყრობილი.

წარუშლელი იქნება ჩემს მეხსიერებაში ის შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა ჩემზე ჩვენს გარშემო შექმნილმა მდგომარეობამ. სიტყვის დაწყებისთანავე ამ მოხუცმა გადმოღვარა ცრემლები. მის მრავალრიცხოვან გვარეულობის წევრებს შორის ასტყდა ტირილი,ქვითინი და საშინელი ოხვრა-კვნესა. ახალგაზრდები იმდენად აღელდენ, როცა მათი მოკლული წინაპრის მკვლელობაზე ლაპარაკი დაიწყო, რომ სახლში ვერ გაჩერდენ და გარეთ გავარდენ. მრავალჯერ ვყოფილვარ ასეთ საქმეებზე მედიატორეთ, მაგრამ ამგვარი სურათი თითქმის არასოდეს არ მინახავს. ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. ჩვენ ვუსაყვედურეთ მათ ასე აღელვება და მეტი სულგრძელობა მოვითხოვეთ. მახვშიმ თვალებიდან ჩოხის კალთით ცრემლები მოიწმინდა და განაგრძო თავისი გრძელი ოთხ საათიანი ,,სარჩელის“ მჭევრმეტყველურათ წარმოთქმა. სიტყვის გათავების შემდეგ ამდენ ხანს სმენად გადაქცეული მედიატორეები ისევ სმა-ჭამას შევუდექით. ამ დროს მედიატორეების მხრით ბევრიდიპლომატიური სიტყვა დაიხარჯა. სადილი რომ გავათავეთ, აიღეს სუფრა, ჩვენც მათ ოჯახს გამოვეთხოვეთ და მოპასუხის ოჯახში გადავედით.

ორ მედიატორეს, რომელიც მეხსიერებით და ენის სიმკვეთრით ყველას სჯობდენ, დაევალათ დაწვრილებით და დალაგებით გადაეცათ მოპასუხისათვის მომჩივნისაგან ჩვენ მიერ მოსმენილი მის საწინააღმდეგოთ წამოყენებული ბრალდებების შინაარსი, რათა მასაც შესაფერისი პასუხი მოეცა ჩვენთვის.

ამის შემდეგ გაიშალა სუფრა. ჩვეულებისამებრ აქაც, ისე როგორც მომჩივნის ოჯახში, დაიწყო ჭამა-სმა, მომჩივნის ,,სარჩელის“ გადაცემა,საპასუხო სიტყვის თქმა, რამაც კარგა ხანს გასტანა. გათენებისას, ვინც ახლო-მახლო სოფლებიდან იყო, წავიდენ დასაძინებლად თავიანთ სახლებში. დანარჩენებმა იქვე მივიძინეთ. მეორე დღეს დილას ყველამ აქ მოვიყარეთ თავი,

ვისაუზმეთ და შემდეგ მომჩივნის ოჯახში წავედით, რადგანაც მსაჯულ-მედიატორეების მოვალეობას შეადგენს გამოარკვიონ თუ მოპასუხის მიერ რაიმე ისეთი იქნება ნათქვამი, რაც მომჩივანს თავის სიტყვაში არ აღუნიშნავს და რასაც საქმისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ საქმეში კი მოპასუხემ ბევრი რამ ისეთი თქვა, რომ მომჩივნისათვის უნდა გადაგვეცა და ამ საკითხებზე მისი პასუხიც უნდა მოგვესმინა. ეს საქმე იმდენად რთული და ძველი საქმე იყო, რომ მომჩივან-მოპასუხის შორის ჩვენი ამგვარი მისვლა-მოსვლა ორ დღეს გაგრძელდა. ბოლოს აღმოჩნდა ერთი 120 წ. მოხუცი ქალი გირგვლიანების გვარში, რომელიც მაშინ, როცა პირველი მკვლელობა მოხდა, დაბადებული ყოფილა, ხოლო მეორე მკვლელობის შემდეგ მოწმე ყველაფერი იმისა, რაც ამ ორ გვარეულობას შორის მომხდარა. მეც რამოდენიმე თავი კაცებით მისკენ გავეშურე. მან ბევრი საინტერესო ცნობები შემატა მომჩივან-მოპასუხის ნაამბობს. ყოველივე მისი ნაამბობი მედიატორეებისათვის მოსახსენებლად მე რვეულში ჩავიწერე.

ამის შემდეგ მედიატორეები, მომჩივანი და მოპასუხე ჩვეულების თანახმად ვალდებული ვიყავით დასაფიცებლად ადგილობრივ ეკლესიაზე მივსულიყავით, მაგრამ, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც მათი ერთად თავის მოყრა არ მოხერხდა, ჩვენ გადავწყვიტეთ გირგვლიანებისთვის ფიცი მიგვეცა ადგილობრივ მაცხოვრის ეკლესიაში, ფარჯიანებისათვის კი ენაშის ეკლესიაში.ამიტომ პირველად წავედით გირგვლიანებთან ერთად ზემოხსენებულ ეკლესიაში. ეკლესიის კარები გაგვიღო მისმა დარაჯმა გიერგ თამლიანმა და თან გამოგვიცხადა: ,,თუ ვინმე ურწყულ“ – უწმინდური ხართ, ე. ი. ისეთი ოჯახიდან, სადაც ქალებს თვიური ავადმყოფობა ანუ მშობიარობა აქვთ, მოერიდეთ ხატებსო. ჩვენ ყველანი შევედით შიგ, გარდა სამი კაცისა, რომლებიც, ზემოხსენებულ გარემოებით ,,უწმინდურნი“ აღმოჩნდნენ. ისინი ეკლესიის კარებთან აიტუზენ. ეკლესიაში შესულებმა, როგორც წესია, ქუდები მოვიხადეთ, თავიანთ ჯოხებზე და ,,მიჯვრებზე“ ჩამოვაცვით და ეკლესიის კარებთან დავტოვეთ, ხანჯლები და თოფები შიგნით ერთ კუთხეში დავაწყვეთ და მწკრივად დავდექით. აქ ჩვენ წინ დგება ის, რომელიც გვარში ყველას სჯობია ენამახვილობით, ,,მუგურცამი“, დამფიცებლად და იწყებს ჩვენს დაფიცებას შემდეგი სიტყვებით: ,,დიდება და მადლი შენ, ღმერთო

დიდებულო და ამაღლებულო, გევედრები და ისმინე ჩემი ვედრება. მე რომ დღეს უბედური ვარ, საშვილიშვილო სამარცხვინო საქმე მჭირს, ამ საქმის გასარჩევად შენი ხატის წინაშე მდგომი მორვები მყავს არჩეული, თუ მათ სწორი სამართალი არ გამიჩინონ, რაც ჩვენში წესი და რიგია იმდენი არ მომისაჯონ, მე დამჩაგრონ, ჩემი დამჩაგვრელი მოპასუხე ჩემზე მაღლა დააყენონ ან ნათესაობით და მეგობრობით ან ფულის და საქონლის გულისთვის, თავის ტოლად და სწორად არ ჩამთვალონ, იმ რიგად გული არ გადამიშალონ და არ დამაკმაყოფილონ, რა რიგადაც თვითეული მათგანი, ამისთანა საქმე რომ ჰქონდეს. თავის თავს დააფასებდა და დააკმაყოფილებდა, ქრისტე ღმერთო, გევედრები, ,,ხოშამ ღერბათ“, მამა ღმერთს შეევედრე, რომ სანამდე იმდენ ოქროს რქოსან თეთრ ხარს მსხვერპლად არ შეგწირავენ, რამდენიც ციდან წვიმა ჩამოდის, ტყეს ფოთოლი ასხია, დედამიწიდან ბალახი ამოდის, ზღვაში ქვიშა არის, მანამდე საშველს ნუ მისცემ საშვილიშვილოთ, უკუღმა ატარე ისინი და მათ ოჯახებში მყოფნი ამოსწყვიტე და მათ ნამოსახლარზე ,,ცაგ ი მერხელ“ ეკალი და ჭინჭარი ამოიყვანე. ამოაგდე ძირი მათი, ისე როგორც ,,ბაღრილე მუხვიტიანმა“ [164]) მოსპო მისი ფიცის გამტეხნი, პატიებაზე, შებრალებაზე მანამდე არ იფიქროთ, სანამ თორმეტი შენი მოციქული მწირველად არ იშოვონ; ყირიმიდან და იერუსალიმიდან მოტანილი ფქვილი სებისკვერად არ გამოგიცხონ, მის გამომცხობლად ღვთისმშობელი არ იშოვონ; 12 ცხენის საპალნე კახური ღვინო ზედაშედ არ მოგიტანონ, ქელეფანისა და ავი ზნის მეტს სიკეთეს ნუ მისცემ, შვილების მაგიერად გველი და ბაყაყი აშობინე ქალებს მათ ოჯახებში“. ამის შემდეგ აიღებს ქუდს, დაარტყამს მიწაზე და იტყვის: ,,ასე დაამხე მათი სახლ-კარი და ყოფა-ცხოვრება, თუ რომ უტოლოდ ჩამაგდონ, ხოლო თუ სამართლიანად მომექცენ, აბედნიერე, დალოცე და ამრავლე ჩემი მორვებიო“.

ამის შემდეგ, როგორც შემოღებულია, მედიატორეების თავში მდგომმა მიუგო: ,,ამ ხატის მადლმა (ხელი ხატს უნდა მოკიდოს), რაც ძალა და ღონე მაქვს, ჩემ ჭკუა-გონებას შეუძლია, თუ მეცადინი და მსურველი არ ვიყვე თქვენი საქმის სწორად გარჩევისა, ,,იერუ ფხულაშალ“ – ორი თითი რომ ჩემთვის ერთნაირი მნიშვნელობის არის, ისე ერთნაირად თქვენ არ ჩაგაგდოთ, ამისთანა საქმე რომ

თავად მე მქონდეს, რითაც მე ჩემს გულს დავაკმაყოოოფილებდი, იმისთანა განაჩენი შენთვისაც არ გამოვიტანო“ და სხვ...

ამის შემდეგ ,,მორვები“ თვითეულად, როგორც წესია, იმეორებდენ ზემოხსენებულ სიტყვებს და ფიცულობდნენ, ისე როგორც პირველი ფიცის მიმღები, და თან ემთხვეოდენ ხატს. ფიცის გათავების შემდეგ წესისამებრ გირგვლიანებმა მსაჯულ-მედიატორეების ,,ნაღვრიელი“ (გასამრჯელო) თიითოსთვის სამ-სამი მანეთის საღირალი: არაყი, პური, პირუტყვი, ფული და სხვა ავეჯეულობა და ხარა-ხურა დააწყეს იქვე მახლობლად და შემდეგ ჩვენ გავინაწილეთ.

შემდეგ წავედით იმ ეკლესიაზე, სადაც ფარჯიანები გვიცდიდენ დასაფიცებლად, ფიცი იქაც ამ რიგად განმეორდა, როგორც ზემოთ ავსწერეთ.

გადავრჩით ამ ცერემონიებს. ახლა უნდა გაგვეხსნა სხდომა ამ ფრიად მძიმე საქმის განსახილველად. ჩვეულებრივათ მსაჯულ-მედიატორეების სასამართლოს დარბაზს შეადგენს ზამთარშიმ უკაცური სახლი, ზაფხულში როცა ავდარი ხელს არ უშლის, სადმე სოფლის განაპირას ხეებით დაჩრდილული ადგილი. ჩვენ სწორედ ეს მეორე ავირჩიეთ და ჩვენი სასამართლოს სხდომაც ხეებ ქვეშ ერთ მინდორში გავხსენით. დაიწყო საქმის გარჩევა. პირველი სიტყვა, როგორც წესია, უნდა ეთქვა ხნით უფროსს და მის შემდეგ ყველას თვითეულად. ამინდმა ხელი შეგვიწყო. ერთი კვირის განმავლობაში აქ ვიყრიდით თავს და გვქონდა ცხარე კამათი, მაგრამ ძალიან ძნელი შეიქნა ჩვენი შეთანხმება და ერთი დასკვნის გამოტანა. იმიტომ, რომ ძლიერ დიდი ხნის საქმე იყო, მოციქულებითურთ მედიატორეების რიცხვი 30 კაცს აღწევდა და ამდენ კაცში ძნელია ხოლმე ასეთი საქმის გარჩევა ერთსულოვნად. მაგრამ მათ სიმართლეს ის მნიშვნელობა აქვს მომჩივნისათვის, რომ ტოლობისა და თანასწორობის ფიცი მისთვის უფრო დამაკმაყოფილებელია, ვიდრე ,,წორის“ მიღება. ბოლოს ყველაზე უფრო ხანში შესულმა და გამოცდილმა მედიატორეებმა შემოიტანეს წინადადება, რათა ადგილი გამოგვეცვალა და სადმე სხვაგან გადავსულიყავით, ვინაიდან როცა საქმე ასე ძნელი გასარჩევი ხდება, უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ადგილის ამა თუ იმ თვისებას, ე. ი. ზოგ ადგილებს, მათი სიტყვით, პატრონობს ეშმაკი და თუ მედიატორეებს ამისთანა ადგილი შეხვდათ, ვერას გახდებიან,

ხოლო ის ადგილები, რომლებსაც ანგელოზები განაგებენ, ბედნიერია საქმის გარჩევის დროსაცო. მე თუმცა გულში ვიცინოდი ამისთანა მოსაზრების წამოყენებაზე, მაგრამ ტყვილა რომ დრო არ დამეკარგა, აღარ შევედავე და უფროსებისათვის ურჩობის გაწევას ვარჩიე გამოგვეცვალა ადგილი და სადმე სხვაგან გადავსულლიყავით. როცა ახალ ადგილზეც გაჭირდა ამდენი კაცის ერთ აზრზე დაყენება, მაშინ გადავწყვიტეთ საბოლოო დასკვნის გამოტანის უფლება მიგვენიჭებია ხუთი კაცისთვის იმ პირობით, რომ რასაც ისინი გადაწყვეტდენ, ყველა იმაზე დავთანხმებულიყავით. სხვადასხვანაირად მოაზროვნე ჯგუფებიდან გამორჩეული იქნა თითო კაცი და ამ ხუთ კაცის მუშაობამ უფრო დააჩქარა და გააადვილა ჩვენი საქმე, ვიდრე ადგილის გამოცვლამ. ჩვენ ხუთი კაცის მიერ გამოტანილი დასკვნა გამოეცხადა იქვე მსაჯულ-მედიატორეებს, – და უნდა ითქვას სიმართლე, რომ სიამოვნებით და უყოყმანოდ იქნა დადასტურებულილ ერთხმად ყველას მიერ, რის შემდეგაც გადაწყდა ,,ბაჩა ლილჯენი“ (ქვის ჩაფლვა).

ჩვეულებისამებრ ერთმა მსაჯულთაგანმა აიღო ქვა, ამოთხარა ხანჯლის წვერით მსაჯულების წინ მიწა, ჩაჰფლა შიგ ქვა და ზევიდან მიწა დააყარა.

სამართლიანად აღნიშნავს თავისუფალი სვანი ერთ თავის წერილში, რომ ამ ქვის ჩაფლვა სვანურ იურიდიულ წესწყობილებაში ნიშნავს მსაჯულ-მედიატორეების მიერ საქმის შეთანხმებითა და კეთილად დაბოლოვების დადასტურებას. გარდა ამისა ,,ბაჩა-ლილჯენის“ ის მნიშვნელობა აქვს, რომ როგორც ეს ქვა იყო მიწაში ჩაფლული, ისე მსაჯულების გულში ყოფილიყო მათი განაჩენი დამალული, საიდუმლოებით მოცული მანამდე, სანამ განაჩენის გამოცხადების დრო არ მოაწევდა, ე. ი. ეს ქვის ჩაფლვა, მოკლეთ რომ ვსთქვათ, არის ნიშანი საიდუმლოების შენახვისა, რათა მხარეებს განაჩენის შინაარსი არ გაეგოთ დრომდე და საქმე არ გართულებულიყო.

ამ საქმის გარჩევის დროს ჩვენთვის თავსატეხ საგნათ გადაიქცა პირველი მკვლელობა, ე. ი. გიერგილას მოკვლა გირგვლიანების მიერ, რადგანაც გირგვლიანები გაიძახოდენ, რომ მათ წინაპრების მიერ არ იყო მოკლული, არამედ სროლის დროს მათ ჯარში მყოფ სხვა გვარის კაცებისაგანო. ჩვენი წინაპრებიც ტყუილა იქნა ამ

საქმეზე ფარჯიანების მიერ მოკლულიო. ფარჯიანები კი, მაინც თავისას ამტკიცებდენ. ამიტომ ჩვენ ადათისამებრ ვალად დაუდევით გირგვლიანებს ,,24 ლუფხვილით“ [165]) ლიმწოდაალ ანუ ,,ლინბანაალ“ [166]) თორმეტი მაფიცარის ფიცში ჩაყოლებით თავის გამართლება, რომ გიერგილა ფარჯიანის მკვლელი მათი წინაპრები არ ყოფილიყვნენ. ამ ფიცს რომ ძალა ჰქონოდა, ისინი ვალდებული გავხადეთ წესისამებრ, დაეწყოთ დაფიცება სოფ. ლახუშტიდან მარცხნისაკენ უნდა ჩამოყოლოდენ ხუთ ტაძარს და ყველგან ხატების ნაბანი წყალი დაელიათ. ხატის ნაბანი წყლის დალევა გირგვლიანებს და მათ მოფიცრებს ჩვენ გამოუცხადეთ ეკლესიის კარებთან, რამაც დიდი აურ-ზაური და ალიაქოთი გამოიწვია, რადგანაც ხატის ნაბანი წყლის ძალის მუცელში ჩაშვება საძნელო საქმეთ ჩასთვალეს. ამ გადაწყვეტილებამ ძალიან შეაშფოთა ისინი და, ჩემდა საუბედუროდ, ამის გამოცხადება, როგორც მედიატორეების თავმჯდომარეს, მე მხვდა წილად.

ჩვენ შორის იყო ერთი გირგვლიანის ნათესავი მედიატორეთ, კაცი ერთობ ტლანქი და ჯიუტი. როდესაც ის დარწმუნდა იმაში, რომ მისი ნათესავები ხატის ნაბანი წყლის დაკევით თავის მართლებას ვერ შესძლებდენ, ხოლო თუ ამას აიშორებდენ თავიდან, შესძლებდენ ფიცით თავის მართლებას და ამ შემთხვევაში ერთი კაცის ,,წორს“ სისხლის ფასსაც მიიღებდენ, მოერია ნათესაური გრძნობა და მომდო შარი, თითქოს მსაჯულ-მედიატორეების მიერ არ ყოფილიყოს გადაწყვეტილი ხატის ნაბანი წყლის დალევა, არამედ ეს ჩემით უნდა გამომეცხადებინოს. ამ ამბის გაგონებამ, რა თქმა უნდა, დიდათ აღაშფოთა ჩემზე გირგვლიანები; ასტყდა ყვირილი, გინება, წყევლა ჩემს წინააღმდეგ. მე მივმართე გირგვლიანებს დამშვიდებულიყვნენ და მოეცათ ჩემთვის საშუალება ამეხსნა მათთვის თუ რამდენად ვიყავი დამნაშავე. ისინიც დამშვიდდენ. მე დავუძახე ჩემთან იქვე ახლოს მდგომ მედიატორეებს, მწკრივათ გავაჩერე და ვსთქვი: ,,გაგიწყრეთ რაც ამ ეკლესიაში ხატ-ჯვარია ამათი მადლი, თუ მართალი არ თქვათ, გირგვლიანებს რომ ხატის ნაბანი წყლის დალევით დაფიცება გამოუცხადეთ, ეს თქვენი გადაწყვეტილება არის, თუ მარტო ჩემი მოგონილიათქო“. ყველა მედიატორეებმა ერთხმად დაიძახეს: ,,ვფიცავთ არა მარტო ხატებს, არამედ ყველა იმ 5 ეკლესიის წმინდანების მადლს, სადაც დღეს ამათი დაფიცება უნდა მოხდეს,

რომ ეს არის ყველას გადაწყვეტილება და არა ეგნატეს გამოგონილიო, ზიზღი და შეჩვენება ასეთი ტყუილის მომგონებელს, გაუწყრეს მას ის ხატი, რომელზედაც ჩვენ ვიყავით დაფიცებულნი, რომ ცალმხრივობას ამ საქმეში ადგილი არ ჰქონოდაო“. ამან უცებ დაამშვიდა გირგვლიანები, რომლებმაც ბოდიში მოიხადეს ჩემთან და დიდი აურ-ზაურის შემდეგ დათანხმდენ მხოლოდ ერთ ეკლესიის ხატის ნაბანის წყლის დალევით დაფიცებას, რაზედაც ფარჯიანებიც დავითანხმეთ. ამის შემდეგ ჩვენ განვაგრძეთ ჩვენი საქმე. გირგვლიანები და მათი ლუფხვილები (მოფიცარები) ჯერ ლახუშტში დავაფიცეთ, შემდეგ ლაჰილში, მერე მაცხოვრის ორ ეკლესიაში და ბოლოს ენაშის ეკლესიაში. ამნაირად, ჩვენ მიერ განვლილი გზა ,,ლერთანთე სიპდა“ მარცხნისკენ ბრუნავდა, რაიცა დაფიცების დროს ხატის ნაბანი წყლის დალევაზე უფრო საშინელია სვანური თვალსაზრისით. ამ დაფიცების შემდეგ ენაშის ეკლესიის გალავანში გავაჩერეთ ერთი მხრით გირგვლიანები, მეორე მხრით ფარჯიანები, შუაში მორვები დავდექით. დაიწყო განაჩენის წაკითხვა. ხალხი სმენად გადაიქცა, ყველა რაღცას ბუტბუტებდა და ღმერთს ევედრებოდა, რომ გარიგების საქმე კეთილად დაგვირგვინებულიყო და ამ ორ თემს შორის სისხლის ღვრას ბოლო მოღებოდა. გათავდა განაჩენის კითხვა, არც ერთი მხრიდან საყვედური არ ისმოდა ეს კი იმას ნიშნავდა, რომ განაჩენით ყველანი კმაყოფილი იყვნენ. განაჩენი ანუ ჩვენი დადგენილების დედანი უნდა ჩაკერებულიყო ენაშის ეკლესიის ძველ ხელნაწერ სახარებაში, რომელიც ეკლესიაში უნდა შენახულიყო. ამიტომ მღვდელმა გამოიტანა ეს სახარება ეკლესიიდან და ჩვენც ჩავაკერეთ მასში ჩვენი დიდი ხნის ნაწვალები განაჩენი. ამის შემდეგ მედიატორეებმა ამოვირჩიეთ ჩვენ შორის 6 კაცი ჩვენი განაჩენის სისრულეში მოსაყვანად დანიშნულ დღეს ამ მედიატორეების თანხლებით ფარჯიანებმა მიიწვიეს გირგვლიანები ოჯახში ვახშმად, როგორც წესი მოითხოვდა. მისცეს მათ საჩუქრები და რაც მოძრავი ქონება ჰქონდათ მისჯილი.

მაგრამ წორში მისჯილ ყანების მიცემას ამ ექვსმა კაცმა თავი ვერ გამოაბეს, ამიტომ გირგვლიანებმა მოკლეს ერთი ფარჯიანი. წარსულ 1926 წ. ბოლოს ფარჯიანებმაც მაგიერი გადაუხადეს და მოკლეს ერთი გირგვლიანი. მდგომარეობა მათ შორის იმდენად

გამწვავდა, რომ ლატალის თემი ორათ გაიყო. ყრილობებზე ანდა რაიმე საერთო საქმეზე ერთად ხალხის თავის მოყრა შეუძლებელი გახდა. გირგვლიანების გვარეულობის ახალგაზრდობას სკოლა დაკარგული ჰქონდათ, რადგანა ის ფარჯიანების სოფელშია აგებული და მათი სიძულვილით თავის შვილებს გირგვლიანები იქ არ უშვებდენ. მალე მოსალოდნელი იყო კიდევ სისხლის ღვრა და ამიტომ ადგილობრივი ხელისუფლება იძულებული შეიქმნა მხარეების შესარიგებლად ზომები მიეღო, რაიცა მე დამევალა. ანდ. კვაჭაძის დახმარებით მე შევსძელი ამ ორი გვარეულობის შერიგება, და, იმედია, 120 წლის განმავლობაში მძვინვარე სისხლის ღვრას ბოლო მოეღება.

159) Р. Эристов. Заметки о Сванетии, стр. 9.

160) Р. Эристов. Заметки о Сванетии, стр. 9. ,,ივერია“, 1887 წ.

161) გირგვლიანები სცხოვრობენ ლატალის თემში სოფ. მაცხვარიშში და შყალერში და შესდგებიან 30 კომლისაგან, ხოლო ფარჯიანები სცხოვრობენ იმავე თემში სოფ. იენაშში და შესდგებიან 22 კომლისაგან. უკანასკნელნი არიან იმ ვახტანგ ფარჯიანის შთამომავლობის, რომელიც თავისი მოღვაწეობით ცნობილი იყო მე-11 საუკუნეში ბაგრატ კურაპალატის მეფობის დროს. ზეგანის ღვთისმშობლის ეკლესიაში ინახება ერთი ხელნაწერი ივანე მესვეტისა, რომელშიდაც ვახტანგ ფარჯიანი ასე არის მოხსენებული: ,,მე გლახაკმან იოვანე მესვეტემან აღვწერე წამება ესე წმინდათა მოწამეთა, წმ. გიორგისა და წმ. თეოდორეს სასწაულნი სალოცველად ადიდენ ღმერთმან ვახტანგ ფარჯიანისა და ღვთივ მინიჭებულთა შვილთა მისთა აწ ვინ იკითხავდეთ გულსმოდგინეთ ულოცავდით, რათა ღმერთმან ერთობითადიდნეს შვილნი და მშობელნი ნებასა ზედა მათსა ამინ. დაიწერა სვეტს ზედა ჭყონდიდსა აწდ ღმერთმან. მეფობასა ბაგრატ კურაპალატისა ინდიქტიონსა: დ: ქორონიკონსა ს: ნ: ა: ხელითა იოვანე მესვეტესათა“.

ბაქრაძის აზრით, ეს დაწერილია ბაგრატ მე-4 დროს, რომელიც მეფობდა 1009-1072 წლამდე. ჭყონდიდის მონასტერი ეხლანდელი მარტვილიაო. Бакрадзе. Сванетия. Стр. 113.

162) Бартоломеи. Поездка в Вольную Сванетию. Записки Кавк. Отд. Имп. Рус. Георг. Обш. Стр. 187.

163) Бартоломеи. Тамже. Стр. 188.

164) ,,ბაღრილე მუხვიტიან“ მესტიის მარგიანების მთავარ ანგელოზის ეკლესიის ერთ პატარა ხატსა ჰქვია.

165) ლუფხვილი წარმოსდგება სიტყვა ,,ფულე“-საგან, ე. ი. თითით ამორჩეულ მოფიცარს უნდა ნიშნავდეს.

166) ლიმბანაალ – სიტყვა ნაბანისაგან წარმოსდგება, რაც ნიშნავს ხატის ნაბანის დალევით დაფიცებას.

სამედიატორო განაჩენის სისრულეში მოყვანა

ხშირად განაჩენის შედგენიდან სისრულეში მოყვანამდე რამოდენიმე თვე გაივლის ხოლმე. ამ ხნის განმავლობაში ,,წორის", სისხლის ფასის, გადამხდელი ემზადება მის გადასახდელად და როდესაც მზადაა, შეატყობინებს მორვებს, რომ თავი მოიყარონ და მომჩივანს ანგარიში გაუსწორონ. მორვებიც თავს იყრიან. პირველად მიდიან ყანებში ბაწრებით ხელში და იქ საუკეთესო ყანებში მიუზომავენ ,,ნავერიანა წორა ნალჯვემს" – ნავერიანის სისხლის მიწის ზომას. ამის შემდეგ უნდა მოხდეს ,,ქორთე ლიჟვაალ", ე. ი. ,,წორის" გადამხდელის მიერ მოკლულის ჭირისუფლისა და ნათესავების თავის ოჯახში ვახშმად მიპატიჟება. ყველა მედიატორეები მომჩივნის სახლში მიდიან, თავს უყრიან ვისთვისაც სავალდებულოა დამნაშავის ანუ მკვლელის სახლში მისვლა და ყველანი ერთად მიდიან მასთან. მკვლელი ამ დროს ვალდებულია დაიმალოს და არ ეჩვენოს მის მიერ მოკლულის ჭირისუფალს. ოჯახის წევრები დგანან შორს კუთხეებში და ნმასპინძლის მაგიერობას სტუმრების სამსახურში მისი ახლობელი ნათესავები და მეზობლები სწევენ. მართალი მოგახსენოთ, არაფერი სასიამოვნოა ასეთი სცენის და სუფრის დასწრება. მასპინძელი და მკვლელი ჭირისუფლების ხათრით სტუმრებთან გამოჩენას ერიდებიან, მიმალული არიან და სტირიან გულში სისხლის საფასურის გადახდას, ამდენი ხნის ნაშენებ ოჯახის აოხრება-განადგურებას. მოკლულის ჭირისუფლებისათვის სიკვდილია მათ ოჯახში ვახშმად ჯდომა, მაგრამ სვანური ადათი ავალებს მათ ამას. ისინი მთელი ღამე სხედან, არ სვამენ და არ ჭამენ, ფიქრობენ აგრეთვე იმაზედაც, რომ ,,წორა ლიკედ" სისხლის საფასურის აღება, რასაც სვანები ეძახიან ,,უმა მუზვებს", რაც არ იჭმევა იმის მჭამელს და სამუდამო ჩირქს სცხებს მათ გვარსა და მომავალს. ასე თუ ისე, იწყება ვახშამი. დგამენ ტაბაკებს, რომელსაც ქალები უცბად ავსებენ პურით. კაცები ჩამოარიგებენ და მოართმევენ ყველას თითო ,,ლაგაფს" – ულუფას, მეწდე არაყს ასხამს კათხებში და ქერახსებში და სათითაოდ ჩამოურიგებს ყველას. სუფრის თავში მჯდომი მორვების ,,მახვში" უფროსი ანუ თავმჯდომარე იწყებს თავის გრძელ სიტყვას, რომლითაც ცდილობს მრავალ-გვარი მაგალითები და საბუთები მოუყვანოს შესარიგებელ მხარეებს მის შესახებ, რომ

,,ლიმოროვ“ მედიატორობა ღვთისაგან გაჩენილა, წორის მიცემა და მიღება ახალი საქმე არაა, რომ იგი არავინ არ უნდა იუკადრისოს. ბოლოს იტყვის ,,ამ გვარ ლამოროვ-ლასოროვ“ – ამისთანა მედიატორობა თქვენს ოჯახში არ განმეორებულიყოს და ბედნიერი იყოს თქვენი შერიგებაო. ასეთი დამამშვიდებელი სიტყვების თქმას სცდილობს თითოეული მედიატორე მხარეების გულის ტკივილების შესამსუბუქებლად. შუა ჭამაზე გამოჰყავთ მკვლელი, რომელიც იჩოქებს, დამწუხრებული სახით. მიდის მოკლულის მთავარ ჭირისუფალთან, სინანულს გამოსთქვამს და ითხოვს პატივებას. შემდეგ აღუთქვამს ხარის ანუ სხვა რამეს ჩუქებას. ოჯახის სხვა წევრებს მოკლულის ნათესავებმა უნდა გაუგზავნონ თითო კათხა არაყი, რის შემდეგაც ისინი მიდიან მათთან საჩუქრებით, ვისაც რამდენი შეუძლია, 3 მ.-მან-დე. ხშირად ამ დროს დამნაშავე ან მისი ოჯახის რომელიმე წევრი ითხოვს, რომ იშვილოს მოკლულის რომელიმე უახლოესმა ნათესავმა, რათა ნათესაური კავშირი დამყარდეს მათ შორის და გარიგებაც უფრო საფუძლიანი იყოს. თუ ამაზე შეთანხმდენ, ეს იმავე წესით ხდება, როგორც ზემოთ არის აღნიშნული. ხშირად მოკლულის ჭირისუფალი მოითხოვს: კერას, ნაჭას (ქვაბის ჩამოსაკიდებელ ჯაჭვს) და ცეცხლზე წყლის გადასხმას. ყველა ამას სვანურ იურიდიულ წესწყობილებაში ის მნიშნელობა აქვს, რომ მისი ნათესავის მოკვლით ოჯახი დაიღუპა, აიყარა და გაქრა. წყლით ცეცხლის დაქრობას ამჟამად თითქმის არსად არა აქვს ადგილი, ხოლო კერისა და ჯაჭვის მოთხოვა ხშირია. თუ მედიატორეების ხვეწნა ამ შემთხვევაში გასჭრის, დაატოვებინებენ და მათ ღირებულებას მიაღებინებენ, რაც დიდ დათმობათ ითვლება. ამ ანგარიშების გასწორების შემდეგ წორის მიმღები აძლევს მედიატორეებს ,,ათისთავს“ – თუმანზე მანეთს გასარჯელოს.მწორის გადამხდელს უფლება აქვს მოთხოვოს მის მიერ მოკლულის ჭირისუფალსა და ნათესავებს ერთგულების ფიცი. მედიატორეებსაც ორივე მხარე მიჰყავთ დასაფიცებლად იმ ეკლესიაზე, რომელიც ყველაზე უფრო ,,მძლავრია“ და აფიცებენ მათ დამნაშავის ერთგულებაზე და ეს ერთგულების ფიცი არის დასასრული წერტილი მორიგებისა მოჩხუბართა შორის. თავისუფალი სვანეთისთვის ასეთი ფიცის მოსახდენად უპირატესობა ეძლევა კალის წმინდა კვირიკესა და იულიტეს მონასტერს. მის შემდეგ უშგულში ,,უშგულა ლამარიას“ – დედა

ღვთისას. იფარში იფარის ,,ჯგრაგს“ – წმ. გიორგის, მულახში ,,მულახის მაცხვარს“ მულახის მაცხოვარს და ,,მუჟალვა თარინგზელს – მუჟალის მთავარ ანგელოზს, მესტიაში ,,ჯგრაგს“ – წმ. გიორგის, ლატალში ,,იანს“ – წმ. იონს, ,,მაცხვარს“ – მაცხოვრის ეკლესიას.

სადადეშქელიანო სვანეთში: ბეჩოში ,,გულა გაბრიელს“, ეცერში ,,მუჭქვილ თარინგზელს“ და ფარში ,,სვიფის ჯგრაგს“ სუფის წმ. გიორგის, ლახამულაში – გირგედს.

,,წორ“ – სისხლის ფასი თავისუფალ სვანეთში

ეხლა განვიხილოთ ის, თუ რამდენათ ფასობს სვანურ იურიდიულ წეს-წყობილებაში კაცის სისხლი ან სისხლის სამართლისა თუ სამოქალაქო ხასიათის სხვა საქმეები.

,,წორი“ სვანეთში თითქმის თითოეულ საზოგადოებას თავისებურად აქვს დაწესებული.

მაგალითად: ს. უშგულში ,,წორი“, სისხლის ფასი, შესდგება ექვსი ნალჯომი, ანუ დღიური, საუკეთესო ყანისაგან. თითო ,,ნალჯომი“ ღირს ექვსი ცალი ხარი.

ამას გარდა მკვლელმა უნდა მისცეს დაზარალებულთ ,,ლადგარია თვეფ“, ე. ი. ის თოფი, რომლითაც მან კაცი მოჰკლა. მოკლულის ახლობელ ნათესავებს (დედა, მამა, ძმა, და და ცოლი) საჩუქრათ თითო ხარი.

კალის საზოგადოებაში ,,წორი“ უშგულის საზოგადოების წორისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ აქ სისხლის საფასურის ანუ წორის მიმღებს შეუძლია წაიღოს კერა და ნაჭაც (ჯაჭვი).

იფარის საზოგადოებაში წორია: სამი ,,ნალჯომი“ ყანა, ორი ნალჯომი სათიბი და ერთი ნალჯომის საღირალი მოძრავი ქონება.

მულახის და მესტიის საზოგადოებებში ეგრეთ წოდებული ,,ნავერიანი წორ“ შეადგენს სამ ნალჯომ (დღიური) ყანას, სამ ნალჯომ სათიბს. მოკლულის დედ-მამას, ძმას და დას საჩუქრათ ეძლევათ თითო ხარი, ცოლს ძროხა, სხვა ნათესავებს 2 ათსიშიდან 10 ათსიშამდე [167]), ე. ი. 12 მან. 60 მანეთამდე და ,,მუწვრი მაღვრა“ [168]).

ლატალის და ლენჯერის თემებში წორს შეადგენს 24 ნალჯომი სახნავი მიწა და სათიბი, დანარჩენი - როგორც მულახში და მესტიაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქაური 4 ნალჯომი უდრის ზემოხსენებული თემების 1 ნალჯომს და აგრეთვე განსხვავება მდგომარეობს იმაშიც, რომ აქ არ იციან ,,მუწვრი მაღვრა".

167) ათსიში უდრის 6 მანეთს.

168) მუწვრი – მსაჯულ-მედიატორეების გარდა საკუთრად მომჩივნის მიერ ამორჩეული კაცი, რომელსაც შეუძლია დამოუკიდებლად მიუსაჯოს ჭირისუფალს წორს გარდა 60 ათსიშამდე, ე. ი. 360 მანეთამდე. ,,მუწვრი მაღვრა" ეწოდება მის მიერ მისჯილ თანხას.

,,წორ" – სადადეშქელიანო სვანეთში

ბეჩოს თემში, ბეჩო ლეჩყანში წორი შეადგენს 6 ნალჯომს (დღიურს) ყანას და 6 ნალჯომს სათიბს, საუკეთესო ადგილას, ხოლო მაზერის უბანში 12 კურთხალანს, რომელიც უდრის ბეჩვი-ლეჩყანის 14 ნალჯომს. დაზარალებულს წორში მიაქვს აგრეთვე ლადგარია თვეფ [169]), საუკეთესო ხარი და 300 მან. საჩუქრები. ბეჩოს წორს უდრის ეცერის, ფარის და ჩუბეხევის საზოგადოებების ,,წორები".

ამნაირად, წორი, ცოტა განსხვავებების გარდა, თითქმის ყველგან ერთი და იგივეა მთელს ზემო სვანეთში, ხოლო ქვემო სვანეთში წორი შეადგენს ამის ნახევარს.

,,ლიცვრე" – მიტოვება ცოლის ან ქმრის

სიკვდილის შემდეგ სვანეთში ყველაზე უფრო შეურაცმყოფელი ანუ საწყენი არის ,,ცვარა" – ცოლის მიერ ქმრის მიტოვება ანუ ქმრისგან ცოლის მიტოვება. ამ სირცხვილის დასაფარავად დამნაშავის მოკვლა არის საჭირო. ხოლო თუ საქმე სვანური ჩვეულებითი სამართლით ანუ მედიატორობით გადაწყდება, ეს ითვლება კაცის მოკვლის ნახევარ ფასად ანუ ნახევარ ,,წორად".

,,ლიბჭაანი“

გაუთხოვარ ქალს თუ ვინმე შვილს აყოლებს და ცოლად არ შეირთავს, ამას ქვია ლიბჭაანი. ეს მთელი გვარეულობის შეურაცყოფას შეადგენს და გარიგების დროს ესენიც ნახევარ წორად ფასობს.

,,ფურა“ – გახმობა ჭრილობისაგან

მძიმე ჭრილობა, რომელიც დაჭრილის რომელიმე სხეულის ნაწილის გახმობას, მაგ. ხელის, ფეხის და სხვა გამოიწვევს და აგრეთვე ყურის, ცხვირის მოჭრა, პირისახის ჭრილობისაგან დადაღვა ნახევარ წორად ფასდება.

,,ქაჩობ“ (დასისხლიანება)

მსუბუქ ჭრილობას სვანები ეძახიან ,,ჰაშიდ ქაჩას“ – მსუბუქად დაჭრას და ამ შემთხვევაში თუ ჭრილობისაგან დიდი დაღი არ დარჩება, ჭრილობა ფასობს 6 ათსიშიდან (26 მ.) 40 ათსიშამდე (240 მან.).

169) ,,ლადგარია თვეფ“ ნიშნავს თოფს, რომლითაც მოხდა მკვლელობა.

,,ფუკვიდ“ ანუ ,,კადარდ ნაყირვ“

,,ფუკვიდ“ ანუ ,,კადარდ ნაყირვ“ ნიშნავს მშრალად ანუ მსუბუქად დარტყმას და ფასობს 2 ათსიშიდან (12 მ.) 10 ათსიშამდე (60 მ.).

,,ლიწრაალ“ სიტყვით შეურაცყოფის მიყენება

სიტყვით შეურაცყოფას სვანეთში წარმოადგენს შემდეგი:

,,ქივაი“, ,,დულვაი“ ანუ ,,თაშაი“ – ყველის პარია. ყველს ვაჟკაცი არამც თუ მოიპარავს, არამედ შეუძლებელია მის შესანახავ ჭურჭელს ,,ზერდ“-ს და ,,თუშინგ“-ს ხელი წააკაროს მანამდე, სანამ მას ქალი არ დაჭრის ან სახაჭაპურედ გამომცხვარს ან მოხარშულს (,,თაშმუჯაბი“) წინ არ დაუდგამენ. მისი პარია კატასთან გათანასწორებულათ ითვლება და ეს შეურაცყოფაც სვანური სამართლით მძიმეთ დაჭრას უდრის ვაჟკაცისთვის და მესამედ წორად მაინც ფასობს. ამაზე ნაკლებ შეურაცყოფად არც ,,ლუგროლაი“ – კვერცხის პარიობა ითვლება. სხვა ქურდობა, მაგ.: ხარის, ძროხის, ცხენის, ცხვრის, თხისა და ასეთების არ არის სასირცხვილო. ქურდებს ხდებათ ნაქურდალი მხოლოდ ერთი ორად.

,,ქორა კვაშა“ – სახლის გატეხა

სახლის გატეხა ნიშნავს ურდულ გაყრილი კარები თუ გააღო ქურდმა, ან კედელი გამოანგრია და ან ფანჯრიდან შეძვრა (Кража со взломом) და ისე მოახდინა ქურდობა. ეს ოჯახის დამცირებად, ღირსების ახდად და დიდ შეურაცყოფად ითვლება. ამ შემთხვევაში ნაქურდალის ერთი ორად გადახდა არ შველის. ქურდმა ,,ქორა ნაკვშიერ“ – სახლის გატეხვისა და გალანძღვისათვის უნდა გადაიხადოს 12-20 ათსიშამდე (72-120 მან.).

ოთხფეხა საქონლის მოკვლა მოკლული საქონლის ფასის გადახდით ანაზღაურდება, მაგრამ ძაღლის მოკვლისათვის მისი მკვლელი იხდის საშუალო ხარს.

,,ტყვეობ“ – ტყვეობა

ეს ჩვეულება რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შემდეგ სვანეთში მოისპო, ხოლო ძველ დროში ხშირად იყო. ერთსა და იმავე საზოგადოებაში დატყვევებას არ ჰქონდა ადგილი. ტყვედ მიჰყავდათ მხოლოდ სხვა საზოგადოებისა და ქვეყნის მცხოვრები. თუ ერთი საზოგადოების კაცი მეორე საზოგადოების კაცს დაატყვევებდა და გზად სხვა საზოგადოებაზე გაივლიდა,

უკანასკნელს უფლება ჰქონდა გაეშვებინა დატყვევებული; დამტყვევებელი საყვედურს ვერ ეტყოდა მხსნელ საზოგადოებას, კერძო პირს კი. [171]) პირველ ხანებში ტყვე მიჩენილ კაცების ზედამხედველობით დადიოდა და უცდიდა მის სახსარს. თუ შეიტყობდენ, რომ დატყვევებულის ჭირისუფალი არ ამზადებდა მის დასახსნელად სახსარს, ამ შემთხვევაში, თავისუფალი სვანის ცნობებით, ხმარობდენ შემდეგ ზომებს: ტყვეს გაუყრიდენ რკინის ბორკილებს ფეხებში, ან შეუყრიდენ ცალ ფეხში ,,ხულს" ხის ხუნდს და დაამწყვდევდენ გვემში (ან დილეგში). ხუნდი იყო ხისა, მრგვალი, სიგრძით არშინზე ცოტა ნაკლები, შუაზე გაყოფილი იყო ორათ. ეს თანასწორი ნახევარი ხუნდისა შიგნითა მხრით მრგვალად ამოთლილი იყო შუა ადგილას იმდენად, რამდენათაც საჭიროა მისთვის, რომ შიგ კაცის წვივი მოთავსდეს. ფეხში შეყრის დროს ხუნდი გაიხსნებოდა, შეყრის შემდეგ იკეტებოდა ერთგვარი ხის ბოქლომით. ხუნდს მობმული ქონდა შუაზე ბაწარი, რომლის მეორე ბოლო ტყვეს ეჭირა ხელში. სიარულის დროს ტყვე ბაწრის საშუალებით იმსუბუქებდა ფეხზე დაწოლილს ხუნდის სიმძიმეს. ტყვეს ბინად მიჩენილლი ჰქონდა დილეგი, ე. ი. კოშკის ქვედა სართული, რომელსაც კარი არა აქვს. კარის მაგივრობას სწევს ერთი კუთხიდან ამოჭრილი ,,ლეები", საიდანაც ტყვეს ჩაუშვებდენ კიბით. შემდეგ კიბეს ამოიტანდნენ და ჭერში ამოჭრილ ჩასავალს ,,საქველით" ლოდით დახურავდნენ, საჭმელსაც აქედან აწვდიდენ. ამიტომ ჭირისუფალი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ სახსარი მოეტანა და ამით გამოეხსნა დატყვევებული აუტანელ მდგომარეობიდან [172]).

171) რ. ერისთავი. Сванетия, თავისუფალი სვანი. გაზ. ,,ივერია", 1886 წ.
172) თავისუფალი სვანი. გაზ. ,,ივერია" 1886 წ.

როგორ ხდებოდა სახსრის მიცემა

სახსრის მიმღები თხოულობდა თავის სახლში დატყვევებულის ოჯახიდან მძევლებს. თითონ მიდიოდა ,,მახვშის" თანხლებით მის სოფელში და ღებულობდა სახსარს. ამის შემდეგ ის შინ ბრუნდებოდა, ტყვესა და მძევლებს თავის ერთგულებაზე

აფიცებდა და ანთავისუფლებდა. ტყვედ წაყვანა იმდენად სასირცხო იყო სვანეთში, რომ თუ ის ამ სირცხვილს არ დაფარავდა, ნაკურთხ მიწაზე დამარხვის ღირსადაც კი არ მიაჩდათ. ჩვეულების ძალით ბორკილებ და ხუნდნაყარი ტყვე ღირსება ჩამოხდილი იყო. და რადგანაც ამ ღირსებას მხოლოდ დამტყვებელის მოკვლა აღუდგენდა, ამიტომ მკვლელობის ერთ უმთავრეს მიზეზად სვანეთში კაცის დატყვევება ითვლებოდა [173]).

სვანეთში დღემდის სიტყვა ,,ტყვე“ ან ,,ტყვეილდ“ საგინებელ და გასალანძღავ სიტყვად არის მიჩნეული.

1918 წელს უშგულელებმა დაატყვევეს ერთი სვანი 3 დღით, რისთვისაც მთელმა თემმა აგო პასუხი და გადაიხადა დატყვევებულის სასარგებლოდ ამ შეურაცყოფისათვის ნახევარი წორი, 1500 მანეთამდე. გარდა მორვებით მორიგებისა, სვანეთში არსებობს კიდევ მორიგების რამოდენიმე ფორმა:

ა) ,,ლიღვრინე“ – ტოლობისა და თანასწორობის ფიცი დამნაშავისა მოფიცრებითურთ.

ბ) ,,ლიღვრინე-მეგნაურ“ – ტოლობისა და თანასწორობის ფიცი მარტო დამნაშავისა.

გ) ,,ქორთე ლიჟვეღვ“ – სახლში მიძღოლა შეურაცყოფილისა დამჩაგვრელის მიერ.

დ) ,,ქორთე ლიხურალ-წირხვშ“ – დამნაშავის მისვლა შეურაცყოფილის ოჯახში პატიების სათხოვნელად ღვლეჭით.

ე) ,,ლიღვრინე მეგნოშ“, – როცა გადამტერებულ მხარეთა შერიგებას ვინმე მოისურვებს და შუაკაცები ამაზე მოციქულობას დაიწყებენ. დაჩგრულის გულის ტკივილების მოსაშუშებელ და ვაჟკაცის თავმოყვარეობის აღსადგენ საუკეთესო ზომად ითვლება დამნაშავის მიერ ტოლობისა და თანასწორობის ფიცის მიცემა დაჩაგრულისადმი, იმ მოფიცრებითურთ, რომლებსაც მომჩივანი მოსთხოვს დამნაშავეს ფიცში ჩამყოლად. ამიტომ დაჩაგრული მხარე შეუთვლის ხოლმე მის დამჩაგვრელს: ,,ქალამაღვრ“ – შემომფიცე, მე რომ კაცებს დაგისახელებ, იმ კაცებითურთ, რომ რა რიგადაც დააფასებდა თავის თავს და დაიკმაყოფილებდა გულს თვითეული თქვენგანი, ჩემგან რომ ეს ყოფილიყო შეურაცყოფილი, როგორც მე შენგან ვარ, მეც ისე დამაფასებთ და იმრიგადვე დამაკმაყოფილებთ, ანუ ჩვენ ერთმანეთის შეურაცყოფის მიყენებაში გათანასწორებული ვიყოთ და უმეტესად შერცხვენილი არ დავრჩები. ამაზე, რა თქმა

უნდა, დამნაშავეს უარის თქმა არ შეუძლია. უარი ნიშნავს დაჩაგრულის თავის ტოლად და სწორად ჩაუგდებლობას და ამიტომ, თუ კი მოფიცრების წრეში, რომელთა რიცხვიც 3-12 კაცით განისაზღვრება, შეთანხმდენ. ხშირად ხდება ამ წესით მხარეების შერიგება. უნდა ითქვას სიმართლე, რომ სვანურ იურიდიულ წყობილებაში ეს წესი ყველაზე უფრო მოსაწონია და სვანეთზე უფრო კულტურულ ქვეყნებისათვისაც არ არის იგი დასაწუნი. ამ შემთხვევაში დამნაშავე საკუთარ თავმოყვარეობას აფასებს და ანვითრებს თანასწორობის პრინციპს. ის არის სინდისის ქვეშ მსაჯული და გამომხატველი თავისი მეობისა.

შეურაცყოფილსაც მედიატორული წესით საფასურის მიღებას ურჩევნია, რომ დამჩაგვრელმა და მისმა ტოლამხანაგებმა თანასწორობის ფიცით თავმოყვარეობა აღუდგინონ ხალხის თვალში; დამნაშავეც ამ შემთხვევაში თუ მართლაც თანასწორად შეურაცყოფილად სთვლის თავს, ადვილად შეჰფიცავს ამაზე, ხოლო თუ მეტ შეურაცყოფილად ჩასთვლიან მას მოფიცრები, იმ შემთხვევაში კარგა ხანს ითათბირებენ და მიუსჯიან მომჩივანს რამდენსაც მათი სინდისი გასჭრის და იქვე გამოუცხადებენ განაჩენს. მომჩივანს მათი გადაწყვეტილება დამაკმაყოფილებლადაც რომ არ მიაჩნდეს, მაინც არ შეუძლია გადაწყვეტილებაზე უარი სთქვას და შენიშვნა მისცეს. ყოველ შემთხვევაში, მადლობას გადაუხდის მათ. საერთოდ ამისთანა შემთხვევაში საზღაურს იმდენი მნიშვნელობა არ ეძლევა, რამდენიც ტოლობისა და თანასწორობის ფიცს. ყველაზე ტკბილი და საფუძვლიანიც ამ წესით გარიგება არის ხოლმე.

,,ლიღვრინე მეგნაურ“ ნიშნავს ფიცს მარტო დამნაშავისა. ამ წესით მორიგება ხდება უბრალო საქმეებზე. ბრალდებული შეჰფიცავს მომჩივანს და მიუსჯის რამდენსაც სინდისი გაუჭრის ან სულაც არაფერს მიუსჯის, ეს მისი საქმეა და დამოკიდებულია მათ შორის არსებულ საქმეზე.

,,ქორთე ლიჟეღვ“ შინ შეძღოლა დაჩაგრულისა. ეს ნიშნავს დამნაშავის მიერ დაჩაგრულის ოჯახში მიწვევა-მიპატიჟებას რამოდენიმე კაცის თანხლებით და თავისი სინდისით მის საჩუქრებით გასტუმრებას. რა თქმა უნდა, მასპინძელი გულნატკენს არ გაუშვებს მის სტუმარს, რადგანაც ეს მეორე დანაშაულის ჩადენას ნიშნავს. აქ ხშირად მის მამობილად დაყენებას აქვს ადგილი

დამნაშვე ოჯახის ერთ ან რამოდენიმე წევრის მიერ, ნათესაობის დამყარებით მომავალში მტრობის მოსასპობათ.

,,ქორთე ლიხურალ წირხვშ“ – ნიშნავს დამნაშავის მისვლას ღვლეჭით (წნელი) მომჩივნის ოჯახში, პატიების სათხოვრად ან შესახვეწნად საპატივცემო, პირების თანხლებით. ზოგჯერ დამნაშავე იკავებდა ხოლმე ხელში ორ ლერქვაშამდე (10 ბოთლამდე) არაყს, საკლავ ცხვარს, თხას ან ხბოს. მიიყვანდა ხარს ან ძროხას, დაიკიდებდა კისერზე ღვლეჭს, ხელებს გაუყრიდა შიგ და ისე მიადგებოდა კარზე მის მომჩივანს. თუ კი ვინმე თავს ასე დაიმცირებდა, მომჩივანს რომ არ მიეღო და ღვლეჭი თავის ხელით არ ჩამოეხსნა, ეს დაუშვებელი იყო. ასეთ შემთხვევაში ყოველთვის დანაშაულის პატიება და მათ შორის შერიგება ხდებოდა. ხშირად დამნაშავის მისვლა მომჩივნის ოჯახში უღვლეჭოდ ეხლაც ხდება, ხოლო ამ ჟამად ღვლეჭით მისვლის წესი სავსებით გაუქმებულია.

173) Р. Эристов. Заметки о Сванетии. Стр. 8. თავ. სვ. ,,ივერია“, 1886 წ.

წესი თავის გამართლებისა საეჭვო საქმეზე

როდესაც სვანეთში საიდუმლოდ ხდება კაცის მოკვლა ან და სხვა ბოროტმოქმედება, ბრალდებული ვალდებულია თავი იმართლოს ფიცს ქვეშ თავისი მოფიცრებითურთ იმ წესით, როგორც ეს ზემოდ დავინახეთ გირგვლიანებისა და ფარჯიანების საქმის გარჩევის აღწერილობაში. კაცის მოკვლის ბრალდებისაგან თავის გამართლებისათვის საჭიროა 12 ,,ლუფხული“ – მოფიცარი. ბრალდებული მოციქულების პირით შეუთვლის მოპასუხეს იმ პირების სახელსა და გვარს, ვინც უნდა ჩაიყოლიოს მან ფიცში თავის გამართლების დროს. 3-4 მოფიცარი უნდა იყოს გამოუცვლელი, ხოლო დანარჩენი რვა მოფიცარ ბრალდებულმა უნდა აირჩიოს იმ 16 პირისაგან, რომლებიც მას დაუსახელა მომჩივანმა. თუ ამნაირად არჩეული 12 მოფიცარით ბრალდებული წავა იმ ეკლესიაზე, რომელზედაც დაფიცებას მას მოსთხოვს მომჩივანი და დაიფიცებს, რომ მკვლელობა მას არ ჩაუდენია, ამ შემთხვევაში ის გამართლებულად ითვლება, წინააღმდეგ შემთხვევაში მტყუნდება და პასუხს აგებს ზემოთ აღწერილი წესით. ამასთანავე როცა

მომავალში გამოჩნდება, რომ იმ დანაშაულობის ჩამდენი, რომელიც მას ბრალდებოდა, იყო სხვა, მაშინ ბრალმდებელი ცილისწამებისთვის პასუხს აგებს. ბრალდებული ირჩევს 12 კაცს, რომლებიც ფიცით მიუსჯიან მას 150-300 მანეთამდე. ამრიგად, ფიცით გამართლება რომ სარწმუნო და საფუძვლიანი იყოს, როგორც ზემოთ არის ნათქვამი, დიდი მნიშვნელობა ეძლევა იმას, თუ რომელ ეკლესიაზე ხდება დაფიცება. უბრალო საქმეებზე, ე. ი. როცა მოპარული საგნების ღირებულება 10-20 მანეთს არ აღემატება, მოფიცართა რიცხვი 3-4 კაცით განისაზღვრება, ამაზე უფრო სერიოზულ საქმეებზე 4-7 კაცით. ფიცი ამ შემთხვევაში იმ სიტყვებით ხდება, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული.

თუ შემდეგ გამომჟღავნდებოდა, რომ ბრალდებულმა ცრუ ფიცი დასდო და მოფიცრებიც შეცდომაში შეიყვანა, და ფიცი გაატეხინა, მაშინ მოფიცრები მას ახდევინებდნენ ,,ხატა ნაკშიერს“, ფიცის გატეხისათვის თითო 100 მანეთამდე. ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მოფიცრებს მძიმედ დაუჭრიათ ის, ვინც მათ ფიცი გაატეხინა თავის სარგებლობისათვის, და ამისათვის პასუხიც არ უგიათ.

სვანეთის იურიდიულ წყობილების უმთავრეს ნაკლს ანუ მტკივან ადგილს შეადგენენ: 1. უცაბედად მომხდარ მკვლელობაზე და სხვა მოვლენებზე შურის ძიება; 2. ნამდვილ მკვლელის მაგივრად მის ახლობელ თუ შორეულ ნათესავის მოკვლა; 3. როცა მკვლელობა ხდება სვანეთის გარედ, მეზობელ ქვეყნებში, მაგ.: რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელო-აფხაზეთში, ყარაჩა-ყაბარდოში და თუ სვანს არა აქვს საშუალება პირდაპირ მკვლელზე იძიოს შური, სვანი ჰკლავს იმ სოფლის ანუ თემის მცხოვრებ კაცს, საიდანაც არის მისი ნათესავის მკვლელი. გარიგების დროსაც დანაშაულის ასე უნებურად ჩამდენი ისევე იხდის ,,წორს“, როგორც წინასწარ მოფიქრებით ბოროტმოქმედების ანუ მკვლელობის ჩამდენი. მაგალითად, 3 წლის წინად მულახის თემში ერთმა მუშამ ტყიდან ხე ჩამოუშვა გზის პირად. ამ დროს თურმე იმ ტყეში მუშაობდა სხვა გლეხიც, რომელსაც უცაბედად მოხვდა ეს ხე და გასრისა. ხის პატრონმა ამაზე წორი – სისხლის ფასი გადაიხადა. 1835 წელს უშგულში გამოჩნდა ყაჩაღი ჯამათა ჭელიძე, ის შეუამხანაგდა მთავრობის მიერ დევნილ კაცისმკვლელ ვინმე ჭიორელ დეტოს. რამოდენიმე წლის განმავლობაში ისინი ეცემოდენ ღებ-ჭიორას, ძარცვავდენ

ოსეთიდან სასვანო გორის გზით ღებ-ჭიორისაკენ მიმავალ მგზავრებს, იჭერდენ მათ, მიჰყავდათ უშგულში და მხოლოდ სახსრის მიტანის შემდეგ ანთავისუფლებდენ. ისინი თავის ყაჩაღურ მოქმედებას იმითი ამართლებდენ, რომ ღებელებმა 1815 წ. უშგულს მოუსპეს წლიურად ერთი ხარის ბეგარად მიცემა [174]).

უკანასკნელად ჯამათამ იფარიდან, კალიდან, ხალდედან და უშგულიდან მოუყარა თავი 40 კაცს და ღებელების სამტროდ წაიყვანა. ერთმა ღებელმა მონადირემ მათ თვალი მოჰკრა, სოფელს შეატყობინა და მტერს ალყა შემოარტყეს. ჯამათა, სასიკვდილოდ დაჭრილი, ღებელებს ტყვედ ჩაუვარდა. მისმა ამხანაგებმა კი გაქცევით უშველეს თავს. ჯამათა ღებელებმა ცხენზე უკუღმა დააკრეს. შემდეგ ჯვარის ყანაში ფიცარზე მიაკრეს. ამ დროს ორი წლის წინეთ ვინმე სვანისაგან დაჭრილი ღებელი მივარდა მას, მკერდში მუხლი ჩაჰკრა და მოკლა. აი ასეთი ყაჩაღისა და ხალხის ამაწიოკებელ კაცის მოკვლისათვის მისი ნათესავები წავიდენ ზემო რაჭაში და მოკლეს ღებელების მაგიერ ორი ჭიორელი და ამით ჯამათა ისისხლეს, რისთვისაც უშგულელებს მეკომურის თავზე გარიგების დროს 1854 წ. გადახდათ ორ-ორი ძროხა. ჯამათას სიკვდილი ღებში გალექსილია შემდეგი სახით:

სიმღრა ჯამათაზე (უშგულში ღებიდან შემოსული)

ე, უშგულელმა ჯამათამო
კარ და კარ ჩამოუარაო
ხალდეშლებს – უშგულელებსაო,
გორი ბოლოსა წავიდეთო
ჩოხა ნაბადი ვიშოვოთო,
ე, რომ ღებურთა გაიგესო
პირიდან ჰყრიდენ ცეცხლსაო,
ღებურნო ახალგაზრდანო,
ე, რა ამბავია ჩვენსაო.
რაც ღებს ახალი კაციაო
ყველა თელას ქვეშ არისო.
ჯამათა მოსულა ჩვენსაო,
მოუყვანია სვანთა ჯარიო

ვეცადოთ არ წაგვივიდესო
ე, ურჯულო ჯამათაო.
თავი იყარეს ღებურათაო,
ხოლის თავსა რომ მივიდნენ
წინთაზილა შეეყარათო,
გაასწრეს და ქვე მივიდნენო
ყველანი გორი ღელესაო.
აქ ჯამათა ჩსაფრულა
არყნარსა და ბუჩქებშიო
ე, პატიანთ პაპუჩაო
მეზვერეთ გამოგზავნესო,
შალიკაშვილი თედორე
არყებს ევლება თავსაო
ე, ხუციშვილი პეტრეი
პირიდან აყრის ცეცხლსაო
თამაზიკიანთ დევლეთა
ვერცხლის თოფს უსვამს ხელსაო
თუ სადმე ჯამათა ვნახე
მე მოვუწითლავ გვერდსაო.
ჯამათა მიდის ბაჯგვებში
ფინთიხი მოხვდა ბარძაყში
შე საწყალო ჯამათაო
უკან თოფი მოგაყოლეს
სისხლი მიგდის ღვარადაო
დაიჭირეს აიყვანეს
უკუღმა დააკრეს ცხენზედაო
ხოლო თავსა რომ მივიდნენ
ერთი არჩევანი ქნესო:
ზოგნი იძხდენ მოვკლათო
ზოგნი არ ეთანხმებოდენო
წყალი ითხოვა ჯამათამაო
ქვე მიუტანეს ჯამითაო
ნახევარი წყალიაო
აწია ქვე დალიაო
როგორც ნათავი არაყისაო [175]).

მესტიის თემში მცხოვრები ოთხი გლეხი, 1917 წელს ყაბარდოში სამუშაოთ წასული, ორი ხერგიანებისა და ორიც ნაკაანების გვარეულობიდან, უკვალოდ დაიკარგა. მათმა ჭირისუფლებმა ეჭვი ბახსანაში მცხოვრებ ყაბარდოელებზე მიიტანეს, ვინაიდან რამოდენიმე წლის წინათ ერთ ხერგიანთაგანს ბრალდებოდა ბახსანაში მცხოვრებ ვინმე ყაბარდოელ ბაირუყას მოკვლა. ამ ორი გვარეულობის თვითეული ოჯახის თითო წევრმა 1918 წელს მოიყარეს თავი და გადასწყვიტეს ყაბარდოელებზე შურის საძიებლად წასვლა. 20 კაცი ამ განზრახვით კიდეც გაემგზავრა სვანეთიდან. სვანეთში სასახელოდ ითვლება, თუ ტირილის დღემდე მოკლულს ისისხლებენ, ამიტომ შურის საძიებლად წასულებმაც ამ დღემდე მოჰკლეს ბახსანაში მცხოვრები ორი ყაბარდოელი და ტირილის დღეს როცა ხალხი თავმოყრილი იყო, იქიდან დაბრუნებულნი ამაყად წარსდგენ ხალხის წინაშე და განაცხადეს, რომ სისხლი აიღეს, რამაც ტირილი ჩვეულებისამებრ ლხენით და მხიარულებით შესცვალა. სვანეთის ჩვეულებითი უფლებებში ერთი რამ არის მოსაწონი. სისხლის აღების და შურის ძიების პროცესის დროს ქალი, ბავშვი და მოხუცი მამაკაცი ხელუხლებელი არიან და როცა მამაკაცები გარეთ ვერ გამოდიან, მათ ხელუხლებლობის სრული გარანტია აქვსთ და საშუალება ეძლევათ თავისუფლათ იარონ და იმუშაონ.

სვანს თოფი მომართულიც რომ ჰქონდეს მტრის მოსაკლავად და იმ დროს თუ დედაკაცმა თავიდან ლეჩაქი ჩამოიხადა, თმა გაიშალა და ისე ეს ლეჩაქი მუხლზე შემოიხვია, ბოროტგანმზრახველს უფლება არა აქვს მკვლელობა ჩაიდინოს.

მაისუროვის თქმით, სვანი რომ თავის მტერს მოსაკლავად გაეკიდება, თუ გაქცეული ქალს შეხვდა, ხელი მოკიდა და ამოეფარა, ეს საკმარისია მისი სიკვდილისაგან დასახსნელად [176]).

ერთი მტრისაგან დევნილ სვანს მეორე მტრის ოჯახში შესვლა თუ მოუხდება თავშესაფარად, უკანასკნელი ვალდებულია შეიბრალოს იგი და დაიცვას, თუნდაც დიდი სურვილი ჰქონდეს მისი მოკვლისა.

174) თავისუფალი სვანი. გაზ. ,,ივერია“, 1888 წ.
175) თავისუფალი სვანი. გაზ. ,,ივერია“, 1888 წ.
176) М. Майсуров. Газ. ,,Кавказ“, 1853 г. № 185.

V
ბატონ-ყმური წესწყობილება სვანეთში

მე-XV საუკუნეში, როგორც ზემოთ არის ნათქვამი, სვანეთში გაჩნდენ თავადი დადეშქელიანები, რომლებმაც მისი დასავლეთ ნაწილი ჩუბეხევი, ეცერი, ცხუმარი და ბეჩო დაიპყრეს და იქ ბატონ-ყმური წესწყობილება დაამყარეს.

პირველ ხანებში მათი რეჟიმი, თუ სვანურ თქმულებას დავუჯერებთ, იმდენად სუსტი იყო, რომ გლეხებს მარტო რამოდენიმეკვერცხი ხდებოდა კომლზე ბატონების სასარგებლოდ ყოველწლიურად. ხოლო შემდეგში თანდათანობით იზრდებოდა და ვითარდებოდა მონური დამოკიდებულება ბატონებისაგან. როდესაც მე-XVII ს-ში დადეშქელიანების გვარეულობა გამრავლდა, ამის შემდეგ ამ ქვეყნის გლეხკაცობა მთელი თავისი სარჩო-საბადებლით, მიწა-წყლით, სულითა და ხორცით ბატონების საკუთარ სახმარ ნივთად იქცა, რომელსაც ბატონი ისე განაგებდა, როგორც მისი სურვილი და ნება იყო.

მოკვდებოდა თავადი, მისი ტირილისა და აღაპის გადამხდელი გლეხი იყო. თავადს თავისუფლად შეეძლო ამ საჭიროებისათვის ყმა არაყში, პურში და სახორცე ხარებში გაეყიდა. თავადის ოჯახში დაიბადებოდა ვინმე, ნათვლა, ქორწილი თუ სხვა რაიმე ლხინი და მხიარულება იყო, ამ შემთხვევაშაც გლეხობა ნადგურდებოდა და როდესაც მისი ნაოფლარით ბატონები ქეიფობდენ, დარბეული გლეხები ამ დროს ნაღვლიანად შემოუჯდებოდენ ხოლმე თავის კერას, ღველფსა და ტუტას დასცქეროდენ და ცხარე ცრემლებსა ღვრიდენ. ბატონისათვის საჭირო საგანი რაც სვანეთში არ მოიპოებოდა, ამას ის იძენდა ყმების გაყიდვით: აფხაზეთში, ყარაჩაში და ყაბარდოში, სადაც მათ ცვლიდენ: ცხენებზე, ხარებზე, ძროხებზე, ცხვრის ჯოგებზე, შალეულობაზე და სხვა საჭირო საგნებზე.

სამართლიანად აღნიშნავს ლობანოვ-როსტოვსკი [177]):

,,უმთავრეს აღებ-მიცემობის საგანს სვანეთში შეადგენდა ყმა, რომელსაც ყიდდენ თ. დადეშქელიანები მთიულ თათრებში, დაწყებული ყარაჩიდან დიგორამდე, და ნაცვლად ღებულობდენ დიგორლებისაგან ჩერქეზულ ცხენებს და სხვა საჭირო საგნებსო“.

ყმა რომ მოკვდებოდა, მის ოჯახში ტირილი, მწუხარება და მგლოვიარება სუფევდა და სვანური ჩვეულებით ტირილის გადახდით მისი ოჯახი ნივთერად ნადგურდებოდა. ბატონი ამ ტირილში, ცხარე ცრემლების დაღვრაში და მწუხარებაშიც კი ყმას ბაჟს ახდევინებდა. კოვალევსკის ცნობებით, მაგალითად, ბეჩოში ვერც ერთი ყმა ტირილს ისე ვერ გადაიხდიდა, თუ 60 ,,ქაბაქსა“ [178]) და 6 ,,ზექას“ [179]) ანუ 48 ბოთლ არაყს ბატონს არ მიართმევდა.

როცა თავადი ქალიშვილს გაათხოვებდა, მზითვად გლეხი იხდიდა ზოგი ხარს, ზოგი ძროხას და სულ მცირე გადასახადის გადამხდელი ერთ ცხვარს [180]). მაგრამ ბოროტება ამით როდი განისაზღვრებოდა. უბედურება ის იყო, რომ მზითვად თავადები ატანდენ რამოდენიმე ოჯახს, მაგალითად: XIX საუკუნის მეორე ნახევარში თენგიზ დადეშქელიანმა მიათხოვა თავისი და სალდათხანი ყარაჩელ თავადს ადინგერ ურუსბიევს და მისცა მზითვად რამოდენიმე ოჯახი.

დადეშქელიანების გვარეულობა რომ სამ შტოთ გაიყო – ოთარშად, სორთმანშად და დუდაუშად, ოთარშა კიდევ შემდეგში ჩუბეხევისა და ეცერის სამთავროდ, ისინი პირველობის მოპოებისა და ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისათვის ერთმანეთთან დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდენ და ძმათა სისხლის ტბაში იხრჩობოდენ. გლეხებიც ამ დროს მრავლად ისრისებოდენ. ყველაზე მძიმე ლოდათ ყმების კისერს ეს უბედურება აქვებოდა, რადგანაც ,,წორის“ – სისხლის საფასურის გადამხდელი ისინი იყვნენ და გარდა ამისა ამ ბრძოლაში გამარჯვებული ბატონი დამარცხებულ თავის მოწინააღმდეგის ჯარში მყოფ გლეხებზე იყრიდა ჯავრს, უმოწყალოდ სპობდა მათ და არბევდა.

მაგალითად, ეცერის ბატონმა თათარყან დადეშქელიანმა და მისმა შვილებმა ჯანსუხმა და ოთარმა 1843 წ. ჩუბეხევის მთავრის მურზაყან დადეშქელიანის სამთავრო ცეცხლითა და მახვილით დაიპყრეს და მურზაყანის 17 ყმა მოკლეს. შემდეგ დაერიენ ჩუბეხევის გლეხკაცობას, სასტიკათ დაარბიეს, ააოხრეს და, როსტოვსკის თქმით, აწარმოებდენ ვაჭრობას ბავშვებით, ქალიშვილებით, ქალებითა და მამაკაცებით [181]).

ხოლო როდესაც 1851 წელს მთავრებს შორის შერიგება მოხდა, მაშინ თათარყანის შვილებისაგან მურზაყანს და მის ძმებს მიესაჯათ მათი ბებიის დიგორხანის სისხლში, დის დატყვევებაში და სხვა

ზარალში 24 ყმა და სხვა აუარებელი ქონება, რომელიც გლეხებმა გადაიხადეს და, როსტოვსკის სიტყვით, ,,расплатились ходячей сванетской монетой – крестьянами" [182]) – ანგარიშები ურთიერთშორის გაასწორეს სვანური ფულებით, ე. ი. გლეხებითო.

სვანეთის წარსულის ერთ ერთ შავ ლაქას შეადგენს მშობლების მიერ ახალ დაბადებული ქალიშვილების დახრჩობა. ამ ველურობის ჩადენის მიზეზად კოვალევსკის მიაჩნია აქ არსებული ბატონ-ყმური წეს-წყობილება, რომლის მეოხებითაც ბატონს უფლება ჰქონდა პირველი ღამისა, და სხვ. [183]).

ადვილი შესაძლებელია, ეს ასეც ყოფილიყო, რადგანაც ბატონს უფლება ჰქონდა როგორც პირველი ღამისა, აგრეთვე ქალების გაყიდვისაც სხვა ტომის ხალხში და ეს ალბად იმდენად სამარცხვინოდ ითვლებოდა მშობლებისათვის, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქალიშვილის მკვლელი დედა ნაკურთხ მიწაშიც კი არ იმარხებოდა, გაზრდილ ქალიშვილის ნამუსის ახდას, ყარაჩელ, ყაბარდოელ თათრებისათვის მიყიდვას და მუდამ სატირლად გამხდარ ქალიშვილის სიცოცხლეს, მშობელი დედა არჩევდა დაბადების დღესვე მის მოსპობას.

ესეც რომ არ ყოფილიყო, ვინაიდან გლეხის მთელი ქონება, როგორც ზემოთ დავინახეთ, ბატონს ეკუთვნოდა და ყმის ლუკმა ბატონის კუჭში ჩადიოდა, ცხადია, მშობლებს საშუალება არ ექნებოდათ თავიანთი შვილების აღზრდისათვის და ამიტომაც ვაჟიშვილების აღზრდას, როგორც ოჯახის მარჩენალ მუშა ძალისა და მტრისთვის მტრული პასუხის გამცემ ელემენტისას, მშობლების მიერ უპირატესობა ეძლეოდა. ბატონს უფლება ჰქონდა, მთელი ხალხი, ვისაც კი იარაღის ხმარება შეეძლო, საომრად წაეყვანა და გარიგების დროს ომში დახოცილ ყმებში საფასური მიეღო. მაგალითად, როდესაც იმერეთის უკანასკნელმა მეფემ სოლომონმა გრიგოლ დადიანის წინააღმდეგ გაილაშქრა და შეავიწროვა, დადიანმა სთხოვა სვანეთის მაშინდელ მთავარს თენგიზ დადეშქელიანს დახმარება. უკანასკნელი წავიდა სვანეთის ჯარით მის დასახმარებლად და ომში დახოცილ ყმებში მიიღო დადიანისაგან რამოდენიმე კომლი გლეხი სოფ. ჯვარში, ზუგდიდის მაზრაში [184]).

ბატონს ყოველთვის გამოჰყავდა ოჯახიდან თითო კაცი ან ქალი, როცა ხვნა, თესვა, მკა, თიბვა, პურის გალეწვა ან შეშის მოჭრა-

მოტანა უნდოდა. ხოლო როცა სახლის აშენებას მოისურვებდა, ის იწვევდა ,,გლდამს“ ანუ მთელ ხალხს ქალიან-კაციან-ხარიანად და ერთ დღეს მოატანინებდა მთელ საჭირო მასალას.

როგორც ანგლო-საქსების ,,Lovebanes”-ზე გამოდიოდა მთელი მუშა ძალები, ისე ხვნის, თესვის, ყანების მომკის, თივის მოთიბვის დროს მთელი სვანეთის გლეხობა ვალდებული იყო ემუშავნა თავადების სასარგებლოდ, ამბობს კოვალევსკი 185).

გარდა ამისა, ყმა აძლევდა ბატონს ყოველ სამი წლის ბოლოს ერთ ძროხას, საახალწლოდ ყოველწლიურად 20 მანეთს, მიწის ბაჟს როგორც ბარში ისე მთაში შემოსავლის ნახევარს, სახლის აშენების დროს ერთ საკირეში 30 მან., ორში 60 მ. წისქვილისა და ხის სახლის აშენებაში 10 მანეთს. ყოველი გლეხი უკვებავდა ბატონს თვითო პირუტყვს, და თუ მოუკვდებოდა, სამაგიერო უნდა გადაეხადა. გლეხის ქვრივის გათხოვების დროს ბატონი ღებულობდა საქვრივოს 60 მანეთამდე, და რადგანაც ეს ბატონის შემოსავალ წყაროს შეადგენდა, ხშირად ხანში შესულ ქვრივს ძალდატანებით ათხოვებდენ. გლეხს არ შეეძლო ბატონის ნებადაურთველად ცოლის შერთვა, ხოლო როცა ნებას მისცემდა, ამაში ბაჟი უნდა მიეღო 50 მანეთამდე.

კაცის მკვლელს ბატონი ჯარიმის სახით ახდევინებდა 300 მან., ქურდობისთვის ყმა იხდიდა ჯარიმას 200 მან., კაცის მძიმედ დაჭრისათვის 100 მანეთს.

ყმის მსუქანი საქონელი თუ ბატონს მოეწონებოდა, პატრონის დაუკითხავად იჭერდა და კლავდა. კარგი ხარი, მეწველი ძროხა ან ცხენი ვინმეს სახლში თუ მოეწონებოდა ბატონს, მიჰყავდა და უარის თქმა გლეხს არ შეეძლო. ქათამი, ცხვარი, ხბო და ამისთანები ხომ სულ ბატონების ძღვენს შეადგენდა. არაყის გამოხდელისათვის მართალია სავალდებულო არ იყო ბაჟი გადაეხადა, მაგრამ ნათავედი არაყის მიტანა ბატონთან ჩვეულებად ჰქონდათ გადაქცეული, და რომ არ მიერთმიათ, ბატონის რისხვის დამსახურებისა ეშინოდათ.

გლეხი ვალდებული იყო ეფიცა ბატონის თვალები, ,,მახვშიაშ თერაღო“ – ბატონის თვალებს ვფიცავო. ბატონის ტუჩებში ანუ პირისახეზე კოცნა გლეხს არ შეეძლო და იმასაც დიდად ამადლიდა გლეხს, თუ მკერდს მიუშვერდა საკოცნელად ან ხელზე ამთხვევინებდა.

რუსეთში ალექსანდრე მეორეს 19 თებ. 1861 წ. მანიფესტით ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ სვანეთში ამ საქმეზე მუშაობა მთავრობამ 1866 წ. მარტში დაიწყო.

1869 წ. ამ საქმეზე სვანეთში გაემგზავრა ქუთაისის გუბერნატორი ღრაფი ლევაშოვი. მისი მუშაობა გათავდა მით, რომ გლეხებს მიეზომათ და საკუთრებათ მიეცათ 5 ქცევა სახმარი მიწა მოსახლის თავზე და ამაში თავადებმა მიიღეს მამაკაცის თავზე 50 მანეთი. ამ დროიდან თავადებს აღეკვეთათ გლეხების გაყიდვა, კაცის მოკვლაში, ქურდობაში, კაცის დაჭრაში, ქალის გათხოვებაში, ტირილში ბაჟების მიღება. მაგრამ სვანების სოციალური მდგომარეობა ამის შემდეგაც თითქმის არ შეცვლილა, რადგან 5 ქცევა მწირი მიწა სვანის მრავალრიცხოვან ოჯახის წევრთა არსებობისათვის არარას წარმოადგენდა, გლეხები ამის შემდეგაც თითქმის ბატონის სრულ ეკონომიურ დამოკიდებულებაში დარჩენ. ამნაირად, გლეხების მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა. მათი გულის ტკივილები ამის შემდეგაც განუსაზღვრელი იყო, ხოლო მდგომარეობა აუტანელი და სულის შემხუთავი. ისინი მუდამ დასტიროდენ თავის ბედს, ნაძრახ სიცოცხლეს და უცდიდენ ,,ღვთისგან მოვლინებულ შველას“, მაგრამ ხსნა არსაიდან იყო.

177) Кн. Лобанов Ростовский. Газ. ,,Кавказ“, 1852 г. № 16; Стоянов. Зап. Кав. Отд. Имп. Рус. Геогр. Обш. Кн. Х. в. 2, стр. 367.

178) ქაბაბი – ტირილისთვის გამომცხვარი დიდი პური.

179) ზექა არის არაყის საწყავი დოქი, რომელშიც 8 ბოთლი არაყი ჩადის.

180) Ковалевский. Законы и обычай на Кавказе, т. II, стр. 18 и 19.

181) Кн. Лобанов Ростовский. Газ. ,,Кавказ”, 1852 г. № 14.

182) Кн. Лобанов Ростовский, газ, ,,Кавказ”, 1852 г. № 16.

183) Ковалевский. Зак. и обыч. на Кавк., т. II, стр. 43.

184) იხ. მოხსენება სვანეთის მთავრინის დიგორხანისა ბარონ როზენისადმი 14 ივლისს 1835 წ. (საქ. განათლ. კომის. ცენტრარქივი. სვანეთის საქმეები).

185) Ковалевский. Зак. и обыч. на Кавказе. т. II. стр. 43.

VI
რევოლიუციონური მოძრაობა ლეჩხუმ-სვანეთში 1905 წ.

1903 წელს სვანეთში სვანეთში დაიწყო მუშაობა არსებულ წეს-წყობილების წინააღმდეგ და მის დასამხობად ხალხის მზადება. ზემო სვანეთში ამ საქმის საძირკვლის ჩამყრელი და მუშაობის დამწყები იყო ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მეექვსე კლასის მოწაფე თავ. თენგიზ დადეშქელიანი.

1903-1905 წლამდე ის ფარულ მუშაობას ეწეოდა და პირველი ორგანიზაცია მის მიერ იქნა დაარსებული თავის სოფელში მაზერში. 1905 წლიდან კი ის აშკარად გამოვიდა მთვრობის წინააღმდეგ. ამ მუშაობას მასთან ერთად 1905 წ. სათავეში ჩაუდგენ ადგილობრივი მასწავლებლები: ვარლამ გელოვანი, დანიელ ქინქლაძე, ლევან ჯაკობია, დავით ხუციშვილი, კორნელი ჯუღელი და მეუღლე მისი მარიამ შერვაშიძის ასული, მიხეილ კვაჭაძე, მღ. დარისპან მარგიანი, მიხეილ სუბატაშვილი, ე. გელოვანი, დანიელ ქინქლაძე, ლევან ჯაკობია და მღვდ. სუბატაშვილი.

მასწავლებლობის უმთავრეს გულის ტკივილს შეადგენდა სვანეთის სკოლებში თვითმპყრობელობის მიერ გამარუსებელ პოლიტიკის წარმოება და ქართული ენის საშინელი დევნა.

1905 წელს ხალხი პირველად სოფელ მაზერში გამოვიდა თ. თათარყან დადეშქელიანის წინააღმდეგ. და როდესაც თათარყანის მიერ ს. მაზერში გაგზავნილი იქნენ ტყაჩუები (საბალახოებისა და ტყის ბაჟის ამკრეფნი) და მოურავები ბაჟების ასაკრეფად. ამ სოფლის ახალგაზრდობა თენგიზის მეთაურობით მათ წინაღუდგა. ბაჟების მიღებაზე კატეგორიული უარი გამოუცხადა, წინადადება მისცა დაუყოვნებლივ წასულიყვნენ მაზერიდან და მეორედ ამ საქმეზე აღარ მობრუნებულიყვნენ. ბაჟების ამკრეფნი რომ ხელცარიელნი დაბრუნდენ თავის ბატონთან და გადასცეს მაზერელების და თენგიზის მის წინააღმდეგ გამოსვლის ამბავი, თათარყანმა თავისი ბიძა მოსოსტრ დადეშქელიანი საჩქაროდ გაგზავნა მათთან მოციქულად და შეუთვალა თენგიზს: ,,ნუ ღუპავ და ნუ აყენებ ხალხს შემცდარ გზაზეო“. ხალხმა თავი მოიყარა და თათარყანს მისი მოციქულის პირით ბაჟების მიცემაზე უარი შეუთვალა და თან სთხოვა, რომ ამ საქმეზე ამიერიდან მათთან

არავინ გამოეგზავნა. თენგიზმა თავისი მხრით თათარყანს ასე შეუთვალა: ,,მე ხალხს არ ვაცდენ , არამედ მხარს ვუჭერ, რომ ის ამიერიდან მაინც არ იყოს სხვისი ლუკმა და ყურმოჭრილი მონაო“ და სხვა..

მოსოსტრიმ რომ დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღო, დაბრუნდა თათარყანთან და გადასცა ყოველივე. ამის შემდეგ თათარყანი თავისი ამალით შევიდა ბეჩოში და სოფ. ჭკიდიანარში დაბანაკდა.

ამ დროს ცხუმარშიც უკვე მძლავრი ორგანიზაცია იყო დაარსებული მასწავლებელ დანიელ ქინქლაძის, მაცგი გოშვანის, ვასილ არღვლიანის, ნიკოლოზ არღვლიანის, გეყვა არღვლიანის და არჩილ ჯაჭვლიანის თაოსნობით. ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები ნიკ. არღვლიანი და მაცგი გოშვანი გაიგზავნენ თენგიზთან და გადასცეს მას, რომ მთელი ცხუმარის ახალგაზრდობა მზადაა მაზერს შეუერთდეს და შეჰფიცოსო.

ცხუმარ-მაზერის რევოლუციონერთა პირველი შეერთებული კრება გაიმართა ს. მაზერში 1905 წ. აპრილში, ხოლო მეორე კრება მაისის დამლევს უშხვანარში. კრების შემდეგ ხალხი წავიდა უშხვანარის ეკლესიაში, სადაც ფიცი მიიღეს, რომ ამიერიდან ხალხს შეეწყვიტა ყოველგვარი დამოკიდებულება ადგილობრივ მთავრობასთან და თავის ბატონებთან.

გაიგო თუ არა ადგილობრივმა ბოქაულმა ალი გარდაფხაძემ ხალხის ასეთი გადაწყვეტილება, მთელი თავისი ძალებით უშხვანისაკენ გაეშურა. ხალხმა რომ მისკენ მიმავალი ბოქაული და ჩაფრები დაინახა, აღელდა, მოემზადა საბრძოლველდა და ეკლესიის გალავანში და მის მიდამოებში ჩაესაფრა. ბოქ. გარდაფხაძესთან სამი კაცი გაგზავნეს წინადადების მისაცემად. რომ ან უკან დაბრუნებულიყო ან მოსულიყო კრებაზე წყნარად, მშვიდობიანად და არავითარი საწინააღმდეგო ზომების მიღება არ გაებედნა.

ბოქაულმა აღუთქვა ხალხს, რომ ის მათ არაფერს დაუშავებდა, მივიდა იქ, სადაც ხალხი იყო თავმოყრილი დასაფიცებლად, გააფრთხილა ხალხი, რომ ტყუილა თავი არ დაეღუპათ, მიმართა თენგიზს საყვედურებით და უთხრა: ,,შენ თუ შენი თავი არ გენანება, ამ ხალხს მაინც რად აცდენ და ღუპავო“. თენგიზმა უპასუხა: ,,მე ხალხს კი არ ვაცდენ, არამედ კეთილ გზაზე ვაყენებო.

შენ კი მარტო მაგ შენს პაგონებს ემსახურებიო“. ხალხმა მას გამოუცხადა, რომ ამიერიდან ხალხის სპობს მთვრობასთან დამოკიდებულებას, აყენებს ხალხის მიერ ამორჩეულ ასისთვებს და რაზმებს წესრიგის დასაცავად. და ადმინისტრაციაც შერცხვენილი უკან დაბრუნდა.

ამის შემდეგ ყველა თავადებმა თავი მოიყარეს ეცერის სასახლეში, გადაწყვიტეს ბრძოლა თავდაცვისთვის და გამაგრდენ ეცერის ციხე-სიმაგრეში, მთელი თავისი ძალებით და ადგილობრივი ადმინისტრაციის ნაწილით.

გაიგო თუ არა ყოველივე ეს ეცერის გლეხკაცობამ, ს. ს. ლადრერში, ლაშხრაში, ლანტელში, უღვალდში, ცალანარში და ისკარში მცხოვრებლებმა, გადაწყვიტეს ცხუმარ-მაზერთან და ბეჩვთან შეერთება და შეფიცება. ამნაირად თითქმის უმრავლესი ნაწილი სადადეშქელიანო სვანეთისა შეერთდა მთავრობისა და თავადების საწინააღმდეგოდ და როდესაც ყველანი ერთად დასაფიცებლად მიდიოდენ ეცერის ანუ ფხოტრერის მთავარ ანგელოზის ეკლესიაზე, ამ დროს ეცერის სასახლიდან თავ. დადეშქელიანებმა დაუშინეს მათ ზარბაზნები, მაგრამ ხალხიდან არავინ დაზარალებულა.

ამის შემდეგ თავადებს ხალხი მთლიანად ჩამოშორდა და მათი დაცვა იკისრეს ფარის, ჩუბეხევის, ლატალის, მესტიის და მულახის მხოლოდ ზოგიერთმა თავადებთან დაახლოვებულმა აზნაურებმა და გლეხებმა.

ივლისის ბოლო რიცხვებში სვანეთიდან ქუთაისში გაგზავნილ იქნენ საერთო მდგომარეობის გასაცნობად მაცგი გოშვანი და ნიკოლოზ არღვლიანი, რომლებიც მოვიდენ პირდაპირ ჩემთან. მე ისინი მივიყვანე სადაც საჭირო იყო. მათთან ერთად სვანეთში გაიგზავნენ გრიგოლ ლაღიძე და ღამბაშიძე. ამ პირების სვანეთში მისვლისთანავე მოწვეული იქნა კრება ბეჩოს სასწავლებელში თენგიზის, ვარლამ გელოვანის და დან. ქინქლაძის ინიციატივით.

ამის შემდეგ ყველამ ერთად ჩამოიარეს მთელი სადადეშქელიანო სვანეთი, სადაც აგიტაციას ეწეოდენ მთავრობისა და თავადების წინააღმდეგ. სექტემბერში ეცერის თემში ს. ლადრერში მცხოვრებ გლეხებს მოუვიდათ შეტაკება თავად დადეშქელიანებთან, რომლის დროსაც მძიმედ დაიჭრა თავადი ალექსანდრე დადეშქელიანი.

ოქტომბრის ბოლო რიცხვებში მოხდა კრება ვარლამ გელოვანის ლატალის სკოლაში. ამ კრებაზე გამოტანილი იქნა დადგენილება, რომ მიღებული ყოფილიყო ზომები თავისუფალი სვანეთის რევოლიუციონურ მოძრაობაში ჩაბმისათვის, რომ მოეხდინათ ლიკვიდაცია ადგილობრივი ხელისუფლებისა და განეიარაღებიათ იგი.

დეკემბერში თენგიზ დადეშქელიანი ბეჩოს რაზმით დაეცა სვანეთის ბოქაულის სამმართველოს და აჰყარა იარაღი ადმინისტრაციას. მეორე დღესვე ვარლამ გელოვანის და ი. ფალიანის მეთაურობით ლატალის რაზმი და რამოდენიმე მესტიელი წავიდენ ბეჩოში და დაიჭირეს ბოქაული პ. ყიფიანი. ცხუმარის რაზმმა ვასილ არღვლიანისა და სხვების მეთაურობით გადასწვა სვანეთის საბოქაულოს სამმართველოს მთელი საქმეები. ამნაირად გაუქმებულ იქნა სვანეთის საბოქაულო და მისი ადგილი ხალხურმა მთავრობამ დაიკავა.

ამის შემდეგ რევოლუციონური მოძრაობის სათვეში მდგომმა პირებმა გააკეთეს წითელი დროშა შემდეგი წარწერით: ,,გაუმარჯოს ძმობა-ერთობას და მუშა ხალხს. ძირს თვითმპყრობელობა“. ამ დროში ისინი დადიოდენ მთელ სვანეთში, ადგენდენ რაზმებს, აფიცებდენ ხალხს მთავრობის საწინააღმდეგოდ და აყენებდენ ყოველ თემში ხალხურ მთავრობას წესრიგის დასაცავად. 1906 წ. იანვრის პირველ რიცხვებში თითქმის მთელი სვანეთი რევოლუციონერების ხელში იყო.

ამის შემდეგ თათარყან დადეშქელიანი წავიდა ქუთაისში, ცხუმარის თავადი ბექირბი წავიდა ლენტეხში თვის გამზრდელებთან, ხოლო მოსოსტრი დადეშქელიანი და მისი შვილები ლეჩხუმში გაიხიზნენ.

როდესაც საქართველოში რეაქციამ გაიმარჯვა და ალიხანოვი ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა დასავლეთ საქართველოს, ამ დროს თენგიზმა მიიღო ლევან დადეშქელიანისაგან წერილი, რომ სვანეთი გამოსულიყო ალიხანოვის საწინააღმდეგოდ, მაგრამ როდესაც 800 კაცამდე იქ წასასვლელად მზად იყო, თენგიზმა მიიღო ლევანისაგან მეორე წერილი, რომლითაც ატყობინებდა, რომ ხალხი დაშლილიყო. 1906 წ. დასაწყისში სვანეთში მოვიდენ საქართველოდან გამოქცეულნი: მ. დადიანი, სპირიდონ კედია, გიგა ჯუღელი და იოს. ყიფშიძე, რომელიც დიდ ხანს სვანეთში

იმალებოდენ და შემდეგ ზოგი ყაბარდოში წავიდენ, ზოგიც იმერეთში დაბრუნდენ.

ამავე 1906 წ. აგვივსტოში თავადების შუამდგომლობით „წესიერების დასამყარებლად“ სვანეთში მთავრობის მიერ გაგზავნილ იქნა მეფის ჯარები პოლკ. შიშკევიჩის მეთაურობით, მაგრამ ქვემო სვანეთში, ლაშხეთში მას შეხვდა ზემო სვანეთის დელეგაცია. შიშევიჩსა და ამ დელეგაციის მოლაპარაკებით საქმე მშვიდობიანად დამთავრდა და ჯარი ქუთაისისაკენ დაბრუნდა.

თავადებმა რომ სვანეთში ჯარის მოსვლით გლეხებზე ჯავრის ამოყრისა და რევოლუციისაგან შელახულ თვმოყვარეობის აღდგენის წადილს ვერ მიაღწიეს, ამით ძალიან უკმაყოფილო დარჩენ და შიშკევიჩსა და მათ შორის მეგობრობა დიდი კომპლიქტით დამთავრდა.

ამის შემდეგ სადადეშქელიანო სვანეთმა გაგზავნა ქუთაისის გუბერნატორთან 60 კაცი, რომლებიც შუამდგომლობდენ თვადების დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებას, ან სადმე სხვაგან გადასახლებას. მაგრამ არამც თუ მიზანს ვერ მიაღწიეს, არამედ დაჭერას ძლივს გადარჩენ.

1907 წ. სვანეთში რეაქცია გამეფდა, პასუხისგებაში იყვნენ მიცემული: თენგიზ დადეშქელიანი, ვარლამ გელოვანი, მიხ. სუპატაშვილი, ლ. ჯაკობია, მაცგი გოშვანი, ნიკოლ., გეყვა და ვასილ არღვლიანები, ვასილ კვანჭიანი, ემზა წერედიანი, დავით და არსენა ხვინთელანები, დ. წერედიანი, მამა ვიბლიანი, სათგერ არღვლიანი, მიტო არღვლიანი, ალექსანდრე გაბულდანი, ქაუზა გაბულდანი, მუზა ხორგუანი, ანთუყვ, მურზილ, როზან, ჯანყვათ, დათა და სოუხ კვიციანები, იოსებ ვიბლიანი, ი. ფალიანი, ალ. ნიგურიანი, ქარიმ ფალიანი, ალექსი ემუზას ძე კვიციანი და ალექსი ნაწიფის ძე კვიციანი.

მღვდ. მიხ. სუპატაშვილს და მაცგი გოშვანს მიესაჯათ საუკუნოთ ციმბირში გადასახლება. თენგიზ დადეშქელიანი და ლევან ჯაკობია სასამართლოს არ გამოეცხადენ, დანარჩენები ზოგი განთავისუფლდენ, ზოგსაც მიესაჯათ 1-3 წლამდე ციხე.

თვით ეცერ-ცხუმარისა და ბეჩოს გლეხკაცობაც ამ დროს საშნელ მდგომარეობაში ჩავარდა, რადგან თვადებმა მათ ორი წლის გადაუხდელი ნადელები ერთად მოსთხოვეს. ბევრი იყო ისეთი

მოსახლე, რომელიც წლიურად იხდიდა თავადის სასარგებლოდ 150 მანეთს და ეხლა უნდა გადაეხადა ერთად 300 მან.

საუკეთესო ხარი ამ ფულის ანგარიშში თავადს მიჰყავდა 40 მანეთად, ძროხა 20 მან., თხა და ცხვარი 3 მან., პური კვიდოლა (2 ფუთი) 3 მან. და სხვა...

ამნაირად, 300 მანეთის გადამხდელს უნდა გადაეხადა ერთად ggggg ძროხა ან 9 ხარი ან სხვა ღირებულება ამის კვალობაზე. ცხადია, გლეხობისათვის ეს ერთობ აუტანელი შეიქმნა და ამიტომაც ამის გადახდაზე თავადებს გაუძალდენ, როდესაც თავადებმა ადმინისტრაციის საშუალებით სცადეს ნადელების გადახდევინება, ცხუმარის გლეხობამ მათ წინააღმდეგობა გაუწია.

მთავარი დამნაშავენი: ყანღუთ, თუთარ, ისმაილ და ნუა არღვლიანები, ფუთი ქალდანი, ბექმურზა შომპრიანი და მუზა ჯაჭვლიანი მთავრობის მიერ იქნენ შეპყრობილი, მაგრამ როდესაც ისინი ბოქაულს და ჩაფრებს ცხუმარიდან მიჰყავდათ, გამოეკიდენ ქალები მესე და მელანია არღვლიანების თაოსნობით, რომლებმაც პოლიციელებს დაუშინეს ქვები, ზოგიერთ მათგანს აჰყარეს იარაღი და დაჭერილები იქვე გააშვებინეს.

ამის შემდეგ ამ საქმეზე მოვიდა სვანეთში კეჩუმის მაზრის უფროსი ენკელი, რომელმაც ორივე მხარე დაითანხმა იმაზე, რომ აერჩიათ კომისია და მას მოეხდინა ნადელში მისაცემ საგნების შეფასება.

ამ კომისიაში შედიოდენ თავისუფალი სვანეთიდან: 1) ბიტი ფარჯიანი (ეზაშა), 2) ბექმურზა ფარჯიანი (ნუაშა), 3) ბექმურზა გირგვლიანი (მანაშა); ფარის თემიდან: 4) სუმაი რეზესიძე, 5) ვიბლიან ვიბლიანი და ჩუბეხევის თემიდან: 6) აჩი ცინდელიანი. მაგრამ ვერც ამან უშველა გლეხობას, რადგანაც ხარს ისინი აფასებდენ 40-60 მანეთამდე, ძროხას 30-35 მ., თხას და ცხვარს 3-5 მან., და ერთ კვიდოლა (2 ფუთ) პურს, სიმინდს და ფეტვს 4 მან.

ამნაირად, 1905 წ. რევოლუცია დამთავრდა ორი წლის გადაუხდელ ნადელების ერთად გადახდევინებით, გლეხების დარბევით, ციხეებში დამწყვდევით, ზოგიერთ მათგანის იქ წუთისოფლის გამოსალმებით, ციმბირში გადასახლებით და მთავრობის მიერ დევნილ თენგიზ დადეშქელიანის დასნეულებით.

ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში ხალხის რევოლიუციონურ იდეებისა და მოძრაობის სულის ჩამდგმელი და თვითმპყრობელურ

წესწყობილების დამხობისათვის მუშაობის პირველი მერცხალი იყო ის შამშე გელოვანი, რომლის უმანკო სისხლიც ამ საქმისათვის პირველათვე იქნა დანთხეული სვანეთის მთებში.

მუშაობის დაწყებისთანავე მას გვერდში ამოუდგენ სოც.-დემ. პარტიის მემარცხენე ფრთის წევრები: თ. ლევან დადეშქელიანი, სოსი პეტრე ასათიანი, თეოფანე გორგასლიძე, მღ. არტემ ბოჭრიშვილი, რუბენ ყიფიანი, პლატონ ახვლედიანი, ვიქტორ ახვლედიანი და სხვები, რომლებმაც 1903 წლიდან დაიწყეს მუშაობა.

1905 წ. აპრილის პირველ რიცხვებში შამშე გელოვანი, ლადი ემუხვარი, გიორგი ლომინაძე წავიდენ ქუთაისიდან ლეჩხუმში, სადაც ს. ლასხანაში ვიქტორ ახვლედიანის სახლში გაიხსნა არალეგალური კრება. ამ კრებაზე დაგაწყდა: შამშე გელოვანის, თეოფანე გორგასლიძის, ლადი ემუხვარის და გიორგი ლომინაძის ქვემო სვანეთში გაგზავნა სამუშაოდ, ჩოლურელ გლეხის ჯატუ ლიპარტელიანის თანხლებით, ხოლო სხვა ამხანაგებს დაევალათ ლეჩხუმის თემებში მუშაობა.

შამშე თავისი ზემოხსენებული ამხანაგებით გაემგზავრა სვანეთში, სადაც პირველი კრება მოიწვიეს ლენტეხის საზოგადოებაში. ლენტეხში მათ მიერ იქნენ დაყენებული: ათისთავები, ასისთავები, მებრძოლი რაზმები, ერთი სიტყვით ხალხური მთავრობა.

მეორე დღეს შამშე გელოვანი და გიორგი ლომინაძე წავიდენ ჩოლურის საზოგადოებაში, სადაც მათ კრება ჰქონდათ დანიშნული, ხოლო გორგასლიძე და ემუხვარი ლენტეხში მუშაობის დამთავრების შემდეგ უფრო გვიან უნდა წასულიყვნენ ჩოლურისკენ.

შამშესა და მისი ამხანაგების ჩოლურში ჩასვლისთანავე გაიმართა დიდი მიტინგი ადგილობრივ კანცელარიასთან. ენერგიით სავსე ახალგაზრდა შამშეს ხალხის მონობის ბორკილების დამსხვრევისაკენ გულწრფელ მოწოდებას არაჩვეულებრივი თანაგრძნობით და აღტაცებით შეხვდა ჩოლურის მრავალტანჯული გლეხობა. აქაც დაყენებულ იქნენ: ათისთავები, ასისთავები და მებრძოლი რაზმები. დახეულ იქნა მეფის სურათი. შამშე აქედან უნდა გადასულიყო ლაშხეთის საზოგადოებაში.

თვად გარდაფხაძეებს მათ სამფლობელო ქვეყანაში მომხდარმა ამბებმა, არსებული წეს-წყობილების წინააღმდეგ მუშაობამ, შამშეს მიერ მიტინგის მოწვევამ, მეფის სურათის დახევამ ძილი ძალიან დაუფრთხო, ააღელვა და შეაშფოთა. ექვსმა მათგანმა: ბექირბიმ, მელიტონმა, სასომ, ლევანმა, ქელიჩბიმ და გრამიტონმა სასრაფოთ თავი მოიყარეს ს. ლევშიერში. ამ დროს ლაშხეთის საზოგადოებიდან ჩოლურში ჩამოვიდა სამი გლეხი შამშეს და მის ამხანაგების ლაშხეთისაკენ წასაყვანად. გარდაფხაძეები დახვდენ მათ გზის პირად და უბრძანეს უკან დაბრუნება. ორი მათგანი შეჩერდა, ხოლო მესამე, სპირიდონ ონიანი, მათ ბრძანებას არ დაემორჩილა და განაგრძო თავისი გზა. გარდაფხაძეებმა ესროლეს მას თოფები და იქვე მოკლეს.

შამშე და მისი ამხანაგები ამ დროს უკვე ჩოლურიდან ლაშხეთისკენ იყვნენ გამგზავრებული და როდესაც გზაზე სროლა მოესმათ, შამშე მიხვდა, რაშიც იყო საქმე და უთხრა ლომინაძეს: ,,ეს გარდაფხაძეები არიან. შენ დაბრუნდი უკან, მე კი, როგორც ნათესავს, ცუდს მაინც არაფერს მიზამენ, მივალ მათთან, შეიძლება რაიმე ჩავაგონო და დავამშვიდოვო“. ივანე მარგიანმა ისინი გააფრთხილა, რომ არ წასულიყვნენ გარდაფხაძეებისაკენ, მაგრამ შამშემ არ დაიჯერა. ლომინაძე და ჯატუ დაბრუნდენ უკან, შამშე კი გარდაფხაძეებისაკენ გაეშურა, თავის ,,ნათესავ“ მელიტონ გარდაფხაძის ეზოში შევიდა და, რადგანაც მასპინძელი შინ არ იმყოფებოდა, იქვე ეზოში დიდ ნიგვზის ხის ქვეშ ჩამოჯდა.გარდაფხაძეებმა ის რომ დაინახეს, ყველანი მისკენ გაიქცენ და მიუახლოვდენ თუ არა ესროლეს ყველამ ერთად თოფები და შამშე იქვე წაიქცა. მერე მივიდენ მასთან და როდესაც მომაკვდავმა უთხრა: ,,თქვე ოხრებო, რას მერჩითო“, ერთმა მათგანმა კიდევ დაახალა თოფი და შამშე წუთისოფელს გამოასალმა. ეს იყო 9 აპრილს.

ამის შემდეგ გარდაფხაძეები გამოეკიდენ ლომინაძეს, მაგრამ თავისმა მხლებელმა ჯატუმ ის გზას გაუყენა საჩქაროდ და სიკვდილს გადაარჩინა. გაქცეული ლომინაძე და ჯატუ გზაზე შეხვდენ მასთან ჩოლურისაკენ მიმავალ გორგასლიძეს და ემუხვარს. უამბეს ყოველივე და ისინიც უკან დაბრუნდენ.

ქვემო სვანეთის გლეხობამ შამშე დიდი მწუხარებით და ტირილით ჩამოასვენა ახალჭალაში და ფიცი დასდო მის წინაშე,

რომ ისისხლებდენ. ქუთაისის კომიტეტის მიერ შამშეს გასვენებაზე ლეჩხუმში სამი გვირგვინით არალეგალურად ჯერ მარტო მე ვიყავი გაგზავნილი, ხოლო შემდეგ ამოვიდა სერიოჟა ქავთარაძე.

იშვიათ დღეთ შეიძლება ჩაითვალოს ლეჩხუმ-სვანეთის რევოლუციის მატიანეში შამშეს გასვენების დღე, რადგანაც მთელი ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გლეხობის გლოვის ზარი და თავისუფლების სამსხვერპლოზე დაღუპულ რევოლუციონერის კუბოზე დაღვრილი ცხარე ცრემლები ბევრ რამეს ამბობდენ და ამტკიცებდენ. დიახ, ეს დღე იყო ლეჩხუმის ჩაგრულ გლეხობის სულიერ განწყობილებისა და მისი პოლიტიკური გათვითცნობიერების საუკეთესო გამომხატველი და ხალხის გულის ტკივილების გამომამჟღავნებელი დღე.

ჩოხა-ახალუხში გადაცმულმა სერიოჟა ქავთარაძემ რომ ჩვეულებრივი გრძნობიერი სიტყვა დასჭექა მის საფლავზე, ამან ხომ სულ ცეცხლი გააჩინა ხალხის გულში. მის შემდეგ სიტყვები იქმნა წარმოთქმული ჩემსა და სხვების მიერ, როცა შამშე მიწას მივაბარეთ, მე და სერიოჟა ღამით ქუთაისისაკენ გავემგზავრეთ და როდესაც მეორე დღეს სამშვიდობოს მისული ვიყავით, ჯაჭვის ხიდზე გაჩნდა ჩვენ დასაჭერად დადევნებული ლეჩხუმის მაზრის უფროსი ალ. ბაზრაძე, მაგრამ ამაოდ.

ამის შემდეგ თავ. გარდაფხაძეები ერთ ხანს თავისი ლევშიერის ციხეში გამაგრდენ, მაგრამ ხალხისაგან ისინი იმდენად იყვნენ შევიწროვებული, რომ დიდხანს ციხეში არსებობა ვერ შეძლეს და ზემო-სვანეთში თავის ნათესავ აზნაურებთან გაიქცენ თავშესაფარავად.

გარდაფხაძეების მაშინდელი სულის კვეთებისა და მდგომარეობის საუკეთესო გამომხატველი და დამახასიათებელია, სხვათა შორის, იმ დროს მათ მიერ შეთხზული სიმღერა, რომელიც ლეჩხუმ-სვანეთის კონტრ-რევოლიუციონურ წრეებში ძალიან იყო გავრცელებული:

ვის უნახავს ამის მსგავსი
ჩვენ ისენი გვიპირობენ
ჩვენ მიწასთან გვასწორებენ
და ამითი ფულს იღებენ.
ხალხს კი ასე ატყუებენ

ვითომც მისთვის თავსა სდებენ
და ამ გვარი მოტყუებით
ჩვენ კი აღარ გვაყენებენ.
ღირსების და საკუთრების
ხომ წართმევას გვიპირებენ,
ამას აღარ გვჯერდებიან
ამოწყვეტას გვიპირებენ,
უცბათ გვიბრძანეს დათმობა
საკუთრების და ღირსების
ვერ დავთმეთ, სისხლი ადუღდა
თვალი დაგვიდგა ძალზედა
უეცრად სროლა აგვიტყდა
თქვენც უწყით რაც მოგვივიდა
იმ უბედურსა წამზედა.
ექვსი სოფელი გვესია
როგორც არეულთ წესია
ექვსი თვე ისე გავიდა
მუხლი არ მოგვიკეცია
დღე და ღამ სროლას გვიტეხენ
პასუხს ვაძლევდით ექვსია
ჩვენ ძველსა ციხეს ვიჯექით
თავდარიგითა წესითა.
სიმწრით სიმღერას დავძახდით
ოფლს ვიწურავდით ქესითა
არვის ნაკლებათ არ გვწამდა
სამშობლოს თავისუფლება
არა სირცხვილით, სახელით
ადრევე გვითქვამს თანხმობა.
ღმერთო, ღმერთო გევედრებით
ერთს სათხოვარს მოგახსენებთ,
სანამ სირცხვილს მოვიგებდეთ
მანამ სიკვდილს მიგვაგებეთ.

თავადი გარდაფხაძეები შამშეს სიკვდილის შემდეგაც განაგრძობდენ ინტელიგენციისა და სოციალისტების დევნას,

რომელთაც მათ სამფლობელო ჩოლურის თემში გზად გავლაც არ შეეძლოთ.

შამშეს გასვენებაზე ჩემი დასწრება და მათი საწინააღმდეგოთ ჩემ მიერ წარმოთქმული სიტყვა გარდაფხაძეებმა რომ გაიგეს, რა თქმა უნდა, არც მე მწყალობდენ. როდესაც იმ ზაფხულში მოწაფეები ლაშხეთის ზემო სვანეთში შვებულებაში მივდიოდით, ს. სასაში (ქვემო სვანეთშია) მე მოვიწვიე კრება და შემდეგ ზემო სვანეთისაკენ გავემგზავრე. გარდაფხაძეები თურმე უკან დამდევდენ, მაგრამ ლატფარის მთაზე გადასვლა მოვასწარით და გადავრჩით, ხოლო როცა შემოდგომაზე ქუთაისისკენ ვბრუნდებოდი, ქელიჩბი გარდაფხაძე დამხვდა სოფ. კალაში და განიზრახა თოფით ჩემი მოკვლა, მაგრამ როდესაც დარწმუნდა, რომ ჩემს იქაურ ნათესაობას და ჩემთან მიმავალ მგზავრებს ვერ გადარჩებოდა, თოფი ძირს დაუშვა.

ამის შემდეგ ლევან დადეშქელიანი იქნა შეპყრობილი მთავრობის მიერ. მთელი ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის ხალხი ამის გაგონებაზე ფეხზე დადგა, ცაგერისაკენ გაეშურა, მას ალყა შემოარტყა და ითხოვა ლევანის განთავისუფლება. მთავრობა იძულებული შეიქნა ის გაენთავისუფლებინა.

იმავე წლის ზაფხულში ლაშხელების მიერ სასო გარდაფხაძის სახლის აივანზე მის მაგიერად იქნა შეცდომით მოკლული გარდაფხაძის ნათესავი და სტუმარი თავ. სავარიონ გელოვანი, ხოლო ლეცურიაში მცხოვრებ ყარაბი გარდაფხაძის განიარაღების დროს წინააღმდეგობის გაწევისათვის დახოცილი იყვნენ ორი თავადი პლატონ და ვასილ ჩიქოვანები.

1905 წლის ბოლო ხანებში ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის შეერთებული მებრძოლი რაზმები დაეცენ ცაგერში ლეჩხუმის მაზრის ადმინისტრაციას, განაიარაღეს ის, და დასწვეს მთელი ლეჩხუმის სამაზრო სამმართველო დაწესებულებათა საქმეები, ჭყვიშის, ორბელის და სხვა თემების სოფლის კანცელარიები და ლევანის წინამძღოლობით ალიხანოვის საწინააღმდეგოდ ქუთაისისკენ გაეშურენ, მაგრამ რეაქციის გამარჯვების შესახებ ქუთაისიდან მიღებულ ცნობების გამო მექვენიდან უკან დაბრუნდენ. ამის შემდეგ ლეჩხუმ-სვანეთს ეწვია ქუთაისის მაზრის უფროსი თ. ჯანსუხ დადეშქელიანი, რომელმაც დასწვა ახალჭალაში ლევან დადეშქელიანის სახლ-კარი, პლატონ და ბიქტორ

ახვლედიანების და რამოდენიმე გლეხის სახლები. დააპატიმრა ლევანის ცოლ-შვილი. ორი კვირის შემდეგ რაჭა-ლეჩხუმს ეწვია ცნობილი რეაქციის გმირი ალიხანოვი, რომელსაც გვერდში ამოუდგენ გარდაფხაძეები და ლეჩხუმის ზოგიერთი თავადები. ლეჩხუმში გამეფდა საშინელი რეპრესიები, რომლის მსხვერპლიც შეიქნენ კაზაკების მიერ ორბელის წვერზე მოკლული ბიქტორ ფრუიძე, ორპირის ხეობაში დახოცილნი ალექსი ლარცულიანი და ერთი ჭაბუკიანი.

ლევანი ამის შემდეგ იძულებული გახდა სტამბოლში გაქცეულიყო, თეოფანე გორგასლიძე რუსეთში კოსტორმის გუბერნიაში გადაასახლეს, სოსო პეტრე ასათიანი იქმნა შეპყრობილი, მაგრამ ქუთაისის ციხიდან 30 სოციალისტის გასაყვანად გაკეთებულ გვირაბით გაიქცა და შვეიცარიაში გადაიმალა, არტემ ბოჭორიშვილი ციმბირში გადაასახლეს, პლატონ ახვლედიანი ქუთაისის ციხეში გარდაიცვალა და რუბენ ყიფიანი არალეგალურ ცხოვრებას ეწეოდა. ლაშხეთის ორგანიზაციის მეთაურები: ერმანოზა და ერისტო ონიანები იქმნენ შეპყრობილნი. ლევენტო უზრებიანი და ეგნატე ავალიანი ალი გარდაფხაძის მიერ შეჩენილ მეჯოგეების შემწეობით სტრაჟნიკების მიერ იქმნენ შგედის მთაზე დახოცილნი, ამბაკო და დისიონ ონიანებს და ბეკო ლეფსწვერიძეს მიესაჯათ თვითოს 8 წლის კატორღა და ზოგიერთ მათგანის სახლ-კარი 1906 წ. სვანეთში პოლკოვნიკ შიშკევიჩის მეთაურობით მოსულ ჯარის მიერ იქმნა ცეცხლით განადგურებული.

გარდაფხაძეებმა სხვათა შორის ლევანის ცოლს გაუგზავნეს შემდეგი დაცინვის წერილი:

,,ბაცუნია ცარიცაო,
შენი ტახტი წაიქცაო
აღარა გყავს შენი მეფე
ლეხერაში გაიქცაო.
აწ სიცრუეს ვიღა გვეტყვის,
რა ვქნათ, რა გვეშველებაო“.

ამის შემდეგ გარდაფხაძეების სიძულვილი ჩოლურის გლეხობის გულში კიდევ უფრო გაღრმავდა და როდესაც რუსეთის

1917 წლის დიდმა რევოლუციამ თვითმპყრობელური წესწყობილება დაამხო, მასში უცბად იფეთქა შურისძიების ინსტინქტებმა და გადასწყვიტეს გარდაფხაძეების ამოწყვეტა. მეფის მთავრობის დამხობის პირველ ხანებში სვანეთი უმთავრობოთ დარჩა და ამიტომ ზემო და ქვემო სვანეთის ხალხმა გადაწყვიტა შეერთებულიყო. ზემო სვანეთში ამ საქმეზე მუშაობა დამთავრდა და სვანეთის ამორჩეულები ანუ ამ საქმის მომწესრიგებელი პირები ქვემო სვანეთში ჩამოვიდნენ სამუშაოდ, ჩოლურის თემის ხალხმა თავი მოიყარა ადგილობრივ კანცელარიასთან. თავად გარდაფხაძეებს დაევალათ ამ კრებაზე გამოცხადებულიყვნენ. ჩოლურლებმა ისარგებლეს ამ შემთხვევით გარდაფხაძეების გაწყვეტის განზრახვის სისრულეში მოსაყვანად და როდესაც ამ კრებიდან ალი, ლევანი და სემინარი შინისაკენ მიდიოდენ, გზაზე ესენი დახოცილი იქნენ დადარაჯებული ჩოლურელების მიერ. სასო და გრამიტონი ამ დროს სოფ. ჭველიერში იყვნენ. ხალხმა ისინი მიიმწყვდია იქ ერთ ოჯახში, გამოიყვანა გარედ და დახოცა. ყარაბი გარდაფხაძე კრებას არ დასწრებია და როდესაც მომხდარი ამბაი გაიგო, თავის შვილითურთ თავი ლუჯის ზემოთ ტყეს შეაფარა, მაგრამ მათ თვალი მოჰკრეს ლაშხელებმა და დახოცეს. ჭიჭიკო, სასოს შვილი, სოფ. ზაგალოდაში ჩაუვარდა გლეხებს ხელში და იქ იქნა მათ მიერ მოკლული. ამ ნაირად 1917 წ. 8 გარდაფხაძე 24 საათში იქნა დახოცილი ჩოლურის გლეხობის მიერ და მათი ბატონობაც გაუქმდა. ზემო სვანეთში კი სადადეშქელიანო სვანეთის გლეხობა შეუდგა თავად დადეშქელიანების სასახლეების ნგრევას და ადგილ-მამულის ურთიერთ შორის განაწილებას. ამ ჟამად მათი სასახლეების ნანგრევების მეტს არაფერს დაინახავთ. ამ ნაირად, ძირიან-ფესვიანად იქნა სვანეთის ცხოვრებიდან ამოფხვრილი 500 წლის განმავლობაში აქ დამკვიდრებული ბატონყმური წესწყობილება და მრავალტანჯული სვანეთის გლეხობაც ეღირსა თავისუფლებას.

შინაარსი

I

გვერდ.
ავტორისაგან 3

სვანების დამოკიდებულება ფეოდალიზმსა და ბატონყმობისადმი 5-29
1. რაჭის თავადების ჯაფარიძეების დახოცვა სვანების მიერ მე-15 საუკუნეში 12
2. თავისუფალი სვანები და თავ. დადეშქელიანები 18
3. დადეშქელიანების მიერ 85 ლატალელის დატყვევება 21
4. ბეჟანა ყიფიანის მოკვლა უშგულელების მიერ 22
5. დევეთგერი მურზაყულოვის მოკვლა უშგულში 24
6. ფუთუ ფალიანის მოკვლა მესტიაში 24
7. ჯაფარიძის მოკვლა მესტიაში 25
8. ლატალის გლეხკაცობის გამოსვლა ჩარკვიანების წინააღმდეგ 26
9. ლატალელების გამოსვლა დადეშქელიანების წინააღმდეგ 1895 წელში 27
10. გალიფხანების (გარდაფხაძეების) ამოწყვეტა ჩოლურის გლეხობის მიერ ძველ დროში
. . . . 27

II

სვანები და თვითმპყრობელური რუსეთის იმპერიალიზმი 30-55

III

ხალხის თვითმმართველობა სვანეთში 56-91

1. პატრიარქალური წესწყობილება 57
2. გვაროვნული წესწყობილება 60
3. სოფლის უფროსი და სასოფლო წესები 62
4. თემობრივი წესწყობილება 63
5. სრულიად სვანეთს თემთა საკავშირო ყრილობა 71

6. თემის უფროსი 76
7. თემის უფროსის უფლებები და მოვალეობანი 82

IV

სვანური იურიდიული წესწყობილება და სამართლის წესები 92-120

1. მსაჯულთ-მეადიტორეები 95
2. სამედიატორო განაჩენის სისრულეში მოყვანის წესი 108
3. სისხლის ფასი თავისუფალ სვანეთში 110
4. სისხლის ფასი სადადეშქელიანო სვანეთში 111
5. ქალის მიერ ქმრის მიტოვება 111
6. უკანონო შვილის შეძენა 111
7. მძიმე ჭრილობისაგან რომელიმე ასოს გახმობა 111
8. დარტყმა ჭრილობის მიცემით 111
9. დარტყმა ჭრილობის მიუცემლათ 112
10. სიტყვით შეურაცყოფის მიყენება 112
11. ქურდობა სახლის გატეხით 112
12. კაცის დატყვევება 112
13. წესი თავის გამართლებისა საეჭვო საქმეზე 116

V

ბატონ-ყმური წესწყობილება სვანეთში 121-125

VI

რევოლუციონური მოძრაობა ლეჩხუმ სვანეთში 1905 წ. . . . 126-137



K 88·604/3

სვანეთის მიუდგომელ ციცაბო კლდეებში მრავალი ჯიხვ-არჩვი ბინადრობს.

ჯიხვი – ”ღვაშ“ – სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს ამ ზღაპრული სილამაზის, ყინულოვანი მთების მეუფედ, სიამაყედ და მშვენებად.

ფერადი ჯიხვი ზამთრობით მონაცრისფეროა, ზაფხულობით, ნაზამთრი ბალნის დაყრის შემდეგ, უფრო მოყვითალო. ტანად მამალი სრული ასაკის ჯიხვი დაახლოებით 3 წლის მოზვრის ოდენაა. ცოცხალი წონა ჯიხვისა იქნება 5-8 ფუთამდე. მის კოხტა თავს ამკობს ლამაზი, მრგვალი, მსხვილი, სიგრძით 80 სანტიმეტრამდე მოხდენილად, უკან გადაღუნული რქებით, რომლების ნაოჭებითაც ადვილად შეიძლება ჯიხვის წლოვანების გაგება. მის ლამაზ სახეს ამშვენებს დიდი და მედიდური გამომეტყველების შავი თვალები; კისერი ჯიხვს აქვს მომსხო და მრგვალი. წვერი სქელი, ყურები პატარა, მუდამ ზევით აცქვეტილი, სმენა კარგი, ფეხები მაღალი და მოწვრილო. გაჭირვების დროს ჯიხვი ნახტომს საჟენზე მეტს აკეთებს. განცვიფრებაში მოჰყავს ადამიანი მის სიცქვიტეს, ტანის სიმსუბუქეს, ფეხის სიმარჯვეს და ოსტატობას ციცაბო კლდეებზე ხტუნვის დროს. ყნოსვა ჯიხვს იმდენად აქვს განვითარებული, რომ ადამიანის სუნს მეტად დიდ მანძილზე გრძნობს. მეტადრე მაშინ, როდესაც იმ მხრიდან, საიდანაც მონადირე ეპარება, სულ მცირე სიოც რომ ჰქროდეს. სმენა ჯიხვს მახვილი აქვს.

გამოცდილმა მონადირეებმა მისი ყველა ეს თვისებები კარგად იციან და ამიტომ ცდილობენ, რომ ჯიხვებს შეუმჩნევლად მიეპარონ, რისთვისაც იცვამენ კლდისა და მიწისფერ რუხ ტანისამოსს და, თუ ქარი იქითკენ ქრის, სადაც ჯიხვები ეგულებათ, მის დაწყნარებამდე წინ არ წავლენ; თუ მოსახერხებელია, სხვა მხრიდან შემოუვლიან ხოლმე.

დედალი ჯიხვი ,,კვიცრა“ – მამალ ჯიხვზე ბევრად პატარაა. მისი რქების სიგრძე 3-5 გოჯას არ აღემატება. ფერად ის მამალ ჯიხვსა ჰგავს, მაგრამ სილამაზით ბევრად ჩამოუვარდება.

არჩვი – ,,ერსკენ“ – ტანით მთლად შინაური თხის მსგავსია, ფერი თაგვისა აქვს, შუბლზე მოყვითალო ფართო ზოლი ჩაყვება. რქები აქვს წვრილი, სიგრძით 3-4 გოჯი, წვეტიანი, ბოლოში

ლამაზად მოკაუჭებული და უკან გადაღუნული. ფეხები წვრილი, უკანა ფეხები წინა ფეხებზე უფრო მაღალი.

ჯიხვი უფრო ღონიერია, მარდი, ამაყი და მედიდური, არჩვი კი სუსტი, ფრთხალი, ეშმაკი და წუწკი.

ჯიხვები ცხოვრობენ მაღალ, ციცაბო, ადამიანისთვის მიუწვდომელ კლდეებში ჯგუფ–ჯგუფად ან ჯოგებით, ხშირად ცალ-ცალკე. არჩვები უფრო დაბალ კლდეებსაც ეგუებიან. ხშირად ჯიხვები და არჩვები შეერთდებიან ხოლმე და ერთს ჯოგს შეადგენენ. ღამის გასათევად ჯიხვები და არჩვები ირჩევენ მშვიდობიან ადგილს. განთიადზე ისინი დგებიან ფრთხილად, ძირს ჩამოდიან იმ ადგილებში, სადაც ბალახი ეგულებათ. ამ მოგზაურობის დროს ისინი რამოდენიმე ნახტომის გაკეთების შემდეგ დაისვენებენ, არემარეს თვალს გადაავლებენ, დაზვერავენ ყველაფერს, თუ საეჭვო რამ შეამჩნიეს. დიდხან უყურებენ დაკვირვებით და, როცა მდგომარეობას გამოარკვევენ, მიდიან წინ, ან უკან ბრუნდებიან. განთიადზე ბალახობენ და მზის ამოსვლისას ისე იმ მწვერვალებზე ადიან, სადაც მათ საფრთხე არ მოელით, საღამომდე დაწოლილი არიან და იცოხნიან. მზის ჩასვლისას ისევ დაეშვებიან საბალახოდ და დაღამებისას თავის ნაჩვევ სადგომს უბრუნდებიან.

ჯიხვი ბალახობის დროსაც შიშით არის შეპყრობილი, ა,ოტომაც შეშფოთებით მოჰგლეჯს ხოლმე ბალახს და, ვიდრე დაღეჭავდეს, თავაწეული, ყურებ აცქვეტილი და განაბული აქეთ-იქით იცქირება, რომ მტერი საიდანმე არ მოეპაროს. აღსანიშნავია ის, რომ, როდესაც ჯიხვის ჯოგი ბალახობს, ხშირად ერთი ხნიერი ჯიხვი მზვერავის მოვალეობას ასრულებს და ბალახობის დროს დარაჯობს ჯიხვებს. ის ადის უფრო მაღლა, დგება კლდის წვერზე, ზევიდან მედიდურად გადაჰყურებს არე-მარეს. ზვერავს ახლო-მახლო ყველაფერს და, თუ რაიმე არ შეამჩნია, ჩუმად არის. სხვა ჯიხვები კი ამ დროს არხეინად ბალახს შეექცევიან. ხოლო თუ სადმე მტერი შეამჩნია, ბრაზმორევით და მჭექარედ დაუსტვენს თავის ამხანაგებს, რითაც მტრის მოახლოებას ანიშნებს. ჯოგი უცბად ფრთხება, ყველა თავის შველას სცდილობს და ჩვეულებრივ ზევით, მთის მწვერვალებისაკენ მიექანება.

ჯიხვებმა გაჭირვებაში ჩავარდნილი ამხანაგების დახმარებაც იციან. ყოფილა ისეთი შემთხვევები, როდესაც მონადირის

გასროლილი ტყვიით დაჭრილი ჯიხვი სხვა ჯიხვებს წინ გაუძღვანებიათ და, თუ მთლათ ღონემიხდილი არ ყოფილა, უკნიდან რქების კვრით მიეშველებიან და მის სამშვიდობოს მიყვანას ცდილან.

ჯიხვი მაგარი აგებულობისაა, ერთი ტყვიით, თუ თავში ან გულში არ მოხვდა, ან წყვილი ფეხები არ დაუშავდა, მისი დამორჩილება ძნელია. სროლის შემდეგ ჯიხვი ძალიან შორს მიდის. ხშირად გაქცეული ჯიხვები ჯიუტობასაც იჩენენ და მონადირე წინაც რომ დაუხვდეს, უკან დაბრუნებას არ კადრულობენ, მედიდურად, ზიზღით ანთებული თვალებით ჩაურბენენ გვერდით და თუ მონადირის შეუბრალებელ ტყვიას გადარჩნენ, რამოდენიმე კლდე-ღრეს გადაირბენენ და სამშვიდობო ადგილას მისვლამდე არსად არ შეჩერდებიან. მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როცა მონადირეები ჯიხვს ისეთი უფსკრულის ნაპირზე მიიმწყვდევენ, სადაც თავის გადარჩენის რაიმე შესაძლებლობა მას აღარ რჩება. მაშინ ის ან მთელი ძალღონით ისკუპებს, ისე მარდად გადახტება, რომ მნახველს მფრინავი ეგონება, ან ათვალიერებს ცალი რქის წვერით და ცალი ფეხით მისამაგრებელ ადგილს და, სანამდე შესძლებს, ცალი რქისა და ცალი ფეხის საშუალებით განაგრძობს წინსვლას. ხოლო როცა ეს იმედიც გადაუწყდება, ისკუპებს და ან სამშვიდობოს გადახტება, ან ხრამში გადაიჩეხება.

ჯიხვ-არჩვებში დედაშვილური სიყვარული მეტად ძლიერია. თუ ნუკრს (,,ფოთრს“) მონადირის ულმობელი ტყვია მის საყვარელ მშობელ დედას განუგმირავს, ამ უბედურებისაგან თავზარდაცემული და დაობლებული ნუკრი, ხშირად სულგანაბული გაწვება მკვდარი დედის გვერდით, დაეკვრის მიწას და ამნაირად ადვილად უვარდება მონადირეს ხელში ტყვედ. ხოლო თუ იმ ადგილიდან, სადაც მისი საყვარელი დედა სიცოცხლეს გამოასალმეს, ის სხვა ჯიხვებთან ერთად გაიქცა და შემდეგ გამოარკვია თავისი დედის დაღუპვა, მეორე დღეს გათენებისას გულსაკლავი ბღავილით მოდის კატასტროფის ადგილზე, ეძებს თავის დედას, ნახულობს იმ ადგილს, – სადაც მისი სისხლია დანთხეული და, როცა დარწმუნდება დედის დაკარგვისა და თავის გაუბედურებაში, მწარედ დაღონებული, საზარელი ხმით აბღავლებული მიდის კლდეებში, სადაც დიდად დამწუხრებული,

გულდათუთქული თავის ბედკრულ სიცოცხლეს ობლობაში ატარებს.

ჯიხვებს და რჩვებს ძალიან უყვართ მჟავე რკინის წყალი და მლაშე მიწის ლოკვა. ზაფხულობით, როდესაც პაპანაქება სიცხე მთებსაც საკმაოდ ათბობს, მჟავე წყლის მოთხოვნილება იმდენად აუშლის ხოლმე ჯიხვ-არჩვებს საღერღელს, რომ ისინი თავდავიწყებამდე მიდიან, არაფერს არ ერიდებიან, მთის მწვერვალებიდან შურდულივით იქითკენ დაეშვებიან, სადაც ეს სანატრელი მჟავეულობა ეგულებათ, და მადიანად დაეწაფებიან ხოლმე მჟავე წყალს, ან მლაშე მიწის ლოკვას იწყებენ.

მონადირეებმა იციან ასეთი ადგილები, მათ მახლობლად მარჯვე საფარები აქვთ გაკეთებული და იქიდან ადვილად ხოცავენ ჯიხვებს. სანამ სვანეთში კაჟიანი თოფებით ნადირობდნენ, ჯიხვებს იმდენი საფრთხე არ ელოდათ, ნაკლებად მარცხდებოდნენ, თუმცაღა მე ვიცნობდი ერთ უშგულელ მონადირეს, ნასყიდა ნიჟარაძეს, რომელსაც კაჟიანი თოფითაც 800 მეტი ჯიხვი და 30 დათვი ჰყავდა მოკლული. რევოლუციის შემდეგ კი მსწრაფლმსროლელი იარაღების გავრცელებამ თითქმის გაანადგურა მთების ეს მშვენება – ჯიხვ-არჩვთა სამეფო – და გადაშენებამდე მიიყვანა ეს ძვირფასი ცხოველები.

ჯიხვებს მრავალი მტერი ჰყავთ. ჯიხვების პაწია ნუკრებს დასდევენ არწივები, რომლებიც უეცრად დაეცემიან ხოლმე მათ, შეუბრალებლად ჩაურჭობენ თავის კლსნჭებს ნორჩ სხეულში, მოსტაცებენ ლამაზ შვილს დედასა და ჰაერში გააქანებენ. აბღავლებული დედა დიდხანს უყურებს ჰაერში არწივის კლანჭებში მკვნესარე შვილს, შემდეგ ბრაზმორეული, აღშფოთებული და აბღავლებული ამაოდ დარბის კლდეებში შვილის საძებრად.

ჯიხვების ყველაზე უფრო მძლავრი მტერი, მათი გამანადგურებელი და თავზარდამცემი არის ხანგრძლივი,დიდთოვლიანი და სუსხი ზამთარი. ბალახი ამ დროს თოვლშია გახვეული. ჯიხვები შიმშილისაგან კუჭამწვარი, სიცივისაგან აკანკალებული ხშირად იმისთანა მდგომარეობაში ვარდებიან, რომ ერთმანეთს ბალანს გლეჯენ და მისი ჭამით შიმშილს იკლავენ. საარსებო ლუკმის საძებრად სადმე წასვლისას კი მაღალი კლდეებიდან ხშირად ჩამოსწყდება ხოლმე თოვლის შვავი, რომელიც ქვეშ მოიტანს ჯიხვის ჯოგს და მრავლად ღუპავს. თუ ამ

უბედურებას გადარჩნენ და მთის მწვერვალებიდან მათ ძირებში, ანუ ტყიან მიდამოებში მშვიდობიანად ჩამოვიდნენ, აქაც ნორჩი ხეების ყლორტების ჭამას დანატრებულთ, აწუხებენ ერთი მხრით მონადირეები, მეორე მხრით მგლები. ამ უმაკნო არსების ერთად-ერთ მფარველად არის მოვლინებული ,,მუყელ", ანუ შურთხი (მთის ინდაური). ეს ფრინველი მონადირეების აზრით ჯიხვებს მართლაც დიდი მფარველობას და სამსახურს უწევს. ჯიხვი თუ მთის ცხოველების სიამაყეს შეადგენს, შურთხი მთის ფრინველის ბატონად შეიძლება ჩაითვალოს.

შურთხსაც, როგორც ჯიხვებსა და არჩვებს, მიუდგომელ მთის მწვერვალებზე ყოფნა უყვარს და ამიტომ, მონადირეების აზრით, არც-ერთი სულდგმული ჯიხვ-არჩვთან ისე დაახლოვებული არ არის, როგორც ეს ფრინველი.

მონადირეების თქმით, ზაფხულში შურთხები ბალახსაც წიწკნიან და ნისკარტით შეაქვთ იმ გამოქვაბულებში, სადაც ჯიხვებს უხდებათ ზამთრობით ბინადრობა. ამნაირად შურთხი თავის მეგობრებისათვის საზამთროდ პატარა თივის მარაგს ამზადებს, თვითონ კი გაჭირვების დროს ჯიხვის განავალით იკვებება.

შურთხი ფხიზლად დარაჯობს ჯიხვებსა და, როცა მთებში მონადირეს შეამჩნევს, ისე სასტიკად და მჭექარედ დაუსტვენს, რომ შორს გააგონებს ხოლმე ყველას. შურთხი ამ გზით ატყობინებს ჯიხვებს მტრის მოახლოვებას და საშუალებას აძლევს დროზე უშველონ თავს. ჯიხვიც ამ დროს გარბის და თავს შველის.

მონადირისათვის თითქმის სრულიად საკმარისია შურთხის სტვენის გაგონება, რომ დარწმუნდეს ჯიხვის ამ კლდეებიდან სადმე სხვაგან გადასვლაში, ამ ადგილებში ნადირობის უნაყოფოდ დამთავრებაში და ამიტომ მისი ნადირობის გეგმაც ხშირად ამ გარემოების მიხედვით იცვლება ხოლმე.

მონადირეები მოგვითხრობენ, რომ მათ ჯიხვის ჯოგში ხშირად შეუმჩნევიათ ერთი თეთრი ჯიხვი – ,,ჯვეგი თვალ". მათი რწმენით, ის ჯიხვის ჯოგს პატრონობას და მფარველობას უწევს და წარმოადგენს ისეთი ჯადოსნური თვისებებით აღჭურვილ არსებას, რომლის მოკვლა საძნელოცაა და სახიფათოც. მათი თქმით, ყოფილა შემთხვევა, როცა ის მონადირეს მოუკლავს, რისთვისაც მთელი მისი ოჯახი გაწყვეტილა და გადაშენებულა.

ჯიხვები და არჩვები ბოტობენ და მაკდებიან შემოდგომაზე და იგებენ თიკნებს („ფოთრს“) გაზაფხულზე. ბოტობის დროს მამალი ჯიხვები ხშირად ისე არიან გატაცებული და გაშტერებული, რომ არც მტერს ერიდებიან არც მოყვარეს უგდებენ ყურს და ამით უადვილებენ მონადირეებს მათ ნიშანში ამოღება.

ჯიხვებს უყვართ რქებით თამაში, ანუ ჭიდილი, ისინი დადგებიან ხოლმე ყალყზე და, რაც ძალი და ღონე აქვთ, ეჯახებიან ერთმანეთს უზარმაზარი რქებით, ასე რომ ახლო მყოფს ეგონება კლდეები ინგრევაო. მაგრამ ბოტობის დროს, როცა ერთმანეთს სატრფოს ეცილებიან, ხშირად ჩხუბი მოსდით და თამაშსა და რქების რახუნს ერთმანეთის ცხვირ-პირის მტვრევით შესცვლიან ხოლმე.

ყარაჩაში ყოფილა შემთხვევა, როცა თხის ჯოგი მთებში დაკარგულა, მთელი ზამთარი იქ გაუტარებია. მათში ჯიხვები შერეულან და თხები დაუმაკებიათ. ზაფხულზე ისინი პატრონს უნახავს. ჯიხვებისაგან დამაკებულ თხებს თიკნები მოუგიათ და ამრიგად ჯიხვის ჯოგი მოუშენებიათ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ არც ერთი გარეული ცხოველი არაა ისე ადვილი მოსაშინაურებელი, როგორც პატარაობაში დაჭერილი ჯიხვი. ის ძალიან ეჩვევა პატრონს, მთლიანად ჭამს თივას, პურს, ქერს, ბოსტნეულობას და ბალახს, ძალიან უყვარს მარილი, მაგრამ სიცხეში ძალიან სწყურს და საქციელი უფუჭდება.

ჯიხვზე ნადირობასთან დაკავშირებული ხალხური ზნე-ჩვეულებანი (ჩვენი მხარეთმცოდნეობისათვის)

ზემო-სვანეთის მთებში მრავალი „ღვაში“ და „ერსკანი“ ე.ი. ჯიხვი და არჩვი ბინადრობს. ბევრი მათგანი ხან თავის ნებით, ხან მონადირეებისაგან დაფრთხობილი, მოდის აქ კავკასიონის ქედის ყოველ მხრიდან, უერთდება აქ მყოფ ჯიხვებს და ამ გზით ხშირად დიდი ჯოგები შესდგება ხოლმე.

სვანეთის მთებში ნადირობა ძალიან იტაცებს ადამიანს. ერთი მხრით მთებისა და მყინვარების სილამაზე, ბუნების მრავალფეროვნება, ათასნაირი საკვირველი და იშვიათი სანახაობანი, ნაირ-ნაირი ყვავილები და ბალახები, ხოლო მეორე

მხრით მთების ლამაზსა და ლაღ ცხოველებზე – ჯიხვებზე ნადირობა დიდ სასახელო საქმედ ითვლება სვანეთში და ისეთი პატივისცემით და სიმპათიით არავინ არ სარგებლობს ხალხის თვალში, როგორც მონადირე. ამა თუ იმ თემის განთქმულ მონადირეებს მთელი სვანეთი იცნობს. სვანი ისე გულმოდგინეთ არაფერს არ ისმენს, როგორც მონადირის მიერ ნადირობის შესახებ მოთხრობილ ამბავს.

სვანის ნადირობას ბევრი მიზეზი ეღობება წინ. სანადიროთ სვანი ისე ვერ წავა, თუ არ დარწმუნდება, რომ მის ოჯახში და მეზობლებში ქალებს თვიური ავადმყოფობა არ აქვს, თუ ქალს მშობიარობა ჰქონდა და მას შემდეგ ერთი თვე არაა გასული, თუ მიცვალებულია მის სოფელში, თუ რამდენიმე დღის განმავლობაში მას ან მის ოჯახის რომელიმე წევრს სხვა ქალთან სქესობრივი კავშირი ჰქონია და სხვა.

თუ სვანმა ნადირობაში ვერ გაიმარჯვა და ჯიხვი ვერ მოკლა, ამას ის აწერს სანადიროდ ,,ურწყულდ ლიზის“ (უწმინდურად) წასვლას, ანუ ნადირობის ზემოხსენებული წესების დარღვევას.

ამნაირად, როდესაც მონადირე სვანი ზემოხსენებულ დაბრკოლებისაგან თავისუფალია და ,,წყილიან დრევს“ (წმინდა დროს) იხელთებს ნადირობისათვის, ის იბანს ტანს, იცვამს ნადირის ტყავისაგან გაკეთებულ ქურქს ან რუხ ჩოხას, იმზადებს რამოდენიმე დღის სამყოფ საგზალს, აცხობს ,,ლემზურალს“ (შესაწირავ პურებს), ჩამოქნის თაფლის სანთელს, ასხამს ,,ზედაშს“ (თავ არაყს) ბოთლში ან ლიტრაში, აწყობს ყველა ამას თხის გუდაში, მოიკიდებს მას ზურგზე, გადაიკიდებს თოფს მხარზე, დაიკავებს ხელში ,,მუჯურას“ – ჯოხს რკინის თავით და განთიადზე, სხვის შეუმჩნევლად, – საიდუმლოდ მიდის სანადიროდ მთაში.

როდესაც სანადირო საჯიხვო მთებზე ავა, მონადირე პირს დაიბანს (თუ არის წყალი ახლოს), სანთელს აანთებს, აიღებს ცალ ხელში სამ ,,ლემზირს“ (შესაწირავ პურს), ხოლო მეორე ხელში ,,ზედაშს“ – არაყს, პირს აღმოსავლეთისაკენ იზამს და მუხლმოდრეკით ევედრება სვე-ბედის მიმცემ ,,დალს“, ნადირობაში გამარჯვების მინიჭებას. ამის შემდეგ საუზმობს, მერე ადის ფრთხილად სანადირო კლდეებში, – ათვალიერებს მათ, და, თუ სადმე ნადირი დაინახა, მოხერხებულ ადგილიდან მიუეპარება მას. თუ სანადიროდ წასვლის წინა ღამეს, ან ნადირობაში ყოფნის დროს

მონადირეს დაესიზმრება ლამაზ ქალთან არშიყობა, სქესობრივი აქტის შეუსრულებლად, ეს ნადირობაში დალის წყალობის მომასწავებელია, ხოლო თუ ღვინო ვინმემ დაალევინა, ეს ნადირის სისხლით გულის გახარების ნიშანია.

დიდ მნიშვნელობას აძლევენ სვანეთში მონადირეები სანადიროდ წასვლისას წინ დამხვდურს. მაგალითად თუ მათ ბაყაყი შეხვდათ, ეს ბედნიერი მგზავრობისა და კარგი ნადირობის მომასწავებელია, თუ კურდღელი ან მწევარი შეხვდათ, ან ჩხიკვებმა მარცხნიდან დასჩხივლა – ცუდი მგზავრობის ნიშანია.

სვანეთში დღემდე შენახულია ერთი ფერხული სიმღერა ,,უშგულაშ-მახეღვაჟარე“ (უშგულის ახალგაზრდობა), რომელიც მოგვითხრობს, რომ ერთხელ, როდესაც უშგულის ახალგაზრდობა სანადიროდ წავიდა, მათ ბავარის მთაზე მწყრის ქარავანი შეხვდათ. ამის შემდეგ ნამყვამის მთაში მათ მიერ დაფრთხობილი ჯიხვები რომ გარბოდენ, მოსწყდა თოვლის ზვავი და 12 მონადირე ერთად დაიტანა. სიმღერა ამ უბედური შემთხვევის მიზეზად მწყრის ქარავანის შეხვედრას თვლის.

თუ მონადირემ ნადირი მოკლა, ის ,,სვევი მუჰდი ღერბად“ (სვე-ბედის მიმცემს ღმერთს) მადლობას სწირავს, ნადირს ემთხვევა, გაატყავებს, ხორცს მის ტყავში ჩააწყობს, აიკიდებს ზურგზე, მიდის ტყიან ადგილში, გულ-ღვიძლს, ფილტვებს და ჯიგარს შამფურზე ააგებს, შესწვავს, შემდეგ შესწირავს დალს, უძღვნის მას მადლობას ნადირის მიცემისთვის და ჭამს.

ნადირობას რომ ავი თვალი არ ეცეს, დაღამებისას მონადირე საიდუმლოდ მიდის სახლში. ჯიხვის თვს ქალებს არ გამოუჩენს, ხოლო თუ მშობიარობა ან თვიური ავადმყოფობა აქვს რომელიმე მათგანს, – ხორცსაც არ აჭმევს. ღორის ხორცის ნახარშ ქვაბში ჯიხვის ხორცის მოხარშვას ძალიან ერიდებიან, ნახარშ წყალს ძაღლებს კი აჭმევენ, მაგრამ ღორებისთვის მიცემა მისი შეუძლებელია.

თუ იმ მონადირეს, რომელმაც ნადირი მოკლა, ამხანაგი ჰყავს, ღებულობდა თუ არა ეს უკანასკნელი მოკვლაში მოანწილეობას, სულ ერთია – ნახევარი ხორცი მისია, ნამდვილ მკვლელს რჩება ზედმეტად, მხოლოდ, ტყავი და რქები.

უბრალო მგზავრიც რომ შეხვდეს მონადირეს მთაზე, იმასაც წილს აძლევენ.

ზოგიერთ თემებში, მონადირე რომ ჯიხვს მოკლავს და ნადირობიდან გამარჯვებული დაბრუნდება, მეორე დღესვე მიდის ეკლესიაში, პატიჟობს თავის მეზობლებს, მიაქვს არაყი, პური, ხორცი და სწირავს ნადირობაში გამარჯვების მიმცემ დალს, შემდეგ იმართება ეკლესიის გალავანში ქეიფი. ხშირად ჯიხვის რქებს მონადირეები ეკლესიას სწირავენ.

მე ხშირად მიტაცებდა მონადირეების ნაამბობი ნადირობის შესახებ და ამიტომ ერთხელ გადავწყვიტე წავსულვიყავი სანადიროდ ლატალის მთებში და თვითონაც მენახა ამის გემო.

დავიბარე ჩემს ბინაზე ლატალის თემის განთქმული მონადირე აბრამ თამლიანი და ორიც სხვა, სახელდობრ ბექუზა და გიორგი გვიჭიანები, და განვუცხადე მათთან ერთად სანადიროდ წასვლის სურვილი. მაგრამ გამოირკვა, რომ ბექუზას ოჯახში სამი კვირის მორჩენილი ქალი ყოფილა და აბრამისას კი თვიურით ავადმყოფი. ამიტომ ჩვენი სანადიროდ გამგზავრება ერთი კვირით გადაიდო. გადავწყვიტეთ, რომ ამ ერთი კვირის განმავლობაში არც ერთ ჩვენგანს ქალთან სქესობრივი კავშირი არ დაეჭირა, თვიურით ავადმყოფი და მშობიარობის მქონე ქალის ოჯახს არავინ არ გაკარებოდა, ნადირობის წესების საჭირო სისპეტაკე, სიწმინდე მტკიცეთ დაგვეცა და დანიშნულ ღამეს ყველას ერთად მოგვეყარა თავი. გავიდა ერთი კვირა და მონადირეები დანიშნულ დროს ჩემთან გაჩნდენ.

თავი არაყი, შესაწირავი პურები ,,ლემზურალ“ და სანთელი თვითეულ მათგანს ჰქონდა გუდაში ჩაწყობილი, ორ მათგანს კაჟიანი სტამბულის სისტემის თოფი ჰქონდა, ერთსაც რუსული ბერდანკა.

ორ ფუთამდე გამომცხვარი პური, ხუთი ბოთლი ღვინო, ღორის შაშხი საგზლად მე მქონდა დამზადებული. ესეც სამად განაწილდა გუდებში ჩასაწყობად და გათენებამდე მთებისკენ გავემგზავრეთ.

ტყიან ადგილებში მისვლამდე ძალიან ჩქარა წასვლას ვცდილობდით, რომ გათენებისას მინდვრად არავის ვენახეთ. ტყეს რომ თავი შევაფარეთ, უფრო უდარდელად და ნელა მივდიოდით, ხოლო როდესაც საჯიხვე მთებზე ავედით, ერთ მშვენიერ ადგილას, სადაც მთის ანკარა წყარო მოჩუხჩუხებდა, დავსხედით, დავისვენეთ, პირი დავიბანეთ, გუდებს თავი მოვხსენით, ამოვალაგეთ შესაწირავად საჭირო საგნები (პური, არაყი, სანთელი),

მონადირეებმა პირი აღმოსავლეთისაკენ ჰქნეს და შესწირეს ყოველივე ეს დალსა და სვე-ბედის მიმცემ ღმერთს. შემდეგ შეუდექით საუზმობას, რომლის დროსაც მე ვსთხოვე აბრამს ჩემი საგზლიდან ხორცი ამოეღო და თითო ნაჭერი ყველასთვის ჩამოერიგებინა. აბრამმა ეს შეასრულა, მაგრამ მწარე შეიქმნა ჩემთვის ეს საუზმე და ამხანაგებისადმი პატივისცემა. საგზლად ღორის შაშხი მქონდა. თურმე ნადირობის დროს ღორის ხორცის საგზლად წაღება ჯიხვ-არჩვთა მეუფისა, მთათა და სიმაღლეთა ღმერთის დალის საბინადრო სპეტაკ მთებში ყოვლად დაუშვებელი საქმე ყოფილა. ეს მე არ ვიცოდი და ძვირადაც დამიჯდა. ბექუზა ერთობ ახირებული კაცი იყო. შაშხი თუმცა იმანაც მადიანად მიირთვა და კარგადაც დანაყრდა, მაგრამ მე კი მადლობის მაგივრად ღორის შაშხის წამოღებისა და მით ნადირობის ,,წაბილწვისათვის“ ლანძღვა-გინებითა და წყევლა-კრულვით ამიკლო. სხვები კი მეტ თავდაჭერილობას იჩენდენ, ჩვენი ჩხუბით თავს იქცევდენ, იცინოდენ და სეირს უყურებდენ.

საუზმის შემდეგ გავუდექით კლდეებს. ბექუზა ერთობ ზანტი კაცი იყო, ყველაზე უკან მოდიოდა და ამიტომ დავუძახე: ,,ბექუზა, მალე გამოიარე“-მეთქი. ამაზეც მან წყევლით მიპასუხა: ,,გაგიხმოს ღმერთმა ენა და ზედ მიწა დავაყარე, სახელს ნუ მიძახი ,,ნაპოოლ“ (ფრინველი) დამიძახე ხოლმეო“. თურმე მონადირის სახელის დაძახება მთებში დაუშვებელი ყოფილა, მაგრამ მე მაინც ვუპასუხე: შე მამაცხონებულო, ფრინველს რა გიგავს, ძლივს მოეთრევი მეთქი.

ბევრი სიცილის შემდეგ მივედით ერთ ადგილას, სადაც თოვლიან ტყეში დათვის ნაკვალევს წავაწყდით. ამ ტყეში ცალ-ცალკე უნდა გვევლო, რომ ტყის მეტი ნაწილი გაგვეარა და ერთ რომელიმეს მაინც გვენახა ნადირი. მაგრამ ბექუზამ ამაზედაც უარი განაცხადა: ,,სულელები ხომ არა ხართ, დათვს რომ ჩემი კაჟიანი თოფი ვესროლო და ერთი ტყვიით ვერ მოვკლა, სანამდე ხელმეორედ გავტენიდე, იქნება მომიბრუნდეს და დამგლიჯოსო“.

თოფი, მართლაც ყველაზე ცუდი ბექუზას ჰქონდა, თუმცაღა სულ მის ქება-დიდებაში იყო. მე მისი თოფის მასხრად აგდება მინდოდა და ვუთხარი: ბექუზა, ეს თოფი უნდა მომყიდო-მეთქი. თურმე ნადირობის დროს თოფის ხსენებაც სახიფათო ყოფილა და ბექუზა ამაზედაც გამიწყრა და მითხრა: ,,თოფს ნუნ ამბობ, თოფის მაგივრად ,,ტარხან“ (ჭოლოკი) დაუძახეო“.

იმ დღეს ჩვენმა ნადირობამ უნაყოფოდ ჩაიარა. ღამის გასათევად კლდეში ერთ გამოქვაბულში შევედით, კარგა ხანს ვხუმრობდით და ზღაპრებით ვირთობდით თავს. შემდეგ ვივახშმეთ და დავიძინეთ. დაძინების წინ ბექუზამ ერთი ბრძნული დარიგება შემოგვთავაზა: ,,ვისაც რა დაგესიზმროთ, ყველამ გულში ჩაიბეჭდეთ, სიზმარი დაიმახსოვრეთ, რომ ჩვენი ნადირობის სვე-ბედი გამოვარკვიოთო“. ჩემს შეკითხვაზე იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება სიზმრით ნადირობის გამორკვევა, ბექუზას მაგივრად აბრამმა მიპასუხა: თუ ლამაზ ქალთან არშიყობა დაგვესიზმრა, ეს ,,დალის“ წყალობის მომასწავებელია, ხოლო თუ ღვინო ვინმემ დაგვალევინა, ჩვენ მიერ გასროლილი თოფის ფინთიხით (ტყვიით) ჯიხვის სისხლის დაქცევის ნიშანიაო და სხვ.

სასურველი სიზმარი არავის დაგვსიზმრებია, სამი დღე ვიარეთ და, საგზალი რომ შემოგველია, ხელცარიელი სახლში დავბრუნდით. თურმე ჩვენი სანადიროდ წასვლა ყველას გაეგო სოფელში, ძალიან ეინტერესებოდათ, თუ რით დამთავრდებოდა ჩვენი ნადირობა. როდესაც ასე შერცხვენილები სახლში დავბრუნდით, ერთი მხრით ცოლი ამიხირდა: კაცო, თუ რამე გაგვაჩნდა, საგზლად წაიღე და ერთი მთის ქათამი მაინც ვერ მოკალითო, ხოლო მეორე მხრით ბექუზამ ნადირობიდან ასე ხელცარიელი დაბრუნების მიზეზად ხალხში ის დაასახელა, რომ მე ღორის შაშხი მქონდა საგზლად წაღებული. ამის გამო ყოველ ნაბიჯზე დაცინვას ვხვდებოდი. ასე სასაცილო და სამასხარაო საგნად გადაიქცა ჩემი პირველი ნადირობა.

რამოდენიმე ხნის შემდეგ, ხუთი ამხანაგით წავედი სანადიროთ მულახის იშვიათ საჯიხვე სანადირო თვეთნულდის და წანერის მთებში. არა მგონია, სადმე მოიპოვებოდეს ამისთანა სანადიროები. სოფ. ჟაბეშიდან 4-5 ვერსის მანძილზე მდებარე, კავკასიონის უმთავრეს ქედზე აღმართული, შაქრის თავისებურად წვერწაწვეტილი, მუდმივი თოვლით დაფარული, ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით მყინვარებით შემკობილი ლამაზი თვეთნულდი (4853 მეტრი) ჭეშმარიტად წარმოადგენს მონადირეების მიერ სხვადასხვა ქვეყნებში დაფრთხობილ ჯიხვ-არჩვთა თავშესაფარს. თვისი მიუდგომლობით თვეთნულდის მთა ვერაგი მტრის მიერ დევნილი ნადირისათვის საუკეთესო სიმაგრეა. მისი კალთები მდიდარია ჯიხვ-არჩვისათვის საამური ბალახით, ხოლო ძირები

მათთვის სანატრელი მჟავე წყლებითა და მლაშე მიწით. ამიტომაც ამ მთებში ხშირად შეხვდებით ჯიხვ-არჩვთა ჯოგებს.

ამ მჟავე წყლების ახლოს მონადირეებს გაკეთებული აქვთ საფარები სათოფურებით, ზევიდან ქვით დახურული და მიწით დაფარული, რომ ნადირმა მტერი ვერ შეამჩნიოს. წყლის სასმელად მთებიდან ჩამოსულ საბრალო ცხოველებს შეუბრალებლად სპობენ ამ ხერხის საშუალებით.

ამ მთებში მე გავემგზავრე სანადიროდ სამი სვანისა და ორი უცხოელის თანხლებით. გათენებამდე გავედით სოფ. ჟაბეშინიდან და მზის ამოსვლამდე სანადირო ადგილებზე ვიყავით. ტყეში ერთ ადგილას, გზის პირას, ჩვენ შევამჩნიეთ ბრტყელი ქვა, რომელზედაც წვრილი კენჭები ეწყო, ამან ჩემი ყურადღება მიიქცია, შევჩერდი. მონადირე ტრიფონმა ამიხსნა: სამარჩიელო ქვაა, ამ ადგილას მონადირეები ისვენებენ, ქვაზე კენჭებით მარჩიელობენ და არკვევენ, მისცემს მათ მთათა, სიმაღლეთა და ნადირთა ღმერთი ნადირს თუ არაო. ამ ადგილას ჩვენ მარჩიელობის მაგივრაად ჩვეულებრივი ,,ლიმზირ“ (მსხვერპლთ შეწირვა) გადავიხადეთ, ვისაუზმეთ და შემდეგ გავუდექით გზას. სანადირო ადგილებს რომ მივუახლოვდით, ტრიფონმა მჟავე წყალზე სამი ჯიხვი დაინახა.

ამ ადგილებამდე უცხოელები დიდი ვაი-ვაგლახით მივიყვანეთ, აქ კი დაქანცულები ჩამოჯდენ და ჯიხვებისაკენ წასვლაზე უარი განაცხადეს. ისინი იქვე ახლო კლდეში ერთ გამოქვაბულში დავაბინავეთ, დანარჩენნი ჯიხვებისაკენ წავედით. მაგრამ ვიდრე მივახწევდით იმ ადგილებამდე, სადაც ჯიხვები იყვნენ, ისინი უკვე წასულიყვნენ და ხელცარიელი დავბრუნდით უკან. ღამე ყველამ გამოქვაბულში გავატარეთ, მეორე დღეს უცხოელებმა უკან დაბრუნება უთხოვეს და ერთი მონადირის თანხლებით შინისაკენ გასწიეს. დანარჩენები – მე, ტრიფონი და ბესი – წანერის მყინვარებით მთებისაკენ გავემგზავრეთ. ავედით თუ არა უფსკრულებით დასაერილ ზღაპრულ მყინვარზე, უცბად მზის სხივებით წითლად აფერადებული მთიდან ჯიხვის ნუკრის საზარელი ბღავილი მოგვესმა. ჩვენ სმენად გადავიქეცით, იქვე ჩამოვჯექით და მთას ჭოგრებით დავუწყეთ თვალიერება. უცბად დავინახეთ, რომ საცოდავი ნუკრი გულსაკლავი ბღავილით ჩვენსკენ მოემართებოდა. ჩვენ მივხვდით, რომ მას დედა არა ჰყავდა, ალბათ მონადირის ულმობელმა ტყვიამ მოუსპო მას სიცოცხლე.

დაობლებულ, გამწარებულ, გზა-დაბნეულ და უპატრონოთ მოხეტიალე, საცოდავ ნორჩ არსებას, ეტყობა, ჩვენც კი, – მისი მტრების ბანაკიდან გამოსული მონადირეები, დედად მოვეჩვენეთ.

როდესაც საბრალო ცხოველი საკმაოდ მოგვიახლოვდა, ბესიმ თავის ,,ყირმილზე“ (თოფზე) გაისვა ხელი და დააპირა მისი ნიშანში ამოღება. მე და ტრიფონი ვეცით მას თოფში და სროლა არ დავანებეთ. როდესაც საცოდავი ნუკრი დარწმუნდა, რომ ჩვენში დედობას ვერ ჰპოვებდა, იბრუნა პირი და ტყვიასავით მთებისაკენ გავარდა.

ჩვენ განვაგრძეთ გზა, რამდენიმე მანძილი რომ გავიარეთ, ჩამოვჯექით, დავისვენეთ და ჭოგრები ავამუშავეთ. მალე ძალიან ახლოს დავინახეთ ოცამდე ჯიხვი, მაგრამ ამ ადგილიდან ჯიხვებისაკენ ნიავი ქროდა და საშიში იყო, რომ ჯიხვებს ჩვენი სუნი არ აეღოთ, ვიდრე ნიავი არ ჩადგებოდა, იძულებული ვიყავით ადგილიდან არ დავძრულიყავით. ნახევარი საათის შემდეგ ჯიხვები რატომღაც დაფრთხენ და მწვერვალებისკენ გაქანდნენ. მონადირეებმა ამის დანახვაზე ერთხმად გადასწყვიტეს: ჩვენ მიერ მიღებული სიფრთხილის ზომები ალბად საკმარისი არ იყო, ჯიხვებს ჩვენი სუნი მაინც ეცათ. ჩვენ მივყეთ ამ ჯიხვების კვალს, ერთი ქედიდან გავიხედეთ ჩვენ წინ მდებარე მთის კალთებში და დავინახეთ უთვალავი ჯიხვის ჯოგი. ამ ჯოგის დანახვაზე ყველას თვალები აგვენთო, გული აგვიძგერდა.

დიდი სიფრთხილით ისევ დაბლა დავეშვით და ჯიხვებს ისეთი ადგილიდან მოვექეცით, სადაც ისინი უთუოდ უნდა ჩაგვვარდნოდენ ნიშანში. დავიკავეთ შესაფერი ადგილები. საღამო ჟამი იყო. მალე დავინახეთ, რომ ჯიხვის ჯოგი ბალახის ძოვით ჩვენსკენ მოდიოდა, ერთი მეთაური ჯიხვი კი ამ ჯოგის მოშორებით მაღლა კლდეებით ნელ-ნელა მოდიოდა. გადმოდგებოდა ხოლმე ამაყად კლდის ჯერ ერთი კორტოხიდან, მერე მეორედან და ათვალიერებდა აქეთ-იქით არე-მარეს. ტრიფონმა ჩამიჩურჩულა: აი ესაა ჯიხვის ჯოგის ყარაულიო. ბესიმ წამოიძახა: რას ვუცდით ჯოგის მოახლოვებას, ვესროლოთ და მოვკლათ ეს ჯიხვიო. ტრიფონი ამის წინააღმდეგ წავიდა: ჯოგი პირდაპირ თოფის ტუჩზე მოდის, რაღა ამ ერთს ვესროლოთ, დავუცადოთ და თითო ჯიხვი ყველამ ამოვიღოთ ნიშანში, სამში ერთს მაინც მოვკლავთო. ბესი მაინც თავისას გაიძახოდა. ამ დავაში რამოდენიმე საჟნის მანძილზე

ჩვენ წინ თავი იჩინა ჯოგმა. მე და ტრიფონმა ნიშანში ამ ჯოგის წინამძღოლი ორი ჯიხვი ამოვიღეთ. ბესიმ ყარაულ ჯიხვს არ მოაშორა თვალი. ყველამ ერთად გავისროლეთ თოფები. მე და ტრიფონმა თითო ჯიხვი მოვკალით, ბესი კი ხახამშრალი დარჩა. ვერაფერი მოკლა. მე და ტრიფონმა ერთმანეთს მიულოცეთ გამარჯვება. ტრიფონმა ჯერ თოფს აკოცა, შემდეგ მადლობა გადაუხადა გამარჯვების მიმცემ ღმერთს. სირბილით დავეშვით ძირს, სადაც დახოცილი ჯიხვები გვეგულებოდა. ტრიფონი ემთხვია მათ პირისსახეზე. ჯიხვები იქვე გავატყავეთ. ერთი ჯიხვის ხორცი ავიკიდეთ ზურგზე სამთავემ და საღამომდე ისევ იმ გამოქვაბულში ჩამოვედით, სადაც წინა ღამე უცხოელებთან ერთად გავათიეთ. იმ ღამეს დახოცილი ნადირის ჯიგარით მსხვერპლთ შეწირვა გადავიხადეთ, მეორე დღეს დილად ადრე ტრიფონი და ბესი დაბრუნდნენ მეორე ჯიხვის ხორცის ჩამოსატანად, მე კი გამოქვაბულში ტყვილად ჯდომას ვარჩიე ძირს ჩავსულიყავი და საღამომდე იმ მჟავე წყლის მახლობლად, ტყეში ვყოფილიყავი, რომელზედაც ხშირად მოდიან ხოლმე ჯიხვები.

მართალია ამ ზღაპრული სილამაზის ბუნებაში ადამიანს არ მოსწყინდება, რაც უნდა დაქანცული იყოს, იმდენად იტაცებს თვალს ეს საკვირველი სანახაობები, მაგრამ მე მაინც ტკბილად ჩამძინებოდა. საღამოს ჟამს გამომეღვიძა და მჟავე წყალზე ათამდე ჯიხვი დავინახე. დავუმიზნე თოფი ერთს და ვესროლე. ჯიხვი იქვე წაიქცა და მოკვდა. მალე დაღამდა, მე გამოქვაბულში დავბრუნდი. წინა დღით მოკლული ჯიხვის ხორცის ჩამოსატანად წასული ამხანაგები დაბრუნდნენ, ჯიხვის ხორცი გამოქვაბულში შემოიტანეს და დაქანცულები პირისსახიდან ოფლს ჩოხის კალთებით იხოცდნენ. მე ვუამბე ჯიხვის მოკვლა. მომილოცეს, გადამკოცნეს.

შემდეგ შეუდექით ვახშმის მზადებას. როგორც უკვე ნათქვამი მქონდა, სვანური ადათით, მოკლული ნადირის ჯიგარი მთაშივე უნდა შეეწიოს მთათა და სიმაღლეთა მეუფეს, ნადირთა მფარველსა და მომცემ ღმერთს.

მონადირეებმა გააკეთეს ორი დიდი შამფური, ააგეს ორი ჯიხვის ჯიგარი, შესწვეს და შესწირეს ნადირობაში გამარჯვების მიმნიჭებელს. შეწირვის შემდეგ ჯიგარს მადიანად შევექეცით.

მეორე დღეს ჩავედით ჩემ მიერ მოკლული ჯიხვის ამოსატანად გამოქვაბულში. როდესაც ჯიხვს ვატყავებდით, ვნახეთ, რომ ეს იყო დედალი ჯიხვი, რომელსაც პატარა შვილი ძუძუზე ყოლია. ამან ძალიან შემაწუხა, უცბად წარმომიდგა ზემოთაწერილი, წინა დღეებში ნახული სურათი, ვიღაც მონადირის მიერ მოკლულ ჯიხვის შვილის უნუგეშო მდგომარეობა, უგზო-უკვლოდ მთებში მისი ხეტიალი და გულსაკლავი ბღავილი.

მაგრამ ჩემი ტანჯვა, საშინელი სულიერი განცდა და სინდისის ქეჯნა გააორკეცა იმ საზარელმა სურათმა, რომელიც უცბად ჩემს თვალწინ ამ ბოროტმოქმედების ჩადენის ადგილზე გადაიშალა. იმ ადგილზე, სადაც ჩვენ ჯიხვს ვატყავებდით, გათენებისას, საშინელი ბღავილით, წინა დღეს ჩემ მიერ მოკლულ, მისთვის დაკარგული დედის საძებრად მოდიოდა მისი უბედური შვილი.

წარუხოცელი იქნება ჩემს მეხსიერებაში მისი მდგომარეობით მიღებული შთაბეჭდილება.

თოფის ხმისაგან შეშინებული საცოდავი ნორჩი ცხოველი, ეტყობა, დედის დაკარგვაში უცბად ვერ გამოირკვა, სხვა ჯიხვებთან ერთად მთის მწვერვალებისკენ გაიქცა. იმ ღამეს მან შეიტყო დედის დაკარგვა, მეორე დღეს გაეშურა ამბის გასაგებად იქ, საადაც დედას დაშორდაა. იგი ათვალიერებდა ყოველმხრით ადგილებს, დაეძებდა დედას და, როდესაც არსაიდან მის საზარელ ბღავილს დედა არ გამოეხმაურა, ჩამოვიდა პირდაპირ იმ ადგილზე, სადაც ის უკანასკნელად, დედასთან მჟავე წყალს შეექცეოდა, და სადაც ულმობელმა ტყვიამ ისინი ერთმანეთს დააშორა. იქ ის ნახულობს მშობელი დედის სისხლით შეღებილ ადგილს, რწუნდება დედის დაკარგვაში და უფრო საზარელსა და საბრალო ბღავილს იწყებს, შემდეგ წელმოწყვეტილი მიდის მთის მწვერვალებისაკენ და, ვინ იცის, ამის შემდეგ რა ბედი ეწია ამ უმანკო ნორჩ არსებას.

ჯიხვზე ნადირობა მონადირეებს თავდავიწყებამდე იტაცებს. არაფერ საქმეზე მონადირე სვანი ისეთ რისკს არ გასწევს და სიცოცხლეს სასწორზე არ დადებს, როგორც ჯიხვზე ნადირობის დროს.

ზამთრობით ჯიხვები იძულებული ხდებიან მთის მწვერვალებიდან ძირს ჩამოვიდნენ და ისეთ ადგილებში დაიზამთრონ, სადაც გამხმარი ბალახი მაინც იშოვება. მონადირეებს ეს ადგილები შესწავლილი აქვთ. ამიტომ ხშირად ხდება ამ

ადგილებში ჯიხვების ვერაგულად ამოჟლეტა. უშგულში, ხალდეში, ადიშში და მულახში არის ისეთი საზამთრო საჯიხვე ადგილები, სადაც ჯიხვები დიდ თოვლიანობის დროს შედიან, მაგრამ თუ მონადირეებმა იქ მოიმწყვდიეს, გამოსავალი მარტო ორ-სამ ადგილას აქვთ.

მიუხედავათ იმისა, რომ ზამთარში იქ სანადიროდ წასვლა დიდ საშიშროებასთან არის დაკავშირებული, რამდენიმე კაცი იყრის თავს. ღამე მიდიან იმ ვარაუდით, რომ განთიადზე საჯიხვე ადგილებში იყონ. აყენებენ ყარაულს იმ ადგილებზე, სადაც ჯიხვებს გამოსვლა შეუძლიათ. დანარჩენები მიდიან სხვა მხრით და, თუ ჯიხვები შიგ დაინახეს, უტეხენ სროლას და კლავენ; რომლებიც მათ გადაურჩებათ და გაექცევათ, მათ ადვილად ხოცავენ სადარაჯოზე ფხიზლად მყოფი მონადირეები.

ხშირად ყოფილა შემთხვევები, რომ მონადირეების მიერ დაფრთხობილი გაქცეული ჯიხვების წყალობით კლდეებიდან ჩამოშვებულა თოვლის დიდი შვავი და მონადირეებიც მისი მსხვერპლი გამხდარან. 1915 წ. სოფ. ხალდეშიდან ზურაბ ჩოფლიანის მეთაურობით ხალდეშის საჯიხვო მთებში სანადიროთ წასული ხუთი მონადირე შვავისაგან ერთად დაიღუპენ. ხოლო ჯიხვებმა თავს უშველეს და სხვა...

როდის იქნება ის დრო, რომ მთის მწვერვალებზე მოხეტიალე, მთების მშვენება უვნებელ, უმანკო, ლამაზსა და ლ

სვანებს თავისი თვალწარმტაცი, ადამიანის მომაჯადოებელი და ზღაპრული სილამაზის მთები დალის საბინადრო ადგილებად მიაჩნიათ, ხოლო ამ მთებში მყოფი ჯიხვ-არჩვი დალის კუთვნილ ცხოველებად. დღემდე დარჩენილი სამი ფერხული სიმღერის მიხედვით სქესობრივი მოთხოვნილება დალსაც აქვს. ის ხშირად მონადირეებს ყვარებია. მაგალითად სვანეთში დღემდე არსებობს ერთი ლეგენდა დარჯელიანზე და ამირაზე (ამირანზე), რომლის მიხედვითაც დალი დარჯელიანის საყვარელი იყო, ამირანი დალისა და მონადირე დარჯელიანის შვილია.

ეს ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ერთის სოფლის თავში აღმართულ ციცაბო კლდიდან ყოველდღიურად სამჯერ იმისთანა მწარე კივილი ისმოდა, რომ ორსულ ქალს, მაკე ცხენს, ძროხასა და სხვა ცხოველებს შიშისაგან მუცელში შვილი არ რჩებოდათ. მიწა და ხე-ტყე ძვრას იწყებდენ. მონადირე დარჯელანმა გადასწყვიტა ასულიყო ამ კლდეზე და გაეგო, თუ ვინ იყო მისი სოფლის დამღუპველი.

მან გააჭედვია ერთ მჭედელს სამი ფოლადის კეტი, ავიდა კლდეზე, რომელსაც სამჯერ კეტი ჩაჰკრა და კლდე შიგ ჩატეხა. დარჯელანი შევიდა შიგ გამოქვაბულში და ნახა დალი. დალს და მონადირეს ერთმანეთი შეუყვარდათ და დალი მალე დაორსულდა. დარჯელანმა კლდეში სიარულს მოუხშირა, მისი ცოლი დაეჭვიანდა და ერთხელ თავის ქმარს უკან გაჰყვა, დალთან დაძინებული შეისწრო. ის მიეპარა დალს და ოქროს მაკრატლით ოქროს ნაწნავი მოსჭრა. დალმა რომ გაიღვიძა, მიხვდა, რაც დაემართა და ძალიან შეწუხდა. მალე დალმა შეიტყო, რომ მონადირისაგან ის დაორსულებულა და სთხოვა დარჯელიანს გაეჭრა მისთვის მუცელი, გამოეღო იქედან შვილი, კუროს ტყავში გაეხვია და ისეთს ადგილას დაედო, სადაც სამი გზა ერთად თავს იყრის. დარჯელანმა მისი ბრძანება შეასრულა, და როდესაც ამ გზით სამი წმინდანი მიდიოდა და ბავშვის კივილი მოესმათ, ისინი გაოცდენ. იცნეს, რომ მათი ნათესავის ხმა იყო, გახსნეს კუროს ტყავი, ეს ბავშვი აიყვანეს, მიაბარეს გასაზრდელათ დარჯელანს, რომელმაც ის გამოზარდა, მონათლა და სახელათ ამირანი დაარქვა. ამირანის გმირთა-გმიროობა აიხსნება მით, რომ ის დალის შვილი იყო.

სიმღერა ,,დალი კოჯას ხელღვაჟალე“ (დალი კლდეებში მშობიარობს) გვაუწყებს, რომ დალს ამ მშობიარობის დროს კლდიდან ,,ჩვიჩლიდ“ შვილი გამოუვარდა, მას მგელმა წაავლო კბილი და ტყისკენ გააქანა. ერთმა მონადირემ მგელი მოკლა, ბავშვი დაატოვებინა და დედას მიჰგვარა. გახარებულმა დალმა მონადირე დალოცა და დააჯილდოვა ყოველწლიურად მარიამობის თვეში სამმტკავლიან რქების მქონე რვა ,,ღვაში“-ს (ჯიხვის) მიცემით, ბარბალობას შვიდი ღვაშის, ყოველ კვირას თითო ,,ერსკნი“-ს (არჩვის) მიცემით, დიდი ხნის სიცოცხლის მინიჭებით და სხვა. ხალხს ეს გაულექსავს, დღემდე შენახულია საშაიროთ შემდეგი სახით:

დალი[1]

დედაჩემო მშვენიერო,
გამომიცხვე დღეს საგზალი,
როს დადაგება განთიადი
და გადავა კვირაძალი,
მთაში წავალ სანადიროთ,
მომენატრა ჯიხვი-არჩვი,
მომენატრა ტყე ლამაზი,
შემოსილი მწვანე ფარჩით.
გამოუცხობს დედა საგზალს
და სიტყვასაც ეტყვის მცირეს;
მთებისაკენ ეშურება
ეს გულადი მონადირე.
რომ შეუდეგ მაღლა აღმართს,
გადავლახე გზები ბევრი;
ერთ ადგილას, სად შრიალებს
მწვანე ბუჩქი, მწვანე ტევრი,
საუზმისთვის მოვემზადე,
პირი მოვხსენ ჩემსა გუდას;
გულში შვება გაიშალა,
გულში ფიქრმა დაიბუდა.
შემომესმა მწარე მოთქმა
მწუხარების რამ კივილი;

გული შეხტა საგულეში,
იგრძნო რაღაც მან ტკივილი.
ყური უგდე საოცარ ხმას,
ხმას ხევებში დარხეულსა,
მსურს შევიტყო ვის რა უჭირს,
ვის უპობენ ისრით გულსა!
აღმოსავლეთ გავიხედე,
სად კლდე თეთრი ფერით ალობს,
კლდეში დალი წევს და კვნესის,
კლდეში დალი მშობიარობს.
დაბლით მგელი შეძუძგურებს,
უბრიალებს ცეცხლით თვალებს,
უნდა შვილი გამოსტაცოს,
დააობლოს ნაზი დალი.
დალის შვილი გადმოვარდა,
მოიტაცა მგელმა ტყეში,
და მამიტომ ჰკივის დალი,
და ამიტომ მოსთქვამს, კვნესის.
მონადირე კლდისა ძირში
მივიდა და უხმო დალსა:
-დიდება შენ! რა გაწუხებს,
ვინ გისველებს ცრემლით თვალსა?
-მე ვარ დალი, კლდის მეუფე,
გამომტაცა მგელმა შვილი;
ამას ვტირი, ამას ვგლოვობ
მწუხარე და თმაგაშლილი.
-ნუ სწუხდები, მხნეთ იყავი,
უთხარ მე ვარ მონადირე,
მე ვეფხური ნახტომებით
გადავევლე კლდის ნაპირებს.
მგელი სერზე მირბის მალი,
დალის შვილი მიაქვს პირით,
მას არ ესმის დალის ოხვრა,
დალის გულის გასაჭირი.
ჩაუსაფრდი სერზე ჩუმად,
თოფი ჩახმახს შევაყენე;

შიშით მთები შეირხენ და
აშრიალდენ მწვანე ხენი.
და გავარდა ჩემი თოფი,
მგლის გულ-ბოყვი შეარყია;
ტყემ მწუხარედ დაიგმინა,
ტყემ ფოთლები შეარხია.
დალის შვილი მხარს შევისვი,
გამოუდექ მთების განებს, და მხიარულ სიმღერითა
დალსა შვილი მიუყვანე.
კლდის ძირიდან დალს შევძახე:
-ჩამოუშვი, დალო, თმები!
დალს თვალები გაუნათდა,
როს მოესმა ჩვენი ხმები.
დალმა ოქროს ნაწნავები
ჩამოუშვა კლდიდან ძირსა,
მისი თვალი სიხარული
და სიამის ცრემლით სტირსა.
დალმა როცა შვილი ნახა,
ბევრი აღარ დაახანა,
და ოქროსფერ ნაწნავებით
კლდეში შვილი აიყვანა.
დალმა შვებით გადმომძახა:
-ჩემი მადლი შეგეწიოს,
დილით ნამი შუბლს გესხუროს,
საღამოს კი ნაზი სიო.
წყალობა რამ თუ გინდოდეს,
ჩემო კარგო მონადირე,
მიიღებდე ჩემგან ყოველს
უამრავს და არა მცირეს.
სამუდამოთ ფიცი დავდოთ
ჩვენ და-ძმური სიყვარულის!..
-დალი! დალი! შენსა მადლსა
ღირსი არ არს ჩემი გული.
მე შენ ძმობას ვერ შეგკადრებ,
სხვა წყალობას მომცემ რამეს,
სხვა წყალობა მიბოძე მე, -

ამასა გთხოვ, მხოლოდ ამას.
-მარიამობისთვის დამდეგს,
როს მზე ისვრის ოქროს კონებს,
მომიცია მე რვა ჯიხვი
სამმტკავლიან რქების მქონე.
ბარბალობას შვიდი ჯიხვი,
ყოველკვირით ერთი არჩვი.
მთაში შვებით იხარებდე
და უკვდავი მარად დარჩი.
და ყოველი მონადირე
უკვდავ იყოს შენი გვარის,
მარჯვენა მხრით გეყოლებით
მე თქვენიდა, თქვენი დალი.

მთელს სვანეთში დღემდე ყველაზე უფრო გავრცელებულია ფერხული სიმღერა ,,ბეთქილი", ამ სიმღერის შინაარსის მიხედვით, ,,დალი" ერთი სახელგანთქმული მონადირის ბეთქილის საყვარელიიყო.

ბეთქილმა დალს უღალატა და შეიყვარა თავისი რძალი თამარი. ამ მოვლენით განრისხებულმა დალმა ბეთქილზე შური იძია და სასტიკად დასაჯა. ერთხელ, ყველიერის აღების კვირას, როდესაც, მთელი მულახ-მუჟალის[2]) ხალხი ჩვეულებრივად სოფ. ჟაბეშში ,,აღბა ლაღრალის" (ყეინობის) დღესასწაულზე იყო თავმოყრილი, ამ დროს ბეთქილის მთებში გასატყუებლად დალის მიერ ,,კვიცრა" (ჯიხვი) მოვლინებული იქნა თვეთნულდის მთებიდან, რომელმაც ფერხულში ჩაბმულ ბეთქილის ლაჯებში გაუარა და შემდეგ მთებისკენ გაეშურა.

ჯიხვის ამგვარმა საოცარმა საქციელმა იმოქმედა სახელგანთქმულ მონადირის თავმოყვარეობაზე. ხალხმაც მას ერთხმად შესძახა: ,,ამ ჯიხვს, ბეთქილ, შენ უნდა დაედევნო"-ო. ბეთქილი დაედევნა ჯიხვს, მთელი ხალხი მათზე იყო მიშტერებული, ყველას აინტერესებდა ჯიხვის ბედი და ბეთქილის მასზე გამარჯვება. ჯიხვი ბეთქილს თვეთნულდის მთის ძირში ,,ქვანის" კლდეში შეუძღვა. ამ საშინელ ციცაბო კლდეში ბეთქილი ჯიხვს მიჰყვებოდა, სანამდე იმისთანა ადგილში არ შეიჭრა, სადაც მარტო მარჯვენა ფეხის დასადგამი და მარცხენა ხელის მოსაკიდებელი ადგილი არ შერჩა ხელში. თავის შველის

ყოველგვარ საშუალებას მოკლებული ბეთქილი მალე დარწმუნდა, რომ ჯიხვი დალილსაგან იყო გამოგზავნილი, რათა იგი ამ კლდეში გაეტყუებინა და კლდიდან გადაგდებით შური ეძია მასზე ღალატისათვის.

ბეთქილი წყევლა-კრულვით იხსენიებს თავის რძალს თამარს, რომელმაც ის შეიყვარა, შეაცდინა, დალისადმი ღალატი ჩაადენინა და ამისთანა მდგომარეობაში ჩააყენა.

ჟაბეშში თავმოყრილი მულახ-მუჟალის ხალხი არ იშლება, ყველა თოფის ხმის მოლოდინში სმენად არის გადაქცეული, ყველას თვალი და ყური, მათ წინ აღმართული, იმ თვეთნულდისკენაა მიპყრობილი, სადაც ბეთქილი ეგულებათ.

ბეთქილი რწმუნდება თავის უბედურებაში და ერთს მწარედ დაიკივლებს. ხალხი რწუმნდება მის დაღუპვაში. ყველა იწყებს მზადებას მის მისაშველებლად. ზოგს ქეჩა-ნაბადი მიაქვს, ზოგს გრძელი კიბეები და ზოგსაც ბაწარი. მაგრამ საცოდავი ბეთქილი გადარჩენის საშუალებას მოკლებული აღმოჩნდა.

მთელი ღამე მას სიცოცხლე მხოლოდ, იმ ცალი ხელითა და ფეხით უკავია, რომლითაც იგი კლდის უფსკრულის ნაპირზეა ჩამოკიდებული. გამოეცლება ამ ხელ-ფეხში ძალა, ისიც სიცოცხლეს გამოესალმება.

ხალხი კლდის ძირში მისი დაღუპვის მოლოდინში ათევს ღამეს. გათენებისას ღონე მიხდილ ბეთქილს ხელი და ფეხი ღალატობს. დაღუპვისა და სიცოცხლის გამოსალმების წინ მოსთქვამს ბეთქილი:

მამაჩემს ვევედრები ბევრი რანგი და ღვინო მიკურთხებინოს,

დედაჩემს ვუანდერძებ – ბევრი ხაჭაპური მიკურთხებინოს,

ჩემს ცოლს ვეხვეწები შვილები კარგად გამიზარდოს,

ჩემს ძმებს ვუანდერძებ თოფ-იარაღს მოუარონ,

ჩემს დებს გადაეცით – ნაწნავები კარგად გაიშალონ,

ჩემს საყვარელს გადაეცით – ცხარე ცრემლი დამაღვაროს,

ჩემს ამხანაგებს ვთხოვ ერთი ფერხული გამაგონონ, ზარიც კარგი შემომძახონ,

ჩემს სოფლელებსა ვსთხოვ კუბო კარგი გამიკეთონ,

თამარმა, ჩემმა საყვარელმა, ლეჩაქი მარცხნივ დამიტრიალოს.

მშვიდობით, მთებო, მშვიდობით ჯიხვებო.

მშვიდობით, მშობლებო, დებო და ძმებო,

მშვიდობით სამშობლო,

მშვიდობით, მეზობლებო და მეგობრებო.

მშვიდობით, კლდეებო, მშვიდობით, დალებო ![3])

ამ სიტყვების შემდეგ ბეთქილი კლდიდან გადმოვარდება და დაიღუპება. მის ძვლებს ხალხი კლდის ძირში ჰკრებს და ჯალავერით მულახში მშობლებთან მიასვენებს.

სვანეთში ნადირობის დროს მონადირის დევთან ბრძოლის შესახებ არსებობს ბევრნაირი ვარიანტების ლეგენდები.

სვანებს დღემდე სწამთ დევის (ტყის კაცის) არსებობა. მათი წარმოდგენით ის არის უზარმაზარი ტანის, ცალთვალიანი, ბალნიანი, რქიანი, ხშირად თორმეტთავიანი, ადამიანის მსგავსი, უდაბურ ტყეებში და ღრეებში მობინადრე არსება, რომელიც მონადირეებს ხშირათ უნახავთ და როცა მოუკლავთ, ქაფათ ქცეულა. დევი თუ კაცს დალოცავს – ბედნიერია, თუ დასწყევლის – უბედურია. ამიტომ ზოგგან მის საპატივისცემოთ მსხვერპლთ შეწირვასაც აქვს ადგილი.

უშგულში დღემდი არსებობს ერთი ლეგენდა, რომელიც მოგვითხრობს, რომ დევი და უშკულელი მონადირე ღამე ერთ უდაბურ ტყეში შეხვდენ ერთმანეთს. მონადირემ დევი მოჰკლა. დევის შვილი შეუდგა შურის ძიებას, მაგრამ მამის სისხლში მისთვის არ იყო დამაკმაყოფილებელი მონადირის სისხლი. ამიტომ მან გადასწყვიტა უშკულის ღვთისმშობელზე გადაეტანა შურის-ძიება, დაეხრჩო იგი. ამ მიზნით უშკულის დასავლეთით ერთ ვიწრო კლდოვან ენგურის ხეობაში ააგო მაგარი კლდის კედლები, რომლებიც დღემდე ატარებენ დევის ნაშენებ კედლების სახელწოდებას. ამ კედლებით მას უნდოდა დაეგუბებია მდ. ენგურის წყალი იმ სიმაღლემდე, რომ უშკულის ღვთისმშობლის თაძარი მასში გამოეხრჩო. განსაცდელში ჩავარდნილმა უშკულის ღვთისმშობელმა მიმართა კალის წმ. კვირიკესა და სთხოვა მიშველება. მან კი დასავლეთიდან გამოუშვა ოქროს რქიანი ვერძი, რომელიც ეძგერა რქებით დევის მიერ ღვთისმშობლის დასახრჩობათ აგებულ კლდის კედლებს,დაანგრია ისინი, დაგუბებული წყალი თავის გზით გაუშვა და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ღვთისმშობელი იხსნა დახრჩობისაგან.

დევი ამ დროს იმყოფებოდა იფარის თემის ტყეებში, სადაც თავის კედლების გასამაგრებლად ეძებდა დიდ ქვებს. მას საჭირო

ქვები უნახავს, დაეწყო ისინი ერთი მარჯვენა, მეორე მარცხენა მხარეზე და მთებით უშკულისაკენ მიჰქონდა. ამ დროს მან მაღლიდან გადმოხედა მდ. ენგურს, რომელიც გამშრალი იყო მის მიერ აშენებულ კედლებისაგან წყლის დაგუბების წყალობით და დაინახა, რომ ამდენ ხნის დაგუბებული მდინარე ისე ადიდებული, საშინელი ხმაურით მოდიოდა, რომ კლდეებსა და ტყეებს ეხეთქებოდა და არემარეს ანგრევდა. დევი მიხვდა რაშიც იყო საქმე, საშინლად შეწუხდა, აღრიალდა, ბრაზმორეულმა მხრებზე დაწყობილი ქვები ერთი ჩრდილოეთისაკენ გადაისროლა, მეორე სამხრეთისაკენ. უკანასკნელი შეჩერდა იფარიდან ერთ ვერსის მანძილზე – წყლის პირად მდებარე მინდორში, სადაც შემდეგში ხალხის მიერ ამ ქვაზე აშენებულ იქნა დღემდე აქ არსებული კოშკი, რომელსაც საძირკვლად ის დიდი ქვა უძევს.

სვანები მარტო ჯიხვ-არჩვზე არ ნადირობენ, ისინი ნადირობენ აგრეთვე: მგელზე, დათვზე, კვერნაზე და მელაზე. კურდღელზე ნადირობა სამარცხვინოთ მიაჩნიათ და მისი ხორცი თითქმის ეძაგებათ.

მგლებს სვანები წმინდა გიორგის ძაღლებს ეძახიან, მათ იჭერენ ხაფანგით, კლავენ თოფით. მონადირეები გვარწმუნებენ, თითქოს, მგელს, თუ ის ახლოს არის, თოფის მოჯადოება შეეძლოს. მოკლული მგლის კბილი და ყანყრატოს ნაჭერი ავი ზნით დაავადებულთათვის უებარ წამლათ მიაჩნიათ. ამიტომ ასეთი სახის ავადმყოფთ გამოაბამენ ხოლმე ამ საგნებს ყელზე, რომ ავი სული არ წაეკაროთ. მგლის კბილს ყელზე დაჰკიდებენ ხოლმე ლამაზ ბავშვებს, ავი თვალისაგან დასაცავად. სვანი რომ მგელს მოჰკლავდა, მის ტყავს ჩამოჰკიდებდა ხოლმე გრძელ კეტზე, ჩამოატარებდა მას მთელ სვანეთში, ჩამოუვლიდა კარდაკარ ყოველ მოსახლეს, რასაც შაშანგელოს ეძახდენ და მისი მკვლელი ყველასაგან ლოცვა-კურთხევას, პურს, ქერს და ცერცვს ღებულობდა საჩუქრათ. ამჟამად ეს ჩვეულება გადავარდა.

მგლებისაგან პირუტყვის დასაცავად სვანეთში ხშირად ადგილი აქვს მსხვერპლთ შეწირვას. წელიწადში ერთხელ (3 თებერვალს) მგლის საპატივცემოდ კალოებში არყის ხისაგან გაკეთებულ ლამპას ანათებენ, რასაც მგლის ლამპრობას ეძახიან. ღამე გარეთ დარჩენილი პირუტყვის მგლებისა და დათვებისაგან

დაცვის მიზნით ოჯახის უფროსისათვის გაკეთებულ ფიჩქს (სუფრას) შემოუჭირებენ ხოლმე ფეხებზე ბაწარს, შიგ მაკრატელს გაურჭობენ, შეულოცავენ: ,,ეკენია, ბეკენია, ბეკენ ჩუქვან სანეფია აღდეშ, ბაღდეშ თხრელს სიკვდილ“. გაიტანენ სახლიდან და გარეთ დასდებენ. ყველიერის აღება ღამეს ნავახშმევს სვანები შამფურზე ჩამოაცხობენ ხოლმე პურს, ხორცის ნაჭრებს, ძვლებს, ადიან სახლის სახურავზე ან აივანზე და იძახიან: ,,ელოდ გელოდ (მგელო) წელს ესა გქონდეს, გაისად ხარის ბეჭს მოგართმევო“ და გადაუგდებენ ამ ,,ბაჟს“ მგელს. თუ კურდღელზე ნადირობა, როგორც ზემოთა ვთქვით, როგორც სუსტსა და ფრთხალ არსებაზე, სვანებს სამარცხვინოთ მიაჩნიათ, სამაგიეროთ დათვზე ნადირობა, როგორც მაგარსა და ღონიერ არსებაზე სვანებს ვაჟკაცობათ მიაჩნიათ და მისი მოკვლა სასახელოთ. თათებს მოკლულ დათვს მიაჭრიან ხოლმე და მონადირის ვაჟკაცობის ნაშთათ მიაჭედებენ კედელს იმისთანა ადგილას, რომ ყველამ დაინახოს.

დათვის თავზე სვანები ისეთი შეხედულების არიან, თითქოს, მას წყალდიდობის დროს მდინარის იმ ნაპირის წალევკისაგან დაცვა შეეძლოს, რომელ ნაპირზეც ის დამარხული იქნება. ამიტომ მდინარის ამა თუ იმ ნაპირზე მდებარე სათიბებისა და ყანების წყალდიდობისაგან დასაცავად დათვის თავს, იმ ნაპირზე დამარხავენ ხოლმე, რომელსაც წყალდიდობისაგან წალეკვა მოელის. ამ უკანასკნელ ხანებში ეს ჩვეულებაც ქრება. დათვის ნაღველი მუცლის ტკივილის საუკეთესო წამლად მიაჩნიათ. კვერნა სვანეთის უდაბურ ტყეებში უამრავია და მასზე ნადირობას ფართო ადგილი უჭირავს. კვერნა სვანეთში ორნაირია: ერთს აქვს თეთრი მკერდი და ბეწვიც დაბალი ხარისხის. მეორეს ყვითელი კვერცხის გულისებური გულმკერდი, რომელიც უფრო კარგი ღირსებისაა. ნადირობას რომ ავი თვალი არ ეცეს, კვერნაზე ნადირობა დიდი საიდუმლოებით არის მოცული. ამიტომ სანამდი ზამთრის პერიოდში კვერნაზე ნადირობა არ დამთავრდება, მანამდე არავის არ შეუძლია იმის გაგება, რომელმა მონადირემ რამდენი დაიჭირა. კვერნას იჭერენ უმთავრესად ხაფანგით, და თითო მონადირე საშუალოდ 5-10-ამდე. ყოველწლიურად მისი ტყავი გადის ბაზარზე 1000-მდე. კვერნის ნაღველი ციების უებარ წამლად მიაჩნიათ.

სვანეთის ტყეებსა და კლდეებში ხშირად ვნახულობთ ირმის რქებს. შველის ნუკრის დაჭერასაც ადგილი ჰქონია. სვანეთის

დასავლეთ ნაწილში, როგორც მოგვითხრობენ, დომბაც მოუკლავთ, ზოგიერთ ადგილებს სახელათ „დომბაი ლარე“ დაურქმევიათ (დომბას საბალახო). ეს გარემოება აშკარად ამტკიცებს, რომ სვანეთში სვანეთში ოდესღაც ეს ძვირფასი ცხოველები ყოფილან, მაგრამ ამჟამად მათი ხსენებაც არ არის. ასეთივე მწარე ბედი მოელის სვანეთის მთათა და სიმაღლეთა მშვენებასა და სიამაყეს - ლამაზ ჯიხვს, თუ ეხლავე არ იქნება მიღებული სერიოზული ზომები მის განადგურებისაგან დასაცავად.

1) გალექსილია ა. ონელის მიერ.
2) თავისუფალი სვანეთის ერთი თემია.
3) იხ. გვ. 39.

ბეთქილი

(სვანური თქმულება, გალექსილი 12 წლის გივი ეგ.-ძე გაბლიანის მიერ).

იქ სადაც მარად მეფობს თოვლი,
იქ სადაც მთების სამყარო არის
სვანებმა შეჰქმნეს ლეგენდა ბეთქილ
და ეს ლეგენდა ფერხულად ჰყვავის.

ამბობენ, ყოჩაღ მულახელ ბეთქილს
ვერ ვინა სჯობდა ჯიხვის წყვეტაში,
მრავალი კოხტა მთების მეუფე
მას უმსხვერპლია ნადირობაში.

ერთხელ ბეთქილი ჯიხვის საძებრად
ეხეტებოდა სალსა კლდეებში,
უცბად მოესმა ქალის ნაზი ხმა
უცხო რამ ძალა იგრძნო მუხლებში.

კლდის წვერზედ იდგა ნაზი ქალწული,
ნადირობისა ქალ-ღმერთი დალი
ნახა და... ბეთქილს ვაჟკაცურ გულში
სიყვარულისა მოედვა ალი.

,,დიდება დალო შენ მთის ქალ-ღმერთო“,
შესძახა მყისვე ქალსა ბეთქილმა.
,,კეთილი იყოს აქ შენი მოსვლა“
გასცა პასუხი ბაგით ხეთქილმა.

მე შემიყვარდი, შენ ჩემთან დარჩი,
აღარ წახვიდე აქედან არსად,
თორემ, ღალატში, თუ დაგიჭირე,
მე შენ ამ ღალატს დაგისვამ ფასად.

ბეთქილმაც მისცა ფიცი სვანური,
სავსე ვაჟკაცურ პატიოსნებით.
მყისვე აივსო იმისი გული
დალთან ცხოვრების ტკბილი ოცნებით.

მაგრამ გავიდა სულ ცოტა ხანი,
ბეთქილს ეუფლა რაღაც დარდები,
არც ნადირობდა, აღარცა სჭამდა,
არ უთხრა დალსაც გულის ნადები.

აგონდებოდა ბეთქილს დედ-მამა,
ძმები, ოჯახი და მეგობრები,
შეყვარებული რძალი თამარი,
როგორც რომ მტრები, ისე მოყვრები.

მოიმიზეზა ავადმყოფობა,
დასტოვა დალი, დასტოვა მთები,
მხარზედ მოიგდო თავისი თოფი,
სახსოვრად მოსჭრა დალს ცოტა თმები.

მიდის დრო, მირბის ვით ქარი მთაზედ,
დალი ლოდინად გადაქცეულა,
არსად სჩანს მისი ტურფა ბეთქილი
მაშ უღალატა და გაქცეულა.

შურის ძიებით აივსო დალი,
სიკვდილი ბეთქილს ეს არ შერჩება.
მან მიღალატა მეც მას დავღუპავ
და... მოკლე ხანში მკვდარიც იქნება.

ერთხელ როდესაც ,,აღბა ლაღრალს[1])
მულახ-მუჟალი ჟაბეს უქმობდა,[2])
ფერხულში ჩაბმულ ბეთქილისაკენ
დალის ბრძანებით ჯიხვი მოჰქროდა.

ოქროს რქიანმა დალის მსახურმა
ლაჯელში ბეთქილს გადაურბინა,
გაჰკვირდა ხალხი თამამი ჯიხვით,
ბეთქილი ჯიხვმა რით შეარცხვინა.

ჯიხვს დაედევნე მყისვე ბეთქილო
შესძახა ბეთქილს ამაყმა ხალხმა
და სმენად იქცნენ, რომ გაიგონონ
ბეთქილის თოფის მჭექარი მათ ხმა.

ჯიხვი შეუძღვა ბეთქილს ერთ კლდეში
თვეთნულდის ასპიტ მყინვარებს შორის.
ბეთქილსა მაინც არ ეკარგება
იმედი ჯიხვის ოქროს რქის შოვნის.

ბოლოს ბეთქილი იმ კლდეს მიადგა,
სად ტანი ცალი ხელით დაჰკიდა,
ახლა გაიგო თუ ვინ ღუპავდა
ამ საშიშ კლდების მსხვერპლად ვინ ხდიდა.

წყეულიც იყავ რძალო თამარო,
შენ შემაცდინე მე შენ, დამღუპე,
შენი გულისთვის დალმა გამსწირა
და მის გულისთქმას აქ მე ვემსხვერპლე.

ხალხი არ მიდის, იცდის ჟაბეშში

სურთ რომ გაიგონ ბეთქილის ბედი.
უცბად მოესმათ მწარე კივილი
სად აღმართულა თვეთნულდის ქედი.

ზოგს მიაქვს კიბე, ქეჩა, ნაბადი.
გრძელი ბაწრები, მატყლეულობა,
ფენენ მთის ძირში, უნდათ ძმის შველა
ვერ შველის ბეთქილს ფარჩეულობა.

გათენებამდის ის ამ ყოფაში
ათევს მთელ ღამეს, ღამეს უბედურს
ათასნაირი ფიქრი აწვება
მის გულს ვაჟკაცურს ეხლა წამებულს.

მაგრამ ელევა ხელში ძალ-ღონე
და სიკვდილის წინ ანდერძსა სტოვებს,
ასეთის თხოვნით და გულწრფელობით
მიმართავს იგი თავის მეგობრებს:

მოხუც დედ-მამას გადაეცი ჩემი ანდერძი:
მიკურთხებინოს ერთმა რანგი,[3]) მეორემ პური.
ცოლს ვეხვეწები დამიზარდოს შვილები კარგად
და არ დამწყვიტოს ამ ანდერძზე იმანაც გული.

ჩემ ლომ-გულ ძმებსა ვუანდერძებ, რომ იარაღსა
მოუარონ, შეინახონ, როგორც თვის შვილი,
დებს გადაეცით, ნაწნავები კარგად გაშალონ,
ცრემლით შეამკონ მონადირე ,,ბაილ-ბეთქილი“.

საყვარელმა ჩემმა რძალმა ტურფა თამარმა
დამიტრიალოს ვით წესია მარცხნით ლეჩაქი,
დაღვაროს დამსხვრეულ ძვლებს ცრემლი მდუღარე,
რომ გულს არ დარჩეს მწუხარების რაიმე ლაქი.

ამხანაგებს და გულითად ჩემსა მეგობრებს
გთხოვთ გამაგონოთ ერთხელ მაინც ჩვენი ფერხული,

შემომძახოთ ჩვენებური მწუხარე ზარი,
სოფელმა კუბო გამიკეთოს არ დამწყდეს გული.

გემშვიდობებით თქვენ: დალებო, ლაღნო ჯიხვებო,
თქვენც მეგობრებო, მეზობლებო, სვანეთის მთანო,
ტკბილო აღმზრდელო შენ სამშობლო თვითონ სვანეთო,
თქვენაც მშობლებო, საყვარელნო დანო და ძმანო.

რა გაათავა ეს სიტყვები მკვეთრი, ბეთქილმა
ფერხულის ხმაში მოსწყდა იგი მშობლიურ კლდეებს,
ხალხმა აკრიბა დამსხვრეული მისი ცხედარი
და ჯალავერით მიუტანეს მწუხარე მშობლებს.

დღესაც ფერხულში ისმის ქება ვაჟკაც ბეთქილის,
მის ბედის წერას დაჰქვითინებს ჩონგურზედ ქალი
ამ სიმღერაში მე შევიცნე სვანთა ჯავარი
და შურის გება გაწბილებულ ქალწული დალის.

1) ყველიერის აღების დღესასწაული, ანუ ყეინობა.
2) მულახის თემის ერთი სოფელის სახელია, მდებარეობს თვეთნულდის მთის ძირში.
3) თაფლისაგან გაკეთებული სასმელი.

შინაარსი

ჯიხვი სვანეთის მთებში 1-14

ჯიხვზე ნადირობასთან დაკავშირებული ხალხური ზნე-ჩვეულებანი 15-27

ჯიხვზე ნადირობასთან დაკავშირებული ლეგენდები 27-43

ეგნატე გაბლიანის პუბლიცისტიკა

ზარდლაში. (სვანეთი)[46]

ზარალი მდინარისაგან. ამ სოფლისთანა გაჭირვებაში არც ერთი სოფელი არ არის მთელს სვანეთში. საზოგადოდ ეს სოფელი ყველაფრით უბედურია, ამ სოფლის ახლო ჩრდილოეთიდგან ჩამოდის ერთი მდინარე, რომელსაც „ტვიბრას“ ეძახიან, იყო დრო, როდესაც ამ „ტვიბრამ“ წალეკა მრავალი მოსახლე, რასაც ამტკიცებს სახლის ნაანგრევები და ციხის ნახევარი კედელი ამ „ტვიბრაში“. ეხლც-კი ყოველ ზაფხულობით მოელიან ამისთანა შემთხვევას, რადგანაც ზაფხულში დიდი წყალი ჩამოდის და მიაქვს ქვეით. ამ სოფლის მოსახლეების ეზოები და ყანები რომ სულ წაართვა და ის არის! საწყალი მოსახლეები უთმობენ და უთმობენ ადგილს თავის მტერსა და დამღუპველს და ამ ნაირად სულ დასავლეთისაკენ გააქვთ სახლები, რადგაანც იქით მიწა ჯერ-ჯერობით უფრო

[46] გაზეთი „ივერია“, #238, 17 ოქტომბერი, 1904 წელი, გვ., 3.

მაგრადაა; გავა რამდენიმე წელიწადი და ეს „ტვიბრა“ სულ განდევნის ამ სოფლიდგან მოსახლეებს.

სასწავლებლის სიშორე. მთელ სოფელში, საცა ორას სულამდე კაცია, ორის მეტი რ მოიძებნება იმისთანა, რომ ქართულ-რუსულად წერა-კითხვა იცოდეს. ორის მეტს არავის ჰყავს შვილი და არც ნათესავი სასწავლებელში; თუმცა სოფლის კლასის გარდასახადს იხდის, მაგრამ სარგებლობით კი არაფერს სარგებლობენ, რა არის მიზეზი უსარგებლობისა? ამისი მიზეზი ის არის, რომ სასწავლებელი მოშორებულ სოფელში არსებობს, ასე რომ, სოფელ ზალდაშიდან იმ სოფლამდე არის ოთხი ვერსი. ეს გზა შორი არ არის, მაგრამ სად და როგორ? ოთხის ვერსის გზამ ბევრს კაცს ასწავლა ჭკუა ამ სვანეტში, სადაც ოცდა ხუთმეტ გრადუსზე მეტია სიცივე. აქაური გზები ხომ იმისთანა უბედურია, რომ ყოველ ნაბიჯზე კაცი უნდა სიკვდილს ელოდეს ზამთარში; იმისთანა აღმართ-დაღმართია, რომ მუდამ შიშში ხართ, აი, ეხლა ჩამოვა ზვავი და აი ეხლაო.

საჭიროა სასწავლებლის უფრო ახლოს დაარსება. თხოვნა აქვს დირექციაში შეტანილი მულახის ორ-კლასიან სასწავლებლის საღმრთო სკოლის მასწავლებელს მღ. დ. მარდვიანს და ამავე სასწავლებლის ზედამხედველს ბ. კ. ჯუღელს, რომ ერთი სკოლა დაარსდეს ცალკე ოთხის სოფლისათვის. ეს სოფლებია ზარდლაში, მურშვერი, ორცხელი და ღვებრა.

ეგ. გ. გაბლიანი.

საქართველო, ზემო სვანეთი [47]

ქურდობა-ავაზაკობა. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელ დროს სვანეთში გავრცელდა ქურდობა და ავზაკობა. მარტო ზემო-სვანეთში, დანამდვილებით, ოცი კაცი იქნება ყაჩაღი. მიზეზი ის არის, რომ სვანეთში ჯერ კიდევ სიბნელე და გაუნათლებლობაა. სვანი თავის დღეში არ დაივიწყებს თავის წინაპართა შეურაცხყოფას

[47] გაზეთი „ივერია“, #252, 4 ნოემბერი, 1904. გვ., 2.

და ამიტომაც გახშირდა კაცის კვლა და სისხლი ღვრა. ... ცრუ მოწმებით თავი იმართლონ.

სასწავლებლის საქმე. ეს მეთორმეტე წელიწადი იქნება, რაც სვანეთში პირველი სასწავლებელი დაარსდა, დიდის ბრძოლითა და აგჭირვებით. როცა სავანებმა გაიგეს, მთავრობამ სასწავლებლის დაარსება ისურვაო, ერთი ალიაქოთი მოახდინეს. „არ გვინდა ჩვენ რუსული პრაშნი-პრუშნიო, ამბობდნენ, ჩვენ მამა-პაპაურად და ძველებურად გვინდა ვიცხოვროთო“. ახლაც ყოველ შემოდგომაზე მასწავლებლები ბოქაულის შემწეობით ეძებენ ბავშვებს, მაგრამ რადგანაც ვერაფერს გახდენ, დაადგინეს ჯარიმა. ამ ჯარიმის გადახდა სვანისათვის შეუძლებელია და ამის შიშით ბავშვის სასწავლებელში მიცემას არჩევენ, მაგრამ ერთ დღეს „უჩენიკი”, მეორე დღეს მწყემსი ბავშვი ვერაფერს ვერ სწავლობს. ამას კი სვანები მასწავლებელს აბრალებენ. მართალია, მასწავლებლები ვერ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებას ისე, როგორც წესი და რიგია, მაგრამ მაინც ვერ გავამტყუნებ, რადგანაც ვიცი, რა მდგომარეობაში არიან აქაური მასწავლებლებიდა მოწაფენი. მაინც საჭიროა, რაც შეიძლება, უფრო გულმოდგინედ მოეკიდნენ საქმეს მასწავლებელნი ამ გაუნათლებელ ხალხში და არ აჰყვნენ იმათ გაუგებლობას. რამ უნდა უშველოს ამ ყოვლისფრით დაცემულ მხარეს, თუ არა სწავლამ და განვითარებამ? სწავლითა და განვითარებით კი ყოველ მხარეზედ საქართველოში უკან ჩამორჩენილი ესაა.

შიმშილი და უფულობა არც ერთს კუთხეს ს აქართველოში არ აწუხებს ისე, როგორც სვანებს. ამის გარდა, ათასობით რომ ხალხი იხოცებოდეს, საშველი არსაიდან არაა მისთვის, რადგანაც ქინაქინის მეტს ვერაფერ წამალს ვერ შოულობენ. უბედურობა ისაა, რომ იმასაც ვერ შოულობენ, რადგანაც მთელ სვანეთს ჰყავს ერთი ექიმი და ერთი ფერშალი. ექიმი კი სამის თვის მეტს არ ემსახურება სვანეთს, რადგანაც არა აქვს აქ სახლი და არც იმდენი ჯამაგირი, რომ თავი შეინხოს.

სიღარიბისა და უფულობის გამო სვანები ზამთრობით სამუშაოდ დადიან სხვა და სხვა მხარეებში, სადაც მუშაობენ დღეში 20-50 კ. და უგზოობის მიზეზი კი, როდესაც დიდ ხანს გარედ ნამყოფნი, ოჯახობის ნახვის ნატვრით სავსენი, მოდიან თავის ქვეყანაში, სახლში მისვლამდე იღუპებიან მთაზე ზვავითა და

ბუქით. აი, ამისთანა მდგომარეობაში გახლავთ დღეს-დღეისობით ეს ღვთისაგან დავიწყებული მხრე.

ეგ. გ. გაბლიანი.

საქართველო ზემო სვანეთი, იტალიელი მოგზაური, – მღვ.გ. მარგიანი. – სოფ. ადიში[48]

ამ ზაფხულს გვესტუმრა ერთი უცხო ქვეყნის მოგზაური, ტომით იტალიელი. ძალიან მოიწონა აქაური ჰაერი და ბუნება, შეადარა შვეიცარიას და ამბობდა,: „ვინც სვანეთში არ ყოფილა, ის კავკასიაში ნამყოფად არ ჩაითვლებაო“. ჩვენებურმა წეს-წყობილებამ და ხალხის მდგომარეობამ კი მეტის-მეტად შეაწუხა, დააღონა და ჩაუშხამა სიამოვნება.

სტუმარს მთელი სვანეთი დავატარე და გავაცანი. ყველაზე მეტად უკვირდა ღარიბული ცხოვრება ხალხისა, გაუნათლებლობა და სიბნელე მისი, უკვირდა ციხე-კოშკებისა და ძველის ეკკლესიების სიმრავლეცა. როცა იტალიელმა უკან დაბრუნება ისურვა, მოინდომა მაღალ კლდეების უფრო ახლოს ნახვა. გაუდექით გზას. საღამოს მივაღწიეთ მღ. მამა გიორგი მარგიანის სახლამდე. ამ წმინდა აბრამივით სტუმრის მოყვარემ ჩვეულებრივი მასპინძლობა გაგვიწია და ბევრი რამ საინტერესო გვიამბო სვანეთისა. გიორგი მარგიანი, მღ. პ. კარბელაშვილის თანახმად, ერთი უპირველესი მამულის-შვილია, მეტის მეტად სტუმრის მოყვარე, ღარიბების შემბრალებელი და ყველაზედ უხნესი ს. მულახში. სვანეთში რომ უწინ “პაპაბი” იყვნენ, ეს გიორგი მარგიანი იმათ რიცხვში ითვლებოდა. 1857 წელს ჩავიდა ქუთაისში, სადაც ეგზარხოსმა მონათლა და მიაბარა გაბ. ეპისკოპოზს. 1865 წელს გაბ. ეპისკოპოზმა მღვდლათ აკურთხა. შემდეგ ისევ თავის ქვეყანას მიუბრუნდა და შეუდგა ქრისტიანობის გავრცელებას. ამ შრომის მოყვარე მოძღვარმა გაუზარდა ოთხი შვილი საშუალო სასწავლებელში სამშობლოს დიდის შრომითა და გაჭირვებით.

[48] გაზეთი „ივერია“, 2 დეკემბერი, #276, 1904 წელი გვ. 2.

ისინიც დღეს თავის ყრუ მხარეს ემსახურებიან. ერთის სიტყვით, მარგიანი განთქმულია მთელს სვანეთში. მღვ. მარგიანის, როგორც გარეგანმა შეხედულობამ, აგრედვე ენერგიულმა ლაპარაკმა და ოჯახობის წეს-წყობილებამ დიდად იმოქმედა იტალიელზედ.

მეორე დღეს განვაგრძეთ გზა, წავედით აღმოსავლეთისაკენ და მივედით სოფელ ადიშს. გზაზედ ბევრს კარგს საბალახოებსა და ადგილებს შევხვდით, რომლებმაც აღტაცებაში მოიყვანა იტალიელი. თოვლიან მაღალ კლდეების უფრო ახლოს ნახვამ ხომ სულ გადარია. საღამოს მივედით ზემოხსენებულ სოფელში, რომელიც ჯოჯოხეთს მოგაგონებთ. ცის მეტს ამ სოფლიდან ვერაფერს დაინახავთ, რადგანაც გარშემო ირგვლივ კლდეები არტყია და ჭასა ჰგავს. იტალიელს ძალიან უკვირდა ამ სოფლის ამბავი და გარემოება: რათ დასაჯა ღმერთმა და საიდგან გამოააწესა აქ ეს საწყალი ხალხიო. უკვირდა აგრედვე, თუ რანაირად ირჩენენ თავსა, როდესაც ქერის მეტი ვერც ერთი მცენარე ვერ მოასწრებს ხოლმე დამწიფებას, რადგანაც ცივი და თოვლიანი კლდეები თავზედ დასცქერის და ჩამოთოვს ხოლმე მაშინ, როდესაც არც ეს ქერია შემოსული. ამნაირათ საწყალ მაცხოვრებლებს ტყვილად ეკარგებათ შრომა. ძალიან უკვირდათ ჩვენი გარეგნობა, რადგან "ევროპიულ" ტანსაცმელიანი კაცი თავის დღეში უმეტეს ნაწილს იმათგანს არ უნახავს. ბინა ვსთხოვეთ, მაგრამ სანამდი არ მიცნეს და არ გაიგეს, რომ სვანი ვიყავი, მანამდე უარზედ იდგნენ: ბატონო, სად გვაქვს თქვენი საკადრი ბინაო. მხოლოდ როცა მიცნეს, იმათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა და მალეც დაგვაბინავეს. მამასახლისი მოგვიყვანეს. მამასახლისმა დიმიტრიმ თვალ წინ დაგვიხატა თავიანთი ცხოვრება და მდგომარეობა. პირველი იმათი საჩივარი უმღვდელობა იყო, რის გამოც აქ, როგორც დიმიტრი ამბობდა, ეკლესიების კარები ხალხს არ უნახავსო. უმეტესი ნაწილი უზიარებლათ უმღვდელოთ იმარხება. დიმიტრიმ გვთხოვა, ქაღალდი მიგვერთმია ხელმწიფესთან, რომ ან ურიობის ნება მოგვცესო, ან და ქრისტიან ხალხის წეს-წყობილებაზე და პირობაზე დაგვაყენოსო. მღვდელი კი ჰყოლია ამ სოფელსაც, მაგრამ იმყოფება ისეთ მოშორებულ სოფლებში, რომ ყოვლად შეუძლებელია, ემსახუროს ამ სოფელს, რადგანაც ამ სოფლებს შუა საზოგადოთ ზამთარში რამდენიმე თვის განმავლობაში გზები დაკავებულია და,

არამც თუ კაცი, არამედ ჩიტიც ვერ გადაფრინდება ერთიდან მეორეში.

ეგნ. გ. გბლიანი.

სვანეთი[49]

სვანეთი. ამას წინათ შიშკევიჩმა დეპუტაცია დაიბარა ზემო სვანეთიდან; თავისუფალ სვანეთში თითო საზოგადოებიდან გამოირჩიეს ოთხ-ოთხი კაცი და შვიდი საზოგადოების დეპუტაცია 1 ამ თვეს გამოემგზავრენ ქვემო სვანეთისაკენ, სადაც ამჟამად იმყოფება შიშკევიჩი დეპუტაციის რიცხვში არიან აგრეთვე ადგილობრივი მღვდლები – დარისპან მარგიანი და ბესარიონ ნიჟარაძე. ამ დეპუტატებმა შემდეგი დადგენილება გამოიტანეს შიშკევიჩის მოსახსენებლათ: იარაღის შესახებ უთხრეს, რომ იარაღი ვითომ თავისუფალ სვანეთში არავის ქონდეს და რა უნდა მოგცეთ რაც არ გვაქსო. ,,სალდათს“ მოგცემთ იმ პირობით, რომ კავკასიას არ გააცილოთ და აქ დაარჩინოთ სამსახურში, რადგან სხვა ქვეყნის პური არ უხდებათ და უმეტესი ნაწილი იქ კვდებაო. გადასახადს (რომელიც შეადგენს 1 მ. 20 კ.) მივცემთ; მეთაურები ჩვენ არ გვყოლია არავინ და არც მომხდარა რამ ჩვენში მთავრობის საწინააღმდეგო მანამდის სანამ თ. გარდაფხაძეები, რომლებიც ქვემო სვანეთიდან განდევნილ იქნენ და არ მოვიდენ ზემო სვანეთშიო. დიახ, ისინი მოვიდენ ზემო სვანეთში, რამოდენიმე კაცი შეიფიცეს ერთგულებაზე და ამან აგვაღელვა ჩვენ. ჩვენც მათის საწინააღმდეგოთ ერთობაზე დავიფიცეთო. რა პასუხს მიიღებდენ ამაებზე შიშკევიჩისაგან და როგორ შერიგდებიან არ ვიცით; ამას ვეცდები შემდეგში გაცნობოთ.

დეპუტაცია მოდის აგრეთვე სადადეშკელიანო სვანეთიდან, მაგრამ როგორც გავიგე საეჭვოა თურმე, რომ მორიგება მოხვდეს სადადეშკელიანო სვანებსა და შიშკევიჩის შორის და სვანები ძლიერ

[49] ,,შიკრიკი“, 16 ივლისი; № 7, 1906 წ.; გვ. 3.

მზადებაში არიან თურმე იარაღი როგორც დანამდვილებით გავიგე, არც ერთ საზოგადოებაში არ დაუყრიათ ხალხს.

სოფელ ჩოლურში დაუტუსაღებიათ სამი კაცი: გიორგი მუკრანიანი, ანდრია ხაბულიანი და (მესამეს გვარი და სახელი არ ვიცი) და სოფელ ლაშხეთშიც დაუტუსაღებიათ რამოდენიმე კაცი, მაგრამ ამბობენ: ყველას თავდებ ქვეშ ანთავისუფლებენო; ამავე სოფელში ორ გადავარდნილ წითელ რაზმელს სახლ-კარი დაუწვეს ციხები ზარბაზნებით დაანგრიეს თურმე. ასე რომ ჯერ-ჯერობით კიდევ ძნელი სათქმელია, მოხდება თუ არა შეტაკება ჯარსა და ხალხს შორის. იარაღზე და მებატონეების დაკმაყოფილებაზე აშკარაა ვარს ამბობენ თურმე. ის ხმა, რომ ჯარსა და თავადებს უკმაყოფილება მოუვიდათ ერთმანეთშიო – გამართლდა და თავადები არ ეკარებიან სულ ჯარს. ჯარის კაცები ზემო სვანეთში წასვლის შესახებ კიდევ პროტესტს აცხადებენ თურმე.

ეგნატე სვანი.

სვანეთი[50]

სვანეთი. 14 ივლისს მთელმა ზემო სვანეთის დეპუტაციამ გაათავეს საქმე შიშკევიჩთან და გამოემშვიდობენ მას. რა პირობებით შერიგდენ შიშკევიჩი და სვანები დაწვრილებით ჯერ არ ვიცი და ვეცდები შემდეგში გაცნობოთ, მხოლოთ ეს კი ნამდვილათ გავიგე, რომ ჯარი ზემო-სვანეთში არ მიდის. 15 ივლისს დაბრუნდა უკან და გამოემგზავრა ლეჩხუმისაკენ. ვიცი აგრეთვე, რომ სვანებმა დააკმაყოფილეს რამდენიმე შიშკევიჩის მოთხოვნილებანი, მაგრამ სასტიკი ვარი გამოაცხადეს იარაღის დაყრაზე, მეთაურების გაცემაზე და თავადების დაკმაყოფილებაზე. ზარალი სვანეთში ხალხისათვის ჯარს არაფერი მიუყენებია გარდა იმისა, რაც რომ ორ გადავარდნილ წითელ რაზმელს სახლ-კარი გადაუწვეს და ისიც, როგორც გავიგე იმიტომ, რომ სასტიკათ დაუსმენია ეს ორი კაცი შიშკევიჩთან იმ გელოვანს, რომლის ძმაც მოკლეს სვანებმა ამ ცოტა

[50] ,,შიკრიკი“, 19 ივლისი; № 9, 1906 წ. გვ., 4.

ხნის წინათ. სვანები, რომლებიც დაუჭერიათ იქავე გაანთავისუფლეს თურმე რამოდენიმე თავდებ ქვეშ.

ეგნატე სვანი.

სვანეთი[51]

სვანეთი. ფრიად სამწუხარო მდგომარეობაშია დღეს სვანეთი. არც ისე იყვენ კარგ მდგომარეობაში სვანები და უკანასკნელი წელი სულ ღვთის რისხვათ მოევლინა. თითქმის მეორე წელიწადია, რაც აქ შიმშილობამ იჩინა თავი მოუსავლობის გამო. ამით ისარგებლეს აქაურმა ჩარჩებმა და აუწიეს პურის, სიმინდის, ქერისა და სხვა სანოვაგის ფასებს. ფუთი პურის ფასი ამ ჟამათ 2 მ. 50 კ. ადის მაგრამ უბედურობაც ისაა, რომ ამ ფასშიდაც ვერ შოულობენ და იძულებული არიან წავიდენ თითქმის სამეგრელოს საზღვრებზე მდებარე სოფლებამდე, სადაც გაცილებით უფრო იაფია და იქიდან ეზიდებიან სარჩოს ზურგით. ჩარჩებმა მარტო პური არ იკმარეს, ფულის პროცენტსაც აუწიეს 60 პროცენტამდე. ყველა ამ უბედურებას ზედ დაემატა სხვა და სხვა ეპიდემიური ავათმყოფობა, რის გამოც სიკვდილობა ძალიან გახშირებულია ზოგიერთ საზოგადოებებში. მართალია აქ შარშანდელს აქეთ ს. მესტვაში არსებობს საავათმყოფო, მაგრამ, სამწუხაროთ, ვერ არის დაყენებული რიგიან ნიადაგზე, რომ რამე თვალსაჩინო სარგებლობა მოუტანოს აქაურ ხალხს. უმთავრეს მიზეზს ამისას კი, შესაფერ შენობის უქონლობა შეადგენს.

დიდი ხანია სვანეთში ხმა გავრცელდა, რომ ახლო მომავალში უნდა დაიწყონ სვანეთის შარა გზის გაკეთება მდინარე ინგურის ნაპირათ ჯვრიდან ბეჩომდე; რაისთვისაც ყოფილა გადადებული 6000 მან. ხალხი მოუთმენლათ ელის ამ დიდათ სასარგებლო და მნიშვნელოვან საქმის დაწყებას, თუმცა უიმედოთ უყურებს. ამის მიზეზი ის არის, რომ ამ ორი-სამი წლის წინეთ ხსენებულ გზის

[51] „ჩვენი გაზეთი“, 27 აპრილი, № 20, 1910 წ., გვ. 4.

გასაკეთებლათ მთავრობამ გაიმეტა რამოდენიმე ათასი მანეთი რომელიც სულ უკვალოთ და უნაყოფოთ დაიკარგა.

სვანეთის დღევანდელ დაცემულ კულტურულ და ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ საჭირო არის გზა. მუდმივი კავშირი სხვა და სხვა კულტურულათ მასზე უფრო მაღლა საფეხურზე მდგომ ქვეყნებთანაც აუცილებლათ იქონიებს გავლენას სვანეთის ზრდა განვითარებაზე.

მთავრობას აზრათ აქვს გახსნას სვანეთში ფოსტის განყოფილება რაიც დიდს საჭიროებას და მოთხოვნილებას შეადგენს აქაურ მცხოვრებლებისათვის და განსაკუთრებით კიმომსახურე პირთათვის, რომლებიც დღეს მოკლებული არიან თითქმის ყოველგვარ სულიერსა და გონებრივ საზრდოს, არა ღებულობენ არავითარ ჟურნალ-გაზეთებს და სხ...

ეგნატე გაბლიანი.

პასუხი პირველს[52]

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ დაუთმოთ ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგ ჩემ წერილს: გაზეთ ,,საქართველოს“ წარსული წლის 159-ე ნუმერში არის მოთავსებული წერილი ,,სვანეთის ამოთქმა“ რომელშიაც მისი ავტორი სხვათა შორის მეხება მეც. როცა გავეცანი ამ თავიდან ბოლომდე სიმართლეს მოკლებულ უსაფუძვლო ბრალდებას, ვიფიქრე პასუხი არ გამეცა, მაგრამ საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელიც მე კარგად არ მიცნობს სხვას არ მიაწეროს ჩემი სიჩუმე, და ამიტომ საჭიროდ ვსცანი ორიოდე საპასუხოსიტყვა მოვახსენო მის ავტორს.

უმთავრეს ჩემს ყურადღებას იქცევს წერილის ის ნაწილი სადაც ბ. პ-ლი ბრძანებს, ვითომც სვანეთიდან ჯარის კაცთა გამოუმცხადებლობის მიზეზი ,,რამოდენიმეთ მაინც ადგილობრივი მთავრობა უნდა ყოფილიყო, რომელსაც უნდა ჩაედინოს ეს საქმე სვანებისათვის თავისი საკუთარი წარმატებისთვის და შემდეგ ეს სვანები უმაღლეს მთავრობის წინაშე

[52] გაზ. ,,სამშობლო” 21 აპრილი, № 337, გვ. 4; № 338, გვ. 4, 1916 წ.

მოღალატის სახელით უნდა მოენათლა იმავე მთავრობას. (იგულისხმეთ ადგილობრივი ბოქაული და სხვა)...

საბრალოა ჭეშმარიტად ისეთი დაუფიქრებელი კორესპონდენტი, როგორიც ბ. პ-ლი ბრძანებულა, რადგან ვიდრე კარგად არ დარწმუნდებოდა საქმის სინამდვილეში, არ უნდა გამოელაშქრა ჩემს წინააღმდეგ მით უფრო რომ ასეთი ხმების პრესის საშუალებით გავრცელებით ის არა მარტო ჩემს პირადობას სცხებს დაუმსახურებელ ჩირქს, არამედ მთელს სვანეთს, ვინაიდან ასეთი ცნობების გამოქვეყნებითა და დათვური სამსახურით, მაშინ როცა მთავრობას ოდნავაც არ მისცემია საბუთი, რომ სვანები რამე ღალატში შეენიშნა და არც მიეცემა, ადვილათ შეიძლება, თვით მანვე პ-მა შეიყვანოს მთავრობაც და საზოგადოებაც ეჭვში და სვანეთის მტრებს კი ფრთები შეასხას მის ჩირქის მოსაცხებად.

ჩემის დაკვირვებით დანიშნულებისამებრ გამოუცხადებელ ჯარის კაცთა რიცხვი, როგორც ოფიციალურ ცნობებიდანაც სჩანს, სხვა კუთხეებიდან მეტია, ვიდრე სვანეთიდან, მაგრამ ამას მთავრობის შეხედულებით საზოგადოებრივი მნიშვნელობა არც აქვს და არც მიიღებს და ამიტომ არც ერთს კუთხეზე ამის შესახებ ისეთი არაფერი არ დაწერილა როგორც ბ. პ-მა შესთხზა სვანეთზე. სხვების გადმოცემით და ჩემი დაკვირვებით პ-ის წერილი უნდა ეხებოდეს უკანასკნელ მობილიზაციას და დავიწყოთ აქედან: როდესაც სვანეთში უკანასკნელ მობილიზაციის შესახებ ცნობა მოვიდა, სწორედ იმ დროს მე ვიყავი თერგის ოლქში, ჩემს თანამდებობას ასრულებდა ჩემი თანაშემწე. ამიტომ არც შემეძლო იქიდან სვანეთში დაბრუნებამდე რაიმე მცოდნოდა მობილიზაციის შესახებ, მაგრამ ჯარის კაცთა შეკრებისათვის განკარგულება მოეხდინა თავის დროზე ხსენებულ ჩემს თანაშემწეს.

თერგის ოლქიდან დავბრუნდი 5 აგვისტოს და მართალია, მოსვლასთანავე დამხვდა ის ამბავი, რომ საქმე ცუდათ იყო დაყენებული, რადგან ჯარის კაცთა უმრავლესი ნაწილი ჩვეულებრივად ოსეთში იყო წასული სამუშაოთ და ის უმცირესობა, რომელიც სვანეთში იმყოფებოდა ამათ ჯინაზე დაჟინებით უარს აცხადებდა წასვლაზე, ვიდრე ყველა თავს არ მოიყრიდა. ჩემს განკარგულებაში კი ამ საქმის გამოსაკეთებლათ დარჩა ორიოდე დღე, ვინაიდან თერგის ოლქიდან როგორც არის ზემოთ ნათქვამი დავბრუნდი 5 აგვისტოს და, თანახმად მაზრის უფროსის

მწერლობისა, 12 იმავე თვეს ქუთაისში უნდა ვყოფილიყავი (ხუთი დღე ბეჩოდან ქუთაისამდე მგზავრობას უნდა.) მხოლოდ, ამისდა მიუხედავათ, შესაფერი განკარგულება მოვახდინე ამ საქმის შესახებ, მაგრამ ზემოთ მოხსენებულ მიზეზის გამო ამაოთ ჩამიარა. ასეც რომ არ ყოფილიყო ნუ დაგავიწყდებათ ბ. პ-ლო რომ მობილიზაციის კანონით ბოქაულს ევალება დროზედ აცნობოს და ისეც მამასახლისების პირით ჯარის კაცებს უმაღლესი ბრძანება მათ გაწვევის შესახებ და ისინი კი ვალდებული არიან სადაც უნდა იყონ იქიდან გამოცხადდენ დანიშნულებისამებრ და არავითარი რეპრესიულ ზომებს ბოქაულის მხრით აქ ადგილი არ აქვს კანონით.

ეხლა შევეკითხოთ თვით პირველს განა ლოღიკურათ რომ მის საქციელს ძარღვი გაუსინჯოთ მე შემეძლო ამგვარი სასირცხო საქმის ჩადენა იმ ხალხის შესახებ, რომელსაც მე ბავშობიდგან ვემსახურები კალმითაც და საქმითაც და რომლებთანაც ჭირსა და ლხინში ერთად უნდა ვიყო სიკვდილამდე და ისიც მაშვინ, როცა ჯარის კაცთა უმრავლესი ნაწილია როგორც არის ზემოთ ნათქვამი არც კი დამხვედრია ადგილობრივ, რასაც საბუთებით დავამტკიცებ თავის დროზე?

უმაღლეს მთავრობის წინაშე რომ, მე სვანები მოღალატეთ არ მომინათლავს და ამისთვის არავითარი ჯილდო არც გამხსენებია და არც მომცემია და პირიქით ყოველგვარ ზომებს მივმართე მათ გასამართლებლათ, ამას დამიმოწმებს თვით ბ. გუბერნატორი და ლეჩხუმის მაზრის უფროსი.

სვანეთიდან გაცილების ამბავს ასე მოგვითხრობს: ,,სვანეთის ძველ მწყემსს ძველი ბატონური ცხოვრება აღუდგენია, შეუკრებია 25 ცხენოსანი სვანი და ერთ ღამეს ერთს ესტუმრება, მეორე ღამეს – მეორესო“. ჩემ საპატივცემლოთ გამოწვეულ ხარჯებზე სწუხს ბ. ავტორი რაში ხედავს ბ. პირველი ძველი ცხოვრების ბატონობის სისტემის აღდგენას, არ მესმის. თუ სვანებმა მოინდომეს და მიხვდენ, რომ ჩემი გაცილება აღენიშნათ წრფელი პატივისცემით – ეს, მე მგონია, ჩემ მიერ მათში დათესილ სიყვარულის ნაყოფს უფრო უნდა მივაწეროთ, ვიდრე ძველ ბატონურ ცხოვრების სისტემის აღდგენას. არავითარ ძალდატანებას აქ არათუ ადგილი ქონია, პირიქით იმდენი გამოჩნდა ჩემი პატივმცემელთა რიცხვი, რომ, სანამდი რომელიმე სოფელში შევიდოდი, რამოდენიმე კაცი რვა-ცხრა ვერსის მანძილზე

მეგებებოდა, სახლში მიწვევდენ და როცა ამათი რიცხვი, ვიმეორებ, ისე გამრავლდა, რომ ყველასთან ჩემი მისვლა შეუძლებელი შეიქნა, გადასწყვიტეს კენჭი ეყარათ და ვისაც იგი შეხვდებოდა იმასთან მარტო მივსულიყავი. მაგრამ ასეც რომ არ ყოფილიყო, ნუთუ კაცს მაშინ, როდესაც ის თორმეტის წლის სამსახურის შემდეგ ეთხოვება რომელიმე კუთხეს და მით უმეტეს თავის სამშობლო ქვეყანას, არ შეუძლია დაუპატიჟებლათაც ეწვიოს თავის ახლობელ ნათესავ მეგობრებს და სხვა კეთილებს? ჩემის აზრით ამას მოითხოვს თვით უბრალო ზრდილობაც, სხვა მოვალეობას რომ თავი დავანებოთ რაც შეეხება ხარჯებს – ეგ ხომ სახსენებელიც არაა, რადგან უმნიშვნელო იყო და მასთან ერთად საკუთარი სურვილით გამოწვეული და არსად არც ძროხა და არც ხარი არ დაკლულა როგორც ბ. პირველი ბრძანებს, თორემ ჩემს ძმას რომ ჩემს პატივსაცემათ ძროხა დაეკლა, ეს, ვგონებ, არავითარი სინიდისის საწინააღმდეგო არ უნდა იყოს.

რამდენი ოფიციალური სადილები იმართება კულტურულ წრეებში მოხელეთა გაცილების დროს ვინ მოსთვლის, მაგრამ განა ეს ,,ძველ ბატონურ ცხოვრების სისტემის აღდგენას ნიშნავს? მადლობა ღმერთს! ჩემს სადილებს ოფიციალური ხასიათი არ ქონია და გულწრფელი იყო, ბევრგან საზოგადოებაში როცა გამოვემგზავრე სვანეთიდან მრავალი კაცი თავმოყრილი მხვდებოდა გზებში და ბევრი მათგანი თავის სოფლიდან შემდეგ სოფლამდე მაცილებდა მწუხარებით. და აი სწორედ ის ოცდახუთი კაცი, რომლებიც ძველ ბატონურ ცხოვრების სისტემის აღსადგენად დამყავდა, ბ. პ. აზრით, სწორეთ ესენი გახლდათ. წერილის დანარჩენ ნაწილს უყურადღებოდ ვსტოვებ, რადგან ის იმდენად სიცრუეა რომ მის შესახებ ბაასი არც კი შეიძლება და პრესის ეთიკის შელახვათ მიმაჩნია მასზე საუბარი. თუ რა უკმაყოფილება გამოიწვია ბ. პ. დაუფიქრებელმა ვიღაც ბალღების და ზნედაცემულ პირის მიერ ნალაპარაკევზე დამყარებულმა წერილმა, ამაში თვითონვე დარწმუნდება, როცა სვანეთში მიბრძანდება. მხოლოდ მკითხველთა დასაწრმუნებლად საჭიროდ მიმაჩნია წარუდგინო რედაქციას საუკეთესო და შეგნებულ სვანეთის მკვიდრთაგან მოწერილი წერილები და აგრეთვე მოვათავსო აქვე ბ. პირველის მამისაგან მოწერილი წერილი: ,,ძმაო ეგნატე! მე შევიტყვე, ვითომც აბოს რაიმე დაეწეროს შენს შესახებ გაზეთში და ამაზე თვით მასაც მივსწერე წერილი და გაზეთშიც გავაგზავნე წერილი. გთხოვთ

გული ნუ დაგწყდებათ და მე თითონ გამოვეკამათები გაზეთის საშუალებით. ლენჯეხელი მოწაფეები და ვიღაც გაფუჭებული ბალღები რაცღა სიზმარს უამბობდენ რაღა მოიხვია თავზედ ამ ტყვილებით განდრეკილ და გაქლექილ პირებისაგან მოწოდებული მასალები?“.

ეგნატე გაბლიანი

გუბერნიის კომისარის საყურადღებოთ[53].

ყველამ კარგად იცის, რომ ლეჩხუმის მაზრა ამ ჟამად კანონს გარეშეა გამოცხადებული, ამას წინეთ იქ მომხდარ ამბების გამო. ლეჩხუმის მაზრის ნაწილს შეადგენს სვანეთი რომლის მცხოვრებთა რიცხვი 23000 კაცზე მეტია. თვით გუბერნიის კომისარმა კარგად უწყის, რომ სვანეთს ლეჩხუმში მომხდარ საქმეებში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. პირიქით შეიძლება სვანები უკმაყოფილონი იქნენ იმით რაც მოხდა.

გუბერნიის კომისრის დეკრეტი თავისი სრული მნიშვნელობით სვანებზეც ისე ვრცელდება, როგორც დანარჩენ ლეჩხუმში მცხოვრებლებზე: სვანეთის სასწავლებლებს კრედიტი დაუხურეს, პროპუსკი მათთვისაც ისეთ მწვავე საკითხს შეადგენს, როგორც ლეჩხუმლებისთვის. დაიხურა აქაც ყველა ადმინისტრაციული და სხვა დაწესებულებები. ამ მოვლენას აუცილებლად მოყვება საშინელი არევ-დარევა და ანარქია. რომლის შედეგებიც საშინელ მწვავე ხასიათს მიიღებენ და მერე მის ჩაქრობა ისეთ ხალხში როგორც არიან სვანები, დიდ დროს და ძალებს მოითხოვენ. მე მგონია თვით ბ. კომისარიც დამეთანხმება იმაში რომ სვანები სრულიათ უდანაშაულოთ არიან დასჯილნი და ამ სასჯელის მოხსნას თავის ზნეობრივ მოვალეობათ ჩასთვლის.

ე. ინგურელი.

---

[53] გაზ. ,,ხალხის მეგობარი“, 18 მარტი, № 127, 1918 წ.

ზემო სვანეთის დელეგაცია მთავრობის წინაშე[54]

12 თებერვალს სვანეთის დელეგაცია წარუდგა მთავრობის თავმჯდომარეს ბ. ჟორდანიას. დელეგაციის თავმჯდომარე გაბლიანმა მისასალმებელ სიტყვით მიჰმართა:

,,ნება მოგვეცით მუდამ თავისუფლების მოტრფიალენი მოგესალმოთ სვანეთის სახელით.“

თქვენ ბედმა გარგუნათ საქართველოს აღდგენაში ბელადობა და გისურვებთ რომ შესძლოთ საქართველოს იმ გზაზედ დაყენება, რათა მან იარსებოს მომავალში სახელოვნად.

უძველეს დროიდგან კავკასიის მთებ შუა მომწყვდეული სვანები ამ ბოლო დროს ერთობ ჩამოვრჩით ცხოვრებას, არსებულ ადგილობრივ ბუნებრივ და გეოგრაფიულ პირობების წყალობით. ვხედავთ იმასაც, რომ ამისთანა დროს მთავრობამ ვერ მოგვაწცია ჯეროვანი ყურადღება და ამიტომ ჩვენ თვითონ ჩამოვედით მის საძებრათ და ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის გასაცნობათ.

მართალია ჩვენ დავშორდით დანარჩენ ქართველებს მე-VII საუკუნეში ქრისტეს შობამდე მცირე აზიაში, მაშინ, როდესაც ასურელებთან ორასი წლის განმავლობაში განუწყვეტელი ბრძოლით დაქანცული ქართველები კიიმერლებისა, ხაზარებისა და სხვა ველური ხალხების შემოსევის წყალობით იყვნენ აყრილნი და დევნილნი, მაგრამ მრავალი ისტორიული საბუთები მოგვითხრობენ, რომ სვანები როგორც მანამდი აგრედვე მის შემდეგაც ყოველთვის საქართველოსთან მჭიდროთ იყვნენ დაკავშირებული ჭირში და ლხინში. ამას სხვათა შორის გვიმტკიცებს ის გარემოებაც, რომ საქართველოს მეფეებს ყოველთვის დიდი ყურადღება ჰქონდათ სვანეთზე მიქცეული და სვანებიც მათი ერთგულნი ქვეშევრდომნი იყვნენ. მაგალ. დავით აღმაშენებელმა დაიწყო სვანეთში ეკლესიების აშენება და ქრისტიანობის გავრცელება. თამარ მეფის მამის დროს სვანებმა შანშე დადიანის მეთაურობით აიღეს სომხეთის სატახტო ქალაქი ანისი.

---

[54] გაზ. ,,საქართველო“, 15 თებერვალი № 36, 1919 წ.

თამარ მეფე, რომლის სახელიც სილამაზისა და დიდების შარავანდედით არის შემკული სვანეთის მეხსიერებაში, იყო ჩვენი მწყალობელი. მან ბევრი ტაძრები ააგო სვანეთში და მრავალი ხატ-ჯვარით შეამკო ისინი. ამიტომ გიორგი რუსის ჩაგონებით თამარის მსახურთ უხუცესის ვარდან დადიანის მიერ თამარ მეფის საწინააღმდეგოდ აჯანყებულმა სვანებმა თვით გიორგი რუსი დაიჭირეს და ხელ-ფეხ შეკრული თამარ მეფეს მიუყვანეს.

მეექვსე საუკუნეში კოლხებისა და სვანების შეერთებული ლაშქარი ერთად ებრძოდენ სპარსელებს, აიღეს ქალაქი პატრა და დაანგრიეს ციხე საძირკვლებამდე. ამისთანა საარაკო იერიშები მტრის წინააღმდეგ სვანებს მრავალჯერ მიუტანიათ.

მრავალი ხატ-ჯვარი, ძველი ხელთნაწერები და სხვა საეკლესიო სიმდიდრე და ის ძველი ნაშთები, რომლებიც სვანეთმა დღემდის დაიცვა და შეუნახა საქართველოს, არიან საუკეთესო მოწამე სვანებისა და დანარჩენ ქართველების ერთიანობისა და მათი ბრწყინვალე წარსულისა.

დღეს, როდესაც მონობის ბორკილები დაიმსხვრა და თავისუფლების მზე სვანეთსაც მოეფინა, ჩვენც გვინდა დარაჯად დაუდგეთ თავისუფლებას და თქვენთან ერთათ ვიბრძოლოთ მის მტრების წინააღმდეგ. ამიტომ გთხოვთ ახლა მაინც ყურადღება მიაქციოთ მას, პატრონობა გაუწიოთ მას და გამოიყენოთ ჩვენი ერის საკეთილდღეოთ ეს ჯანსაღი ხალხი და სვანეთის ბუნებრივი სიმდიდრე.

შემდეგ დელეგაციამ წარადგინა მოხსენება, რომელშიც წამოყენებულია შემდეგი:

1. სვანეთი ოდესღაც კილტურის მატარებელი, ყოველთვის ყოფილა განუყრელი ნაწილი საქართველოისა და დღესაც მხარს უჭერს საქართველოს დამოუკიდებლობას, რომლის განმტკიცებისათვის იგი მზად არის თავიც შესწიროს.

2. ეთხოვოს უმაღლ. მთავრობას, რათა მან სვანეთში თავის წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომისია გამოგზავნოს, რომელიც ადგილობრივ გაეცნობა ყოველ მხრივ სვანეთის მდგომარეობას, ხალხსაც აუხსნის მთავრობის მოთხოვნილებებს და ამ კომისიასვე მიენდოს სვანეთის იარაღის აყრის საქმე.

3. ზოგიერთ ახალგაზრდა სვანებს ბრალი ედებათ მეზობელ ხალხისაგან საქონლის მოტაცებაში – ეთხოვოს მთავრობას,

ეპატიოთ იმ პირებს, რომელნიც დაზარალებულთ შეურიგდებიან და დააკმაყოფილებენ მედიატორულ წესით

4. ეთხოვოს მთავრობას, რომ სვანეთს მიეცეს ნება მედიატორული წესით მორიგებისა, ვისთანაც უკმაყოფილება აქვთ ამა თუ იმ საქმეზე.

5. ვინაიდან სვანეთი მოწყვეტილია უგზო-უკვლობისა გამო კულტურულ ცენტრს, რომლის მიზეზითაც ყოველგვარი კულტურული წარმატება შეუძლებელია, – ეთხოვოს მთავრობას, რაც შეიძლება მოკლე ხანში სვანეთში იქმნეს გაყვანილი გზები – უმთავრესი ფაქტორი აღებ-მიცემობისა და კულტურისა. სვანეთი ბუნებას უხვად დაუჯილდოვებია მრავალ-გვარი სიმდიდრით (ოქრო-ვერცხლი, ხე-ტყე და სხვა მადნეული), უეჭველია გზების გაყვანა ხელს შეუწყობს სიმდიდრის გამოტანას და ცენტრთან გაერთიანებას.

6. მსაჯულის ადგილობრივ უყოლობისა გამო სვანეთი ვერ შეეგუა კანონებს და თავისებურათ განაგრძობს თავის დაკმაყოფილებას, ამიტომაც გახშირდა სისხლის აღება. მეტისმეტად საჭიროა სვანეთში მუდმივად იყოს 2 მსაჯული.

7. ეთხოვოს მთავრობას რათა ნება დაერთოს სვანეთმა თავის მხრით სამი წარმომადგენელი აირჩიოს დამფუძნებელ კრებაში.

8. ყოველგვარი არჩევნები სახალხო დაწესებულებებისა სვანეთში გადადებულია, თითქოს სვანეთს არ შეეძლოს საზოგადო ფერხულში ჩაებას, ამის მიზეზით კი სვანეთის ინტერესები ილახება; გადადებულია ერობის არჩევნები და მოწყალებასავით დარჩენილია სვანეთისათვის ხუთი ალაგი მაშინ, როდესაც რიგით მას მთელი მაზრის ხმოსანთა რიცხვის მიხედვით მეოთხედი მაინც უნდა ჰყავდეს, ამის გამო ეთხოვოს მთავრობას – სვანეთს მიეცეს უფლება თავის მხრით სამაზრო ერობაში აირჩიოს ათი წევრი.

9. გაიხსნას სვანეთში ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

10. მეურნეობის გასაუმჯობესებლად გაიხსნას სვანეთში ერთი სამეურნეო სასწავლებელი და ორი პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი.

11. სამღვთო სჯულის განდევნაზე სკოლებიდან, სვანეთი უთანხმოებას აცხადებს.

12. ეთხოვოს მთავრობას ზემო სვანეთის სამხედრო ბეგარის მოსახდელად გაწვეული ახალგაზრდები იწვრთნებოდენ

ადგილობრივ სვანეთში, რისთვისაც გაგზავნილ უნდა იქმნენ საჭირო ინსტრუქტორები.

ბ-ნ ჟორდანიამ მოისმინა რა ყველივე – დელეგაციას დახმარებას დაჰპირდა, რისიც სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, იმედია დღეიდან მაინც მიექცევა სვანეთს ჯეროვანი ყურადღება, რასაც მთავრობის თავმჯდომარის გულთბილი დახმარება გვაიმედებს.

ი. გულედანი[55]

[55] გამომცემლების შენიშვნა: როგორც ჩანს, ეს წერილი ეგნატემ გამოაქვეყნა სხვისი გვარით. იხ. „რედაქტორებისგან“.

სწავლა განათლების საქმე სვანეთში[56]

სვანეთი რომ 1853 წ. რუსეთს შეუერთდა, ამ ქვეყანაში იმ დროს არ მოიპოვებოდა არც ერთი წერა-კითხვის მცოდნე.

შემდეგ სახელმწიფო ხარჯზე იზრდება რამოდენიმე სვანი. მე-19 საუკუნის ბოლო ხანებში აქ იხსნება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ 6 სასწავლებელი, რომლებიც შემდეგში გადავიდნენ მთავრობის ხელში. ამის შემდეგ მთავრობა იწყებს სვანეთში სკოლების გახსნას.

ძველ დროს ქართული ენა ასეთ სკოლებში განიცდიდა საშინელ დევნას, მისი შესწავლა სასტიკათ იყო აკრძალული. მიუხედავათ იმისა, რომ ბავშვს სწავლის ფული არ ხდებოდა, სამოსწავლო ნივთები უფასოდ ეძლეოდა, სწავლა-განათლების საქმე სვანეთში წინ მაინც ვერ მიდიოდა. სწავლის დამთავრების შემდეგ ბავშვის მშობლებს არ ჰქონდათ საშუალება თავისი შვილი სადმე სწავლის დასამთავრებლად გაეგზავნათ, ამიტომ მოწაფე ისევ უბრუნდებოდა პირველ-ყოფილ ცხოვრებას.

რევოლუციის შემდეგ სვანეთის სკოლები დარჩენ უპატრონოთ, მენშევიკებმა მათ ხელი ვერ გაუწოდეს, მეტადრე პირველ ხანებში; სასწავლებლები დაინგრენ, გაიძარცვნენ და დაიკეტენ. რამოდენიმე ხნის შემდეგ განიზრახეს სკოლების აღდგენა, მაგრამ ამაოთ, ნორმალური მდგომარეობა სკოლებში ვერ შექმნეს და მათი არსებობა არ არსებობას უდრიდა.

ამ უკანასკნელ წლებში საბჭოთა ხელისუფლების მიერ სერიოზული ყურადღებაა მიქცეული სვანეთის სკოლებზე. მთავრობამ დიდი თანხა გადადო სკოლების შესაკეთებლად.

შენობები უკვე აღდგენილი და განახლებული არიან ყველგან. დაიწყო მუშაობა ახალ სკოლების გასახსნელათ, გაიხსნა ობოლ ბავშვთა თავშესაფარი, საიდან ამ ჟამად თბილისში არიან წამოყვანილი მრავალი მოწაფენი. ის სვანეთის ახალგაზრდობა, რომელთაც ადგილობრივ სკოლებში სწავლის დამთავრების შემდეგ არ ჰქონდათ საშუალება სვანეთის გარეთ სწავლის

[56] ,, კომუნისტი“, 29 იანვარი; № 23, 1925 წ., გვ. 4.

დასამთავრებლათ წასვლისა, დღეს იზრდებიან სახელმწიფო ხარჯზე ქ. თბილისში და სხვა ქალაქებში.

აღსანიშნავია, რომ სვანეთში სწავლა განათლების საქმე შეუძლებელია დადგეს სასურველ ნიადაგზე მანამდე, სანამ სვანეთს არ გაეხსნება გზა კულტურულ ქვეყნებთან დასაკავშირებლად.

ზამთრობით სვანეთი თითქმის მიუვალია. სვანი იძულებული ხდება გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლებები და ხშირათ გადადიან და გადმოდიან შუშურის მთით, მაგრამ მრავალი სვანი ხდება ყოველ წლიურად მსხვერპლი ასეთი მოგზაურობისა.

ამ ჟამად საბჭოთა ხელისუფლება ემზადება სვანეთში გზის გასაყვანად და თუ სვანეთის ამ ყოფნა არ ყოფნის საკითხის გადასაწყვეტათ მან მტკიცე ნაბიჯი გადადგა, იმედია ახლო მომავალში სვანეთის მრავალტანჯული და გაჭირვებული გლეხკაცობა იქნება განთავისუფლებული ცხოვრების მძიმე პირობებსა და მოურჩენელ ტკივილებისგან.

გზა, და მხოლოდ გზა, იხსნის სვანეთს დაღუპვისაგან და მისი გაკეთებისთ სამუდამოთ გადაწყდება სვანეთის ბედ-იღბალი.

ეგნატე გაბლიანი.

საბჭოთა საქართველო
წერილები

ელსადგურის ამბების საკითხი
(წერილი სვანეთიდან)[57]

სვანეთის მაზრაღმასკომის ერთ-ერთ ამოცანას ამჟამად შეადგენს ელექტრო-სადგურის აგება. სვანეთის მდინარეები და ადგილ-მდებარეობა ამისთვის იძლევა ისეთ პირობებს, რომ სულ უმნიშვნელო თანხების დახარჯვით შესაძლებელია ამ დიადი საქმის გაკეთება. ძველი კონსტრუქციით აგებული სვანური სახლები დღე და ღამე თხოულობენ განათებას, რაც ნავთის ნაკლებობის გამო ხდება კვარით, ამას კი მრავალგვარი ზარალი მოაქვს მოსახლეობისთვის.

გასაბჭოების შემდეგ, სვანეთში როგორც მთავრობა, ისე მოსახლეობაც შეუდგა ფართე აღმშენებლობას, მის შემდგომ განვითარებისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ოთხ ადგილას ერთ ხერხიან ხე-ტყის სახერხი მანქანების მოწყობა ჰიდრო-ელსადგურის საშუალებით, მდინარეები, რომელნიც წისქვილებს ამუშავებენ ზაფხულობით, ზამთრობით 6-7 თვის განმავლობაში იყინებიან. რის გამო მოსახლეობა მოკლებულია პურის დაფქვის საშუალებას და განიცდის გაჭირვებას. ელსადგურის აგება საშუალებას მოგვცემს რამოდენიმე წისქვილის ელექტრონული ძალით ამუშავებისათვის.

სვანეთს, რომ დიდი მომავალი აქვს, ეს ყველასთვის უდავოა. მისი ბუნებრივი სიმდიდრეების გამომჟღავნება დღიურ წესრიგში სდგას და ელსადგურის აგება საშუალებას მოგვცემს მომავალში მათი დამუშავებისათვის ჰიდრო-ელექტრონული სადგურის აგებას ექნება დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც.

საქართველოს უმაღლეს სამეურნეო საბჭომ ამ ზაფხულში სვანეთის მდინარეებისა და ჰიდრო-ელექტრონული სადგურის ასაგებ ადგილის გამოსარკვევად და აგრეთვე შესაფერი ხარჯთაღრიცხვის შესადგენად გამოგზავნა ინჟენრები, რომელთა

---

[57] ,,კომუნისტი“, 24 დეკემბერი, № 292; 1927 წ., გვ. 3.

გამოკვლევითაც საუკეთესო ადგილად იქნა ცნობილი მესტიიდან ორი ვერსის მანძილზე მდებარე ფუშყვერი. ფუშყვერის მდინარე დიდი დასაქანის მეოხებით, 130.000 მანეთის დახარჯვით იძლევა ას ცხენის ძალას და ანათებს სვანეთს 15 ვერსის მანძილზე დასავლეთით, 18 ვერსის მანძილზე აღმოსავლეთით, ე. ი. 6.000 სულისაგან შემდგარ მოსახლეობას. ელსადგურის ასაგებ ხარჯთაღრიცხვაში ნაჩვენებ თანხის 130.000 მანეთის – 70 პროცენტს იძლევა ელექტრო-ბანკი, გრძელვადიან სესხის სახით. ხოლო დანარჩენ თანხას სვანეთის მაზრაღმასკომი ხარჯავს თავის საშუალებიდან.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სვანეთისათვის ამ დიდმნიშვნელოვან საქმის შესრულებას აღარაფერი შეუშლის ხელს.

ე. გაბლიანი

სვანეთის მინერალური სიმდიდრენი[58]

გასული წლის ზაფხულში საქ. უმაღლეს სამ. საბჭოს მიერ სვანეთში მივლინებული იყო გეოლოგიური კომისია, სვანეთის მინერალურ სიმდიდრეების გამოსაკვლევად, რომელიც მუშაობდა იქ ორი თვე და უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ არ ქონდათ იმდენი არც დრო და არც საშუალება, რომ სვანეთის მთების საიდუმლოება გამოემჟღავნებიათ და დამაკმაყოფილებელი შედეგებით დაეგვირგვინებიათ მათზე დაკისრებული უაღრესად დიდ მნიშვნელოვანი მუშაობა. მართალია, გაზეთებში გამოქვეყნდა ამ კომისიის მიერ ცნობები, სვანეთში სხვადასხვა მადნეულობის აღმოჩენის შესახებ და რა თქმა უნდა ეს სიმართლეს შეეფერება, მაგრამ ახალი ჯერ-ჯერობით მან არაფერი მოგვცა. ამიტომ, საჭიროა მომავალ ზაფხულში მოხდეს სვანეთის მინერალური სიმდიდრეების უფრო სერიოზული და საფუძვლიანი გამოკვლევა.

ჩვენთვის უდავო ჭეშმარიტებას შეადგენს ის დებულება, რომ სვანეთი ბუნებისაგან უხვად არის დაჯილდოვებული ყოველგვარი ბუნებრივი სიმდიდრით, რომ ის ძველთაგანვე ცნობილია თავისი

[58] გაზ. ,,კომუნისტი“, 12 იანვარი; № 9, 1928 წ., გვ. 3.

მადნეულობებით, ძველ დროში, რომ აქ მართლაც ფართოთ ყოფილა დაყენებული მადნეულობის დამუშავების საქმე, ამას ადასტურებენ ძველი ბიზანტიელი კლასიკური მწერლები პლინიუსი და სტრაბონი. პირველი მოგვითხრობს: ,,მეფე სავთაკმა სვანთა ქვეყანაში ბევრი ოქრო და ვერცხლი ჰპოვა, სვანთა ხელობაა ოქროსა და ვერცხლის დამუშავებაო“ და სხვა. ხოლო სტრაბონი ამბობს: ,,სვანეთის მთის ნაკადულებში არის ოქრო, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი იღებენ ძირდაჩვრეტილი კასრებით და საწმისებით. ალბად, აქედან წარმოსდგა თვით გადმოცემა კოლხიდაში ოქროს საწმისის შესახებო“ და სხვა.

მართალია, ამგვარ ცნობებს ერთ დროს სვანეთის მკვლევარნი ზღაპრად სთვლიდენ, მაგრამ ამჟამად გაუგებრობას ფარდა აეხადა და მათი ნათქვამი უდაო ჭეშმარიტებად გადაიქცა. 1892 წლიდან სვანებმა იწყეს სვანეთის დასავლეთ ნაწილში, სახელდობრ მდინარე ნანსკრას (ჭვიბრულდ) ხეობაში მდებარე ჭვიბერში გადასახლება. იმ დროიდან დაწყებული დღემდე ადგილობრივი მკვიდრნი ტყეებში მუშაობისა და ყანების დამუშავების დროს ნახულობენ და მიწის გულიდან იღებენ სხვადასხვა ნივთებს, ალექსანდრე მაკედონელის ოქროს ფულებს, ვერცხლისა და ლითონის სხვადასხვა დროის ფულებს, მადნეულობების დასამუშავებელ იარაღებს; ნახულობენ აგრეთვე სამჭედურების (ქარხნების) ნანგრევებს და მრავალ არქეოლოგიურ თვალსაზრისით ძვირფას ნაშთებს, რომელნიც ნათლად გვიმტკიცებენ, რომ ეს მადნეულობები აქ სხვა ქვეყნებიდან კი არ შემოჰქონდათ, არამედ ადგილობრივად იღებდენ დედამიწის წიაღიდან და აქვე ამუშავებდენ და ყვავოდა მათი დამუშავების კულტურა.

სვანეთში ოქროსა და სხვა მადნეულობების უხვად არსებობას გვიმტკიცებს აგრეთვე შემდეგი ახალი გამოკვლევანი: მაგალითად 1863 წ. ცნობილ გეოლოგი გილეევის მიერ მომხდარი გამოკვლევა; 1902 წელს ინჟინერ ბოსტაკის სვანეთში მუშაობა და სვანეთიდან მოტანილ ნიმუშებში ოქროსა და ვერცხლის აღმოჩენა (იხ. მისი წიგნი: ,,მოგზაურობა სვანეთსა და რაჭაში“, გვ. 20).

ამასვე ამტკიცებს სიმენოვისა და საროკანის მუშაობა და უკანასკნელად ინჟ. კონიშევსკის მიერ მომხდარი გამოკვლევები, რომელმაც აღმოაჩინა ოქროს ენგურის ნაპირებზე: ხუბერში, თოთანაში, იდლიანიში, ლალხორში, ფარში, ბეჩოში, მესტიაში და

აფარში. ტყვიის მადანი ვედში; სურმის – გულში და უშგულში, აზბესტის – ხალდებში და სხვა.

ფარმაციის მაგისტრმა ოტტენმა 4 სექტ. 1911 წ. სვანეთიდან ჩამოტანილ აზბესტში აღმოაჩინა 65 პროც. წმინდა აზბესტისა და მუშაობასაც შეუდგა ვინმე ხაჩატუროევი, მაგრამ მსოფლიო ომმა მალე ხელი ააღებინა მუშაობაზე. ყურადღების ღირსია აგრეთვე ქვანახშირი და გრაფიტი ლეხერაში.

1926 წ. ზაფხულში ცნობილი ქიმიკოსი კუპცისის გამოკვლევით ლაშხეთის თემში დადიაშის მთის ნაკადულებში აღმოჩნდა რადი 500 მახის ერთეული, მაშინ, როდესაც წყალტუბოს სამკურნალო წყლებში რადი შეიცავს მხოლოდ 40 ერთეულს.

გარდა ამისა, სვანეთი ცნობილია: მუაშისა და მრავალი სხვა სამკურნალო წყლებით, თვალწარმტაც ბუნების წიაღში გადაშლილ შეუდარებელ სააგარაკო ადგილებით, ხე-ტყით, რომლის სივრცეც 200 000 დესეტ. უდრის, საბალახო მთებით და სხვა.

იმედია, მომავალში სვანეთის მინერ. სიმდიდრეების გამოკვლევა უფრო გაფართოვდება და ეს მუშაობა და კვლევა-ძიება უფრო საფუძვლიანად გამოარკვევს დღემდე ბურუსში გახვეულ სვანეთის მთების საიდუმლოებას და მოუმზადებს ამ ქვეყანას ბრწინვალე მომავალს

ე. გაბლიანი

ზემო-სვანეთი[59]

ამ უკანასკნელ წლებში სვანეთი კვლევა-ძიების საგნად გადაიქცა. 1925 წლის ზაფხულში აქ მუშაობდენ: ექიმთა ექსპედიცია პროფ. ასათიანის მეთაურობით სხვადასხვა სნეულებათა და უმთავრესად კი ჩიყვის გაჩენის მიზეზების გამოსარკვევად; ,,მეჟრაბპომ რუსის“ კინო ექსპედიცია, რომელმაც გადაიღო სვანეთის ცხოვრებიდან კინო-სურათი ,,დინა ძაძუ“, რომელშიაც მშვენივრად დაასურათა სვანეთი ეთნოგრაფიული მხრივ; იმავე

[59] ,,კომუნისტი“, 17 მარტი, № 63; 1928 წ., გვ. 3.

წელში სვანეთის მთები შემოიარა – გიორგი ნიკოლაძეს ექსპედიციამ.

1926 წ. სვანეთში მთავრობის მიერ იქნა გამოგზავნილი მესანგრეთა ბათალიონი სვანეთისათვის დიდ მნიშვნელოვან გზის გასაკეთებლად.

წარსულ წელს ზაფხულშივე სვანეთში მუშაობდა უმაღ. სამ. საბჭოს მიერ სვანეთის მინერალურ სიმდიდრეების გამოსაკვლევად მივლინებული გეოლოგიური კომისია. იმავე ზაფხულში აქ მუშაობდა ,,ელექტრო-სელსტროის“ მიერ გამოგზავნილი ინჟენერები ჰიდრო-ელექტრო სადგურის ასაგებ ადგილის გამოსაკვლევად, საჭირო ხარჯთაღრიცხვისა და გეგმის შესადგენად, რომელმაც თავისი მუშაობა დაამთავრა და სვანეთში მდ. ფუშყვერზე ელსადგურის აგება შეტანილია ხუთწლიან საპერსპექტივო გეგმაში.

მრავალი ექსკურსანტები სვანეთს ეწვია ამ უკანასკნელ წლებში რუსეთის სხვადასხვა კუთხეებიდან.

ეს ზღაპრული სილამაზის სანახაობანი, თავისი იშვიათი ბუნებრივი თვისებებით ადამიანის მომაჯადოებელი კუთხე ყველას ყურადღებას იპყრობს. სამართლიანად აღნიშნავდენ ევროპიელები, რომ ,,ვინც სვანეთში არ ყოფილა, მას არ შეუძლია სთქვას კავკასიაში ვიყავიო, ჭეშმარიტად ეს კუთხე წარმოადგენს კავკასიის შვეიცარიასო“ და სხვა.

ამნაირ შეხედულებას გამოსთქვამს სვანეთზე ამხ. ფილიპე მახარაძეც, რომელმაც შემოიარა ეს კუთხე. გაეცნო სვანეთის ხალხს, მის ყოფა-ცხოვრებას, ჭირ-ვარამს, ალღო აუღო იქაურ მდგომარეობას და ასწერა ეს მხარე მის მიერ გამოცემულ წიგნში ,,სვანეთი“.

ამხ. ფილიპე აღტაცებაში მოიყვანა არა მარტო სვანეთის ბუნებამ, არამედ თვით სვანეთის ხალხის ბუნებრივმა ნიჭმაც.

აი, ეს მშვენიერი, უხსოვარ დროიდან დღემდე ისტორიულ და გეოგრაფიულ პირობების წყალობით ქვეყნიერებას მოწყვეტილი, კულტურულ და ეკონომიურ წინსვლას მოკლებული მისი მკვიდრი განაგრძობენ ცხოვრების პირველყოფილ და ეკონომიურად მძიმე პირობებში არსებობას, ძველი ტრადიციების და შურისძიების ინსტიქტების თაყვანისმცემლობას.

მიწის სივიწროვისა და მოუსავლიანობის გამო ხალხი ნახევრად მშიერი, ჩაუცმელი, მეურნეობის ამა თუ იმ დარგის განვითარებისა და აღებ-მიცემობისათვის საშუალებას მოკლებული, ანტი-სანიტარული და ანტი-ჰიგიენური პირობებით წელმოწყვეტილი, ბუნებრივი სიმკაცრესთან მუდმივი ბრძოლით დაქანცული, განაგრძობს ასეთ სიცოცხლეს დახმარებისა და ასეთი მდგომარეობიდან გამოყვანის მოლოდინში.

ეს გარემოება დიდ მზრუნველობას აკისრებს ხელისუფლებას, რომელსაც წილად ხვდა სვანეთის მშრომელი ხალხის მოვლა და პატრონობა.

მართალია, გასაბჭოების შემდეგ დიდი ნაბიჯია გადადგმული სვანეთის მშრომელი ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ბევრი ახალი და ღირსშესანიშნავია გაკეთებული. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ის, რაც დღემდეა გაკეთებული, წვეთია ზღვაში იმასთან შედარებით, რაც არის გასაკეთებელი.

შემდეგში მე ვეცდები გავაშუქო, თუ რას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება სვანეთის ზემოდ აღწერილ მდგომარეობიდან გამოყვანის საკითხში და სვანეთის მშრომელ ხალხის სახელით გამოვსთქვამ იმედს, რომ საბჭოთა ხელისუფლება შექმნის სვანეთის ისტორიაში ახალ ხანას მის კულტურულად და ეკონომიურად აღორძინებისათვის.

ე. გაბლიანი

სვანეთის მშრომელთა უდიდესი მიღწევა[60]

უხსოვარ დროიდან სვანეთი გზის უქონლობის გამო მოწყვეტილია მთელ ქვეყნიერებას. მოსახლეობა ეწევა კარჩაკეტილ ცხოვრებას, პირველყოფილ პირობებში არსებობას და მოკლებულია ყოველგვარ კულტურულ და ეკონომიურ განვითარების საშუალებას. სვანეთის ცხოვრებაში დღემდე ღრმად აქვს გადადგმული ფესვები მრავალგვარ, ხალხის ზნეობრივად,

[60] გაზ. ,,კომუნისტი“, 8 ივნისი; № 132, 1930 წ., გვ. 7.

კულტურულად და ფიზიკურად გამანადგურებელ ძველ, მავნე ტრადიციებს და შურისძიების ნიადაგზე სისხლის ღვრას.

სვანეთის ასეთი მდგომარეობიდან გამოყვანაზე ბევრს ზრუნავს საბჭოთა ხელისუფლება. მაგრამ ყოველგვარი მზრუნველობა უღონოა, მანამ, სანამ სვანეთში გზა არ იქნება გაყვანილი, და ეს ქვეყნიერებას მოწყვეტილი კუთხე გზის საშუალებით არ დაუკავშირდება ცენტრს და კულტურას. ამიტომ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს სვანეთში გზის გაყვანის საქმეს.

თვითმპყრობელურ რუსეთთან სვანეთის შეერთების დღიდან, სვანეთის გზის გაყვანაზე ბევრი რამ თქმულა და დაწერილა, მაგრამ ყველა ეს წყლის ნაყვა და ცარიელი ლაყბობა გამოდგა. ხშირად ყოფილა გზის გაყვანის განზრახვებიც, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ დამთავრებულა და ეს არც გასაკვირია. თვითმპყრობელობა განგებ უწყობდა ხელს მშრომელი ხალხის სიბნელეს და უვიცობას. არც მენშევიკურ ხელისუფლებას უფიქრია სვანეთში გზის გაყვანის შესახებ და ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის შესრულება ამ უხერხემლო მთავრობას მაინც არ შეეძლო. მხოლოდ საბჭოთა მთავრობამ გადასწყვიტა სვანეთში გზის გაყვანა და წინასწარი შედეგები იმას მოწმობს, რომ სვანეთის ცხოვრებაში ამ დიდ მნიშვნელოვან, ისტორიულ საქმეს ის წარმატებით დაამთავრებს.

1929 წ. შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით, საკავშირო სახკომსაბჭოს სარეზერვო ფონდიდან სვანეთის გზის გამოკვლევის დასამთავრებლად და მუშაობის დასაწყებად გადაიდო 350.000 მან. ამ თანხით გასულ წელში მოხდა გზის გამოკვლევა და 12 კილომეტრზე საავტომობილო გზის გაყვანა.

მიმდინარე საბიუჯეტო წელში გაღებულია: საკავშირო სახკომსაბჭოს სარეზერვო ფონდიდან – 200.000 მანეთი, გზათა კომისარიატის თანხებიდან – 200.000 მანეთი, ამიერკავკასიის ბიუჯეტიდან – 200,000 მან. და სპეციალურ თანხებიდან მდ. მოგანაზე ახალი სისტემის ხიდის ასაგებად 10,000 მანეთი. სულ 700.000 მანეთი.

მიმდინარე წლის განმავლობაში ზემოხსენებული თანხით უნდა გაკეთდეს 20 კილ. გზა, 20 ხიდი (1 დიდი 70 მეტრ სიგრძის) მდ. მოგანაზე, 54 მეტრიანი გვირაბი და საყრდნობი კედლები.

მუშაობა დაწყებულია 10 მარტიდან, სამუშაოს ნახევარი გაცემულია იჯარით შრომის არტელ ,,მარდ“-ზე, ნახევარი კეთდება სამნეო წესით.

მუშაობის პროცესში, ტეხნიკოს ვ. ერისთავის ინიციატივით მოხდა ზოგიერთი 1920 წ. გამოკვლევით მოცემული ვარიანტს შეცვლა, გზის მშენებლობას. ამ ახალი ვარიანტით რამაც ფრიად დიდი სარგებლობა მოუტანა თავიდან აუცილებელ იქნა 500 მეტრზე ნახევრად გვირაბიანი კლდის სამუშაოები და სოფ. ტყვიშის აყრა. ახალმა ვარიანტმა მოგვცა ისეთი ეკონომია, რომელიც საშუალებას გვაძლევს წელსვე ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული 20 კილომეტრის გარდა კიდევ გავაკეთოთ 5-10 კილომეტრამდე გზა.

გზის მშენებლობა უმაგალითო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, ამჟამად მუშაობს 1500 კაცზე მეტი. სამნეო წესით მუშაობა დამთავრდება წელს გეგმით გათვალისწინებული პირველ ივლისამდე, მოიჯარადრის მიერ კი აგვისტოს პირველ რიცხვებში.

აგვისტოდან 15 ოქტომბრამდე კვლავ შესაძლებელია მუშაობის გაგრძელება და ამიტომ სამუშაო სეზონი რომ არ გაგვიცდეს და ასე კარგათ მოწყობილი საქმე და აპარატი არ ჩავშალოთ, აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ახალი თანხების გამონახვა მუშაობის გასაძლიერებლად.

ე. გაბლიანი

არქეოლოგიური გათხრები სვანეთში[61]

მიმდინარე წლის ზაფხულში სოფ. იფარში ვცხოვრობდი. ეს სოფელი მოთავსებულია ენგურის ვიწრო ხეობაში, მდინ. ენგურის მარცხენა ნაპირზე, სვანეთის სამაზრო ცენტრიდან - მესტიიდან 60 კილომეტრის მანძილზე.

ამ სოფლიდან ერთი კილომეტრის მანძილზე აღმოსავლეთით, იქ სადაც მდ. ენგურს სამხრეთიდან ერთვის მდ. ხელედურა.

[61] ჟურნალი ,,დროშა“, 1930 წლის № 18 გვ. 13-14; და №-19 გვ. 12-13.

მდებარეობს ერთი მაღლობი, სადაც, სხვათა შორის, სპონტიკის თლილი ქვისაგან აგებულია პატარა ტაძარი. ამ ადგილის აღმოსავლეთ მხარეზე, მთებიდან მოჩუხჩუხე კალმახით მდიდარ მდინარე ხელედურას ჩაუჭრია კლდე, რომლისაგანაც შექმნილია ხრამი სიმაღლით 100 საჟენამდე, ხოლო დასავლეთით, სამხრეთითა და ჩრდილოეთით გლეხებს ზოგიერთ ადგილას გაუკაფავთ ტყე და სახნავათ გადაუქცევიათ.

როდესაც შემთხვევით ამ ადგილზე მე მომიხდა გავლა, შევამჩნიე უამრავი თიხის მილები და ნაშკიდურა, როგორც მიწის ზედა ფენაზე დაყრილი, ისე მიწაში შერეული. ამ გარემოებამ ძალიან დამაინტერესა და შევუდექი ამ ადგილის დეტალურად დათვალიერებას, რომლის დროსაც გამოირკვა შემდეგი: ოცდა ათი წლის წინად ს. ლახამულიდან ს. იფარში გამოსახლებულ გლეხებს ზემოდ დასახელებულ ადგილას ტყეში გაუკეთებიათ 4-5 ჰექტარამდე ყანები. ყანების ხვნის დროს ყოველწლივ მიწის წიაღიდან ამოდიოდა უამრავი თიხის მილები, ნაშკიდურა და სხვა საგნები, ამჟამად მთელი ეს ადგილები ამ 4 ჰექტარის მანძილზე მოფენილია ამ საგნებით.

საღამოს სოფელში რომ დავბრუნდი, მოვუყარე გლეხებს თავი და შევუდექი დაკითხვას იმის შესახებ, თუ ვის, როდის და სად რა უნახავს ზემოაღნიშნულ ადგილებში. გამოირკვა, რომ ყოველწლიურად ხვნის დროს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიწის გულიდან ამოდიოდა სხვადასხვა ლითონის და რკინის საგნები, მძივები, მილები, ნაშკიდურა და სხვა.

ერთმა გლეხმა, ი. ჭკადუამ განაცხადა, რომ 1918 წელს, როდესაც ის ყანას ხნავდა, ხარს მიწაში ჩაუვარდა უკანა ფეხი. მიზეზის გასაგებად მას გამოუჭრია ერთსაჟენიანი კეტი და ჩაუსვია იქ, სადაც ხარს ფეხი ჩაუვარდა. ეს კეტი მთლად დაფარულა მიწაში. ამიტომ კიდევ მოუჭრია მეორე ორსაჟენიანი კეტი და ისიც იმ ადგილას ჩაუსვია. მაგრამ ისიც მიწაში ჩამალულა და მერე ორივე შიგ ჩაუტოვებია და ზევიდან მიწა გადაუყრია.

მეორე დღესვე წავიყვანაე ოთხი კაცი ამ ადგილას გათხრების მოსახდენად. რამოდენიმე საათის მუშაობის შემდეგ ჩვენ მივაგენით ზემოხსენებულ ჭკადუას მიერ მიწაში ჩასობილ ორ ჯოხს და აღმოჩნდა, რომ ამ ადგილას ოდესღაც ყოფილა გაკეთებული სამჭედლო, რომელშიაც სხვათა შორის, ვნახეთ ერთი თიხის

ქოთანი. თვით მადანი, რომელსაც მათში ამუშავებდენ, ნახშირი, ნაშკიდურა, მილები, რკინის საგნები, მძივები, ემალის ნამტვრევები და კალაპოტში ჩამოსხმული წონით 5-10 გირვანქამდე, მადნეულობისაგან გადადნობის შემდეგ დარჩენილი ჯერ ჩვენთვის გამოურკვეველი შემადგენლობის ნივთიერება. ნახშირი, ნაშკიდურა და მილები ერთმანეთში შერეული ამ ადგილებში ყრია ერთი საჟენის სიღრმეზე, შემდეგ ჩნდება ნამდვილი ადგილობრივი მიწა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მილები სიგრძით 1 არშინზე მეტი არ გვინახავს. ამ მილების ის ნაწილი, რომელიც საბერველისაკენ ყოფილა, ცეცხლისაგან დაუზიანებელი დარჩენილა, ხოლო ის ნაწილი, რომელიც ცეცხლისაკენ ყოფილა, დამწვარი აღმოჩნდა. მათში შიგ ნაშკიდურა შესულა. გარშემოც ამ მილებს ნაშკიდურა შედუღებოდა ალბად, ამის გამო უვარგისი ხდებოდენ და მათ ყრიდენ გარეთ. უთუოდ ამით აიხსნება მათი სიმრავლე ამ ადგილებში. ამ ადგილებიდან აღმოსავლეთით 50 საჟნის მანძილზე არის ზემოხსენებული ხრამი, სადაც შევამჩნიე ძვლები 1 ნახევ. არშინის სიღრმეზე მიწაში დამარხული. შევუდექით ამ ძვლების ამოთხრას და აღმოვაჩინეთ რამდენიმე საფლავი, სადაც ადამიანების ძვლების გარდა დამარხული იყო აგრეთვე ცხენებიც რკინის დიდი ლაგმებით პირში, რკინის უზანგებით და სხვა ნაწილებით, რახტებით, ვიპოვეთ აგრეთვე ჭურის და დოქის ნამტვრევებიც და სხვა საგნები. ნაშკიდურა მილები და ნახშირი ერთმანეთში შერეული ერთი საჟენის სიღრმეზეა.

მინდოდა გათხრები უფრო ღრმად მეწარმოებინა, მაგრამ ამისთვის ნივთიერი საშუალება არა მქონდა, ამიტომ მივმართე სვანეთის მაზრაღმასკომს შემწეობისათვის. აღმასკომი მხურვალე თანაგრძნობით შეხვდა ჩემს თხოვნას და გადმომცა 200 მანეთი გათხრების გასაგრძელებლად.

ამის შემდეგ საშუალება მომეცა გამედიდებინა მუშების რიცხვი და უფრო სერიოზულად შევსდგომოდი მუშაობას. ათი კაცით სამი დღის მუშაობამ მოგვცა შემდეგი შედეგები: სხვადასხვა ადგილას აღმოვაჩინე ოთხამდე სამჭედლოს ნანგრევები. ერთში ეწყო მადნისაგან გამოდნობილი, კალაპოტში ჩამოსხმული, წონით 5-10 გირვანქამდე, ანალიზით მაგნიტის რკინად ცნობილი ნივთიერება, მის ჩამოსასხმელად ქვისაგან გაკეთებული სხვადასხვა ზომის

კალაპოტები, ხოლო დანარჩენებში - მილები, ნახშირი, ემალი, დაუმუშავებელი მადანი, მძივი და სხვა ერთმანეთში შერეული.

აღმოვაჩინე ისეთი ადგილიც, სადაც 10-15 საჟენის სიგრძეზე, ოთხი საჟენის სიფართოეზე და ერთი საჟენის სიმაღლეზე, მხოლოდ მილები აწყვია. ჩემი აზრით, ამ ადგილის თავში უნდა ყოფილიყო მთავარი ქარხანა და აქედან უნდა იყოს გადმოყრილი ეს მილები. ამიტომაც აქ შუა ადგილას ჩავჭერი მიწა 1 ნახ. საჟ. სიღრმეზე და 4 საჟ. სიგრძეზე. ასეთ ზომას იმ მოსაზრებით მივმართე, რომ აქედან ზემოხსენებულ მილებიდან ადგილის თავამდე გამეთხარა მიწა და მისი თავი გამომენახა.

სწორედ ამ ადგილას ერთი საჟნის სიღრმეზე მიწა რომ გავთხარე, აღმოჩნდა ვერტიკალურად მიწაში აღმართული ქარხნის მილი, რომლის დიამეტრი 1 არშინს უდრის. ეს მილი გარშემო ქვის კედლებით არის ამოშენებული. მილსა და კედლებს შუა აყალო მიწა აყრია 1 ნახ. არშინის სისქეზე. ცეცხლისაგან მილი შიგნით ძალიან დამწვარია. მის გარშემო დაყრილი მიწაც ძალზე გაწითლებულია. მილი ერთი მხრიდან გათხრის დროს უცაბედათ გატყდა, ამიტომ საშუალება მქონდა მისი სიმაღლე გამეზომა კეტით. კეტი ავიდა ზევით 1 ნა. საჟენის სიმაღლეზე, ე. ი. იმ ადგილამდე, სადაც მის თავზე ტყეა ამოსული.

ამ საინტერესო ნაშთის ნახვის შემდეგ მე დავრწმუნდი, რომ აქ მეტი სიფრთხილე და სერიოზული გათხრები იყო საჭირო სპეციალისტების ხელმძღვანელობით, ამიტომ შევაჩერე მუშაობა და დეპეშებით ეს ამბავი ვაცნობე როგორც საქ. სახკომსაბჭოს, აგრეთვე საქართველოს მუზეუმს და ვსთხოვე დახმარების აღმოჩენა როგორც ნივთიერად, ისე სპეციალისტების გამოგზანით. ჩემი შუამდგომლობა ჯერ-ჯერობით უშედეგოთ დარჩა, მაგრამ მომავალ ზაფხულში იქ გათხრების ჩასატარებლად ემზადებიან სპეციალისტები. იმედია ამ საინტერესო საქმეს სერიოზული ყურადღება მიექცევა და მომავალი კვლევა-ძიება გამოამჟღავნებს სვანეთის ბუნების დღემდე ბურუსში გაქცეულ საიდუმლოებას.

წირმინდის გათხრები

იფარის არქეოლოგიურ გათხრების შემდეგ ადგილობრივმა მოსახლეობამ დაინახა, რომ მე ძველი ნაშთების აღმოჩენით დაინტერესებული ვიყავი და ამიტომ ბევრი მათგანი მოდიოდა ჩემთან და მაძლევდა ცნობას, თუ ვის, სად და როდის რა უნახავს ან რა სმენია ამ საქმის შესახებ.

სხვათა შორის, ერთმა ადგილობრივმა მკვიდრმა სეითბე ჭკადუამ მიამბო, რომ ორი წლის წინად, როდესაც წირმინდის უდაბურ ტყეში ერთი გლეხი, აზა ჭკადუა თხების საძებრად ყოფილა წასული, ამ დროს ქარს წაუქცევია ნაძვის დიდი ხე, რომლის ფესვებს ქვეშ თურმე აღმოჩნდა საფლავი, რომელშიაც სამი ადამიანი ემარხა. ამ ადგილიდან დასავლეთით 30 საჟენის მანძილზე უნდა იყოს ტაძრის და სხვა ნანგრევები.

ამ ამბავმა ძალიან დამაინტერესა, მოვიხმე ხსენებული აზა ჭკადუა, გამოვკითხე ყოველივე და ოთხი კაცით ჯორკვალიდან წირმინდში გავემგზავრე.

აქ, ერთ სრულიად მიუდგომელ უდაბურ ტყიან და კლდოვან ადგილას 10 წლის წინედ ოთხ გლეხს: გრიგოლ, ალექსი, მიშა და გიო ჭკადუებს დაუკაფავთ ტყე, გაუკეთებიათ ყანები, აუგიათ ხის სახლები და დასახლებულან.

წარმოუდგენელი იყო ჩემთვის ამისთანა ადგილას ადამიანის ცხოვრება და ამ სოფლის არსებობის შესახებ არაფერი ვიცოდი. წაუშლელი იქნება ჩემს მეხსიერებაში ამ ოთხი გლეხის ყოფა-ცხოვრებიდან მიღებული მძიმე შთაბეჭდილება.

ეს ადგილი ყოველ მხრიდან გარშემორტყმულია უდაბური ტყეებით და გრანდიოზულ ღრე-კლდეებით. ბუნება აქ მეტად მკაცრია და ეს ოთხი ოჯახი მოწყვეტილია ქვეყნიერებას არა მარტო ზამთრობით, არამედ ზაფხულობითაც.

ადგილმდებარეობის საფუძვლიანად დათვალიერებით და ამ ოთხი გლეხის დაკითხვით გამოირკვა, რომ შორეულ წარსულში აქ ხალხი ყოფილა დასახლებული, ამას ამტკიცებს, სხვათა შორის, ხუთმეტამდე სახლის დღემდე დაცული ნანგრევები, რომლებისაგან შენახულა საძირკვლები, ხვნის დროს მიწის გულიდან ამოსული ხელის წისქვილები, ჭურჭლებისა და დოქების ნამტვრევები და სხვ.

ამავე ადგილას დღემდე შენახულან მსხლისა და ვაშლის დიდი ხეები, რომელთაც სხვაგან მის გარშემო მდებარე ადგილებში ვერსად ვერ ვხვდებით.

გადმოცემით, ძველ დროში აქ უნდა ყოფილიყვნენ დასახლებული დღევანდელი სოფ. ლაბსყადლის მცხოვრებთა წინაპრები, რომლებისათვისაც მტერს მუსრი გაუვლია. შემთხვევით გადარჩენილა ამ დროს სანადიროთ წასული ერთი მონადირე, წინაპარი დღევანდელი ლაბსყადლელებისა, ამიტომ, როდესაც 1918 წ. წირმინდში ზემოხსენებული ოთხი გლეხი დასახლებულა, სოფ. ლაბსყალდის მცხოვრებლებს მათთვის დავა აუტეხიათ.

აი ამ ადგილიდან 200 საჟენის მანძილზე დასავლეთით უდაბური ტყით დაფარულ ფერდობებში არის ის ხე, რომელიც როგორც ზემოთ არის ნათქვამი, ქარს წაუქცევია და მის ქვეშ საფლავი აღმოჩენილა. მეორე დღესვე დილით ადრე წავედით ამ ადგილის საძებრად და მალე კიდეც მივაგენით.

იმ ადგილას, სადაც ქარისაგან წაქცეული ზემოხსენებული ხეა, ტყის ფერდობში არის ვაკე ადგილი ათ კვადრატულ საჟენამდე, ეს ხე ყოფილა საფლავზე ამოსული და ამიტომ მის წაქცევის შემდეგ გამოჩნდნენ ადამიანის ძვლები და თავის ქალა. სწორედ ამ ადგილიდან დავიწყეთ გათხრა. მე შევუდექი ამ ადგილების დეტალურად დათვალიერებას. მუშებმა მალე მიაგნეს საფლავს, სადაც სამი კაცი ერთად იყო დამარხული, მაგრამ ძვლები სიძველის გამო იფშვნებოდენ და მიწიდან მათი მთლიანად ამოღება შეუძლებელი შეიქნა.

ამ ადგილიდან აღმოსავლეთით ხუთი საჟ. მანძილზე დიდი ხეების ფესვებს ქვეშ შევამჩნიე კედელი.მოვაყენე აქ სამუშაოთ ორი კაცი და აღმოჩნდა, რომ ეს იყო ოდესღაც აქ არსებულ ტაძრის ნანგრევებისაგან დარჩენილი საძირკველი. სიგრძე ამ კედლისა, ანუ ტაძრის ნანგრევებისა, არის 13 არშინი, სიგანე 8 არშინი, სისქე (კედლის) 1 ნახ. არშინი. კედლები ქვითკირისაა.

აღმოსავლეთის ნაწილი კედლით არის გატიხრული. ეტყობა, ეს უნდა ყოფილიყო ტრაპეზი. მისი კედლების გარეთა ნაწილი ქვითკირისაა. შიგნითა კედელი კი აგურისაა და მათ შუა ჩასხმულია კირის ხსნარი. ამ კედლის შიგნით არის კიდევ ქვის

კედელი, შემდეგ ისევ აგურისა, შუაში კირის ხსნარით ამოვსებული. მთავარი ყურადღება დაეთმო ამ ადგილას გათხრის

წარმოებას, რამაც მოგვცა ასეთი შედეგი: როდესაც ამ ოთხ კედელს შიგნით მიწა 12 არშინის სიღრმეზე გავთხარეთ, აღმოჩნდა აგურის იატაკი, კირის ხსნარდასხმული. შიგ ყოფილა დამარხული ორი ადამიანი. მათი ძვლები დაფერფლილია და მხოლოდ თავის ქალას ზოგიერთი ნაწილი და კბილები შენახულა. ვნახეთ ორი ვერცხლის პატარა ჯვარი და ორი დანა. მიწის სიმაღლე იატაკიდან არის 2 ნა არშინი. იგი შესდგება სამი ზოლისაგან: ქვედა ფენა არი კვერცხის გულისებური ყვითელი მიწა ხუთი ვერშოკის სისქეზე. შუაფენი შავი ადგილობრივი მიწისაგან შესდგება და 4 ვერშოკის სისქეზეა. ზედაფენი 1 არშინის სისქეზე არის აგურისა და ქვისაგან კირის ხსნარით ნაგები კედელი. მასზე ამოსულია დიდი ფიჭვის ხეები, ეტყობა, აქ დამარხული ყოფილა ვინმე საპატიო პირები.

ამ შენობის ნანგრევების გარშემო წარმოებულმა გათხრამ დაგვანახვა, რომ მის აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთით ყველგან მიცვალებულები ყოფილან დამარხული. მათ დასამარხავად ზოგან აგურის კედლებისაგან აკლდამები ყოფილა გაკეთებული, ზოგან უბრალო საფლავები შიგნით აგურის კედლებით ამოშენებული, ზევიდან აგურით გადახურული და კირის ხსნარი გადასხმული. ამ საფლავებში ზოგში ემარხა სამ-სამი, ზოგში ოთხ-ოთხი და სხვ.

ჟანგისაგან შეჭმულ რკინის დანებს თითქმის ყველა საფლავში ვპოულობდით. ზოგიერთ საფლავში მიცვალებულთა თავქვეშ ირმისა და ჯიხვის რქები ჰქონდათ ამოდებული. ზოგიერთებში კი ეყარა უამრავი რქები ჯიხვებისა და არჩვებისა. მათი გარეკანი ანუ რქის ნაწილები დამპალი იყო ძვლის ნაწილები კი შენახული. ეტყობა, ესენი მონადირეების საფლავები ყოფილან. ბევრგან ვნახულობდით აგრეთვე თიხის ჭურჭლეულობის ნამტვრევებს. ალბად, ეს იმით აიხსნება, რომ თავის არაყით სავსე დოქებს სვანები ჩვეულებისამებრ კუბოში ჩაუდგამდენ ხოლმე მიცვალებულს იმ მოსაზრებით, რომ საიქიოს დაელია.

რამდენიმე თავის ქალას, სხვა ძვლებისა და კბილების მიწიდან მთლიანად ამოღება შევძელი და ისინი საკმაოდ დიდნი არიან. სასაფლაოებზე ყველგან ამოსულია ბზა, რომელიც სხვაგან ახლო-მახლო არსად არ მოიპოვება. აგური, რომელიც აკლდამების კედლებისათვის არის ნახმარი ზომით 5 კვ. ვერშოკამდეა. ეს აგური იშვიათი ხარისხისაა. მიწა, რომლისაგანაც ეს კეთდება, აღმოჩნდა

სოფ. წირმინდის თავში. უნდა აღვნიშნოთ, რომ სვანეთში თუ ამისთანა აგური კეთდებოდა და ხმარებაში იყო, ეს აქამდე არ იყო ცნობილი და სვანეთში იგი დღემდე არსად ყოფილა აღმოჩენილი.

ზემოაღწერილი ადგილიდან 30 საჟ. მანძილზე დასავლეთით ერთ მაღალ ციცაბო მიუდგომელ კლდეზე აღმოჩნდა რაღაც შენობის ნანგრევები. ამ კლდის სიმაღლე დასავლეთისა, სამხრეთისა და აღმოსავლეთის მხრით იქნება 250-300 საჟენი, ხოლო ჩრდილოეთის მხრით 10 საჟენამდე. მის წვერზე აგებული ყოფილა, რაღაც შენობა სიგრძით 13 არშინი და სიგანით 8 არშინი. ამ შენობის გარეთ ჩრდილოეთის მხრით კლდე გახეთქილი ყოფილა, მასში (ალბად გასამაგრებლად) ჩასხმულია კირის ხსნარი. დასავლეთის კედლად გამოყენებულია კლდე, სადაც დირეების გასადებათ გაკეთებული და კირის ხსნარით ამოლესილი ნახვრეტები დღემდე შენახულა. აღმოსავლეთის მხრით ქვითკირის კედელი შენახულა სიმაღლით 2 არშინამდე.

ძნელი გამოსარკვევია, თუ დანიშნულებისათვის იყო ეს შენობა აგებული. შეიძლება ეს იყო ტაძარი, რადგანაც ცნობილია, რომ ტაძრების ასაგებად ძველ დროში ხშირად ამისთანა ადგილებს ირჩევდენ, ან შეიძლება ის წარმოადგენდა ციხე-სიმაგრეს ამ სოფლის დასაცავად.

არავის შეეძლო ეფიქრა, რომ ს. იფარის მიდამოებში მადნეულობების დამუშავება ასე ფართოდ იქნება დაყენებული, მაგრამ სხვა ადგილებში, სვანეთში, რომ ძველად მადნებს ნახულობდენ და ამ მადნების დასამუშავებელი ქარხნები არსებობდენ, ამას შემდეგი ისტორიული ცნობები და მეცნიერების მიერ ჯერ ხელშეუხებელი, სვანეთში ამჟამად აღმოჩენილი საბუთები აშკარად ამტკიცებენ:

გამოჩენილი ბიზანტიელი გეოგრაფი სტრაბონი, სხვათა შორის, სწერს: ,,სვანები სცხოვრობენ კავკასიონის მწვერვალებზე დიოსკურიის ზემოდ, ამ ქვეყნის მთის ნაკადულში არის ოქრო, რომელსაც იღებენ პირდაჩხვეტილები კასრებითა და საწმისებით... ამის გამო, ალბათ, წარმოსდგა თვით გადმოცემა ოქროს საწმისის შესახებ“ და სხვ... ხოლო პლინიუსის თქმით, ეგვიპტის მეფე სეზოსტრისის მოგზაურობას კოლხიდაში და აზონის მეთაურობით არგონავტების შემოსვლას ერთი და იგივე ოქროსმატყლოვან ვერძის ხელში ჩაგდება ედვა საფუძვლადო, ხოლო მისი მფლობელნი კი

იყვნენ ,,სვან-კოლხები და არა ეგვიპტელ-კოლხებიო“ და სხვ. გარდა ამისა, პლინიუსი სწერს კიდევ: ,,ამბობენ, რომ კოლხეთის მეფედ იყო სავთაკი, აიეთის შთამომავალი. ამან სვანთა ქვეყნიდან ბევრი ოქრო და ვერცხლი გამოიღო. სხვათა ხელობაა ოქროს მადნების დამუშავებაო. ამის გარდა, ეს ქვეყანა ცნობილია კიდევ ოქროს საწმისი ამბით, აგრეთვე მოთხრობით შესახებ ოქროს კამარადებისა, ვერცხლის კოჭაკებისა და სვეტებისა, რომელიც ამ მეფემ წაართვა ეგვიპტის ფარაონს სეზოსტრისს“ და სხვ.[1])

სამწუხაროდ, სვანეთი მეცნიერულად ჯერ კიდევ შეუსწავლელი და გამოუკვლეველია და ამიტომაც ამ კუთხის ბევრი ისეთი ადგილები, სადაც მრავალი ჩვენი ძველი კულტურის, ხელოვნებისა და სიმდიდრის საუკეთესო ნაშთებია დამარხული, დღემდე ხელშეუხლებელი და ბურუსში გახვეული რჩებიან და ამიტომაც არის, რომ სტრაბონისა და პლინიუსის ზემოხსენებული ძვირფასი ცნობები სვანეთის შესახებ, თითქმის ლეგენდარულ ანუ ზღაპრულ თქმულებათ მიაჩნიათ სვანეთის მკვლევართ, მაგრამ დღეს კი მათ ფასი უნდა დაედვას, ვინაიდან უკვე თავი იჩინა და მრავალმა საბუთმა იმის დასამტკიცებლად, რომ ამ ისტორიკოსებს ჩვენთვის უტყუარ ფაქტებზე დამყარებული ცნობები დაუტოვებიათ, რასაც ნათელს ჰფენენ სვანეთში ყოველწლიურად ნახული ის ძველი ნაშთები, რომელთა მიხედვითაც ადვილად შეიძლება ითქვას, რომ როგორც გადმოგვცემს სტრაბონი, თვით გადმოცემა ოქროს ვერძზე იყოს წარმომდგარი იმ მატყლოვანი ტყავებისაგან, რომელთა საშუალებითაც მთის ნაკადულებიდან სვანები ოქროს იღებდნენ და სხვ.

ხოლო სვანეთის მდინარეებს, რომ ერთ დროს მართლაც ოქროს ქვიშა ჩამოჰქონდათ და მრავალნაირი მადნეულობების დამუშავება სვანეთში სწარმოებდა იმ დროს, ამის დასამტკიცებელმა საბუთებმა, როგორც არის უკვე ნათქვამი, მრავლად იჩინა თავი.

ზემო-სვანეთში (ჩუბეხევის საზოგადოებაში) მდინარე ნენსკრას (ჭვიბრულდის) ხეობაში მდებარე უდაბურ ტყეებით და ფიჭვ-ნაძვნარით დაფარულ ადგილას ჰქვია ,,ჭვიბერ“-ი. ეს კუთხე მე-18 საუკ. ეკუთვნოდა სვანეთის გლეხკაცობას, მერე თავად მურზაყანს (კონსტანტინე) დადეშქელიანის მიერ 1857 წ. 22 ოქტ. ქუთაისის გუბერნატორის გაგარინის მოკვლამდე დადეშქელიანებს, ხოლო ამის შემდეგ ხაზინას.

ამ ადგილს შუაზედ ჰყოფს იმ დონგუზ-ორუნის მყინვარებიდან მომდინარე წყალი ნენსკრა, რომელსაც სვანები ჭვიბრულდს ეძახიან. ამ კუთხეში ძველად ხალხი არ ცხოვრობდა, მაგრამ დაახლოებით 1890 წლიდან ჩუბეხევისა და შემდეგ ფარის საზ. გლეხკაცობამ დაიწყო იქ გადასახლება, ტყეებისაგან ადგილების გაწმენდა, ყანების გაკეთება და მიწის დამუშავება, რამაც მისცა მათ სასურველი შედეგები და ამჟამად ეს კუთხე წარმოადგენს 120 მოსახლისაგან შემდგარ, მიწის ნაყოფიერების წყალობით მდიდარს სოფელს. ყოველწლიურად აქ ხვნის დროს ყანებში, ხოლო ტყეებში მუშაობისა და მოგზაურობის დროს ადგილობრივი მკვიდრნი ნახულობენ აუარებელ ოქროს, ვერცხლის, თითბერის ფულებს და ნივთებს, მადნების დასამუშავებელ შენობების ნანგრევებს და იარაღებს, დამუშავებულსა, დამზადებულსა და დაუმუშავებელ მასალებს და სხვ.

პირველად ხვნის დროს აქ მიწაში ნახა ბლომად ოქროს ფულები ადგილობრივმა მკვიდრმა ნავლად ვიბლიანმა, მაგრამ ამ ძვირფას არქეოლოგიურ ნაშთებს, ფასის უცოდინარობის გამო, ეს ყრუ სვანი ისე მოეპყრა, როგორც მამალი მარგალიტის მარცვალს და მალე ისინი ჩაუგდო ხელში მუქთად ზოგი სვანეთში მოვაჭრე სომხებს, ზოგი თათრებს და სხვ.

მას შემდეგ ასეთი ფულები ნახა ტყეში მუშაობის დროს. ს. მარხში ერთი დიდი ხის ქვეშ მეორე სვანმა ივანე დევდარიანმა, მაგრამ იმანაც ასე უთავბოლოდ გაფლანგა მალეს სიმდიდრე.

ეს ფულები იყო გაყოფილი სამ კატეგორიად. ერთზე იყო დახატული ერთის მხრით რაში, რომელსაც კისერში ისარი აქვს გაყრილი, ხოლო მარჯვენა ფეხზე აღმოცენებულია პურის მარცვალი. მეორე გვერდზე კი დახატულია კაცის თავი ეკლის გვირგვინით შემკობილი (პონტიკაპეიკა).

მეორე ფულზე ერთის მხრით არის დახატული ალექსანდრე მაკედონელის თავი, ხოლო მეორე გვერდზე ანგელოზის ქვეშ ბერძნული წარწერა: ,,ალექსანდრ“.

მესამე ფულზე დახატულია: კაცი პურის მარცვლით ხელში, მეორე გვერდზე აქვს წარწერა ,,კერჩ“.

როგორც ირკვევა, ზემოხსენებული ნავლად ვიბლიანი ნადირობის დროს, სადღაც უდაბურ ტყეში სრულიად შემთხვევით

წააწყდა თურმე აგრეთვე ისეთ შენობას, რომლის შემჩნევაც ძნელია. ვინაიდან ის დაფარული ყოფილა მიწითა და ხავსით სიძველის გამო. ამ შენობაში მას უნდა ენახა ბევრი ოქროს ფული, ოქროს სკამი, ბევრი სხვადასხვა ოქროს იარაღები, ნივთები, ოქროს ვერძი და ამიტომაც ის ეკლესიათ მიუღია. ის ოქროს ფულები, რომლებიც მას ჰქონდა, უნდა ყოფილიყვნენ – ზოგი მიწაში ნახული, ზოგიც ამ ,,ეკლესიიდგან" გადმოტანილი.

ამის შემდეგ არ გასულა ერთი თვე და მას დაეხოცა ცოლ-შვილი, ცხენი, ხარი, ძროხა და სხვა პირუტყვი. სვანმა ასეთი უბედურების მოვლინება და მძიმეთ დასჯა მიაწერა ,,ეკლესიიდგან" ნივთებისა და ფულების გამოტანას და რომ ასეთი ღვთის გაწყრომისა და რისხვისაგან მას თავი დაეხწია, ყველა ეს ნივთები (რაც გაყიდული არ ჰქონდა) ეკლესიას დაუბრუნა, ხოლო ჩადენილ ცოდვების მოსანანიებლად და ღვთის გულის მოსაგებად მან აღუთქვა ღმერთს ყოველწლიურად ერთი ხარის მსხვერპლად შეწირვა. ამის შემდეგ სვანმა თავისი საიდუმლო არავის გაუზიარა – ასე ჩავიდა საფლავში.

1910 წელს ჭუბერში, სოფ მარხში, ხვნის დროს, მიწის ქვეშა აღმოაჩინეს გლეხებმა ქვის შენობა, რომელიც სავსე იყო სხვადასხვა ლითონის ჩაქუჩებით, მაკრატლებით, იარაღით და სხვა ნივთებით. სხვათა შორის ამ შენობაში ნახეს აგრეთვე ლეკური და კან მომწვარი პურის ხორბალი,[2]) ხოლო იმის ახლო-მახლო მდებარე ადგილებში ყოველწლიურად ადგილობრივი მკვიდრნი მუშაობის დროს ნახულობდნენ ბევრ სხვადასხვა ბრინჯაოს, ოქროსა და ვერცხლის ნივთებს, იარაღებს, მძივებს და ჩამოსასხმელ დამზადებულ ოქროს ფურცლებს, რომლებისაგანაც ადგილობრივი მჭედლები ბეჭდებს აკეთებდნენ.

1913 წელს ამ ადგილიდან სამი ვერსის მანძილზე სალიბე ქალდანმა ნახა ბევრი ნივთები და მათ შორის ვერცხლის ფული, რომელზედაც ეხატა თევზი არწივის ბრჭყალებში და სხვ. ხოლო მეორე სვანმა ხარის პატარა ოქროს თავი. ასეთმა საყურადღებო მოვლენებმა ჩემში გააღვიძეს სურვილი პირადად მენახა და დამეთვალიერებინა ეს არქეოლოგიური კუთხე, ადგილობრივად გავცნობოდი ყველა საბუთებს და ამიტომ წავედი სოფ. ჭვიბერში, სადაც საქმის დაკვირვებამ თვალწინ გადამიშალა შემდეგ სურათი: მდ. ჭვიბრულდას ხეობაში არის მოთავსებული ზემოხსენებული

სოფელი ჭვიბერი, რომელსაც ეს მდინარე შუაზე ჰყოფს. მის მარცხენა ნაპირზე სოფ. მარხის ჩრდილოეთით ტყის ფერდოში არის აღმართული ერთი მაღლობი, მიწითა და ვეებერთელა ხეებით დაფარული, მათ ფესვებს ქვეშ აღმოჩნდა შენობების ნანგრევები, სადაც ერთ დროს, როგორც ვრწმუნდებით, წარმოებდა სხვადასხვა მადნების დამუშავება და მისგან სხვადასხვა ნივთებისა, ოქროსა და ვერცხლის ფულების გაკეთება.

ამ ნანგრევების გარშემო ჩაფლულია მიწაში ჭურები, რომლებიც სილით არიან ამოვსებული. მის სამხრეთით მდებარე ტყე რამოდენიმე ვერსის მანძილზე დაფარულია ნაშკიდურით ანუ ნამჭედურით (სვანურად – შხიბ). იმ თიხის მილების ნატეხებით რომლებსაც ძველ დროში სამჭედურებში საბერავების თაველებად ხმარობდნენ. ამ მილებში გაკვეხებულია ნაკიდურა, რის გამოც ისინი ეტყობა საქმისთვის უვარგისი ხდებოდენ და ტყეში ჰყრიდნენ.

ამ ნანგრევების აღმოსავლეთით აღმოჩენილია ივ. დევდარიანის მიერ ის ფულები, რომლებზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი. მის ჩრდილოეთით ტყეში 12-მდე დიდი ქვის როდინები (ქვასანაყებია). სამხრეთით სალიბე ქალდანის მიერ ნაპოვნი ფული, სხვა ნივთები და აგრეთვე ის ზემოხსენებული 1910 წ. ს. მარხში მიწის ქვეშ მუშაობის დროს აღმოჩენილი შენობის ნანგრევები, სადაც ბევრი ნივთები იყო:

ხოლო მდინარის მარჯვენა ნაპირზე სოფ. ჭერში მეკვშდა ბოგის (მოკლე ხიდის) ყურთან არის მიწითა და ტყით დაფარული, ჯერ ხელუხლებელი შენობის ნანგრევები (მაღლობი)ამ ნანგრევების დასავლეთით ერთი ვერსის მანძილზე აღმოჩენილია პირველად ზემოხსენებულ ნავლად ვიბლიანის მიერ ის ოქროს ფულები, რომლებზედაც ზევით გვქონდა ლაპარაკი და აგრეთვე ერთი შენობის ნანგრევები და სხვ.[3])

აი ყველა ეს ნანგრევები ჯერ-ჯეროობით ხელუხლებელნი არიან, მაგრამ მათ გარშემო არსებული საგნები, როგორც დავინახეთ, აშკარად მოწმობენ და ნათლად გვიმტკიცებენ, რომ ჩვენ გვაქვს საქმე იმ დიდმნიშვნელოვან უხსოვარ დროიდგან დროთა ვითარების მეოხებით მიწის გულში გახვეულ ძვირფას არქეოლოგიურ შენობების ნანგრევებთან, რომლებშიაც ერთ დროს ენთო ლამპარი წარსული კულტურისა და ხელოვნებისა.

1926 წ. ჭუბერში ნახული ოქროს ფული რომლის მსგავსიც დღემდე არ ნახულა ამჟამად აქვს ცექა ცინდელიანს. იმავე ხეობაში ალექსანდრე გადრანმა ნახა სპილენძი კალაპოტში ჩამოსხმული, წონით სამი ფუთი. იმავე წელს ნახული ოქროს მოზრდილი ნაჭერი აქვს ბავჩი ქალდანს.

ამნაირად მე ვფიქრობ, რომ ამ ნანგრევებისა და ჭვიბერის შესწავლა მომავალში ფასდაუდებელ, იშვიათ და უცხო მასალებს შესძენს მეცნიერებას, ერთი მხრივ, იმ საკითხის გაშუქებაში, რომ დღეს-დღეობით უკულტურო, ჩამორჩენილი სვანეთი ოდესღაც იშვიათი კულტურისა და ხელოვნების აკვნათ ქცეულა, ხოლო მეორე მხრით სტრაბონისა და პლინიუსის ზემოხსენებული ცნობების შესახებ და სხვ.

ეგნატე გაბლიანი

1) ბატონიშვილი ვახუშტი. საქართველოს გეოგრაფია - გვ. 316 და 30. (შენიშვნა ჯანაშვილისა).

2) სვანების ახსნით, ძველათ პურის მარაგი რომ არ წახდენოდათ, გახურებულ ქვაბებში პურის ხორბალს ყრიდენ, კანს მოსწვავდენ და ისე ინახავდენ.

3) საგულისხმო ის არის, რომ ყველა ამ შენობებს ეტყობა ჰქონდათ ერთი და იგივე დანიშნულება – მადნეულობის დამუშავება და უბრალო ანუ საცხოვრებელი სახლის სახე და სიდიდე არა აქვთ.

სარჩევი

რედაქტორებისაგან.....5

ეგნატე გაბლიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ასპექტები

ეგნატე გაბლიანი (1881-1937 წწ.).....9

ეგნატე გაბლიანი და 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება სვანეთში.....25

მოგონებები ეგნატე გაბლიანის შესახებ.....35

ეგნატე გაბლიანის მეცნიერული მემკვიდრეობა

ძველი და ახალი სვანეთი

ავტორისაგან.....43

სვანეთის მოკლე გეოგრაფია.....44

სვანების უძველესი ისტორია და ბინადრობა.....51

სვანების მცირე აზიიდან გამოსვლა და ამიერკავკასიაში დამკვიდრება 58

სვანების სამხრეთიდან სვანეთში შემოსვლა და დამკვიდრება...65

სვანების ძველი კულტურა და ეკონომიური მდგომარეობა.....75

სვანეთის პოლიტიკური მდგომარეობა 1 საუკუნიდან მე-18 საუკუნემდე 85

სვანეთის ერისთავები..... 100

თავადი რიჩგვიანები.....104

თ-დ დადეშქელიანების გაბატონება სვანეთში..... 105

ფუთა დადეშქელიანის მოკვლა უშგულში.....107

სვანეთის პოლიტიკური მდგომარეობა მე-19 საუკუნეში.....114

თავისუფალი სვანეთის 1875-76 წ. წ. აჯანყება.....137

სვანეთის 1905 წლის აჯანყება.....155

სვანეთის ეკლესიები და ძველი ნაშთები.....157

ქრისტიანობის გავრცელება სვანეთში, კერპთათაყვანის-
მცემლობის ნაშთები, ძველი ზნეჩვეულებები.....166

,,ბაპების“ ლოცვა მღვდლათ ანუ დიაკვნათ კურთხევის დროს...168

ჰეერია (კუდიანი).....175

ტყის კაცი ანუ დევი ,,ცხეკი დაავ“.....175

შაშშარ (ჭინკები).....177

ლახვაარ 113..... 177

მნათობთა თაყვანისმცემლობა.....178

შურისძიების საშინელებანი სვანეთში.....182

შანთობა სვანეთში.....184

საიქიო ცხოვრება და მიცვალებულთა პატივისცემა.....185

სვანების შეხედულება ქალების თვიურ ავადმყოფობაზე და მშო
ბიარობაზე.....188

ცოლის თხოვნა ანუ ქალის გათხოვება სვანეთში.....190

სტუმართმოყვარეობა სვანეთში.....191

მართვა-გამგეობის საქმე სვანეთში.....193

სახალხო სასამართლო.....200

ჯანმრთელობის საკითხი და ექიმობა სვანეთში.....201

სწავლა-განათლების საქმე სვანეთში.....207

სვანეთის ეკონომიური მდგომარეობა.....211

მეფუტკრეობა სვანეთში.....214

მესაქონლეობა სვანეთში.....215

სვანეთის ტყეები.....215

ვაჭრობა-მრეწველობა.....216

გაცვლა-გამოცვლითი მრეწველობა.....216

პატარა სვანეთი და მისი ეკონომიური მნიშვნელობა.....218

სვანეთის გზების შეკეთება და გაყვანა.....219

კოოპერატივები.....221

სამკითხველოები.....222

სვანები და სვანური ენა.....223

სვანური გვარები.....246

სვანური ხალხური ფერხული სიმღერები. ვიცბილ-მაცბილ (სახ ელები).....247

ქალსა ვისმა.....253

სანადირო.....254

მავლია (მოვლენ).....255

სოლომონ.....255

გივერგილა.....257

დალი კოჯას ხელღვაჟალე.....258

თავისუფალი სვანეთი.....259

ავტორისაგან.....260

I სვანების დამოკიდებულება ფეოდალიზმისა და ბატონ-ყმობი-
სადმი.....262

რაჭის თავადების ჯაფარიძეების დახოცვა თავისუფალი
სვანების მიერ მე-XV საუკუნეში.....270

თავისუფალი სვანეთი და თავ. დადეშქელიანები.....276

დადეშქელიანების მიერ 86 ლატალელის დატყვევება.....280

ლაშხეთის ბატონის ბეჟანა ყიფიანის მოკვლა უშგულელების
მიერ.....281

ბალყარის ბატონის დევეთგერი მურზაყულოვის მოკვლა უშგუ
ლში.....283

სეტელი ,,ბაპის“ – მღვდლის ფუთუ ფალიანის მოკვლა მესტია-
ში.....284

ჯაფარიძის მოკვლა მესტიაში.....285

ლატალელების გამოსვლა ჩარკვიანების წინააღმდეგ.....286

ლატალის გლეხკაცობის დადეშქელიანების წინააღმდეგ
გალაშქრება 1895 წ. 286

გალიფხანების (გარდაფხაძეების) ამოწყვეტა ჩოლურის
გლეხობის მიერ ძველ დროში.....287

II სვანები და თვითმპყრობელურ რუსეთის იმპერიალიზმი.....289

III ხალხის თვითმმართველობა სვანეთში.....318

,,ქორა მახვში“ ანუ პატრიარქალური წესწყობილება.....320

,,თემობ“ - გვაროვნული წესწყობილება.....322

,,სოფლის მახვშიობ“ ანუ ,,სოფლობ“ – სოფლის უფროსობა ანუ სოფლობა.....325

,,ხევობ“ – თემობრივი წესწყობილება.....325

,,შვანია ხევობ“ – სრულიად სვანეთის თემთა საკავშირო ყრილობა..... 335

,,მახვში“ - თემის უფროსი.....340

მახვშის უფლებები და მოვალეობები.....347

სვანური იურიდიული წესწყობილება და სამართლის წესები....357

,,მორვალ“.....360

სამედიატორო განაჩენის სისრულეში მოყვანა.....375

,,წორ“ – სისხლის ფასი თავისუფალ სვანეთში.....377

,,წორ“ – სადადეშქელიანო სვანეთში.....378

,,ლიცვრე“ – მიტოვება ცოლის ან ქმრის.....378

,,ლიბჭაანი“.....379

,,ფურა“ – გახმობა ჭრილობისაგან. 379

,,ქაჩობ“(დასისხლიანება).....379

,,ფუკვიდ“ ანუ ,,კადარდ ნაყირვ“.....379

,,ლიწრაალ“ სიტყვით შეურაცყოფის მიყენება.....379

,,ქორა კვაშა“ - სახლის გატეხა.....380

,,ტყვეობ“ - ტყვეობა.....380

როგორ ხდებოდა სახსრის მიცემა.....381

წესი თავის გამართლებისა საეჭვო საქმეზე.....384

სიმღერა ჯამათაზე (უშგულში ღებიდან შემოსული).....386

V ბატონ-ყმური წესწყობილება სვანეთში.....389

VI რევოლიუციონური მოძრაობა ლეჩხუმ-სვანეთში 1905 წ. 394

ჯიხვი სვანეთის მთებში.....409

ჯიხვზე ნადირობასთან დაკავშირებული ხალხური

ზნეჩვეულებანი (ჩვენი მხარეთმცოდნეობისათვის)..... 415

ჯიხვზე ნადირობასთან დაკავშირებული ლეგენდები.....425

დალი.....427

ბეთქილი.....435

ეგნატე გაბლიანის პუბლიცისტიკა

ზარდლაში. (სვანეთი).....440

საქართველო, ზემო სვანეთი.....441

საქართველო ზემო სვანეთი, იტალიელი მოგზაური, - მღვ.გ. მარგიანი. - სოფ. ადიში.....443

სვანეთი.....445

სვანეთი.....446

სვანეთი.....447

პასუხი პირველს.....448

გუბერნიის კომისარის საყურადღებოთ.....452

ზემო სვანეთის დელეგაცია მთავრობის წინაშე.....453

სწავლა განათლების საქმე სვანეთში.....457

ელსადგურის ამბების საკითხი (წერილი სვანეთიდან).....459

სვანეთის მინერალური სიმდიდრენი.....460

ზემო-სვანეთი.....462

სვანეთის მშრომელთა უდიდესი მიღწევა.....464

არქეოლოგიური გათხრები სვანეთში.....466

წირმინდის გათხრები.....470

დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალში“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას 4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: gamomcemlobauniversali@gmail.com; universal505@ymail.com